


ნიკოლოზ ჯანაშია



I



„საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1980

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გამოკვლევის პირველ ნაწილს. მასში განხილულია ის ცნობები, რომლებიც არსებობენ ძველ მწერლობაში „შუშანიკის წამებასა“ და მის პერსონაჟებზე. ამ თვალსაზრისით დაწერილებითაა განხილული „ეპისტოლეტა წიგნი“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჟუანშერის „ცხოვრება ეასტანგ გორგასლისა“, უსტანესის „ისტორია“ და ანტონ ბაგრატიონისეული „შუშანიკის წამების“ გადამუშავება. ერთმანეთთანაა შედარებული „წამების“ სხვადასხვა რედაქცია და მოცემულია მათი ისტორია.

წიგნის იტყვობა

ლაკობ ცურტაეელის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი ძეგლია. ცხადია, ეს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ქართული ლიტერატურის ისტორია ამჟამად ამ პატარა წიგნით იწყება. მაგრამ სიძველე არ არის მისი არც ერთადერთი და არც უმთავრესი ღირსება. „შუშანიკის წამება“ არის ჭეშმარიტად შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც უმაღლეს შეფასებას იმსახურებს თავისი წმინდა ლიტერატურული ღირსებებით.

„შუშანიკის წამება“ დაიწერა როგორც აგიოგრაფიული თხზულება. ავტორს მიზნად ჰქონდა დასახული აღეწერა თავისი გმირის მოწამეობრივი აღსასრული. ქრისტიანობა წარმოიშვა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, როგორც რეაქცია იმ პოლიტიკურსა და სოციალურ ჩაგვრაზე, რომელსაც ეწეოდა რომი. თავდაპირველად ქრისტიანობა გამოხატავდა რომის მიერ დაპყრობილი ხალხების, მონებისა და, საერთოდ, ჩაგრულთა პროტესტს, რის გამოც იგი მკაცრად იდევნებოდა. მაგრამ რომის იმპერიაში არსებული სოციალური, ეკონომიური და იდეოლოგიური კრიზისის პირობებში ქრისტიანობა სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა. ამასთან, ქრისტიანულ თემებში შესვლა იწყეს მქონებელი კლასების წარმომადგენლებმაც, მდიდრებმა. ქრისტიანული თემების სოციალური შემადგენლობა თანდათან შეიცვალა, მოისპო ის თანასწორობაც, რომელიც თავდაპირველად მიღებული იყო ქრისტიანულ

თემებში. ქრისტიანობამ ისეთივე სოციალური აღნაგობა მიიღო, როგორც ჰქონდა იმ საზოგადოებას, რომლის წიაღშიც იგი არსებობდა და ვითარდებოდა. ცხადია, ამან გავლენა იქონია ქრისტიანულ მოძღვრებაზეც. ქრისტიანობამ დაჰკარგა ის რევოლუციური, მებრძოლი სული, რომელიც მას წარმოშობისას ჰქონდა და მიიღო გაბატონებულ პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებასთან შემრიგებლური ხასიათი. ჩაგრულთა დამცველისაგან ქრისტიანობა მჩაგვრელთა დამცველად გადაიქცა. ცხადია, ასეთი მეტამორფოზი შეუმჩნეველი არ დარჩენილა იმპერიის მმართველი კლასებისათვის. ქრისტიანობა ჯერ ლეგალიზებულ იქნა (313 წ. მილანოს ედიქტით), სოლო სულ მალე ამის შემდეგ გადაიქცა გაბატონებულ და ერთადერთ დაშვებულ სარწმუნოებად. ცხადია, რომ ქრისტიანობის გაბატონებას მოჰყვა იმ იდეოლოგიურ საშუალებათა გაბატონებაც, რომლებიც ამ ახალი რელიგიის გავრცელებასა და განმტკიცებას ემსახურებოდნენ: ქრისტიანული ფილოსოფიის, ლიტერატურის, სელოვნებისა და სხვ. ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში იმთავითვე ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა მწერლობას.

ქრისტიანული მწერლობა წარმოიშვა საკმაოდ ადრე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მკვდარი ზღვის სანაპიროზე აღმოჩენილ ე. წ. ჭუმრანის ტექსტებს, როგორც არა წმინდა ქრისტიანულს, ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად უნდა ჩაითვალოს „აპოკალიპსი ან გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“, რომელიც პირველი საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. პირველი საუკუნის მიწურულითა და მეორე საუკუნის დასაწყისით თარიღდება პავლეს ეპისტოლეები, სოლო მეორე საუკუნის პირველი ნახევრით — სახარებანი (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი), რომლებშიც აღწერილია ქრისტეს ცხოვრება და გადმოცემულია ქრისტიანული მოძღვრება. ჩვენ აქ დავასახელებთ მსოლოდ უძველესი ნიმუშები კანონიკური ქრისტიანული მწერლობისა, ანუ იმ მწერლობისა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ შემდგომში ჭეშმარიტად, დაკანონებულად მიიჩნია და ქრისტიანული მოძღვრების ძირითად სახელმძღვანელოდ გამოაცხადა. გარდა ამ მწერლობისა, არსებობს უმდიდრესი ქრის-

ტიანული ლიტერატურა, რომლის ნაწილი, სხვათა შორის, ეკლესიამ არაწვემარიტად მიიჩნია და უარყო კიდევაც.

ქრისტიანულ მწერლობაში ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა აგიოგრაფიას. როგორც ითქვა, თავისი არსებობის პირველ პერიოდში ქრისტიანობა დევნილი რელიგია იყო. განსაკუთრებით მკაცრი იყო ქრისტიანთა დევნა იმპერატორების — ნერონის (64 წ.), მარკუს ავრელიუსის (177 წ.), დეციუსისა (250 წ.) და დიოკლეტიანეს (303—304 წწ.) მმართველობაში. ამ დევნის დროს მრავალმა ქრისტიანმა განიცადა არამართო შევიწროება და წამება; მრავალი შეეწირა კიდევაც ახალ სარწმუნოებას. ბუნებრივია, რომ ქრისტიანი მორწმუნენი აღტაცებითა და მოწიწებით ინახავდნენ წამებულთა სახელებს და ერთმანეთს გადასცემდნენ მათ საქმეებს. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა დევნილიდან გაბატონებულ სარწმუნოებად გადაიქცა, ასეთივე თაყვანისცემა დაიმსახურეს ქრისტიანობის სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმაც, მქადაგებლებმა, მეუდაბნოეებმა, ასკეტებმა და სხვ. დროთა განმავლობაში ეს გადმოცემები იკუმბოდნენ სხვადასხვა დეტალებით, რომლებიც სშირად ზღაპრულ, სასწაულებრივ ხასიათს ღებულობდნენ. ქრისტიანობის განსაკუთრებით გამოჩენილი მოღვაწეები, იქნებოდნენ ისინი მისი მქადაგებელნი თუ მისთვის წამებულნი, წმინდანებად მიიჩნეოდნენ და ითვლებოდა, რომ მათ საფლავებსა თუ „წმინდა ნაწილებს“ (სხეულის რაიმე ნაშთებს — ძვლებს, კბილებს, თმებსა და სხვ.) მინიჭებული ჰქონდა სასწაულმოქმედი ძალა. სწორედ ასეთ მოღვაწეთა ცხოვრებას აღწერდა აგიოგრაფია.

ამრიგად, აგიოგრაფია ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომლის ფესვები წინარექრისტიანულ, წარმართულ მწერლობაში, ხოლო უძველესი ნიმუშები ახალი აღთქმის წიგნებში შეიძლება დაიძებნოს. გარკვეული აზრით სახარებანიც (განსაკუთრებით პირველი სამი) ფაქტობრივ აგიოგრაფიული ნაწარმოებებია. აგიოგრაფია თავისი მიზნებით ძირითადად პროპაგანდისტული ხასიათის ლიტერატურაა. როგორც ითქვა, აგიოგრაფიულ თხზულებას მკითხველისათვის უნდა ეჩვენებინა ქრისტიანული სარწმუნოებისათ-

ვის თავგანწირული სამსახურის მაგალითები. ბკითხველს უნდა დაენახა ქრისტიანობისათვის თავდადებული ადამიანები, რომლებმაც ღმერთის სამსახური თავისი ცხოვრების ძირითად, ხშირად ერთადერთ მიზნად დაისახეს, ან თვით სიცოცხლეს კი შესწირეს ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას. აგიოგრაფიის ამგვარმა დანიშნულებამ განაპირობა მისი უანრობრივი თავისებურებანიც. აგიოგრაფიული თხზულების მთავარი მოქმედი გმირი, დადებითი გმირი, უნდა ყოფილიყო იდეალური ადამიანი, იდეალური წმინდანი, აბსოლუტური სიკეთის განსახიურება, რომელიც ყოველი თავისი მოქმედებით, ყოველი სიტყვითა თუ აზრით სამაგალითო იქნებოდა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის და განამტკიცებდა მერყევთ, ხოლო ურწმუნოთ კი მოაქცევდა. (ცხადია, ასეთი იდეალური გმირი ვერ იქნებოდა ცოცხალი, რეალური ადამიანი თავისი ამქვეყნიური ტკივილითა და სიხარულით. ასევე ცალმხრივად იყო დახატული აგიოგრაფიული თხზულების უარყოფითი გმირი — დადებითის ანტიპოდი, მისი მტარვალი, რომელიც ბნელ ძალებს წარმოადგენდა და აგრეთვე იდეალური განსახიერება იყო, ოღონდ ყოველგვარი, აბსოლუტური ბოროტებისა. ამითაა განსაზღვრული აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა პირობითობა და არარეალისტური ხასიათი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთქმული მხოლოდ ძალზედ ზოგადი დახასიათებაა აგიოგრაფიული მწერლობისა. კონკრეტულმა შემთხვევებმა შეიძლება არსებითად განსხვავებული სურათიც გვიჩვენოს. აურაცხელი რაოდენობის აგიოგრაფიულ თხზულებათა შორის, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ყველა ერთნაირი როდია. არაერთი მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. მრავალ მათგანში მოიძებნება ადამიანის მოქმედების ნამდვილი ღრმა ფსიქოლოგიური მოტივების ძიების ცდები, რეალისტური მომენტები, ისტორიული, ყოფითი რეალიები. აგიოგრაფიული თხზულებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი შინაარსით — აგიოგრაფიული ნაწარმოები შეიძლება აღწერდეს რომელიმე წმინდანის ქრისტიანობისათვის მოწამებრივ სიკვდილს, ან რომელიმე წმინდანის მშვიდ, ყოვლად უფათერაკო ცხოვრებას რომელიმე უდაბნოში; მხოლოდ წმინდანის წამების მომენტს,

ან მის ცხოვრებას ბავშვობიდან სიცოცხლის დასასრულამდე; ერთი წმინდანის ამბავს, ან მთელი ჯგუფისას. აგიოგრაფიული ნაწარმოებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავისი თემითაც — აგიოგრაფიული თხზულების თემა შეიძლება იყოს არა მარტო ქრისტიანობისთვის ბრძოლა, არამედ პატრიოტულიც, მაგალითად, აგიოგრაფიული თხზულება შეიძლება აღწერდეს ცხოვრებას რომელიმე სარდლისას, რომელმაც სამშობლო გადაარჩინა მტრისაგან, ან თავი შესწირა დამპყრობელთან ბრძოლას. აგიოგრაფიული თხზულებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სტილითა და ენითაც. ერთი შეიძლება დაწერილი იყოს ყველაზე უფრო მაღალი, ხელოვნური „სტილით“, მეორე, მთლად ფოლკლორულ მოტივებზე აგებული, უბრალო ხალხური ენით. როდესაც აგიოგრაფიულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ მან განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვალა კიდეც სახე. აგიოგრაფია იცვლებოდა სივრცეშიც — სხვადასხვა ქვეყანაში ამ უანრმა თავისი, მეტ-ნაკლებად, განსხვავებული სპეციფიკური თვისებები შეიძინა.

ადრინდელი პერიოდის ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლისას ჩვენ უთუოდ დიდად გამოგვაძგება ბიზანტიური ლიტერატურის გამოცდილებაც, რადგან ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა, ისევე როგორც საერთოდ ქართული კულტურა, ყველაზე მეტ და მჭიდრო კავშირებს სწორედ ბიზანტიურთან ავლენს. ამ კავშირების საფუძველს წარმოადგენდა სიახლოვე ბერძნულ სამყაროსთან ანტიკურ ხანაში, რომელიც კარგადაა წარმოჩენილი მრავალრიცხოვანი გათხრების შედეგად საქართველოში და რომელიც მომდევნო პერიოდში განმტკიცდა ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებით.

ქრისტიანობა საქართველოში ძალიან ადრე გავრცელდა. როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, ქართლში-ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად მიღებულ იქნა უკვე IV ს. 30-იან წლებში. უკანასკნელი-ხანის-გამოკვლევების თანახმად, დაახლოებით ამავე დროს იყო იგი აღიარებული ეგრისშიც. როგორც ითქვა, ქრისტიანობა იმთავითვე მდიდარი ლიტერატურა

რის მქონე რელიგია იყო და მას უეჭველია ქრისტიანული მწერლობის გავრცელებაც უნდა მოჰყოლოდა. სხვა რომ არა იყოს რა, თვით ქრისტიანულ მღვდელმსახურებას სჭირდებოდა მსახურებისათვის აუცილებელი წიგნები. თავდაპირველად, ცხადია, უცხო ენებზე არსებულ ლიტერატურას გამოიყენებდნენ. რადგან ქრისტიანობა სვენში უფრო ბერძნული სამყაროდან ვრცელდებოდა, პირველ რიგში ბერძნულ მწერლობას მიმართავდნენ, თუმცა არც სხვა ენებზე არსებული ლიტერატურა იქნებოდა უგულვებელყოფილი. ძალიან ძალე დაწყებულა ამ ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნაც. ადრევე წარმოშობილა ორიგინალური ქართული ქრისტიანული მწერლობაც. „შუშანიკის წამება“ ამ მწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუშია.

იმ დროისათვის, როდესაც ჩვენში „შუშანიკის წამება“ იწერებოდა, ბიზანტიაში აგიოგრაფია ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული ჟანრი გახდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამდროინდელი, ე. ი. ადრინდელი, ბიზანტიური აგიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები გამოირჩევიან რეალისტური ელემენტების სიჭარბით, თხრობის უშუალოებითა და გულწრფელობით. მეექვსე საუკუნიდან კი ბიზანტიურ აგიოგრაფიაში ვითარდება ტრაფარეტი, რომელიც მოიცავს თხზულების როგორც კომპოზიციას, ისე სიუჟეტურ მხარეს და სხვა მხატვრულ ხერხებს.

X საუკუნიდან იწყება ბიზანტიური აგიოგრაფიის ახალი ხანა, რომელიც დაკავშირებულია ცნობილი მწერლის სვიმეონ მეტაფრასტის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. სვიმეონ მეტაფრასტმა დაიწყო არსებული აგიოგრაფიული თხზულებების გადამუშავება-გარდაკაზმვა, ასე ვთქვათ, მაღალი ლიტერატურული სტილით გამართვა. მაგრამ ეს საკითხი სცილდება ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს და მასზე ვერ შევჩერდებით.

ქრონოლოგიურადაც და სასიათითაც „შუშანიკის წამება“ ადრინდელ აგიოგრაფიულ მწერლობას განეკუთვნება. მართალია, ამ პერიოდის საკუთრივ ქართული მწერლობის სხვა ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ადრინდელ აგიოგ-

რაფიულ მწერლობაზე მსჯელობა ბიზანტიური აგიოგრაფიის მისედვეითაც შეგვიძლია. ამის უფლებას გვაძლევს „შუშანიკის წამების“ არა მარტო ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური სიახლოვე იმავე პერიოდის ბიზანტიურ აგიოგრაფიასთან, არამედ უეჭველი პირდაპირი კავშირიც მასთან. და მაინც, არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვი, რომ იაკობის თხზულება აშკარად განსხვავდება თავის თანამედროვე სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან. ეს განსხვავება გამოიხატება არა მარტო რეალისტურობაში, კიდევ უფრო მეტ უშუალობასა და გულწრფელობაში, არამედ მის განსაკუთრებულ სიღრმეში, მის განსაკუთრებულ მხატვრულ ძალაში. „შუშანიკის წამების“ ავტორი იაკობი ჭეშმარიტად უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული მწერალია.

უძველესობა, პირველობა „შუშანიკის წამებას“ ჩვენს თვალში განსაკუთრებულ შარავანდედს ადგამს. სამწუხაროდ, ამ შარავანდედის ნათება, ჩანს, ხელს გვიშლის მისი სხვა ღირსებების დანახვაში. მართალია, მასზე სშირად იწერება, რომ იგი არის ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლი, მაგრამ ჯერჯერობით იგი არაა სათანადოდ შესწავლილი არც ენის, არც ლიტერატურისა და არც ისტორიის თვალსაზრისით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ ძეგლის მაღალი შეფასება სშირად უფრო მისი სიძველით დამსახურებულ კომპლიმენტადაა მიჩნეული, ვიდრე მის ნამდვილ ღირსებათა აღიარებად. ვფიქრობთ, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის საპატიო და სასიხარულო ვალია სრულად წარმოაჩინოს ამ მართლაც რომ დიდებული თხზულების ჭეშმარიტი ლიტერატურული ღირსებები, აჩვენოს მისი ადგილი მის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში.

„შუშანიკის წამება“ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროცაა. მასში სავსებით რეალისტურადაა აღწერილი V ს. მეორე ნახევრის ქართლი, მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი ცნობები პოლიტიკური და სოციალური ბრძოლებისა თუ დამოკიდებულებების შესახებ, გასაოცარი სიცხადითაა ნაჩვენები ძველი ყოფა, ჩვენს თვალწინ გაცოცხლებულია იმდროინდელი ადამიანები თავისი ნამდვილი მისწრაფებებითა და ვნებებით. მრავალი თვალსაზრისით

ამ თხზულებას ბადალი არა კყავს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ისევე როგორც ლიტერატურული, წყაროთმცოდნეობითი თუ ისტორიული თეალსაზრისითაც იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. მისი შესწავლის დროს ჩნდება მრავალი ზოგადსაღიქვრატურო საკითხი. დღემდე, შეიძლება ითქვას, ყურადღება ექცეოდა უმთავრესად მხოლოდ ძირითადი ისტორიულ-ქრონოლოგიური პრობლემის, კერძოდ „წამების“ დაწერის დროის და სხვადასხვა რედაქციათა ურთიერთდამოკიდებულების დადგენას, მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ყველაფერი საბოლოოდ გარკვეული არაა. მაგალითად: „შუშანიკის წამების“ დაწერის დრო საკმაო სიზუსტითაა დადგენილი ს. გორგაძის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მიერ. თუმცა ეს დათარიღება სავსებით დამაჯერებელი და სარწმუნოა, საჭიროა ენობრივმა ანალიზმაც დაადასტუროს იგი, რადგან „წამების“ უძველესი ხელნაწერი X ს-ზე ადრინდელი არაა. როგორც ითქვა, ეს თხზულება ჯერ კიდევ არაა მონოგრაფიულად შესწავლილი ენის თეალსაზრისით, რაც იმდენადვე გაუგებარია, რამდენადც შეუწყნარებელი. ხოლო, სანამ ასეთი სამუშაო ჩატარებული არ იქნება, „შუშანიკის წამების“ დათარიღების საკითხი საბოლოოდ ამოწურულად ვერ ჩაითვლება.

„წამების“ ენობრივ შესწავლასთან ერთად საჭიროა მისი სტილისტური და ტექსტოლოგიური შესწავლაც, რათა მეტი სიცხადე იქნას შეტანილი იმ საკითხში, თუ რა სახით მოაღწია ჩვენამდე თხზულების ტექსტმა და რა ცვლილება განიცადა მან დროთა განმავლობაში.

„შუშანიკის წამების“ ტექსტის შესწავლის პროცესში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მისი რედაქციების ურთიერთდამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზეც არსებობს ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის ავტორიტეტული და სავსებით სწორი დებულებები, ხოლო ი. აბულაძეს კი გამოქვეყნებული აქვს ბრწყინვალე გამოკვლევა, ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც მოითხოვენ დაზუსტებას.

როგორც ითქვა, საჭიროა „შუშანიკის წამების“, როგორც საისტორიო წყაროს, შემდგომი შესწავლა, მასში აღწერილი

ამბების რეალურ-ისტორიული ღირებულების დაზუსტება. „შუშანიკის წამების“ წმინდა ლიტერატურული ანალიზი მოითხოვს ქართული აგიოგრაფიის თავისებურებათა გათვალისწინებას, მის სპეციფიურობის წარმოჩენას სხვა ხალხთა თანადროულ (და არამართო თანადროულ) აგიოგრაფიულ მწერლობებთან შედარებით. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა „შუშანიკის წამების“ ნამდვილი ადგილი ჯერ საკუთრივ ქართულ აგიოგრაფიაში და, საერთოდ, ქართულ ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო აგიოგრაფიასა და მსოფლიო ლიტერატურაში. ამგვარი კვლევა საბოლოოდ გაარკვევდა, თუ რომელ ლიტერატურულ უანრს განეკუთვნებიან „შუშანიკის წამება“ და ძველი ქართული ლიტერატურის ზოგი სხვა ძეგლი, რომელთა უანრობრივი განსაზღვრა ჯერ კიდევ ყველასთვის ერთნაირად მისაღები არაა.

ჩვენი აზრით, შემდგომ გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს „შუშანიკის წამების“ სხვა ლიტერატურული მხარეებიც. მაგალითად, მოქმედ პირთა სახეები, ავტორის, როგორც ერთერთი მოქმედი პირის, ადგილი მოთხრობაში, მხატვრული სტილი, მხატვრულ-გამომხატველობითი ხერხები და სხვა.

ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, თითქოს „შუშანიკის წამების“ შესწავლის საქმეში არაფერი იყოს გაკეთებული. ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც გვიჩვენებს, რომ „შუშანიკის წამების“ შესწავლა კარგა ხანია დაწყებულია და საკმაოდ ბევრი რამ უკვე გარკვეულია კიდევაც. ყველაზე მეტი დამსახურება ამ მხრივ მიუძღვით ს. გორგაძეს, ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს და ი. აბულაძეს. სამწუხაროდ, მათი შრომების შემდეგ „შუშანიკის წამების“ შესწავლა რამდენადმე შენედა, გასაკეთებელი კი, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ბევრია.

წინამდებარე წიგნის მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის და არც შეიძლება იყოს ყველა ამ ხარვეზის ამოვსება. ეს მომავლის საქმეა და არაერთი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის გაერთიანებულ შრომას მოითხოვს. ჩვენი მიზანი ბევრად უფრო მოკრძალებულია. ჩვენ შევეცდებით თავი მოვეყაროთ არსებულ შეხედულებებს „შუშანიკის წამების“ შესწავლასთან

დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემაზე, წარმოვადგენთ ჩვენი აზრით აუცილებელ დამატებით საბუთებს ადრე გამოთქმული სწორი დებულებების განსამტკიცებლად, მოვიტანთ ასალ მასალას „შუშანიკის წამების“ ისტორიის შესასწავლად. ამასთან, იმედი გვაქვს, რომ ზოგიერთი საკითხის ახალი კუთხით წარმოჩენას მკითხველი საინტერესოდ მიიჩნევს.

წიგნის სტრუქტურა მკითხველს შეიძლება უჩვეულოდ და გაუძარტლებლადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ მას შინაგანი ლოგიკა მაინც აქვს. ეს სტრუქტურა განპირობებულია ორი გარემოებით: ჩვენი მიდგომით „შუშანიკის წამებისადმი“ ძირითადად როგორც საისტორიო წყაროსადმი და სურვილით, რომ ძირითად საკითხებზე საუბრისას მკითხველის განკარგულებაში უკვე იყოს კონკრეტული მასალა. თავდაპირველად დასახელებულია „შუშანიკის წამების“ რედაქციები (და მათთან ერთად ხელნაწერები და გამოცემები), რაც საჭიროა იმისთვის, რომ მკითხველისთვის თავიდანვე ცნობილი იყოს ის ძირითადი მცნებები, რომელთა ცოდნა აუცილებელია „წამებაზე“ მსჯელობის დროს. შემდეგ მოცემულია „შუშანიკის წამების“ ირგვლივ არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა. ამას მოჰყვება შედარებით ვრცელი ექსკურსი, რომელშიც მკითხველი ნახავს ძველ მწერლობაში შემონახულ ცნობებს, როგორც „წამების“ პერსონაჟებზე, ისე თვით „წამებაზე“. ეს ცნობები შემდგომში დაეხმარებიან მკითხველს უკეთ გაერკვეს „წამების“ ავტორის ლიტერატურულ მეთოდსა და თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს, ღირებულებაში. ამ ექსკურსს მოჰყვება „შუშანიკის წამების“ სხვადასხვა რედაქციის ერთმანეთთან შედარება, რომელმაც უნდა გაარკვიოს, თუ რომელი რედაქციაა უძველესი. ეს კი აუცილებელია იმისთვის, რომ დავადგინოთ, რომელი რედაქცია უნდა იყოს ჩვენთვის ამოსავალი. როდესაც ეს საკითხი გაირკვევა, მსჯელობა გვექნება უძველესი რედაქციის დაწერის თარიღზე. შემდეგ განხილული იქნება „შუშანიკის წამების“ პერსონაჟები, რამდენადაც ეს პერსონაჟები ისტორიული პირები არიან და „წამების“ ამ თვალსაზრისით განხილვა გაგვიადვილებს იმ ისტორიული ვითარების გარკვევას, რომელიც გადმოცემულია „წამებაში“. „შუშანიკის

წამების“ პერსონაჟებსა და მასში წარმოდგენილ ისტორიულ ვითარებაზე ლაპარაკი გვექნება ჩვენი გამოკვლევის მომდევნო ნაწილში.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ „შუშანიკის წამება“ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია როგორც ლიტერატურული, ისე წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით და მისი ყოველმხრივი ღრმა შესწავლა მომავლის საქმეა. გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ამგვარი შესწავლა კიდევ უკეთ წარმოაჩენს მის ბრწყინვალე ლიტერატურულ ღირსებებს და ყველასათვის ცხადყოფს, თუ რატომაა ეს პატარა წიგნაკი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის სიამაყე, მისი ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი. იმედია, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერიდან ათასხუთასი წლის იუბილე, რომელიც აღინიშნება მიმდინარე, 1978 წელს, ხელს შეუწყობს არა მარტო მის პოპულარიზაციას, არამედ მის შენადგომ, კიდევ უფრო ინტენსიურ შესწავლას.

თბილისი,
1978 წ.

ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია დიდი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. ე. მეტრეველს საყურადღებო შენიშვნებისათვის. მადლობას მოვახსენებთ, აგრეთვე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ე. სომტარიას და მწერალ თ. ჭილაძეს მრავალი შენიშვნისათვის. დაბოლოს, დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მწერალ ე. მაღრაძეს, რომელმაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორად ყოფნისას ყოველნაირად შეგვიწყობ ხელი ამ წიგნის დასაბეჭდად მომზადებაში.

ნაშრომი ბევრად უფრო ვრცელი გამოვიდა, ვიდრე გან-

ზრახული გვექონდა, ამიტომ მისი ორ ნაწილად გაყოფა მოგვიხდა. წინამდებარე ნაკვეთი წყაროთმცოდნეობით ნაწილს წარმოადგენს, მასში განხილულია ძველ მწერლობაში „შუშანიკის წამებაზე“ არსებული ცნობები. მეორე ნაკვეთში მოცემული იქნება საკუთრივ „შუშანიკის წამების“, როგორც ისტორიული წყაროს, ცნობათა ანალიზი.

P. S. წიგნი გამომცემლობას გადაეცა 1978 წელს. ამიტომ მასში ვერ აისახა ის ლიტერატურა, რომელიც გამოვიდა „შუშანიკის წამების“ დაწერის 1500 წლის იუბილესათვის. ვეცდებით ეს ნაკლი შეძლებისდაგვარად გამოკასწოროთ მომდევნო ნაწილში.

I. „შუშანიკის წამების“ რედაქციები, ხელნაწერები და გამოცემები

რ ე ლ ა ქ ც ი ე ბ ი

არსებობს „შუშანიკის წამების“ რამდენიმე რედაქცია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსითა და მოცულობით. ესენია ვრცელი, მოკლე და სვინაქსარული რედაქციები. ამასთან, ყოველი რედაქცია წარმოდგენილია როგორც ქართულად, ისე სომხურად. ასე რომ, „შუშანიკის წამების“ საკმაოდ ბევრ რედაქციას ვღებულობთ: ქართულ და სომხურ ვრცელს, ქართულ და სომხურ მოკლეს, ქართულ და სომხურ სვინაქსარულს. ამავე დროს ზოგიერთი რედაქცია რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი. ერთმანეთთან მსგავსების გარდა, ყველა ამ რედაქციას აქვს გარკვეული განსხვავებანიც, რომლებიც ზოგჯერ ნაკლები მნიშვნელობისაა, ზოგჯერ კი უაღრესად საინტერესოცაა და დიდად მნიშვნელოვანიც.

ცხადია, რედაქციათა არსებობა ბუნებრივად სემს საკითხს მათს ურთიერთმიმართებაზე, რაც შეიძლება გაირკვეს მათი ერთმანეთთან შეჯერებითა და შესწავლით. რედაქციათა ერთმანეთთან შეჯერება და შესწავლა ამასთან არკვევს „წამების“ ტექსტის ისტორიასაც და, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, გარკვეული ზომით, მის წმინდა ლიტერატურულ ღირებულებასაც.

ქართული ვრცელი რედაქცია ერთნაირადაა წარმოდგენილი ყველა ხელნაწერში.

სომხური ვრცელი რედაქცია ორი ვარიანტითაა ცნობილი. ერთი დაბეჭდილია ვენეციაში 1853 წ. მას ჩვენ შემდგომში ვენეციურ ვარიანტად მოვიხსენიებთ. მეორე ვარიანტს მიაკვლია პროფ. ი. აბულაძემ ერმიადინში, რის გამოც შემდგომში მას ერმიადინურს ვუწოდებთ. მთავარი განსხვავება ამ ვარიან-

ტებს შორის ისაა, რომ ვენეციურ ვარიანტში ვარსკენის მიერ ქრისტიანობის უარყოფისა და მაზდეანობის მიღების მთავარ მიზეზად ვარსკენისაგან თავისი ასულის ცოლად შერთვის სურვილია დასახელებული. ეჩმიაძინურ ვარიანტში ამაზე არაფერი არაა ნათქვამი. არის სხვა, უფრო ნაკლები მნიშვნელობის სხვაობანიც. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ შემდგომში მოგვისდება უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

ქართული და სომხური მოკლე რედაქციები თითო ვარიანტითაა წარმოდგენილი, ასევეა ქართული სვინაქსარული რედაქცია. სომხური სვინაქსარული წამება კი სამი რედაქციითაა ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი, აგრეთვე, ი. აბულაძის მიერაა მიკვლეული.

შუშანიკის წამების ამბავი მეტ-ნაკლები სისრულით მოთხრობილია სხვა თხზულებებშიც, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვასტანგ გორგასლისა“, სომეხი ავტორების აჰარონ ვანანდეცისა და უხტანესის თხზულებებში. ყველა ამათზე ჩვენ თავ-თავის ადგილას ვილაპარაკებთ.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი

1 ჩვენამდე მოღწეულია „შუშანიკის წამების“ სხვადასხვა რედაქციების ორ ათეულამდე ხელნაწერი. მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო „წამების“ ტექსტის დასადგენად, არამედ მისი ისტორიის გასარკვევადაც. ყველაზე მეტი — თერთმეტი ხელნაწერითაა ცნობილი ქართული ვრცელი რედაქცია. ამასთან, ეს რედაქცია წარმოდგენილია უძველესი ხელნაწერითაც „წამების“ ყველა ხელნაწერთა შორის. ეს ხელნაწერი მოთავსებულია ერთ ცნობილ კრებულში, ეგრეთწოდებულ პარსლის მრავალთავში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 95).. სხვათა შორის, პარსლის მრავალთავი ცნობილია იმითაც, რომ იგი არის ყველაზე დიდი ქართული ხელნაწერი წიგნი. გადაწერილია იგი ნუსხა-სუცურით ვინმე გაბრიელ პატარაის მიერ. ხელნაწერს მ. ჯანაშვი-

ლი X ს-ით ათარიღებდა (ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, 134). თ. ჟორდანიას, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ეს კრებული (ჟორდანიას, აღწერილობა, 96—114), აგრეთვე მიიჩნევდა, რომ იგი X ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოსო (იქვე, 96). ასეთ დათარიღებას ემხრობოდნენ ს. გორგაძე (გორგაძე, შუშანიკი, 39), აკად. ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 1921, 24; საისტორიო მწერლობა, 1945, 53) და სხვები, მაგრამ შემდეგ პ. პეტერსმა შენიშნა, რომ რადგან კრებულში მოთავსებულია ქადაგებანი იოანე ბოლნელისა, რომელიც თანამედროვე იყო ბაგრატ მესამისა (980—1014), ეს კრებული X ს-ისა ვერ იქნება, XI ს-ისა უნდა იყოსო (პეტერსი, 304). პროფ. ი. აბულაძემ დამაჯერებლად მიიჩნია პეტერსის აზრი (აბულაძე, შუშანიკი, 01, შენ. 1; მისივე, პალეოგრაფიული ალბომი, 1949, 303; პალეოგრაფიული ალბომი, 1973, 352). აკად. კ. კეკელიძემაც გაიზიარა პ. პეტერსის შეხედულება და თავის მხრივაც მოიტანა დამატებითი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ კრებული XI ს-ში უნდა იყოს გადაწერილი. კ. კეკელიძე მიუთითებდა იმაზე, რომ მასში მოთავსებულია ევსტრატის, აექსენტის, ევგენის, ორესტისა და მარდარის მარტილობა, რომელიც სვიმეონ ლოლოთეტის მიერ დაწერილ მეტაფრასს წარმოადგენს. სვიმეონის მეტაფრასტული მუშაობა კი, როგორც ცნობილია, 982 წ. დაიწყო. ამასთან, ეს მეტაფრასი ქართულად ექვთიმე ათონელმა თარგმნა XI ს-ში, ასე რომ ხელნაწერი XI ს-ის პირველ მეოთხედშია გადაწერილი (კეკელიძე, გულანდუხტი, 199).

ეს შეხედულება გაზიარებულ იქნა ჩვენს მეცნიერებაში.

უკანასკნელ დროს პარსლის მრავალთავი სხვა ხუთ უძველეს მრავალთავთან ერთად შეისწავლა ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა, ძველი საქრისტიანო ლიტერატურის მკვლევარმა მ. ვან ესბროკმა თავის უაღრესად საინტერესო წიგნში „უძველესი ქართული მრავალთავები“.

მ. ვან ესბროკმა შენიშნა, რომ ქადაგებანი, რომელნიც პარსლის მრავალთავში მოტანილი არიან როგორც იოანე ბოლნელისა, ანონიმურად არიან წარმოდგენილნი X ს. სხვა ხელნაწერში (Sin. 44). (ესბროკი, 56). კიდევ მეტიც: ამ ქადა-

გებათა ავტორად მ. ვან ესბროკს მიაჩნია არა ბაგრატი III-ის თანამედროვე იოანე ბოლნელი, არამედ სულ სხვა, VII ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე პირი (იქვე, 316). რაც შეეხება ევსტრატის წამებას, მ. ვან ესბროკი შენიშნავს, რომ თუმცა იგი მართლაც შედის სვიმეონ მეტაფრასტის მენოლოგში, მაგრამ კიდევ სხვა ექვს ტექსტთან ერთად გამონაკლისს წარმოადგენს მენოლოგის ტექსტებიდან იმ მხრივ, რომ პრემეტაფრასტულია, რეგულარულად გვხვდება წინარემეტაფრასტულ კრებულებში და მისი ერთი ფრაგმენტიც კი არის შემონახული IX ს. მთავრულით დაწერილ ერთ ლათინურ ხელნაწერში. ამგვარად, მ. ვან ესბროკის დასკვნით „არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს იმისთვის, რომ პარხლის ხელნაწერი X ს-ში მოთავსდეს“ (იქვე, 56).

სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი ნაკლულია. მასში „შუმანიკის წამების“ ტექსტს აკლია ბოლო მესამედი.

დანარჩენი ხელნაწერები გვიანდელია და XVIII—XIX საუკუნეებით თარიღდებიან:

2. A 130, გადაწერილია 1713 წ. გაბრიელ საგინაშვილის მიერ დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი, VIII; ჟორდანია, აღწერილობა, 139; აგიოგრაფიული ძეგლები, 1, 6; ხელნაწერთა აღწერილობა, A 1₂, 137, 140).

3. A 170, გადაწერილია 1733 წ. თბილისში სიონის მთავარდიაკონ იოანეს მიერ (თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი, V; ჟორდანია, აღწერილობა, 178; ხელნაწერთა აღწერილობა, A 1₂, 258, 260).

4. H 2077, გადაწერილია 1736 წ. სვეტიცხოვლის დეკანოზ ალექსის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, H V, 44).

5. H 1672, გადაწერილია 1740 წ. სიონის მთავარდიაკონ აპრონის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, H IV, 101, 104).

6. A 176, გადაწერილია 1743 წ. კახმდიენის ძის იოანეს მიერ დავით გარეჯის მონასტერში (ჟორდანია, აღწერილობა, 185; ხელნაწერთა აღწერილობა, A 1₂, 278 — 280).

7. H 2121, გადაწერილია 1748 წ. ნიკოლოზის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, H V, 74—75).

8. Q 300, გადაწერილია XIX ს. იერომონახ ნიკოლოზ ვაჩნაძის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, Q II, 313).

9. S 3637, გადაწერილია 1838, წ. ბატონიშვილ თეიმურაზის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, S V, 103, 105; აბულაძე, შუშანიკი, 02).

10. M 21, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი, გადაწერილია 1842 წ. პეტერბურგს სვიმონ ტაბიძის მიერ (ფოტოპირი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, Rt II, № 22).

11. H 1370, გადაწერილია 1871—1884 წწ. მღვდელმონაზონ თეოდოსეს მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა, H III, 328, 331—332).

ქართული მოკლე რედაქცია აღმოაჩინა ნ. მარმა ათონის ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში, ცნობილ სვინაქსარში (Ath. 57), რომელიც მან აღწერა და X ს-ით დაათარიღა (მარი, ათონი, 16; მარი, აგიოგრაფიული მასალები, 47—72).

სხვა ხელნაწერი ამ რედაქციისა ცნობილი არაა.

ქართული სვინაქსარული „წამება“, ერთი რედაქციისა, ცნობილია ორი ხელნაწერით: A 425 (1718 წ.) და A 220 (1726 წ.). (აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 385, შენ. 2). ე. გაბიძაშვილის დაკვირვებით A 220-ის ტექსტი (შუშანიკის წამებისა) გადაწერილია A 425-დან.

როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, სომხური ვრცელი რედაქციის ერთ ხელნაწერს მიაკვლია პროფ. ი. აბულაძემ ერმიადინის ერთ-ერთ მრავალთავში. ი. აბულაძის სიტყვით, ხელნაწერი გადაწერილია 1689 წ. (აბულაძე, შუშანიკი, 05). არსებული მეორე ხელნაწერიც, რომლის მიხედვითაცაა შესრულებული „შუშანიკის წამების“ ვრცელი სომხური რედაქციის გამოცემა ვენეციაში 1853 წ. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ი. აბულაძის მიერ მიკვლეულ ხელნაწერსა და ვენეციაში გამოცემულ ტექსტს შორის სხვაობაა, რითაც დასტურდება, რომ ვენეციური გამოცემა ეყრდნობა არა ერმიადინურ, არამედ სხვა ნუსხას. ამ ნუსხის გადაწერის დრო და დღევანდელი ადგილსამყოფელი ჩვენთვის ცნობილი არაა.

სხვათა შორის, ეს ნუსხა თავის დროზე გადაუწერია ცნობილ სომეხ ისტორიკოსსა და მწერალს ღ. ალიშანს და თავისი გადანაწერი გადაუცია ვენეციის სელნაწერთა ბიბლიოთეკისთვის (აბულაძე, შუშანიკი, 04).

სომხური მოკლე მარტივობის წიგნის ერთი უთარილო ნუსხური ხელნაწერი არსებულა XIX ს-ში ქ. კარინში (არზრუმში). მისი პირი გადაუღია 1846 — 1852 წწ. ნ. სარგსიანს. მისი მისედვითაა დაბეჭდილი სომხური მოკლე მარტივობა ვრცელთან ერთად (აბულაძე, შუშანიკი, 04—05). ჩვენთვის არც ამ ხელნაწერის ადგილსამყოფელია ცნობილი.

სომხური სვინაქსარული წამებანი არაერთი სელნაწერთაა წარმოდგენილი. ი. აბულაძემ ისინი სპეციალურად შეისწავლა და ერთ-ერთ მათგანში ნახა სვინაქსარული წამების ერთი მანამდე უცნობი რედაქცია. ი. აბულაძის სიტყვით ეს ხელნაწერი 1296 წლისად ითვლება (აბულაძე, შუშანიკი, 06).

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ო

„შუშანიკის წამება“ გამოცემულია ქართულად, სომხურად, რუსულად, ლათინურად, ინგლისურად.

ქართული ვრცელი რედაქცია პირველად დაბეჭდა 1882 წ. გ. საბინინმა თავის ცნობილ წიგნში „საქართველოს სამოთხე“, „სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურდი, ჩუპბ წელსა“ (გვ. 181—192). გ. საბინინის მიხანი პატრიოტული იყო. როგორც თვითონ ამბობს, ამ წიგნის დაბეჭდვა აიძულა „საქართველოს ეკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხობილებამ მისმან“ (გვ. ა). გ. საბინინს სურდა ქართველობისათვის ეჩვენებინა ქართული ეკლესიის მდიდარი ისტორია, წარმოედგინა ქართული ეკლესიის ეროვნული მოღვაწეები. ამის საჭიროებას კი იგი კარგად ხედავდა „ვინააღგან მრავალნი არიან ჩუშნთაგანნი და უცხოთესლნი, რომელთა ჰნებავთ ჩუშნის მშუშნიერისა და ღუთივ საყუარელისა ენისა

მოსპობა“-ო (იქვე, გვ. გ). წიგნისთვის მასალების შეგროვებისას მას მრავალი ხელნაწერი უნახავს და ერთმანეთისთვის შეუდარებია კიდევაც. მაგრამ იგი არც ფილოლოგი იყო და არც ისტორიკოსი, წიგნიც ფართო მკითხველისთვის იყო გამიზნული. ამან განსაზღვრა მისი მეცნიერული ღირებულება. გამომცემელს არსად აღნიშნული არა აქვს, რომელი ხელნაწერით სარგებლობდა გამოცემის დროს, რომელს მისცა უპირატესობა და რატომ; არა აქვს მოცემული განსხვავებული წაკითხვები, ტექსტებს არ ახლავს თითქმის არავითარი კომენტარი და სამეცნიერო აპარატი.

ეს გამოცემა კრიტიკული არაა. უნდა ითქვას, რომ თავის დროსაც კი იგი არ იდგა მეცნიერების დონეზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში: ჯერ ერთი, მასში თავმოყრილია ქართული აგიოგრაფიული თხზულებების უმრავლესობა. მეორე, ბევრი მათგანი პირველად სწორედ ამ წიგნში გამოიცა ბეჭდურად. მაგალითისთვის საკმარისია ითქვას, რომ მათ რიცხვში შედის ქართული ლიტერატურის ისეთი უძველესი ძეგლები, როგორცაა: „შუშანიკის წამება“, „იესტათე მცხეთელის წამება“, „აბოს წამება“, „კოსტანტი კახას წამება“, „გობრონის წამება“, „იოვანე და ექვთიმეს ცხოვრება“, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, „სვეტიცხოველის საკითხავი“, „დავით და კოსტანტინეს წამება“, „რაუდენის წამება“ და სხვ. ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ათეული წლების განმავლობაში ეს კრებული წარმოადგენდა შემოსხენებული ძეგლების არა მარტო პირველს, არამედ ერთადერთ პუბლიკაციას. ფართო მკითხველზე რომ აღარა ვთქვათ, თვით სპეციალისტებისთვისაც მრავალი ძეგლი მხოლოდ ამ გამოცემით იყო ხელმისაწვდომი¹.

რაც შეეხება საკუთრივ „შუშანიკის წამებას“, ის ნაკლი, რომელიც ასახიათებს მთელს კრებულს, დამახასიათებელია ამ ძეგლისთვისაც, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული სპეცი-

¹ ამიტომ სამართლიანი არა ჩანს, როდესაც ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის მიმოხილვისას გ. საბინინის ღვაწლს სრულიად არ მოიხსენებენ ხოლმე. ეს გაუმართლებელია მით უმეტეს, რომ გ. საბინინმა ხსენებული ძეგლები თარგმნა რუსულადაც.

აღურ ლიტერატურაში. გამომცემელს არც ამ შემთხვევაში მიუთითებია თუ რომელი ხელნაწერი გამოიყენა ჩვენთვის საინტერესო ტექსტის გამოცემისას. მაგრამ ი. აბულაძემ მიაკვლია, რომ გ. საბინინს უნდა ესარგებლა H 2121 ხელნაწერით (აბულაძე, შუშანიკი, 02, შენ. 1).

მეორე გამოცემა „შუშანიკის წამებისა“ ეკუთვნის ს. გორგაძეს (გორგაძე, შუშანიკი). ეს უკვე კრიტიკული გამოცემაა, ამასთან, კარგიც. გამომცემელს გამოუყენებია „წამების“ ოთხი უძველესი ხელნაწერი (A 95, A 130, A 170, A 176) და ერთიც XIX ს-ისა (გორგაძე, შუშანიკი, 39—40). ეს გამოცემა დადებითადაა შეფასებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 1945, 54; აბულაძე, შუშანიკი, 01).

მესამედ „წამება“ გამოსცა ილ. აბულაძემ (აბულაძე, შუშანიკი). წინასთან შედარებით ამ გამოცემაში გამოყენებულია სამი ხელნაწერით მეტი (H 2077, H 1672 და H 1370). გარდა ამისა, გამოცემაში წარმოდგენილია ყველა ცნობილი რედაქცია (ქართული და სომხური, ვრცელი, მოკლე და სვინაქსარული). გამოცემას დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა, ხელნაწერთა ყველა განსხვავებული წაკითხვა, ლექსიკონები, საძიებლები, სრული სამეცნიერო აპარატი. გამოცემა შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და შეიძლება სანიშნოდ ჩაითვალოს.

უკანასკნელად „წამების“ მეცნიერული გამოცემა განხორციელდა 1963 წ. (აგიოგრაფიული ძეგლები, I). ამ გამოცემაში დამატებით გამოყენებულია სამი ხელნაწერი (H 2121, Q 300, M 21) და ნაჩვენებია ყველა განსხვავებული წაკითხვა. გამოცემაში წარმოდგენილია მხოლოდ „წამების“ ქართული ვრცელი რედაქცია. ტექსტი არ განსხვავდება წინა გამოცემისაგან.

ფართო მკითხველისათვის „შუშანიკის წამება“ დაიბეჭდა 1960 წ. წიგნში „ჩვენი საუნჯე“, ტ. I.

გარდა ამისა, „შუშანიკის წამება“ სრულად თუ ნაწყვეტების სახით დაიბეჭდა სასწავლო ქრესტომათიებშიც. მაგ. ნაწყვეტები „წამებიდან“ დაიბეჭდა ს. გორგაძის შედგენილ ქრესტომათიაში (გორგაძე, ძველი მწერლობა). ნაწყვეტები დაიბეჭდა აგრეთვე, აკად. აღ. ბარამიძის რედაქციით გამო-

სულ ქრესტომათიაში (ბარამიძე, ქრესტომათია). დაწყებული 1934 წ.-დან ნაწყვეტები „წამებიდან“ იბეჭდება ძველი ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიაში (შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1934. 1977 წ. დაიბეჭდა ამ წიგნის 33-ე გამოცემა). დიდი ზომის ნაწყვეტი „წამებისა“ შესულია აკად. ა. შანიძის საუნივერსიტეტო ქრესტომათიაში (შანიძე, ქრესტომათია). მთლიანად „შუშანიკის წამების“ ტექსტი შეტანილია პროფ. ს. ყუბანიეშვილის მიერ შედგენილ ძველი ქართული ლიტერატურისა (ყუბანიეშვილი, ქრესტომათია, I) და პროფ. ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილ ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიებში (იმნაიშვილი, ქრესტომათია, 1949; იგივე, 1953; იგივე, 1970).

ქართული მოკლე „წამება“ პირველად გამოსცა პროფ. ალ. ხახანაშვილმა ათონის ხელნაწერის მიხედვით (ხახანაშვილი, მასალები). ამ გამოცემას აქვს მთელი რიგი შეცდომებისა. მეორედ მოკლე „წამება“ გამოსცა პროფ. ი. აბულაძემ ათონის ხელნაწერის ფოტოპირიდან (აბულაძე, შუშანიკი, 49—53).

ქართული სეინაქსარული რედაქცია პირველად დაბეჭდა ი. აბულაძემ თავის შემოსხენებულ წიგნში ერთი ხელნაწერის მიხედვით (აბულაძე, შუშანიკი, 63—64), მეორედ კი იგი დაბეჭდა ე. გაბიძაშვილმა უკვე ორი ხელნაწერის მიხედვით (აგიოგრაფიული ძეგლები, IV).

სომხური ვრცელი რედაქცია პირველად დაიბეჭდა ვენეციაში 1853 წ. (სოფერქი, 10—47). როგორც უკვე იყო აღნიშნული, ხელნაწერი, რომლიდანაც გაკეთებულია ეს გამოცემა, ცნობილი არაა. ვრცელი წამების შემოკლებული ტექსტი 1901 წ. დაბეჭდა ალიშანმა (ალიშანი, 1901), მეორედ სომხური ვრცელი რედაქციის სრული ტექსტი დაბეჭდა ი. აბულაძემ თავის შემოთ არაერთხელ ნახსენებ წიგნში (აბულაძე, შუშანიკი, 3—47). სომხური ვრცელი რედაქციის პირველ გამოცემასთან ერთად ი. აბულაძემ გამოიყენა მის მიერ მიკვლეული ეჩმიაძინური ხელნაწერიც.

ნაწყვეტები ვრცელი სომხური რედაქციიდან დაბეჭდილია წიგნში „სომხური ლიტერატურის რჩეული ფურცლები“ (193—199). პუბლიკაციას არ ახლავს არავითარი ფილოლოგი-

ურ-ტექსტოლოგიური ცნობა. ჩანს, ტექსტი აღებულია 1853 წ. ვენეციაში გამოქვეყნებული რედაქციიდან.

მოკლე სომხური რედაქციაც პირველად 1853 წ. დაიბეჭდა ვენეციაში ვრცელთან ერთად (სოფერქი, 49—55). შემდეგ იგზავნიდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სომხური ენის სასწავლო ქრესტომათიაში 1920 წ. (მელიქსეთ-ბეგი, ქრესტომათია, 100—103). უკანასკნელად მოკლე „წამება“ ი. აბულაძემ დაბეჭდა თავის წიგნში (აბულაძე, შუშანიკი, 49—53). ორივე უკანასკნელი გამოცემა პირველის გამეორებაა.

სომხური სვინაქსარული „წამებანი“ დაიბეჭდა სამჯერ, ჯერ ე. წ. წერენცისა და ტერ-ისრაელის სვინაქსარებში (ჰაისმაფურქი, 1708 და ჰაისმაფურქი, 1834; ცნობები „ჰაისმაფურქებზე“ ამოდებული გვაქვს ი. აბულაძის წიგნიდან — შუშანიკი, 06), შემდეგ კი ი. აბულაძის წიგნში (აბულაძე, შუშანიკი, 59—60). სხვათა შორის, ი. აბულაძემ იქვე დაბეჭდა წმ. ნინოს ჯერის საკითხავიც, რომელშიც მოთხრობილია შუშანიკის ამბავიც.

„შუშანიკის წამების“ ტექსტების გამოცემების გარდა, არსებობს მოკლე მოთხრობანიც ამ „წამებისა“. მაგალითად, ასეთი მოკლე მოთხრობა შეტანილია მ. ავეგერიანის მიერ შედგენილ წმინდანთა ცხოვრება-წამებათა კრებულში (ავეგერიანი, 1813). ასეთივე ხასიათის მოთხრობა შუშანიკის წამებისა არის ცნობილი სომეხი მეცნიერისა და ლიტერატორის ლ. ინჭიჭიანის წიგნში (ინჭიჭიანი, 1832), რომელიც შემდგომში ქართულადაც ითარგმნა (ინჭიჭიანი, 1859). მოკლედ არის გადმოცემული შუშანიკის ამბავი მ. ბუშკიანის წიგნში, რომელიც გამოჩენილ ადამიანთა ანბანზე გაწყობილ ცნობარს წარმოადგენს (ბუშკიანი, 663).

შუშანიკის წამების ამბავი მოთხრობილი აქვს დ. ალიშანსაც. 1869 წ. გამოცემულ ერთ თავის წიგნში იგი ვრცლად, სხვადასხვა წიაღსვლებით ყვება ამ ამბავს (ალიშანი, 1869, 337—404).

არსებობს „შუშანიკის წამების“ ტექსტების რამდენიმე თარგმანი. მათგან პირველ რიგში მოვიხსენიებთ ვრცელი სომხური რედაქციის შესანიშნავ თარგმანს (ძველი სომხურიდან ძველ ქართულად), შესრულებულს პროფ. ი. აბულაძის

მიერ. ეს თარგმანი დართული აქვს ვრცელი სომხური რედაქციის აბულაძისეულ პუბლიკაციას (აბულაძე, შუშანიკი, 3—47). ი. აბულაძეს იმავე წიგნში მოცემული აქვს სომხური სვინაქსარული რედაქციებისა და წმინდა ნინოს ჯვრის საკითხავის თარგმანებიც, ესენიც ძველი სომხურიდან ძველ ქართულად (იქვე, 57—63).

ვრცელი ქართული რედაქციის რამდენიმე პატარა ნაწყვეტი აქვს თარგმნილი ქართულიდან სომხურად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის წიგნში „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“ (მელიქსეთ-ბეგი, წყაროები, 11—12).

იაკობის ტექსტის ნაწყვეტების თარგმანი სომხურად დაბეჭდილია აგრეთვე წიგნში „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები“ (27—33).

რუსულად „შუშანიკის წამება“ პირველად ითარგმნა (ქართულიდან) გ. საბინინის მიერ, რომელმაც სამ წიგნად გამოცა ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრებათა თარგმანი (საბინინი, ცხოვრებანი, 141—152). საბინინისეული თარგმანი თავისუფალია. მაგალითად, „შუშანიკის წამება“ დასაწყისში მესამე პირშია თარგმნილი. შემდეგ მთარგმნელი ამბობს, მთხრობელი ასე გვიამბობსო და თხრობა პირველ პირში გადაჰყავს, როგორც ეს იაკობთანაა. არის სხვა განსხვავებანიც: მთარგმნელი აკლებს ან უმატებს ზოგ მნიშვნელოვან დეტალს. მას სურს უკეთ წარმოაჩინოს შუშანიკის ღმრთისმოსავობა და ვარსკენის უკეთურება. აქა-იქ ჩართულია მთარგმნელის კომენტარებიც.

მეორე რუსული თარგმანი, ისევ ქართულიდან, ამჯერად უკვე მეცნიერულად ზუსტი, ეკუთვნის აკად. კ. კეკელიძეს. თარგმანს წამძღვარებული აქვს ძეგლის მოკლე ლიტერატურული და ისტორიული დახასიათება (კეკელიძე, ძეგლები).

მესამედ „შუშანიკის წამება“ რუსულად ითარგმნა სომხურიდან. ეს თარგმანიც მეცნიერულია. მასაც წამძღვარებული აქვს მთარგმნელის, კ. ს. ტერ-დავთიანის, მოკლე მიმოსილვა (ტერ-დავთიანი, შესავალი წერილი 194—200, ტექსტი 201—215).

ეს სამივე თარგმანი წარმოადგენს „წამების“ ვრცელი რედაქციების თარგმანს.

„შუშანიკის წამების“ თარგმნის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ბელგიელ მეცნიერს პ. პეეტერსს. პ. პეეტერსმა ლათინურად თარგმნა „წამების“ ვრცელი და მოკლე ქართული და სომხური რედაქციები, ორი სომხური სენაქსარული რედაქცია (ი. აბულაძის გამოცემის დამატება 1 და 2) და უსტანესის ცნობა შუშანიკზე. თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის ვრცელი გამოკვლევაც (პეეტერსი, I—II, 5—7 წინასიტყვაობა, 8—48 ტექსტი; III—IV, 245—307 გამოკვლევა).

ქართული ვრცელი რედაქცია შემოკლებით თარგმნა ინგლისურად ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა პროფ. დ. ლენგმა. თარგმანს წამძღვარებული აქვს მოკლე ცნობები თსხულებიან ავტორზე, დაწერის დროსა და მოქმედ პირებზე (ლენგი, მთარგმნელის წინათქმა — 44—45, ტექსტი — 45—56).

II. „შუშანიკის წამების“ შესწავლის ისტორია

შუშანიკის წამების ამბავი და მისი აღმწერი თხზულება დიდ ყურადღებას იქცევდა ძველი ქართული და სომხური მწერლობის მხრივ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ბუნებრივია, რომ ამ თხზულებისა და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესწავლის სურვილიც საკმაოდ ადრე გაჩენილა. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ ანტონ კათალიკოსის მიერ „შუშანიკის წამების“ ტექსტის გადამუშავებას და ენახავთ, რომ ამ გადამუშავების დროს ანტონს, შეიძლება ითქვას, მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით წაუკითხავს იაკობის ტექსტი და მის გასაგებად და შესავსებად სხვადასხვა ლიტერატურული წყაროები მოუძიებია და გამოუყენებია. მაგრამ ანტონის ნამუშევარს ჩვენ სხვა თაეში განვიხილავთ, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ანტონმა პირველმა დაასახელა იაკობი „შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული რედაქციის ავტორად თავის ცნობილ აგიოგრაფიულ კრებულში „მარტირია“, რომელიც დაიწერა 1768—1769 წლებში (ანტონი, მარტირია, 151).

შუშანიკის წამების ამბავი აღნიშნული აქვს თავის ისტორიაში ცნობილ სომეხ ისტორიკოსს მიქაელ ჩამჩიანს (ჩამჩიანი, I, 518). როგორც ძველი სომხური საისტორიო მწერლობის საუკეთესოდ მცოდნემ მ. ჩამჩიანმა ადვილად დაუკავშირა შუშანიკი ვარდან მამიკონიანს, ხოლო ვარსკენი ვასტანგ გორგასალს. მ. ჩამჩიანმა მოიტანა კიდევაც ლაზარ ფარპეცის ცნობა ვასტანგის მიერ ვარსკენის მოკვლის შესახებ (ჩამჩიანი, II, 161). ამდენად, შუშანიკის წამების დრო მ. ჩამჩიანმა, ზოგადად, სწორად განსაზღვრა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ვარსკენს იგი იხსენიებს როგორც ქართლის მეფეს და მცხეთის პიტიახშს (იქვე, 86).

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ მ. ავეგერიანის მიერ შედგენილი

და XIX ს. დაძვევს გამოცემული წმინდანთა ცხოვრება-წამებების კრებული, რომელშიც შეტანილია შუშანიკის წამების მოთხრობაც. ამ მოთხრობას დართული აქვს საკმაოდ საინტერესო კომენტარები.

არაერთხელ ასხენებს თავის შრომებში შუშანიკს პლატონ იოსელიანი. პ. იოსელიანი შუშანიკს რანის დედოფალს უწოდებს (იოსელიანი, 1843, 55, 69), რაც გვაფიქრებინებს, რომ შუშანიკის წამებას იგი უფრო „ქართლის ცხოვრებით“ (ვახუშტისა) ან ანტონისეული გადამუშავებით იცნობდა, ვიდრე საკუთრივ იაკობის თხზულებით. პ. იოსელიანის ცნობით შუშანიკის ნაწილები თბილისში, მეტეხის ტაძარში იყო (იქვე, 55, შენ. 51; იოსელიანი, 1866, 24). ვარსკენს პ. იოსელიანისომეხ მფლობელად მიიჩნევდა (იოსელიანი, 1866, 24).

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ქართულ საისტორიო წყაროებს შუშანიკის წამება დაახლოებით ერთი საუკუნით უფრო გვიან, VI ს. 60–70-იან წლებში, გადააქეთ. პ. იოსელიანი თავდაპირველად შუშანიკის მოღვაწეობის ჩამჩიანისეულ დათარიღებას იზიარებდა (იოსელიანი, 1843, 55), მაგრამ შემდგომში, ჩანს, ტრადიციულმა შესედულებამ სძლია და შუშანიკის აღსასრულის თარიღად 560 წ. მიიჩნია ვახუშტის კვალად (იოსელიანი, 1866, 24).

„შუშანიკის წამების“ საკითხი, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა აკად. მ. ბროსეს. „შუშანიკის წამებას“ ბროსე იცნობდა არა მარტო „ქართლის ცხოვრების“, ან ანტონ I რედაქციით, არამედ უშუალოდ ვრცელი ქართული და მოკლე სომხური ხელნაწერებიდანაც. ამ რედაქციების ურთიერთდამოკიდებულებაზე ბროსე ბევრს არას ამბობდა, კმაყოფილდებოდა რა მხოლოდ მათი შინაარსის გადმოცემით. ქართულ რედაქციაზე ლაპარაკისას ბროსე აღნიშნავდა, ჩანს, თხზულება დაწერილია შუშანიკის მოძღვრის მიერ, რომელსაც ანტონ I იაკობს უწოდებსო. ბროსე მიუთითებდა, ავტორი პირველ პირში ლაპარაკობს, თითქოს თვითონ იყოს ყველაფრის საკუთარი თვალთ მხილველი (ბროსე, დამატებანი, 76–77).

„წამების“ ქრონოლოგიაზე ბროსე სწორად შენიშნავდა, რომ შუშანიკის წამების გადატანა ბაკურის მეფობაში, ანუ VI ს. მეორე ნახევარში, შეცდომაა, რომ სინამდვილეში ეს

ამბავი ვახტანგ გორგასალის მეფობაში მოხდა (ბროსე, ისტორია, 82). ამასთან, რაღაც გაუგებრობის შედეგად ბროსეს მიაჩნდა, რომ 449 წ. ირანის შაჰ იეზდიგერდ II-სთან გამოძახებულ ამიერ-კავკასიელ დიდებულთა შორის ქართლის პიტიახშ არშუშასთან ერთად მისი შვილი ვარსქენიც იყო (ბროსე, დამატებანი, 74), რაც სწორი არაა. კარგადაა ცნობილი, რომ ამ დროს ირანის შაჰს მხოლოდ არშუშა ეახლა. თავდაპირველად ბროსეს ვარსქენი სომეხად, ხოლო მისი სამთაერო — გუგარქი—სომხეთში შემავალად მიაჩნდა და მას უშუალოდ მტკვრის სამხრეთით ათავსებდა (იქვე, 73—74). მოგვიანებით, ბროსეს გუგარქი ქციის სამხრეთით გადაქონდა და მას სომხეთსა და ქართლს შორის სადავო მიწაწყლად თვლიდა (ბროსე, ისტორია, 80). შუშანიკის წამებას ბროსე 458 წ. ათარილებდა (ბროსე, დამატებანი, 77), ხოლო ვარსქენის დაღუპვას ვახტანგ გორგასალთან ომში („ქართლის ცხოვრების“ მიდევნებით) დაახლოებით 472 წლით (ბროსე, ისტორია, 82).

დ. ალიშანმა „შუშანიკის წამების“ საკუთარ გადმოცემაში ჩართო საკმაოდ საინტერესო შენიშვნები „წამების“ გარემოებაზე. მაგალითად, ის ცდილობს დაადგინოს საპიტიახშოს შემადგენლობა, ცურტავის ადგილმდებარეობა, პიტიახშის პოლიტიკური სიძლიერე. ალიშანმა აღნიშნა, რომ შუშანიკმა ცურტავში შემოიღო სომხური მღვდელმსახურება და სხვ. წამების დროდ ალიშანი სწორად მიიჩნევს 473—475 წწ. „წამების“ ავტორზე ალიშანი ამბობს, თუ იგი შუშანიკის ხუცესი ან ეპისკოპოსი იოანე არაა, ვინმე სხვა თანამედროვე უნდა იყოსო (ალიშანი, 1869, 403, შენ. 1). ალიშანი აქ იმიტომ ასახელებს იოანეს, რომ სომხური ვრცელი რედაქციის მისთვის ცნობილ ნუსხაში (ვენეციურში) აფოცის სახელი მოხსენებული არაა და, ჩანს, ალიშანმა ეპისკოპოსი იოანე პიტიახშის კარის ეპისკოპოსად (ე. ი. აფოცად) მიიჩნია.

ეს შენიშვნები ალიშანმა გაიმეორა თავის ცნობილ ნაშრომშიც *«Հայաստանում»*, რომელიც დაიბეჭდა 1901 წ.

შუშანიკის წამების ამბავი გადმოცემული აქვს გ. საბინინსაც თავის წიგნში „ქართული ეკლესიის ისტორია“ (საბინინი, ისტორია, 75—76, 86—87). საბინინი კარგად იცნობდა „წამების“ ტექსტს. თავისი ზემოხსენებული წიგნის დაწერის დრო-

ისტვის იაკობის თხზულება მას უკვე ჰქონდა რუსულად თარგმნილი, ქართული ტექსტი კი, ალბათ, გამზადებულიც ჰქონდა დასაბეჭდად. „წამების“ ამბავის გადმოცემისას იგი ბევრ თითქოსდა უმნიშვნელო წერილმანს უმატებს ისე, რომ საეკლესიო თვალსაზრისით ხელსაყრელად ამძაფრებს ვითარებას. საბინინისეული გადმოცემა იმითაცაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა ტექსტი სხვადასხვა ავტორის ხელში. სხვათა შორის, საბინინის აზრით, სომეხი ვარსკენის სამთავრო რანი ვახტანგ გორგასალის ეასალურ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც ვარსკენის სიკვდილით დასჯის შემდეგ ვახტანგმა უშუალოდ საქართველოს შემოუერთა (იქვე, 87).

დ. ბაქრაძე სპეციალურად იხილავდა შუშანიკის წამების დროის საკითხს და ასკვნიდა, რომ ეს ამბავი ვახტანგ გორგასალის მეფობაში უნდა მომსდარიყო (ბაქრაძე, ისტორია, 175-176).

შუშანიკი და „შუშანიკის წამება“ არაერთ პოპულარულ თუ ნახევრად პოპულარულ თხზულებაში იხსენიება¹, მაგრამ ამ ხსენებებს მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვთ და მათზე აქ აღარ შეეჩერდებით.

1898 წ. ათონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავში მუშაობის დროს აკად. ნ. მარმა ერთ-ერთ X ს. ქართულ ხელნაწერში, შემდგომში ცნობილ ათონის სვინაქსარში (Ath. 57), ნახა „შუშანიკის წამების“ მოკლე ქართული რედაქცია, რომელიც მან განსაზღვრა როგორც „ზუსტი თარგმანი სომხური მოკლე რედაქციისა“ (მარი, ათონი, 17).

საყურადღებო დაკვირვებები შუშანიკის წამების დროზე გამოთქმული აქვს მ. ორმანიანს თავის წიგნში, რომელიც 1912 წ. დაიბეჭდა. ორმანიანის გამოთვლით შუშანიკი 470 წ. უნდა გარდაცვლილიყო (ორმანიანი, 1912, 449).

„შუშანიკის წამების“ სერიოზული კვლევა როგორც ფი-

¹ მაგალითად, გ. იოსელიანი, ქართველი წმინდანები, ტფილისი, 1901, გვ. 33-37; Н. Покровский, Краткий очерк церковно-исторической жизни православной Грузии со времени появления в ней христианства и до вступления ея в подданство России, Тифлис, 1905, გვ. 54; მ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 36-37 და სხვ.

ლოლოგიური, ისე წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით დაიწყო სერგი გორგაძემ. თავდაპირველად მან მეცნიერულად შეაფასა საბინინის მიერ გამოცემული ტექსტი (გორგაძე, წერილები (ა), 108—110; წერილები (ბ), 79—83). შემდეგ კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, თვითონვე განახორციელა „წამების“ პირველი მეცნიერული გამოცემა. ტექსტს მან დაურთო ძალიან საყურადღებო შენიშვნები, რომლებშიც პირველად დაისვა რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა. ეს საკითხები შეეხებიან „წამების“ ტექსტს, „წამებაში“ აღწერილ ისტორიულ ეპოქას, მოქმედ პირებს, ქრონოლოგიასა და სხვ. მთელი რიგი ს. გორგაძის დასკვნებისა, ამაჟამადაც გაზიარებულია სპეციალისტების მიერ. ამ დასკვნებიდან აღენიშნავთ შემდეგს: თხზულება დაწერილია შუშანიკის მოძღვრის მიერ V ს-ის დასასრულამდე; თხზულებას თავში რაღაცა ნაწილი უნდა აკლდეს; ვარსკენის ირანში გამგზავრების თარიღი განსაზღვრულია 466 წლით, ხოლო შუშანიკის სიკვდილისა 472 წ. 17 ოქტომბრით; ასევე სწორადაა შენიშნული, რომ სამოელმა ეპისკოპოსთა თავის თანამდებობას მიაღწია შუშანიკის წამების დაწყების შემდეგ, რადგან წამების დაწყებისას იგი უბრალოდ ეპისკოპოსად მოიხსენიება. ს. გორგაძეს გამოთქმული აქვს არაერთი საყურადღებო შენიშვნა ტექსტის ენის, მრავალი ისტორიული რეალიის გასარკვევად, მოცემული აქვს სოციალური ტერმინების ახსნა (მაგ. ზეპური, აზნაური, უაზნო) და სხვ. (გორგაძე, შუშანიკი, 25—38).

„შუშანიკის წამების“ პირველი ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევა მოცემული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, ეს გამოკვლევა შესულია მის წიგნში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.¹

ივ. ჯავახიშვილმა გაიზიარა და დაასაბუთა ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წამების“ ავტორია შუშანიკის ხუცესი იაკობი. ამასთან, ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ასაბუთებდა, რომ იაკობი მის მიერ მოთხრობილი ამბის თვითმხილველი, თანადამხდური და აქტიური მონაწილე იყო. იაკობის თანამედროვეობის ერთ-ერთ დამადასტურებელ

¹ გამოკვლევა შესულია წიგნის მეორე (1921) და მესამე (1945) გამოცემაში.

საბუთად ივ. ჯავახიშვილს ისიც მიაჩნდა, რომ მას თავის თხზულებაში თარიღებიც მოეპოვება. „წამებაში“ აღწერილ ამბებს ივ. ჯავახიშვილი თითქმის ისევე ათარიღებს, როგორც ს. გორგაძე: წამება დაიწყო 465 წ., ხოლო შუშანიკი გარდაიცვალა 472 წ. 17 ოქტომბერს. იაკობის თანამედროვეობას ივ. ჯავახიშვილის მოხაზრების თანახმად, ადასტურებს. ისიც, რომ მას მკაფიო და ზედმიწევნითი ცნობები აქვს თავის მოთხრობაში მოსხენებულ პირთა ვინაობისა და სასაქმეების, აგრეთვე, გეოგრაფიული პუნქტების შესახებ. ასევე მრავალი ცნობა აქვს იაკობს შინაური ცხოვრებისა და ზნეჩვეულებათა შესახებ.

„წამების“ შესახებ ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მთელი რიგი უადრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებები. ეს დაკვირვებები შეესებიან როგორც ძველის ლიტერატურულ, ისე შინაარსობრივ მხარეებს. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ იაკობის თხრობა გამსჭვალულია გულწრფელობით, უშუალობითა და ბუნებრიობით და მასში „არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეი გაზვიადებული და დაუჯერებელი სულიერი მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება“ (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 48). ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ვარსკენის მრისხანება შუშანიკის მიმართ სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ იყო. მისი სიტყვით, ეს დევნა გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით სასლიდან. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა აგრეთვე შუშანიკის ფსიქიკისათვის დამახასიათებელი არათანამიმდევრობის მომენტებიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაში პირველადაა ერთმანეთს შედარებული ქართულ-სომხური ვრცელი რედაქციები. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ქართულ ვრცელ „წამებას“ აქვს რიგი თვისებებისა, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სომხური ვრცელი „წამება“ მისგანაა გადაკეთებული. ეს თვისებები შემდეგია: ქართული „წამება“ პირველ პირშია მოთხრობილი, სომხური მესამეში; ქართული თხზულების ის ადგილები, რომლებიც ნიშანდობლივ ახასიათებენ იმდროინდელი ქართლის ზნეჩვეულებებს, გეოგრაფიას, სომხურ ტექსტში გამოტოვებულია; სომხურ ტექსტში არაა ისეთი ზედმიწევნითი თარიღები, რო-

გორც ქართულში; სომხურ წამებაში გამოტოვებულია შუშანიკის პიროვნებისა და ხასიათის ცოცხალი დამახასიათებელი თვისებები, გამოტოვებულია აგრეთვე, მრავალი ცნობა, რომელიც ახასიათებს იმდროინდელ აზროვნებასა და ცხოვრებას. სამაგიეროდ სომხური გავერცხლებულია შუშანიკის ლოცვა-ვედრებებით. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით „უეჭველია, რომ ქართული წამება, იაკობ ხუცესის თხზულება დედანია, სომხური — კი მერმინდელი გადანაკეთები“ (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 53). ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ „შუშანიკის მარტივობის“ მოკლე რედაქცია ვრცელის გადაკეთებაა, ამასთან, ნ. მარის კვალად, მან ქართული მოკლე რედაქცია სომხური მოკლე რედაქციის თარგმანად მიიჩნია.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მიხედვით, „შუშანიკის წამების“ რედაქციათა ისტორია შემდეგნაირად ისახება: ქართული ვრცელი რედაქცია უძველესია, მისი თარგმანია სომხური ვრცელი, რომლის შემოკლებას წარმოადგენს მოკლე სომხური, ამ უკანასკნელის თარგმანია მოკლე ქართული.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ქართული „წამება“ მიუხედავად იმისა, რომ არსებულთაგან უძველესია, მაინც, ალბათ, პირვანდელი სახით არ მოღწეულა. მას შეიძლება აკლდეს დასაწყისი ნაწილი, სადაც შუშანიკის ცხოვრება იქნებოდა მოთსრობილი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საფიქრებელია და შესაძლებელია, რომ იაკობის ენა მერმინდელ გადამწერთაგან განახლებული ყოფილიყო. „მაინც ცხადია, რომ იაკობ ხუცესის თხზულების დედნის ის ნაწილი, სადაც წამებაა აღწერილი, ქართულად სრულად არის შენახული“-ო, ასკენიდა დიდი მეცნიერი (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 54).

„შუშანიკის მარტივობა“ განხილული აქვს აკად. კ. კეკელიძესაც თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ და „წამების“ შიხეული რუსულ თარგმანისათვის წამძღვარებულ წერილში.

კ. კეკელიძე იზიარებს აზრს, რომ, შესაძლებელია „მარტივობას“ დასაწყისი ნაწილი აკლდეს. კიდევ უფრო შესაძლებლად მიაჩნია, რომ იაკობს დაწერილი ჰქონოდა რაიმე ისტორიული ნაშრომი, სადაც გაკვრით იქნებოდა ნახსენები შუშანიკი, „წამება“ კი ამ გაკვრით მოხსენიებით აღძრული

ინტერესის დასაკმაყოფილებლად ყოფილიყო დაწერილი. მკვლევარის სიტყვით, „წამებაში“ იმდენად ცოცხალია სურათი იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების, კულტურულ-სარწმუნოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, საეკლესიო ორგანიზაციისა და კერძო საოჯახო ცხოვრებისა, რომ იგი („წამება“) „არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილი, ისიც ავიოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტიკული პროზის სასიათი აქვს“ (კეკელიძე, ისტორია, 116). კ. კეკელიძეც საგანგებოდ აღნიშნავს იაკობის თხრობის გულწრფელობას, უშუალობასა და ბუნებრიობას, აგრეთვე ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმეს, „ავტორის უდავო ლიტერატურულ უნარიანობასა და მსატკრულ გემოვნებას“ (იქვე). კ. კეკელიძის აზრით, „ავტორის მიზანია განმტკიცება ქრისტიანობისა და სამშობლოსადმი, რომელსაც აწეება აგრესიულად განწყობილი ირანი, ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობისა“ (იქვე).

კ. კეკელიძე სპეციალურად იხილავს შუშანიკის წამების თარიღსა და „მარტვილობის“ დაწერის დროს. მისი კვლევის შედეგით ვარსკენი სპარსეთს წასულა 467 წ., დაბრუნებულა 468 წ. ბოლოს, შუშანიკი პირველად უწამებია 469 წ. 8 იანვარს, მეორედ — 469 წ. 14 აპრილს და იმავე დღეს ჩაუსვამს ციხეში. შუშანიკი გარდაცვლილა 475 წ. 17 ოქტომბერს, ხოლო იაკობს თავისი თხზულება დაუწერია 476—484 წლებში (კ. კეკელიძე, ისტორია, 118). აღსანიშნავია, რომ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ გამოცემაში კ. კეკელიძე ცოტათი განსხვავებულ თარიღებს იძლეოდა. კერძოდ, წამების დაწყებას დებდა 468 წ. 8 იანვარზე, შუშანიკის გარდაცვალებას 474 წ. 17 ოქტომბერზე, ხოლო „წამების“ დაწერას 474—484 წლებზე (კეკელიძე, ისტორია, 1923, 123).

თავისი წიგნის მეორე და მესამე გამოცემებში კ. კეკელიძეს დამატებული აქვს პ. პეეტერსის კრიტიკა. კ. კეკელიძე მტკიცედ იცავს დებულებას იმის შესახებ, რომ იაკობი მის მიერ აღწერილი ამბის თანამედროვეა, რომ ქართული ერცელი „წამება“ დედანია, ხოლო სომხური მის თარგმანს წარმოადგენს. კ. კეკელიძე ასაბუთებს იმ დებულებას, რომ იაკობის თხზულება დაწერილია სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთი-

ანობის ეპოქაში, ხოლო სომხური თარგმანი შესრულებულია განსეტყილების შემდეგ. მკვლევარი იზიარებს აზრს, რომ იაკობის „წამებას“ უცვლელად არ მოუღწევია, კერძოდ: თავში აკლია ნაწილი, გამოტოვებულია რიგი მომენტებისა, მაგ., შუშანიკის მესამედ წამებისა და მისი შეილის წყალში დახრჩობის ამბები; შეცვლილია თვის ქართული სახელწოდება „სთულისაჲ“ ოქტომბრით; დამატებულია ხსენება კოზმანისა და დამიანეს შესახებ და შეცვლილია თხზულების ენობრივი სახეც. კ. კეკელიძე იზიარებს ი. აბულაძის აზრს, რომ იაკობი არის 506 წ. დვინის კრების მონაწილე ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი.¹

კ. კეკელიძეს ჰიპოთეზის სახით გამოთქმული აქვს დებულება, რომ იაკობს აღწერილი ჰქონდა ვახტანგ გორგასალის მეფობა. „შესაძლებელია, ეს, დღეს დაკარგული, შრომა ერთ-ერთ წყაროდ ჰქონდა ვახტანგის მემატიანეს თავისი ისტორიული თხზულების დაწერისას“-ო (კ. კეკელიძე, ისტორია, 115, შენ. 3)¹.

ასეთივე შინაარსის გამოკვლევა, ოღონდ რამდენადმე გავრცელებული, წამძღვარებული აქვს „შუშანიკის წამების“ კ. კეკელიძისეულ რუსულ თარგმანს (კეკელიძე, ძეგლები, 7—16).

1934 წ. გამოვიდა ზემოთ უკვე მოხსენებული წიგნი ლ. მელიქსეთ-ბეგისა „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“. იაკობის ტექსტის ნაწყვეტების სომხურ თარგმანს ახლავს მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც ლ. მელიქსეთ-ბეგს დასახელებული აქვს „შუშანიკის წამებაზე“ იმ დროისთვის არსებული უმთავრესი გამოკვლევები (უპირატესად ქართული). მოტანილია ამ გამოკვლევების ძირითადი დებულებები და მთავარი საბუთიანობაც (მელიქსეთ-ბეგი, ქართული წყაროები, 7—10). ამდენად, ეს მოკლე წინასიტყვაობა სომეხ მკითხველს აცნობდა „წამებაზე“ გამოთქმულ მი-

¹ კ. კეკელიძეს იგივე წერილი ოღონდ შემოკლებული ვარიანტით წარმოდგენილია წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი პირველი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVII სს), თბილისი, 1954, 75—78.

რითად შესედულებებს და ქართველ მეცნიერთა აზრს ამ თსზულებაზე.

თარგმანს დართული აქვს კომენტარიც, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს ცურტაეის ადგილმდებარეობის გარკვევას (მელიქსეთ-ბეგი, ქართ. წყაროები, 12—15).

იმავე 1934 წ. დაიბეჭდა ფრანგი მეცნიერის ე. კარსტის წიგნი „ქართული ქრისტიანული ლიტერატურა“, რომელშიც მოკლედაა განხილული „შუშანიკის წამება“.

1935 წ. ჟურნალ „Anallecta Bollandiana“-ში დაიბეჭდა ცნობილი ბელგიელი მეცნიერის პ. პეეტერსის დიდი გამოკვლევა „შუშანიკის წამებაზე“, რომელიც მან დაურთო „წამების“ რედაქციების მისეულ ლათინურ თარგმანს (პეეტერსი, I—II, 5—7; III—IV, 245—307). გამოკვლევაში განხილულია მრავალი ლიტერატურული, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული საკითხი დაკავშირებული „წამების“ რედაქციათა შექმნის დროსა, ავტორებზე, ურთიერთმიმართებაზე, „წამების“ პერსონაჟებსა და მასში დახატულ ისტორიულ ვითარებაზე. ყველა ამ საკითხზე პ. პეეტერსს გამოთქმული აქვს მრავალი საინტერესო და ანგარიშგასაწევი დაკვირვება.

ამასთან ერთად, პ. პეეტერსის ძირითადი დებულებები დიდად განსხვავდება „შუშანიკის წამებაზე“ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულ შესედულებათაგან. პ. პეეტერსის დებულებებს ჩვენ უფრო დაწვრილებით თაე-თაეის ადგილას მოვიყვანთ და განვიხილავთ, აქ კი გადმოვცემთ მხოლოდ მათს არსს: პ. პეეტერსის აზრით, იაკობის ავტორობით ცნობილი ვრცელი ქართული რედაქცია სახელნატიყუარი ნაწარმოებია, დაწერილი X ს. შემდეგ, შესაძლებელია XI—XII საუკუნეებში. ვრცელი სომხური რედაქცია უფრო ადრინდელია. მისი დაწერის დროს გამოყენებული იყო უფრო ადრე არსებული ქართული ბიოგრაფია, რომელიც მალე სამუდამოდ დაიკარგა. ვრცელი სომხური რედაქციიდან გაკეთდა მოკლე სომხური რედაქცია, რომელიც ქართულად ითარგმნა არაუგვიანეს 940 წლისა.

1938 წ. გამოვიდა ი. აბულაძის წიგნი „მარტვლობა შუშანიკისი“, რომელიც უთუოდ ახალი ეტაპი გახდა ამ თსზულების შესწავლის საქმეში. ამ წიგნში პირველადაა თავმოყ-

რილი „შუშანიკის წამების“ ყველა რედაქცია. ყველა პუბლიკაცია კრიტიკულია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. მოცემულია სომხური ტექსტების შესანიშნავი თარგმანი ქართულად. ტექსტების პუბლიკაციას წამძღვარებული აქვს გამოკვლევა, რომელიც ყველაზე სრულია მანამდე არსებულთაგან და დღესდღეობითაც ასეთად რჩება. ი. აბულაძემ საფუძვლიანად გააკრიტიკა პ. პეტერსის ძირითადი დებულებები და დაიცვა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე მიღებული შესხედულებები, კერძოდ, ის ძირითადი თეზისი, რომ „შუშანიკის წამება“ დაწერილია V ს-ში შუშანიკის მოძღვარის იაკობის მიერ. ი. აბულაძემ შეუდარა ერთმანეთს ქართულ-სომხური ტექსტები, რის შედეგადაც გააკეთა ასეთი დასკვნები: მოკლე ქართული რედაქცია თარგმანია მოკლე სომხურისა, მაგრამ იგი სიტყვასიტყვითი თარგმანი არაა და ამჟამად ცნობილი მოკლე სომხური რედაქციისაგან განსხვავებული ნუსხიდან უნდა იყოს გაკეთებული. სომხურად არსებულა „წამების“ ორი ვრცელი რედაქცია: ერთი რედაქციაა ის, რომელიც სრულადაა შემონახული, ხოლო მეორის ნაწილი შემორჩენილია მოკლე სომხურ რედაქციაში. ის ვრცელი რედაქცია, რომლის ნაწილი წარმოდგენილია მოკლეში, ენობრივად უფრო ძველია, ამავე დროს უფრო ახლოს დგას იაკობის ტექსტთან. ორივე ვრცელი სომხური რედაქცია ატარებს სომხურ ეროვნულ-საეკლესიო კვალს, რაც ნიშნავს, რომ ორივე ეკუთვნის სომეხ-ქართველთა საეკლესიო განყოფის შემდეგდროინდელ პერიოდს, კერძოდ კი IX-X საუკუნეებს. მათი პროტოტიპი VII საუკუნიდან უნდა შექმნილიყო. ამგვარად, „წამების“ ისტორია ი. აბულაძეს წარმოუდგენია შემდგენიარად: უძველესი და პირველადია იაკობის ქართული ტექსტი, რომლისგანაც შემდეგ გაკეთდა სომხური თარგმანი. ეს თარგმანი რომ სომეხ-ქართველთა განყოფამდე გაკეთებულიყო, იგი დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორც ქართულია. ამჟამად ცნობილი სომხური რედაქციები კი, როგორც ითქვა, განყოფის შემდეგდროინდელია. პირველი თარგმანი ახლოს იდგა იაკობის ტექსტთან ენობრივადაც, რის გამო იგი გაჩარხვას მოითხოვდა. სომხური ვრცელი რედაქციები თანდათან გადაიშალა. ამ გადაიშალეების ადრინდელ

ეტაბს წარმოადგენს მოკლე რედაქციაში შემონახული ვრცელი რედაქცია, უფრო გვიანდელს კი სრულად შემორჩენილ რედაქცია.

თავისი დებულებების დასამტკიცებლად ი. აბულაძეს მოტანილი აქვს მრავალი საბუთი. გარდა ამ ზოგადი საკითხებისა, თავის გამოკვლევაში განხვეწებული მეცნიერი ეხება არაერთ სხვა კერძო საკითხსაც, ენობრივსა თუ ისტორიულ-ფილოლოგიურს.

შემდგომში „შუშანიკის წამების“ შესწავლა, იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, წარიმართა უფრო ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისიდან.

„შუშანიკის წამებას“ მოკლედ შეეხო 1939 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, პ. ინგოროყვა. პ. ინგოროყვა „შუშანიკის წამებას“ და ზოგიერთ სხვა წამებებსა თუ ცხოვრებებს (ეესტათის, აბოსი, კოსტანტი კახას, გობრონის, ცხრათა ყრმათა, გრიგოლ ხანძთელისა) გამოყოფს აგიოგრაფიიდან, როგორც ცალკე უნარს, რომელსაც ბიოგრაფიულ-ისტორიულს უწოდებს (ინგოროყვა, № 2, 157; № 4, 134). „შუშანიკის წამება“, პ. ინგოროყვას აზრით, „ავეიწერს ოჯახურ დრამას“ და „ყოფა-ცხოვრებით რომანის ხაზებშია გაშლილი“ (პ. ინგოროყვა, № 2, 164). „წამების“ შინაარსის გადმოცემისას მკვლევარს მოაქვს ის ამბებიც, რომლებიც მხოლოდ ვრცელ სომხურ რედაქციაშია. საზგასმით აღნიშნავს მკვლევარი იაკობის ოსტატობას, რეალისტობას, იუმორს მის თხზულებაში და „წამების“ ენას. პ. ინგოროყვას სიტყვით, იაკობი წარმოშობით არ უნდა იყოს სამხრეთ ქართლიდან, არამედ ჩრდილოეთ ქართლიდან (ინგოროყვა, № 2, 171).

„შუშანიკის წამებას“ შეეხო ცნობილი სომესი მეცნიერი აკად. მ. აბელიანი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ (1944). მ. აბელიანი შედარებით ვრცლად ჩერდება „შუშანიკის წამებაზე“, თუმცა უნდა ითქვას, რომ განხილვაში თითქმის მთელი ადგილი „წამების“ შინაარსის გადმოცემას უჭირავს. განხილვა ძირითადად ლიტერატურულ მხარეს შეეხება და უმთავრესად შუშანიკის დახასიათებას წარმოადგენს, როგორც ნაწარმოების

მთავარი მოქმედი პირისა. „შუშანიკის წამება“, მ. აბელიანის აზრით, დაწერილია V ს-ში აგათანგელოსის „ისტორიის“ შემდეგ. უფრო ზუსტი თარიღი მან არ იცის: „უცნობია როდის დაიწერა ეს თხზულება და ვინაა მისი ავტორი“-ო, აღნიშნავეს იგი (აბელიანი, 191). „წამების“ საერთო შეფასება ასეთია: „ამრიგად, ეს მოთხრობა არსებობდა სამწუხარო საოჯახო დრამაა, ამავე დროს საშინელი აღწერილობა იმ წამებისა, რომელსაც განიცდიდნენ სუსტი და უმწეო ცოლები თავიანთი ტირანი ქმრების ხელში, რომლებიც ბოზოქრობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ცოლები მათი ნების აღმსრულებელი არ იყვნენ და დამოუკიდებლად ფიქრობდნენ, მტკიცედ იდგნენ რა თავის შეხედულებებზე, თავის იდეალებზე. ამასთან ერთად ეს არის ძლიერი პროტესტი იმ მწარე მონური ბედის წინააღმდეგ, რომელიც ხვედრი იყო ქალისა მაღალ არისტოკრატიულ სახლებშიც კი. არსებითად ეს არის პირველი და მასთან მშვენიერი მოთხრობა ქალის განთავისუფლებაზე სომხურ ლიტერატურაში“ (აბელიანი, 197). ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, რომ არსებობს „წამების“ ქართული და მოკლე რედაქციები, არაფერია ნათქვამი საერთოდ იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზეც, რომლებიც დასმულ იქნა „წამების“ შესწავლის დროს ქართულ, თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

1952 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ავტორები აკად. ალ. ბარამიძე, პროფ. მ. რადიანი და პროფ. ბ. ულენტი), რომელშიაც აკად. ალ. ბარამიძეს განსილული აქვს „შუშანიკის წამება“.

შუშანიკის, როგორც ქალის სახე, შესწავლილია მ. ჩიჯავაძის ნაშრომში (ჩიჯავაძე, პერსონაჟი ქალები).

ძირითად და სწორ ცნობებს „შუშანიკის წამების“ პრობლემატიკაზე ევროპელი მკითხველი ნახავს უცხოეთში მცხოვრები ცნობილი ქართველოლოგის პროფ. კ. სალიას ნარკვევებში, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (1964 და 1972 წლებში) და ფრანგულ უნივერსალურ ენციკლოპედიაში (მის რამდენიმე გამოცემაში).

შემოხსენებულ გამონაკლისს წარმოადგენს პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „ადრეფეოდალური ხანის ქართული საის-

ტორიო მწერლობა" (1966), რომელშიც „შუშანიკის წამება“ განხილულია, როგორც საისტორიო წყარო. ავტორი არჩევს რა თხზულების მონაცემებს საქართველოს ისტორიისათვის, ძირითად ყურადღებას აქცევს „წამების“ ისტორიული ფონის გარკვევას, იმ ისტორიულ მოვლენებსა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ბრძოლას, რომელიც აისახა იაკობის ნაწარმოებში.

„შუშანიკის წამების“ პერსონაჟების ლიტერატურული სახეები დაწერილებით არის განხილული პროფ. რ. ბარამიძის წიგნში „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან“ (1966). ავტორი ვრცლად იხილავს აგრეთვე იაკობის, ისევე, როგორც სხვა აგიოგრაფი ავტორების, მხატვრული გამომსახველობის ხერხებს.

1) „შუშანიკის წამება“ განხილულია ა. მკრტიანის წიგნში „მეხუთე საუკუნის სომხური მწერლობა“ (1968). აქ აღნიშნულია, რომ თხზულებამ ჩვენამდე მოაღწია სომხურ და ქართულ ენებზე. ავტორის სიტყვით „მოთხრობა დაწერილია მეხუთე საუკუნის ბოლოს უცნობი ავტორის მიერ, ხოლო ქართული მოთხრობის ავტორად ითვლება იაკობ ცურტაველი“ (მკრტიანი, 598).

მოკლე მიმოხილვა „შუშანიკის წამებისა“ მოცემულია კ. ს. ტერ-დავთიანის წიგნში „სომხური აგიოგრაფიის ძეგლები“ (1973). კ. ს. ტერ-დავთიანს „შუშანიკის წამება“ მიაჩნია „ძველი სომხური ლიტერატურის მარგალიტად“ (ტერ-დავთიანი, 194), „ძველი სომხური აგიოგრაფიის შესანიშნავ ძეგლად“ (იქვე, 200). ავტორის სიტყვით, „წამებაში“ აღწერილი ამბები მოხდა გუგარქის საპიტაისშოში, რომელიც მოსაზღვრე მხარე იყო სომხეთსა და საქართველოს შორის და გასაღურ დამოკიდებულებაში იყო სასანიდ მეფეებისაგან. გუგარქში მოსახლეობის უმეტესობა სომხური იყო, ენაც უმთავრესად სომხური იყო გავრცელებული. ამიტომ შემოიღო შუშანიკმა ცურტაველი სომხური მღვდელმსახურება, რამაც ცურტაველი სომხური კულტურის ცენტრად გადააქცია (ტერ-დავთიანი, 195). კ. ტერ-დავთიანის აზრით, „შუშანიკის წამების“ ავტორია სავაკ პართევის ერთ-ერთი მოწაფე, წმ. ლაზარის (ტარონში) მონასტრის წინამძღვარი ანდრეასი, რომელიც შუშანიკს გაჰყვა საქართველოში და იყო მისი შვილების ნათ-

ლია და მოძღვარი. ამ ანდრეასს შუშანიკის დავალებით საქართველოდან სომხეთში გადაუგზავნია წმ. ნინოს ჯვარი (იქვე, 197). კ. ტერ-დავითიანი იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „წამების“ მოკლე ქართული რედაქცია მოკლე სომხურის თარგმანია. რაც შეეხება ვრცელ სომხურ და ქართულ რედაქციებს, „მათი დამოკიდებულების საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ჯერ კიდევ სჭირდება ობიექტური ფილოლოგიური კვლევა“-ო (ტერ-დავითანი, 199).

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ს. ნალბანდიანი წიგნში „სომხური ლიტერატურა“ (1976) სულ მოკლედ ეხება „შუშანიკის წამებას“. ვ. ს. ნალბანდიანი აღნიშნავს, რომ „შუშანიკის წამება“ V საუკუნეშია დაწერილი და რომ არსებობს მისი ქართული რედაქციაო (გვ. 14).

უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი, რომელიც „შუშანიკის წამებას“ შეეხება. „ლიტერატურული საქართველოს“ 1976 წ. 4 ივნისის ნომერში დაიბეჭდა მწერალ ვ. ჭელიძის მეტად საყურადღებო წერილი „ჩარჩოები“. ზოგი რამ ამ წერილში ჩვენ საკამათოდ გვეჩვენება, კერძოდ, აგიოგრაფიული ჟანრის გაგება და მისთვის ქართული ლიტერატურის ადრინდელი პერიოდის, V-X საუკუნეების, ზოგი ძეგლის მიკუთვნება — არმიკუთვნების საკითხი: ავტორის აზრით, „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ საერთო ხსულებებია და არა აგიოგრაფიული. მაგრამ ავტორის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ ეს ადრინდელი ლიტერატურა თავისთავად ძალიან მაღალი რანგის ლიტერატურაა და რომ მისი შესწავლა სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს, საეხებით სწორია და მისი წამოყენებაც ასევე საეხებით დროულია.

იმავე წლის 16 ივლისის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა აკად. ალ. ბარამიძის წერილი „ათასსხუთასი წლის ძეგლი“, რომელშიც აგრეთვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუმცა „შუშანიკის წამება“ გარეგნულად, ფორმალურად აგიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ „ნამდვილად და არსებითად ეს არის მსატერულ-ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარ-

მოები, რომელიც ვერ მოთავსდება აგიოგრაფიული ჟანრის ვიწრო ფარგლებში“.

უურნალ „განთიადის“ მეექვსე ნომერში იმავე წელს დაიბეჭდა პროფ. რ. ბარამიძის წერილი „ქართული მწერლობის დრამატული პროლოგი“. ამ წერილში ავტორი იცავს იმ შესვლულებას, რომ „შუშანიკის წამება“ აგიოგრაფიული ნაწარმოებია.

ძალზედ საინტერესო ესე უძღვნა „შუშანიკის წამებას“ მწერალმა თ. ჭილაძემ („ცისკარი“, № 5, 1977). ავტორს სავსებით განსხვავებულად ესმის „წამების“ ტექსტის მრავალი ადგილი, ნაწარმოების გმირების ფსიქოლოგია, ერთმანეთთან დამოკიდებულება. თ. ჭილაძე ჭეშმარიტად პოეტურად კითხულობს „წამების“ ტექსტს ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და ღრმა გაგებით და შედეგიც შესაბამისია. მკითხველის თვალწინ იშლება სრულიად ახალი სამყარო იაკობის თხზულებისა, სამყარო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სკოლაში ნასწავლ, ტრადიციულ გაგებასთან.

„შუშანიკის წამებაზე“ ადრინდელი, საერთოდ წინარექრისტიანული ლიტერატურის არსებობის საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი პროფ. ტ. რუხაძემ (ქართული ლიტერატურის სათავეებთან, „კომუნისტი“, 1977, 6. VIII).

დაბოლოს, აღსანიშნავია საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გრ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიასი, რომელშიაც მოცემულია „წამების“ მოქმედ პირთა დასასიათებანი (ბარამიძე, ჯაკობია).

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ შუშანიკის წამების ამბავზე რამდენიმე მსატერული ნაწარმოებიც დაიწერა. 1859 წ. თბილისში სომხურ გაზეთში („მედუ ჰაიასტანი“ — „სომხეთის ფუტკარი“, 1859, 14, III, № 11) დაიბეჭდა პ. კარინიანცის ლექსი. ლექსს ისეთი ინტერესი გამოუწვევია სომხურ საზოგადოებაში, რომ ავტორს უფრო დიდი ნაწარმოების დაწერა განუზრახავს და სამმოქმედებიანი ტრაგედია დაუწერია. ტრაგედია დაუდგამს სომხურ სასულიერო სასწავლებელს. პირველ წარმოდგენას სამასი კაცი დასწრებია. წარ-

მატება ისეთი დიდი ყოფილა, რომ მეორედ უფრო დიდ დარბაზში დაუდგამთ. ამჯერად ხუთასზე მეტი კაცი დასწრებია. მოსწავლეებმა მესამედაც მოინდომეს დადგმა, მაგრამ შურიანმა ხალხმა ჩაშალაო, გადმოგვცემს ავტორი (კარინიანცი, 3).

უფიქრობთ, პ. კარინიანცის ტრაგედია და მისი დადგმის ისტორია ცალკე შესწავლას იმსახურებს.

„შუშანიკის წამების“ თემაზე დრამატული ნაწარმოები შეიქმნა ქართულადაც. ესაა ცნობილი დრამატურგისა და მწერლის მ. მრეელიშვილის „წამება დედოფლისა“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიურ თეატრში 1968—1969 წწ. სეზონში, დამდგმელი რეჟისორი ა. მრეელიშვილი. შუშანიკის როლს ასრულებდა სსრკ სახალსო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, ვარსკენისას — სსრკ სახალსო არტისტი ვ. გომიაშვილი, იაკობისას საქ. სახალსო არტისტი ა. ოშიაძე.

„შუშანიკის წამებასთან“ დაკავშირებული ზემოთ განხილული ლიტერატურის სია სრული არაა. „შუშანიკის წამებაზე“ ლაპარაკია კიდევ მრავალ გამოკვლევასა თუ სტატიაში. ჩვენ მიერ მოტანილია მხოლოდ უმთავრესი მათგანი. თუ ასეთებშიც გამოგვჩა რაიმე, შევეცდებით შემდგომში გავასწოროთ ჩვენი შეცდომა. რასაკვირველია, სრულად დახსნათებული არც ისაა, რაც ჩვენ მიერ წარმოდგენილია. ეს ამ წიგნის ფარგლებსაც აღემატება და ამას არც ჩვენი მიზანი მოითხოვს. ჩვენ შემდგომში თავ-თავის ადგილას მოვიტანთ ჩვენთვის საჭირო დებულებებსა თუ დაკვირვებებს.

III. „შუშანიკის წამება“ და მისი პერსონაჟები კველ მწერლობაში

„შუშანიკის წამებაში“ აღწერილია ისტორიულად მომხდარი ამბავი, თხზულების პერსონაჟები კი ისტორიული პირები არიან. ამის გამო „შუშანიკის წამება“ არა მარტო ლიტერატურული ძეგლია, არამედ საისტორიო წყაროც, და მეტად საინტერესოც. იმისათვის, რომ სწორად და სრულად გავარკვიოთ ამ ძეგლის, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა, საჭიროა შევისწავლოთ ყოველი ცნობა, რომელიც მოიპოვება ძველ მწერლობაში როგორც თვით თხზულებაზე, ისე მის მოქმედ პირებზე. ეს საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ და შევაფასოთ იაკობის ცნობები მის გმირებზე და მის მიერ აღწერილ ამბებზე. ამასთან „წამების“ არა მარტო წყაროთმცოდნეობითი, არამედ თვით ლიტერატურული ხასიათისა თუ ღირსებების გარკვევისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში ეს პერსონაჟები, რა ადგილი ეკავათ ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რას წარმოადგენდნენ ისინი თუნდაც პიროვნულად. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორი შეფასება ეძლეოდა „შუშანიკის წამებას“ როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს და როგორი შეფასება ეძლეოდა მისი გმირების მოღვაწეობას. ასეთი ცნობების შესწავლა აუცილებელია თვით „წამების“ დათარიღებისთვისაც.

„შუშანიკის წამებაში“ აღნიშნულია შუშანიკის ტანჯვათა და გარდაცვალების თვეები და რიცხვები (8 აპნისი, ადღგომის მომდევნო ორშაბათი, 19 ვარდობისთვე, 17 ოქტომბერი), მაგრამ არ შემონახულა არც ერთი მითითება იმაზე, თუ რომელ წლებში ხდებოდა თხზულებაში აღწერილი ამბები, თუმცა ასეთი მითითებები თავის დროზე ყოფილა: მაგალითად, ვრცელი ქართული „წამების“ დასაწყისში ვარსკენის ირანში

გამგზავრება დათარიღებულია ირანის რომელიღაც შაჰის მეფობის მერვე წლით: „იყო მერვესა წელსა (მრ...) სპასთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში ძმ არშუშაჲსი“ (აბულაძე, შუშანიკი, 36—37). ამეამად ირანის შაჰის სახელი არც ერთ ხელნაწერში არაა. მხოლოდ უძველეს ნუსხაში, ზემოხსენებულ პარსლის მრავალთაგში, იკითხება გაურკვეველი „მრ“, რაც, როგორც ჩანს, ირანის შაჰის სახელის ნაშთია. ამასთან, „წამებაში“ დასახელებული არაა არც ქართლის ის მეფე, რომლის დროსაც მოხდა თხზულებაში აღწერილი ამბავი. ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის „წამების“ დათარიღებისათვის. ამიტომ „წამების“ დათარიღება უნდა მოხდეს მასში მოხსენებულ პირთა იდენტიფიკაციით. მაგრამ ესეც დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან. დამახასიათებელია, რომ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში შუშანიკის წამების ამბავი გადატანილია ერთი საუკუნით უფრო გვიანდელ სანაში, VI ს-ის მეორე ნახევარში.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ყოველი ცნობა შემონახული ძველ მწერლობაში, განსაკუთრებით კი ადრინდელ წყაროებში „შუშანიკის წამებასა“, მის პერსონაჟებზე თუ ამ თხზულებაში აღწერილ ამბებზე მეტად დიდი მნიშვნელობისაა და „წამებასთან“ დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარკვევას ემსახურება.

სამწუხაროდ, „წამების“ თანადროული, ე. ი. V ს-ის, არც ერთი ქართული ლიტერატურული წყარო შემონახული არაა. შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებიც არ იძლევიან რაიმე სელშესახებ ცნობებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი „შუშანიკის მარტილობის“ პერსონაჟებს შეიძლება დაუკავშირდნენ კიდევაც.

ბოლნისის სიონის ჩრდილო ნაგში აფსიდიდან მესამე სვეტზე რელიეფური ბოლნური ჯვარის თავზე გამოქანდაკებულია წარწერა: „ესე ჯ ი ვ ნ ნ შა“ (მუსხელიშვილი, ბოლნისი, 331—332). ამ წარწერას ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად კითხულობდა: „ესე ჯოჯარი ვარსქენ ნაჰაპეტისაჲ“ (იქვე, 332 და შენ. 1). ბოლნისის საპიტიახშოში, ე. ი. ვარსქენის სამფლობელოში შედიოდა და, ბუნებრივია, რომ ვარსქენ ნაჰაპეტი,

ანუ ვარსკენ მამასახლისი (გვარის თავი) ვარსკენ პიტიახშად მიგვეჩნიო, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ორი გარემოება: პირველი ის, რომ, როგორც თვით ლ. მუსხელიშვილი შენიშნავს, „რასაკვირველია, დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქარაგმის მაინცდამაინც ასეთი გახსნა იყოს სწორი: „ვარსკენის“ ნაცვლად შეიძლება წაევიკითხოთ „ვარდან“; საეჭვოა, აგრეთვე, „ნა — „ნაჰაპეტიასა“, მაგრამ სხვა ახსნა ამ შემოკლებას ვერ მოვუძებნე“-ო (იქვე, 332, შენ. 1). მეორე, ვარსკენი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მოკლულ იქნა 482 წ., წარწერა კი სულ მცირე ათი წლით გვიანაა გაკეთებული: ბოლნისის სიონის მთავარი, სააღმშენებლო წარწერის თანახმად, ტაძრის მშენებლობა დაწყებულია მეფე პეროზის მეოცე წელს და გაგრძელებულია თხუთმეტ წელს (მუსხელიშვილი, ბოლნისი, 326—327; ჩუბინაშვილი, ბოლნისი, 69). უკანასკნელ დროს აკად. ა. შანიძემ წარმოადგინა ასლებური წაკითხვა ამ წარწერისა, რომლის მიხედვითაც ტაძრის მშენებლობა დამთავრებულია არა დაწყებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, არამედ მეფე კავადის მეფობის მეთხუთმეტე წელს (შანიძე, 30—31). ძველი გაგების თანახმად, მშენებლობა მიმდინარეობდა 478—493 წლებში, ახალი წაკითხვით კი 478—502 წლებში. ცხადია, რომ წარწერა გაკეთებული უნდა იყოს მშენებლობის დასრულების შემდეგ (ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო მასთან ახლო დროს), ე. ი. ვარსკენის სიკვდილის შემდეგ. გაუგებარია, რატომ უნდა ამოეკვეთათ გამაზღვანებული ვარსკენის სახელი მისი სიკვდილის შემდეგ ბოლნისის ტაძარში. ამდენად, საფიქრებელია, რომ აქ სხვა პირი უნდა იგულისხმებოდეს.

თუ „ვ ნ“ მართლაც „ვარსკენ“-ია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ვარსკენ პიტიახშის შთამომავალი (შეილიშვილი?) ან პიტიახშთა ოჯახის შვილია.

„ვ ნ“-ის ვარსკენ პიტიახშთან გაიგივება მეტად საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ, როგორც ითქვა, ასეთი გაიგივებისთვის ჯერჯერობით რაიმე რეალური საფუძველი არ იძებნება.

ბოლნისის სიონთან გათხრების შედეგად აღმოჩნდა ქვის

სტელა, რომლის პირზე რელიეფით გამოყვანილია მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი. რელიეფის ქვეშ ასომთავრული წარწერაა, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ამგვარად კითხულობს (ქარაგმების გახსნით): „ესე საყოფელნი იოანე ბოლნელ ეპისკოპოსისანი და ვინ სსუამ დაეფლას, ამანცა ნეგბს (!)“ (მუსხელიშვილი, ბოლნისი, 338). ლ. მუსხელიშვილის აზრით, წარწერა უფრო გვიანდელია, ვიდრე რელიეფი და X ს-ეს უნდა მიეკუთვნოს (იქვე). სტელის მეორე მხარეზე, სწორედ ჯვრის უკან, ამოკოდილია, აგრეთვე, მთავრული წარწერა (ქარაგმის გახსნით): „ესე ჯუარი შოუშანიკისი“. ლ. მუსხელიშვილის სიტყვით, ეს წარწერა იოანე ბოლნელის წარწერაზე მერმინდელია, მაგრამ XI ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს (იქვე, 339).

როგორც ითქვა, ლ. მუსხელიშვილის აზრით, ჯვარი აღრინდელია, შესაძლებელია, ტაძრის თანადროულიც („ქვის ქანიც ის მოლურჯო თირია, რომლითაც აშენებულია ტაძარი“-ო), ე. ი. V საუკუნისა. რომელ შუშანიკის ჯვარად აცხადებს მას მის ზურგზე არსებული წარწერა? წამებულ შუშანიკის ჯვარად ხომ არ იყო მიჩნეული იგი? თუ ეს ასეა, რატომ იყო შუშანიკის ჯვარად მიჩნეული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ხერხდება.

ორიოდე სიტყვა ერთ რელიეფიან სტელაზეც, რომელიც, აგრეთვე, აღმოჩნდა ბოლნისში. რელიეფის ანალიზის შედეგად ჯ. ამირანაშვილი ასკვნის, რომ სტელაზე გამოსახულია საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, მარჯვენა ხელში სატევარით, მარცხენაში კი მისი ქარქაშით, რომლებიც პიტიახშის ინსიგნიებს წარმოადგენენ. სტელას ჯ. ამირანაშვილი ათარიღებს IV—V საუკუნეებით, უფრო ზუსტად, V ს-ის პირველი ნახევრით. ზემოთქმულიდან გამომდინარე მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ „ბოლნისის რელიეფზე გამოსახულია ვარსქენ პიტიახში საზეიმო ვითარებაში, როცა მას მიუღია დიდი ხელისუფლების ნიშნები — ინსიგნიები“ (ამირანაშვილი, 33). ასეთი ვარაუდი დასაშვებია, ოღონდ უნდა ითქვას, რომ ვარსქენს პიტიახშობა მიღებული აქვს არა V ს-ის პირველ ნახევარში, არამედ მეორეში, 50-იანი წლების ბოლოს თუ 60-იანის დასაწყისში. ამდენად, თუ სტელა, მარ-

თლაც, V ს-ის პირველი ნასვერისაა და მასზე პიტიახშია გამოსახული, იგი უფრო არშუშა უნდა იყოს, ვიდრე ვარსქენი. მაგრამ, ცხადია, რომ ჯ. ამირანაშვილის ვარაუდი მეტად ზოგადი ხასიათისაა და მისი კონკრეტული გამოყენება ჩვენთვის გაჭირდება. ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას: სტელაზე უთუოდ დიდებულია გამოსახული და ამიტომ მისი ჩაცმულობა, თმის ვარცხნილობა და მაღალი მდგომარეობის წიშნები ყურადსაღებია IV—V საუკუნეების ადგილობრივი დიდებულის გარეგნობაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად.

დაბოლოს, უეჭველია, მეტად საინტერესოა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში დაცული ერთი ბეჭედი (მისი ანაბეჭდი არის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში), რომლის ონიქსის თვალზე ამოკვეთილია მამაკაცის პორტრეტი ირგვლივ ბერძნული წარწერით $\sigma\sigma\alpha\sigma \pi\alpha\tau\alpha\epsilon\tau\eta\varsigma \ \epsilon\beta\eta\rho\alpha\upsilon \ \alpha\rho\chi\eta\theta\alpha\upsilon$ (უსახ კარხედთა იბერთა პიტიახში). ბეჭედმა კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება და მის ირგვლივ საკმაოდ დიდი ლიტერატურაცაა შექმნილი. მიჩნეულია, რომ ბეჭედზე გამოსახულია იბერი პიტიახში. ბერძნულში არაა „შ“ და „ჩ“ ბგერები, რის გამოც სხვა ენების ეს ბგერები ბერძნულ დამწერლობაში „ს“-თი (σ) გამოისახება. ამიტომ მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ პიტიახშის სახელი უნდა ყოფილიყო უშა, ან უჩა. ფიქრობენ იმასაც, რომ „უშა“ უნდა იყოს „არშუშას“ შემოკლება, „არშ“-პრეფიქსით (პეეტერსი, შუშანიკი, 275; კეკელიძე, აშუშას წარწერა, 147). პ. პეეტერსს მიაჩნია; რომ ბეჭედზე გამოსახული უნდა იყოს ვარსქენის მამა არშუშა პიტიახში. მაგრამ მკვლევართა უდიდესი ნაწილი „უშა“-ს უფრო ადრინდელი ხანის პიტიახშებს უკავშირებს (ინგოროყვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 298; თაყაიშვილი, იბერთა სახელმწიფო, 100; კუფტინი, 316, 318; კეკელიძე, აშუშას წარწერა, 153; ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები, 262, შენ. 3; მცხეთა, 1, 112). უკანასკნელი შეხედულება ჩვენც უფრო მისაღებად გვეჩვენება. ამასთან საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ პიტიახშს თავის საბეჭდავზე, ე. ი. ხელისუფლების ოფიციალურ ინსიგნიაზე თავისი სახელი შემოკლებით ამოეჭრევიანებინოს.

მაგრამ, როგორც ითქვა, უშას ბეჭედი მეტად საინტერე-

სოა, მასთან დაკავშირებით ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია და იგი შემდგომ შესწავლას მოითხოვს. მაგალითად, ჯერჯერობით არც *αρχηδων*-ია სავსებით დამაჯერებლად ასხნილი.

უძველესი და მასთან თანადროული წყაროები, რომლებშიც უძველესად იხსენიებიან „შუშანიკის წამებაში“ დასახელებული პირები ან მათთან დაკავშირებული ამბები თუ მოვლენები, შემონახულია ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში. ესაა V ს. ცნობილი სომეხი ისტორიკოსების კორიუნის, ფავსტოს ბუზანდის, ელიშეს, ლაზარ ფარპეცისა და მოვსეს სორენაცის თხზულებები. მათში, აგრეთვე, დახასიათებულია ეპოქა და ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიის ქვეყნებში ირანის მიერ მათი დაპყრობის შედეგად.

V ს. სომხისი ისტორიკოსების ცნობები

კორიუნი. დასახელებული ავტორების თხზულებათა შორის უძველესად მიჩნეულია კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“, რომელიც, მიღებული აზრით, დაიწერა 443—451 წლებს შორის (აბელიანი, 95). წიგნში აღწერილია სომხური კულტურული და ეროვნული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენის, სომხური ანბანის გამოგონების, ისტორია. როგორც ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი და თანაც პირველი ორიგინალური ისტორიული ნაწარმოები, ეს წიგნი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ძველ სომხეთში. ამ წიგნს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს დროშიც. და აი, საინტერესოა, რომ ამ წიგნში ჩვენ უკვე გვაქვს ზოგიერთი ცნობა შუშანიკისა და ვარსქენის მშობლებსა და წინაპრებზე.

კორიუნის გადმოცემით, ანბანის შექმნის შემდეგ, ეს კი უნდა მომხდარიყო IV ს. ბოლოს თუ V-ს. დასაწყისში (ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა), ანბანის შემქმნელმა მაშტოცმა და მისმა მფარველმა და უახლოესმა თანამშრომელმა სომხეთის კათალიკოსმა საჰაკმა დედაქალაქ ვაღარშაპატში (დღევანდელ ერჰმიადინში) დაიწყეს ასლადშექმნილი ანბანის სწავლება. ასწავლიდნენ სამეფო ოჯახს, დიდებულებს, სომხეთის სხვადა-

სხვა კუთხიდან მოსულ მსურველებს. მათგან ბევრს აგზავნიდნენ სომხეთის სხვადასხვა მხარეს ახალშეძენილი ცოდნის გასავრცელებლად. საინტერესოა, რომ, კორიუნის სიტყვით, საჰაკი ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მამიკონიანებს: „ნეტარი საჰაკი უფრო მამიკონიანთა (გვარის) ხალხს ამეცადინებდა, რომელთაგან პირველს ვარდანი ერქვა, რომელსაც ვარდკანსაც ეძახდნენ“ (კორიუნი, 58).

საქმე ისაა, რომ საჰაკის ერთადერთი შვილი, საჰაკანუმი, გათხოვილი იყო ჰამაზას მამიკონიანზე, რომლისგანაც ჰყავდა რამდენიმე შვილი. ერთ-ერთი მათგანი იყო ზემოსხენებული ვარდანი, სომხეთის ეროვნული გმირი, შუშანიკის მამა. კორიუნის ცნობებიდან ირკვევა, რომ ვარდანი ყოფილა ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ახლადგამოგონილი სომხური ანბანი ისწავლა და, ჩანს, თვითონაც მონაწილეობდა მის გავრცელებაში.

საჰაკი გარდაიცვალა 439 წ. 7 სექტემბერს. მის დასაფლავებას, ბუნებრივია, მრავალი გამოჩენილი პირი დასწრებია, მაგრამ კორიუნი მათგან მხოლოდ ორს ასახელებს: სასულიერო პირთაგან „წმინდა და კეთილმსახურ“ კაცს, ერემიას, ხოლო საეროთაგან დუსტრს, „ღმრთისმოყვარე ქალბატონს“ (იშხანის მეუღლეს), „რომელიც იყო მეუღლე ვარდანისა, ზემოთ რომ ვახსენე“-ო (კორიუნი, 88). დუსტრი, ცხადია, ვარდან მამიკონიანის მეუღლე და შუშანიკის დედაა.

როგორც ვხედავთ, შუშანიკის დედაც საზოგადოებრივი საქმეების აქტიური მონაწილე ყოფილა.

შემდეგ კორიუნი აღწერს მამტოციის სიკვდილსა და დასაფლავებას. მამტოცი გარდაიცვალა 440 წ. 17 თებერვალს. იქ შეკრებილთაგან კორიუნი ასახელებს ოთხს: „და შეკრებილ მის მთავარ მოწაფეთა სახელებია: პირველისა ჰოვსეფი, რომელიც დასაწყისში დავწერეთ, მეორისა — თადიკი, კაცნი ფხიზელნი, მოძღვრის ბრძანებათა მიმართ ყურადღებიანნი, მხედართა მხრიდან პირველის სახელი ვაჰანი ამატუნიების გვარიდან, რომელიც იყო დიდი სომხეთის ჰაზარაპეტი და მეორისა ჰმაიაკი, მამიკონიანთა გვარიდან, კაცნი პატიოსანნი, მოშიშნი, მოძღვრის ბრძანებათა აღმასრულებელნი“ (კორიუნი, 92). შემდეგ ვაჰან ამატუნისა და ჰმაიაკ მამიკონიანს მამტოცი გადაუსვენებიათ ოშაკანს (იქვე, 94).

ჰმაიაკი უნდა იყოს ვარდან მამიკონიანის ძმა, ე. ი. შუშანიკის ბიძა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შუშანიკის მშობლების ოჯახი, მამა, დედა, ბიძა, საჰაკისა და მამტოცის უახლოესი მოწაფეები და თანამდგომები იყვნენ. ჩანს, ისინი იყვნენ სომხური ანბანის პირველი შემსწავლელნი და შემდეგ გამავრცელებელნიც.

როგორც კორიუნი გადმოგვცემს, მამტოცის უახლოესი თანამოაზრე, მფარველი და ხელმძღვანელი იყო საჰაკი, რომელმაც მხარი დაუჭირა მამტოცს პირველივე დღიდანვე. შემდეგ საჰაკი თვითონ გახდა პირველ მთარგმნელთაგანი და ახალი ანბანის მასწავლებელ-პოპულარიზატორი. ამდენად, მისი ღვაწლი სომხური ეროვნული კულტურის განვითარებაში ძალზედ დიდია და მისი სახელიც სომეხი ხალხის შეგნებაში განუყრელადაა დაკავშირებული მამტოცთან. როგორც ითქვა, საჰაკი შუშანიკის მამის — ვარდანის პაპა იყო დედის მხრივ.

დაბოლოს, კორიუნის წიგნში გვხვდება კიდევ ერთი ნაცნობი სახელი: ესაა ტაშირელთა მთავარი აშუშა, რომელიც უნდა იყოს „შუშანიკის წამების“ პიტიახში არშუშა, ვარსქენის მამა.

კორიუნის ცნობის თანახმად, მამტოცი ორჯერ ყოფილა ქართლში. მეორედ, სომხეთში არტაშესის მეფობის დროს; ე. ი. V ს. ოციან წლებში (არტაშესი მეფობდა 422—428 წწ.). კორიუნი გადმოგვცემს, რომ ალბანეთიდან მამტოცი წამოსულა ქართლისკენ, ჯერ გარდმანის მთავარ ხურსთან მისულა, შემდეგ კი ქართლისკენ უქნია პირი. კორიუნის სიტყვით, ამ დროს ქართლში მეფობდა „არძიულ“-ი (არჩილი). მამტოცს აქ მოუვლია თავისი მოწაფეები და დაუბარებია მათთვის ჭეშმარიტებაზე მდგარიყვნენ. „მაშინ ტაშირელთა მთავარმა, კაცმა. პატიოსანმა და ღმრთისმოყვარემ, რომელსაც ერქვა აშუშა, ჩააბარა მას თავი თვისი მთელი თავისი გავარით (ქვეყანით) და მისი ყველგან გავრცელებული მოძღვრება, რაიმე დაკლების გარეშე განადიდა, ვიდრე ყველა სხვა გავარში“ (კორიუნი, 72—74).

კორიუნის მიერ მოხსენიებული ტაშირელთა მთავარი აშუშა, როგორც უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული, უნდა

იყოს ვარსკენის მამა არშუშა პიტიახში. სასელის გარდა, ამაზე ლაპარაკობს მისი ცსოვრების სანა და მისი სამთავრო ტაშირი, რომელიც ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინცია იყო, ოღონდ უფრო გვიან ხანაში.

მართალია, კორიუნის ამ ცნობაში, ჩვენი აზრით, ზოგი გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს (ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომში გვექნება ლაპარაკი), მაგრამ ცნობა არშუშას ქვემო ქართლის მთავრად (პიტიახშად) ყოფნის შესახებ V ს. 20-იან წლებში სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს. მართლაც, არშუშას შვილი ვარსკენი პიტიახშია 60-იან წლებში, თვით არშუშა, ჩანს, საკმაოდ სწორი, პიტიახშია, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, 40-იანი წლების გასულს. სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი უკვე იყო პიტიახში ოცი-ოცდახუთი წლით ადრეც, როდესაც, კორიუნის ცნობის მიხედვით, მაშტოცი მეორედ მოსულა ქართლში. რა მიზანი ჰქონდა მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლას, კარგად არა ჩანს. როგორც ცნობილია, კორიუნის იმავე ცნობის მიხედვით, სომხური ანბანის შექმნის შემდეგ, მაშტოცს თითქოს ქართულიც გამოუგონებია და მის გასაერთიანებლად ქართლში მოსულა. ესაა მისი ქართლში პირველად მოსვლა, რაც დაახლოებით V ს. პირველ წლებში უნდა მომხდარიყო. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არშუშას დროსაც ქართლში მაშტოცის მოსვლას იგივე მიზანი ჰქონდა. მაგრამ რადგან ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონებაზე სარწმუნო არაა (მას უარყოფს თვით კორიუნის ცნობის ანალიზი, ქართულ-სომხური ანბანების შედარებითი შესწავლის შედეგები და ქართულ წყაროთა მონაცემები), უფრო ბუნებრივი იქნებოდა დაგვეშვა, რომ მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლის ნამდვილი მიზანი იყო სომხური ანბანის აქ მცხოვრებ სომხებში გავრცელება. მაგრამ, არც ეს ახსნაა სწორი. მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლამდე ცოტა ადრე, კორიუნი მოგვიითხრობს, თუ როგორ ებრძოდა მაშტოცი ბორბორიტობის წვალებას მთელ სომხეთში, როგორც ბიზანტიის, ისე ირანის გამგებლობაში მყოფ ნაწილებში და როგორ ქადაგებდა იგი ქრისტიანობას. საფიქრებელია, რომ მაშტოცი ქართლშიც იმავე მიზნით (წვალებასთან ბრძოლა და ქრისტიანობის ქა-

დაგება) იყო მოსული. ამას ადასტურებს მოესეს ხორენაციც, რომლის სიტყვითაც, სწორედ მწვალებლობასთან საბრძოლველად მიიპატიჟა თავისთან მამტოცი „გუგარელთა ბღეშხმა აშუშამ“ თავის სამფლობელოში „ტაშირელთა გავარში (ქვეყანაში)“.

ამრიგად, კორიუნის ცნობების თანახმად, შუშანიკის ოჯახის წევრები სომხური ანბანის გამოგონებისა და გავრცელების უშუალო მონაწილენი ყოფილან. შუშანიკის მამის პაპა იყო ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და ხელმძღვანელი, მამტოცის უახლოესი თანამშრომელი და მფარველი, სომხური ანბანის პირველ მასწავლებელთაგანი და პოპულარიზატორი, ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი; შუშანიკის მამა და ბიძა იყვნენ პირველთა შორის, ვინც ისწავლა სომხური ანბანი და შემდეგ კი მას სხვასაც ასწავლიდა. შუშანიკის დედაც საზოგადოებრივ საქმეებში გამოჩენილი ქალი ყოფილა. კორიუნის ცნობებიდან ჩანს, რომ ვარსქენის მამა არშუშა პიტიასშობდა უკვე V ს-ის ოციან წლებში. არშუშა სომხეთშიც ცნობილი პიროვნება ყოფილა, კარგი ურთიერთობა ჰქონია სომეხ მოღვაწეებთან და თვით მამტოცსაც კარგად იცნობდა.

აგათანგელოსი. V ს. შუა ხანებში დაიწერა აგრეთვე ერთი მეტად ცნობილი წიგნი „აგათანგელოსის ისტორია“, რომელშიც მოთხრობილია სომხეთის გაქრისტიანების ამბავი. გასაგებია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხისადმი მიძღვნილი წიგნი ძველ სომხეთში უდიდესი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ჩვენთვის ამჟამად წიგნი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი მთავარი მოქმედი პირია გრიგორ განმანათლებელი, სომხეთის მომაქცეველი, რომლის პირდაპირ შთამომავლადაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ითვლებოდა შუშანიკი.

სხვათა შორის, წიგნში მოხსენებულია ვინმე არტავაზდი, „რომელიც იყო სპარაპეტი დიდი სომხეთის მთელი ჯარებისა“ (აგათანგელოსი, 451). საფიქრებელია, რომ ეს არტავაზდი მამიკონიანი უნდა ყოფილიყო (არტავაზდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირი სახელი იყო მამიკონიანთა გვარში). თუ ეს ასეა, სპარაპეტობა მამიკონიანებს ჰქონიათ უკვე IV ს.

დასაწყისიდან, ანუ იმ დროიდან, რომელიც იგულისხმება აღნიშნულ ცნობაში.

ფავსტოს ბუზანდი. ძალიან საინტერესო ცნობებია შუშანიკის წინაპრებზე ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიაში“, რომელიც, როგორც მიჩნეულია, დაიწერა V ს-ის 70-იან წლებში (საჩიკიანი, IX). ეს ის დროა, რომელიც მოჰყვა ირანის წინააღმდეგ 450—451 წწ. სომხეთის აჯანყებას. ამ აჯანყების მეთაური იყო ვარდან მამიკონიანი, რომელმაც თავის ძმასთან ერთად თავი დასდო სამშობლოს თავისუფლებისათვის და ეროვნული საქმისთვის წამებულის გვირგვინი დაიდგა. მეორე მხრივ, ეს არის ეპოქა, როდესაც ირანის წინააღმდეგ ახალი აჯანყება მზადდებოდა, აჯანყება, რომელსაც სათავეში ისევ მამიკონიანი, ვაჰანი, ვარდანის—ძმისშვილი ჩაუდგა. ფავსტოსის წიგნში IV საუკუნის სომხეთის ისტორიაა გადმოცემული (IV ს. 30-იანი წლებიდან 387 წლამდე), მაგრამ ჩანს, რომ ფავსტოსის ძირითადი მიზანია მომავალი აჯანყების იდეური შემზადება. ფავსტოსი ცდილობს გაამხნევოს, გამარჯვების რწმენა ჩაუნერგოს თავის მკითხველს. ამისთვის ის აღწერს სომეხე ხალხის თავგანწირულ ბრძოლას დამპყრობელი ირანის წინააღმდეგ, აღწერს სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლთა საგმირო ამბებს. „სომხეთის ისტორიას“ ორი ძირითადი სიუჟეტური ხაზი აქვს: საერო და სასულიერო. პირველში მოთხრობილია სომხეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ფავსტოსის თანახმად ამ ბრძოლას სათავეში ედგნენ მამიკონიანები, სომხეთის მემკვიდრეობითი სპარაპეტები (მთავარსარდლები). მამიკონიანები ყოფილან სომეხი ხალხის წინამძღოლები და მის გამარჯვებათა მთავარი ორგანიზატორები. მამიკონიანებს ფავსტოსი უპირისპირებს სომხეთის მეფეებს და ცდილობს აჩვენოს, რომ მამიკონიანები უფრო მაღლა იდგნენ, როგორც გონიერი მმართველები, სარდლები და პატრიოტები. მამიკონიანთა მეტად განდიდებისათვის ფავსტოსი სომეხ მეფეებს ხშირად ძალიან უარყოფითად სატავს კიდევაც.

ფავსტოსის ტენდენცია ნათელია: იგი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ მამიკონიანები ნამდვილად იყვნენ მოწოდებულნი გამსდარიყვნენ სომხეთის ბელადები მომავალ

აჯანყებაში და ნამდვილად შესძლებდნენ კიდევ ამ დიდი მისიის შესრულებას.

„სომხეთის ისტორიის“ მეორე სიუჟეტური ხაზი გადმოგვცემს სომხეთის საეკლესიო ისტორიას. ამ ხაზის მთავარი მოქმედი პირები არიან სომხეთის განმანათლებლის გრიგორ პართევის შთამომავლები, რომლებიც, აგრეთვე, მემკვიდრეობით იყვნენ სომხეთის მღვდელმთავრები თითქმის მთელი IV ს. მანძილზე. ფავსტოსის თანახმად, ისინი ყოფილან სომეხი ხალხის სულიერი მეთაურნი. სხვათა შორის, ისინიც დაპირისპირებულნი არიან სომხეთის მეფეებს. გრიგორის შთამომავლები დახატულნი არიან როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები, ყოველგვარი სიკეთით შემკულნი, რომლებიც მუდამ სიწმინდისა და პატიოსნების სადარაჯოზე იდგნენ და მოურიდეებლად ამხილებდნენ სომხეთის მეფეებს სხვადასხვა უკეთურებისათვის, ხანდახან საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი.

შუშანიკი პირდაპირი შთამომავალი იყო, ერთი მხრივ, სხენებული მამიკონიანებისა, სოლო, მეორე მხრივ, გრიგორ განმანათლებლისა. ამრიგად, ფავსტოსის „სომხეთის ისტორიის“ მთავარი მოქმედი პირები სულ შუშანიკის წინაპრები არიან.

ენახოთ, ასლა, ზოგიერთი ის ცნობა, რომელიც დაცულია ფავსტოსთან.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ იმ ცნობებს, რომლებიც მამიკონიანთა წარმომავლობას შეეხებიან. ფავსტოსი გადმოგვცემს, რომ მამიკონიანები თვით სომხეთის მეფეებზე უფრო მაღალი წარმოშობისაც კი ყოფილან.

სომხეთის სპარაპეტმა მანველ მამიკონიანმა სომხეთის მეფე ვარზდატს (374—377) თავისი წარმომავლობის შესახებ შემდეგი შეუთვალა: „ჩვენ (ე. ი. მამიკონიანები, ნ. ჯ.) თქვენი (ე. ი. არშაკუნთა გვარის, რომელიც მეფობდა სომხეთში, ნ. ჯ.) მსახურები კი არა ვართ, არამედ ამხანაგები და თქვენზე უფრო მაღალნიც, რადგან ჩვენი წინაპრები ჭენტა ქვიჩნის მიწეები იყვნენ, მაგრამ ძმებს შორის ამტყდარ უთანხმოებათა გამო, რადგანაც დიდი სისხლი ჩამოვარდა, ჩვენ იქიდან წამოვედით და კეთილი განსასვენებლის მოსაპოვებლად მო-

ვედით და დავემკვიდრეთ აქ“. ვარაზდატიც ადასტურებს მამიკონიანების ამგვარ წარმომავლობას (ფავსტოსი, 1912, 360—361; ფავსტოსი, 1953, 184—185).

მამიკონიანთა ჭენთაგან წარმოშობაზე ფავსტოსი ალაპარაკებს მეფე პაპსაც (368—374) (ფავსტოსი, 1912, 299; ფავსტოსი, 1953, 154).

ჭენების ქვეყანა გულისხმობს ჩინეთს. მაშასადამე, ფავსტოსის გადმოცემით, მამიკონიანები წარმოშობით ყოფილან ჩინეთიდან, სადაც ისინი თურმე მეფობდნენ და საიდანაც წამოსულან იმიტომ, რომ მათს გვარში რაღაც მტრობა ჩამოვარდნილა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი სომეხი მეცნიერის ნ. ადონციის აზრით, „ჭენთა ქვეყანა“ სინამდვილეში ჩინეთი კი არ უნდა იყოს, არამედ „ჭანთა ქვეყანა“, ე. ი. მამიკონიანები რეალურად წარმოშობით ჭანები უნდა იყვნენ. საგვარეულო სახელის ეტიმოლოგიასაც ნ. ადონცი ქართულ საფუძველზე იძლევა: მამიკ←ქართ. მამადან (ადონცი, 402—404)

ამასთან კავშირში უნდა იყოს განხილული ფავსტოსის ის ცნობაც, რომ მამიკონიანების სამფლობელო ტაოში იყო. ამ დროს ტაო (სომხური ფორმით — „ტაიქ“) სომხეთის შემადგენლობაშია. ფავსტოსი გადმოგვცემს არტავაზდ და ვასაკ მამიკონიანებზე: „ისინი წავიდნენ თავის ქვეყანაში, ტაიქის სიმაგრეებში და იქ დარჩნენ მრავალი წლის განმავლობაში თავისი ოჯახებით, და დასტოვეს თავისი სხვა სახლი (სამფლობელო)“ (ფავსტოსი, 1912, 73; ფავსტოსი, 1953, 39). ტაოზე, როგორც მამიკონიანთა სამფლობელოზე, ფავსტოსი ლაპარაკობს შემდგომშიც (ფავსტოსი, 1912, 102, 198; ფავსტოსი, 1953, 59, 101).

საინტერესოა ფავსტოსისეული დახასიათება მამიკონიანთა გვარისა: მეფე არშაკმაო (345—367) „სტრატელატობა, სპარაპეტობა, ზორავარობა, ომის წარმოება, შუბებით პირისპირ ბრძოლის მეთაურობა, მთელი სამეფოს, დიდი სომხეთის მთელი ჯარების მთავარსარდლობა უწყალობა სახელგანთქმულ, კეთილშობილ, დროშაზე მტრედთან, არწივისნიშნიან, მამლისნიშნიან, უშიშარ, მხნე, სახელოვან წინამძღოლ, კეთილნიშნიან, კეთილსახელიან, კეთილ საქმიან, საომარ საქმეებში თავი-

დან წინაპართა წესით წარმატებულ მამიკონიანთა გვარს, რომელსაც ზეცით მუდამ და ყოველთვის მინიჭებული ჰქონდა გამარჯვება და ომში მეთაურის კეთილი სახელი და გაბედულება“ (ფავესტოსი, 1912, 103—104; ფავესტოსი, 1953, 56).

როგორც ითქვა, მამიკონიანები სომხეთის მეგკვიდრობითი მთავარსარდლები იყვნენ. სომხეთის მთავარსარდალ მამიკონიანებზე ლაპარაკს ფავესტოსი იწყებს ვაჩე არტავაზდის ძე მამიკონიანით, რომელიც მეფე ხოსროვის (330—338) თანამედროვე ყოფილა. ამ ვაჩეს სომხეთი მრავალგზის გადაურჩენია მტრების შემოსევებისაგან, მაგრამ თვითონაც დაღუპულა ირანელებთან ბრძოლაში. მისი სიკვდილის შემდეგ სპარაპეტობა მიუღია მის მცირეწლოვან შვილს არტავაზდს, შემდეგ კი ტირანის მეფობაში (338—345) ვასაკ მამიკონიანს, რომელიც უფლისწულ არშაკის აღმზრდელიც ყოფილა.

ფავესტოსს გადმოცემული აქვს ვასაკ მამიკონიანის არაჩვეულებრივი ვაჟკაცობის რამდენიმე ამბავი და აღწერილი აქვს ის მრავალი გამარჯვება, რომელიც მოუპოვებია ვასაკს, როგორც სომხეთის სპარაპეტს ბიზანტიელებსა და ირანელებზე.

ვასაკის გამარჯვებებს ფავესტოსი ფანტასტიკურ ფერებში ხატავს: ოთხმილიონიანი ირანელთა ჯარი ვასაკს ორმოცათასიანი რაზმით დაუმარცხებია, ცხრაასათასიანი ათიათასიანით და ა. შ. სხვათა შორის, აქ ფავესტოსს გადმოცემული აქვს, ოლონდ, ცხადია, მეტისმეტი გაზვიადებით, ის ომები, რომელსაც აწარმოებდა სომხეთი ირანის წინააღმდეგ IV ს. 50-იან და 60-იან წლებში. ირანელებს ვერ ვაუტეხიათ სომხების წინააღმდეგობა. მათ მხოლოდ მოტყუებით ჩაუგდიათ ხელში სომხეთის მეფე არშაკი და ვასაკი. ვასაკი ტყვეობაშიც საარაკო შეუდრეკელობით მოქცეულა.

ვასაკი ქედმოუსრელობის გამო ირანის შაჰს სიკვდილით დაუსჯია. ვასაკის შემდეგ სომხეთის სპარაპეტად პაპის მეფობაში (368—374) გამხდარა ვასაკის ვაჟი, მუშელი, რომელსაც დაუმარცხებია ირანელები. ამასთან, ისე უსახელებია თავი, რომ შაჰი ქეიფის დროს თურმე მუდამ სვამდა მის სადღეგრძელოს.

შემდეგ სომხეთის სპარაპეტად გამხდარა მანველ მამიკო-

ნიანი, რომელსაც განუდევნია სომხეთიდან ირანელები და ქვეყანას თვითონ მართავდა შვიდი წელით, გადმოგვცემს ფავსტოსი, რომლის სიტყვითაც ეს წლები იყო მშვიდობიანობის წლები და ხალხი ბედნიერად ცხოვრობდაო. მანველს დაუცვია სომხეთი ირანელთა დიდი ჯარისაგან, თავისი ქალი მიუთხოვებია მეფე პაპის უფროს ვაჟისთვის არშაკისთვის და იგი სომხეთში გაუმეფებია. მანველს მთელი სომხეთი დასტიროდა, როგორც საკუთარ მამასო, გვიამბობს ფავსტოსი. ფავსტოსს განსხვავებული ხასიათის ცნობებიც შემოუნახავს. ვასაკის უფროს ძმას ვარდანს უღალატია მეფე არშაკისთვის და ირანის შაჰს მისვლია. ამისთვის მეფის ბრძანებით ვასაკს მოუკლავს ვარდანი. ვასაკის მეორე ძმას, ვაჰანსაც, უღალატია არშაკისთვის, უარუყვია ქრისტიანობა და მიუღია მაზდეანობა. ვაჰანი შაჰის დაახლოებული კაცი გამხდარა. შაჰს მისთვის თავისი დაც კი მიუთხოვებია. ვაჰანი სომხეთში გამოგზავნილი ირანული ჯარის ერთ-ერთი მეთაური ყოფილა (თავის დისშვილ, აგრეთვე მოღალატე მერუჟან არწრუნისთან ერთად). მოღალატეებს საშინლად აუოხრებიათ სომხეთი, დაუწიოკებიათ და გაუჟღეციათ მოსახლეობა, დაუნგრევიათ ეკლესიები. ვაჰანი და მერუჟანი ხალხს მაზდეანობის მიღებას აიძულებდნენ.

ამ დროს მომხდარა ერთი ამბავი, რომელიც უშუალოდ ეხმაურება შუშანიკის წამებას. ვაჰანისა და მერუჟანის ბრძანებით, მაზდეანობის არ მიღებისთვის სასიკვდილოდ უწამებიათ ვაჰანის და ამაზასპუი, რომელიც გათხოვილი იყო რშტუნის უფალ გარეგინზე. გაშიშვლებული ამაზასპუი ფეხებით ჩამოუკიდიათ ვანის ერთ მაღალ კლდეზე მდგომი კოშკიდან.

ვაჰანი თავის შვილებსა და სხვა ნათესაეებსაც აიძულებდა მაზდეანობის მიღებას. მამის მოქმედებით აღშფოთებულ ვაჰანის ერთ-ერთ ვაჟს, სამველს, მოუკლავს მამაცა და დედაც, შაჰის და. ფავსტოსიცა და სხვა ისტორიკოსებიც აღტაცებით წერენ ამ ამბავზე. სამველის საქციელი პატრიოტიზმის უმაღლეს გამოვლინებადაა მიჩნეული და მისი სახელი ლეგენდარულად არის ქცეული.

სხვათა შორის, ფავსტოსი გადმოგვცემს ერთ საინტერესო ამბავსაც: მეფე ტირანს ამოუწყვეტია ორი დიდი სანასარარო

გვარი რმტუნებისა და არწრუნებისა. არტაეაზდ და ვასაკ მა-
მიკონიანებს ამ გვარებიდან თითო ჩვილი ბიჭი გადაურჩენიათ
და წაუყვანიათ თავ-თავის სამფლობელოებში. როდესაც ბაე-
შვები გაზრდილან, არტაეაზდსა და ვასაკს მათთვის თავისი
ქალები შეურთაეთ და ამგვარად ეს ორი გვარი ისევ აღორძი-
ნებულა. ამ ამბავს ამჟამად ის მნიშვნელობა აქვს, რომ სომ-
ხეთში ყოფილა გადმოცემა არწრუნთა გვარის მამიკონიანე-
ბის მიერ გადარჩენისა და ამ გვარების ერთმანეთთან ნათე-
საობის შესახებ. აქვე გავისხენოთ, რომ ვარსქენის დედა
სწორედ არწრუნის ქალი იყო.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ფავსტოსს დაცული
აქვს ცნობები შუშანიკის წინაპართა მეორე შტოზეც, სომხე-
თის განმანათლებელ გრიგორის შთამომავლობაზეც.

როგორც ფავსტოსის მოთხრობიდან ჩანს, გრიგორის შთა-
მომავლობიდან უმრავლესობა სომხეთის მღვდელმთავრები
იყვნენ, ზოგი მათგანი სარწმუნოებისთვის წამებულიც. გრი-
გორის შემდეგ სომხეთის მღვდელმთავრებად ისხდნენ მისი
შვილები არისტაკესი და ერთანესი, შვილიშვილი იუსიკი,
უკანასკნელის შვილიშვილი ნერსესი. ესენი ძალზედ ცნობი-
ლი პირები არიან სომხეთის ისტორიაში, განსაკუთრებით
ნერსესი. ყველა მათ ფავსტოსი „წმინდას“ ეპითეტით იხსე-
ნიებს.

როგორც ვხედავთ, ფავსტოსს მეტად საინტერესო ცნობე-
ბი ჰქონია შუშანიკის წინაპრებზე. ამ ცნობების მიხედვით
მამიკონიანები წარმომავლობით ეითომც ჩინეთიდან (შესაძ-
ლებელია, სინამდვილეში ჭანეთიდან) ყოფილან, სამეფო
გვარიდან, ისე რომ წარმოშობით ისინი თავის თავს სომხეთის
მეფეებზე უფრო მაღლაც კი აყენებდნენ. ფავსტოსის ცნობის
თანახმად, თითქმის მთელი IV ს. მანძილზე სომხეთის მთა-
ვარსარდლობა მამიკონიანებს ჰქონიათ. მათ მრავალი ომი
გადაუხდიათ, მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ. ~~იხილეთ~~ ყო-
ფილან სომეხი უფლისწულების აღმზრდელები, დამოყვრე-
ბულნი სომხეთის მეფეებთან და ირანის შაჰებთან. ეს უკანას-
კნელნიც, თურმე, დიდად აფასებდნენ მამიკონიანთა გვარის
წარმომადგენლებს. მამიკონიანებს თვითონაც უმართაეთ
სომხეთი და ეს პერიოდი ყველაზე ბედნიერი ყოფილა სომეხი

ხალხისათვის. მამიკონიანთა პატრიოტიზმი იმდენად დიდი ყოფილა, რომ სამშობლოს ღალატისთვის ისინი უახლოეს ნათესავეებსაც კი (მშობლებს, ძმებს) არ ინდობდნენ. ამასთან, მამიკონიანები ითვლებოდნენ ზოგიერთი სხვა სანახარარო გვარების მფარველად და გადამრჩენად. როგორც ვნახეთ, ფავსტოსის წიგნი ფაქტობრივ პანეგირიკია მამიკონიანების გვარისა.

ასეთივე პატივისცემითა და მოწონებით იხსენიება წიგნში გრიგორ განმანათლებლის შთამომავლობაც.

ფავსტოსის მოთხრობილი ამბები სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ ამბების შესწავლამ გაარკვია, რომ ფავსტოსის მთავარი წყარო არის ფოლკლორული მასალა. არსებულა ეპიური თქმულებების, გადმოცემების, სიმღერების ციკლი, თუ ციკლები, რომლებიც მოუთხრობდნენ სომეხი ხალხის ბრძოლაზე ირანის წინააღმდეგ. ამ ეპოსის მთავარი მოქმედი პირები ყოფილან, სომხეთის მეფეებთან ერთად, მამიკონიანთა გვარის წარმომადგენლები, რომლებიც სომხეთის სპარაპეტები იყვნენ. ამრიგად, ირკვევა, რომ V ს-ში არსებულა მთელი ეპოსი, სიმღერები, გადმოცემები, ლეგენდები, რომლებიც ქებას ასხამდნენ მამიკონიანთა გვარს.

მრავალი გადმოცემა, ჩანს, არსებულა გრიგორ განმანათლებლის შთამომავლობაზეც, ე. ი. შუშანიკის წინაპართა მეორე შტოზეც, რადგან მათზე მოთხრობილი ამბებიც, აგრეთვე, აშკარად ფოლკლორული ხასიათისაა.

ფავსტოსის ცნობებზე ასე დაწვრილებით იმიტომ შეეჩერდით, რომ, უეჭველია, შუშანიკის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა მისი წინაპრების, მამიკონიანებისა და გრიგორ პართევის ჩამომავლობას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობის ხასიათსა და მნიშვნელობას, მათ პოლიტიკურ პოზიციას სომხეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ასევე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ განწყობილებას, რომელიც სუფევდა სომხეთში მამიკონიანების გვარისა და, საერთოდ, შუშანიკის წინაპრების მიმართ.

ელდშე. V ს. 60-70-იან წლებში დაიწერა წიგნი „ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ“. წიგნში აღწერილია სომხეთის

აჯანყება ირანის წინააღმდეგ 450—451 წწ. წიგნის ავტორი: ელიშე, რომელიც, ტრადიციის თანახმად, აჯანყების ბელადის ვარდან მამიკონიანის მდივანი ყოფილა. იმის გარდა, რომ წიგნი მიძღვნილია სომხეთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, წიგნს აქვს მაღალი ლიტერატურული ღირსებები. ორივე ამ ფაქტორმა წიგნს დიდი პოპულარობა მოუპოვა ძველ სომხეთში. როგორც სათაურიდანაც ჩანს, წიგნის მთავარი მოქმედი გმირია აჯანყების მეთაური ვარდან მამიკონიანი, შუშანიკის მამა. ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია აქ გადმოვცეთ ყველა ის ცნობა ვარდანზე, რომელიც მოტანილი აქვს ელიშეს თავის წიგნში. ვერც იმ გმირობასა და სამშობლოსთვის თავდადებას აღწერთ, რომელიც გამოუჩენია ვარდანს აჯანყების მსვლელობაში და რაც დაწერილებითაა გადმოცემული წიგნში. წიგნიდან კარგად ჩანს, რომ ვარდანი ნამდვილი მეთაური იყო აჯანყებისა, ხელმძღვანელობდა მის მსვლელობას, მთავარსარდლობდა, კავშირს ამყარებდა მეზობლებთან, იბრძოდა. ვარდანი დაღუპულა ავარიანის ბრძოლაში 451 წ. 26 მაისს და მისი სიკვდილი, როგორც ამბობს ელიშე, სომხებისთვის დამარცხების ნიშანი გამხდარა.

ერთ-ერთ შემდეგ ბრძოლაში დაღუპულა ვარდანის ძმა ჰშიაიაკი.

ბრძოლებში დაღუპულან კიდევ სხვა წევრებიც ამ გვარისა, ნაწილი კი აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანელთა ტყვეობაში ჩაეარდნია.

ლაზარ ფარპეცი. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენთვის კიდევ ერთი V ს. ცნობილი სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის ცნობები. ეს ცნობები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ იმით, რომ მათი ავტორი, როგორც ჩანს, პირადად იცნობდა „წამების“ ყველა მოქმედ პირს. მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა თვით ლაზარზე, საიდან უნდა ჰქონოდა მას პირადი ნაცნობობა „წამების“ პერსონალებთან. 451 წ. აჯანყების ბელადი იყო ვარდან მამიკონიანი, შუშანიკის მამა. აქტიური მონაწილეები იყვნენ ამ აჯანყებისა, აგრეთვე, ვარდანის ძმები ჰშიაიაკი და ჰამაზასპიანი. ვარდანი და ჰშიაიაკი დაიღუპნენ ირანელებთან ბრძოლაში. ირანელებმა დაატყვევეს და ირანში წაიყვანეს აჯანყებულ სომეხ ნახარა-

რების გახიზნული ცოლ-შვილი. ამ ტყვეებს შორის იყო კმა-
 იაკის ოჯახიც, ცოლი და სამი ვაჟი — ვაჰანი, ვასაკი და არტა-
 შესი (მეოთხე ვაჟი ირანელებს გადაურჩა). კმაიაკი და არშუშა
 პიტიახში ქვისლები ყოფილან, მათ ცოლებად ჰყოლიათ ორი
 და არწრუნების გვარიდან, ძვიკი და ანუშერამი. არშუშა
 დასმარებია თავისი დაღუპული ქვისლის ოჯახს. როგორც
 ლაზარი გადმოგვცემს, არშუშას დიდი ფული დაუხარჯავს
 შაჰის კარზე, მოუსყიდია შაჰის დიდებულები და ნებართვა
 მიუღია შაჰისაგან წაეყვანა თავისთან კმაიაკის ცოლ-შვილი.
 ეს მომხდარა, ლაზარის გადმოცემით, „მეფე იაზკერტის მქრ-
 ვიდმეტე წელს“, ე. ი. 455 წ. ყმაწვილ მამიკონიანებისთვის
 გაუყოლებიან ლაზარ ფარპეციც, რომელიც, თუმცა კი მამი-
 კონიანებზე უფროსი ყოფილა, მაგრამ თვითონაც არ უნდა
 ყოფილიყო სრულასაკოვანი, რადგან დაბადებული უნდა იყოს
 440—443 წწ. შორის (ჯანაშია, ფარპეცი, 15, 20). რამდენ ხანს
 დარჩნენ მამიკონიანები და მათთან ერთად ლაზარიც არშუ-
 შასთან, არ ვიცით. ლაზარის გადმოცემით, მეფე პეროზმა
 (459—484) თავის ზეობის შეექვსე წელს, ე. ი. 464 წ. გაათა-
 ვისუფლა ირანში პატიმრობაში მყოფი აჯანყების მონაწილე-
 ები მათი ოჯახებითურთ და ისინი სომხეთში დააბრუნა.
 შესაძლებელია, მამიკონიანი ვაჟებიც და მათთან ერთად ლა-
 ზარიც ამ დრომდის დარჩნენ არშუშასთან, ყოველ შემთხვევა-
 ში, მათ რამდენიმე წელიწადს უცხოვრიათ არშუშასთან, რად-
 გან, ლაზარის სიტყვით, მათ აღზრდა ქართლში მიუღიათ:
 „თავისი ვაჟები მან (კმაიაკის მეუღლე ძვიკმა, ნ. ჯ.) აღზარდა
 და ასწავლა მათ ქართლის ქვეყანაში“-ო (ჯანაშია, ფარპეცი,
 242). სხვაგან ლაზარი სიამაყით აღნიშნავს, რომ თვითონაც
 ქართლის პიტიახშის კარზე მამიკონიანებთან ერთად იზრდე-
 ბოდა. ლაზარი სწერს ვაჰან მამიკონიანს: „როდესაც ნეტარმა
 დედაშენმა წაგიყვანათ თქვენ ბღემსთან (ე. ი. არშუშასთან,
 ნ. ჯ.), მის კარზე ჩვენც გეასწავლიდნენ... გვზრდიდნენ ჩვენ
 კურთხეული დედათქვენი და ანუშერამი თავისი სათნოებით
 თქვენთან ერთად და თქვენს მსგავსად ჩვენც“-ო (იქვე, 267).

ამრიგად, ლაზარი არშუშასთან ყოფილა თუ უფრო გვიან-
 ნობამდე არა, ყოველ შემთხვევაში, 50-იანი წლების დასასრუ-
 ლამდე, ან 60-იანი წლების დასაწყისამდე. „შუშანიკის წამე-

ბაში" აღწერილი ამბავი კი იწყება 469 წელს. ამ დროს შუშანიკს უკვე ჰყავდა ოთხი შვილი. ამიტომ, საფიქრებელია, რომ იგი უკვე იქნებოდა ვარსქენის ცოლი არშუშასთან მისი ბიძაშვილების ყოფნის დროს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაზარი პირადად და ამასთან კარგადაც იცნობდა ვარსქენს, რომელიც თავის დეიდაშვილებზე — მამიკონიან ყმაწვილებზე რამდენადმე უფროსი უნდა ყოფილიყო; იცნობდა შუშანიკს, რომელიც იმავე მამიკონიანების ბიძაშვილი იყო; იცნობდა ვარსქენის მამას არშუშას, დედას — ანუშერამს, რომელიც, როგორც ვნახეთ, ლაზარის აღმზრდელიც კი ყოფილა; იცნობდა ვარსქენის ძმას — ჯოჯიკს, და საერთოდ მთელ ოჯახურ გარემოს.

სომხეთში დაბრუნების შემდეგ ლაზარს სწავლა გაუგრძელებია ვარსქენის დედის ძმასთან, ალან არწრუნისთან, სომხეთის ცნობილ საეკლესიო მოღვაწესთან, რომლისგანაც ბერობა მიუღია. შემდგომში ლაზარს რამდენიმე წლის (ჩანს, სწორედ შუშანიკის წამების დროს) განმავლობაში უცხოვრია შუშანიკის დის ოჯახში. შუშანიკის და გათხოვილი ყოფილა ცნობილი სომხური სანახარარო გეარის, კამსარაკანების, უფროსზე, არშავირ კამსარაკანზე, რომელიც ვარდანის უახლოესი თანამებრძოლი და აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. რადგან შუშანიკის და უკვე იყო გათხოვილი აჯანყების დროს, ე. ი. 450—451 წლებში, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შუშანიკზე უფროსი იქნებოდა.

ლაზარს დიდი ახლობლობა ჰქონდა ჰშიაიკის ვაჟებთან, რომელთაგანაც უფროსი, ვაჰანი, როგორც ითქვა, 482—484 წწ. ირანის წინააღმდეგ სომხეთის აჯანყების მეთაური იყო. აჯანყების შემდეგ ვაჰანი ირანელებმა სომხეთის სპარაპეტად და მარზპანად დანიშნეს. ვაჰანს თავისი სიყრმის მეგობარი ლაზარი ერშიაძინის ეკლესიისა და მონასტრის წინამძღვრად დაუყენებია, ბოლოს კი სომხეთის ისტორიის დაწერა დაუვალებია, რაც ლაზარს შეუსრულებია კიდევაც. ლაზარმა ეს წიგნი დაწერა არა უგვიანეს 509 წლისა (ჯანაშია, ფარპეცი, 27).

როგორც ვხედავთ, ლაზარ ფარპეცის რამდენიმე წელი უცხოვრია არშუშა პიტიახშის კარზე, შემდეგ კი სულ შუშანი-

კისა და ვარსკენის უახლოესი ნათესაეების წრეში ტრიალებდა. უეჭველია, „მუშანიკის წამებაში“ აღწერილი ამბები მას კარგად ეცოდინებოდა.

როგორც ითქვა, „სომხეთის ისტორია“ ლაზარმა ვაჰან მამიკონიანის დავალებით დაწერა და მისი ერთ-ერთი მიზანი მამიკონიანთა გვარის შექმნაც იყო. თავის წიგნში ლაზარი არაერთხელ ატარებს იმ აზრს (ფავსტოს ბუზანდის მსგავსად), რომ მამიკონიანები სომხეთის მეთაურებად არიან მოწოდებულნი, რომ მათი მონაწილეობის გარეშე არც ერთი დიდი საქმე არ დაგვირგვინდება სომხეთში (ფარპეცი, 50, 52). თავისი წიგნის მეორე თავს (წიგნში სულ სამი თავია) ლაზარი უძღვნის 450—451 წწ. აჯანყებას, ფაქტობრივ ვარდან მამიკონიანს. აქ ნაჩვენებია ვარდანის სულმძღვანელი როლი ამ აჯანყებაში, მისი მოქმედება, მისი გმირული სიკვდილი. აქ ჩვენ გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ერთ მომენტზე, რომლის მოხსენიება შემდგომში აუცილებლად დავგვიჩვენებთ.

449 წ. შაჰმა იეზდიგერდ II (439—457) სომხებს წერილით მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება. სომხებმა შაჰს უარი შეუთვალეს. მაშინ განრისხებულმა შაჰმა თავისთან დაიბარა თავისი ქვეშევრდომი ამიერკავკასიის ქვეყნების — ალბანეთის, სომხეთისა და ქართლის თავკაცები და კატეგორიულად მოსთხოვა გამაზდეანება, წინააღმდეგ შემთხვევაში დედაბუდიანად აღმოფხვრით ემუქრებოდა. ამიერკავკასიელ დიდებულებს ბევრი უფიქრიათ, ბოლოს გადაუწყვეტიათ, რომ სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ თუ არა შაჰის მოთხოვნის გარეგნულად დამორჩილება. ოღონდ აქედან გავაღწიოთ და სამშობლოში რომ მივალთ, ისევ ქრისტიანობას მივუბრუნდეთო. ვარდანი, თურმე, დიდხანს არ თანსმდებოდა თუნდაც გარეგნულად ქრისტიანობის უარყოფას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც დამორჩილებულა და მაზდეანობა მიუღია.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიელი დიდებულები თავ-თავის ქვეყნებში დაბრუნდნენ, რომ სომხეთში ანტიირანულმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებას სათავეში ვარდან მამიკონიანი ჩაუდგა.

აჯანყების აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი ლაზარის ისტორიაში ვარდანის ძმებიც, შამაიაკი და შამაზას-პიანი, განსაკუთრებით პირველი, არშუშა პიტიახშის ქვისლი. აგრეთვე, შუშანიკის დის ქმარი არშავირ კამსარაკანი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის სამ ვაჟს, ე. ი. შუშანიკის დისშვილებს, ლაზარის ცნობით, თავი გამოუჩენიათ ირანის წინააღმდეგ სომხეთის 482—484 წწ. აჯანყებაში.

ჩანს, შუშანიკს ძმები არ ჰყოლია. ვარდანს რომ ვაჟები ჰყოლოდა, შეუძლებელია ისინი არ გამოჩენილიყვნენ ლაზარის ან ელიშეს თხრობაში.

„სომხეთის ისტორიის“ მესამე თავი მთლიანად ეძღვნება 482—484 წწ. სომხეთის აჯანყებას. აქ კი მთავარი გმირია შუშანიკის ბიძაშვილი ვაჰანი, აჯანყების მეთაური, რომელსაც მსარში ედგნენ მისი ძმები. ლაზარი დაწვრილებით გადმოგვცემს ვაჰანის ვაჟკაცობის, სიქველის, ჭკუისა და გამჭრიახობის ამბებს, მის პატრიოტობას, სამშობლოზე ზრუნვასა და თავგანწირვას. ამასთან ერთად, ლაზარი გადმოგვცემს ასეთ ფაქტსაც: ვაჰან მამიკონიანს მრავალი მტერი ჰყოლია, რომელიც მას ირანის შაჰთან აბეზღებდა. ამდენი დაბეზღება ვაჰანს ვერ აუტანია, ჩასულა შაჰის კარზე და მახდენობა მიუღია (!), მაგრამ მას ამითაც ვერ გაუჩერებია თავისი მტრები: ვაჰანი ოქროს აგროვებს, რომ ბერძნებთან ან კონებთან წავიდეს, იქ ჯარი ითხოვოს და აჯანყდესო. მაშინ ვაჰანს მართლაც მოუგროვებია ოქრო და შაჰისთვის მიურთმევია, რითაც იგი თავის ერთგულებაში დაურწმუნებია. მაგრამ ვაჰანი თურმე ძალიან ვანიცდიდა ღმრთის უარყოფელის სასელს, რომელსაც იგი თავისი წამებული მამების მსგავსად ატარებდა თუმცა არა ჭეშმარიტად, არამედ გარეგნულადო (ფარპეცი, 118). ეს ამბავი, ჩანს, V ს-ის 60-70-იან წლებში მომხდარა, ალბათ, შუშანიკის სიცოცხლეში. შემდეგ, როგორც ვიცით, ვაჰანისთვის ამას ხელი არ შეუშლია, ისევე როგორც ვარდანისთვის, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებულები და სომხეთის ეროვნული გმირი გამხდარიყო.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ლაზარს მოხსენიებული პყავს არშუშა პიტიახშიც. იეზდიგერდის მიერ ამიერკავკასიიდან დაბარებულ თავკაცებს რომ ჩამოთვლის, ლაზარი

ქართლიდან წასულთაგან მხოლოდ არშუშას ასახელებს. წავიდნენ „ქართველთა ქვეყნიდან ბდემსი აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“-ო (ჯანაშია, ფარპეცი, 218). მართალია, არშუშა ლაზარს, ალბათ, განსაკუთრებით უყვარდა, როგორც საკუთარი და თავისი მფარველი მამიკონიანების აღმზრდელი, მაგრამ ის, რომ ქართლის დიდებულებში მხოლოდ მას ასახელებს, მაინც რაღაცას უნდა ნიშნავდეს. ლაზარი არშუშას ახასიათებს როგორც „ჭკვიან და გამომრჩეველ კაცს“ (იქვე, 226). ლაზარის ცნობით, არშუშასაც მიუღია შაჰის კარზე მაზდეანობა. არშუშა, თურმე, განსაკუთრებით აქტიურად ცდილობდა მაზდეანობის მიღებაზე დაეყოლიებინა ვარდან მამიკონიანი, ოღონდ არა პირადი კეთილდღეობისთვის, არამედ პატრიოტული და საზოგადოებრივი მოსაზრებებით. ვარდანს იგი, თურმე, ეუბნებოდა: „თუ შენ არ დაგვეთანხმები, სამივე ქვეყანა დაიდუპება, ხოლო თუ დაგვეთანხმები და ამას თავს იღებ, მრავალი გადარჩება და ჩვენს თავს (მოეუპოვებთ) მონანიების იმედსო“ (იქვე, 227). მიუხედავად იმისა, რომ თვით არშუშა თითქოს ადვილად დათანხმებულა შაჰის წინადადებას, ამ უკანასკნელს, ეტყობა, მაინც არა სჯეროდა მისი. ლაზარის ცნობით, როდესაც შაჰმა მაზდეანობის მიღებისთვის ამიერკავკასიელი დიდებულები დაასაჩუქრა და თავ-თავიანთ ქვეყნებში გაუშვა, მას თავისთან დაუტოვებია „ქართლის ბდემსი აშუშა“ და სომხეთის მარზპანის, სივნიეთის მთავრის, ვასაკის ორი ვაჟი, „რადგან მომავალში ხედავდა საქმეთა გაურკვეველობას, ეჭვობდა და ფრთხილობდა“-ო (იქვე, 234).

ნათესაობის გარდა (როგორც ითქვა, ვარდანის ძმა, ჰშიაკი და არშუშა ქვისლები იყვნენ) ვარდანსა და არშუშას დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა აკავშირებდათ. ლაზარი გადმოგვცემს, რომ ვარდანი ძალიან სწუსდა, რომ იძულებული იყო ვითომცდა გამაზდეანებულს ეკლესიაში სიარული შეეწყვიტა, „მაგრამ თავისივე ნებით აიკრძალა და დროებით ითმენდა ამ ამბავს, რადგან თავისი მეგობრების საჭიროებაზე ისე ზრუნავდა, როგორც თავის სახლსა და თავის თავზე, განსაკუთრებით კი აშუშა ქართლის ბდემსსა და სივნიეთის იშხანის ვასაკის შვილებზე, რომლებიც დაეკავებინა და ისევე კარზე ჰყავდა სპარსთა მეფე იაზკერტს“ (ჯანაშია, ფარპეცი,

235). როგორც ვხედავთ, ქრისტიანობის უარისმყოფელის თავისთვის უკიდურესად საძულველი სახელის ტარებას ვარდანი იმიტომ ითმენდა, რომ ზიანი არ მიეყენებინა პირველ რიგში ირანში მძევლებად დატოვებულ არშუშასა და სომხეთის მარზპან ვასაკ სიუნის შვილებისათვის. სწორედ ამ სიყვარულითა და პატივისცემით უნდა აიხსნას, სხვა მიზეზებთან ერთად, ისიც, რომ შემდეგში არშუშამ თავის უფროს ვაჟს, ვარსქენს, ცოლად შერთო ირანელების წინააღმდეგ აჯანყებულთა მეთაურის, ირანელებთან ბრძოლაში დაღუპული ვარდანის ქალი. სოლო რომ ვარსქენისა და შუშანიკის შეუღლება ვარდანის დაღუპვის შემდეგ მოხდა, ჩანს იქიდან, რომ შუშანიკის წამების დაწყებისას, ე. ი. 469 წ. და ვარდანის დაღუპვიდან თერამეტი წლის შემდეგ შუშანიკი, მისივე სიტყვით, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ქალი იყო.

თავისი ეჭვების მიუხედავად, შაჰი არშუშას საყვარელ და ღვაწლმოსილ კაცად მიიჩნევდა. საინტერესოა, როგორ მოუხერხებია არშუშას ჰმაიაკის ვაჟების ტყვეობიდან გამოსხნა: „ქართლის იმხანი აშუშა შეეხვეწა სამეფო კარის ავაგებს (დიდებულებს), მრავალი და ურიცხვი საჭურჭლე დაასარჯა ყოველ მათგანს, განსაკუთრებით კი ურჯულო ქაზარაპეტ (შაჰის მთავარ მინისტრ) მიპრნერსეჰს, რომელიც დიდი ჯაფითა და მრავალი შრომით დაიყოლია ეთქვა მეფე იაზკერტისათვის, რათა ეწყალობებინა მისთვის ნეტარი მოწამის ჰმაიაკის, მამიკონიანთა გვარიდან, ვაჟები, რომელნიც სიენიელთა ვერაგ იმხან ვასაკს წაერთმია მათი აღმზრდელებისათვის, როგორც სიკედილით დასახჯელთა შვილები და წაეყვანა ისინი (სამეფო) კარზე, რათა იქ მოეკლათ“. შაჰმა „უწყალობა ისინი აშუშას, როგორც ფრიად საყვარელსა და ღვაწლმოსილ კაცს და (აუსრულა) ყველასათვის დაუჯერებელი მისი დიდი თხოვნა“ (ჯანაშია, ფარპეცი, 239—240).

როგორც ჩანს, არშუშას სათხოვარი მართლაც რომ ძალიან დიდი ყოფილა. როდესაც შაჰს არშუშას თხოვნა დაუკმაყოფილებია, იგი შაჰის წინ დავარდნილა, აქეთ-იქით გაგორებულა და თავი მიწაზე უცემია. გაკვირვებულ შაჰს უკითხავს, „ქართლის ბდემხო, რა არის ეგ ახალი საქმე, რაც დღეს გვიჩვენეო“-ო. არშუშას უპასუხია: „კეთილმოქმედო მეფეჲ, თქვენ

მე ასალი საჩუქარი მომანიჭეთ, რომელიც ჩემს სხვა მეგობართაგანს, (თქვენს) მსახურს, თქვენგან არ მიუღია. მეც თქვენთვის ასლებური თაყვანისცემით უნდა მეცა თაყვანი, როგორიც თქვენ სხვა მსახურთაგან არასოდეს გინახავთ“-ო. არშუშას საქციელი მეტად მოსწონებიათ შაჰსაცა და მის დიდებულებსაც (იქვე, ფარპეცი, 240-241).

როგორც ითქვა, ლაზართან არის ცნობები ვარსქენის დელაჰც. ვარსქენის დედას სასელად რქმევია ანუშერამი. იგი ყოფილა არწრუნების გვარიდან. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი უპირველესი გვარი სომხეთში. ოფიციალური ტაბელით ის მამიკონიანებსე წინაც კი იდგა და სომხეთის დიდებულთა გვარებში მეორე ადგილზე იმყოფებოდა (მამიკონიანებს მესუთე ადგილი ეკავათ). ჩანს, ანუშერამი განათლებული ქალი ყოფილა. თავის დასთან ძვიკთან, კმაიაკის ქვრივთან, ერთად ის თურმე ასწავლიდა ასალგაზრდა მამიკონიანებსა და ლაზარს. უნდა ვიფიქროთ, რომ მზრუნველობას ის არც თავის შვილებს, ვარსქენსა და ჯოჯიკს, მოაკლებდა.

ღაბოლოს, ლაზარ ფარპეცი ასხელებს თვით ვარსქენ პიტიახსილაც: „უცბად ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდემსი ვაზგენი მეფე პეროზის ოცდამესუთე წელს“ (ჯანაშია, ფარპეცი, 243). პეროზას ოცდამესუთე წელი 483-485 წლებია, მაგრამ აქ ლაზარს შეცდომა მოხვლია, სინამდვილეში ვარსქენი 482 წელს უნდა მოეკლათ (იქვე, 141-142).

რატომ უწოდებს ლაზარი ვარსქენს „ურჯულოს“? იმიტომ, რომ ვარსქენმა ქრისტიანობა უარჰყო? არა გვეკონია. ლაზარმა კარგად იცოდა, რომ ასეთი რამ სშირად სდებოდა, რომ მას-დეანობის მიღება ყოველთვის როდი ვამოსტავდა ზღამიანის ნამდვილ სურვილსა და განწყობილებას. ასეთი შემთხვევები ხომ თვით ლაზარსაც აქვს მოთხრობილი (ვარდანისა და ვაჰან მამიკონიანებს, არშუშასა და სხვათა ამბები). მხოლოდ მას-დეანობის მიღება არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ ლაზარს ვარსქენისთვის „ურჯულო“ ეწოდებინა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლაზარმა ვარსქენს „ურჯულო“ უწოდა შუშანიკის წამებისათვის. მაგრამ არც ეს ვარა-

უდი გვეჩვენება დამაჯერებლად. საქმე ისაა, რომ ლაზარმა შუშანიკის წამების ფაქტი საერთოდ არ აღნიშნა.

როგორც ითქვა, „სომხეთის ისტორიის“ დაწერისას ლაზარის მიზანი ისიც იყო, რომ განედიდებინა და შეექო მამიკონიანთა გვარი. ცხადია, შუშანიკის წამების ამბავი ამ თვალსაზრისით მისთვის მეტად მომგებიანი უნდა ყოფილიყო. მას შეეძლო ეჩვენებინა, რომ მამიკონიანთა წარმომადგენელი, მისი საყვარელი გმირის ვარდანის შვილი და მისი საყვარელი გმირისა და მფარველის ვაჟანის ბიძაშვილი ქართლშიც ისევე იბრძოდა ირანელების წინააღმდეგ და საქვეყნო საქმისთვის, როგორც მისი გვარიშვილები იბრძოდნენ სომხეთში. რატომ გაუშვა ლაზარმა ხელიდან ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა მამიკონიანთა შესაქებად, მან ხომ, ყოველ ეჭვს გარეშეა, იცოდა შუშანიკის წამების ამბავი?

პ. პეტერსი ლაზარის მიერ შუშანიკის მოუხსენებლობას შემდეგნაირად ხსნიდა: შუშანიკის უახლოესი ნათესავეები არ მისულან მის დასახმარებლად. თვით მისი ყველაზე ახლობელი ნათესავი, მისი გვარის მეთაური, ვაჟან მამიკონიანი, რომელსაც ევალებოდა მისი დაცვა მისი უღირსი ქმრისაგან, ამ დროს კავშირში იყო „ურჯულ პიტიახშთან“. „მეტი არაფრით არ უნდა აიხსნას ის სიჩუმე, რომელსაც იგი იცავს წმ. შუშანიკზე. ვარდან დიდის ქალის სასული არაფერ საპატიო მოსახსენებელს არ შეუქმნიდა იმ გმირს (იგულისხმება ვაჟან მამიკონიანი, ნ. ჯ.), რომლის შექებასაც მან ხელი მიჰყო“ (პეტერსი, 295). ი. აბულაძემ სავსებით გაიზიარა ეს აზრი: „ლაზარე უარყოფელთა პოლიტიკის მომხრე არ იყო, ამიტომაც ვარსკენის საქციელის გამობასთან ერთად მგმობელი იქნებოდა ისეთნაირისავე მოქმედებისაც ვაჟანის მხრივ, რომელიც, თვალთმაქცობითა თუ გულითადად, გმობდა ვარდანისა და მისი თანამოაზრეების პოლიტიკას. ამრიგად, ვაჟანის პიროვნების სათნოდ წარმოჩინების სურვილი უნდა იყოს მართლაც მიზეზი იმისა, რომ ვაჟან მამიკონიანის კარის ისტორიკოსი — ლაზარე ფარპელი — სრულიად არას ამბობს შუშანიკის ამბების შესახებ, რაც მისთვის, როგორც თანამედროვისათვის, ცხადია, უცხო არ იქნებოდა“ (აბულაძე, შუშანიკი, 018).

არა გვეგონია ლაზარის დუმილი შუშანიკზე ამ მიზეზებით აისხნებოდეს. 482—484 წლების აჯანყებამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ირანელები იძულებული გასდნენ მთელ რიგ დათმობებზე წასულიყვნენ. მათ შეწყვიტეს ქრისტიანობის დევნა, სოლო აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი, როგორც ითქვა, სომხეთის სპარაპეტად, 485 წ. კი მარზპანადც დანიშნეს. ვაჰანი ყოველგვარი დაფარვის გარეშე დაბრუნებია ქრისტიანობას. ლაზარი თავის წიგნს ამ ამბების შემდეგ წერდა. ამიტომ ვარსქენის განდგომის გმობა სრულებითაც არ აიძულებდა მას დაეგმო ვაჰანის ისეთივე მოქმედება (მას ხომ არც დაუფარავს ვაჰანის მიერ მაზდეანობის მიღება). თუნდაც რომ ვაჰანი თავის დროზე მართლაც ვარსქენის მოკავშირე ყოფილიყო, როგორც ამას ფიქრობდა პეტეტერსი, „სომხეთის ისტორიის“ დაწერის დროს ვითარება სულ მთლად შეცვლილი იყო და ლაზარს თავისუფლად შეეძლო შუშანიკის ამბავი ისე გადმოეცა, რომ მამიკონიანთა გვარიც შეექო და არც ვაჰანის სახელი შეებღალა, რატომ არ უშველა შუშანიკსო.

მაშ, მაინც რატომ არ მოისხენია ლაზარმა შუშანიკი და მისი წამების ამბავი? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ასეთი ვარაუდების დაშვება: ან ლაზარმა შუშანიკის წამება არ ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვან ამბად, რომ მოეტანა იგი თავის წიგნში, ან ეს ამბავი იმდენად განსხვავებულად იცოდა, ისეთი ვარიანტით, რომელიც არც იძლეოდა საშუალებას ძალიან ამადლებულ ტონებში ლაპარაკისა.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ლაზარი ვარსქენს „ურჯულოს“ არც მაზდეანობის მიღებისთვის უწოდებს და არც შუშანიკის წამების გამო.

სხვა შემთხვევებში ლაზარს ურჯულოდ მოხსენიებული ჰყავს ისინი, ვინც მაზდეანობის მიღებასთან ერთად საქმითაც ადასტურებდა თავის განდგომას და ირანის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი იყო.

როგორც ითქვა, ლაზარი არშუშას კარზე აღიზარდა, აწველიდა მას თვით არშუშას მეუღლე ანუშვრამი, არშუშამ პატიმრობას გადაარჩინა და აღზარდა ლაზარის კეთილისმყოფელი და მფარველი ვაჰან მამიკონიანი და მისი ძმები, ანუშე-

რამი და იყო ლაზარის სულიერი მოძღვარის აღან არწრუნისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაზარს განსაკუთრებული სიყვარული და მადლიერების გრძნობა ექნებოდა არშუშას და მისი ოჯახის მიმართ. არშუშას ოჯახში აღზრდილი ლაზარი, უეჭველია, ქართლის საქმეებს ქართლის პიტიახშის თვალთ უყურებდა. ქართლის პიტიახში კი, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, ამ დროს ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას, ქართლის მეფეს, ოპოზიციაში ედგა. უნდა ვიფიქროთ, რომ მტრული დამოკიდებულება ქართლის მეფისადმი ლაზარს რაღაცა ზომით უთუოდ გადაეღებოდა. შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს ზოგიერთი ის უარყოფითი დახასიათება, რომელსაც აძლევს ლაზარი ვახტანგს როგორც პიროვნებას. მაგრამ მეორე მხრივ, ქართლის მეფე, ამ შემთხვევაში, ვახტანგ გორგასალი, ირანელების წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის მეთაურია და, ამდენად, ლაზარის მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ვარსქენი კი, თუმცა, როგორც ითქვა, ყოველგვარი მონაცემებით ლაზარისთვის ახლობელი კაცი უნდა ყოფილიყო, ვახტანგის მოწინააღმდეგეა და ამდენად საერთო ქართულ-სომხური საქმის, ირანის წინააღმდეგ მებრძოლთა საქმის, შემაფერხებელი.

ვახტანგმა ვარსქენი მოაკვლევინა ანა მარტო როგორც თავისი მოწინააღმდეგე. არამედ როგორც ირანელთა მომხრეც. ჩანს, ლაზარი იღებს ქართლის მეფის ოფიციალურ შეხედულებას ვარსქენზე და ამ უკანასკნელს „ურჯულოს“ უწოდებს როგორც გამაზღვანებულსა და ირანელთა პოლიტიკის გამტარებელს.

დაბოლოს, როდესაც ჩვენ ლაზარ ფარპეცის ცნობებს ვისილავთ, უნდა აღინიშნოს შემდეგიც: მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, სწორედ ლაზარის ცნობებით ხერხდება შუშანიკის წამების დათარიღება. V საუკუნეში მცხოვრები ვარსქენ პიტიახში იხსენიება მსბოლოდ ლაზართან. ამასთან, ლაზარის ცნობები საშუალებას გვაძლევენ ვარსქენი არშუშა პიტიახშის შვილად მივიჩნიოთ. ამიტომ შეგვიძლია ჩვენ შუშანიკის წამება V ს-ის მეორე ნახევრით დავათარილოთ. თუ არ ლაზარის ცნობები, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ქართული წყაროების მიხედვით ეს ამბავი

ერთი საუკუნით უფრო გვიანდელ ეპოქაში გადაგვეტანა. ლაზარ ფარბეცის ცნობები იმითიცაა საყურადღებო, რომ ისინი ბევრ საგულისხმოს გვაძლევენ როგორც ეპოქისა და ამიერკავკასიაში არსებული სიტუაციის, ისე ირანის მიერ შექმნილი რეჟიმის გასარკვევად.

მოვსეს ხორენაცი. საყურადღებო ცნობები აქვს ჩვენი საკითხისათვის სახელგანთქმულ ძველ სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაციის, რომელსაც თავის „სომხეთის ისტორიაში“ მოთხრობილი აქვს სომხეთის წარსული უძველესი დროიდან V ს-ის ორმოციან წლებამდის.

ხორენაციის მოღვაწეობის ხანა დიდხანს იყო კამათის საგანი. მას ათავსებდნენ სხვადასხვა ეპოქაში, მეხუთედან მეცხრე საუკუნემდე. შესაძლებელია, გასარკვევი ამ მსრივ ჯერ კიდევ საკმაოდ მოიძებნოს, მაგრამ ბოლო დროს სომეხი მეცნიერები უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ მოვსეს ხორენაცი მეხუთე საუკუნეში მოღვაწეობდა. ამდენად, ვფიქრობთ, არ იქნება უსაფუძვლო, თუ ჩვენც მის ცნობებს განვიხილავთ იმ ავტორების ცნობებთან ერთად, რომლებიც უეჭველად ამ საუკუნეს განეკუთვნებიან.

ხორენაციისთან ჩვენ შევხედებით ზოგიერთ იმ ცნობებს, რომლებიც აქეთ კორიუნსა და ფავსტოს ბუზანდს. მაგალითად, შუმანიკის დედის, დსტრიკის, მონაწილეობაზე საქაკის დაკრძალვაში, ვარდან მამიკონიანის მოკვლაზე ვასაკის მიერ და ეაჰანის მოკვლაზე სამველის მიერ და სხვ.

ხორენაცი დაწერილებით გვიამბობს გადმოცემას მამიკონიანების ჩინეთიდან (ჭენასტანიდან) სომხეთში მოსვლის შესახებ. ხორენაციის სიტყვით, ჩინეთის მეფეს არბოკ ჭენბაკურს ორი ტყუპი ნახევარ-ძმა, ბღდოსი და მამგონი, ჰყოლია. ბღდოსის დასმენით მეფეს გადაუწყვეტია მამგონის მოკვლა, მაგრამ ის ირანში გაქცეულა. არბოკს ირანის მეფისგან მამგონის გაცემა მოუთხოვია, მაგრამ შაჰს იგი სომხეთში გაუგზავნია. ხორენაციის ცნობის თანახმად, ეს მომხდარა III ს. უკანასკნელ მეოთხედში. მამიკონიანები განსაკუთრებით დაწინაურებულან IV ს. ბოლოს, როდესაც მამიკონიანთა გვარის თავმა ჰამაზასპმა ცოლად შეირთო კათალიკოს საჰაკ პართევის შვილი საჰაკანუში და როდესაც საჰაკის თხოვნით ირანის

შავს ჰამაზასპი სომხეთის მთავარსარდლად დაუნიშნავს, ხოლო მამიკონიანთა გვარისთვის მეხუთე ადგილი მიუჩენია სომხეთის ნახარარებს შორის.

საინტერესო ცნობები აქვს ხორენაცის ვარდან მამიკონიანზე, შუშანიკის მამაზე. ხორენაცის გადმოცემით, სომეხ ნახარარებს მოუნდომებიათ სომხეთის მეფის არტაშესის (422—428) ტახტიდან ჩამოგდება. შაჰი შეპირებია საჰაკს, თუ ნახარარებს მხარს დაუჭერ, არტაშესის მაგივრად შენს შვილს შეიღებ. ვარდანს გაეამეფებო. მაგრამ საჰაკი არ მოხიბლულა ამ, მისთვის მეტად სასიამოვნო, წინადადებით და სომხეთის კანონიერი მეფისთვის არ უღალატია. მისი ასეთი პრინციპიალური პოზიციის გამო შაჰს საჰაკი კათალიკოსობიდან გადაუყენებია.

ასევე საინტერესო ცნობები აქვს შემონახული ხორენაცის შუშანიკის წინაპრების მეორე შტოზეც, გრიგორ განმანათლებლის შტოზე: გრიგორის მამა ანაკი, წარმომობით პართელი, სურენის გვარიდან, არშაკიდების ერთ-ერთი შტოდან, ე. ი. სამეფო წარმომავლობისა იყო. ხორენაცი გადმოგვცემს ანაკის სომხეთში მოსვლისა და მის მიერ მეფე თრდატის მოკვლის ამბავს. ხორენაცი დაწერილებით ყვება გრიგორ განმანათლებლის შეიღებისა და შეილთაშვილების, არისტაკესის, ვრთანესის, გრიგორისის, იუსიკის, ნერსესის, საჰაკის მოღვაწეობაზე. ხორენაცის აღწერიტაც ისინი უდიდესი მოღვაწეები იყვნენ და თითქმის ყველა სიმარტოლისთვის ეწამა კიდევაც.

განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ხორენაცი ნერსესისა და მისი შვილის საჰაკის მოღვაწეობაზე. ისინი ყველაზე უფრო ცნობილ პიროვნებათაგანი არიან სომხეთის ისტორიაში. ხორენაცი დაწერილებით გადმოგვცემს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის სომხური ანბანის გამოგონებაში საჰაკს, მესროპ მაშტოცის თანამშრომელსა და მფარველს, პირველ მთარგმნელთაგანს სომხურ ენაზე და დიდი მასშტაბის საზოგადო მოღვაწეს. ამ საჰაკზე წყდება გრიგორ განმანათლებლის შთამომავლობა მამაკაცის ხაზით.

ხორენაცი ახსენებს არშუშა პიტიახშსაც. ხორენაცის სიტყვით, ბორბორიტობის წვალებასთან სომხეთში მეზრძოლი მესროპი „ამავე საქმისათვის მიიპატიჟა გუგარელთა ბღეშხმა

აშუშამ თავის სამფლობელოში ტაშირელთა გავარში (ქვეყანაში). მივიდა, საუკეთესოდ და უმტკიცესად დამოძღვრა, ვიდრე რომელიმე სხვა მოწაფეები. ამ დროს ქართლის მეფე იყო ეინმე არძილი“ (ხორენაცი, 1913, 340—341; ხორენაცი, 1893, 201). ამ ცნობის კავშირი კორიუნის ზემოთ განხილულ ცნობასთან აშკარაა, ოღონდ ხორენაციისთან საზგასამითაა აღნიშნული, რომ მესროპი არაშუშამ თავისთან მწეალებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიწვია.

ხორენაცი გვიამბობს ვარსქენის დედის, არწრუნების, გვარზეც. ამ ცნობის მიხედვით, არწრუნების გვარიც ძალიან ძველი და სამეფო წარმოშობისაა. ბიბლიური ტრადიციით ასურეთის მეფე სინაქერიბი (705—680) მოკლეს მისმა შვილებმა. ხორენაციის სიტყვით, მამის მოკვლის შემდეგ ისინი გამოიქცნენ სომხეთში, სადაც ისინი დაასახლა სომეხთა პირველმა მეფემ მსკაიორდიმ. არწრუნები ყოფილან სინაქერიბის ერთ-ერთი ვაჟის, ადრამელექის, შთამომავალნი. როგორც ხორენაცი გადმოგვცემს, არწრუნები ძალიან ამაყობდნენ ამ ამბით (ხორენაცი, 1913, 70—71; ხორენაცი, 1893, 37). ხორენაცი ცდილობს დაადგინოს „არწრუნი“-ს ეტიმოლოგია და ამბობს, რომ „არწრუნი“ სინამდვილეში უნდა იყოს „არწვი უნი“ („არწვი აქვს“), რადგან მათ მეფის წინ არწივი მიჰქონდათო (ხორენაცი, 1913, 111; ხორენაცი, 1893, 57).

ამრიგად, მოვსეს ხორენაციისაც, ისევე, როგორც მეხუთე საუკუნის სხვა სომეხ ისტორიკოსებს, მრავალი ცნობა შემოუნახავს შუშანიკის გვარზე და წინაპრებზე, როგორც საკუთრივ მამიკონიანებზე, ისე გრიგორ განმანათლებლის შტოზე. ბევრი ცნობები აქვს ხორენაციის ვარსქენის წინაპრებზეც დედის ხაზით, არწრუნებზე. ახსენებს იგი ვარსქენის მამასაც, არშუშას.

როგორც ვხედავთ, V ს-ის სომხური ისტორიოგრაფია საინტერესო ცნობებს გვაწვდის შუშანიკის წარმომავლობაზე. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ შუშანიკის გვარი, მამიკონიანები, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და სამეფო წარმოშობის გვარი იყო ძველ სომხეთში. იგი სხვებზე მეტად იყო მიჩნეული საერო საქმეებში დაწინაურებულად. სომეხი ისტორიკოსების თანახმად, ყველაზე ცნობილი სარდლები, გმირები,

სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი IV—V საუკუნეებში სწორედ ამ გვარის შვილები ყოფილან. ამ პერიოდის სომხეთის ისტორიაში ყველაზე უფრო ბედნიერი ყოფილა ის წლები, როდესაც მამიკონიანები მართავდნენ სომხეთს. მამიკონიანები თითქმის სომხეთის მეფეებსაც კი ეცილებოდნენ ხელისუფლებაში. ამავე დროს მამიკონიანები კულტურულ ასპარეზზედაც მოწინავენი ყოფილან. შუშანიკის წინაპართა მეორე შტო სომ კიდევ უფრო ცნობილი იყო. ეს შტოც სამეფო წარმოშობისა ყოფილა. იგი პირდაპირ სომხეთის განმანათლებელ გრიგორიდან მოდიოდა და მისი წარმომადგენლები სულ წმინდანებად შერაცხილი სომხეთის მღვდელმთაფრეები იყვნენ. მათი დამსახურება ყოფილა არა მარტო სომხეთის გაქრისტიანება, არამედ მაშტოცთან ერთად სომხური ანბანის შექმნაში მონაწილეობაც.

V ს-ში მამიკონიანებსა, გრიგოლ განმანათლებელსა და მის შთამომავლობაზე უკვე მთელი წიგნებიც კი ყოფილა დაწერილი. ამ გვარებზე შექმნილი ყოფილა მთელი ფოლკლორული ეპიური ციკლებიც. ცხადია, ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას, როდესაც მსჯელობა იქნება შუშანიკის პიროვნებასა და ხასიათზე.

V ს. სომეხი ისტორიკოსების თხზულებებში დაცულია ცნობები შუშანიკის მშობლებსა და უახლოეს ნათესავებზე. ისინი საშუალებას გვაძლევენ გავითვალისწინოთ ის ფსიქოლოგიური გარემო, რომელშიც იზრდებოდა შუშანიკი. V ს. სომეხი ისტორიკოსები მოგვითხრობენ ვარსქენის მშობლებსა და თვით ვარსქენზეც. განსაკუთრებით საინტერესოა ლაზარ ფარპეცის ცნობები, რომელთა მნიშვნელობა იზრდება იმის გამო, რომ ისინი ეკუთვნიან კაცს, რომელიც უშუალოდ და, ამასთან, კარგად იცნობდა „შუშანიკის წამების“ ყველა მოქმედ პირს. ფაქტობრივ, სწორედ ამ ცნობების წყალობით ხერხდება „წამების“ გმირების იდენტიფიკაცია და „წამების“ ამბავის დათარიღება. როგორც შემდგომში დავინახავთ, ეს ცნობები დაგვესმარება „წამებაში“ აღწერილი ამბების ნამდვილი მნიშვნელობის გაგებაშიც.

მამიკონიანებსა და, ხაერთოდ, შუშანიკის წინაპრებზე ცნობები მოიძებნება უფრო გვიანდელ თხზულებებშიც. მაგ-

რამ ჩვენ შემოვიფარგლებით V ს-ის ავტორებით, რადგან მათი შრომები პირველწყაროს წარმოადგენენ გვიანდელი ავტორებისთვის და, ამასთან, ისინი ჩვენთვის საინტერესო ეპოქის თანამედროვენი არიან.

„ეპისტოლეთა წიგნი“

მეტად საინტერესო ცნობებია ძველ სომხურ კრებულში „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელშიც წარმოდგენილია სომხეთისა და სხვა ქვეყნების ეკლესიების მესვეურთა მიმოწერა სარწმუნოების საკითხებზე. კრებულში შემონახულია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების პერიოდის (VII ს. დასაწყისის) სომეხი და ქართველი მღვდელმთავრების მიმოწერაც. ამ წერილებში რამდენჯერმე იხსენიება შუშანიკიც. უნდა ითქვას, რომ ეს არის უძველესი ხსენება შუშანიკისა ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ წყაროებში, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით თვით „შუშანიკის წამებას“. „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები მეტად საინტერესოა იმიტაც, რომ ისინი სრულიად ახლებურად გვიხასიათებენ შუშანიკს. როგორც მოღვაწეს. ამასთან, ეს ცნობები ძალზედ საყურადღებო მასალას იძლევიან ქვემო ქართლის საპიტიახშოს ისტორიისათვის.

„ეპისტოლეთა წიგნი“ შუშანიკის სახელს პირველად ვხვდებით სომხეთის კათალიკოს აბრაამის პირველ ეპისტოლეში ქართლის კათალიკოს კირიონისადმი. სანამ უშუალოდ ამ წერილს გავეცნობოდეთ, გავიხსენოთ, რა უძლოდა მას წინ: ცურტავის ეპისკოპოს მოსეს უთანხმოება მოუვიდა ქართლის კათალიკოს კირიონთან და 605/606 წლების ზამთარში, (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 133) გაიქცა სომხეთში. იგი გაჩერდა ჰოვანავანქის მონასტერში, საიდანაც წერილი მიწერა დვინში სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველს, ან, თანამედროვე სიტყვით, სომხეთის კათალიკოსის მოვალეობის დროებით აღმასრულებელ ვრთანესს (ვრთანესი ამ მოვალეობას ასრულებდა 604 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა კათალიკოსი მოვსეს ელივარდელი, 607 წლამდე, როდესაც ასად

კათალიკოსად არჩეულ იქნა აბრაამ აღბათანელი). მოსე უჩიოდა კირიონს, რომ მან უღალატა მონოფიზიტობას და მიემსრო დიოფიზიტობას ქართლის მთელ სამღვდელეობასა და დიდებულებთან ერთად. მოსეს თხოვნით ერთანესმა წერილები მისწერა კირიონსა და ქართლის დიდებულებს, მოწოდებით — არ მიმსრობოდნენ დიოფიზიტობას და არ გასთიშოდნენ სომხებს. ერთანესის წერილებს შედეგი არ მოჰყოლია. საპასუხო წერილში ქართლის აზნაურებმა აცნობეს მას, რომ არ აპირებდნენ აღებული გეზის შეცვლას. 607 წ. აპრილის პირველ ნახევარში (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 151—152) დვინის საეკლესიო კრებამ სომხეთის კათალიკოსად აირჩია აბრაამ აღბათანელი. მოსემ ახლა მას მიმართა თავისი საჩივრით. მოსეს თხოვნის შედეგად აბრაამმა კირიონს მისწერა სწორედ ის წერილი, რომელშიც, როგორც ითქვა, პირველად იხსენიება შუშანიკი.

აბრაამი ახსენებს კირიონს, რომ იგი, კირიონი, ადრეც არასწორად მოქცეულა სარწმუნოების საკითხში, რაზედაც მისთვის მიუთითებია აბრაამის წინამავალ სომხეთის კათალიკოს მოვსეს ელივარდელს. მაშინ „თქვენც წერილით და მცნებით იკისრეთ, რომ არ განშორდებოდით ზიარებას ჩვენი ქვეყნის საერთო სარწმუნოებასთან. ახლა კი უბოროტესმა და უმძიმესმა (ამბაემა) მოაწია და ვისმინეთ ჩვენ. სარწმუნოების ერთობას და ორთავე ჩვენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტავის ეკლესია ურყევი შუამავლობით იცავდა, სადაც სიყვარული, სორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება სრულდებოდა შეებით აღსავსე სიხარულით. აქედან მცხეთაში ჯვარს მიდიოდნენ და მანდედან წმინდა კათოლიკეს (მოდიოდნენ). ამჟამად ცურტავის ეპისკოპოსი დენილია (იმის გამო), თუ რად ბრძანებო მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარებას და სომხური მსახურება, წმინდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ. ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“ (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 66—67).

მოტანილ ამონაწერში ბევრი რამ არის საინტერესო, მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა ერთ საკითხზე. მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს აბრაამი კირიონის

ყველაზე დიდ დანაშაულად („სიკვდილზე უბოროტესად“) თვლიდა სომხური მსახურების შეცვლას. ასე მიაჩნდა თავის დროზე ივ. ჯავახიშვილსაც (ჯავახიშვილი, საეკლესიო განსეთქილება, 528–529).

მაგრამ, ვფიქრობთ, აბრაამის სიტყვების ასეთი გაგება სწორი არაა. აბრაამისთვის აღსარების საკითხს, უეჭველია, მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე მღვდელმსახურების ენას. პირიქით რომ ყოფილიყო, აბრაამი, ალბათ, არც იტყოდა ამას. აბრაამის სიტყვები — „სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“ — უნდა შეესებოდეს არა მართო იმ წინადადებას, რომელსაც იგი უშუალოდ ამისდევს („სომხური მსახურება, წმინდა მუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ“), არამედ საერთოდ მთელ ამბავს — ქართლის განდგომას მონოფიზიტობისაგან და დიოფიზიტობაზე გადასვლას, ცურტავის ეპისკოპოსის განდევნას ქართლიდან, სომხური მღვდელმსახურების შეცვლას და ყველაფერ იმას, რაც უნდა მოჰყოლოდა ქართლის ეკლესიის ამ მიმართულებას. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ დაწერილებით ვმსჯელობთ სხვაგან (ჯანაშია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები, 167–170) და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ხოლო რაც შეეხება კირიონისადმი წაყენებულ ბრალდებას — მუშანიკისაგან დადგენილი სომხური მსახურება შეგიცვლიათო, იმისთვის რომ ზუსტად გავიგოთ ამ ბრალდების შინაარსი, პირველ ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს „სომხური მსახურება“.

„სომხური მსახურება“ უმთავრესად გაგებულია, როგორც მსახურება სომხურ ენაზე (ჯავახიშვილი, საეკლესიო განსეთქილება, 528–529; პეტერსი, მუშანიკი, 264; ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 136). ამასთან, ზ. ალექსიძე თვლის, რომ, შესაძლებელია, საკითხი ესებოდეს წესის და ლიტურგიკის ხასიათსაც (ალექსიძე, იქვე, 152) და თვით დოგმატიკასაც კი (იქვე, 237).

ვფიქრობთ, „სომხური მსახურება“, ამ შემთხვევაში, უნდა ნიშნავდეს მსახურებას სომხურ ენაზე, შესაძლებელია, ლიტურგიკასა და მსახურების წესსაც, მაგრამ არა დოგმატიკას

(დაწერილებით ამ საკითხზეც იხ. ჯანაშია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები, 170—178).

მაშასადამე სომხეთის კათალიკოს აბრაამის სიტყვით, სომხური მსახურება, ე. ი. სომხურ ენაზე მსახურება, ცურტავში შემოუღია შუშანიკს.

თავის საპასუსო წერილში კირიონი უარყოფს სომხური მსახურების შეცვლას, შუშანიკს კი არ ახსენებს. ფიქრობთ, შუშანიკის მოუხსენებლობა კირიონის მიერ არ ნიშნავს იმას, რომ ამ უკანასკნელს შუშანიკი არ მიაჩნდა სომხური მსახურების შემომღებად. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ შუშანიკის სახელი, როგორც წამებულისა და წმინდანისა, დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ცხადია, აბრაამისთვის მეტად მომგებიანი იყო შუშანიკის ავტორიტეტის მოშველიება: თქვენ ცვლით იმ სომხურ მსახურებას, რომელიც თვით წმინდა შუშანიკისგან არის შემოღებული! მართალია, კირიონი უარყოფს მის მიერ რაიმე ცვლილებების შეტანას არსებულ ვითარებაში, მაგრამ შესაძლებელია, რომ რაღაცა სიახლეების შემოტანას იგი მაინც აპირებდა (ამაზე ქვემოთ), ამიტომ კირიონისთვის ხელსაყრელი იყო თუ არსებული ვითარება, არსებული წესები დაკავშირებული არ იქნებოდა შუშანიკის სახელთან და თვითონაც შეეცდებოდა ერგვნებინა ეს, თუკი ამისი საფუძველი ან საშუალება ექნებოდა. სწორად აქვს შენიშნული პ. პეტერსს, „კირიონიც ასახელებს წმ. შუშანიკს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მას ეს ბევრად უფრო ნაკლებად აინტერესებს“-ო (პეტერსი, შუშანიკი, 303). ზ. ალექსიძეს კარგად აქვს ნაჩვენები, როგორი ნიჭიერი და ჭკვიანი პოლემისტი იყო კირიონი (ეპისტოლეთა წიგნი, 021—022). უეჭველია, მას ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი, როგორიც იყო სომხური მსახურების დაკავშირება შუშანიკთან, მხედველობიდან არ გამოორჩებოდა. მისი დუმილი ამ საკითხზე გვიჩვენებს, რომ ან ის ეთანხმებოდა ცნობას სომხური მსახურების შუშანიკის მიერ შემოღებაზე, ან მას არ ჰქონდა საშუალება ამ ცნობის უარყოფისა. ჩვენი აზრით, „ეპისტოლეთა წიგნში“ არის იმის თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ მაინც მოწმობა, რომ კირიონიც მიიჩნევდა შუშანიკს სომხური მსახურების შემომღებად. თავის მეორე ეპისტოლეში აბრაამისადმი,

კირიონი წერს: „მაგაზე (მოსეზე, ნ. ჯ.) ადრე ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავში იყვნენ წმინდა შუშანიკიდან [მოყოლებული] — აფოცი, გარნიკ, საჰაკ, ელიშა, იაკობ, იოჰან, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოჰანე — ეს ეპისკოპოსები, ზოგნი სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან იყვნენ, სომხეთში განსწავლულნი, მეცნიერნი და მოძღვარნი“ (ალექსიძე, უხტანესი, 284; ციტაციას ვახდენთ არა „ეპისტოლეთა წიგნიდან“, არამედ უხტანესის „ისტორიის“ გამოცემიდან, რადგან ამ უკანასკნელშია წარმოდგენილი განსასილველი ადგილის კონიექტურა, მიღებული ტექსტის სპეციალური შესწავლის შედეგად. „ეპისტოლეთა წიგნში“ ეს ადგილი რამდენადმე განსხვავებულადაა. გვ. 89).

რატომ ჩამოთვლის კირიონი ეპისკოპოსებს შუშანიკის დროიდან? იმიტომ, რომ საეპისკოპოსო კათედრა ცურტავში შუშანიკის დროიდან იქნა დამტკიცებული? ასე ფიქრობდა პ. პეეტერსი, რომელიც, იხილავდა რა ეპისკოპოსთა სიას, აღნიშნავდა: „ამ დიპტიხში ჩაწერილი პირველი სასელი არის ეპისკოპოს აფოცისა, რომელიც ამ თანამდებობას ასრულებდა შუშანიკის დროს. აქედან გამომდინარეობს, რომ წმინდანმა (შუშანიკმა, ნ. ჯ.) არა მარტო სომხური ლიტურგიკა დაადგინა ცურტავში. მის ინიციატივას უნდა უმაღლოდეს ეს ეკლესია იმითაც, რომ იგი საეპისკოპოსო ცენტრად იქცა“ (პეეტერსი, შუშანიკი, 264—265). ამასთან, პ. პეეტერსის სიტყვით, „ცურტავმა საეპისკოპოსო ცენტრის რანგი მიიღო თავისი მნიშვნელობის გამო, როგორც ცენტრალურმა პოსტმა იბერიასომხეთის სამხედრო საზღვრის მაღალი სარდლისა“ (იქვე, 265). ცოტა ქვემოთ პ. პეეტერსი აღნიშნავს შემდეგსაც: ნერსეს პართევის ცხოვრების მესამე თავში ნათქვამია, რომ სომხეთის კათალიკოსს კესარიაში გაჰყვა ცურტავის ეპისკოპოსი ზავენი იმპერატორ ვალენტის (364—378) დროს. „მაგრამ ამ მოწმობის ზუსტი ფასის გასარკვევად საკმარისი იქნებოდა დეტალურად განხილვა აბსოლუტურად ფანტასტიკური კათალოგისა იმ სომეხი მთავრებისა და მღვდელმთავრებისა, რომლებიც ვითომ უნდა ესილა კესარიას წმ. ბასილის წინამძღოლობით მიშავალნი. თუმცა თავისთავადაც ცხადია, ყოველგვარი დამატებითი საბუთის გარეშეც, რომ წმ. შუშანიკს არ

დაჭირდებოდა სომხური ლიტურგიკის შემოღება იმ ეკლესიაში, სადაც ერთი საუკუნის წინ იჯდა ეპისკოპოსი, რომელიც ექვემდებარებოდა წმ. ნერსეს დიდს“ (პეტერსი, შუშანიკი, 265). ზემოთქმულის შესაბამისად, პ. პეტერსს აფოცი სომეხად მიაჩნდა: „აფოცი, რომელიც იწყებს ცურტაეის ეპისკოპოსთა სიას პიტიახშის სახლის ეპისკოპოსის სარისხში, ყოველგვარი მონაცემის თანახმად იყო წმ. შუშანიკის თანამემამულე, მასთან ერთად მოსული სომხეთიდან ან მისი თხოვნით ხელთდასხმული“ (იქვე, 297).

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ცურტაეი იყო ცენტრი უზარმაზარი ერთეულისა, საპიტიახშოსი, რომელიც თითქმის მთელ ქვემო ქართლს მოიცავდა და რომლის დიდ მნიშვნელობაზე თვით პ. პეტერსიც ლაპარაკობს. შეუძლებელია, რომ ცურტაეში ეპისკოპოსი არ მჯდარიყო შუშანიკამდე, თუნდაც იმავე არშუშა პიტიახშის დროს. ამდენად, არც ის ცნობა გამოიყურება ისე ფანტასტიკურად, რომლის თანახმადაც ცურტაეში ეპისკოპოსი უკვე IV ს-ში მჯდარა. მაგრამ თუნდაც მიგველო, რომ საეპისკოპოსო კათედრა ცურტაეში შუშანიკის დროს იქნა დაარსებული, კირიონის მიერ ეპისკოპოსების ჩამოთვლას შუშანიკიდან სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს: კირიონი ჩამოთვლის ეპისკოპოსებს, რომლებსაც განათლება მიღებული ჰქონდათ სომხეთში. ეს კი გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმითი, რომ ცურტაეის ეპისკოპოსს თანაბრად უნდა სცოდნოდა ქართულიცა და სომხურიც, რათა მღვდელმსახურება ორივე ენაზე შეესრულებინა. ბუნებრივია, რომ ქართლში მიღებული განათლების სრულყოფისათვის ცურტაეელი მღვდელმსახურები სომხეთში მიდიოდნენ, მით უმეტეს, რომ მათ შორის ქართველებიც იყვნენ. ვასაგებია, ასეთი წესის შემოღება ცურტაეში მოსალოდნელია მას შემდეგ, რაც იქ დამკვიდრდა მსახურება ორ ენაზე. ჩვენ კი ვნახეთ, რომ სომხური და, მაშასადამე, ორენოვანი, მსახურების შემომღებად ითვლებოდა შუშანიკი. სავსებით სწორად აღნიშნავს ზ. ალექსიძე, კირიონი ეპისკოპოსებს ჩამოთვლის „შუშანიკიდან იმიტომ, რომ საკამათოდ შუშანიკის მიერ დაწესებული სომხური მღვდელთმსახურებაა გამხდარი“-ო

(ეპისტოლეთა წიგნი, 158). ამდენად, არც ისაა სავალდებულო, რომ აფოცი უსათუოდ სომეხი ყოფილიყო.

შუშანიკს, როგორც სომხური მსახურების დამდგენელს, აბრაამი ახსენებს თავის ენციკლიკურ წერილშიც (იქვე, 121).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ VII ს. დასაწყისში სომხეთსა და ქართლში შუშანიკი მიჩნეული იყო სომხურ ენაზე საეკლესიო მსახურების შემომღებად ცურტავის საეპისკოპოსოში. რამდენად რეალურია ეს ცნობა? ვფიქრობთ, რომ არაფერი შეუძლებელი ამაში არაა, თუმცა კი გარკვეული სირთულეები ამ სიასლის შემოღებას უთუოდ ასლდა. ამ სირთულეთა შესახებ პ. პეეტერსი ამბობს: „თავისთავად ცხადია, რომ წმინდანი (შუშანიკი, ნ. ჯ.) ცურტავში იყო როგორც თითქმის მთლად დამოუკიდებელი მმართველი. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ის ვერ შეძლებდა იმ სიასლის განმტკიცებას, რომელიც არასოდეს არსად არ შემოუღიათ ისე, რომ ომი არ დაწყებულიყო. გადაწყვეტა იმისა, რომ შემდგომში მსახურება სომხურად შეესრულებინათ, უბრალო ქალს, თვით დიდ ქალბატონსაც, ბოლომდე არ შეეძლო, მას რომ ზევით უფრო დიდი ქალბატონი ჰყოლოდა, რომელსაც თავის სურვილს ვერ უკარნახებდა“ (პეეტერსი, შუშანიკი, 266). როგორც საპიტიახშოს უმაღლესი საერო გამგებლის მეუღლე, რომელიც დედოფლადაც კი იწოდება იაკობის თხზულებაში, შუშანიკი შეიძლება ინიციატორად, შუამდგომლად გამოსულიყო საერო და სასულიერო ხელისუფლების წინაშე სომხურ ენაზე მღვდელმსახურების შემოღების თაობაზე. ამდენად ეს მსახურება მის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული. ცხადია, ასეთი რამის გაკეთება მას შეეძლებოდა მანამ, სანამ დაიწყებოდა მისი კონფლიქტი ვარსქენთან. შემდეგ ვარსქენი, ალბათ, აღარ დათანხმდებოდა ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილების ჩატარებაზე. ნიშანდობლივია, რომ იაკობი, რომელიც აღწერს შუშანიკის ცხოვრების უკანასკნელ ექვს წელს, ე. ი. მისი ცხოვრების იმ ხანას, როდესაც კონფლიქტი მასსა და ვარსქენს შორის განსაკუთრებით გამწვავდა, არაფერს ამბობს ამ საკითხზე. ამგვარად, სომხური მსახურების შემოღება უნდა მომხდარიყო 469 წლამდე, როდესაც იწყება „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი ამბები და მას შემდეგ, რაც შუშანიკი გათხოვდა ვარ-

სქენზე, ე. ი. V ს. 50-იანი წლების ბოლოს ან 60-იანი წლების დასაწყისში.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ სომხურ-ქართული მწიგნობრობის მცოდნე ეპისკოპოსების ჩამოთვლას კირიონი იწყებს აფოციდან. უნდა ვიფიქროთ, რომ აფოცი იყო პირველი ეპისკოპოსი, რომელიც ამ თანამდებობაზე დაინიშნა ცურტავში მას შემდეგ, რაც იქ შემოღებული იქნა მსახურება სომხურ ენაზე. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ, როდესაც იწყება „შუშანიკის წამება“, აფოცი, მართლაც, უკვე ეპისკოპოსია.

ასლა შევეცადოთ გავარკვიოთ თუ რას გულისხმობდა უფრო კონკრეტულად შუშანიკის მიერ სომხური მსახურების შემოღება.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: «Этот, третий по счету, пункт обвинения армянского духовенства, предъявленного к католику Кириону, касается вопроса о богослужбном языке в церкви св. Шушаники, кафедрале цуртавской епархии» (ჯავახიშვილი, საეკლესიო განხეთქილება, 528). «Подобный оборот дела, — перенесение центра тяжести распрей на вопрос о богослужбном языке в часовне св. Шушаники, — осложнил и без того трудно примиримый, догматический спор о двух или одном естестве в И. Христе» (იქვე, 529). აბრაამისადმი კირიონის პირველი საპასუხო ეპისტოლე სათანადო ადგილის მოყვანისას ივ. ჯავახიშვილი ასკენიდა: «Следовательно, в данном случае речь могла быть не об уничтожении: грузинский католикос только ввел службу на двух языках. Из того, что армяне протестуют против этого, видно, что прежде в церкви св. Шушаники служба отправлялась исключительно на армянском языке, хотя паства была двуязычная: там жили и грузины и армяне, и епископами бывали то армяне, то грузины. Достоинно внимания, что когда Кирион рассказывает о том, как цуртавскими епископами бывали иной раз армяне, иной раз грузины, то про грузин он прибавляет, «из знающих армянскую грамоту», между тем как о знании армянами-епископами грузинской грамоты он ничего не говорит. Очевидно, грузинам-епископам знание армянской грамоты было необходимо потому, что в цуртавской церкви богослужение велось на армянском языке. И вот, католикос Кири-

он уравнил оба языка, введя службу и на грузинском языке» (ჯავახიშვილი, საეკლესიო განხეთქილება, 529—530). ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ასეთია: ცურტაეში ცხოვრობდნენ ქართველებიცა და სომხებიც. მიუხედავად ამისა, ცურტაეის კათედრალურ ტაძარში (ივ. ჯავახიშვილი მას უწოდებს წმ. შუშანიკის ეკლესიასაც და წმ. შუშანიკის სამლოცველოსაც — часовня-ს, რასაც, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, თავისი გამართლება აქვს) მსახურება სრულდებოდა მხოლოდ სომხურად. კირიონმა შემოიღო მსახურება ქართულადაც. მანამდე ქართველი ეპისკოპოსისთვის სომხური მწიგნობრობის ცოდნა აუცილებელი იყო, რადგან მსახურება მხოლოდ სომხურად მიმდინარეობდა.

აქვე დაეუმატებთ იმასაც, რომ სომხური მსახურება ივ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, შუშანიკის შემოღებულად კი არ მიაჩნდა, არამედ მის საპატივცემულოდ დაწესებულად. აბრაამის სიტყვებს *ყაყაჯთაშან ჩაკიჩქს სირიქ შილან დკარყას-ორხასქს* („სომხური მსახურება, წმინდა შუშანიკისგან დადგენილი“) ივ. ჯავახიშვილი ასე თარგმნიდა: «Армянское богослужение, установленное (в честь) святой Шушаники» (ჯავახიშვილი, საეკლესიო განხეთქილება, 528).

ამავე საკითხებს ეხება ზ. ალექსიძეც. „ეპისტოლეთა წიგნში“ მას გამოთქმული აქვს შემდეგი დებულებები: ცურტაეის საეპისკოპოსო ორ თემად იყოფოდა — ქართულ (ანუ ქართულენოვანად) და სომხურ (ანუ სომხურენოვანად). ქართულ თემში მსახურება აღსრულდებოდა ქართულად, სომხურში — სომხურად. ამიტომ ეპისკოპოსები, რომელთაგან ზოგი სომეხი იყო, ხოლო ზოგი ქართველი, ვალდებული იყვნენ თანაბრად სცოდნოდათ სომხური და ქართული ენები და მწერლობა. ამისთვის ისინი სპეციალურ სკოლას გადიოდნენ, რომელიც სწორედ ამ ორი ენისა და მწერლობის ცოდნას გულისხმობდა. ცურტაეის სამწყსოში უპირატესობა მაინც ქართულს ეძლეოდა. „სომხეთის ეკლესიის მესვეურთა ბრალდება კირიონის მიერ სომხური მღვდელმსახურების მოშლის შესახებ ეხება არა მთლიანად ცურტაეის სამწყსოს, არამედ სწორედ ამ სომხურად მოლაპარაკე თემს. ქართულად მოლაპარაკე თემში

მღვდელმსახურება, ჩანს, წინათაც და ახლაც ქართულად აღსრულდებოდა. კირონის ინიციატივა კი იყო თვით სომხურ თემშიც ორი ენის შემოღება ოფიციალურ საეკლესიო ენად“ (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 050 – 051 და 136).

შემდგომში ზ. ალექსიძემ კიდევ უფრო დააზუსტა თავისი შესედულებანი: „მაშასადამე, „სომხური მსახურება და წესი“ გულისხმობს არა მთლიანად ქართულ ეკლესიას, ან თუნდაც ცურტავის საეპისკოპოსოს, არამედ მხოლოდ შუშანიკის ნემტზე აგებულ სამარტილეს, სადაც ღვთისმსახურება სომხურ ენაზე სრულდებოდა კირონ კათალიკოსამდე, ხოლო მან სომხურის გვერდით ქართულიც დანერგა. აი, ამ სამარტილეს გარშემო დაჯგუფებული სომხური მოსახლეობა იყო ორგანიზაცია, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნში“ „სომხურ-ვანი თემი (სამწყსო)“ ეწოდება (ალექსიძე, უხტანესი, 245–246).

აბრამის ბრალდების საპასუხოდ სომხური მსახურების შეცვლაზე კირიონი ამტკიცებდა, რომ მას არაფერი შეუცვლია: „ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც აგრეთვე, მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდება“-ო (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 70). ასეთივე პასუხს აძლევს კირიონი სომხეთის მმართველ ვრკანის მარზპან სმბატსაც, რომელმაც აბრამთან ერთად ანალოგიური შინაარსის წერილი მისწერა კირიონსა და ქართლის მთავრებს სომხეთის საერო წინამძღოლთა სახელით: „იმ ეკლესიის სამსახური და წესი მცირედაც შეუცვლელია. ხოლო ეპისკოპოსმა, რომელიც დავადგინეთ, ქართული და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცის და სამსახურს ორივე მწიგნობრობით ასრულებს“-ო (პირველი წინადადება ციტირებულია ისე, როგორც იგი ადადგინა ზ. ალექსიძემ თავის წიგნში „უხტანესი“, 277, მეორე კი მოტანილია „ეპისტოლეთა წიგნიდან“, 78). კირიონის სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ მოხეს გაქცევამდეც ცურტავის საეპისკოპოსოში მსახურება ორ ენაზე სრულდებოდა და არა ერთზე. რადგან სომხური მსახურების შემომღებად შუშანიკი იყო მიჩნეული, გამოდის, რომ მანამდე მღვდელმსახურება ცურტავის ეკლესიაში, (ისევე, ალბათ, როგორც დანარჩენ

ქართლში, ერთ ენაზე, მხოლოდ ქართულზე, წარმოებდა¹, მამროგორ უნდა გავიგოთ შუშანიკის მიერ სომხური მსახურების შემოღება ცურტავში? მანამდე იქ სომხური მოსახლეობა არ იყო, მხოლოდ შუშანიკის დროს გაჩნდა და ამიტომაც გახდა საჭირო სომხური მსახურების შემოღება?

როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ს. პირველ მეოთხედში არტაშესისა და ზარეჰის ასლადშექმნილმა სომხურმა სამეფოებმა იბერიას ჩამოაჭრეს სამხრეთის რამდენიმე ოლქი, რომელთა შორის იყო გუგარეთიც, ბერძნულად გოგარენე (სტრაბონი, XI, 14,5). ეს უკანასკნელი დიდ სომხეთში კქმნიდა გუგარქის საპიტიახშოს, ერთს ოთხ სომხურ საპიტიახშოთაგანს. საუკუნეთა განმავლობაში იბერია-ქართლი იბრძოდა დაკარგული მიწების დაბრუნებისათვის, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდევაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა IV ს. მეორე ნახევარში მომხდარ ამბებზე: 387 წ. ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, დიდი სომხეთის ზოგიერთი სანაპირო ოლქი დამოუკიდებლად გამოცხადდა, სოლო შუა ქვეყანა ირანმა და ბიზანტიამ გაიყო. დიდმა სომხეთმა არსებობა შეწყვიტა. თუ ცოტა ადრე არა, ყოველ შემთხვევაში ამ დროიდან მაინც გუგარქის საპიტიახშოს ჩრდილო ნაწილი ქართლს დაუბრუნდა. მისი სამხრეთი ნაწილი ქართლში შევიდა მოგვიანებით, V ს-ის შემდეგ. როგორც ჩანს, ქართლში შესული გუგარქის ნაწილი ქართლის პიტიახშების სამფლობელოებს შეუერთდა. ამრიგად, V ს-ის ქართლის პიტიახშების, და მათ შორის ვარსქენის, სამფლობელოების ნაწილს წარმოადგენდნენ ის მიწებიც, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში სომხეთში შედიოდნენ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ამ მიწებზე სომხური მოსახლეობაც გაჩნდებოდა.

¹ ქართლის გაქრისტიანების დროს სამღვდელმსახურო წიგნებისა და სახარების ქართულად არარსებობისა და ქართველ მღვდელმსახურთა არყოფნის პირობებში მღვდელმსახურება, ალბათ, ბერძნული იქნებოდა, მაგრამ V ს-ში ქართული მწერლობა უეჭველად არსებობს და ქართულად სამღვდელმსახურო წიგნების არსებობაც ფაქტია. ცხადია, ადგილობრივი მღვდელმსახურებიც უთუოდ არიან. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ამ დროს მღვდელმსახურებაც უკვე ქართულად წარმოებს. ამის გამო სწორად არ მიგვაჩნია ასეთი შესაძლებლობის დაშვება: სომხური მსახურების შემოღებამდე ცურტავში მსახურება იყო ბერძნული, შუშანიკმა შემოიღო სომხურიც, შემდეგ ბერძნული შეიცვალა ქართულით და ამგვარად გაჩნდა სომხურ-ქართული.

დღესდღეობით ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი V ს-ში ქართლის საპიტიახშოს ცენტრის, ცურტავის, ადგილმდებარეობა. მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას: იგი უფრო საპიტიახშოს ცენტრალურ თუ სამხრეთ რაიონებშია სავარაუდო. სავარაუდოა, აგრეთვე ისიც, რომ ცურტავის ეპარქია შეიცავდა იმ მიწებსაც, თუ მათ ნაწილს, რომლებიც, როგორც ითქვა, უფრო ადრე სომხეთში შედიოდნენ. ამრიგად, სომხურ მოსახლეობას ცურტავის ეპარქიაში ჩვენ ვგულისხმობთ შუშანიკამდეც, ხოლო VII ს-ის დასაწყისში სომხური მოსახლეობის არსებობა აქ ცხადად ჩანს „ეპისტოლეთა წიგნიდან“, სადაც წერილებიც კია შემონახული როგორც სომხების („სომხურენოვანთა“) მიმართ, ისე მათგანაც. ეს მოსახლეობა შეიძლებოდა ყოფილიყო ორგვარი: გაბნეული ადგილობრივ მოსახლეობაში ან სოფლებად თუ უბნებად მაიცხოვრებელი. ამ მხრივ საინტერესოა ერთანეს ქერდოლის საყოველთაო ეპისტოლე. ერთანესი ასე მიმართავს ცურტავის სომხურენოვან თემს: „სიწმინდისმოყვარე მართლმადიდებელთა და ჭეშმარიტთა, სავანეების ხუცესთა, სოფლის მღვდელთა, აზნაურთა და გლეხთა, მოხუცთა და ყრმათა, ყველა [და] ყოველ ერისკაცს მაგ სომხუროვან ქვეყანათა, რომელნიც სართ ცურტავის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ, ერთანესიგან და წმინდა ეკლესიის სხვა მსახურთაგან უფლისმიერი მოკითხვა“ (აღექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 31—32; შდრ. იგივე ადგილი უხტანესთან: აღექსიძე, უხტანესი, 63). როგორც ესედავთ, სომხურენოვანთა შორის ყოფილან აზნაურებიცა და გლეხებიც, სოფლებისა და სავანეების მღვდლებიც. უნდა ვიფიქროთ, მაშასადამე, რომ ცურტავის ეპარქიაში სომხებს უცხოვრიათ სოფლებად. გარდა ამისა, საფიქრებელია, რომ ისინი იცხოვრებდნენ გაბნეულადაც, პირველ რიგში, თვით ცურტავში. ასეთი ვითარება ყოფილა VII ს. დასაწყისში, მაგრამ, საფიქრებელია, რომ დაახლოებით ასევე იქნებოდა შუშანიკის დროსაც. რაიმე დიდი ცვლილება რომ მომხდარიყო VI ს. მანძილზე, მოსალოდნელი არაა.

V ს-ში ქართველებისა და სომხების მრწამსს შორის არავითარი განსხვავება არ იყო. ურთიერთობაც სავსებით მეგობრული იყო. საფიქრებელია, რომ სომხურ სოფლებში მღვდელმსახურება სომხურ ენაზე იქნებოდა. მაგრამ ჩვენ

ვნახეთ, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით სომხური მსახურების შემომღებად ცურტავში დასახელებულია შუშანიკი, როგორღა უნდა გავიგოთ ეს ცნობა?

„ეპისტოლეთა წიგნში“ შუშანიკის მიერ შემოღებული სომხური მსახურების შეცვლა-არშეცვლის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა ენაზე აწარმოებს მსახურებას ცურტავის ეპისკოპოსი: აბრაამ კათალიკოსისა და სმბატ მარზპანის საყვედურს შუშანიკისაგან დადგენილი სომხური მსახურება შეგიცვლიათ, კირიონი პახუხოზს, ახალმა ეპისკოპოსმა ქართულიცა და სომხურიც იცის და მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდებაო. მოსეც, ამტკიცებს რა კირიონი, ტყუის, მსახურება შეცვალათ, ამას იმით ასაბუთებს, რომ ახალმა ეპისკოპოსმა ქართულიც აწ იცის რიგიანად, არათუ სომხურიო. არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი იმაზე, რომ სომხური მსახურება იდევნებოდა სადმე სხვაგან, გარდა იმ ადგილისა, სადაც სწირავდა ეპისკოპოსი, ან იმაზე, რომ სომხური მსახურების წარმოებაში იზღუდებოდნენ ზემოსხენებული საფანეების ხუცესები და სოფლის მღვდლები. ამრიგად, შუშანიკის მიერ შემოღებულ სომხურ მსახურებაზე ლაპარაკისას, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ ცურტავის ეპისკოპოსის მსახურების ენა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შუშანიკი ითვლებოდა სომხური მსახურების შემომღებად ცურტავის საეპისკოპოსო კათედრალში და არა საერთაოდ მთელს ეპარქიაში.

რადგან ცურტავის ეპარქიაში სომხურ ენაზე მსახურების არსებობა ადრეც არის საგულისხმებელი, საფიქრებელია, რომ ამ მსახურების შემოღება საეპისკოპოსო კათედრალში უფრო უფლებრივ მიზნებს ისახავდა. ის, რომ ეპისკოპოსი ვალდებული იყო თანაბრად სცოდნოდა ქართული და სომხური და მსახურებაც კათედრალში ორივე ენაზე შეესრულებინა, ალბათ, სომხური მოსახლეობის უფლების დადასტურებასა და დამტკიცებას ნიშნავდა. უეჭველია, სომხური მსახურების შემოღება ცურტავის სომეხი მოსახლეობისთვის ძლიერი მორალური ფაქტორი იქნებოდა. პ. პეტერსი შენიშნავს: „მართლაც, ის ეკლესია, სადაც მან (შუშანიკმა, ნ. ჯ.) თავისი მშობლიური ქვეყნის ლიტურგიკა შემოიღო სმარებაში, მისი

მეოხებით გადაიქცა სომხური ეროვნულობის მოწინავე პოსტად“ (პეტერსი, შუშანიკი, 303) და სხვაგან: „თუმცა ცურტავი დამოკიდებული იყო მცხეთის არქიეპისკოპოსზე, იგი ამის გამო ნაკლებად როდი იყო სომხური გავლენის ცენტრი“ (იქვე, 297). თუმცა პ. პეტერსის დებულება სომხური გავლენის სიძლიერეზე რამდენადმე გადამეტებულად გვეჩვენება, მაგრამ ამ დებულებაში სიმართლის დიდი ნაწილიცაა.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ცხადია, ორ ენაზე მსახურება მოითხოვდა ეპისკოპოსისგან სათანადო ენების ცოდნას და, მაშასადამე, განსაკუთრებულ, სპეციალურ განათლებას: საფიქრებელია, რომ ცურტავის საეპისკოპოსოში სპეციალური სკოლაც შეიქმნებოდა ან არსებულ სკოლას სპეციალური პროგრამა დაუწესდებოდა, რომელიც საჭირო განათლებას აძლევდა მომავალ მღვდელმსახურებს (აღბათ, სომხურ-ქართული მსახურება არა მარტო ეპისკოპოსს უხდებოდა). მოსე წერს: „მომიხდა მე სიყრმის დღეებში მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფეც ვიყავი იმ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა“-ო (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 1). მოსეს სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს, ცურტავის საეპისკოპოსოში საეკლესიო სკოლას თავისი განსაკუთრებული წესი ჰქონდა, რაც სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ზემოთქმულის შუქზე.¹ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სკოლის ორგანიზაციასა თუ რეორგანიზაციაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა შუშანიკი, სომხური მსახურების შემოღების ინიციატორი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს სმბატ მარზპანის კირიონისადმი მიწერილი წერილის ერთი ადგილიც: „ეგ წმინდა სამარტვილე, რომელიც ცურტავშია, პატიოსან ეკლესიად დაემტკიცა და სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში, ხოლო შეცვლით მტრობას აგდებთ [ჩვენ] შორის, მეტად კი ნაკლოვანებას, რომ აქედან შევაფერხოთ

¹ უხტანესის „ისტორიის“ გამოცემაში ეს ადგილი რამდენადმე განსხვავებულადაა თარგმნილი: „მომიხდა მე, ყრმობისას მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოში, რომლის ეკლესიის მოწაფეც ვიყავ წესის მიხედვით, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სიბრძნე სომხური და ქართული მწიგნობრობის...“ (ალექსიძე, უხტანესი, გვ. 53). მოტანილი ადგილის აზრი ჩვენ შინაგნად ისე გვესმის, როგორც „ეპისტოლეთა წიგნის“ თარგმანშია.

ჩვენც, რომელთაც სურთ მოვიდნენ და თაყვანი სცენ მაგ წმინდა ჯვარს და არ შემოვუშვათ, რომელნიც მოდიან მანდედან წმინდა კათოლიკე ეკლესიაში, და სხვა სამარტვილოში ილოცონ“. რომელია ცურტავში არსებული „წმინდა სამარტვილე“? კათალიკოს აბრაამის პირველ ეპისტოლეში კირიონის მიმართ, რომელიც, როგორც ვიცით, სმბატის წერილის ანალოგიურია, შესაბამის ადგილას ლაპარაკია წმინდა შუშანიკის მიერ დადგენილი სომხური მსახურების შეცვლაზე. სმბატთანაც „წმინდა სამარტვილე“ ცურტავში სომხურ მსახურებასთან კავშირში იხსენიება. უეჭველია, რომ აქ იგულისხმება სამარტვილე შუშანიკისა. ასე ესმოდა ეს ადგილი თავის დროზე უხტანესსაც. სმბატის წერილის შინაარსის მოყოლისას ამ ადგილს უხტანესი შემდეგნაირად გადმოგვცემს: სმბატი „შემდეგ [წერს] წმინდა შუშანიკის სამარტვილის შესახებ, რომ მშვიდობის მეოხი იყო და ორივე მხარის სალოცავი ადგილი“ (ალექსიძე, უხტანესი, 149).

თავის მეორე პასუხში აბრაამისადმი კირიონი წერს: „აზნაურები, რომლებიც სომეხთაგან ქართლს დამოყვრებულან, წმინდა შუშანიკის მსახურებაზე და მცხეთის წმინდა ჯვარს მიდიოდნენ, რომ მოელოცათ და სჯულს ზიარებოდნენ“ (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 89). ამკარაა, რომ აქაც იმავე შუშანიკის სამარტვილეზეა ლაპარაკი.

იაკობი გადმოგვცემს, რომ სიკვდილის წინ შუშანიკმა „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს... და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა იგი პირველად გამოითრიეს...“ (აბულაძე, შუშანიკი, XVIII. 1-6). როგორც ვხედავთ, შუშანიკს ანდერძად დაუტოვებია დაესაფლავებინათ იქ, საიდანაც იგი პირველად გამოათრიეს. პირველად შუშანიკი იგვემა პურის ჭამის დროს პიტიახშის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში. ცხადია, შუშანიკი ამ ადგილას დასაფლავებას არ მოითხოვდა. მეორედ შუშანიკი იგვემა ეკლესიის ეზოში: ეკლესიაში დაყუდებულ შუშანიკს მიაკითხა ვარსქენმა და თრევით წამოიყვანა სასახლეში: „და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძემქ

დაეფინა. და თვთ ფერცნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუ-
ბასტნი შუშანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაეზ-
პარნეს ძეძუსა მას“ (აბულაძე, შუშანიკი, VIII, 15-19).
საფიქრებელია, რომ შუშანიკმა თავის საფლავად აირჩია
ეკლესიის ეზო, საიდანაც იგი „პირველად გამოითრიეს“. აქვე
დავუმატებთ, რომ ეს ეკლესია უნდა ყოფილიყო ცურტავის
საეპისკოპოსო კათედრალი, რაზეც, სხვათა შორის, ლაპარა-
კობს ისიც, რომ იქ მისულ ვარსკენს დასვდება ეპისკოპოსი
აფოცი.

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ირკვევა, რომ შუშანიკის საფ-
ლავზე შემდეგ აუშენებიათ სამარტვილე, რომელიც მოგვიანე-
ბით ეკლესიად დამტკიცებულა. როგორც ზემოთ იყო ნაჩე-
ნები, სომხური მსახურება შუშანიკის ინიციატივით შემოღე-
ბული უნდა იყოს ცურტავის საეპისკოპოსო ტაძარში.
ბუნებრივია, რომ ეს მსახურება იქნებოდა ამ ტაძრის გვერ-
დით მდგომ შუშანიკის სამარტვილესა თუ ეკლესიაშიც.
ამდენად, სავსებით მართებულად იქცევა ივ. ჯავახიშვილი,
როდესაც სომხურ ენაზე მსახურების ადგილზე საუბრისას,
სან ცურტავის კათედრალურ ტაძარზე ლაპარაკობს, ხან შუ-
შანიკის ეკლესიაზე და ხანაც შუშანიკის სამლოცველოზე.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობებში შუშანიკზე ჩვენს ყუ-
რადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: ზემოთ ჩვენ ენახეთ,
რომ კირიონი შუშანიკის დროიდან მოსემდე, ე. ი. 599/600
წლამდე, როდესაც მოსემ ეპისკოპოსად ხელდასხმა მიიღო
(ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 133), თერთმეტ ეპისკოპოსს
ასასელებს აფოციით დაწყებული (იქვე, 89). ეს გვიჩვენებს,
რომ კირიონს მეტ-ნაკლები სიზუსტით სცოდნია შუშანიკის
ცხოვრების ხანა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა ქართულ
წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჯუანშერი, ვახუშტი,
ანტონ I, იოანე ბატონიშვილი...) შუშანიკის წამების ამბავი
VI ს-ის მეორე ნახევარშია გადატანილი.

ჩვენ ვნახეთ, რომ სომეხი და ქართველი მღვდელმთავრები
შუშანიკს „წმინდას“ ეპითეტით ახსენებენ (აბრაამი — ალექსი-
ძე, ეპისტოლეთა წიგნი, 67, 121; კირიონი — იქვე, 89), ხოლო
სმბატ მარზპანი ლაპარაკობს „წმინდა სამარტვილესზე“, რო-
მელიც შუშანიკის საფლავზე უნდა ყოფილიყო (იქვე, 75).

როგორც ვხედავთ, ქართლშიცა და სომხეთშიც VII ს. დასაწყისში ცნობილი იყო, რომ შუშანიკი მოწამებობრივად აღესრულა, ხოლო მისი კულტი პოპულარული ყოფილა ამ ქვეყნებში. შუშანიკის საფლავზე მლოცველებს უვლიათ სომხეთიდანაც, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სომეხ მლოცველთა მოლოცვის ადგილად „ეპისტოლეთა წიგნის“ სომეხი ავტორები შუშანიკის საფლავს არ ასახელებენ (ამაზე ლაპარაკობს მხოლოდ კირიონი): აბრაამი ახსენებს (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 67) მხოლოდ ჯვარს (უთუოდ იგულისხმება მცხეთის ჯვარი), ასევე სმბატ ვრკანის მარზპანიც (იქვე, 75). დაბოლოს, მცხეთისა და მანგლისის ჯვარზე ლაპარაკობს აბრაამი თავის ენციკლიკურ წერილში (იქვე, 122).

რამდენიმე სიტყვა საკითხზე, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს შუშანიკთან. ჩვენ ვნახეთ, როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სომხური მსახურების ენის საკითხს სომეხ მესვეურთა წერილებში კირიონისადმი. რა ხდებოდა სინამდვილეში, რა უნდოდა კირიონს?

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ მსახურების ენის საკითხი თავიდან არ დამდგარა. თავის პირველ წერილში ვრთანესს (დაიწერა 605/606 წწ. ზამთარში), რომელშიც მოსე აცნობს მას ქართლში შექმნილ ვითარებასა და ცურტავიდან თავის გამოქცევის მიზეზს, მოსე არაფერს არ ამბობს სომხური მსახურების შეცვლაზე. ცხადია, ცურტავში ჯერ არაფერი ხდება ისეთი, რაც მოსეს საშუალებას მისცემდა ასეთი ბრალდების წამოყენებისა. არაფერია ნათქვამი სომხური მსახურების შეცვლაზე მომდევნო წერილებშიც: მოსეს მეორე და მესამე წერილში ვრთანესის მიმართ და მათს პასუხებში, მოსესა და ვრთანესის მიერ ქართლში მიწერილ წერილებსა და მათს პასუხებში. 607 წ. აპრილში სომხეთას კათალიკოსად არჩეულ იქნა აბრაამ აღბათანელი. ცხადია, მოსეს უნდა მიემართა მისთვის თავის საქმეზე, როგორც სომხეთის ეკლესიის ახალი მეთაურისთვის. „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულია მოსეს წერილი აბრაამისადმი. მოსე გამოთქვამს თავის კმაყოფილებას აბრაამის არჩევის გამო და ამცნობს მას ქართლში შექმნილ ვითარებას.

უხტანესის სიტყვით, ეს წერილი მოსეს დაუწერია აბრა-

ამის არჩევიდან რვა თვის შემდეგ (ალექსიძე, უხტანესი, 119), ე. ი. 607 წ. დეკემბერში. უხტანესის ცნობის სისწორეს ადასტურებს სხვა წერილების ქრონოლოგია, რაზედაც სხვაგან გვექნება ლაპარაკი. მოსეს წერილიდან ჩანს, რომ მოსე არ დასწრებია აბრაამის არჩევას და არც უნახავს იგი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ მოსე მიმართავს აბრაამს, რაც, ცხადია, მეტად უცნაურია: რამ გააძღვებინა მოსეს რვა თვეს, ან რას აკეთებდა იგი ამდენ ხანს, სად იყო, საიდან მისწერა აბრაამს? ეს კითხვები უხტანესსაც აღძვრია. იგი ასე პასუხობს მათზე: „ეს პირველი წერილი, რომელიც მისწერა მოსე ცურტავის ეპისკოპოსმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, რვა თვის გასვლის შემდეგ დაიწერა, რადგან სწება შეეყარა მას და ამბობენ სიკედელის პირამდე [მიიყვანაო]. ამიტომ ვერ შეძლო კრებაზე მისვლა, ვერც მოახერხა, რომ წერილით ეცნობებინა თავისი სატკივარი და კირონისაგან დევნა“ (იქვე). ვფიქრობთ, ავადმყოფობის გარდა, აქ სხვა, და შეიძლება უფრო სერიოზული, მიზეზიც უნდა იყოს. ასეა თუ ისე, არც ამ წერილშია რაიმე ნათქვამი სომხური მსახურების გაუქმებაზე.

საპასუხო წერილით აბრაამმა მიიპატიჟა მოსე: „მნებავეს კურთხევა თქვენი სიწმინდისაგან. ნუ დააყოვნებ მოსელას ამ წმინდა ზატიკს, რადგან მრავალთათვის ეს შვებაა და სულიერი საქმენი წინ გვიდევს. სანამ უფალი სმბატ აქაა, ვისწრაფოთ, რომ რაიმე სასით ჯერ ეგ მოვათავოთ ჩვენი ქრისტე ღმრთის შეწევნით“ (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 65–66). ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს 608 წლის თებერვალ-მარტში (იქვე, 151–152). ამ წელს აღდგომა 22 აპრილს იყო; მაშასადამე, აბრაამი მოსეს ამ დღისათვის იზარებდა. როგორც ირკვევა, მოსე ჩასულა დვინში და ულაპარაკია აბრაამთან და სმბატ მარზპანთან. ამ ლაპარაკის შედეგად აბრაამმაცა და სმბატმაც წერილები მისწერეს კირონს. მოსე დვინში ჩავიდოდა იმ დროისთვის, როდესაც იგი მიპატიუებული იყო აბრაამის მიერ. მაშასადამე, აბრაამისა და სმბატის წერილები დაიწერა აპრილის ბოლოს თუ მაისში. სწორედ ამ წერილებშია პირველად ლაპარაკი მსახურების ენის შეცვლაზე. მოსეს ამ დროს პირველად დაუსვამს მსახურების ენის საკითხი. საპასუხო წერილებში კირონი უარყოფს მსახურების შეც-

ვლას და ამბობს, რომ ახალმა ეპისკოპოსმა ქართული და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცისო. კირიონის საპასუხო წერილების გაცნობის შემდეგ მოსე სწერს სმბატს: „მსახურებაც რომ შეცვალეს, ცხადია. არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, ქართული მწიგნობრობაც არ იცის რიგინად, არამცთუ სომხური, ისიც ცხადია“ (იქვე).

როგორც ვსედავთ, მოსეს შემცვლელს, მოსეს სიტყვით, არც ქართული სცოდნია კარგად და არც სომხური. თუ ეს სიტყვები გაღიზიანების შედეგად ნათქვამი არაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი ეპისკოპოსი არც ქართველი იყო და არც სომეხი. კირიონმა ახალ ეპისკოპოსად სხვა ეროვნების კაცი დანიშნა, რათა თავისი ობიექტურობა ეჩვენებინა. საფიქრებელია, რომ ენის შეცვლის საკითხი ახალი ეპისკოპოსის დახმასთან ერთად გაჩნდა, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი, იქნებ არც სომეხი იყო და არც ქართველი. მაგრამ ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მსახურების შეცვლაზე ლაპარაკი არაა 607 წ. დეკემბერში დაწერილ მოსეს წერილში. მაშასადამე, მოსეს შემცვლელი ეპისკოპოსი კირიონს დაუსვამს 607 წ. დეკემბერსა და 608 წლის აპრილს შორის, ანუ ქართლიდან მოსეს გაქცევიდან ორი წლის შემდეგ. როგორც ჩანს, კირიონი უცდიდა მოსეს უკან დაბრუნებას და თანასმა იყო მისი მიღებისა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ქართლის აზნაურებს ვრთანესისთვის მიუწერიათ 606 წ. ზაფხულსა თუ შემოდგომაზე, ე. ი. მოსეს ქართლიდან გაქცევის ნახევარი წლის შემდეგ: „მოსეს, თუ სურს, მოვიდეს, ჩვენ კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს და თავისი ადგილი დაიკავოსო“ (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 45). ცხადია, მსახურების ენის საკითხიც 607 წ. დეკემბერსა და 608 წ. მაისს შორის უნდა წამოჭრილიყო.

ჩვენ ვნახეთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებებით კირიონს უნდოდა მსახურების ენად სომხურის გვერდით ქართულიც დაეკანონებინა. მაგრამ ჩვენ ვნახეთ ისიც, რომ კირიონი დაჟინებით ამტკიცებდა, არაფერი არ შემიცვლია; მსახურება ორივე ენაზე, ქართულზე და სომხურზე, წარმოებდესო. მაშასადამე, ქართული ენა ისედაც ყოფილა მღვდელმსახურების ენად და მისი შემოღების საჭიროება

არ არსებობდა. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ თუკი კირიონი მართლაც აპირებდა რაიმე ცვლილების შეტანას მღვდელმსახურების ენაში, ეს უნდა ყოფილიყო სომხურ ენაზე მსახურების გაუქმება ცურტავის საეპისკოპოსო ტაძარში (როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, მსახურების ენაზე ლაპარაკისას იგულისხმებოდა მხოლოდ საეპისკოპოსო კათედრალი). მაგრამ კირიონის ამგვარ განზრახვაში დაეჭვებისთვის ჩვენ საფუძველს ვეძებთ ის, რომ რაიმე კონკრეტული მინიშნება ამაზე „ეპისტოლეთა წიგნში“ არაა. აქ გვაგონდება შემდეგი: ცურტავიდან სომხეთში ასლად გაქცეულ მოსეს ცურტავის სომხურენოვანი მრევლი სწერს, თუ ღმერთმა შენს საყდარზე არ დაგაბრუნა „ჩვენთვის სხვა ღონე არ არის: ან უნდა დაგვრჩეთ ამ ქვეყანაში და ამის (კირიონის, ნ. ჯ.) სურვილისამებრ მოვიქცეთ, ან დავტოვოთ და გავეცალოთ“-ო (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 31). ამახვე სწერს იგი ვრთანეს ქერდოლსაც: „ჩვენთვის მანდედან (ე. ი. სომხეთიდან, ნ. ჯ.) დახმარებისა და ზურგის გარეშე შეუძლებელია ყოფნა — ისეთ მძლავრ, ამაყს, რომელიც მამამთავრად იწოდება, შევეყრივართ, თუ არა, [უნდა] დავტოვოთ ეს ქვეყანა და წავიდეთ“-ო (იქვე, 34—35). თუკი ეს წერილები თვით მოსეს მიერ ინსპირირებული არაა, ჩანს, ცურტავის სომხურ მოსახლეობას ემინია კირიონის მხრივ რაღაც მტრული აქციებისა. მაგრამ შემდეგ ეს მოტივი „ეპისტოლეთა წიგნში“ აღარ გვხვდება. არც სომხურენოვანი სამწყსოს რაიმე წერილია, არც მისი რაიმე საჩივარი ჩანს. სომეხ მესვეურთა წერილებში, თვით აბრაამ კათალიკოსის ენციკლიკურ წერილშიც, რომლითაც მან კავშირი გაწყვიტა ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის, არ არის რაიმე ხსენება კირიონის მიერ სომხურენოვანი სამწყსოს შევიწროებაზე.

(ამრიგად, „ეპისტოლეთა წიგნში“ საკმაოდ საინტერესო ცნობებია შემონახული. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ VII ს. დასაწყისში ქართლშიცა და სომხეთშიც ცნობილი ყოფილა შუშანიკის წამების ამბავი და ამ ქვეყნების ეკლესიებს იგი წმინდანად ჰყოლიათ შერაცხილი. ქართლის ეკლესიაში საკმაო სიზუსტით სცოდნიათ შუშანიკის ცხოვრების ხანაც. შუშანიკის საფლავზე აგებული ყოფილა სამარტვილე, რომე-

ლიც შემდეგ ეკლესიადაც დამტკიცებულა. შუშანიკის კულტი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ მის საფლავზე მლოცველებს სომხეთიდანაც უვლიათ. ცურტავის ეპარქიაში არსებულია სომხური მოსახლეობა, რომელსაც უცხოვრია როგორც სოფლებად, ისე გაბნეულად დაბა-ქალაქებში. სოფლებად მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას თავისი სუცესები ჰყოლია. საფიქრებელია, რომ მათთვის საეკლესიო მსახურება იმთავითვე სომხურ ენაზე სწარმოებდა. რაც შეეხება ცურტავის საეპისკოპოსო კათედრას, აქ სხვაგვარი ვითარება არსებულა. VII ს. დასაწყისში საეპისკოპოსო კათედრალში მსახურება ორ ენაზე, ქართულად და სომხურად მიმდინარეობდა. ითვლებოდა, რომ სომხური მსახურება აქ შუშანიკის შემოღებული იყო. სავსებით შესაძლებელია, ხომ ეს ცნობა სინამდვილეს ასახავდეს. საფიქრებელია, რომ ცურტავის კათედრალში სომხური მსახურება შემოღებულ იქნა V ს -ის 50-იანი წლების ბოლოსა თუ 60-იანი წლების დასაწყისში. ეპისკოპოსებად აქ ხან ქართველები ყოფილან და ხან სომხები. რადგან სომხურ-ქართული მსახურებისათვის საჭირო იყო ამ ორი ენის მცოდნე მღვდელმსახურები, ცურტავის საეპისკოპოსო კათედრასთან შექმნილა სპეციალური სკოლა, სადაც მომავალ მღვდელმსახურებს ამ ენებს ასწავლიდნენ. სომხურ ენაში დაოსტატებისათვის ისინი შემდგომში სომხეთში იგზავნებოდნენ.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები გვაფიქრებინებს, რომ ქართლის კათალიკოს კირიონს გადაუწყვეტია საეპისკოპოსო კათედრალში სომხური მსახურების გაუქმება/სომხეთის საეკლესიო და საერო მესვეურთა წრეებში ამას აღშფოთებით შეხვდნენ. სომხური მსახურების შენარჩუნების აუცილებლობას ისინი იძითი ასაბუთებენ, რომ ეს მსახურება შემოღებული იყო ისეთი ცნობილი მოღვაწის მიერ, როგორც იყო შუშანიკი.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების თანახმად, შუშანიკი იყო მეტად აქტიური, მოქმედი პიროვნება და მოღვაწე, თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი პატრიოტი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ჯუანშერის „ცხოვრება
პასტანგ გორგასლისა“

უძველესი ქართული ლიტერატურული წყარო, რომელ-
შიაც მოიპოვება შუშანიკის სხენება (თუ ასეთად არ ჩავ-
თვლით სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახულ ქარ-
თლის კათალიკოს კირიონის წერილებს) არის „მოქცევაჲ
ქართლისაჲ“¹⁾ ი. აბულაძე შენიშნავს: „შუშანიკის მარტილო-
ბის გამოსმაურებას საისტორიო ხასიათის ძველ ქართულ
მწერლობაში ადრიდანვე ვპოულობთ. უძველეს მათგანს —
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მათიანეს (IX ს.), — როგორც ეს მას
საზოგადოდ ახასიათებს, მოკლედ, ორიოდ სიტყვით აქვს
აღნიშნული ფაქტი, მისთვის ჩვეული ქრონოლოგიური ხასი-
ათის შეცდომებით“ (აბულაძე, შუშანიკი, 011).

(ამ უადრესად საყურადღებო წყაროს საბოლოო რედაქციის
ხანად IX საუკუნეა მიჩნეული, თუმცა მის პირველ ნაწილს,
ე. წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკას, ზოგი მკვლევარი
უფრო ადრინდელი ხანითაც (VII ს.) ათარიღებს.)

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნუსხითაა მოღწეული. უძვე-
ლესი სახელგანთქმულ შატბერდის კრებულშია და X ს. 70-
იანი წლებით თარიღდება, მოგვიანო კი, ე. წ. ჭელიშური
ნუსხა, XIV—XV ს-ის ხელნაწერთაა წარმოდგენილი.)

შატბერდულ ნუსხაში ვკითხულობთ: „და მისა შემდგომად
მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე
ვარსქენ პატიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა
შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტ-
რე. და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“
(„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 94).

ჭელიშურ ნუსხაში კიდევ უფრო მოკლე ცნობაა:

„და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ და კათ[ა]ლიკოზი
იყო მაკარი. და ამის ზე შუშანიკი იწამა ცურტავს. ამის ბაკუ-
რის ზე დაესრულა მეფობაჲ ქართლისა[ჲ]“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ჭელიშური ტექსტი შუშანიკზე და სა-
ერთოდ ბაკურის მეფობაზე შატბერდულისაგან რაიმე გან-
სხვავებულ ცნობას არ იძლევა, იგი მხოლოდ უფრო მოკლეა.

ამიტომ შემდგომში მივმართავთ მხოლოდ შატბერდულს, როგორც უკეთ შემონახულსა და უფრო სრულს.

(ტიქსტის განხილვა გეიჩვენებს, რომ მასში შუშანიკზე და მის წამებაზე შემდეგი ცნობებია:

1. დასახელებული არიან ვარსქენი და შუშანიკი.

2. ვარსქენი მოსხენიებულია პიტიახშად.

3. აღნიშნულია წამების ფაქტი. მართალია, არაა ნათქვამი, რომ ვარსქენი შუშანიკის ქმარი იყო და რომ შუშანიკი მან აწამა, მაგრამ, ჩანს, ეს იგულისხმება. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა რატომაა მოსხენიებული ვარსქენი საერთოდ.

4. წამების ადგილად დასახელებულია ცურტავი.

5. წამება შეტანილია ბაკურის მეფობაში.

6. შუშანიკის თანამედროვე ქართლის კათალიკოსად დასახელებულია მაკარი, ხოლო სამოველი კათალიკოსი გამხდარა შუშანიკის წამების შემდეგ.

ზოგი ამ ცნობებიდან ემთხვევა იაკობის „შუშანიკის მარტილობის“ ცნობებს, ზოგი კი განსხვავდება მათგან. განსხვავება, კერძოდ, შემდეგშია:

1. იაკობი თავის თხზულებაში არ ასახელებს ქართლის მეფეს, რომლის დროსაც მოხდა მის მიერ აღწერილი ამბები. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ კი, როგორც ვხედავთ, ასეთად დასახელებულია ბაკური.

2. კარგა ხანია დამტკიცებულია, რომ შუშანიკის წამება მოხდა V ს. 60—70-იან წლებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად კი შუშანიკის წამება უნდა მომხდარიყო ერთი საუკუნით უფრო გვიან, VI ს. მეორე ნახევარში. ეს ჩანს შემდეგიდან: ვახტანგ გორგასალის შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად მეფობდნენ დაჩი უჯარმელი, ბაკურ დაჩის ძე, ფარსმანი, ფარსმან „სხუამ“ და ბაკური, რომლის ზეობაშიც არის შეტანილი შუშანიკის ამბავი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის შემდეგ მეხუთე მეფის ზეობას „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი ვახტანგზე სულ მცირე ხუთი ათეული წლით უფრო გვიან დასდებდა. ვახტანგი კი, მიღებული აზრის თანახმად, გარდაიცვალა დაახლოებით V ს. ბოლოსა თუ VI ს. პირველ წლებში (ნარკვევები, 106). მაშასადამე, მისი მომდევნო მეხუ-

თე მეფის ზეობა დაახლოებით VI ს. შუასა, თუ მეორე ნახევარში უნდა ეგულისხმა განსხვავებული ცნობის ავტორს (რასაკვირველია, თუ მას მეტნაკლებად სწორი წარმოდგენა ჰქონდა ვახტანგის მეფობის დროზე). რომ ეს მართლაც ასეა, ჩანს შემდეგიდანაც: იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ხსენებული „ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“, ქართლს „სპარსნი უფლდებდეს“, მაგრამ „ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 95). ბაკურის მეფობის დასასრულიდან გუარამის ერისთავობის დაწყებამდე ავტორს, ეტყობა, დიდი დრო არ მიაჩნდა გასულად, ვინაიდან ამ შუალედში მას მხოლოდ ერთი კათალიკოსი ჰყავს დასახელებული.

მეორე მხრივ, გუარამის ერისმთავრობა 586 წლამდე გარძელდა (ჩუბინაშვილი, 25). ამიტომ საფიქრებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ბაკურის მეფობას დაახლოებით ამავე საუკუნის შუასა და მეორე ნახევარზე უნდა გულისხმობდეს.

სულ სხვა საკითხია, რამდენად სწორია საერთოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა ბაკურის მეფობაზე და მის ზეობაში ქართლში მეფობის დასრულებაზე.

სხვა მონაცემების საფუძველზე მიჩნეულია, რომ ირანელებმა ქართლში მეფობა მოსპეს უფრო ადრე, 523 წ. გურგენის აჯანყების შემდეგ (ნარკვევები, 247). მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, როდის ჰქონდა წარმოდგენილი მომხდარად შუშანიკის წამება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს.

3. იაკობ ცურტაველის „წამების“ მიხედვით შუშანიკის წამების დროს ქართლის ეპისკოპოსთა თავი იყო სამოველი. უფრო ზუსტად, სამოველი ეპისკოპოსთა თავად გამხდარა შუშანიკის წამების დაწყების შემდეგ (გორგაძე, შუშანიკი, 35—36). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით კი — შუშანიკის წამების დროს ქართლის კათალიკოსი იყო მაკარი, ხოლო სამოველი კათალიკოსად დამჯდარა უკვე წამების შემდეგ.

რას უნდა გამოეწვია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობების

აღნიშნული განსხვავებანი იაკობის „შუშანიკის მარტვილობისაგან?“

(პირველ რიგში შევეცდებით გავარკვიოთ, რატომაა გადატანილი შუშანიკის წამება VI ს. მეორე ნახევარში, ეს მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲსთჲის“ ჩვეული ქრონოლოგიური შეცდომაა? თუნდაც ასე რომ იყოს, რამ გამოიწვია ეს შეცდომა?)

როგორც უკვე იყო აღნიშნული, „შუშანიკის მარტვილობაში“ არავითარი პირდაპირი მითითება არაა იმაზე, თუ როდის ხდება აღნიშნული ამბები, არაა დასახელებული ქართლის მეფე, რომლის ზეობაშიაც მოხდა წამება, აღარაა შემორჩენილი „მარტვილობის“ დასაწყისში მოხსენიებული სპარსთა მეფის სახელიც. ეს სახელი არაა უკვე „წამების“ უძველეს, X საუკუნის, ხელნაწერშიაც. XVIII—XIX სს. ხელნაწერებში წერია გაურკვეველი „მრ“. ჩანს, შაჰის სახელი დაკარგულა (თუ დაზიანებულა) ძალიან ადრე. ამიტომ წამების ქრონოლოგიის დადგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ „მარტვილობაში“ მოხსენებულ პირთა იდენტიფიკაციით. (იაკობის ცნობით, ვარსქენი იყო „ძმ არშუშაჲსი“, სოლო შუშანიკი „ასული ვარდანისი, სომესთა სპამეტისაჲ“) ქართლის პიტიასში არშუშა და სომესთის სპარაპეტი (იგივეა, რაც იაკობის „სპამეტი“) ვარდანი ჩვენ შეგვხვდა V ს. სომეხი ისტორიკოსების ცნობების განსილვისას. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ცნობების თანახმად, არშუშა და ვარდანი თანამედროვეები იყვნენ, პირველი პიტიასში V ს. 20—50-იან წლებში, მეორე კი მეთაურობდა ირანის წინააღმდეგ სომესთის აჯანყებას 450—451 წლებში. სწორედ მათ შვილებად არიან მიჩნეული ვარსქენი და შუშანიკი.)

მაგრამ (საინტერესო დამთხვევით არსებობდა კიდევ სხვა არშუშა პიტიასში და ვარდან მამიკონიანი, ოღონდ ისინი VI ს-ში ცხოვრობდნენ. პირველი მათგანი ცნობილია ევსტათი მცხეთელის „მარტვილობიდან“. მისი მოღვაწეობა VI ს. შუა ხანებზე მოდის. მეორე ვარდან მამიკონიანი, აგრეთვე, ძალზედ ცნობილი პიროვნება, მეთაური იყო ირანის წინააღმდეგ 571 წ. სომესთა აჯანყებისა. შესაძლებელია, „შუშანიკის მარტვილობის“ ქრონოლოგიის გაგებაში აღრევა იმან გამო-

იწვია, რომ ვარსკენი და შუშანიკი ამ, ერთი საუკუნით უფრო გვიანდელი, არშუშასა და ვარდანის შვილებად იქნენ მიჩნეული.)

სწინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ როდის მოხდა ეს აღრევა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორია მისი წყარო, თუ იგი უფრო ადრინდელი ხანით თარიღდება?

როგორც ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, („მოქცევაჲ ქართლისაჲსში“ შუშანიკის თანამედროვე კათალიკოსად დასახელებულია მაკარი, ხოლო სამოველი შუშანიკის მომდევნო დროის კათალიკოსადაა მიჩნეული. „შუშანიკის წამებაში“ კი შუშანიკის თანამედროვე ქართლის ეპისკოპოსთა თავია სამოელი. იაკობი მას არაერთხელ ახსენებს როგორც შუშანიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტიურ თანამგრძნობსა და მხარის დამჭერს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს რომ ხელთ ჰქონოდა უშუალოდ იაკობის თხზულება, შუშანიკის თანამედროვე კათალიკოსად მაკარის არაერთად შემთხვევაში არ მოიხსენიებდა. მაშასადამე, იგი იცნობდა „შუშანიკის მარტვილობის“ ისეთ რედაქციას, რომელშიც კათალიკოსად მაკარი იყო დასახელებული. მაგრამ, რადგან ყოფილა „მარტვილობის“ განსხვავებული რედაქცია, ბუნებრივი იქნებოდა დაგვეშვა, რომ წამების ამბავი VI ს. იყო გადატანილი უკვე ამ რედაქციაშივე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორმა, ალბათ, დროის მისედვით შესაფერისი მეფე შეარჩია მხოლოდ.)

ზემოთქმულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების განხილვისას ვნახეთ, VII ს. დასაწყისში კირიონ ქართლის კათალიკოსმა იცოდა შუშანიკის ცხოვრების ნამდვილი დრო.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობები შუშანიკზე ძირითადად ემთხვევა იაკობის ცნობებს. ამასთან ერთად არის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებიც: შუშანიკის წამება გადატანილია ერთი საუკუნით უფრო გვიანდელ ხანაში, ბაკურის მეფობაში და მის თანამედროვე ქართლის კათალიკოსად დასახელებულია მაკარი და არა სამოელი, როგორც ეს არის იაკობთან. ეს გვაფიქრებინებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი არ იცნობდა იაკობის ტექსტს და სარგებლობდა რომელიღაც სხვა წყაროთი. ან,

ყოველ შემთხვევაში, ამ განსხვავებულ წყაროს უპირატესობას ანიჭებდა იაკობის „წამებასთან“ შედარებით.

მართალია, ძველ მწერლობაში არსებულ ცნობებს „შუშანიკის წამებასა“ და მის პერსონაჟებზე ჩვენ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილავთ, მაგრამ აქ ჩვენ მცირეოდენად გადავუსხვევთ ამ წესს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობებთან უმჭიდროეს კავშირშია XI ს. ცნობილი ისტორიკოსის, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ს ავტორის, ჯუანშერის, ცნობები. ამიტომ ეს ცნობები ერთად უნდა იყოს განხილული.

(ჯუანშერი აღწერს ბაკურის მეფობას):

„ესე ბაკურ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. მან განამრავლნა ეკლესიანი და მღვდელნი სამეფოსა შინა თუსსა. და განწმინდა ქართლი ყოვლისა ურწმუნოებისაგან.“

და მოკუდა კათალიკოსი ევლავიოზ, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსი მაკარი.

ამასვე უამხა მეფობდა სპარსეთს რომელსა ერქუა ურმიზდ“ (ჯუანშერი, 215).

(მეფეთა თანამიმდევრობა ვახტანგ გორგასალიდან ბაკურამდე ჯუანშერს ისეთივე აქვს, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს. ამიტომ ბაკურის მეფობა მასთანაც VI ს. მეორე ნახევარზე უნდა დავდოთ. ამ შემთხვევაში, ცხადია, სპარსეთის მეფე ურმიზდი უნდა იყოს ჰორმიზდ IV (579—590) მართლაც, ცოტა ქვემოთ ჯუანშერი სახსრებით სწორად ყვება ჰორმიზდ IV-ის წინააღმდეგ მისი სარდალის, ბაჰრამ ჩუბინის, აჯანყების ამბავს (იქვე, 220—221).

(სპარსეთის მეფის ურმიზდის ხსენებას ჯუანშერთან უშუალოდ მოსდევს შუშანიკის წამების ამბავი) რომელშიც სრულებით ახალი, მეტად საყურადღებო მომენტები ჩნდება.

და მასვე უამხა იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა სახელით ვახქენ“.

აქ ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, „სომხითი“, რომელიც, უეჭველია, ქვემო ქართლს, საპიტიახშოს გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ არც ერთ ქართულ ან სომხურ რედაქციაში „შუშანიკის წამებისა“ ვარსქენის სამფლობელო ასე არ იხსენიება. ქართულ ვრცელ რედაქციაში ვარსქენი მხოლოდ „პიტიახშად“ იწოდება, მისი სამფლობელო კი დასახე-

ლებული არაა. სომხური ვრცელი რედაქცია მას „ქართლის ქვეყნის (სოფლის) ვინმე პიტიასმ ვაზგენს“ (ღრხაჯუ იძნ აჯსარჩინ ყრავ)) უწოდებს. ასევე, ქართლის (ქართველთა) მთავრად (ყრავ ხჯსან) იხსენიება იგი სომხურ სვინაქსარულ რედაქციებში. სომხურ მოკლე რედაქციასა და მის ქართულ თარგმანში ვარსკენი „ქართლის ანთიპატროსი და წინამძღვარია“ (ანქჩყასთრიუ ყრავ აიღაჯიორი). ქართულ სვინაქსარულ ცხოვრებაში იგი „ვასქენ პიტიახშია“, რომელიც „იყო სანახებსა ქართლისასა“.

ამგვარად, ჯუანშერი ერთადერთია, რომელიც ვარსკენის სამფლობელოს „სომხითს“ უწოდებს.)

წყურადღებას იქცევს აგრეთვე ის, რომ ჯუანშერი შემდეგნაირად ახსენებს ვარსკენს — „კაცი ერთი, შვილი მთავართა“-ო. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მან არ იცის ვარსკენის მამის სახელი, რომელიც მოხსენებულია იაკობის თხზულებაში. ამავე დროს, როგორც ქვემოთ ვნახავთ (იგი ასახელებს შუშანიკის მამას. ჯუანშერს რომ სცოდნოდა ვარსკენის მამის სახელი, საფიქრებელია, მას არშუშას ძედ მოიხსენიებდა და არა გაურკვეველად „შვილი მთავართა“.

საინტერესოა ისიც, რომ სიტყვა „მთავარი“ არც ერთხელ არ გვხვდება იაკობთან, ესეც ჯუანშერის ლექსიკაა და ერთგვარ მოდერნიზაციად გამოიყურება. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ იაკობთანაც და „მოქცევაჲ ქართლისაჲშიც“ ვარსკენი პიტიახშად იწოდება, ჯუანშერი არც ერთხელ არ ხმარობს „პიტიახშს“ ვარსკენის მიმართ, თუმცა სხვა შემთხვევაში პიტიახში“ („პატიახშის“ ფორმით) მას არაერთხელ აქვს ნახმარი მთელი თავისი თხზულების მანძილზე.

მიყვებით ისევ ჯუანშერისეულ ტექსტს:

(და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსაც ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანიის) აქაც იგივე „მთავართა შვილია“, მაგრამ ამავე დროს შუშანიკის მამის სახელიცაა — ვარდანი. ოღონდ არაა იაკობისეული ცნობა, რომ ვარდანი სომეხთა სპაჲპეტი იყო. ამდენად ისიც აღარ ჩანს, რომ შუშანიკი ეროვნებით სომეხი იყო.)

„ხოლო ამას ვასქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლის-მსასურებად: წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა და

დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლისმსახურ“. ყოველივე ეს არ განსხვავდება იაკობის მოთხრობისაგან.

„ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა“. აქ კი არსებითი განსხვავებაა იაკობის მონათხრობისაგან. ჯერ ერთი, (იაკობთან არაფერი არაა ნათქვამი შაჰის მიერ ვარსქენის დაჯილდოებაზე. „შუშანიკის მარტივობაში“ მხოლოდ ისაა, რომ როცა მეფემ გაიგო ვარსქენის მიერ მახდენობის მიღება, „განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა“ (მეტიც შეიძლება ითქვას: არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ფრაზა საერთოდ არ ეკუთვნოდეს იაკობს და გვიანდელი ჩანამატი იყოს. იაკობის ტექსტის სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ ვარსქენს მეორე ცოლი არა ჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, შუშანიკის წამების პერიოდში მაინც). მეორე, და რაც მთავარია, იაკობთან არაფერია ნათქვამი ვარსქენის რანის ერისთავად დანიშვნაზეც. პირიქით, იაკობის ტექსტიდან სავსებით ცხადად ჩანს, რომ ვარსქენი ბრუნდება თავის საპიტიახშოში და მის ცენტრში, ცურტავში, განაგრძობს ცხოვრებასა და საქმიანობას.)

„ვითარ მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქმრისა მისისაგან დატევება ქრისტეს სჯულისა, არღარა ერჩდა იგი ცოლებად. და დაივიწყა სიყუარული ქმრისა თვისისა, ყოველითა გულითა შეუდგა იგი ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა“. აქ ისევ არაა განსხვავება იაკობის მოთხრობისგან.

„მაშინ ვასქენ შეუდგა მრავალდონედ, პირველად ლიქნითა და ვედრებითა, და ნიჭისა მიცემითა“. იაკობს არაფერი არა აქვს ნათქვამი „ლიქნასა, ვედრებასა და ნიჭის მიცემაზე“. მართალია, მისი გადმოცემით ვარსქენი ცდილობს სასასლიდან წასული შუშანიკის უკან დაბრუნებას, მაგრამ სრულებითაც არა ვედრებით და საჩუქრების გაგზავნით. ამ შემთხვევაშიც ჯუანშერის ცნობები სავსებით განსხვავებულია იაკობის ცნობებისაგან. ვინც იაკობის ტექსტს იცნობს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყვის, რომ ვარსქენი შუშანიკის დაბრუნებას თავდაპირველად „ლიქნითა, ვედრებითა და ნიჭისა მიცემითა“ შეუდგა.

„შემდგომად შეაგდო სატანჯველთა შინა დიდთა, რომელ სიგრძისაგან ვერ დავწერენ ღუაწლნი წმიდისა შუშანიკისნი.

და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვასქენ, ერისთავმან რანისა-
მან“. აქაც პრინციპული სასიათის განსხვავებაა: (იაკობის
თსზულებიდან კარგად ჩანს, რომ შუშანიკი მოკვდა სნეულე-
ბათაგან, რომლებიც განუვითარდა ხანგრძლივი თვითგვემისა
და ცუდ პირობებში ცხოვრებისაგან) ასევეა ეს ამბავი ყველა
სხვა რედაქციაშიც. გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲც“;
„და მისა ზევე ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკი იწამა
ცურტავს“. ჯუანშერთან, კი, როგორც ვხედავთ, შუშანიკს
კლავს ვარსქენი. არა გვეგონია „მოკლა“ აქ გადატანითი აზ-
რით, ან სიმოკლისთვის იყოს ნახმარი. „მოქცევაჲ ქართლი-
საჲში“ შუშანიკის წამების ამბავი სულ ერთი მოკლე წინადა-
დებითაა გადმოცემული, მაგრამ იქაც კი არაა დაშვებული
ასეთი უზუსტობა და, როგორც ვნახეთ, ნათქვამია „იწამა“-ო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯუანშერის სიტყვებს
„სიგრძისაგან ვერ დაწერენ ღუაწლნი წმიდისა შუშანიკის-
ნი“-ო. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჯუანშერს ხელთა მქონდა
ისეთი წყარო, სადაც ვრცლად იყო აღწერილი შუშანიკის
ღვაწლი, რასაც ვერ ვიტყვით იაკობისეულ ტექსტზე. იაკობის
თსზულება საერთოდაც არაა დიდი და შუშანიკის ღვაწლი
საკმაოდ მოკლედაა მასში გადმოცემული.

მოტანილ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ვარ-
სქენი ისევ რანის ერისთავად იწოდება.

(შემდეგ ჯუანშერი გადმოგვცემს ამბებს, რომლებიც მომ-
ხდარა შუშანიკის სიკვდილის მერე და რომლებიც საერთოდ
არაა იაკობის მოთხრობაში.)

„მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველ-
თა ერისთავთა მისთა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად,
და წარემართა ვასქენს ზედა პარეთ. რამეთუ ვასქენ ველსა
გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მდინარე ანა-
კურტისა მტკუარსა, დაესხა და შეიპყრა ვასქენ. დაჭრეს წუ-
რილად და ასონი მისნი დამოჰკიდეს ხესა. ხილო გუამი წმი-
დისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა, და დაფლეს
ცორტავს“.

[იაკობის თხრობა მთავრდება შუშანიკის დასაფლავებით.
არაფერი არაა ნათქვამი ვარსქენის დასჯაზე. ჯუანშერის მიერ
მოთხრობილი ამბავი ბაკურის გალაშქრებაზე ვარსქენის წი-

ნააღმდეგ სრულიად ასალია. აქ ყურადღებას იქცევს რამდენიმე მომენტი:

1. ბაკურმა ვარსქენის წინააღმდეგ მოუწოდა თავის ყველა ერისთავს, ლაშქარი ფარულად შეკრიბა და ვარსქენს მიპარვით დაესხა თავს. ეს, ალბათ, გაკეთდა იმიტომ, რომ ვარსქენი გამგებელი იყო ქართლისაგან სრულიად დამოუკიდებელი ძლიერი პოლიტიკური ერთეულისა, რომელთანაც საბრძოლველად ქართლის მეფეს მთელი თავისი ძალები უნდა შემოეკრიბა.) მაშასადამე, აქ კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ ვარსქენი ქართლის მეფის ქვეშევრდომი არაა (ჯუანშერი).

2. საინტერესოა ჯუანშერის ცნობაში არსებული ზოგიერთი დეტალი. ჯუანშერი ზუსტად ასახელებს, სად იყო ვარსქენი, როდესაც მას თავს დაესხა ბაკური („ველსა გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა“). ასევე ძალზედ ნიშანდობლივია აღწერილი, როგორ დაუსჯიათ ვარსქენი. იგი ტყვედ ჩაუგდიათ, შემდეგ წვრილად დაუჭრიათ და ხეზე ჩამოუკიდიათ. სასჯელი იმდენადვე უცხოა, რამდენადაც სასტიკი!

3. განსაკუთრებით საინტერესოა ჯუანშერის ცნობა, რომ შუშანიკის გვამი ცურტავში გადაუსვენებიათ. იაკობის თხზულებიდან სავსებით გარკვევით ჩანს, რომ შუშანიკი ცურტავში ეწამა და იქვე იქნა დასაფლავებული. შუშანიკის დასაფლავება იაკობის მიერ სპეციალურად არის აღწერილი, ისე რომ გაუგებრობა აქ სავსებით გამორიცხულია. როგორც ვსედავთ, აქ ისევ არსებითი განსხვავებაა იაკობის ცნობებისგან. სამაგიეროდ, ჯუანშერის მონათხრობი სავსებით ეთანხმება მისსავე ცნობას იმის შესახებ, რომ ვარსქენი რანის ერისთავი იყო. ამდენად, ბუნებრივია, რომ შუშანიკი რანში ეწამა და იქვე იქნა თავდაპირველად დასაფლავებული.

მიუზბრუნდეთ ისევ ჯუანშერს:

„ამან ბაკურ მეფემან წარგზავნა მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, აუწყა ესე ყოველი, და ითხოვა მისგან შენდობა. მაშინ სპარსთა მეფემან განიზრახა გონებასა თუსსა, და თქუა: „უკეთუ შეერისხნე ქართველთა, განერთნენ იგინი ბერძენთა“. და შენდობა აღირჩია: გამოგზავნა მოციქული ბაკურისი პასუ-

სითა კეთილითა; რამეთუ ყოველი გმობა და ბრალობა ვასქენ მოკლულისა უბრძანა, და ამართლა ბაკურ სიკუდილსა მისსა. და წარმოგზავნა რანს და მოვაკანს სსხუა ერისთავი, რომელსა ერქუა დარელ და უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა“. როგორც ცნობილია, იაკობის თხრობა წყდება შუშანიკის დასაფლავებით, ამიტომ არც ეს ცნობებია „შუშანიკის წამებაში“.

ჯუანშერის ამ ცნობებში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ სპარსთა მეფემ ვარსქენის სიკუდილის შემდეგ „სსხუა ერისთავი“ დარელი „წარმოგზავნა რანს და მოვაკანს“. აქედან გამოდის, რომ ვარსქენი მარტო რანის ერისთავი კი არ იყო, არამედ მოვაკანისაც. რაც შეეხება დანარჩენ ცნობებს, ისინი რეალურად მომხდარი ამბების გამოძახილი არიან და სხვა წყაროებითაც დასტურდებიან. კერძოდ, როგორც ვნახეთ, ლაზარ ფარპეცის ცნობით ვარსქენი მართლაც მოუკვლევინებია ქართლის მეფეს, ოღონდ არა ბაკურს VI ს. შუასა თუ მეორე ნახევარში, არამედ ვახტანგ გორგასალს 482 წელს. ითქვა ისიც, რომ ვარსქენის მოკვლით დაიწყო ირანელების წინააღმდეგ ვახტანგის აჯანყება (უეჭველია, ასევე იქნებოდა გაგებული იგი ირანელების მიერაც, რადგან ვარსქენი, როგორც ჩანს, ირანული ორიენტაციის მიმდევრად ითვლებოდა ქართლში). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ირანელებმა საბოლოოდ შეძლეს ჩაექროთ აჯანყება, ისინი იძულებულნი გახდნენ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ და სელი აელთ აჯანყებულთა დასჯაზე. ამგვარად, ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მეფეს პასუხი არ უგია ირანის შაჰის წინაშე ვარსქენის მოკვლისთვის, აგრეთვე რეალურ, ისტორიულ საფუძველს პოულობს.

დაბოლოს, მოვიტანოთ ჯუანშერის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც დაკავშირებულია შუშანიკის წამების ამბავთან: „და მოკუდა კათალიკოსი მაკარი, და მანვე მეფემან დასუა სუმონ კათალიკოსად“. აქ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მსგავსად, შუშანიკის თანამედროვე კათალიკოსად ჯუანშერი მაკარის ასახელებს, მაგრამ განსხვავებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა, რომლის თანახმადაც მაკარის „შემდგომად კათალიკოსი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრე“, ჯუანშერის თანახმად მაკარის მომდევნო კათალიკოსი ყოფილა სვიმონი.)

ამრიგად, ჯუანპერისა და იაკობის მოთხრობებს აქვს შემდეგი საერთო მომენტები: ორივე მოთხრობაში წამების მთავარი მოქმედი პირებია შუშანიკი და ვარსკენი, ორივეგან შუშანიკის მამად დასასვლელბულია ვარდანი, ორივეგან ნათქვამია, რომ ვარსკენმა უარყო ქრისტიანობა და მიიღო მაზდეანობა. ორივე მოთხრობის მისეღვით შუშანიკი ეწამა, რადგან არ მოიხურვა ქრისტიანობის უარყოფა.

ესაა მთელი მსგავსება იაკობისა და ჯუანპერის ცნობათა შორის. განსხვავება კი ბევრად მეტია:

ჯუანპერთან შუშანიკის წამება ხდება მეფე ბაკურის ზეობაში, ე. ი. ერთი საუკუნით უფრო გვიან, როდესაც სპარსეთში მეფობს ურმიზდი. ვარსკენის სამკვიდრო სამთავროდ დასახვლებულია სომხითი. შაჰს დიდად დაუსაჩუქრებია ვარსკენი მაზდეანობის მიღებისათვის და დაუნიშნავს იგი რანის (შესაძლებელია, აგრეთვე, მოვაკანის) ერისთავად. ვარსკენს თავდაპირველად შუშანიკის მოღობა მოუნდომებია ლიქნით, ვედრებითა და საჩუქრებით, ბოლოს კი თვითონვე მოუკლავს შუშანიკი (ჯუანპერი). არც ერთი ეს მომენტი არაა იაკობის მოთხრობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ, ჯუანპერის ცნობით, შუშანიკი გარდაცვლილა არა ცურტავში, არამედ რანში, ცურტავში კი იგი შემდგომში გადაუსვენებია მეფე ბაკურს. გარდა ამისა, ჯუანპერს დამატებული აქვს ცნობები მეფე ბაკურის მიერ ვარსკენის დასჯაზე და სპარსთა მეფის მიერ ბაკურის პატიებაზე. იაკობისგან განსხვავებით ჯუანპერი შუშანიკის თანამედროვე კათალიკოსად ასასვლებს მაკარის და არა სამოელს, არ ასხენებს ვარსკენის მამას არშუშას, არ ამბობს, რომ შუშანიკის მამა ვარდანი იყო სომხეთის სპადეტი, არაფერს არ ამბობს შუშანიკის სომხურ წარმოშობაზე, ვარსკენს იხსენიებს არა „პიტიახშად“, არამედ, „ერისთავად“ და „მთავართა შვილად“ (აქვე გავისხენოთ, რომ არც „ერისთავი“ და არც „მთავართა შვილი“ არც ერთსელ არ იხსენიება იაკობთან).

როგორც ვხედავთ, ჯუანპერისა და იაკობის მოთხრობათა შორის მსგავსება მეტად ზოგად ხაზებშია (მთავარ მოქმედ პირთა სახელები, ვარსკენის გამაზდეანების, მისგან შუშანიკის განდგომისა და წამების ფაქტები), დანარჩენი ყველაფერი გან-

სსკეავებულია. განსხვავებანი იმდენად ბევრია და იმდენად არსებითი, რომ ჩვენს წინაა უფრო ორი სხვადასხვა თხზულება, ვიდრე ორი რედაქცია. ამიტომ შემდგომში რედაქციებს მათ მხოლოდ პირობითად ვუწოდებთ. განსხვავებანი ჯუანშერისა და იაკობის ცნობათა შორის ისეთი ხასიათისაა, რომ, საფიქრებელია, ჯუანშერი საერთოდ არ იცნობდა იაკობის ტექსტს. მართლაც, შეიძლება დაეუშვათ, რომ ჯუანშერის სიტყვები შუშანიკი ვარსქენმა მოკლაო, გაზვიადებია; ან გადატანითი აზრითაა ნათქვამი, მაგრამ ჯუანშერს რომ იაკობის „შუშანიკის მარტილობა“ წაკითხული ჰქონოდა, კარგად ეცოდინებოდა, რომ შუშანიკი ცურტაეში მოკვდა და იქვე იქნა დასაფლავებული. ან კიდევ, ჯუანშერი რომ იაკობის თხზულებას ემყარებოდა, ვერ იტყოდა, ვარსქენი რანის ერისთავი იყო და სსკე.

ასლა ვნახთ, რა ურთიერთობაა ჯუანშერისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მოთხრობათა შორის. მათ შორისაც არის როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. მსგავსება ისაა, რომ ორივეგან შუშანიკის წამება ხდება ბაკურის მეფობაში და ორივეგან შუშანიკის თანამედროვე კათალიკოსი მაკარია. განსხვავება კი ისაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, ისევე როგორც იაკობთან, წამების ადგილი ცურტაეია და არა რანი; ისევე როგორც იაკობი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს არ ამბობს ვარსქენის დასჯაზე და იაკობის მსგავსადვე ვარსქენს იხსენიებს „პიტიახშად“. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯუანშერისგან განსხვავებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არ ამბობს, რომ შუშანიკი მოკლა ვარსქენმა. დაბოლოს, როგორც ვნახთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და ჯუანშერს მაკარის მომდევნო კათალიკოსად სხვადასხვა პირი ჰყავთ დასახელებული.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს „შუშანიკის მარტილობის“ ხამი რედაქცია: იაკობისეული, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი და ჯუანშერისეული. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქცია ასლო დგას იაკობის რედაქციასთან, მაგრამ ზოგიერთი არსებითი მომენტით განსხვავდება მისგან (წამების გადატანა ბაკურის მეფობაში, წამების თანამედროვე კათალიკოსად სემოველის მაგივრად მაკარის დასახელება).

ჯუანშერის რედაქცია კიდევ უფრო დაცილებულია იაკო-

ბისეულისაგან. ამ რედაქციებს საერთო მხოლოდ ზოგადი ცნობები აქვთ. ამავე დროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს აქვს საერთო მომენტები ჯუანშერისეულ „წამებასთან“, რომელიც მის გარკვეულ გავლენას განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ რედაქცია ერთგვარად დამაკავშირებელი რგოლია იაკობისა და ჯუანშერის რედაქციებისა.

ბუნებრივია, აღიძვრის საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაა ზემოხსენებულ სამ რედაქციას შორის ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ან რომელი რომლის განვითარება-გადამუშავებას წარმოადგენს? როგორც მხედველია, იაკობმა „შუშანიკის მარტილობა“ V ს. 70-იან წლებში დაწერა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX ს-ით თარიღდება, ჯუანშერი კი XI ს-ის მოღვაწეა და მიჩნეული. ამდენად, ბუნებრივი იქნებოდა წამების რედაქციების ასეთივე თანამიმდევრობა მიგვეღო: უძველესად იაკობის, შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ყველაზე გვიანდელად კი ჯუანშერის რედაქცია მიგვეჩნია. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამ საკითხზე ორიოდ სიტყვა მაინც უნდა ითქვას.

იაკობის „შუშანიკის მარტილობის“ უძველესი ხელნაწერი, როგორც უკვე ითქვა, X ს-ით თარიღდება. ამდენად, თეორიულად გამორიცხული არაა, რომ იაკობის თხზულება მასში წარმოდგენილი იყოს მეტ-ნაკლებად გადამუშავებულად, ხოლო „წამების“ რედაქცია უფრო ძველი სახით დაცული ყოფილიყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ან ჯუანშერთან.

ჯუანშერის რედაქცია რომ უფრო გვიანდელია, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცული, ეს ცხადია. ჯუანშერი სარგებლობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ, რომელიც მისი ერთ-ერთი წყაროა. რაც შეეხება მათ მიმართებას იაკობის რედაქციასთან, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი: ზემოთ მოტანილი იყო ცნობები, რომლებიდანაც შეჭველად ჩანს, რომ შუშანიკის წამება V ს-ში უნდა მომხდარიყო. ამავე დროს ჩვენ ვნახეთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და ჯუანშერს ეს ამბავი ერთი საუკუნით უფრო გვიან გადააქვთ. ეს უხეში ქრონოლოგიური შეცდომა არა აქვს იაკობს. მაშასადამე, იაკობის რედაქციაში შემონახულია ადრინდელი („მოქცევაჲ ქარ-

თლისაჲ“-ს ქრონიკაზე და ჯუანშერზე უადრესი) და სწორი შეხედულება შუშანიკის მოღვაწეობის ხანაზე. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ იაკობის რედაქციაც უფრო ადრინდელია და საკმაოდ კარგადაც შემონახული.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც ვნახეთ, განსხვავებანი იაკობისა და სხვა რედაქციებს შორის დროთა განმავლობაში მატულობდნენ: იაკობისა და ჯუანშერის რედაქციათა შორის განსხვავება მეტია, ვიდრე იაკობისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რედაქციათა შორის. ესეც ლაპარაკობს იმაზე, რომ უძველესი სწორედ იაკობის რედაქციაა.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა დავასკვნათ შემდეგი: იაკობის „შუშანიკის მარტვილობის“ ტექსტი შემონახულია საკმაოდ კარგად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მას შეიძლება აკლდეს ზოგიერთი ადგილი („მარტვილობის“ დასაწყისი, შუშანიკის ერთ-ერთი გვემის აღწერა... ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 54; კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, 121—122; ბარამიძე, ათასსუთასი წლის ძეგლი). დროთა განმავლობაში იაკობის ტექსტს განუცდია გარკვეული გადამუშავება, რისი გამოძახილიც დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში. გადამუშავება კვლავაც გაგრძელებულა და წარმოქმნილა იაკობის ტექსტისგან ძალზედ განსხვავებული რედაქცია, წარმოდგენილი ჯუანშერთან. ეს უკანასკნელი რედაქცია იმდენადაა დაშორებული იაკობის „შუშანიკის მარტვილობას“, რომ, შეიძლება ითქვას, სხვა თხზულება ყოფილა. მასში აშკარად იგრძნობა ფოლკლორული ელემენტები.

თავის დროზე სომხური მოკლე და ვრცელი რედაქციების შედარებისას ილ. აბულაძემ კარგად უჩვენა, თუ როგორ ხდებოდა დროთა განმავლობაში იაკობის ტექსტის დამუშავება, რის შედეგადაც დედანთან სულ უფრო დაცილებული რედაქციები ჩნდებოდა. უეჭველია, ამას ადგილი ჰქონდა ქართულ სინამდვილეშიც, რაც, ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან უნდა გამოჩენილიყო.

(შუშანიკის წამების ამბავი მოთხრობილი ყოფილა ერთ სომხურ კომპილაციური ხასიათის თხზულებაში, რომელშიც გადმოცემულია მცხეთის ჯვარის ისტორია: როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს თხზულება, თავის მხრივ, წყარო უნდა ყოფილიყო წმინდა ნინოს ჯვარის სომხური სვინაქსარული საკითხავისა. ესაა აპარონ ვანანდეცის თხზულება, რომლის ნაკლულ XVIII ს. ნუსხას მიაკვლია ი. აბულაძემ მატენადარანის ერთ-ერთ (№ 1885) ხელნაწერში. მატენადარანის ნუსხის სათაურია: „მოთხრობა ნინოს წმიდა ჯვრისა, რომელსაც ესლა ვანანდისა ეწოდება, მამისა აპარონ ვანანდეცისა, წმიდა ლეონტიელთა შთამომავლისა, იჯევანის დაბიდან, რომელიც ვანანდს არის, ფრიადი შრომითა და ძიებით გამოკვლეული სომეხთა და ქართველთა მრავალ მატიანეთაგან, — მცხეთის წმიდა ჯვრისათვის, რომელიც ესლა იმყოფება ჩვენთან ჯვარცმული ქრისტეს მოხილვით“) (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0172 — 0173).

როგორც მოტანილი სათაურიდან ჩანს, (თხზულებაში მოთხრობილია წმ. ნინოს ანუ მცხეთის ჯვარზე, რომელსაც შემდგომში ვანანდის ჯვარი დარქმევია. ეს „მოთხრობა“ დაუწერია აპარონ ვანანდეცის, რომელსაც წყაროდ გამოუყენებია „სომეხთა და ქართველთა მრავალი მატიანე“. ი. აბულაძის სიტყვით, „მოთხრობა“ იწყება მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ მეორე წიგნის 86-ე თავის მიხედვით დაწერილი წმ. ნინოს ისტორიით, რომელსაც მოსდევს შუშანიკის წამების აღწერა. ეს აღწერა მალე წყდება, რადგან მომდევნო ნაწილი ნუსხას აკლია (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0173).

(აპარონ ვანანდეცის თხზულების სრული ნუსხა ხელთაა ქონია დ. ალიშანს. დ. ალიშანის ნუსხის სათაური ასეთი ყოფილა: „მოთხრობა ნინოს წმინდა ნიშისა, ქართლის წინამძღვრისა, მამა აპარონ ვანანდეცისა ლეონდი ხუცის შვილისა, იჯევანის სოფლიდან. დიდი შრომითა და ძიებით გამოკვლეული სომეხთა და ქართველთა მატიანიდან“ (ალიშანი, 1890, 105, შენ.; დამოწმებული გვაქვს ი. აბულაძის ხსენებული წიგნით, გვ. 0174). დ. ალიშანს მოტანილი აქვს თხზუ-

ლების ბოლოსიტყვაობაც, რომელშიც აპარონი მოხსენებულა როგორც დასახელებული ჯერის მსახური და ჩამოთვლილია ის წყაროები, რომლითაც უსარგებლია მას: „... აგათანგელე ისტორიკოსისაგან, შუშანიკის წამებიდან, წმ. საქაკის ცხოვრებიდან და ანდრეას მოწესისაგან. ვიპოვე წმ. ჰმაიაკის წამებაც ორმოცი კაცითურთ, ტაოში, რომელსაც ესლა ორმოცთა საეანე ეწოდება; ვიპოვე სხვაც მრავალი სახსენებელი წმიდათა, რომლებიც დაეიწყებას მისცემოდნენ ჩვენი ქვეყნის გასაჭირში ყოფნისაგან“ (ალიშანი, 1890, 105, შენ.; აბულაძე, იქვე, 0174).

(აპარონის თხზულების შესამე ნუსხა უნახავს და გადაუწერია ნ. მარს 1902 წ. იერუსალიმში ყოფნისას.)

არც დ. ალიშანს და არც ნ. მარს აპარონის თხზულება არ გამოუციათ.

(1941 წ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა, როგორც თვითონ თვლიდა, აპარონ ვანანდეცის თხზულების სრული ტექსტი (მელიქსეთ-ბეგი, ნინოს ჯერის ისტორია), მაგრამ ი. აბულაძემ შენიშნა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი ნაწილია აპარონის თხზულებისა (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0177), ის ნაწილი, სადაც აღწერილია ნინოს ჯერის აღმართვა მცხეთაში. მომდევნო ნაწილი გამოაქვეყნა თვით ი. აბულაძემ (იქვე, 0178—0179). მაგრამ, როგორც ითქვა, მატენადარანის სელნაწერში აპარონის თხზულება სრულად არაა შემონახული. იგი წყდება „შუშანიკის წამების“ II თავის (აბულაძის გამოცემით) დასაწყისზე. მაინც ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ რას წარმოადგენს აპარონის თხზულება შინაარსობლივად. როგორც ითქვა, აპარონის თხზულება წყარო უნდა ყოფილიყო წმ. ნინოს სვინაქსარული საკითხავისა, ამ უკანასკნელში კი ჯერ მოკლედ გადმოცემულია შუშანიკის წამება, შემდეგ აღწერილია როგორ გაგზავნა შუშანიკმა სომხეთში ნინოს ჯვარი და ბოლოს მოთხრობილია ამ ჯერის ისტორია 1236 წლამდე. ჩანს, აპარონის თხზულებაშიც იგივე ამბები ყოფილა აღწერილი, ოღონდ მცირეოდენი დამატებით: ჯერ გადმოცემული ყოფილა ჯერის აღმართვის ამბავი (გამოცემული ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ), შუშანიკის წამება (მისი დასაწყისი ნაწილი გამოსცა ი. აბულაძემ), შემდეგ იქნებოდა

შუშანიკის მიერ ჯერის სომხეთში გადაგზავნა და მისი შემდგომი ისტორია. აპარონის თხზულების ამგვარ შედგენილობას ადასტურებს ის, რომ მასში (ჯერის აღმართვის შემდეგ იწყება შუშანიკის წამების ამბავი) თუ არ ამგვარი ახსნა, გაუგებარი იქნებოდა, რატომ გვიამბობს აპარონი შუშანიკზე, რა კავშირი აქვს შუშანიკს ვანანდის ჯერის ისტორიასთან.

დ. ალიშანის სიტყვით, ჯერის ისტორია აპარონ ვანანდეცის თხზულებაში მოყვანილი ყოფილა 912 წლამდის. აქედან ალიშანი სავსებით სამართლიანად ასკვნიდა, რომ აპარონი X ს. დასაწყისის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მსხითარ აირივანეცის ერთი ცნობის საფუძველზე დ. ალიშანი აპარონ ვანანდეცის მოღვაწეობას IX ს. დასასრულზე დებდა (ალიშანი, 1901, 78). ი. აბულაძე დაეთანხმა დ. ალიშანს, ამასთან ყურადღება მიაქცია აპარონის თხზულების სათაურის სიტყვებს — ჯვარი „ეხლა ჩვენში (ე. ი. ვანანდში, ნ. ჯ.) მკვიდრობს“ — ო. ჯვარი ვანანდში იყო 931 წლამდე, ასე რომ, (ი. აბულაძის სიტყვით, თხზულება დაიწერა, ყოველ შემთხვევაში, 931 წლამდე. მართალია, ალიშანის ცნობით, ზოგან თითქოს მოთხრობილია მისი შემდგომი თავგადასავალიც, მაგრამ ეს შემდგომი დროის დანართი უნდა იყოსო) (აბულაძე, იქვე, 0175).

ახლა აპარონის მიერ მოთხრობილ შუშანიკის წამებაზე.

თუმცა აპარონ ვანანდეცის თხზულების ჩვენთვის ცნობილ ნუსხაში შუშანიკის წამების აღწერის მხოლოდ დასაწყისი ნაწილია წარმოდგენილი, მაგრამ ეს ნაწილიც იძლევა საშუალებას ზოგიერთი დასკვნის გასაკეთებლად.

(აპარონისა და იაკობის ტექსტების შედარება არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ აპარონის ტექსტი იაკობის ტექსტის თარგმანია.)

იაკობისა და აპარონის თხზულებათა შესატყვისი ნაწილების შედარების შემდეგ ი. აბულაძე ასკვნიდა: „პარალელურად მოყვანილ ტექსტებს თუ გულმოდგინედ დაუვუკვირდებით, ვნახავთ, რომ აპარონ ვანანდელი, რომელიც „შუშანიკის მარტულობის“ ქართულ ტექსტს იყენებს უცილობლად თავისი შრომისათვის წყაროდ, თითქმის სიტყვა-სიტყვით გამოჰკრებს მისგან ადგილებს თანმიმდევრობით“ (იქვე, 0179) და „ამგვა-

რად, აპრონ ვანანდელის თხზულების ის ადგილი, რომელიც შემოთ ჩვენი ნუსხით მოვიყვანეთ, მომდინარეობს ქართული წყაროდან, რომლით სარგებლობას თვით ავტორი აცხადებს თავისი თხზულების სათაურსა და ბოლოსიტყვაობაში. მის მიერ აქ მოხსენებული ქართული წყარო სხვა არა არის რა, თუ არ იაკობ ცურტაველის ნაწარმოები: „მარტვლობაჲ შუშანიკისი“, რომელსაც სომეხი ავტორი გამოკრებიტ თარგმნის სომხურად, რაც მას თავისი შრომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აქვს წარმოდგენილი“ (აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობა, 0181).

ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ აპრონის თარგმანი უფრო ახლოს დგას ქართულ დედანთან, ვიდრე რომელიმე სხვა სომხური რედაქცია, ვრცელი იქნება ის თუ მოკლე. ი. აბულაძემ ერთი ფრაზაც კი დაადასტურა აპრონის თხზულების შემონახულ ნაწყვეტში, რომელიც, ქართულის არასწორ თარგმანს წარმოადგენს და, მისი თქმით, „ცოცხლად დადადებს ქართულის გავლენას,“ საერთოდ კი „შეინიშნება საგრძნობლად ქართული ენის გავლენა სომხურზე“-ო (იქვე, 0180).

ვარსქენის ირანში გამგზავრებაზე ლაპარაკისას აპრონი იმეორებს იაკობის ცნობას, რომ ეს მომხდარა ირანის რომელიღაც მეფის ზეობის მერვე წელს. მართალია, აპრონს ირანის მეფედ შეცდომით დასახელებული ჰყავს იუზდიგერდ ბაჰრამის ძე (უნდა იყოს მისი შვილი პეროზი), მაგრამ ეს შეცდომა, ჩანს, მომდინარეობს იქიდან, რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. აბულაძე, „ეტყობა, მეფის სახელი გარკვევით არც ქართული ძეგლის იმ ნუსხაში ყოფილა წარმოდგენილი, რომელიც სომეს ავტორს გამოუყენებია“-ო (იქვე). სომხურ სხვა რედაქციებში, როგორც ვნახეთ, ვარსქენის ირანში გამგზავრების თარიღი საერთოდ არ მოიხსენიება აპრონის ტექსტში არის კიდევ ერთი ფრაზა, რომელიც არაა ვრცელ სომხურ რედაქციაში: ეს ის ფრაზაა, რომელიც გვამცნობს, რომ ვარსქენი ქრისტიანი მშობლებისაგან იყო ნაშობი. სომხურ ვრცელ რედაქციაში არაა იაკობის სიტყვები „რომლისათვის ესე მივწერე თქუენდა“. აპრონთან ეს ფრაზა ცოტა სასეცვლილადაა წარმოდგენილი: „რომლისათვის ვწერ

ჭემპარიტად“-ო (აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობა, 0180), რაც ესმაურება „წამების“ ქართული რედაქციის პირველ ფრაზასაც: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ“. უკანასკნელი ფრაზა არაა არც ერთ სომხურ რედაქციაში და თვით აპარონთანაც.

ერთი დეტალიც: იაკობის სიტყვით, ვარსქენი მეფეს პირობას აძლევს „რომელი იგი ბუნებითი ცოლი“ და შვილები მყავს, იმათაც გაუამაზდევანებო. აპარონთანაც „ბუნებით ცოლზე და შვილებზეა“ ლაპარაკი, ვრცელ სომხურ რედაქციაში კი, „პირველ ცოლსა და შვილებზე“.

სამაგიეროდ, (აპარონ ვანანდეცის ტექსტში არის ერთი ადგილი, რომელიც უფრო ასლოა ვრცელ სომხურ რედაქციასთან: ამ უკანასკნელში ნათქვამია, რომ შაჰმა ვარსქენს ცოლად თავისი სიდედრი მისცა. ასევეა აპარონთანაც. იაკობის „წამების“ მიხედვით კი, მეფემ „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“. ი. აბულაძე ვარაუდობდა, რომ ეს შესწორება შესაძლებელია მომდინარეობდეს „შუშანიკის მარტვლობის“ ვრცელი სომხური რედაქციიდან (აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობა, 0181).

მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ აპარონ ვანანდეცის „შუშანიკის წამების“ ქართული ტექსტით უსარგებლია, ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ მიმართა ავტორმა მას და არა სომხურ რედაქციებს, რომლებიც, მის დროს უკვე არსებობდნენ? ი. აბულაძის აზრით „ქართული ნაწარმოები, რომელიც თვითმხილველი პირის მიერ არის დაწერილი, მომხდარ შემთხვევებს უფრო დაწერილებით და ზედმიწევნით გადმოსცემს, ვიდრე სომხური. საისტორიო ხასიათის ნაწარმოებისათვის ის უფრო გამოსადეგი იქნებოდა, ვიდრე მის ნიადაგზე აღმოცენებული სხვა წყარო, რომლიდანაც ცალკე მომენტები შეიძლება მართლა გამოეყენებინოს სომეხ ავტორს“ (აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობა, 0181). მაგრამ „შუშანიკის მარტვილობის“ ვრცელი სომხური რედაქცია გამიზნული იყო მათთვის, ვისაც საკუთრივ შუშანიკის ცხოვრება და მოღვაწეობა აინტერესებდა. რატომ არ უნდა დაეკმაყოფილებინა მას აპარონი, რომლის თხზულებაშიც შუშანიკის მოღვაწეობის აღწერა მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა, თანაც, ალბათ,

მნიშვნელოვნად შემცირებულს „წამების“ ტექსტთან შედარებით? რა ისეთი ისტორიული დეტალები სჭირდებოდა აპარონს, რომლებიც არ იყო ვრცელ სომხურ რედაქციაში, მოკლესე რომ აღარა ვთქვათ? წმინდა ნინოს ისტორიის გადმოსაცემად, მაგალითად, მან იკმარა ის მოკლე მოთხრობა, რომელიც აქვს მოვსეს სორენაცის და არ მიუმართავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სთვის. ვფიქრობთ, აპარონის მიერ იაკობის ქართული ტექსტის გამოყენების მიზეზი ის კი არაა, რომ მას მეტი ცნობები ესაჭიროებოდა, ვიდრე ვრცელ, ან თუნდაც მოკლე, სომხურ რედაქციაშია, არამედ ის, რომ მან საერთოდ არ იცოდა ამ რედაქციების არსებობა. ეს არც უნდა გავვიკვირდეს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, აპარონზე ცოტა გვიან მოღვაწე სომეხი მწერალი უხტანესიც X ს. უკანასკნელ მეოთხედში არ უნდა იცნობდეს „წამების“ არც ერთ სომხურ რედაქციას, მათ შორის თვით აპარონის თხზულებასაც (შდრ. აბულამე, ლიტერატურული ურთიერთობა, 0181, შენ. 1). სამაგიეროდ, ი. აბულამე მართებულად მიიჩნევს, რომ აპარონ ვანანდეცის თხზულება უნდა ყოფილიყო წყარო სომხურ სვინაქსარებში დაცული მცხეთის ჯვრის ისტორიისა (იქვე, 0173).

რადგან ჩვენ არ ვიცნობთ აპარონის თხზულებას სრული სახით, ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენდა მასთან მოთხრობილი შუშანიკის წამება მთლიანობაში და ვერაფერს ვიტყვით იმაზე, შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ იგი „წამების“ ცალკე რედაქციად. მაგრამ არსებული ნაწილიც იძლევა ზოგიერთი დასკვნის საფუძველს: როგორც ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ სომხურად „შუშანიკის წამების“ თარგმანი უკვე უნდა არსებულებოდა, ზოგჯერ სომხეთში უშუალოდ იაკობის ქართულ ტექსტსაც იყენებდნენ. ირკვევა, აგრეთვე, რომ სომხეთში მიღებული შეხედულებით ვანანდის ჯვრის მცხეთიდან სომხეთში გადატანა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო შუშანიკის სახელთან, რაც კიდევ ერთხელ ლაპარაკობს იმ მაღალ შეფასებაზე, რომელიც ეძლეოდა სომხეთში შუშანიკის პატრიოტულ საქმიანობას.

მაგრამ აპარონ ვანანდეცის თხზულების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ წინააღმდეგ პ. პე-

ეტერსის მტკიცებისა, თითქოს იაკობის თხზულება XI—XII საუკუნეებში იყოს დაწერილი, იგი უცილობლად ადასტურებს იაკობის „შუშანიკის მარტილობის“ არსებობას ყოველ შემოსხვევაში X ს. დასაწყისში.

მიქაელ მოდრეკილი

(როგორც აღნიშნა ი. აბულაძემ, შუშანიკი მოხსენიებულია დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის ერთ-ერთ ქებაშიც, რომელიც შესულია მის ცნობილ კრებულში (შედგენილია 978—988 წწ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 174): „სძალსა ქრისტესსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა, ვარსკულავსა მნათობსა საღმრთოდთა მით ნათლითა, კერპთა სიბნელისა მოტებელსა მოვედით, შვეამკობდეთ; გაენეს და რიფსიმეს და მვნესა შუშანიკს მათ თანავე ვაქებდეთ“ (ინგოროყვა, სასულიერო პოეზია, სნდ. მართლწერა და პუნქტუაცია ი. აბულაძისა. აბულაძე, შუშანიკი, 013). თუმცა შუშანიკი აქ უკანასკნელად მოიხსენიება, მაგრამ თვით მოხსენების ფაქტი ლაპარაკობს, რომ მისი სახელი საკმაო პატივისცემით სარგებლობს მიქაელ მოდრეკილის თვალშიც. ყურადღებას იქცევს შუშანიკის მოხსენიება სომხეთის მოღვაწეებთან, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.)

უხტანესი

მეტად საყურადღებო ცნობები აქვს შუშანიკისა და მისი მარტილობის შესახებ X ს. სომეხ ისტორიკოს უხტანესს¹. უხტანესმა X ს. უკანასკნელ მეოთხედში ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწის, ნარეკის მონასტრის წინამძღვრის, ანანია ნარეკაციის შეკვეთით დაწერა საისტორიო თხზულება, რომლის ერთი ნაწილი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთგან“, მიძღვნილია სომხურ-ქართული ეკლესიების გან-

¹ უხტანესსა და მის თხზულებაზე იხ. ზ. ალექსიძის ზემოდასახელებულ წიგნში „უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთგან“.

ყოფის ისტორიისადმი, როგორც უკვე ითქვა, ამ ნაწილის დაწერისას უხტანესის მძირითადი წყარო იყო „ეპისტოლეთა წიგნი“, რომლიდანაც წერილები მან მოიტანა მეტნაკლები ცვლილებებით, თავისი მიზნების შესაბამისად რედაქტირებული და საკუთარი კომენტარების დართვით. გარდა ამისა, უხტანესი იყენებდა სხვა წერილობით წყაროებს და ზეპირ გადმოცემებსაც.

უხტანესის ზოგიერთი ცნობა შუშანიკზე წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოთ უკვე განხილულ „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების გამეორებას: უხტანესს მოაქვს სომხეთის კათალიკოს აბრაამის პირველი ეპისტოლე კირიონისადმი და იმეორებს ბრალდებას შუშანიკის მიერ დაწესებული მსახურების შეცვლაზე. შუშანიკი ორჯერ იხსენიება კირიონის მეორე წერილში აბრაამის მიმართ. ეს წერილი უხტანესს ორდა აქვს გაყოფილი. პირველი ნაწილი წერილისა, რომელშიც კირიონი ჩამოთვლის ეპისკოპოსებს შუშანიკის დროიდან, წარმოადგენს უხტანესის წიგნის 48-ე თავს. მომდევნო, 49-ე თავში უხტანესი თავისი სიტყვით გადმოგვცემს კირიონის წერილის იმავე ნაწილს. მეორე ნაწილი კირიონის წერილისა, რომელშიც ლაპარაკია შუშანიკის საფლავზე მლოცველების სომხეთიდან მისვლაზე, მოტანილია რამდენადმე უფრო ქვემოთ, 52-ე თავში¹.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების განხილვის დროს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სმბატ ერკანის მარშპანის წერილში მოხსენებული „წმინდა სამარტვილე, რომელიც ცურტავშია“, უხტანესს სწორად აქვს განმარტებული, როგორც შუშანიკის სამარტვილე.

დაბოლოს, მოაქვს რა აბრაამის ენციკლიკური წერილი, უხტანესი იმეორებს იმ ცნობასაც, რომლის თანახმადაც შუ-

¹ იმ მცირე განსხვავებებს, რომლებიც არის უხტანესისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ შესატყვის ტექსტებს შორის, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: „ეპისტოლეთა წიგნი“ ლაპარაკია „სომხურ (*հայերէն*) მსახურების“, უხტანესთან კი „მშობლიურ (*հայրենի*) მსახურების“ შეცვლაზე. როგორც ზ. ალექსიძე შენიშნავს, „მშობლიური“ მიღებული უნდა იყოს „სომხური“-დან „გრაფიკულ ნიშნაზე დაშვებული შეცდომით“ (ალექსიძე, უხტანესი, 270). ასევე, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით სომხეთიდან მოდიოდნენ აზნაურები (ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, 89), უხტანესი კი აზნაურების მაგივრად ლაპარაკობს ეპისკოპოსებზე. ✓

შანიკი იხსენიება ცურტავში სომსური მსახურების შემომღებად (ალექსიძე, უსტანესი, 211).

გარდა ამ ადგილებისა, უსტანესთან არის ისეთი ცნობებიც, რომლებიც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ არ მომდინარეობენ და რომლებისთვისაც უსტანესს სხვა წყაროები ჰქონია.

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ წერილების მოტანისას, რათა მკითხველისთვის გასაგები გახადოს ამ წერილებში მოხსენიებული პირები თუ გეოგრაფიული ადგილები, უსტანესი იძლევა დამატებით მასალას მათ შესახებ. „ეპისტოლეთა წიგნი“, და, მაშასადამე, უსტანესთანაც, სშირად იხსენიება ცურტავი. და აი, მე-18 თავში უსტანესი მოგვითხრობს „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“ (ასეთი სათაური აქვს ამ თავს). ცურტავზე ცნობების მოტანის ერთ-ერთი მიზეზი, უსტანესის სიტყვით, ისაა, რომ ასე ამ ადგილს წინათ ერქვა, ახლა კი გაჩიანი ეწოდებაო. მაშასადამე, უსტანესი ურკვევს მის თანამედროვე მკითხველს ცურტავის ადგილმდებარეობას. მაგრამ უსტანესს ცურტავზე ლაპარაკის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც ჰქონია: უსტანესი მიმართავს ანანია ნარეკაციის, „შენ აქ ნუ მაგინებ, თითქოს ეს რაღაც ზედმეტი მოგწერე, ო, სიბრძნისმოყვარე, რადგან მსურდა რამოდენიმე სიტყვით ცურტავის მრავალი მოსახსენებელი მეცნობებინა შენთვის, ვინაიდან საჭირო იყო და იმსახურებდა, რომ [გვერდი] არ აგვექცია მისი ზეპურობისათვის, რადგან დასაბამიდან სამეუფო სამკვიდრებელი და განსასვენებელი იყო წმიდა შუშანიკისი; სადაც ჯერაც არიან ადგილნი მისი მოწამეობის ვნებათა და მისი წმიდა და პატიოსანი ნეშტის განსასვენებელი; სადაც ჩვენ მრავალჯერ მივსულვართ და ვმთხვეულვართ წმიდა ადგილს. ხოლო მისი წამების ვითარებას შემდეგ, სხვა ადგილას გეტყვით“ (ალექსიძე, უსტანესი, 67-69).

როგორც ვხედავთ, ცურტავის ხსენების მეორე, უმთავრესი, მიზეზი ყოფილა ის, რომ იქ იყო შუშანიკის სამკვიდრებელი, ხოლო შემდეგ კი ნეშტის განსასვენებელი.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს კიდევ რამდენიმე გარემოება. პირველი ის, რომ უსტანესის სიტყვით ცურტავში „ჯერაც არიან ადგილნი მისი მოწამეობის ვნებათა“. ეს, ალბათ, ისე

უნდა გავიგოთ, რომ უხტანესის დროსაც ცურტავში ცოცხალი იყო მოგონება შუშანიკზე და უჩვენებდნენ მის წამებასთან დაკავშირებულ ადგილებს. მეორე, რაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას ისაა, რომ უხტანესის დროსაც, შუშანიკის საფლავი ცურტავში ყოფილა. დაბოლოს, საინტერესოა უხტანესის სიტყვები, რომ ის მრავალჯერ ყოფილა ცურტავში და მთხვეულა შუშანიკის საფლავს.

შუშანიკის ასეთი მაღალი შეფასების შემდეგ სრულიად არაა საკვირველი, რომ უხტანესი ასრულებს თავის დანაპირებს — მისი წამების ვითარებას სხვა ადგილას გეტყვითო — და მთელ თავს უძღვნის ამ ამბავს. ესაა უხტანესის თხზულების 67-ე თავი, რომელსაც ეწოდება „წმიდა შუშანიკის შესახებ“. უხტანესი აქებს შუშანიკს როგორც წმინდანს და მოკლედ ყვება მისი წამების ამბავს. უხტანესის მონათხრობში ჩვენ გვაინტერესებს რამდენიმე საკითხი: 1. ხომ არა აქვს უხტანესს რაიმე ახალი ცნობა თვით შუშანიკზე? 2. საიდან მომდინარეობენ უხტანესის ცნობები? და რაც მთავარია — 3. ხომ არ იძლევიან ისინი რაიმე ახალს „წამების“ ტექსტის ისტორიისათვის?

ეს თავი თავის დროზე განხილული იყო პ. პეეტერსის, შემდეგ ი. აბულაძის და ბოლო დროს ზ. ალექსიძის მიერ.

პ. პეეტერსმა შეუდარა უხტანესის ცნობები შუშანიკის წამებაზე თვით „წამებათა“ ტექსტების ცნობებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უხტანესი არაფერს არც ამატებს და არც აკლებს და მხოლოდ ექოა ჩვენი აგიოგრაფებისა (პეეტერსი, 260). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა პ. პეეტერსს უხტანესი უფრო გვიანდელ, XI-XII სს., ავტორად მიაჩნდა, მის ნაშრომს და მასში შემონახულ ცნობებს დოკუმენტურ მნიშვნელობას ანიჭებდა (იქვე). პ. პეეტერსის აზრით, უხტანესს ჰქონდა შუშანიკის რომელიღაც სომხური „წამება“, რომელიც მოღწეული არაა და რომელიც განსხვავდებოდა ჩვენთვის ცნობილ სომხურ წამებათა წიგნებისგან მკვლევარის სიტყვით, უხტანესის „მამსილებელი ტექსტი სამწუხარო სიცხადით გვიჩვენებს რა ტონს მიაღწია ანტაგონიზმმა (სომხებსა და ქართველებს შორის, ნ. ჯ.) XII-ს-ში“ (პეეტერსი, 304).

(ი. აბულაძე უხტანესისა და „შუშანიკის წამების“ რედაქცი-

ათა შესასებ ასკვნიდა: „სომხურ წამებებს გარდა ის (უსტანესი, ნ. ჯ.) სხვა წყაროსაც იცნობს. ეს წყარო კი, ჩვენი აზრით, იაკობის სასულით ცნობილი თხზულება ან მისი მსგავსი რამ ჩანს. უფრო კი იაკობისაა საგულელებელი ქართულად, რადგან საფიქრებელია, რომ ქართულის მსგავსი თუ მისგან ნათარგმნი წამება უკვე უსტანესის დროისათვის პირვანდელი სასით აღარ იქნებოდა ცნობილი. მას კი ქართულის გაცნობა შეეძლო, თუნდ იმავე გზით, როგორც სხვა ქართულად დაცულ დოკუმენტს გაეცნო... ეს გზა კი იყო თარგმანი, რომელიც მისთვის შეუსრულებია ქართულის კარგად მცოდნე ვინმე კირაკოს ხუცესს. თარგმანი ამ შემთხვევაში შესაძლოა ზეპირიც ყოფილიყო“ (აბულაძე, შუშანიკი, 045). აქვე ი. აბულაძე მიუთითებდა იმ ადგილზე უსტანესთან, რომელიც ამოღებული უნდა იყოს სწორედ იაკობის ტექსტიდან. ეს ის ადგილია, სადაც მოთხრობილია, შუშანიკის თრევა ქუჩებში, მისი სახეში ცემა, საპყრობილის აღწერა და რწყილისა და მატლის სხენება. ცოტა ქვემოთ, მკვლევარი ხაზგასმით წერს: „ი ა კ ო ბ ის მ ი ე რ გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ვ რ ც ე ლ ი წ ა მ ე ბ ის წ ი გ ნ ი შ უ შ ა ნ ი კ ი ს ა ჩ ა ნ ს წ ყ ა რ ო დ უ ხ ტ ა ნ ე ს ი ს თ ვ ი ს ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც ი გ ი ვ ე ძ ე გ ლ ი ძ ი რ ი თ ა დ ი წ ყ ა რ ო ა შ უ შ ა ნ ი კ ი ს ს ო მ ხ უ რ წ ა მ ე ბ ზ თ ა წ ი გ ნ თ ა თ ვ ი ს ა ც“ (აბულაძე, შუშანიკი, 045).

[დაწერილებით შეადარა უსტანესის თხზულების 67-ე თავი „შუშანიკის წამების“ ვრცელ ქართულსა და სომხურ რედაქციებს ზ. ალექსიძემ. მისი სიტყვითაც, „უსტანესის ტექსტის გაცნობა მაშინვე ნათელს ხდის, რომ ავტორი მარტვილობის ტექსტებით სარგებლობს“ (ალექსიძე, უსტანესი, 382). ზ. ალექსიძე შენიშნავს, რომ „მნიშვნელოვნად ასალი უსტანესთან არის მსოლოდ იმ ცისის სახელი, რომელშიც ექვსი წლის განმავლობაში იტანჯებოდა შუშანიკი. ისტორიკოსი მას უფრეთს უწოდებს“ (იქვე). პ. პეტერსის საწინააღმდეგოდ ზ. ალექსიძეს, სავსებით სამართლიანად, მიაჩნია, რომ უფრეთის ცისის მოხსენიება არ იძლევა საკმარის საფუძველს, „რათა უსტანესისთვის რაღაც უცნობი სომხური წყარო ვივარაუდოთ“ (იქვე, 383). როგორც ითქვა, უსტანესის განცხადებით, შუშანიკის წამების აღწერისას მას უსარგებლია წერილობითი

და ზეპირი წყაროებით. „რადგან სსკა ყველა ცნობა წერილობითაც არის დადასტურებული, ზეპირი მასალისათვის გვრჩება მხოლოდ იმ ციხის სახელწოდება, სადაც მარტვილი იყო გამოკეტილი ექვსი წლის განმავლობაში“ (იქვე). თუმცა ზ. ალექსიძე აღნიშნავს უხტანესის ტექსტის მეტ სტილისტურ სიახლოვეს და მისი ზოგიერთი ცნობის საერთო იერის მეტ მსგავსებას ვრცელ სომხურ რედაქციასთან (იქვე, 387), მისი ზოგადი დასკვნა ასეთია: „შუშანიკის მარტვილობის აღწერისას უხტანესისთვის მთავარი წყაროა იაკობ ხუცესის თხზულება. შეიძლება ვივარაუდოთ, აგრეთვე, რომ ისტორიკოსი იცნობს შუშანიკის მარტვილობის ვრცელ სომხურ რედაქციასაც. ეს უკანასკნელი დასკვნა უეჭველი არ არის, რადგან მსგავსების შემთხვევითობის ალბათობა საკმაოდ დიდია, უხტანესის მიერ გამოყენებული „ზეპირი“ მასალა წამების ადგილების საკუთარი თვალით ნახვის შთაბეჭდილებებით და შუშანიკის საპრობილე ციხის სახელწოდების ცოდნით უნდა ამოიწურებოდეს“ (ალექსიძე, უხტანესი, 392).

(მკვლევარის აზრით, უხტანესი შუშანიკის თავგადასავალს ჰყვება ანანია ნარეკაცის სურვილით. უხტანესამდე არც ერთ საისტორიო თხზულებაში არაა მოხსენიებული შუშანიკის სახელი. უხტანესი არაფერს ამბობს შუშანიკის შთამომავლობის შესახებ. ყოველივე ეს კი, მკვლევარის სიტყვით, ნიშნავს იმას, „რომ X საუკუნეში სომხურ საეკლესიო წრიებში შუშანიკის ვინაობა კი ცნობილი იყო, მაგრამ მარტვილობის პერიპეტები უცნობი (ან ნაკლებ ცნობილი) რჩებოდა“. და შემდეგ: „უხტანესი იაკობ ხუცესის ნაწარმოებს დედანში იცნობს“ (იქვე, 393. ხაზი ყველგან ავტორისაა). ვნახოთ თვით ეს თავი.

67-ე თავი იწყება უხტანესის მიმართვით ანანია ნარეკაცისადმი: „ხოლო ამიერიდან მივაწევთ შენ საწადელ უწყებას მძლე და წმიდა მარტვილის შუშანიკის შესახებ“ (ალექსიძე, უხტანესი, 199). აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ, უხტანესის სიტყვით, შუშანიკი „მძლე“ მარტვილი ყოფილა. ეს თითქოს იმაზე უნდა ლაპარაკობდეს, რომ შუშანიკის კულტი სომხეთში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა და

იგი ძლიერ წმინდანადაც იყო მიჩნეული. მაგრამ არც ისაა გამოორიცხული, რომ უსტანესი, ხავსებით გასაგები მიზეზებით, რამდენადმე აჭარბებდეს შუშანიკის შეფასებაში.

შემდეგ უსტანესი აჩვენებს ადრესატს, თუ რის დაწერას აპირებს შუშანიკზე: „მის კეთილმოწამეობას, რომელიც ქრისტეს ღმრთისმსახურებისა და წრფელი აღსარების გამო ეწია, და მარტივობას თავის უარმყოფელი და უღმრთო ქმრისაგან, მის საქებლად აღვძრავ ენას და გაუწყებ, რაც წიგნით და ზეპირ მისწავლია“ (იქვე). ი. აბულაძემ ყურადღება მიაქცია უსტანესის სიტყვებს, შუშანიკს წამება „ქრისტეს ღმრთისმსახურებისა და წრფელი აღსარების გამო ეწია“-ო და შენიშნა: „უკანასკნელი გამოთქმა უკვე იმაზე მიგვიითითებს, რომ უსტანესი ამ წამებაში შუშანიკს ისე უცქერის, როგორც წრფელისა (ან ჭეშმარიტის) აღსარებისათვის თავდადებულს. იმ აღსარებისათვის, მაშასადამე, რომელსაც სომხები ადგენენ ქართველებისაგან განსხვავებით, და რომელსაც ქართველებიც იზიარებდნენ ერთხანს, მაგრამ კირიონის დროს რომ განუდგნენ. ამრიგად, აქაც ნათლად ჩანს უსტანესის პოლემიკური ტონი, როგორც დანარჩენ მის ნაწარმოებში. ამ მხრივ კი, ცხადია, მისი თვალსაზრისი ნაციონალური იქნება ამ საკითხში“ (აბულაძე, შუშანიკი, 044). უსტანესის ტონი რომ პოლემიკურია, ხოლო მისი თვალსაზრისი ნაციონალური, ეს სავსებით სწორია, ოღონდ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს უსტანესის შეხედულებით შუშანიკი მონოფიზიტობისთვის ეწამა. რა თქმა უნდა, უსტანესს მიაჩნდა, რომ შუშანიკი მონოფიზიტი იყო, მაგრამ, როგორც თვით განსვენებული მეცნიერი შენიშნავს, სომხური ეკლესიის თვალსაზრისით, ქართლი მთლიანად მონოფიზიტური იყო კირიონ კათალიკოსამდე და მხოლოდ მის დროს განუდგა სომხეთს. შუშანიკის მტარვალე ვარსკენიც ხომ ქრისტიანობის უარმყოფელი იყო საერთოდ და არა მონოფიზიტობასთან მეზრძოლი. საფიქრებელია, (უსტანესს სურს თქვას, რომ ქრისტიანობისთვის ისეთი ცნობილი წამებული როგორიცაა შუშანიკი, მონოფიზიტი იყო. ამითი უსტანესი კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს ქართული ეკლესიის მიერ დიოფიზიტობაზე გადასვლის მცდარობას.)

განსასილველ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, უხტანესის სიტყვები იმის შესახებ, რომ შუშანიკზე იგი მოყვება იმას, რაც მას „წიგნით და ზეპირ გაუგია“. აქედან ჩანს, რომ უხტანესს გამოუყენებია როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროები.

შემდეგ უხტანესი წერს: „ეპისტოლეთა წიგნში“ აღმოვაჩინეთ წმიდა მამათაგან და მოძღვართაგან მოხსენებული მისი სიმსნე და მამათა სჯულის ცნების დაცვა, წრფელი და ჭეშმარიტი აღსარება, სარწმუნოების სიმტკიცე და მსახურება, რომელიც დაწესებული იყო ცურტავის ეკლესიაში (რასაც ყველგან და ყოველ ადგილზე მოგითხრობს ეს სიტყვა, უფრო კი იმ წერილებში, რომელიც მისწერეს კირონს ჯერ ერთანეს მოძღვარმა და შემდეგ აბრაამ სომესთა კათალიკოსმა, რადგან ამსილებდნენ მას და ასე ეუბნებოდნენ: „შენ მოშალე წმიდა შუშანის მსახურება, რომელიც ცურტავის ეკლესიაში იყო დაწესებული და დამტკიცებულიო“, ალექსიძე, უხტანესი, 199).

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

1. უხტანესი ამბობს, „ეპისტოლეთა წიგნში“ აღმოვაჩინეთ წმიდა მამათაგან და მოძღვართაგან მოხსენებული მისი სიმსნე და მამათა სჯულის ცნების დაცვა“-ო და ა. შ. თუნდაც რომ მივიჩნიოთ, რომ „აღმოვაჩინეთ“, რაც შეესატყვისება უხტანესის «*გჟაჟაჟ*»-ს, ზედმეტად ძლიერი გამოთქმაა და აქ უნდა გვეხმარა „ვიპოვე“, ეს არსებითად არ შეცვლიდა ვითარებას. რჩება შთაბეჭდილება, რომ ცნობები შუშანიკზე უხტანესმა პირველად ნახა „ეპისტოლეთა წიგნში“. გამოდის, თითქოს შუშანიკზე იგი სხვა წერილობით წყაროს (სომხურად) არ იცნობდა. მაგრამ გადაწყვეტით ამისი მტკიცება არ შეიძლება. შესაძლებელია, უხტანესი მთლად ზუსტი არაა და მას უნდა თქვას, შუშანიკზე დამატებით ცნობებს იძლევა იმითომ, რომ შუშანიკის სხენება მას „ეპისტოლეთა წიგნში“ შესვდა.

2. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანდა, უხტანესის სიტყვით, „ეპისტოლეთა წიგნში“ მას უნახავს „წმიდა მამათაგან და მოძღვართაგან მოხსენებული მისი სიმსნე და მამათა სჯულის ცნების დაცვა, წრფელი და ჭეშმარიტი აღსარება,

სარწმუნოების სიმტკიცე და მსახურება, რომელიც დაწესებული იყო ცურტაეის ეკლესიაში“. აქ კი უსტანესი ნამდვილად უშვებს უზუსტობას: „ეპისტოლეთა წიგნში“, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი შუშანიკის სიმსნეზე, და მის მიერ „მამათა სჯულის ცნების დაცვაზე“.

როგორც ვსედავთ, უსტანესი ზუსტი არაა, როდესაც ჩამოთვლის თუ რა ცნობები ნახა შუშანიკზე „ეპისტოლეთა წიგნში“. ჩანს, იგი აქ თავისუფლად წერს, რაიმე განსაკუთრებული სიზუსტის დაცვის გარეშე. და ეს ბუნებრივიცაა. ამ შემთხვევაში მას ასეთი სიზუსტე არც სჭირდებოდა.

3. დაბოლოს, უსტანესი აშკარად ცდება, როდესაც ამბობს, თითქოს შუშანიკის სიქველზე ლაპარაკი იყოს „იმ წერილებში, რომელიც მისწერეს კირონს ჯერ ვ რ თ ა ნ ე ს მოძღვარმა და შემდეგ აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა“-ო. ვრთანესის წერილებში არც შუშანიკზე და არც ცურტაეის ეკლესიაში სომხური მსახურების მოშლაზე არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი. შუშანიკი იხსენიება სახელით მხოლოდ აბრაამისა და კირიონის წერილებში. სომხური მსახურების მოშლაზე კირიონისადმი მიწერილ წერილებში ლაპარაკობენ აბრაამი და სმბატ მარზბანი.

უსტანესის სიტყვებში შეიძლება მოინახოს სხვა უზუსტობაც, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისად გეიჩვენებს, რომ ზოგჯერ უსტანესი უშვებს შეცდომებს და უზუსტობებს, რის გამოც მთლად სიტყვა-სიტყვით მისი გაგება ყოველთვის არ შეიძლება.

შემდეგ უსტანესი აგრძელებს: „მისი (ე. ი. შუშანიკის, ნ. ჯ.) მოსახსენებელი, როგორც გითხარით, ამ წერილებში ვერ ჩაერთეთ განზრახული რიგის გამო და სხვა ადგილას რომ ეთქვათ, ვაითუ განსხვავებული იყოს და დაცილდეს მსჯელობას, რომელიც წინ უძღვის და მოსდევს ეპისტოლეებს. ზემოთაც ითქვა, რომ შესაფერისად ვთვლით ვწერთ რიგით, რასაც მოითხოვს განზრახვა, რომ ჩვენ გვასწავლოს“ (ალექსიძე, უსტანესი, 199). უსტანესის სიტყვები რომ გასაგები გახდეს, უნდა ითქვას შემდეგი: უსტანესს თავის წიგნში მოაქვს სომეხ და ქართველ მესვეურთა წერილები ძირითადად

იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს არის „ეპისტოლეთა წიგნში“. ამასთან, ამ წერილებს ხან წინ უძღვის, ხან კი ერთვის უხტანესის განმარტებანი და კომენტარები, რომლებშიც იგი მკითხველს აცნობს თუ ვინაა ამ წერილში მოხსენებული პიროვნება, სადაა დასახელებული გეოგრაფიული ადგილი, როდის შედგა მოხსენებული კრება და სხვა ამგვარი. შუშანიკი უხტანესთან პირველად იხსენიება მე-18 თავში — „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, უხტანესი აქ ლაპარაკობს შუშანიკის განსასვენებელზე. შემდეგ იგი უმატებს, ხოლო მისი წამების ვითარებას შემდეგ, სხვა ადგილას, გეტყვითო (იქვე, 69).

შუშანიკი შემდეგშიც რამდენჯერმე იხსენიება უხტანესის მიერ „ეპისტოლეთა წიგნიდან“ მოტანილ წერილებში. მაგრამ უხტანესის სიტყვით, მას ამ ადგილებში ვერ ჩაურთავს შუშანიკის წამების ამბავი („განზრახული რიგის გამო“). უხტანესის მიერ „განზრახული რიგის“ დარღვევის დამოწმება მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება. შუშანიკის წამების მოთხრობა ისევე არ დაარღვევდა „განზრახულ რიგს“, როგორც არ დაურღვევია იგი მის მიერ სხვა წერილებისთვის წამძღვარებულ თუ დართულ სხვა კომენტარებსა და განმარტებებს. მეორე მხრივ, უხტანესი არც იმაშია სწორი, თითქოს 67-ე თავი, ისევე არ იყოს ჩართული, როგორც სხვა უხტანესისეული განმარტებანი. ეს თავიც, უხტანესის მეთოდისათვის სავსებით თანამიმდევრულად, წინ უძღვის შუშანიკის სხენებას: მომდევნო, 68-ე და 69-ე თავები, ასევე წარმოადგენენ შესავალს წიგნის უკანასკნელ 70-ე თავისა, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის საყოველთაო ეპისტოლეის, რომელშიც, როგორც ვიცით, შუშანიკი იხსენიება. ამდენად, 67-ე თავი, როგორც ითქვა, სავსებით კანონზომიერადაა თავის ადგილას. მაშ, რატომ ამბობს უხტანესი, რომ მან შუშანიკის მოსახსენებელი ვერ ჩართო წერილებში „განზრახული რიგის გამო“? საფიქრებელია, უხტანესი გულისხმობს იმას, რომ შუშანიკზე ცნობები მას უნდა მოეტანა იქ, სადაც შუშანიკი პირველად მოიხსენია. ამაში ის მართალია. მის წიგნში შუშანიკი არაერთხელ იხსენიება, მან კი მხოლოდ წიგნის დასასრულს უამბო მკითხველს, ვინ იყო ეს წმინდანი.

რატომ გადაიტანა უსტანესმა სიტყვა შუშანიკზე წიგნის ბოლოში? ამაზე შეიძლება ასეთი პასუხი ვაგვეცა: თავისი წიგნის წერისას უსტანესმა არაერთი წერილობითი წყარო მოძებნა და შეისწავლა, არაერთი ზეპირი წყარო გამოიყენა. შეიძლება გვეფიქრა, რომ მაშინ, როდესაც უსტანესს თავის ძირითად წყაროში—„ეპისტოლეთა წიგნში“—შესვდა შუშანიკის სახელი, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მისი აზრით, საკმარის ცნობები ამ წმინდანზე. სათანადო წყაროები მან წიგნის წერის პროცესში დაძებნა და ამიტომ თავი შუშანიკზე წიგნის ბოლოში აღმოჩნდა. თვით უსტანესის წიგნიდან შეიძლება ამგვარი მაგალითის მოტანა: „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ სმბატ მარზპანის წერილი კირიონისადმი დაიწერა პარალელურად და ერთდროულად აბრაამის პირველი წერილისა, უსტანესთან კი სმბატის წერილი მოსდევს აბრაამის სამივე წერილს, თუმცა უსტანესი წერილების განლაგებაში იცავს ქრონოლოგიას. ზ. ალექსიძემ ამას სავსებით დამაჯერებელი ასსნა მოუძებნა: „საქმე ის არის, რომ უსტანესი თავის ნაშრომს ნარეკელს ნაწილ-ნაწილ უგზავნიდა. როდესაც სმბატის ეპისტოლე აღმოაჩინა, აბრაამის წერილები სათანადო კომენტარებით უკვე გაგზავნილი ჰქონდა“ (ალექსიძე, უსტანესი, 246—247). ეს კი მომხდარა იმიტომ, რომ უსტანესს სმბატის წერილი ვერ უნახავს „ეპისტოლეთა წიგნის“ ვერც იმ ნუსხაში, რომლითაც ხელმძღვანელობდა და ვერც სხვა ნუსხეებში. იგი შემდეგ კვლავ დაბრუნებია „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებს ამ ეპისტოლეს საძიებლად და იგი აღმოუჩენია აბრაამის პირველ ეპისტოლეში ჩართული (იქვე, 247).

ზემოგამოთქმულ ვარაუდს, რომ შუშანიკზე ცნობები უსტანესს აღმოუჩენია წიგნის დაწერის შემდეგ, შეიძლება დაუპირისპირდეს ასეთი მოსაზრება: უკვე იქ, სადაც უსტანესი პირველად ახსენებს თავის წიგნში შუშანიკს, იგი ამბობს, რომ იგი მრავალჯერ ყოფილა შუშანიკის საფლავზე ცურტავში და, მაშასადამე, მას კარგად უნდა სცოდნოდა შუშანიკის ამბავი. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არაა გადაულახავი: შეიძლება მივიღოთ ასეთი ვარაუდიც: ცურტავში მრავალგზის ნამყოფ უსტანესს მხოლოდ ზეპირი ცნობები ჰქონდა ამ წმინდანზე,

ხოლო, როდესაც მას დასჭირდა შუშანიკის წამებაზე დაწერა, მან წერილობითი წყაროების დაძებნა მოისურვა. შესაძლებელია, შემთხვევითი არ იყოს ის გარემოება, რომ უხტანესი სულ ორჯერ ამბობს, რომ მას შუშანიკზე წერილობითი წყარო ჰქონდა და ორივეჯერ სწორედ 67-ე თავში. პირველად, როგორც უკვე ვნახეთ, უხტანესი აღნიშნავს, რომ თავის ადრესატს ის აუწყებს, რაც „წიგნით და ზეპირ“ უსწავლია. მეორედ კი, ამას ქვემოთ ვნახავთ, უხტანესი ლაპარაკობს შუშანიკის იმ გაჭირვებაზე, „რომლის შესახებაც მის ისტორიაშია ნათქვამი“-ო.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ უხტანესის სიტყვებს, შუშანიკის მოსახსენებელი „ამ წერილებში ვერ ჩავრთეთ განზრახული რიგის გამო და სხვა ადგილას რომ ეთქვათ, ვაითუ განსხვავებული იყოს და დაცილდეს მსჯელობას, რომელიც წინ უძღვის და მოსდევს ეპისტოლეებს“-ო. რას ნიშნავს „სხვა ადგილი“? „სხვა ადგილას“ სად შეეძლო უხტანესს ეთქვა შუშანიკზე? როგორც ვნახეთ 67-ე თავი ერთ-ერთი უკანასკნელია წიგნში. სულაც რომ უკანასკნელი 70-ე თავის იქით გადაეტანა, ეს მაინც არ დასცილდებოდა „მსჯელობას, რომელიც წინ უძღვის და მოსდევს ეპისტოლეებს“, ერთ-ერთ ასეთ მსჯელობად იქნებოდა თვითონაც. ჩანს, „სხვა ადგილად“ უხტანესი გულისხმობს ცალკე, თავისი წიგნის გარეშე, დაწერას. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაცილდებოდა იგი „მსჯელობას, რომელიც წინ უძღვის და მოსდევს ეპისტოლეებს“.

მაშასადამე, უხტანესს უფიქრია იმაზეც, რომ ცალკე აღეწერა შუშანიკის წამება. მაგრამ რატომ დაებადა მას აზრი შუშანიკის წამების ცალკე აღწერისა? სომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ უხტანესისთვის უცნობი იყო ასეთი თხზულების სომხურად არსებობა? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ უხტანესის სიტყვები ასეთი კითხვის დასმის საფუძველს იძლევიან.

ამგვარ ეჭვს აძლიერებს უხტანესის შემდეგი სიტყვებიც, რომლებიც უშუალოდ მოსდევს ზემოთ განხილულს: „ესლა რომ შემეძლოს, შევცვლიდი ჩემი უძღურების ძალას და გახსდებოდი უფრო ძლიერი და ძალოვანი, რომ ჩემს უძღურებას შეეწიოს და გამაძლიეროს მე წმიდა მოწამის შუშანიკის ამ

ისტორიაში; აგრეთვე ჩემი ენა შეცვალოს სადიდებლად მის სასწაულთა, რომელნიც ეწია მას ტანჯვათა შემდეგ ცურტავში“ (ალექსიძე, უხტანესი, 199). ასეთი სიტყვები უფრო შექმნის მას, ვინც თვით აპირებს რაღაცის შეთხზვას და არა მას, ვისაც მხოლოდ სსვისი თხზულების შინაარსის გადმოცემა განუზრახავს.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს უხტანესის სიტყვებიც იმ სასწაულთა შესახებ, რომლებიც შუშანიკს მოეწინა „ტანჯვათა შემდეგ ცურტავში“. „წამების“ არც ერთ რედაქციაში არაფერი არაა ნათქვამი იმ სასწაულებზე, რომლებიც მოხდა ცურტავში შუშანიკის ტანჯვათა შემდეგ. თუ აქ ისევ უბრალოდ უხტანესის უზუსტობა არ არის, ან თუ უხტანესი იმ სასწაულებს (უშვილოთათვის შეიღების მიცემა, სნეულთა განკურნება, ბრმათა თვალის ახილვა) არ გულისხმობს, რომლებიც „წამების“ თანახმად შუშანიკის სიცოცხლეშივე მომხდარა და არა სიკვდილის შემდეგ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უხტანესს ზეპირი წყაროებიდან გაგონილი ჰქონდა ცურტავში მომხდარ რაღაც სასწაულებზე. ასეთი რამ სწორედ ზეპირსიტყვიერებისათვის არის დამახასიათებელი პირველ რიგში. უხტანესი ამაზე რომც არ ლაპარაკობდეს, ჩვენ მაინც აპრიორულად უნდა გვეფიქრა, რომ შუშანიკის წამებისა და სასწაულების შესახებ არაერთი ლეგენდა შეიქმნებოდა.

საინტერესოა, რომ თავის მოკლე მოთხრობას შუშანიკზე უხტანესი „ისტორიას“ უწოდებს. ჩანს, ამ თავის მონაყოლს იგი სასხვათაშორისოდ არ უყურებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიაჩნია, რომ მკითხველისთვის მას განსაკუთრებული ფასი უნდა ჰქონდეს. ალბათ, ამიტომაც აღნიშნავს საგანგებოდ, რომ ამ ამბის გადმოცემისას მას ყოველგვარი (წერილობითიცა და ზეპირიც) წყარო გამოუყენებია.

ორიოდე სიტყვა ცურტავზე მართალია, იგი არ იხსენიება ვრცელ სომხურ რედაქციაში და მას მხოლოდ იაკობის ტექსტში ვხვდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ლაპარაკობს. შუშანიკის წამება რომ ცურტავში მოხდა, ეს უხტანესს შეეძლო გაეგო მისთვის ცნობილ სხვა წყაროებიდანაც („ეპისტოლეთა წიგნი“, ზეპირი).

ზემოთ მოტანილი ადგილის შემდეგ უხტანესი იწყებს სა-

კუთრივ შუშანიკის წამების აღწერას და ჩვენც შევუდართო იგი „მარტილობის“ სხვადასხვა რედაქციას.

„აღსრულებამდე დიდი ღვაწლით შეირაცხა და სორცით უსორცოთა სახე მიიღო, შიმშილითა და წყურვილით თვითონ განილეოდა, მღვიძარებითა და ფსალმუნებით დღისით და ღამით არა ცხრებოდა ღმრთისადმი ლოცვაში, არა როგორც საპყრობილესა და ბორკილებში შეყენებული ვინმე, არამედ თითქოს თავისი ნებით შეიბორკა, რომ ექვს წელს ეცხოვრა ბორკილებსა, საპყრობილესა და ციხეში, რომელსაც ეწოდება უფრეთ“ (ზ. ალექსიძე, უხტანესი, 199).

„აღსრულებამდე დიდი ღვაწლით შეირაცხა და სორცით უსორცოთა სახე მიიღო“ მეტად ზოგადი ფრაზაა, იგი შეიძლება თქმულიყო ყოველი რედაქციის საფუძველზე. სოლო შიმშილზე, წყურვილზე, მღვიძარებასა და ფსალმუნების დღე და ღამ გალობაზე, ისევე, როგორც საპყრობილესა და ბორკილებზე ბევრჯერ არის ლაპარაკი ორივე ვრცელ, ქართულსა და სომხურ რედაქციაში. მოკლეში არაფერია ნათქვამი „მღვიძარებასა და ფსალმუნებით დღისით და ღამით არ დაცხრომაზე“, ისევე, როგორც ბორკილებსა და „თავის ნებით შებორკვაზე“. „თავისი ნებით შებორკვა“ ჩანს ვრცელი რედაქციებიდან: იაკობი გადმოგვცემს, რომ, როდესაც ჯოჯიკის შუამდგომლობით ვარსკენმა ბრძანა შუშანიკის „საკრველთაგან განტყეება“, თვით შუშანიკმა „არა თავს იღვა“ ბორკილთაგან განთავისუფლება „ვიდრე აღსასრულამდე მითურთ“ (X. 20—24). სომხურ ვრცელ რედაქციაში თვით შუშანიკი ლაპარაკობს ამაზე: „ხოლო ჩემდა ესე რამ არს, რომელი ტანჯვათა და რკინისა ბორკილისაგან განვიწმიდე, მიახლებისაგან უვარის მყოფელისა მის; და ესე ცხად იქმნა ყოველთათვის, ვითარმედ კელთა ჩემთა იყო განრინებაჲ ტანჯვათა და ბორკილთაგან, და საპყრობილეთა და სხუათა იწროებათაგან, რომლითა მტანჯვიდა მე უვარის მყოფელი იგი ღმერთისა. და აწ მე არა ვარ უსასოო მოსავთა შორის, არამედ ზურგი ჩემი მივეც გუემად და ღაწუნი ჩემნი ცემად და კელნი და ქედი ჩემი ბორკილსა რკინისასა...“ (X. 42—55).

(შუშანიკი რომ ციხეში ექვსი წელი იყო, ესეც ყველა ვრცელ და მოკლე რედაქციაშია, სოლო ციხეს რომ უფრეთი ერქვა, არც ერთში არაა.)

სავსებით სარწმუნოა ზ. ალექსიძის აზრი, რომ ციხის სასელი „უფრეთი“ უსტანესს ზეპირი წყაროებიდან გაუგია (ალექსიძე, უსტანესი, 383).

ამგვარად, ჯერჯერობით არა ჩანს, თუ ნიშანდობლივ რომელი რედაქციით უსარგებლია უსტანესს. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ არ ჩანს მოკლე რედაქციის (სომხურისა თუ ქართულის) რაიმე კვალი.

შემდეგ უსტანესთან ვკითხულობთ: „დიდად აწამა იგი უღმრთო და უსჯულო პიტიახშმა უბოროტესი და მწარე ტანჯვით: ჯერ ათრია ქუჩებსა და გზებზე, სცემა და დაუმსხვრია მას პირი და ყბა კვერთხით იქამდე, რომ მრავალი დღის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა თვალთა დაბუშტების გამო“ (ალექსიძე, უსტანესი, 199, 201).

ჯერ აღვნიშნავთ იმ განსხვავებას, რომელიც არის ამ ადგილსა და მოკლე რედაქციას შორის. მოკლე რედაქციაში, როგორც სათაურში, ისე ტექსტში ვარსკენი იხსენიება არა პიტიახშად, არამედ ანთიპატროსად (ბ. გვ. 49^{5,8}; გვ. 50^{34,39}). არაფერია ნათქვამი არც ქუჩაში და გზებზე თრევაზე, „პირში და ყბაში“ ცემაზე და თვალების დაბუშტებაზე.

რაც შეეხება ვრცელ რედაქციებს, თუმცა არც ერთ მათგანში არაა ლაპარაკი შუშანიკის ქუჩებზე და გზებზე თრევაზე, მაგრამ ორივეში ნათქვამია, რომ იგი ათრიეს ეკლესიიდან სასახლემდე (ალექსიძე, უსტანესი 388):

ი ა კ ო ბ ი

„და ეგრეთ წმიდამ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე; ვითარცა მკუდარი მიეთრია.

და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძ დაეფინა. და თვთ ფერჯნი დაიდგნის ძეძუსა ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაეპარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად“ (VIII, 15—19).

ს ო მ ხ უ რ ი ვ რ ც ე ლ ი

„და ნეტარი იგი მოითრია ქუეყანასა შიგან, ეკალთა და ძეძუთა ზედა, ქვათა და ქაცუთა. და შერმე უბრძანა ტაძრად წარყვანება და წულილ-წულილად დაეპარნეს [მას] კორცნი მისნი, რამეთუ იყო ქუეყანამ იგი ძეძვოან, და სისხლი დამოსდიოდა მას და ქუეყანამ იგი სისხლითა დასსმული იხილვოდა მხილველთაგან“ (VIII, 28—36).

ცხადია, ამ ცნობების საფუძველზე უხტანესს შეეძლო წარმოედგინა, რომ შუშანიკი ქუჩებსა და გზებზე ათრიეს. შესაძლებელია ისიც, როგორც ზ. ალექსიძეს მიაჩნია, უხტანესმა ცურტავში ყოფნის დროს ნახა, რომ „ეკლესიიდან სასახლემდე გზა ქუჩებსა და გზებზე გადის“ (ალექსიძე, უხტანესი, 388). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უხტანესის დროისთვის ცურტავში პიტიასხმის სასახლე, ალბათ, აღარც კი იდგებოდა. უხტანესი ცურტავში ხომ შუშანიკის წამებიდან არანაკლებ ხუთასი წლის შემდეგ იყო ნამყოფი.

ღირისა და ყბის ჩამტვრევა და თვალის დაბუშტება აღნიშნულია მხოლოდ ქართულ ვრცელ რედაქციაში, სომხურ ვრცელში კი ამაზე არაფერი არაა ნათქვამი (აბულაძე, შუშანიკი, 045; ალექსიძე, უხტანესი, 389).

ი ა კ ო ბ ი

„მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ეარსქენ და ფერკითა თვისითა დასთრგუნეიდა მას, და აღიღო ა ს ტ ა მ ი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევა“ (VI, 14—17).

„მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, ვერ ძალმიც გემომხ ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსვრილ არიან“ (VII, 22—24).

ს ო მ ხ უ რ ი ვ რ ც ე ლ ი

„და სცემდა მას კუერთხითა სასტიკად ფრიად, და არა ვის ეძლო დაშრეტამ რიხხვისა მის კაცისაჲ... და ურიდად და უწყალოდ გუემათა განაფიცებდა, ვიდრე არა დაშთა მას ზედა ადგილი მრთელი კუერთხითა ცემისაგან“ (VI, 30—40).

„და ხუცესი იგი ევედრებოდა ნეტარსა მას მიღებად ჭამადისა, და მას დადაცათუენება, არამედ არა ძალედვა სასტიკთა მათ გუემათაგან და მერმე ძლით მცირედ რამე გემომ იხილა“ (VII, 43—48).

კუერთხით ცემაზე ლაპარაკია ორივე ვრცელ რედაქციაში, ოღონდ იაკობის თხზულების მიხედვით, შუშანიკს კუერთხით სცემეს ეკლესიიდან თრევით მოყვანის შემდეგ (შუშანიკის

მეორე გვემა). სომხური ვრცელი რედაქციით კი შუშანიკს ვარსქენმა კვერთხით სცემა პურის ჭამის შემდეგაც (შუშანიკის პირველი გვემა. ამ დროს, იაკობის სიტყვით, ვარსქენს ასტამით უცემია შუშანიკი) და სასახლეში თრევით მოყვანის შემდეგაც (მეორე გვემა).

ერთი მომენტიტ უსტანესი, თითქოს, უფრო ახლოა სომხურ ვრცელ რედაქციასთან: უსტანესის მიხედვით, ვარსქენმა შუშანიკს „პირი და ყბა“ ჩამტვრია კვერთხით. ვრცელი სომხური რედაქციითაც პირველი გვემის დროს ვარსქენმა შუშანიკი კვერთხით სცემა, ხოლო, იაკობის ცნობით, შუშანიკს პირი და ყბები დაემტვრა სწორედ პირველი გვემის დროს, როდესაც ვარსქენს შუშანიკი ასტამით უცემია და არა კვერთხით. მაგრამ ეს სიახლოვე ბევრის მთქმელი არაა. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, სომხური რედაქცია თვით პირისა და ყბის ჩამტვრევაზე საერთოდ არაფერს არ ამბობს. მეორე, უკვე აღნიშნული იყო, რომ უსტანესი ყოველთვის როდი იმეორებს ზუსტად თავისი წყაროს ცნობებს. ამ შემთხვევაშიც უსტანესი ზუსტი არაა ამბების თანამიმდევრობით გადმოცემაში. უსტანესის სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს შუშანიკის პირისა და ყბის დამტვრევა მოხდა მისი ეკლესიიდან სასახლეში თრევით მოყვანის დროს. სინამდვილეში კი, როგორც ვიცით, ეს მოხდა უფრო ადრე, პურის ჭამის შემდეგ.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, კვერთხის დასახლება ასტამის მაგივრად მხოლოდ უსტანესის უზუსტობის შედეგი იყოს.

დაბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნა მოტანილ ციტატაზე. მართალია, იაკობი, როგორც ითქვა, ლაპარაკობს „თვალის დაბუშტებაზე“, მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამის გამო შუშანიკი „მრავალი დღის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა“. როგორც ჩანს, ესეც თვით უსტანესის მონაგონია, სავსებით ლოგიკურად გამომდინარე ნაცემი შუშანიკის იაკობისეული აღწერიდან. მართალია, სომხურ რედაქციაში ნათქვამია, ნაცემი შუშანიკი „შემდგომად რაედენტამე დღეთა შეიქმნა უმჯობეს მცირედ“-ო, მაგრამ არა გვეგონია ამ ფრაზის გავლენით მოეგონებინოს უსტანესს „მრავალი დღით“ შუშანიკის თვალის დაბნელება.

ვიფიქრობთ, ზემოთქმულიდან ჩანს, რომ უხტანესის წყაროს ამ შემთხვევაში იაკობის ტექსტი უნდა წარმოადგენდეს.

უხტანესი აგრძელებს: „შემდეგ [ჰყავდა] საკრეველებსა, რკინებსა და საპყრობილეში. ადვილთა სიმყრალე და სინოტივე საპყრობილესი უდიდესი იყო, რომ არა ვთქვათ, რაც რწყილთაგან და მატლთაგან მასზე გაჭირვებამ მოაწია, რომლის შესახებაც მის ისტორიაშია ნათქვამი“ (ალექსიძე, უხტანესი, 201). მოკლე რედაქციაში, როგორც ითქვა, თუმცა კი საპყრობილე ნახსენებია, მაგრამ არაფერია ნათქვამი საკრეველებსა და რკინებზე. არაფერია, აგრეთვე, ციხის ჰავაზე, რწყილებსა და მატლებზე. როგორც უკვე იყო აღნიშნული (აბულაძე, შუშანიკი, 045; ალექსიძე, უხტანესი, 390), ციხის ჰავაზე, რწყილებზე და მატლებზე ლაპარაკია მხოლოდ იაკობის ტექსტში და არაფერია ნათქვამი ვრცელ სომხურ რედაქციაში. (მატლები იხსენიება შუშანიკის ორ სომხურ სვინაქსარულ წამებაშიც) „და კაცი იგი უმჯულოდ მრავლითა გუემითა და ცემითა და უჭმელობითა აჭირვებდა და აიწროებდა მას წელსა ექუსსა ვიდრე მატლსავსე იქმნა საკრეველთა და ძკრძკრადთა მათ გუემთაგან“ (აბულაძე, შუშანიკი, 57) და მეორეგან: „და მან მრავლითა გუემითა და ცემითა და სიმშილითა ტანჯა იგი წელნი მრავალნი. და სხეული იგი მატლ-სავსე ექმნა“ (იქვე, 59). მაგრამ სვინაქსარულ რედაქციებს უხტანესის წყაროდ ვერ მივიჩნევთ, რადგან აშკარად ჩანს, რომ უხტანესს უფრო მეტი ცნობები აქვს, ვიდრე ამ რედაქციებშია.

მეტად მნიშვნელოვანია უხტანესის სიტყვები, შუშანიკის ამბავი მის „ისტორიაშია ნათქვამი“-ო, რაც უეჭველად მეტყველებს იმაზე, რომ უხტანესი მართლაც იცნობს შუშანიკზე წერილობით წყაროს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ უხტანესს ეს ცნობები წერილობითი წყაროებიდან აქვს ამოღებული და არა ზეპირად გაგებული (ალექსიძე, უხტანესი, 380).

ამ შემთხვევაშიც უხტანესის წყაროს იაკობის თხზულება უნდა წარმოადგენდეს.

მივყვეთ ისევ უხტანესს: „ხოლო იმ ნეტარ მოწამეს არარად მიაჩნდა ის ტანჯვანი მომავალი იმედისა, სიყვარულის და სარწმუნოების გამო, რომელიც კქონდა ღმრთის მიმართ,

რადგან თავისი წინაპრებისაგან პქონდა კეთილმსახურება კეთილი ძირის კეთილ ყლორტს, ვინაიდან „ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“, „რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს“ (აღექსიძე, უხტანესი, 201):

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს უხტანესის სიტყვები: შუშანიკი იყო „კეთილი ძირის კეთილი ყლორტი“-ო. ზუსტად ასეთივე გამოთქმაა სომხურ ვრცელ რედაქციაშიც: სუცესი ეუბნება შუშანიკს: „ნეტარ ხარ შენ დედათა შორის, ჭეშმარიტად კეთილისა ძირისა კეთილი მორჩი გამოსჩნდი“-ო (X. 12—15). ძნელი სათქმელია, ეს შემთხვევითი დამთხვევაა, გამოწვეული იმით, რომ გამოთქმა პერიფრაზია „სახარებიდან“, თუ უხტანესს იგი ვრცელი სომხური რედაქციიდანაა აქვს აღებული.

დანარჩენი მოტანილ ნაწყვეტში მეტად ზოგადი ხასიათისაა და შეიძლებოდა ეთქვა ყველას, ვინც შუშანიკის წამების რომელიმე რედაქციას იცნობდა.

„ამდენად და ასეთი ჭირის მომთმენი და მტვირთველი არაფერს გრძნობდა, არამედ უფრო და უფრო მხნევედებოდა თავის გაჭირვებაში, რომელსაც ითმენდა ნაირ-ნაირი მოღვაწეობით, პურის უჭმელობით, წყლის წყურვილით, მღვიძარებით, ცრემლითა და დაუცხრომელი ფსალმუნებით დღე და ღამე“ (აღექსიძე, უხტანესი, 201). შიმშილზე, წყურვილზე, მღვიძარებასა და ფსალმუნთა გალობაზე ზემოთ ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად ამ სიტყვებზე ჩვენ სხვა კუთხით შევჩერდებით. ამ და ზემოგანხილულ ანალოგიურ ადგილზე მსჯელობისას (ზ. აღექსიძე შენიშნავს, რომ „უხტანესის თხრობა სტილისტურად უფრო ახლოს არის სომხურ რედაქციასთან, ვიდრე ქართულთან. მიუხედავად ამისა, უხტანესს არა აქვს არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც არ მოიძებნებოდეს იაკობ ხუცესთან“ (აღექსიძე, უხტანესი, 387). სტილისტური მსგავსება, ან უფრო სიტყვასიტყვით მსგავსება, მართლაც არის. კერძოდ, ზემომოტანილი ციტატის უკანასკნელი სიტყვები („მღვიძარებით, ცრემლითა და დაუცხრომელი ფსალმუნებით დღე და ღამე“) ზუსტად ემთხვევა ვრცელი სომხური რედაქციის ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ შუშანიკი „ექუს წელ არა დასცხრა შჯულისა მის განკრძალ-

ვისგან, რომელსა შინა, მკნდა და იღუწიდა მარხვითა და ლოცვითა, მღვძარებითა და ცრემლითა (და) დაუცსრომელითა ფსალმუნებითა დღე და ღამე...“ (X. 84—89).

როგორ უნდა აიხსნას ეს დამთხვევა? ან უხტანესს წინ უღევს ვრცელი სომხური რედაქცია და იქიდან იწერს ამ ადგილს, ან დამთხვევა შემთხვევითია. ვფიქრობთ, უკანასკნელი ვარაუდი უფრო სწორია. უხტანესს რომ ვრცელი სომხური რედაქცია თვალწინ ჰქონოდა, მის ტექსტს არ ექნებოდა ის განსხვავებანი ამ რედაქციასთან, რომლებიც აქვს და რომლებიც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, ხოლო ნაწილობრივ კი ქვემოთ ვნახავთ. ან რაღა ასეთ ბანალურ ფრაზას — „მღვიძარებით, ცრემლითა და დაუცსრომელი ფსალმუნებით დღე და ღამე“ — გადაიწერდა უხტანესი, ფრაზას, რომელსაც მრავალგზის იმეორებდნენ ყველა წმინდანის, წამებულისა და ასკეტის მიმართ.

ვფიქრობთ, დამთხვევა შემთხვევითია და იგი არ გამოდგება იმის საბუთად, რომ უხტანესი იყენებდა ვრცელ სომხურ რედაქციას.

„თან ჰქონდა ერთი პატარა წიგნი, თავისი სამსახურებელი, ფსალმუნს იმითი აღასრულებდა და ყველა მასთან მოსულს უქადაგებდა ღმრთისმსახურების ყველა წესს“ (ალექსიძე, უხტანესი, 201).

მოკლე რედაქციაში არაფერი ასეთი არაა.

(იაკობის თანახმად სასახლიდან წასულ შუშანიკს თან ჰქონია „ევანგელჲ თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ (V. 28—29). ციხეში კი შუშანიკმა „დიდითა გულსმოდგინებითა კელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ (XII. 1—3).

(სომხური ვრცელი რედაქციაც ახსენებს შუშანიკის წიგნებს: ეკლესიიდან სასახლეში წამოსულ შუშანიკს „აქუნდა ევანგელჲ ერთი მცირე, რომელი იყო წინაპრისა მისისა წმიდისა საჰაკისი, რომელი თანა ეპყრა და მიოთ ევედრებოდა იღუმალ ღმერთსა“ (VI. 7—11). ციხეში შუშანიკს „ემოსა მას შინაგან ძაძაჲ და გარეგან პალეკარტი ანტიოქიისაჲ და სასთაული მცირჲ ხალენისაჲ [უცნ] სასთუნლით, და ლოცვათა წიგნი მცირჲ“ (XIV. 16—20).

ზ. ალექსიძის სიტყვით, „სომხური ვერსია უახლოვდება უსტანესის ცნობას იმით, რომ ორივე მცირე ზომის წიგნის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ (უსტანესს, ისევე როგორც იაკობ ხუცესს, მხედველობაში აქვს „დავითნი“, ხოლო სომხურ რედაქციას — ლოცვანი.) უსტანესი და იაკობ ხუცესი გვაუწყებენ წიგნით „ფსალმუნის აღსრულების“ შესახებ, ხოლო სომხური რედაქცია ლოცვანის ძილის დროს სასთუმლად გამოყენების შესახებ“ (ალექსიძე, უსტანესი, 390).

თუმცა, ჩვენი აზრით, სომხური რედაქციიდან მოტანილი ციტატიდან არა ჩანს, რომ შუშანიკი ლოცვათა წიგნს იყენებდა სასთუმლად და არა მისი პირდაპირი დანიშნულებით, მაგრამ ეს არ ცვლის ზ. ალექსიძის დაკვირვების სისწორეს. ამასთან აქ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს. სომხური ვრცელი რედაქციის თანახმად, შუშანიკის ევანგელე საჰაკის ნაქონი ყოფილა. საფიქრებელია, ასეთი მნიშვნელოვანი გარემოება უსტანესს აღუნიშნავად არ დარჩებოდა, მას რომ ეს ფაქტი სცოდნოდა.

შუშანიკი რომ თავის მნახველებს „უქადაგებდა ღმრთის-მსახურების ყველა წესს“ შეიძლებოდა თქმულიყო ორივე ვრცელი რედაქციის საფუძველზე.

გავაგრძელოთ უსტანესის სიტყვა:

„მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას. ვინც მასთან სანახავად მიდიოდა, სწავლობდნენ მისგან კეთილმსახურების ქადაგებას და მრავალი სნეული და ავადმყოფი მასთან მისვლით იკურნებოდა“ (ალექსიძე, უსტანესი, 201).

მოკლე რედაქციაში არც ერთი ამ ცნობათაგანი არ არის.

იაკობთან ვკითხულობთ ცნობას იმის შესახებ, რომ „განითქუა ყოველსა ქართლსა საქმც მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად“ (XI. 1—2). ვრცელ სომხურ რედაქციაშიც ნათქვამია „ჰამბავესა სიმკნისა მისისასა მოვიდოდეს ხილვად მრავალნი მამანი და დედანი, აღმთქუმელნი და მსოფლიონი...“ (XI. 1—4). აქ უსტანესი უფრო ახლო დგას იაკობთან, რადგან ორივესთან იხსენიება „მთელი ქართლი“, მაგრამ ეს არაა გადამწყვეტი ჩვენება. შუშანიკის წამება რომ ქართლში ხდება, ეს საესეებით ცხადად ჩანს სომხური ვერსი-

იდანაც¹ და უხტანესმაც ეს მშვენივრად იცის. ამიტომ უხტანესს იაკობის ტექსტის გარეშეც შეეძლო ეთქვა: შუშანიკის ქადაგება მთელს ქართლს მოეფინაო. მაინც, როგორც ითქვა, მსგავსება იაკობისა და უხტანესის ტექსტებს შორის მეტია.

(შუშანიკის მნახველნი რომ მისგან კეთილმსახურების ქადაგებას სწავლობდნენ და შუშანიკი რომ ავადმყოფებს კურნავდა, ეს ორივე რედაქციაშია.)

განსაკუთრებით/საინტერესოა ჩვენთვის უხტანესის სიტყვები: შუშანიკი „მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას“-ო.

(რითი გახდა შუშანიკი ნინოს მსგავსი?)

იმით, რომ ნინოს მსგავსად ისიც ქართლში ქრისტიანობისთვის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე იყო. მაგრამ განსხვავება მათ შორის ძალზე დიდია.

1. ნინოს მოღვაწეობის მახატაბები ბევრად უფრო ფართოა, მან მთელი ქართლი მოაქცია. შუშანიკის როლი კი უფრო მოკრძალებულია: იგი მოღვაწეობს ქართლის ერთ-ერთ პროვინციაში და მისი ძირითადი დამსახურება ის კი არაა, რომ მან სხვები მოაქცია („წამებიდან“ მხოლოდ ერთი ასეთი მაგალითი ვიცით—განბორებული მოგვი ქალის გაქრისტიანება), არამედ ის, რომ ქრისტიანობა არ უარჰყო და თავისი მაგალითით სხვა ქრისტიანებიც გაამხნევა. ნინო შეუდარებლად უფრო დიდი მოღვაწე იყო. აკი ეკლესიამ იგი მოციქულთა სწორადაც კი მიიჩნია. ამდენად ნინოსთან შედარება შუშანიკისა, შესაძლებელია, უტაქტობადაც კი ყოფილიყო მიჩნეული.

2. ნინოს ქრისტიანობისთვის წამება არ მიუღია, შუშანიკი კი ეწამა.)

ბევრად უფრო მოსერსებული შედარებაა გაკეთებული (ერცელ სომხურ რედაქციაში): ერთ-ერთი ლოცვის დროს შუშანიკი მიმართავს ღმერთს: „და აწ გესავ შენ, რომელმან წმიდაჲმ ჰრიფსიმე იცსენ მძლავრებისაგან მეფისა მის და სირ-

¹ არაა სწორი, თითქოს მსგავსება იაკობისა და უხტანესის ტექსტებს შორის მით უფრო მეტი იყოს, რომ სომხურ ვერსიაში „ქართლი“ საერთოდ არ იხსენიებოდეს. სომხური რედაქციის დასაწყისში ვკითხულობთ: „და იყო ჟამსა მეფობისა სპარსთაჲსასა პიტიახში ვინმე სოფლისა მის ქართლისაჲ“ (სომხ. I. 6—8).

ცხლეულ ჰყავ გმირი იგი. მეცა უღირსი ესე განმარინე მძლავრებისაგან უვარისმყოფელისა მის..." (V. 124—128). შუშანიკის ხანახავად ციხეში მისული ხუცესი მას ეუბნება: „...ამიერთგან განატრიდენ შენ მორწმუნენი ნანდვლვე სიტყვთა, რამეთუ სასოებით მით ღმრთისაჲთა სძლიე ურჩულოსა მას, და სახელი და სული დაიმკვდრე მსგავსად წმიდისა მის პრიფსიმძსა, [და] მასთანავე შენცა გვრგვნოსან იქმნე ყოველთა მათ უფლისა და მაცხოვრისაგან ჩუენისა იესუ ქრისტესა“. პრქუა ნეტარმან მან დედოფალმან: „მე არა ღირს ვარ გვრგვნთა და ნეტარებათა მის წმიდისასა, რომელი არა მიეახლა კაცსა ურჩულოსა, არამედ სიწმიდითა ეგო და სიწმიდისათჳს წინა ეწყო [და] სძლია ბოროტსა მას, და უწმიდძსცა იყოფოდა წმიდითა სისხლითა თჳსითა, წმიდათა მათ მოყუასთა თანა. ხოლო მე მკვდრ ვიყავ კაცისა მის ურჩულოსა თანა და ეშვენ შვილნი წარსაწყმედელად და განსარყუნელად ქმრისაგან მის ბილწისა, დაღაცათუ მიემადლა [მათ] ემბაზი ზეგარდამომა მშობელისაჲ“ (აბულაძე, შუშანიკი, სომხ. X. 15—37).

როგორც ვხედავთ, (შუშანიკი შესთხოვს ღმერთს მიხსენი ქრისტიანობის უარყოფელი ვარსკენის ძალადობისაგან, როგორც მეფის ძალადობისაგან იხსენი რიფსიმეო. აქ შუშანიკი გულისხმობს შემდეგს: აგათანგელოსთან მოთხრობილია, რომ ქრისტიანი ქალწული რიფსიმე არ დათანხმდა წარმართი მეფის, თრდატის, ცოლობას, რისთვისაც ეწამა (შემდგომში თრდატმა მოინანია თავისი ცოდვები და გაქრისტიანდა). შუშანიკს ასევე არ უნდა ცოლობა გაუწიოს თავის გამაზღვანებულ ქმარს: >

ამრიგად, თვით შუშანიკი ადარებს თავის თავს წამებულ რიფსიმეს.

შემდეგ ხუცესი ეუბნება მას, წმინდა რიფსიმეს მაგვარად სახელი და სული დაიმკვიდრე და მასთან ერთად ღმერთი გვირგვინს დაგადგამსო. აქ შუშანიკი თავმდაბლურად ამბობს, ამ წმინდანის გვირგვინისა და ნეტარების ღირსი მე არა ვარ, რადგან მას თავიდანვე არ ჰქონია სიახლოვე ურჯულოსთან და ესევე წმინდად დარჩა, მე კი ცოლი ვიყავ ურჯულოსი და მისგან შეიღებიც გავაჩინეო (შუშანიკის ზედმეტი თავმდაბ-

ლობა, თორემ როდესაც ის თავის ქმართან ცხოვრობდა, ეს უკანასკნელი ქრისტიანი იყო და არა ურჯულთ).

ფიქრობთ, უფრო უპრიანია შუშანიკის შედარება რიფსიმესთან. ისინი წმინდანობის რანგითაც მსგავსნი არიან, ორივე მოძალადე ურჯულთ მამაკაცს ეწინააღმდეგება თავისი ქრისტიანობის უმწიკველოდ შესანახად, ორივე წამებით ასრულებს სიცოცხლეს და სხვე თანაც ეს შედარება ორჯერ გეხედება თსზულებში და მასზე სპეციალური მსჯელობაცაა გამართული. ეს რომ უხტანეს წაკითხული ჰქონოდა, არა გეგონია დაჰვიწყებოდა და ნინოსთან რამდენადმე უხერხული შედარება გაეკეთებინა. ისიც კია გასათვალისწინებელი, რომ რიფსიმესთან შედარება სომეხი მკითხველისთვის უფრო გასაგები იქნებოდა. ქართველი მკითხველისთვის ნინო იქნებოდა უფრო ახლობელი. მაგრამ უხტანესი ხომ სომეხი მკითხველისთვის წერდა და არა ქართველისთვის?

ფიქრობთ, არაა საძიებელი თუ საიდან იცნობდა უხტანესი ნინოს. მას, როგორც სომეხ სასულიერო პირს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ მეზობელი ქართლის, რომელშიც, მისივე სიტყვით, ის მრავალგზის ყოფილა, განმანათლებლად ითვლებოდა ნინო. ნინოს მიერ ქართლის მოქცევაზე ლაპარაკობს მოვსეს ხორენაციც თავის „სომხეთის ისტორიაში“ (ხორენაცი, 1913, 231—234; ხორენაცი, 1893, 132—133). სხვათა შორის, განმანათლებლის სახელი მასთანაც ისევე იკითხება როგორც — უხტანესთან — ნუნე.

რას გეიჩვენებს უხტანესის თსზულების 67-ე თავის შედარება „შუშანიკის წამების“ სხვადასხვა რედაქციასთან?

როგორც ადრეც იყო აღნიშნული და ჩვენი შედარებებიდანაც გამოჩნდა, უეჭველია, რომ უხტანესი იცნობს იაკობისეულ, ან მასთან ძალზედ ახლო მდგომ, ტექსტს. ამაზე ლაპარაკობს ის, რომ უხტანესთან მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც ამჟამად მხოლოდ იაკობის ტექსტშია. ესაა ვარსქენის მიერ შუშანიკისთვის „პირისა და ყბების დამტვრევა,“ „თვალის დაბუშტება,“ ციხის ჰავის აღწერა, შუშანიკზე დახვეული რწყილისა და მატლის ხსენება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უხტანესს გამოყენებული ან წაკითხული არ ჰქონდა სხვა რედაქციები. „შუშანიკის წამების“ რედაქციებს

ერთი წყარო აქვთ, ისინი ძალზედ ახლოს დგანან ერთმანეთთან და ერთი და იგივე ძირითადი ფაქტები აქვთ მოთხრობილი. ამასთან, უსტანესის მოთხრობა იძლევა ძალზედ შეკუმშულ გადმოცემას შუშანიკის მარტვილობისას. ფაქტობრივად ეს მარტვილობა მას ხულ რამდენიმე ფრაზით აქვს გადმოცემული. შეიძლება დაგვეშვა ასეთი რამ: უსტანესი იცნობდა „წამების“ ყველა რედაქციას, თავისი მოთხრობა კი მხოლოდ ერთი რედაქციის მიხედვით დაწერა, ისე რომ სხვა რედაქციები დაწერის დროს არ გამოუყენებია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ რამდენიმე მომენტი, რომელიც უსტანესის მოთხრობას ცალკე აყენებს ვრცელი სომხური რედაქციისაგან: ესაა შუშანიკის შედარება წმინდა ნინოსთან და არა რიფსიმესთან და არ აღნიშვნა იმისი, რომ შუშანიკს თავისი დიდი პაპის წმინდა საპაკის სახარება ჰქონდა. მართალია, იყო აღნიშნული ისეთი მომენტებიც, რომლებიც თითქოს იმაზე ლაპარაკობენ, რომ უსტანესი ვრცელ სომხურ რედაქციასაც იცნობდა, მაგრამ ეს მონაცემები მეტიხმეტად სათუთა და, ვფიქრობთ, ისინი არ გამოდგებიან ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად. რაც შეეხება მოკლე რედაქციას, მან არაერთი არასხვა არ ჰპოვა უსტანესთან და ამდენად თითქოს არაფრის თქმა არ შეიძლება იმაზე, იცნობდა თუ არა მას უსტანესი.

მაგრამ, ჩვენი აზრით, უსტანესს არა თუ არ გამოუყენებია ვრცელი და მოკლე სომხური რედაქციები, არამედ მას არც უნდა სცოდნოდა მათი არსებობის შესახებ. გავიხსენოთ ის მონაცემებიც, რომლებიც ამაზე ლაპარაკობენ: უსტანესი ამბობს, რომ მან „ეპისტოლეთა წიგნში“ აღმოაჩინა (თუ ნახა) შუშანიკის ხსენება; უსტანესს გადაუწყვეტია შუშანიკის ამბის გადმოცემა, მაგრამ მისი მოთხრობა წიგნის ბოლოშია მოქცეული, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას იმთავითვე არ ჰქონია, მისი აზრით, საჭირო ყველა წყარო (იგულისხმება, წერილობითი). უსტანესს ისიც კი უფიქრია, ცალკე ხომ არ დაეწერა შუშანიკის მარტვილობის ამბავი. მისთვის რომ ცნობილი ყოფილიყო „შუშანიკის წამების“ არსებობა სომხურად, მას ასეთი აზრი, ალბათ, არც მოუვიდოდა. მას ხომ განსხვავებუ-

ლი ცნობები შუშანიკზე არ ქქონია, უხტანესი ისე თხოულობს განსაკუთრებულ ძალას შუშანიკის წამების აღსაწერად და მის სადიდებლად, თითქოს ის ახალ, დამოუკიდებელ თხზულებას წერდეს. მიუხედავად თავისი მოთხრობის სიმოკლისა, აშკარად ჩანს, რომ უხტანესი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ისტორიას უწოდებს და სპეციალურად აღნიშნავს, რომ მის დასაწერად გამოიყენა წერილობითი და ზეპირი წყაროები.

ადრეც იყო აღნიშნული, რომ უხტანესი შუშანიკის წამების ამბავს წერს ანანია ნარეკაციის სურვილით (აბულაძე, შუშანიკი, 044) — „ამიერიდან მივაწევთ შენს საწადელ უწყებას მძლე და წმიდა მარტვილის შუშანიკის შესახებ“... ამასთან დაკავშირებით ზ. ალექსიძე სვამს კითხვას: „რატომ დასჭირდა ანანია ნარეკელს, ამ გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწესა და მწიგნობარს, უხტანესისგან შეეტყო შუშანიკის წამების შესახებ დეტალები, თუკი მის დროს უკვე არსებობდა სომხურ ენაზე „მარტვილობის“ ვრცელი რედაქცია?“ (ალექსიძე, უხტანესი, 392). ის რომ ანანია ნარეკაცი აწერიანებს უხტანესს შუშანიკის წამების ამბავს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს თითონ ანანიამ არ იცის წამების დეტალები და, მით უმეტეს, თითქოს ამ დროს „წამების“ ვრცელი რედაქცია სომხურად არ არსებობს. ასევე ანანიას დაკვეთით აქვს დაწერილი უხტანესს სომეხ-ქართველთა ეკლესიების განყოფის ისტორია, თუმცა კი, უეჭველია, ანანიას ეს ამბავი კარგად უნდა სცოდნოდა. „ეპისტოლეთა წიგნი“ ხომ არსებობდა ანანიას დროს და მას იგი უეჭველად ექნებოდა წაკითხული. ანანია ნარეკაცი უხტანესს უკვეთავს წიგნს არა თავისი პირადი მოხმარებისათვის, არამედ საზოგადო საჭიროებისათვის და ასევე საჭირო ყოფილა შუშანიკის წამების მოთხრობაც.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც: როგორც ითქვა, უხტანესის მიერ გადმოცემული შუშანიკის წამების ამბავი მეტად მოკლეა და ზოგადი. შუშანიკის საფლავზე მრავალგზის ნამყოფ უხტანესს, ალბათ, ზეპირი გზითაც იმდენი ექნებოდა გაგონილი შუშანიკზე, რომ ეს საკმარისი იქნებოდა მისი მიზნისათვის, მაგრამ მას წერილობითი წყაროც უნახავს. უხტანესს რომ იკობის ტექსტი (ან მასთან ახლო მდგომი) აქვს წაკი-

თხული, ვფიქრობთ, სარწმუნოა. დაიწყებდა კი იგი კიდევ სხვა რედაქციის ძებნას? საეჭვოა. მისთვის ეს სრულიად ზედმეტი დროის დაკარგვა იქნებოდა.)

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი არგუმენტები ცალ-ცალკე აღებული, ალბათ, არ იძლევიან გადაწყვეტით რაიმეს თქმის საშუალებას, მაგრამ ერთიანობაში, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევენ მეტი დამაჯერებლობით და დაზუსტებით გამოვიტანოთ იგივე დასკვნა, რომელიც ცალკეულ, ჩვენ მიერ თავ-თავის ადგილას დასახელებულ მკვლევარებს კქონდათ გაკეთებული. (X ს. მეორე ნახევრის ცნობილ სომეს საეკლესიო მოღვაწეების უსტანესისა და ანანია ნარეკაციისთვის უცნობია სომხურ ენაზე „შუშანიკის წამების“ — რომელიმე რედაქციის არსებობა. ამიტომ უსტანესს თავისი წიგნის — „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ — დაწერის დროს გამოუყენებია ქართულად არსებული იაკობის „მარტვლობა შუშანიკისი“. ზ. ალექსიძის ვარაუდით, უსტანესს თუმც სუსტად, მაგრამ მაინც უნდა სცოდნოდა ქართული ენა (ალექსიძე, უსტანესი, 236—237). მაგრამ უსტანესს ქართულად დაწერილის გამოყენების სხვა საშუალებაც კქონდა. როგორც თვითონ გადმოგვცემს, ზოგიერთი დოკუმენტი მას წერილობით უთარგმნა ქართულის კარგმა მცოდნემ ვინმე თბილისელმა სომეხმა მღვდელმა კირაკოზმა. ი. აბულაძის სიტყვით, იაკობის ტექსტის თარგმანი შესაძლოა ზეპირიც ყოფილიყო (აბულაძე, შუშანიკი, 045).

ზემოთქმული, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არ ნიშნავს იმას, რომ უსტანესის დროს სომხურ ენაზე საერთოდ არ არსებობდა შუშანიკის წამების არც ერთი რედაქცია. სხვა არ იყოს რა, როგორც ცნობილია, X ს. ათონის ერთ-ერთ მრავალთავში მოთავსებულია ქართული მოკლე რედაქცია, რომელიც სომხურიდან თარგმნილად ითვლება (მარი, ათონი, 18). მოკლე სომხური რედაქცია კი, თავის მხრივ, როგორც დაადგინა ი. აბულაძემ, მიღებულია ვრცელი სომხური რედაქციის გადამუშავების შედეგად.

მაშასადამე, იმ დროს, როდესაც უსტანესი წერდა თავის წიგნს, სომხურად არსებობდა ვრცელიცა და მოკლე რედაქციები და აპარონ ვანანდციის ზემოთ განხილული თხზულებ-

ბაც. ჩანს, ყველა თხზულება არ ხდებოდა ცნობილი ყველა მწიგნობრისთვის. ეს არცაა გასაკვირი. ჩვენს დროშიც კი, როდესაც წიგნების ტირაჟები ათასობით (მინიმუმში) არის ხოლმე განსაზღვრული და არა ერთეულებით, როგორც იყო უსტანესის დროს, ასეთი რამ ხდება ხოლმე. სხვათა შორის, ეს საკითხი — თუ რა სიჩქარით ვრცელდებოდა ძველ დროში წიგნი ან რამდენად ხდებოდა იგი ცნობილი სხვადასხვა კულტურულ ცენტრში, ჩვენი აზრით, საინტერესოა და იგი სპეციალური შესწავლის ღირსია.

არსენი საზარელი

შუშანიკი მოხსენიებულია არსენი საფარელის თხზულებაშიც „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“. მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა არსენის მოღვაწეობის დროზე.

არსენის მოღვაწეობის დროზე განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. თ. ჟორდანიას შემოხსენებული თხზულების ავტორად მიაჩნდა X ს. მეორე ნახევარში მოღვაწე კათალიკოსი არსენი (ჟორდანიას, ქრონიკები, I, 320). მ. თამარაშვილის გამოკვლევის შესაბამისად, — არსენი კათალიკოსად იყო 946—976 წლებში (თამარაშვილი, 241). ს. კაკაბაძეს მისი კათალიკოსობა VII ს. დასასრულში გადაქონდა (კაკაბაძე, ძიებანი, 55), ხოლო პ. ინგოროყვა არსენის კათალიკოსობასა და დასახელებული თხზულების დაწერას 726—736 წლებზე დებდა (ინგოროყვა, № 10, 222, 263—268). ივ. ჯავახიშვილი თხზულების ავტორად მიიჩნევდა ქართლის კათალიკოს არსენის, რომელიც მოღვაწეობდა IX ს-ში (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 86). კ. კეკელიძეც თხზულების დაწერას 862 წ. ასლო დროით ათარიღებდა (კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, 140). ჯავახიშვილ-კეკელიძის შეხედულება ძირითადად გაზიარებულია ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში.

უკანასკნელ ხანებში (ზ. ალექსიძემ გამოთქვა დებულება, რომ „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს XI ს-ისა (ალექსიძე, თეზისები; მისი-

ვე, „ნაწილი სომხითისაჲ“; მისივე, არსენის კრიტიკისათვის).

(არსენის სსენებულ თხზულებაში არის ერთი ბუნდოვანი ადგილი, რომელმაც კარგა სანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება: „და განდევნა კვირონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისა საყდრისაგან თუხისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა“ (ალექსიძე, „განყოფისათუს“, 136). ცხადია, არსენი აქ ლაპარაკობს VII ს. დასაწყისის ამბებზე, კერძოდ, ცურტავის ეპისკოპოს მოსეს გაქცევაზე სომხეთში, რასაც მოჰყვა სომეხ და ქართველ მღვდელმთავრების მიმოწერა და რითაც ფორმალურად დაიწყო სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილება.

ენახოთ როგორ არის ეს ადგილი გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ვახუშტი ბატონიშვილის სახელგანთქმული წიგნის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — ავტოგრაფული ნუსხის ერთი გვერდის ამიაზე, იქ, სადაც ლაპარაკია VI ს. უკანასკნელი მეოთხედის ამბებზე, ავტორის ხელით გაკეთებულია მინაწერი: „ამ უამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათვის; ხოლო კვირიონ ანუ სვიმეონ კათალიკოსმან ქართლისამან განდევნა ცორტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავისაგან მწვალებლობისათვის სომეხთასა და იქმნა უმეტესი განყრილება“ (ვახუშტი, აღწერა, 120, შენ. 2). მინაწერის კავშირი არსენის ტექსტთან უეჭველია. ამასთან, როგორც ჩანს, ვახუშტის ისე ესმის არსენის ცნობა, რომ მოსეს საეპისკოპოსო კათედრა დაკავშირებული ყოფილა შუშანიკის საფლავთან.

არსენის ფრაზა თავის დროზე რუსულად უთარგმნია მ. საბინინს:

«Католикос Грузинский Кирион (Симон) выгнал из Цуртавской церкви, что в пределах Армении, армянского епископа Моисея, на том основании, что церковь эта была сооружена над мощами св. мученицы Шушаники царем грузинским и, с самого основания, находилась в зависимости от католикосов Церкви Грузинской» (ალექსიძე, „ნაწილი სომხითისაჲ“, 75).

როგორც სამართლიანად შენიშნავს ზ. ალექსიძე, საბინინის თარგმანში ბევრი შეცდომა და საკუთარი დანამატია (იქვე, 76), მაგრამ იგი ჩვენთვის მაინც საინტერესოა. საბინინის გაგებით, არსენისთან ნათქვამია, რომ მოსეს საყდარი არსებობდა შუშანიკის ნაწილებთან სომხეთში.

არსენი საფარელის თხზულების პირველ გამოცემელს (თ. ჟორდანიას განსახილველი ადგილი ესმოდა ისე, რომ მოსე შუშანიკის დადგენილი ყოფილა. ასეთი გაგების საფუძველზე თ. ჟორდანიას შუშანიკი VI ს. მოღვაწედ მიაჩნდა;) „რადგან მოსე დაუდგენია ეპისკოპოსად თვთ წა შუშანიკს, სჩანს შუშანიკის წამებაც VI საუკ. მომხდარა და არა V-ში, წინააღმდეგ სომეხთა მეისტორიეთა და თვთ ბროსეს აზრისა“-ო (ჟორდანიას, ქრონიკები, I, 320, შენ. 42).

ჩანს, თ. ჟორდანიას გავლენით ასევე გაიგო ეს ადგილი მ. თამარაშვილმაც¹.

ჩვენთვის საინტერესო ადგილის სომხური თარგმანი მოიპოვება ნ. აკინიანის წიგნში „კირიონ ქართლის კათალიკოსი“: „და განდევნა კირიონ ქართლის კათალიკოსმა ცურტავის ეპისკოპოსი მოსე საყდრისაგან, რომელიც დამტკიცებული იყო სომხეთში წმ. შუშანიკის ნაწილებთან“². ამ გაგების თანახმად მოსეს, ე. ი. ცურტავის, საეპისკოპოსო კათედრა შუშანიკის ნაწილებთან დაწესებულად გამოდის სომხეთში, თუმცა არ ჩანს, ვის მიერაა ეს გაკეთებული. არ ჩანს, აგრეთვე, ვისი დადგენილი იყო თვით მოსე.

ასევე გაიგო ეს ადგილი ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რომლის წიგნში „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“ არსენის განსახილველი ფრაზა შემდეგნაირად არის თარგმნილი სომხურად: „და განდევნა კირიონ ქართლის კათალიკოსმა მოსე ცურტაველი მისი საყდრისაგან, რომელიც დამ-

¹ მ. თამარაშვილს ეს ადგილი ახე აქვს თარგმნილი: „Kvirion catholikos de Géorgie, chassa á cause de cette scission, Moise, évêque de Tsourtavi, que sainte Chouchanic avait établi dans cette partie de l'Arménie (თამარაშვილი, 241).

² *«ს. კაწიოიქიისს ყრავს ყირიისს მხრძხვ მორთაჲსაჲს შიქსხს ხაჩსკიოჲსორ აშიოქს, որ ჴაიოვს შ. შიჯარსჩქი. სქსარსხრიო ქიქ დასათათოჲს ჴრავს (აკინიანი, კირიონი, 291).*

ტიციებული იყო წმინდა შუშანიკის ნაწილებთან, — სომ-
სითში¹.

ასეთი გაგება გაიზიარა ი. აბულაძემაც, მაგრამ ამავე
დროს ამ გაგებაში მან არსებითი განსხვავება შეიტანა. მისი
სიტყვით, „ეს ადგილი დედანში ალბათ ასე იკითხებოდა: „და
განდევნა კურიონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ცურტაველი
საყდრისაგან თვისსა, რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის
ნაწილთა თანა — სომსითს“ (აბულაძე, შუშანიკი, 012). შემდეგ
მოდის ი. აბულაძის კომენტარი: „აქ კი მოსე შუშანიკის ნა-
წილთა საყდრის ეპისკოპოსად ჩანს დადგენილი კურიონის მი-
ერ, რაც ისტორიულ სინამდვილეს სომსურ ცნობებთანაც
შეთანხმებით (Фирс Флоры) არ ღალატობს“-ო (იქვე).

როგორც ვხედავთ, (ი. აბულაძემ მოსე კურიონის მიერ დად-
გენილად მიიჩნია) მამასადაძემ, ამ გაგების თანახმად განსახილ-
ველ ფრაზაში ლაპარაკია მოსეს ეპისკოპოსად დადგინებაზე.
მელიქსეთ-ბეგთან (და აკინიანთან) ასეთი რამ ნათქვამი არაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის მთლად ცხადი არაა,
როგორ ესმით არსენის ფრაზა ლ. მელიქსეთ-ბეგსა და ი. აბუ-
ლაძეს: კურიონმა განდევნა მოსე სომსეთში, თუ მოსე დადგე-
ნილი იყო შუშანიკის ნაწილებთან სომსითში (შდრ. ალექსიძე,
„ნაწილი სომსითისა“, 77). მაგრამ ამაჟამად ამ საკითხს ჩვენ-
თვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველ ფრაზას სპეციალური წერილი უძღვნა
ზ. ალექსიძემ. იგი არკვევს ფრაზის ბოლო სიტყვების — „ნა-
წილთა თანა სომსითისასა“-ს—მნიშვნელობას და ასკვნის, რომ
„ნაწილი“ უნდა ნიშნავდეს სამწყსოს, ხოლო „სომსითი“ ქვე-
მო ქართლის პროვინციას (იქვე, 76—77).

შევაჯამოთ შემოთქმული: 1. თ. უორდანიასა და მ. თამა-
რაშვილის მიხედვით, არსენისთან ნათქვამია, რომ მოსე და-
უდგენია შუშანიკს. 2. მკვლევართა უდიდესი ნაწილი იზიარ-
ებდნენ არსენის თვალსაზრისს, რომ მოსეს საეპისკოპოსო

¹ «სა გუგუ კიორისა ვრავ კაჭიოქისა» (ქარაქიქი) შილსხა
მორთასაგონს ჯრ აპიოქს, ვიორ ჩასთათაქაბ ჯრ სიორე. შილასჩიქ
მასთის გნხრჩის კჩეგ ჯაქგოამ (შომქიქიამ)...» (მელიქსეთ-ბეგი,
ქართული წყაროები, 37).

საყდარი არსებობდა შუშანიკის საფლავთან (ვახუშტი, მ. სა-
ბინინი, ნ. აკინიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე. აქვე
დავუმატებთ, რომ ი. აბულაძის გაგებით არსენისთან ნათქვა-
მია, რომ მოსე დაუდგენია კირიონს).

განვიხილოთ არსენის ტექსტის ზემომოტანილი გაგებანი.

1. თ. ჟორდანიასა და მ. თამარაშვილის გაგების თანახმად,
მოსე შუშანიკის დადგენილია. ტექსტის ასეთი გაგება უარყო
ი. აბულაძემ — „ისტორიულ სინამდვილეს არ უდგებაო“, ვი-
ნაიდან „შუშანიკს მოსეს დადგენა არ შეეძლო, რადგანაც შუ-
შანიკი 474 წლის ახლო დროს აღესრულა, ხოლო მოსე ცურ-
ტაველი VII ს. დამდეგს განიცდიდა ღვენას. მათ შორის საუ-
კუნეზე მეტი მანძილია, მაგრამ ეს შეუსაბამობა არსენის
(ავტორის) ბრალი როდია, არამედ მისი შრომის გადამწერ-
ლებისა“-ო (იქვე.) ე. ი., ი. აბულაძის აზრით, რადგან შუშა-
ნიკსა და მოსეს შორის საუკუნეზე მეტი მანძილია, არსენი
ვერ იტყოდა, მოსე შუშანიკის დადგენილიაო.

მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, („მოქცევაჲ ქართლი-
საჲ“-ს და მის კვალად ჯუანშერს შუშანიკის წამება VI ს. -ის
მეორე ნახევარში გადააქვთ. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ასევე
იქცევიან ვახუშტი და ანტონ კათალიკოსი.)

ამგვარად შუშანიკი VI ს. მეორე ნახევრის მოღვაწედ მიჩ-
ნეული იყო თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და
არაფერი იქნებოდა მოულოდნელი იმაში, რომ ასევე ეფიქრა
არსენი საფარელსაც. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც,
რომ არსენი საფარელს საერთოდ აქვს ტენდენცია მოვლენები
შეამჭიდროვოს დროში, დაუახლოვოს ერთმანეთს სხვადასხვა
დროის ამბები) (შდრ. ალექსიძე, არსენის კრიტიკისათვის,
117). მაგრამ ი. აბულაძის მსგავსად, ჩვენც მიგვაჩნია, რომ
არსენი საფარელის თხზულების განსახილველ ადგილას ლა-
პარაკი არაა მოსეს დადგინებაზე შუშანიკის მიერ. ოღონდ
ჩვენ სხვა მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ: უეჭველია, რომ
სომეს-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორიის
აღმწერელი არსენი კარგად იცნობდა ამ პერიოდისა და ამ
საკითხზე სომეს და ქართველ მღვდელმთავრების მიმოწერას.
„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობათა განხილვისას კი ვნახეთ, რომ
კირიონის თანახმად, შუშანიკის დროიდან მოსემდე ცურტავეში

თერთმეტზე მეტი ეპისკოპოსი იჯდა, საიდანაც ჩანს, რომ შუშანიკი ვერაფრით ვერ იქნებოდა მოსეს თანამედროვე. კირიონის წერილს უთუოდ იცნობდა არსენი საფარელიც. ამიტომ იგი მოსეს ვერ ჩათვლიდა შუშანიკის დადგენილად.

2. როგორც ითქვა, მკვლევართა უდიდეს ნაწილს არსენის ტექსტი ესმის ისე, თითქოს მოსეს საეპისკოპოსო საყდარი იყო „შუშანიკის ნაწილთა თანა“ ანუ შუშანიკის საფლავზე. ასეთ გაგებას რამდენიმე გარემოება ეწინააღმდეგება:

ა) ასეთი გაგება მოითხოვს ტექსტის მნიშვნელოვან ჩასწორებას: „... რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის ნაწილთა თანა სომხითს“. არსენი საფარელის თხზულების ოთხივე ხელნაწერ ნუსხაში კი გარკვევით იკითხება: „... რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა“¹.

ბ) ზემოთ ითქვა, რომ ზ. ალექსიძესთან განსახილველ ფრაზაში „ნაწილი“ — ნიშნავს სამწყსოს და არა წმინდანის ნაწილებს. „ნაწილის“ ასეთი ახსნა ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია. მაგრამ ასეთი ახსნა მოითხოვს ტექსტის წაკითხვას ყოველგვარი შესწორების გარეშე: „და განდევნა კურიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისა საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს სამწყსოსა თანა სომხითისასა“. ზემოთ განხილული შესწორების შემთხვევაში ფრაზა ასე წაიკითხებოდა: „და განდევნა კურიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისა საყდრისაგან თვისისა, რომელი დაედგინა წმიდისა შუშანიკის სამწყსოსა თანა სომხითს“. ე. ი. გამოვიდოდა, რომ ცურტავის საეპისკოპოსოს არსენი შუშანიკის სამწყსოს უწოდებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ამასთან, თუ ტექსტს წავიკითხავთ შესწორებათა გარეშე, თავისთავად იხსნება მისი ისეთი გაგება თითქოს კირიონის დადგენილი იყოს საეპისკოპოსო საყდარი შუშანიკის საფლავზე. ამ უკანასკნელ გაგებას ეწინააღმდეგება დამატებითი სიძნელეები (მაგალითად, ისტორიული თვალ-

¹ იხ. ზ. ალექსიძის პუბლიკაცია (არსენი საფარელის „განყოფილათჳს ქართლისა და სომხეთისა“, გვ. 136. სქოლიო), რომელშიც წარმოდგენილია ორი ძირითადი ნუსხის (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა. ინსტიტუტის ხელნაწერები A 691 და A 735) წაკითხვა და ხელნაწერთა. ინსტიტუტის ხელნაწერები S 3270 და H 24.

საზრისით სრულიად მიუღებელი იქნებოდა აზრი იმის შესახებ, რომ კირიონმა შუშანიკის საფლავზე საეპისკოპოსო საყდარი შექმნა).

გ) კარგად არის ცნობილი, რომ საეპისკოპოსო კათედრა ცურტავეში არსებობდა შუშანიკის სიცოცხლეშიც. როგორც უკვე ითქვა, საფიქრებელია, რომ ეპისკოპოსი ცურტავეში იჯდებოდა შუშანიკზე ადრეც. მაგრამ, თუ დავუშვებთ საეპისკოპოსო კათედრის არსებობას შუშანიკის საფლავზე, გამოვა, რომ ცურტავეში ორი ეპისკოპოსი მჯდარა, ან უნდა მივიღოთ, რომ ცურტავეის საეპისკოპოსო კათედრა შუშანიკის სიკვდილის შემდეგ მის საფლავზე აგებულ ეკლესიაში გადაუტანიათ. ორივე დასკვნა მცდარი იქნება. ქართლის ძველი ცენტრებიდან ერთადერთი იყო მცხეთა, სადაც ერთდროულად ორი ეპისკოპოსი მჯდარა, ისიც იმიტომ, რომ ერთი მათგანი ქართლის კათალიკოსი იყო. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ქართული ეკლესიის რეორგანიზაციისას, ვახტანგ გორგასალის დროს, მცხეთაში „დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამუელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“ (ჯუანშერი, 198). მეორე მხრივ, არც ისაა საფიქრებელი, რომ ცურტავეის საეპისკოპოსო მოგვიანებით შუშანიკის სამარტვილეში გადაეტანათ. მოსე ყოველთვის ცურტავეის ეპისკოპოსად იხსენიება. არც არსენი საფარელთან, არც „ეპისტოლეთა წიგნში“ და არც სადმე სხვაგან არც ერთხელ არაფრით არაა მინიშნებული, რომ მოსეს საეპისკოპოსო კათედრა დაკავშირებული იყო შუშანიკის სამარტვილესთან.

ამგვარად გვრჩება ერთადერთი შესაძლებლობა განსახილველი ტექსტის გაგებისა: „და განდევნა კვირიონ ქართლისა კათალიკოსმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავეისა საყდრისაგან თვისისა, რომელი (ე. ი. საყდარი, ნ. ჯ.) დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა (ე. ი. სამწყსოსა, ნ. ჯ.) თანა სომხთისასა“. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ არსენი საფარელს ცურტავეის საეპისკოპოსო შუშანიკის დაარსებულად მიაჩნდა, ჩვენ კი ვთქვით, რომ იგი შუშანიკზე უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო. შეიძლება თუ არა, არსენის ასეთი შეცდომა მოსვლოდა?

როგორც ენახეთ „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახულ სო-

მეხ და ქართველ მოღვაწეთა წერილებში არაერთხელ იხსენიება რომ ცურტავში სომხური მღვდელმსახურება შუშანიკს შემოუღია. ამასთან, კირიონის წერილში ცურტავის ეპისკოპოსები დასახელებული იყვნენ შუშანიკის დროიდან. ამიტომ „ეპისტოლეთა წიგნის“ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ცურტავის საეპისკოპოსო შუშანიკს დაუარსებია მის მიერ სომხური მღვდელმსახურების შემოღებასთან ერთად. ჩანს, ასე გაუგია არსენი საფარელსაც. ცურტავის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღზე არავითარი ცნობა არ შემონახულა და, ალბათ, ჩვენც ასევე გავიგებდით „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობებს, თუ არ გავითვალისწინებდით იმ ზოგად მოსაზრებას, რომ, როგორც უკვე ითქვა, ქართლის საპიტიახშოში საეპისკოპოსო კათედრა V ს. მეორე ნახევარზე ადრეც იქნებოდა.

ჰქონდა კი შუშანიკს უფლება საეპისკოპოსო ცენტრის დაწესებისა? საერო ხელისუფალნი თუმცა ხელთდასხმას არ ასრულებდნენ, მაგრამ ეკლესიის საორგანიზაციო საქმეებში აქტიურად ერეოდნენ. საკმარისია დავასახელოთ ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ჩაატარა ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ ახალი საეპისკოპოსო ცენტრების შექმნაც იყო (ნარკვევები, II, 98). როგორც ჩანს, არსენ საფარელს შესაძლებლად მიაჩნდა შუშანიკის, როგორც ქვემო ქართლის მმართველის მეუღლის, დედოფლის, მონაწილეობა საეპისკოპოსო საყდრის დაწესებაში. შუშანიკი ხომ ითვლებოდა სომხური მღვდელმსახურების შემომღებად ცურტავის საეპისკოპოსოში!

ამგვარად/ყოველივე შემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსენი საფარელს, და, მაშასადამე, ქართული ეკლესიის გარკვეულ წრეებს, მიაჩნდათ, რომ ცურტავის საეპისკოპოსო დაარსებული იყო შუშანიკის მიერ, ალბათ, სომხურ ენაზე მღვდელმსახურების შემოღებასთან ერთად. რადგან „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობებიდან ჩანს, რომ VII ს. დასაწყისში ასეთი შეხედულება არ არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო გვიან წარმოქმნილა.

შუშანიკისა და მისი წამების ამბავს იხსენიებს დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი თავის ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც დაიწერა 1745 წ. ვახუშტი ძირითადად იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს. შუშანიკის წამებაზეც მას თითქმის სიტყვასიტყვით მოაქვს ჯუანშერის მთელი მოთხრობა (ვახუშტი, აღწერა, 118). ყველაფერი, რაც ითქვა ამ მხრივ ჯუანშერზე, შეიძლება გამეორებულ იქნეს ვახუშტიზეც. ვახუშტის არც ერთი ცნობა არა აქვს ისეთი, რომელიც არ მოეპოვება ჯუანშერს. მასავით იგი ვარსკენს იხსენიებს სომხითის მთავრად, ასხენებს პიტიახშად, მიიჩნევს რანის ერისთავად და სხვ. ჯუანშერზე უფრო გარკვევით ამბობს, რომ ვარსკენმა „მოკლა იგი (შუშანიკი — ნ. ჯ.) ტანჯვითა ფიცხელითა“. ვახუშტის მოთხრობიდან ისე ჩანს, რომ იგი არ იცნობდა იაკობის თხზულებას.

ვახუშტი ბაკურის მეფობას განსაზღვრავს 557—570 წლებით. ამდენად, შუშანიკის წამებაც, ვახუშტის მიხედვით, ამ დროს უნდა მომხდარიყო. ✓

ანტონ კათალიკოსი

იაკობის „შუშანიკის წამება“ გადაამუშავა XVIII ს. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და მწერალმა ანტონ კათალიკოსმა. ანტონის ნაშრომი ჩვენს ყურადღებას იქცევს რამდენიმე თვალსაზრისით. პირველ ყოვლისა საინტერესოა გადამუშავების მიზეზი და მიზანი, რამ გამოიწვია გადამუშავების საჭიროება და რა მიზნით გაკეთდა იგი. საინტერესოა, აგრეთვე, თუ როგორ გაკეთდა ეს გადამუშავება.

ქვემოთ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „შუშანიკის წამების“ ანტონისეული გადამუშავება ასეა შეფასებული: „დიდი რამ მაინცდამაინც შუშანიკის მარტვილობისათვის (იაკობის ნაწარმოებისათვის) მას არ შეუძენია, მაგრამ, მიუხედავად ამი-

სა, ინტერესს მოკლებული არაა იგი, თუნდ იმ მხრით, თუ როგორ ესმის მას წამების ესა-თუ-ის ადგილი, ესა-თუ-ის სიტყვა“ (აბულაძე, შუშანიკი, 07). ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ეს შეფასება ზედმეტად მკაცრია, ხოლო „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია კი საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც.

ანტონისეული „შუშანიკის წამება“ წარმოდგენილია ამ შესანიშნავი მოღვაწის აგიოგრაფიულ კრებულში „მარტირიკა“, რომელიც შედგება ოცი ნარკვევის ანუ „სიტყუისაგან“. მათგან ჩვიდმეტი შეეხება ქართველ, ხოლო სამი სომეხ წმინდანებს (თუ შუშანიკს, წარმოშობით სომეხს, ქართველ წმინდანად ჩავთვლით წამების ადგილის, ქართლის, მისედვით).

✓ ჩვენთვის ცნობილია „მარტირიკის“ თოთხმეტი ხელნაწერი, მათგან შეიდი სრულია, შეიდი კი „მარტვილობის“ შემოკლება-გამოკრებას ან გადამუშავებას წარმოადგენს. უძველესია „მარტირიკის“ სრული ნუსხა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S 1272i ✓

კ. კეკელიძე „მარტირიკის“ დაწერას 1769 წ. ათარიღებდა: (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 381). მაგრამ ხელნაწერ S 1272-ის შესწავლა გვარწმუნებს, რომ „მარტირიკა“, შესაძლებელია, ცოტა უფრო ადრეც დაიწერა. ყოველ შემთხვევაში მისი პირველი მეოთხედი, როგორც ჩანს, უკვე იყო დაწერილი 1768 წ. ბოლო თვეებში (ჯანაშია, ანტონისეული რედაქცია, 74—78).

✓ შუშანიკის წამება მეოთხე მოთხრობაა „მარტირიკისა“. S 1272-ში მას უჭირავს 140—177 გვერდები. მისი სათაური ასეთია: „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა რანთა დედოფლისა სუსანნასა, ზედ-წოდებით შუშანიკისა. ქმნილი ანტონისგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოასა საქართველოასა დავითიან ბაგრატიონისა“ (S 1272, 140).

✓ ისევე როგორც ყველა სხვა „სიტყუას“, შუშანიკის წამების ამბავსაც ერთვის ერთი სტროფი იამბიკოსი, ამოღებული ანტონის „წყობილსიტყვაობიდან“ (სხვათა შორის, იქ შუშანიკზე ოთხი სტროფია):

ლუარის სადენით საღა შევიდა სიძე,
 მტილსა რათამცა განიხილნეს ხილნარნი,
 მიეცი მუნ შენ ეტლად ამინადაბის,
 დასაჯდომელად ღმერთ მთავრობითისა ღმრთის,
 შუშანიკ სძალი სიძისა საყუარელი (S 1272, გვ. 140).

ანტონის წყაროებზე უნდა ითქვას შემდეგი: როგორც საე-
 სებიოტ/სამართლიანად აღნიშნა თავის დროზე ი. აბულაძემ,
 ანტონისათვის მთავარი წყაროა იაკობის ტექსტი (აბულაძე,
 შუშანიკი, 07), რომელსაც იგი ძირითადად მიჰყევება, ხან სი-
 ტყვასიტყვით იმეორებს, ხან ციტატები მოაქვს მისგან, თუმ-
 ცა ალაგ-ალაგ მნიშვნელოვნად ასხვადფერებს/რაზედაც ქვემოთ
 იქნება ლაპარაკი. ი. აბულაძემ აღნიშნა ისიც, რომ იაკობის
 ცნობები ანტონს შეუვსია „ქართლის ცხოვრების“ (კერძოდ,
 ჯუანშერის, ნ ჯ.) ცნობებით (აბულაძე, შუშანიკი, 07)¹. ქვე-
 მოთ თავ-თავის ადგილას ვუჩვენებთ ჯუანშერის რომელი
 ცნობები აქვს გამოყენებული მას. ანტონს უსარგებლია სომ-
 სური წყაროებითაც: „უწყებულ ვართ ისტორიკოსთაგან სო-
 მესთასა, და სათთჳშომსაგან მეტაქრასისა მათისა, თქმული-
 სათუხ წმიდისა სუსანანასა“ (S 1272, 145). ი. აბულაძის
 სიტყვით „ეს წყაროები *შაკჳმასიორჳ* -ამდის მიდის ყველა,
 რომელიც მის მიერ დასახელებული „სათთჳშომ მე-
 ტაქრასი“ უნდა იყოს“-ო (აბულაძე, შუშანიკი, 07). „სათთჳ-
 შომ მეტაქრასი“, ალბათ, მართლაც „*შაკჳმასიორჳ*“-ია,
 „ისტორიკოსნი სომესთანი“ კი, ვფიქრობთ, უკვე სხვა წყაროს
 უნდა გულისხმობდეს, თუმცა ჯერჯერობით არ ჩანს, კერძოდ,
 რომელს. განსვენებული მკვლევარის აზრით, ანტონი არ იც-
 ნობდა „წამების“ მოკლე რედაქციას, არც ქართულსა და არც
 სომხურს (აბულაძე, შუშანიკი, 07).

¹ სხვათა შორის, ანტონი ერთგან ამბობს: „მომზრახობენ ვასქენის-
 თს ძჳშლნი ისტორიკოსნი ჩჳშნნი, ვითარმედ უარის ყოფადმდე ქრისტეს
 ღმრთისა უკეთურვე იყო გონებითა უღმრთო ვასქენ. ხოლო ჰხედვიდა რა
 წმიდა იგი ცოლი მისი უკეთურ სახესა მას ქმარსა თუსსა, ილოცუდაო
 თუთცა, და სხუათაცა ევედრებინ ლოცუად, რათა წყალობითა თუსითა
 მსცუალოს ღმერთმან (ქმარი მისი) უგუნურებისა მისგან უღმრთობითი-
 სა, და ჰქმნას მის შორის გონიერებაჲ ქრისტეს მიმართ“ (S 1272, 149).
 მოტანილი ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით არის ამოღებული იაკობის
 ტექსტიდან (აბულაძე, შუშანიკი, I. 12—15). ამიტომ გაუგებარია, რატომ
 იმეორებს აქ ანტონი „ძჳშლ ისტორიკოსებს“.

✓ რას წარმოადგენს ანტონისეული გადაშუშავება „შუშანიკის წამებისა“ და რას ისახავდა იგი მიზნად?

იაკობი მოგვითხრობს მხოლოდ შუშანიკის წამების ამბავს, დაწყებულს გამაზდენებული ვარსკენის სპარსეთიდან დაბრუნების მომენტიდან და დამთავრებულს შუშანიკის დასაფლავებით. არაფერია ნათქვამი შუშანიკის ცხოვრების ადრინდელ პერიოდზე, ასევე, არაფერია იმაზეც, თუ რა მოუვიდა ვარსკენს შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ, დაისაჯა თუ არა იგი შუშანიკის წამებისათვის. ტექსტში გვსვდება მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ადგილები, რომლებიც დამატებით გარკვევას მოითხოვენ. ამასთან ერთად თხზულება, როგორც უკვე ითქვა, ფაქტობრივ სავესებით რეალისტური ნაწარმოებია. მთავარი მოქმედი პირები ცოცხალი ადამიანები არიან დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რთული და არასწორხაზოვანი ხასიათებით. შუშანიკი, რომლის წამება აღწერილია მორწმუნეთათვის სამაგალითოდ, ყოველთვის არ იქცევა ისე, როგორც ეს ნამდვილ წმინდანს შეჰფერის. მეორე მხრივ, ვარსკენი, შუშანიკის ანტიპოდი, უარყოფითი გმირი და ბნელი ძალების განმასახიერებელი, სანდახან სავესებით ადამიანურ თვისებებს ამჟღავნებს.

✓ იაკობის „შუშანიკის წამების“ გადაშუშავებისას ანტონი, როგორც ჩანს, ისახავდა ორ მიზანს: პირველი, გაესწორებინა ის ნაკლი, რაც ანტონის შესედულებით ჰქონდა ლიტერატურული თვალსაზრისით იაკობის თხზულებას, და მეორე, გაემართა იგი აგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნების შესაბამისად.

✓ ვნახოთ ახლა, რა გააკეთა ანტონმა ამ მხრივ.

✓ ჯერ განვიხილოთ ის ცვლილებები, რომლებიც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ანტონმა შეიტანა იაკობის ტექსტში წმინდა ლიტერატურული მიზნებით.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ანტონმა გაასწორა, უფრო ზუსტად, შეცვალა „წამების“ ზოგიერთი პერსონაჟის სახელი. „წამების“ მთავარი მოქმედი პირის სახელი „შუშანიკ“, რომელიც ამ ფორმითაა ცნობილი „წამების“ ყველა ხელნაწერიდან და სხვაგან ყველგან, სადაც კი იგი ისენიება, ანტონს სომხურ ფორმად მიუჩნევია: „ენისაებრ მათისა (ე. ი. სომხებისა, ნ. ჯ.) სახელ ჰსდებენ შუშანნა“-ო, ამბობს იგი

(S 1272, 145) და თვითონ წერს „სუსანას“. ვარსკენ პიტიახ-
შის კარის ეპისკოპოსი „წამების“ უმრავლეს ხელნაწერებში
მოსხენიებულია როგორც „აფოც“. მხოლოდ უძველეს ხელნა-
წერში (A 95) იგი იხსენიება „აფუტ“-ად. ანტონი ცვლის მის
სახელს „აქოტ“-ად და უკავშირებს ბერძნულ „ფოტიუს“-ს:
„... მივიდა ვასკენ ეკკლესიად, და ეპისკოპოსსა მის ქალაქისა,
და სახლისა თვისისა სახელით აქოტს, (ესე იგი, ქოტის)
ეტყოდა...“ (S 1272, 160). ვარსკენი „წამების“ ხელნაწერებში
იხსენიება სამნაირად: „ვასკენ“ (უმრავლესობაში), „ვაქსენ“
და „ვარსკენ“. ანტონი ირჩევს „ვასკენ“ ფორმას. ამაში, ის,
აღბათ, ანგარიშს უწევდა ჯუანპერსაც, რომელთანაც, აგრეთ-
ვე, „ვასკენია“ (ჯუანპერი, 216). ეპისკოპოსთა თავი სამოელი
ანტონთან იწოდება სამოილად (S 1272, 173).

საინტერესოა, რომ იაკობის „ქართლი“ ანტონს შეუცვლია
„საქართველოთი“. იაკობთან ეკითხულობთ: „მოიწია იგი
(სპარსეთიდან წამოსული ვარსკენი — ნ. ჯ.) საზღვართა ქარ-
თლისათა, ქუეყანასა მას პერეთისასა“... (აბულაძე, შუშანიკი,
I, 1—2). ანტონთან იგივე ადგილი ასეა: „წარმოსრულმან სპარ-
სეთით საქართჳსლოდ ვასკენ, და მახლობელ ქმნილმან სამ-
თავრომსა თვისსად“... (S 1272, 150).

აქვე შეიძლება ითქვას, რომ, როგორც თავის დროზე მიუ-
თითა [ი. აბულაძე], პირველმა ანტონმა აღნიშნა, რომ „შუშა-
ნიკის წამების“ ავტორია იაკობ ხუცესი (აბულაძე, შუშანი-
კი, 07).

ზოგადი ხასიათის ცვლილებებიდან, რომლებიც ანტონს
შეუტანია იაკობის ტექსტში, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ
იაკობისეული პირველი პირით თხრობა მას შეუცვლია მესამე
პირით თხრობით. ამისი მიზეზი ადვილად მისახვედრია: იაკო-
ბი შუშანიკის წამებას გვიამბობს როგორც თანამედროვე და
მონაწილე, ანტონი კი გადმოგვცემს შორეულ ეპოქაში მომ-
ხდარ ამბავს.

ახლა კერძო ხასიათის ცვლილებებზე.

იაკობის „შუშანიკის წამების“ არსებული ტექსტი იწყება
ფრაზით: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული
წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (I, 4—5). ფრაზა სტო-
ვებს შთაბეჭდილებას თითქოს მას წინ რაღაც აკლია. ამ შთა-

ბეჭდილებას აძლიერებს მეორე ფრაზა, რომელიც მოდის ორიოდ წინადადების შემდეგ: „და ცოლად მისა (ე. ი. ვარსკენისა, ნ. ჯ.) იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაამეტიისაჲ, რომლისათჳს ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სასელით ვარდან და სიყუარულით სძსელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისა, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით“ (I. 8—12). იაკობის სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ შუშანიკის სიყრმეში ღმრთისმოყვარებაზე მას უკვე ჰქონია ლაპარაკი. მაგრამ „წამების“ არსებულ ტექსტში ეს ადგილი არ არის. ამავე დროს „წამების“ ტექსტიდან არ იგრძნობა, რომ მას დასაწყისი აკლდეს. საბოლოოდ მკითხველი მაინც გაურკვეველობაშია, აკლია თუ არა დასაწყისი „შუშანიკის წამებას?“ ანტონს არ გამოჰპარვია მხედველობიდან ეს გარემოება. მას გამოუტოვებია გაურკვეველობის გამომწვევი პირველი ფრაზა „წამებისა“. გამოტოვა მან, აგრეთვე, ასევე გაურკვეველი „ვითარცა იგი ვთქუთ“. სამაგიეროდ შუშანიკის წამების აღწერას ანტონმა წარუძმდვარა ჯერ ვრცელი, განყენებული შესავალი, შემდეგ კი საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შუშანიკის წარმომავლობაზე და ცხოვრების ადრინდელ პერიოდზე. ამით მან თითქოს შეავსო „წამების“ დასაწყისი ნაწილის შესაძლებელი დანაკლისი.

(შუშანიკის წარმომავლობაზე ლაპარაკისას ანტონი დამატებით იძლევა ცნობას იმაზე, რომ შუშანიკის მამა, ვარდანი, იყო საჰაკ კათალიკოსის შვილიშვილი და ამდენად მას პართული წარმომავლობაც ჰქონია:) „... ნათესავთაგან პართთა მომზრახებენ, რეცა ასულისაგან ისაჲ დიდისა სომეხთა მამათაერისა“-ო (S 1272, 145), გადმოგვცემს ანტონი ვარდანზე. შესაძლებელია, სწორედ ეს ცნობა ჰქონდა ანტონს აღებული მის მიერ სხენებულ „ისტორიკოსთაგან სომეხთასა“.

ანტონს იქვე შეუტანია ერთი, მართლმადიდებელთათვის მეტად მნიშვნელოვანი, ცნობაც. (რათა ქართველ, და საერთოდ, მართლმადიდებელ მკითხველისთვის შუშანიკის სარწმუნოებრივი მრწამსი საეჭვო არ გამხდარიყო, ანტონი შუშანიკის მამაზე უმატებს ცნობას: — „ხოლო ესე ვარდან იყო უწინარეს სომეხთაგან განყოფისა წმიდისაგან კრებისა ხალკედონისა“-ო (S 1272, 145). ე. ი. ვარდანიცა და შუშანიკიც

მართლმადიდებელნი იყვნენო, რაც სწორია, ყოველ შემთხვევაში იმ თვალსაზრისით, რომ „წამების“ ეპოქაში სომხური და ქართული ეკლესიები ერთ სარწმუნოებრივ მრწამსზე იდგნენ და, მამასადამე, ვარდანსაც ქართველთაგან განსხვავებული მრწამსი არ ექნებოდა.

შემდეგ ანტონი მოკლედ გვიამბობს შუშანიკის აღზრდაზე: მშობლებმა „ასწავლეს საღმრთო ჰსჯული, და განგებულებანი საცხოვრებელნი. და შესაბამ ჩინებულებისა მათისა ზრდიდეს მდიდართა მიერ ნიეთთა სამოსელთა, და საგებელთა, და სამკაულთა ძკრფასთა“-ო (S 1272, 145-146).

ასე აღზრდილი შუშანიკი „დროდ სძლობისა მოიწეოდა ქალი ნარ-ნარი“. იგი გამხდარა „ქალწული მორცხვ, ყრმაა მიმადლებული, ჭაბუკა სათნობათა სიმდიდრითა, და სიბრძნითა, რომელიცა კეთილმსახურებითა განკარგა მან, შემკული.

სძალი სიბრძნისა მკმეველი კეთილგონიერებათა, და მცნებათა ქრისტესთა თავსა შორის თვსსა დამცუჭლი, მიეთხოვა განზრახვთა მშობელთათა ვასქენს ვისმე მთავარსა რანისა და ჰერეთისასა, რომელი არს ნაწილი მამულისა ჩუშნისა, და დედა შეილთა იქმნა“ (S 1272, 146). შემდეგ ანტონი ზოგადად ლაპარაკობს შუშანიკის ღირსებებზე და ღმრთისმოყვარეობაზე.

აქ ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს ანტონის ცნობა, რომ ვარსქენი იყო რანისა და ჰერეთის მთავარი. რანთა დედოფლად არის მოხსენებული შუშანიკი ანტონისეული რედაქციის სათაურშიც. საიდანა აქვს აღებული ანტონს ეს ცნობა? იაკობთან ვარსქენი მხოლოდ პიტიახშად იხსენიება, ისე რომ, არაა ნათქვამი, თუ რომელ ქვეყანას განაგებდა იგი. ვიცით მხოლოდ, რომ ვარსქენის სამფლობელოს ცენტრი ცურტავია. ერთგან იაკობი ჰერეთსაც ახსენებს: სპარსეთიდან სამშობლოში მომავალ ვარსქენზე იაკობი ამბობს: „ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა ქუეყანასა მას ჰერეთისასა“, კაცი აფრინა ცურტავშიო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვარსქენის სამფლობელო ჰერეთი იყო. მართლაც, ამ ადგილზე დაყრდნობით ერთ დროს ვარსქენი ჰერეთის მთავრად იყო მიჩნეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ჯავახიშვილი, ქეი, 208-209; ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის კრი-

ტიკული ვანსილვა იხ. თ. პაპუაშვილის წიგნში „ქერეთის ისტორიის საკითხები“, 102—105). ჩანს, ასევე გაუგია ეს ადგილი, თავის დროზე, ანტონსაც. ამ ადგილიდან უნდა მომდინარეობდეს მის მიერ ვარსკენის მიჩნევა ქერეთის მთავრად. (რაც შეეხება რანს, ამ ქვეყნის ერისთავად ვარსკენი იხსენიება ჯუანშერთან. როგორც ვნახეთ, ჯუანშერის მოსაზრებით, ვარსკენი იყო სომხეთის მთავართა შვილი, რომელმაც მასდევანობის აღიარების სანაცვლოდ სპარსეთის შაჰისაგან მიიღო რანის ერისთავობა. ამასთან, ჯუანშერის მოთხოვნიდან ჩანს, რომ რანი იყო დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც არ შედიოდა ქართლში.

(ამრიგად, ანტონს შეუერთებია იაკობისა და ჯუანშერის ცნობები: ქერეთის მთავრად ვარსკენს იგი მიიჩნევს იაკობის, რანის მთავრად კი ჯუანშერის თხზულების მიხედვით. მაგრამ, რათა მკითხველმა არ იფიქროს, რომ შუშანიკის წამება მოხდა რანში, ე. ი. ქართლის ფარგლებს გარეთ, როგორც ეს არის ჯუანშერთან, ანტონი ერთგვარად ეკამათება ამ უკანასკნელს, ასწორებს მის შეცდომას და მკითხველს უხსნის, რომ რანი და ქერეთი „არს ნაწილი მამულისა ჩუშნისა“-ო. როგორც ვხედავთ, ანტონი დიდი დაკვირვებით ატარებს თავის სამუშაოს.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც იაკობის ტექსტის მიხედვით ციხეში მყოფ შუშანიკის სანახავად მიდიოდნენ „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ (XVII. 6—7), ანტონი წერს, „არათუ რანით და ქერეთით, არამედ ქართლისანიცა“ მიდიოდნენო (S 1272, 173).

რა თქმა უნდა, უკვე სულ სხვა საკითხია, რამდენად მართალია ანტონი, როდესაც რანს ქართლის ნაწილად მიიჩნევს.

დანარჩენი ცნობები სხვაგან არსად არა გვხვდება. ამასთან, მათ არა აქვთ რაიმე კონკრეტული ხასიათი (გარდა იმისა, რომ შუშანიკი მშობლების სურვილით მისთხოვდა ვარსკენს) და თვით ანტონის შეთხზულად მიგვაჩნია. ჩანს, შუშანიკის მაღალი წარმომობიდან გამომდინარე, ანტონმა დაასკვნა, და სავსებით სამართლიანადაც, რომ იგი კარგ აღზრდას მიიღებდა და ფუფუნებაში გაიზრდებოდა. ხოლო შუშანიკი რომ სათნოებით აღსავსე უნდა ყოფილიყო, ეს ხომ ისედაც ცხადი იყო!

ანტონისეულ ტექსტში გვხვდება მხოლოდ ერთი უზუსტობა: რადგან ვარდან მამიკონიანი 451 წ. დაიღუპა, შუშანიკის გათხოვებისას იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა.

„წამების“ მეორე ფრაზა ასე იკითხება: „იყო მერვესა წელსა (მრ...) სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარიმართა ვარსქენ პატიასში“ (1. 6—7). ზევით უკვე ითქვა, რომ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული „მრ“ თავის დროზე აღნიშნავდა სპარსთა მეფის სახელს, მაგრამ სრულად ეს სახელი ამჟამად არ იკითხება არც ერთ ხელნაწერში. რადგან მკითხველმა არ იცის, რომელი მეფის ზეობის მერვე წელს წავიდა ვარსქენი ირანში, ცხადია, წელის აღნიშვნა აზრს ჰკარგავს. ანტონს ეს არ გამოერჩენია. იგი ამგვარად ასწორებს ფრაზას: „წარვიდა მთავარი იგი რანისა ვასქენ მიზეზითა და მისდა მიწოდებისათა სპარსთა მეფისად“ (S 1272, 148).

ჩანს, ანტონს ზედმეტად, შუშანიკის წამების ამბისთვის არაარსებითად ჩაუთვლია და გამოუტოვებია იაკობის ტექსტის ზოგიერთი ადგილი. ყველა ასეთი შემთხვევა ჩვენ სათითაოდ გვაქვს აღნუსხული სხვა ადგილას (ჯანაშია, ანტონისეული რედაქცია, 83—86), ამიტომ აქ მხოლოდ უმთავრეს მათგანს დავასახელებთ.

შუშანიკის სასახლეში დასაბრუნებლად ვარსქენმა გააზავნა მანთან თავისი ძმა ჯოჯიკი, მისი ცოლი და ეპისკოპოსი აფოცი. მათზე დიდი შთაბეჭდილება მთუნდენია შუშანიკის მტკიცე პასუხს: „და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოდეს ყოველნი. და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ პრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყუ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარყო?!“ ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: „დაჲ ჩუენი ხარ შენ“ და სხვ. (V. 16—20). როგორც ვხედავთ, იაკობი ჯერ ამბობს ცრემლმორეული ჯოჯიკი გარეთ გავიდაო, შემდეგ კი ისე ჩართავს მას საუბარში, რომ სპეციალურად არ აღნიშნავს მის უკან შემობრუნებას. ჩვენთვის ეს მშვენიერი მაგალითია იაკობის გასაოცარი ოსტატობისა, მაგრამ ანტონს ასეთი სირსო, ჩანს, მიუღებლად მიაჩნდა: მკითხველს რომ არავითარი გაუგებრობა არ შეექმნეს, მას გამოუტოვებია სიტყვები ჯოჯიკის ოთახიდან გასვლაზე.

ანტონს გამოტოვებული აქვს ის ცნობილი ადგილი, სადაც მოთხრობილია, როგორ გაუწყდა პირში სიტყვა ვარსკენისგან შეშინებულ დიაკვანს (IV. 1—5). გამოტოვებია ანტონს საკმაოდ დიდი ადგილი „შუშანიკის წამების“ ბოლოში, სადაც იაკობი ჩამოთვლის შუშანიკის ტანჯვისა და გარდაცვალების დღეებს (ძველი ქართული კალენდართ) და აღნიშნავს, რომ შუშანიკის გარდაცვალებისას მის მოხასხენებლად სუთშაბათი განუწყესებიათ (XIX, 13—XX, 9).

ანტონის მოქმედების მოტივი ცხადია: მას გამოტოვებული აქვს შუშანიკის ტანჯვათა დღეების დასახელება ძველი კალენდრით, რაც ანტონს, ჩანს, თავის თანამედროვეთათვის გაუგებრად მიაჩნდა და შუშანიკის მოხასხენებელ დღედ კვირის დღის დაწესება, რადგან შემდგომში ასეთად უკვე კალენდრის დღე იყო დანიშნული (ანტონს დაუტოვებია მხოლოდ შუშანიკის აღსასრულის ახალი კალენდრით დასახელება.)

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ის ადგილი, სადაც ანტონს შეუსწორებია იაკობის არსებული ტექსტი (სპარსეთის შაჰის ზეობის წლის ამოღება), ანტონს გაუსწორებია კიდევ ერთი ადგილი:

იაკობი გვიამბობს, რომ ვარსკენის გამაზღვანების გამო „განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“. (I, 29—30). ფრაზა აშკარად გაუგებარია. ვისი ასული „ბრძანა ცოლად მისა?“ თუ საკუთარი, უნდა ყოფილიყო „ასული თვისი“, თუ სხვა მეფისა, უნდა დასახელებული ყოფილიყო ეს მეფე. ასეთი უზუსტობა თქმისა სრულიად მოულოდნელია ბრწყინვალე სტილისტისა და მოქართულე იაკობისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი იაკობს არც უნდა ეკუთვნოდეს და მერმინდელი ჩანამატი უნდა იყოს, ოღონდ გაკეთებული ადრევე, რადგან ეს ფრაზა მოიპოვება უძველეს ქართულ ხელნაწერშიაცა და სომხურ თარგმანშიც (ამ უკანასკნელში ნათქვამია, თითქოს მეფემ ვარსკენს თავისი სიდედრი შერთო ცოლად). მართლაც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ტექსტის ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ითქვას, რომ ვარსკენს მეორე ცოლი, ყოველ შემთხვევაში, შუშანიკის წამების პერიოდში, არ ჰყოლია. თუმცა ანტონი არ უარყოფს ამ ცნობას, მაგრამ ცდილობს გამართოს ფრაზა: მისი თქმით, მე-

ფემ ვარსკენს „მიუბოძა ცოლად ასული ანუ თვისი, და ანუ პირველ მისა ყოფილისა ვისმე სპარსთა მეფისა“ (S 1272, 149), ე. ი. ცოლად შერთო თავისი, თუ მასზე ადრე ყოფილი რომელიღაც სპარსთა მეფის ასულიო.

(იაკობის ტექსტის შემოკლებასთან ერთად, ანტონი ჩანართებსაც აკეთებს. პირველ რიგში, ესაა უამრავი ციტატი ბიბლიიდან, რომელთაც თითქმის მუდამ ახლავს მითითება იმისა, თუ საიდანაა ციტატი ამოღებული.) გაკეთებული აქვს, აგრეთვე, ანტონს ჩანართები დიდაქტიკური ხასიათის საკუთარი მსჯელობებით. ზოგიერთ შემთხვევაში ანტონი ცდილობს უფრო მსატერული გახადოს თხრობა. ყველა ამ ჩანართის ჩვენება შორს წაგვიყვანდა, ამასთან მათ არცა აქვთ არსებითი მნიშვნელობა ჩვენი მიზნისათვის. მაგრამ ორიოდ აღვიღს მაინც მოვიტანთ.

ანტონი უმატებს მთელ აბზაცს სერობის დროს ნაცემი შუშანიკის აღწერით: „იყოფოდა წმიდა იგი საპყრობილესა შინა წყუდეული ქრისტესთვის, რომლისად ცხოვრება იყო ქრისტე, და სიკუდილი შესამინელ. განშუქნებული ჯორცთა შინა ტვრთვთა საწერტელთა მათ უფლისა იესუსთა, რამეთუ ყოვლად შუქნიერი პირი მისი ყურიმლისცემითა ვნებული, და მჯიღთა მიერ ქურჯუნვილი, ყურიმლისცემულთა მათ დაწუთა იესუსთა ცხოვლად დაჰხატვდა, და სხეული მისი თრეული და გუქმული, თვს შორის ცხოველსმყოფელთა მათ წყლულთა ასოთა ღმრთით მამაკაცისა სიტყვსათა წარმოადგენდა“ (S 1272, 158).

ანტონს ჩაუმატებია საკმაოდ დიდი პასაჟი, 28 სტრიქონი, ციხეში მოთავსებული შუშანიკის ქებითა და მოწამეობრივი ქცევის აღწერით. მათ შორის ასეთი მაღალმსატერული სტრიქონებიცაა: „მაშინ სანატრელი სძალი ქრისტესი, რომლისა დაწუნი ყურიმლისცემითა განშუქნებულ იყუნეს ვითარცა გურიტისანი, და ქედი ჯაჭვთა ვითარცა ძვრფასთა სპეკალთა მიერ მოოჭვილითა ფარღულითა, ქმნილებასა ოქრომასასა ემპსგავსებოდა. და სხეული მისი წუღილად დასხმულსა ვეცხლსა ყოვლად წმიდათა ასოთა წყლულებითა“ (S 1272, 162). სხვათა შორის, ანტონი თვითონვე ზუსტად მიუთითებს თავისი შეტაფორების პირველწყაროს — „სახარებას“.

ხანდახან ანტონი ერთი-ორი სიტყვით ცდილობს უფრო ფერადონად დახატოს სურათი: სასახლეში დაბრუნებულ შუშანიკზე იაკობი ამბობს: „და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა“ (V, 29—31). ანტონი ოდნავ ასხვაფერებს: „სოლო რაჟამს იგი შევიდა პალატად, არა თუ პორტირგარდაგებულსა მას ადგილსა დაჯდა საწოლსა შინა თვისსა, არამედ მცირესა სენაკსა შინა“ (S 1272, 156).

ციხეში შუშანიკისა და ჯოჯიკის საუბრის აღწერისას იაკობი გადმოგვცემს: „სოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე, პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუარებდა და ევედრებოდა“ (XVI, 9—10). ანტონი აძლიერებს სცენას: „დავარდა უკუტ ჯოჯიკ წინაშე წმიდისა და ვედრებითა იტყოდა მისდა...“ (S 1272, 171).

აქა-იქ ანტონს სხვა სტილისტური ცვლილებებიც შეაქვს. მაგალითად, პირდაპირი თქმა ირიბად გადააქვს (ვარსქენის დესპანის სიტყვები — „ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“... (II, 14). შუშანიკის მოთქმა ვარსქენის განდგომის გამო — „საწყალობელ იქმნა“... (II, 16—18) და სსვ.).

იაკობის თხზულება ისე თავდება, რომ მკითხველმა არ იცის, რა მოჰყვა შუშანიკის წამებას, დაისაჯა, თუ არა ვარსქენა, ამქვეყნადაც სძლია თუ არა ბოროტს კეთილმა. ამაზე ცნობა მოიპოვება ჯუანშერთან.

(ანტონს თითქმის სიტყვასიტყვით მოჰყავს ჯუანშერის ცნობა ვარსქენის დასჯაზე: „მკსმენელმან ვნებათა და სიკუდილისა სანატრელისა სუსანნამსა მეფემან აფხაზთა და ქართუტლთამან ბაკურ, შეჰკრიბნა ლაშქარნი თვისნი ფარულად, და განიმკედრა ვასქენს ზედა: სოლო დროსა მას ვასქენ მდგომარე იყო კიდესა მტკურისასა, სადა იგი შთავარდების მტკუარსა შინა მდინარე ანაკერტისა, და ზედა დაესხა ვასქენს და შეიპყრა იგი და მრავალ-დაწყლული მახვლითა ვასქენ მოჰკიდა ძელსა ზედა“. შემდეგ ანტონი აგრძელებს: „იტყუს ძუტლი უკუტ მატთანე ჩუენი, ვითარმედ „მეფემან ბაკურ წარმოიხუნა ნაწილნი წმიდისა სუსანნასნი, დიდითა პატივითა ცორტავს“. სოლო მე ვკგონებ ვითარმედ ეკკლესია იგი სადაცა იტყუს ხუცესი იაკობ დაფლჳასა წმიდისა სუსანნამსა არს ცორტავს“

(S 1272, 176). შემდეგ ჯუანშერი გვიამბობს, რომ როდესაც სპარსეთის მეფემ გაიგო ვარსკენის მოკვლის ამბავი, აპატიო ეს ბაკურს, რადგან ეშინოდა ქართველები ბერძენთა მხარეზე არ გადავიდნენ. ჯუანშერის მოთხრობის ეს ნაწილი ანტონს აღარ მოაქვს.

როგორც ვხედავთ, ანტონი არ ეთანხმება ჯუანშერის ცნობას, რომლის თანახმადაც შუშანიკი ცურტაეში ბაკურს გადაუსვენებია. ანტონი აღნიშნავს, რომ, მისი აზრით, შუშანიკი იმთავითვე ცურტაეში დაიმარხა, რაც ჩანს იაკობის თხზულებიდან. სამაგიეროდ, ანტონი იმეორებს ჯუანშერის ცნობას, თითქოს შუშანიკის წამება მეფე ბაკურის დროს მომხდარიყო, რაც, როგორც ვიცით, შეცდომაა.

ეს ადგილი კარგად გვიჩვენებს ანტონის მეთოდს; როგორც ვხედავთ, ის კრიტიკულად განიხილავს თავის წყაროებს, თუნდაც ისეთ ავტორიტეტულს, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“, ანუ ანტონის სიტყვით „ძუჭლი ძატიანე ჩუენი“.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ანტონს იაკობის ტექსტი რამდენადმე ენობრივად გადაუმუშავებია, ერთი მხრივ, თავისი ენობრივი პოზიციის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ ლექსიკური განახლების მიზნით. რათა მისი თანამედროვე მკითხველისთვის უფრო გასაგები გაეხადა ტექსტი, მან შეცვალა ან გამოტოვა ზოგი სიტყვა, რომელიც მას, როგორც ჩანს, მოძველებულად, ან გაუგებრად მიაჩნდა (ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმ შემთხვევაზე, როდესაც ანტონმა გამოტოვა ძველი ქართული კალენდრით აღნიშნული დღეები). იაკობთან სასახლის მნიშვნელობით მოხსენებული ტაძრის ნაცვლად ანტონი წერს „პალატი“ (S 1272, 151, 156, 161); „პიტიახშს“ ცვლის „მთაერთ“ (S 1272, 146, 148 და სხვ.); „უკამურის“ ნაცვლად წერს „შიშუჭლითა ფერკითა“ (S 1272, 162); „ჭურჭურის“ მაგივრად „ვეცხლს“ (S 1272, 164); „განბორების საღმობა“ შეცვლილი აქვს „შედებაჲ კეთროვანებისა“-თი (S 1272, 166); „გირჯაკი ერთი ძუელი“ გადმოცემულია როგორც „ნიეთი ფრიაღ უნდოჲ ძუჭლი რაჲმე“ (S 1272, 169); კილიკი, როგორც „ფიჩუ ბალნისა“ (იქვე), ხოლო თხრამლი, როგორც „შალალნი“ (S 1272, 170). ანტონს ზოგან

საერთოდ გამოუტოვებია სიტყვები, რომლებიც თანამედროვეთათვის, ალბათ, გაუგებრად მიაჩნდა, მაგ., „სენაკაპანი“, „ჭიჭნაუსტი“, „კუბასტი“.

აკობი ამბობს, რომ ვარსკენი ჰონებთან საომრად წავიდაო. ანტონს ეტყობა, მიაჩნდა, რომ მისმა მკითხველმა არ იცოდა, ვინ იყვნენ ჰონები, ამიტომ მათი ხსენება საერთოდ გამოუტოვებია: „... მთავარმან მან ვასქენ უღმრთო მან განიქედრა რომელსამე ნათესავსა ზედა“ (S 1272, 160). იაკობისეულ „ჩორ“-ს ანტონი უმატებს, „რომელნიმე ადგილნი დროსა მას სახელთა ამით იხედწოდებოდენ“-ო (S 1272, 168).

ზემოთ აღნიშნული იყო ყველა ის ცვლილება, რომლებიც ანტონს შეუტანია „შუშანიკის წამების“ ტექსტში, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, წმინდა ლიტერატურულ-სტილისტური შესწორების მიზნით. აღრიცხული არ იყო მხოლოდ მის მიერ ჩართული მრავალრიცხოვანი ციტატები ბიბლიიდან და რამდენიმე ზოგადი ხასიათის ჩანართი, რომელიც წარმოადგენს ანტონის მსჯელობას ეთიკურ და სარწმუნოებრივ საკითხებზე, აგრეთვე შუშანიკის ქებას ზოგადი ფრაზებით, კონკრეტული შინაარსის გარეშე.

ამრიგად, „შუშანიკის წამების“ ანტონის მიერ ლიტერატურული გადამუშავება გამოიხატა შემდეგში: ანტონმა გაასწორა მოქმედ პირთა სახელები, წამებას წარუძმდვარა ვრცელი შესავალი, დაუმატა დასაწყისი, სადაც გადმოცემულია შუშანიკის წარმომავლობა და აღზრდა, დაუმატა დასასრული, სადაც მოთხრობილია ვარსკენის სიკვდილით დასჯა. ანტონმა გაასწორა ტექსტის უზუსტობანი, თუ დროთა განმავლობაში გაჩენილი გაუგებრობანი, გამოტოვა მისი აზრით არაარსებითი, ან გაუგებარი ადგილები. ჩართო ციტატები „ბიბლიიდან“, საკუთარი მსჯელობანი, შეეცადა მხატვრულად გაემდიდრებინა ტექსტი და შეეცადა ან გამოტოვა არქაული და გაუგებარი სიტყვები.

ამრიგად, ანტონს საკმაოდ ბევრი გაუკეთებია „შუშანიკის წამების“ ლიტერატურულად გადამუშავების მიზნით. მაგრამ, როგორც ზევით უკვე ითქვა, ანტონს ჰქონია მეორე, შესაძლებელია, უფრო მნიშვნელოვანი მიზანიც — გადამუშავებინა

„წამება“ შინაარსობრივად. ასე ვთქვათ, იდეური თვალსაზრისით, გაემართა იგი როგორც აგიოგრაფიული ნაწარმოები.

ზემოთ ჩვენ უკვე გეტყვნდა შემთხვევა აღგვენიშნა ისიც, რომ „შუშანიკის წამებაში“ არის ზოგი რამ ისეთი, რაც შეუფერებელი უნდა ყოფილიყო წმინდა აგიოგრაფიული ნაწარმოებისათვის. შუშანიკი იქცევა როგორც ჩვეულებრივი ცოცხალი ადამიანი, იჩენს გაუმართლებელ თავშეუკავებლობას, მერყეობას, საერთოდ, ისეთ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც არ შეჰფერის ნამდვილ, ორთოდოქსალურ წმინდანს. მეორე მხრივ, ვარსკენი, რომელსაც აგიოგრაფიული უნარი აკისრებდა საშინელი მტარვალის როლს, აგრეთვე, ყოველთვის არ იქცევა ამ როლის შესაბამისად. მის ქცევასა თუ სიტყვაში ხანდახან ჩანს სავსებით ადამიანური გრძნობები, სიბრალულიც კი შუშანიკის მიმართ. ცხადია, ეს არ უნდა გამოჰპარვოდა ისეთ დაკვირვებულ მკითხველს, როგორიც იყო ანტონი. მართლაც, მან შენიშნა ყველა, ან თითქმის ყველა ასეთი ადგილი და გაასწორა. ამ რედაქციის მიხედვით, შუშანიკი იქცა ნამდვილ წმინდანად, ვარსკენი კი იმ მტარვალად, რომელიც უნდა ყოფილიყო უნარის კანონების მიხედვით. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ხელახლა გადავიკითხოთ ორივე, იაკობისა და ანტონის ტექსტი. ვეცდებით ვაჩვენოთ ყველა ის უმთავრესი ცვლილება, რომელიც ამ თვალსაზრისით შეუტანია ანტონს იაკობის ტექსტში.

იაკობი გვიამბობს, რომ სპარსეთიდან დაბრუნებულმა ვარსკენმა მეორე დღესვე დაიბარა თავისთან სამღვდელოება: „და სვალისა დღჳ ვითარ აღდგა პიტიახში, გქწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვენა და გურქუა ჩუენ: „აწ ნურას მერიდებით მე და ნუცაღა გჰაგ“. და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: „წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“. მაშინ და იწყყო სიტყუად“ (IV, 12—15) და მოიკითხა, რატომ წავიდა ჩემგან ჩემი ცოლიო და ა. შ.

ერთი შეხედვით, უცნაური სიტუაციაა: ქრისტიანობისაგან გამდგარი მთავრისა და საშინელი მტარვალისგან უპირველეს ყოვლისა მოსალოდნელი იყო, რომ თავის სამთავროში დაბრუნებისთანავე ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა მის მიერ უარყოფილ სარწმუნოების მიმდევრებთან, მკაცრ რეპრესიებს

მიმართავდა ამ სარწმუნოების მესვეურთა თუ მსახურთა, ე. ი. სამღვდელოების წინააღმდეგ და შეეცდებოდა თავისი ახალი სარწმუნოების გავრცელებას. ვარსქენმა კი ყოველივე ამის აბსოლუტურად საწინააღმდეგო რამ გააკეთა: ჩამოსვლის მეორე დღესვე, როგორც კი ადგა, თავისთან მიიწვია ეს სამღვდელოება, გულითადად, „სიხარულით“, მიიღო იგი და სპეციალურად გააფრთხილა, ნურც მომერიდებით და ნურც შემძულებთო! რაშია საქმე?

ვარსქენის ეს თითქოსდა გაუგებარი მოქმედება, უეჭველია, იხსნება იმით, რომ მისთვის ქრისტიანობის უარყოფა, ეტყობა, იყო მხოლოდ პოლიტიკური აქტი, პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი მიზნებით ნაკარნახევი. როგორც ჩანს, ვარსქენმა სწორედ იმისთვის დაიბარა თავისთან ხუცეები, რომ აეხსნა, ან ეგრძნობინებინა მათთვის საქმის ნამდვილი ვითარება და ეჩვენებინა, რომ მიუხედავად მის მიერ მაზდეანობის გარეგნულად აღიარებისა, მისი ნამდვილი დამოკიდებულება ეკლესიასთან არ იცვლებოდა. ეტყობა, ვარსქენმა მიაღწია თავის მიზანს და დააჯერა ხუცეები თავის გულწრფელობაში. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა, როგორ დათანხმდნენ ქრისტიანი მღვდლები მოციქულებად წასულიყვნენ შუშანიკთან, რათა იგი დაბრუნებოდა თავის გამაზდეანებულ ქმარს.

სხვათა შორის, ამ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს ხუცესთა თამამი პასუხიც — „შენი თავიც დაღუპე და ჩვენც დაგვღუპეო“, საიდანაც ჩანს, რომ ისინი საკმაოდ თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ვარსქენს და არც თუ დიდი შიში ჰქონიათ მისი.

მაგრამ, რაც მთავარია, მოტანილი ადგილი გვიჩვენებს, რომ ვარსქენი სრულებითაც არ ყოფილა ქრისტიანობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი. ეს კი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს მას და არა ისე, როგორც განკუთვნილი იყო მისთვის უანრის კანონებით. როგორც ჩანს, ანტონი მშვენივრად ხვდება ყოველივე ამას. ტექსტის არასასურველი გაგების თავიდან ასაცილებლად მას გამოუტოვებია ციტირებული ადგილი და მოკლედ ამბობს: „მიხადა მისდა ვასქენ კაცთა სამღვდელთა, და შევსთჳალნა მათ მიერ სუსანანაჲსა მიმართ სანატრელისა“ (S 1272, 153) და შემდეგ როგორც იაკობთანაა.

ხუცესთა მოციქულობას შედეგი არ მოჰყოლია, შუშანიკი

სასახლეში არ დაბრუნდა. მაშინ ვარსკენმა მასთან გაგზავნა თავისი ძმა, რძალი და სასახლის ეპისკოპოსი (!). იაკობი გვიამბობს: „და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ კრქუა მათ: „კაცნო ბრძენო, თქუენ კეთილად იტყვთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლად-ლა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?...“ (V, 5—10). აქ ყურადღებას იქცევს ჩვენს მიერ საზგასმული სიტყვები: ჯოჯიკი, მისი ცოლი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეპისკოპოსი აფოცი პოულობენ „მრავალ დასაჯერებელ სიტყვას,“ რათა შუშანიკი დააბრუნონ ქრისტეს უარმყოფელ ვარსკენთან! მაშასადამე, მათ მართლაც ჰქონდათ სათქმელი რაღაც, რაც სულ სხვაგვარად ხსნიდა ვარსკენის მოქმედებას. აკი თვით შუშანიკიც ადასტურებს ამას: „კაცნო ბრძენო, თქუენ კეთილად იტყვთ“-ო. ანტონთან ეს ადგილი ასეა: „მისრულნი დაბად, სადა იყოფოდა წმიდა იგი, შევიდეს წინაშე მისსა, და უწყებულ ჰყუძს სიტყუათა მრთ ვასკენისთა. მკსმენელმან მათმან მკვევალმან ქრისტესმან მიუგო წყნარად: „კაცნო ბრძენო, ვგონებდ, ვითარმედ მოაქციოთ იგი ჩემდა აღსარებითა ჭეშმარიტისა ღმერთისათა, გარნა მაიძულებთ მე მოქცევად მისდა?“ (S 1272, 154—155).

როგორც ვხედავთ, ანტონს ორივე შემთხვევაში გამოუტოვებია სწორედ ჩვენ მიერ საზგასმული სიტყვები, რომლებიც ისევ გვიჩვენებენ, რომ ვარსკენის გამაზღვანებას რაღაცა გამართლება ეძებნებოდა თვით მღვდელმსახურთა მხრივაც კი.

ანტონს ცოტა ქვემოთ ფაქიზად აქვს ჩამატებული ერთი ფრაზა. შუშანიკი ეუბნება ეპისკოპოსს: „ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ ყო?!“ (V, 18—19). ანტონთან ვკითხულობთ: „ვითარმე უკუძე მაწუძე შეერთებად მისთანა, რომელმანცა უარჰყო ღმერთი ჭეშმარიტი“, რომლისა მკსმენელი დუმნა ეპისკოპოსი იგი“ (S 1272, 155). როგორც ვხედავთ, ანტონმა მთლად შეცვალა ეს ეპიზოდი: თუ იაკობისეული „წამების“ მიხედვით აფოცი

„მრავალ დასაჯერებელ სიტყუას ეტყოდა“ შუშანიკს, ანტონისეული ტექსტის მიხედვით პირიქით, შუშანიკმა ისე შეარცხინა იგი, რომ გააჩუმა კიდევაც. განსაკუთრებით საინტერესოა სერობის ეპიზოდი, რომელიც ცენტრალურია „წამებაში“. ამ დროს ხდება ვარსკენისა და შუშანიკის უშუალო შეჯახება და ამის შემდეგ განსაკუთრებით მწვავედება ურთიერთობა მათ შორის.

ლიაკობი გვიამბობს, რომ შუშანიკის სასახლეში დაბრუნების ორი დღის შემდეგ ვარსკენი გადაწყვეტს ერთად ჭამონ პური მან, შუშანიკმა, ჯოჯიკმა და ჯოჯიკის ცოლმა) ეტყობა, ვარსკენს შუშანიკთან შერიგება სურს. ჯოჯიკის ცოლი მოუყვანიათ იმისთვის, რათა შუშანიკიც მოსულიყო („და რაჟამს შემწუსრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამად, რამთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა“ (VI, 4-5). ჯოჯიკს და მის ცოლს დიდი თხოვნით და ძალდატანებითაც („ვეითარცა მეტად აიძულეს და ძლით“) მოუყვანიათ შუშანიკიც, რომელსაც „ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაეულნეს“. მაგრამ შუშანიკმა „გემომ არა რამსაჲ იხილა“. მაშინ „ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღუნომ ჭიქითა და აიძულებდა მას, რამთამცა იგი ხოლო შესუა. პრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“ და განყარა ჯელი და ჭიქამ იგი პირსა შეაღწა და ღუნომ იგი დაითხია“ (VI, 9-13).

წარმოვიდგინოთ ახლა რა მოხდა: შუშანიკი ერთი კვირაა, თუ მეტი არა, შიმშილობს. იგი საჭმელს არ ეკარება, როგორც ჩანს, დესპანისგან ვარსკენის განდგომის ამბის გაგების დღიდან. ჯოჯიკი და მისი ცოლი თანაუგრძნობენ მას. ჯოჯიკი იტირებს კიდევაც მისი სიმტკიცის შემყურე. ვახშმობის დროსაც შუშანიკი არაფერს არ მიეკარება. ჯოჯიკის ცოლი ამდენი ხნის ნაშიმშილეე შუშანიკს ღვინოს მიართმევს ჭიქით და სთხოვს, ეს მაინც დალიოს. (შუშანიკი ღვინიან ჭიქას სახეში შეაღწავს, თან თავისი განრისხების მიზეზად ასახელებს ძველი ჩვეულების, კაცებისა და ქალების ცალ-ცალკე ჭამის, წესის დარღვევას.) სხვათა შორის, როგორც შემდგომში გამოჩნდება, შუშანიკი სრულებითაც არ იყო ქალსა და კაცს შორის უთანასწორობის მომხრე. სიკვდილის წინ იგი იმედით ილა-

პარაკებს ღმრთის სამსჯავროზე, „სადა არა არს რჩევამ მამაკაცისა და დედაკაცისა“ (XVI, 30-31). (შუშანიკის ქცევა, რბილად რომ ეთქვათ, სრულიად მოულოდნელია და ყოველად გაუმართლებელი ჩვეულებრივი ადამიანისგანაც კი, წმინდანზე რომ აღარა ეთქვათ რა!

ანტონი ამას მშვენიერად ხედავს და ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: ჯოჯიკი და მისი ცოლი ევედრნენ შუშანიკს რამე ეჭამა, მაგრამ ის არაფერს არ გაეკარა. მაშინ „მიართუა უკუშ ცოლმან ჯოჯიკისმან ღვინომ წმიდასა სასმელითა ჭიქისათა, და ევედრებოდა სმად, და უფროსლა აიძულებდა. რომლისათვის მიუგო წმიდამან რისხვთ: არა არს ჩუშულებამ ჩუენდა დედათა ჭამად მამათა თანა. და ვითარ იგი განამრავლა მისდა იძულებამ იგი დედაკაცმან მან, მიუღო წმიდამან კელთაგან ჭიქამ იგი, და შემუსრა განსრევით“ (S 1272, 157).

როგორც ვხედავთ, იაკობის თსზულების მიხედვით, შუშანიკმა რისხვით უთხრა ჯოჯიკის ცოლს ჩვეულების დარღვევაზე და მაშინვე შეაღწა ჭიქა სახეში. ანტონისეული „წამების“ მიხედვით კი, ჯერ ჯოჯიკი და მისი ცოლი ევედრებიან შუშანიკს ჭამოს, მერე ჯოჯიკის ცოლი გაუწვდის მას ჭიქას, შუშანიკის რისხვით შენიშვნის შემდეგ ჯოჯიკის ცოლი კიდევ განაგრძობს ძალდატანებას და მხოლოდ მაშინ, როდესაც „განამრავლა მისდა იძულებამ იგი დედაკაცმან მან“, შუშანიკმა გამოართვა მას ჭიქა და გადააგდო!

(ანტონისეულ გადმოცემაში შუშანიკის ქცევა არსებითად არის შეცვლილი, ძალზედ შერბილებულ-შელამაზებულა. აღარავითარი კვალი აღარაა დარჩენილი მისი გაუმართლებელი თავშეუკაებლობისაგან.)

შემდეგ იაკობი აღწერს, როგორ ჰგვემა შუშანიკი მისი საქციელით განრისხებულმა ეარსქენმა. ეს ამბავი გადმოცემული აქვს ანტონსაც, ოღონდ რადგანაც შუშანიკის ქცევა განსხვავებულადაა მოცემული იაკობთან და ანტონთან, ცხადია, ეარსქენის საპასუხო მოქმედებაც სხვადასხვანაირად გამოიყურება. ანტონთან იგი ბევრად უფრო გამუქებულია.

(შუშანიკის გვემა ანტონს ზუსტად ისევე აქვს გადმოცემული, როგორც იაკობს, გამოუტოვებია მხოლოდ ერთი ძალიან

საინტერესო ფრაზა.) შუშანიკის გვემის აღწერას იაკობი ასე ამთავრებს: „და აგინებდა ვარსქენ თესლტომსა მისსა და სასლისა მაოკრებელად სახელსდებდა მას“ (VI, 21—22). ე. ი. ვარსქენს უგინებია შუშანიკის თესლ-ტომი, ანუ წინაპრები და, ალბათ, ხალხი, საერთოდ სომხობა. შუშანიკის ცემის აღწერაში ანტონს მსოლოდ ეს ფრაზა აქვს გამოტოვებული. რატომ?)

(ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ანტონი საერთოდ ცდილობდა გაეშუქებინა ვარსქენის სახე.) მაგრამ ამ შემთხვევაში მან, თავისი დროის გამოჩენილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, გასაოცარი გამჭრიახობა და სწორედ რომ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოამჟღავნა. (ჩანს, ანტონს არ უნდოდა ვარსქენის მოქმედებისათვის ეროვნული ელფერი მიეცა) და სწორედ ამიტომაც გამოტოვა ფრაზა შუშანიკის „თესლ-ტომის“ გინებაზე.

ნაცემი შუშანიკი ვარსქენის ბრძანებით სენაკში შეიყვანეს და მსახური მიუყენეს, რომ არაფერ შესულიყო მის სანახავად (ერთი მცირე დეტალიც: იაკობი ამბობს, ვარსქენმა ბრძანა შუშანიკის „კრძალულად“ დაცვაო, ანტონი წერს „სიმკაცრით“ (S 1272, 158). მეორე დღეს, გათენებისთანავე („ვითარცა ცისკარ ოდენ იყო“) ვარსქენმა მოიკითხა შუშანიკი. მან ჰკითხა მსახურს, „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ მსახურმა უპასუხა, ვერ გადარჩებაო. მაშინ ვარსქენი შესულა შუშანიკთან, უნახავს იგი. „და დაუკრდა დიდძალი იგი სიმსივნე მისი“. ჩანს, ვარსქენისთვის მოულოდნელი ყოფილა შუშანიკის მდგომარეობა. მან აკრძალა შუშანიკთან მნახველების შესვლა: „ნუმცა ვინ შეეალს ხილვად მისა“-ო (VII, 5). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარსქენს შერცხვა კიდევაც თავისი ნამოქმედარისა და არ სურდა სხვახადაც ენახა ნაცემი შუშანიკი. ცხადია, შუშანიკის სანახავად მისვლა, მისი მდგომარეობით გაკვირვება, თუ შეწუხება რამდენადმე არბილებს ვარსქენის სასტიკ მოქმედებას. ჩანს, ანტონს ეს არ მოსწონს. ამიტომ მთელი ეს ეპიზოდი ანტონს გამოუტოვებია.

შემდეგ იაკობი აღწერს, როგორ მოინახულა შუშანიკი. იაკობს უთხოვია შუშანიკის მცველისათვის: „მე ხოლო მართომ შემიტყვე და ვისილო წყლულებამ იგი მისი“. ხოლო მან

მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე“. და მე ვარქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთვის, რაა არს?!“ (VII, 7—10). უაღრესად საინტერესო დიალოგია. ირკვევა, რომ შუშანიკის მცველად ვარსქენს დაუყენებია შუშანიკისვე განზრდილი კაცი, რომელიც იმდენად ყოფილა შუშანიკისგან დავალებული, იაკობის სიტყვით რომ ეთქვათ, სიცოცხლეც კი არ უნდა დაეშურებინა მისთვის. როგორ მოხდა ეს? ნუთუ ვარსქენმა არ იცოდა, ვის უყენებდა შუშანიკს დარაჯად? უნდა ვიფიქროთ, რომ ვარსქენმა ეს სავსებით შეგნებულად გააკეთა. ერთი მხრივ, მან ისტიბარი არ გაიტეხა და მკაცრად მოეპყრა შუშანიკს, მეორე მხრივ კი დარაჯად დაუყენა კაცი, რომელიც ეცდებოდა შუშანიკის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ასეც მოხდა: ბოლოს და ბოლოს მცველმა შეუშვა შუშანიკთან მისი მოძღვარი.

ეს ებიზოდიც, ალბათ, როგორც ვარსქენის საქციელის შემამსუბუქებელი გარემოება, ანტონს გამოტოვებული აქვს.

იაკობი გადმოგვცემს, რომ ნაცემი შუშანიკისთვის მას უთქვამს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელიც თვალთა შენთა შთაცუეულ არს, და საღბუნი და წამალი დაგდეა, რა მთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ (VII, 15—17). გამოტოვებულია საზგასამული სიტყვები. როგორც ჩანს, ანტონს მიაჩნია, რომ ამ სიტყვებმა შეიძლება ეჭვი დაჰბადონ მკითხველში, თუ შუშანიკის განკურნება წამლებით ერთ ღამეში შეიძლებოდა, გაზვიადებული სომ არ არის მისი უწყალოდ ცემის ამბავიო.

ქვემოთ იაკობი ამბობს: „და მე ვისწრაფდი გამოსლვად“ შუშანიკისგანო (VII, 26). იაკობი ჩქარობდა გასელას, რადგან, ალბათ, შიშობდა, რომ ვარსქენი გაიგებდა მის ყოფნას შუშანიკთან. ანტონი ხაზს უსვამს ამას და კიდევ უფრო ცხადყოფს იაკობის შიშის მიზეზს: „და მერმელა შიშითა მძლავრისათა მცირედჲამ მუნ დამზმელი, გამოვიდა საპყრობილისაგან წმიდისა“ (S 1272, 159). ყურადღებას იქცევს ასეთი ნიუანსიც: იაკობისეული ტექსტის მიხედვით შუშანიკი შეიყვანეს „სენაკში“ და დარაჯად მიუყენეს კაცი; რომელიც ორჯერ ისხენიება როგორც „მსასური“ და ერთხელ „მცველი“. ანტონისეულით კი — შუშანიკი შეიყვანეს „სახლსა მას მცირესა“, რომელსაც

შემდეგ იგი უწოდებს „საპყრობილეს“ (ორჯერ), მცეელს კი „მონას“ და „მეპყრობილეს“.

მეტად საინტერესო ამბავია აღწერილი ცოტა ქვემოთ. შუშანიკისგან წამოსასვლელად გამზადებულ იაკობს შუშანიკი მიმართავს: „ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მექმარების“. ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“.

და ჩუენ-ლა ამას განვიზრახავდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?!“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რამ გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკურდა, თუ რამსა-მე მიწესს ამას ჟამსა? და მივისწრაფე და მივედ-ლა მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, — იპოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რამცა რამ არს“. ხოლო მე მივედ და უთსარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განისარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“ (VII, 27—40).

მთელი ეს ადგილი ანტონს გადმოცემული აქვს ერთი ფრაზით: „მიუღო წმიდასა უკეთურმან ვასქენ სამკაულნი სადედოფლონი“-ო (S 1272, 159).

რატომ შეამოკლა ანტონმა ეს ადგილი?

პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა იგულისხმება შუშანიკის სამკაულში. საფიქრებელია, ეს იყო საოჯახო ძვირფასეულობა, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა პიტიახშის მეუღლიდან მეუღლეზე, დედოფლიდან დედოფალზე. შესაძლებელია, რომ იგი ამავე დროს იყო სელისუფლების ნიშანიც და არა მხოლოდ სამკაული. შუშანიკის სიტყვით, ეს იყო ვარსქენის სამკაული („სამკაული ესე მისი“). ვარსქენიც მას „ჩემ სამკაულს“ უწოდებს და ამბობს „ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს“-ო. ანტონსაც ასე ესმის, „სამკაულნი სადედოფლონი“-ო, ამბობს იგი.

ენახოთ ახლა რა ირკვევა იაკობის ტექსტის ზემომოტანი-
ლი ადგილიდან:

1. შუშანიკს არაერთხელ ჰქონდა განცხადებული, რომ იგი არ შეურიგდებოდა ვარსქენს, არ ეზიარებოდა „საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა“, რომ სიკვდილი ერჩინა მასთან შე-
რიგებას, რომ იგი აღარასოდეს აღარ იქნებოდა ვარსქენის
მეუღლე, რომ სასახლეში დაბრუნება მისთვის სასიკვდილოდ
წასვლა იყო. ამას მოჰყვა შუშანიკისა და ვარსქენის შეჯახება
სერობაზე და შუშანიკის უწყალოდ ცემა. და აი, ყოველივე
ამას შემდეგ შუშანიკი მაინც ეკითხება იაკობს, დაუბრუნოს
თუ არა ვარსქენს სადედოფლო სამკაული, ხოლო როდესაც
იაკობი პასუხობს, რა გეჩქარებაო, ადვილად თანხმდება და
იტოვებს მას. გამოდის, რომ შუშანიკის ადრინდელი განცხა-
დებები არც თუ ისე მტკიცე ყოფილა, რომ მას ჯერ კიდევ არ
ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი ვარსქენთან ურთიერთო-
ბის გაწყვეტა.

2. მკითხველმა იცის, რომ ვარსქენმა მკაცრი ბრძანება
გასცა შუშანიკთან არავინ შევიდესო. მცველმა იაკობი დიდი
ხეწუნა-მუდარის შემდეგ შეუშვა, ვარსქენმა რომ გაიგოს, მომ-
კლავსო. თვით იაკობიც ვარსქენის შიშით ჩქარობს შუშანი-
კის ოთახიდან გარეთ გასვლას. ამ დროს იქ პირდაპირ მივა
ვარსქენისგან გაგზავნილი ყრმა, რომელიც კითხულობს
იაკობი მანდ არისო? ირკვევა, რომ იაკობის შუშანიკთან
ყოფნის ამბავი არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა
სასახლეში. ამავ დროს ჩანს, რომ ამის გამო არავინ არ დას-
ჯილა. მაშასადამე, იაკობის მიერ დახატული ვითარება, თით-
ქოს ვარსქენის ყველა მსახური ძრწოდა მისი შიშით და შუშა-
ნიკს დიდი სიმკაცრით ყარაულობდნენ, მნიშვნელოვნად გაზ-
ვიადებულა.

3. ზემოთ ნათქვამი იყო, თითქოს შაჰმა ვარსქენს მეორე
ცოლი შერთო. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სწორი არ უნდა
იყოს. იაკობ ცურტაველის ტექსტში ვარსქენი ამბობს, კიდევ
მოიძებნება ისეთი, ვინც ამ სამკაულს მოიხმარსო.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს შეუძინევია ანტონსაც და
სწორედ ამის გამო ამოუგდია მთელი ეს ეპიზოდი.

რასაკვირველია, ანტონი ამას ტექსტის უბრალო შემოკ-

ლებისტვის არ აკეთებს: იგი იქვე უმატებს იმდენივეს (11 სტრიქონს), ოღონდ შუშანიკის ღვაწლის ქებით.

ზემოთ ჩვენ ვნასეთ, რომ ნაცემი შუშანიკი ვარსქენის ბრძანებით ცალკე სენაკში მოუთავსებიათ და მცველიც მიუჩენიათ. თვითონ ვარსქენი ჰონებთან საომრად წასასვლელად ემზადებოდა. იაკობი მოგვითხრობს: „და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკი მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირე სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირე სარკუმელი და დაყო იგი. და იყო იგი ბნელსა მას შინა მარსკით და ლოცვით და ტირილით.

და პრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმინდათა მარხვათა ნურას ეტყვ მას“.

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთამსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად...“ (VIII, 1—9).

სად იყო ვარსქენი, როდესაც შუშანიკი წავიდა სასახლიდან? ვარსქენის „საკუთარის“ სიტყვებიდან ჩანს, რომ დიდმარხვის დასაწყისისას და შუშანიკის წასვლისას იგი ჯერ კიდევ ცურტავში იყო. ვარსქენს მიუღია თავისი „საკუთარის“ რჩევა და არაფერი უთქვამს შუშანიკისთვის, შემდეგ საომრად წასულა. მხოლოდ ომიდან დაბრუნებულს, აღდგომის მეორე დღეს, მიუკითხავს შუშანიკისთვის. გამოდის, რომ სენაკში პატიმრობიდან და თავისი მცველისგან შუშანიკი საკმაოდ მალე განთავისუფლებულა და სასახლიდანაც თავისი სურვილით, ვარსქენის ნებართვის გარეშე წასულა. მაშასადამე, შუშანიკი არც თუ ისეთი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა.

ანტონი თავისებურად ახწორებს ამ ადგილს: „ჰპოვა უკუე წმიდამან თავისუფლებამ საპყრობილისაგან, რამეთუ მთავარმან მან ვასქენ უღმრთომან განიმჯედრა რომელსამე ნათესავსა ზედა, და წმიდანიცა ორმოცნი შემოსრულ იყუნეს. მისრულმან წმიდამან სუსანნა მახლობელ ეკლესიისა, ჰპოვა სენაკი მცირეი და შევიდა, და მჯდომარემან მას შინა დაყუდებით, მარხუთ. და ლოცვთ, და ყოლითა კრძალულებითა წარკლო ყოველნი დღენი წმიდათა მარხუათანი.

ამათ შინა დაჰსცხრა მკედრობამცა, და ბრძოლამ, და მთავარი ვასქენ სამთავროდ თჳსად უკმოიქცა, რომლისაცა გულსა ჰსთესვიდა ეშმაკი ძურთა წმიდისა სუსანნამსთჳს. ვინამცა დღესა მეორესა დიდისა დღესასწაულისა ცხოველსმყოფელისა აღდგომისა უფლისა ჩჴმნისა იესუ ქრისტემსსა მივიდა ვასქენ ეკკლესიად..." (S 1272, 160).

ანტონი სპობს იმის ყოველგვარ ნიშანს, რომ შუშანიკი არცთუ ისე მკაცრად იყო დაცული სენაკში. იგი არა მარტო გამოტოვებს ვარსქენის „საკუთარის“ სიტყვებს, საიდანაც ჩანს, რომ შუშანიკის სასასლიდან წასვლისას ვარსქენი ჯერ კიდევ იქ იყო, არამედ თავის მხრივ უმატებს, შუშანიკმა იმიტომ მოიპოვა თავისუფლება, რომ ვარსქენი ომში იყო წასულიო. შესაძლებელია, „საკუთარის“ სიტყვები კიდევ იმიტომაცაა გამოტოვებული, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს შუშანიკს ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა.

ციხეში შუშანიკს ვარსქენმა მცველები მიუყენა. ვარსქენს გაუფრთხილებია ისინი: „და ესრეთ ეტყოდა მათ: „გეტყუ თქუენ, უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი, და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, უბრალომცა ვარ, რამ გიყო თქუენ“ (იაკობი, IX, 30—33).

ვარსქენი მკაცრად აფრთხილებს მცველებს, შუშანიკთან არავინ შეუშვათო, მაგრამ თანაც თითქოს ბოდიშობს, თუ ჩემს ბრძანებას დაარღვევთ, დაგსჯითო. აი, მე გამიფრთხილებიხართ, და მერე ბრალი ნუ დამედებაო. ანტონს გამოუტოვებია ეს ფრაზა და მოკლედ ამბობს: „და ამცნო, რამთა მოკლან სიყმილითა, და არავინ შეუტევონ მუნ შესულად“ (S 1272, 164). ჩანს, ანტონს არ უნდა, რომ მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ვარსქენსა და მის მსახურებს შორის უბრალო, ასე ვთქვათ, „დემოკრატიული“ ურთიერთობა ყოფილა, რაც, აგრეთვე, რამდენადმე შეარბილებდა ვარსქენის სასეს.

მესამე კვირას ვარსქენი მოიკოთხავს შუშანიკს, „აქამომდე ცოცხალდა არსა საწყალობელი იგი?“ (X, 2—3). ანტონს გამოტოვებული აქვს სიტყვა „საწყალობელი“, რომელიც გვიჩვენებს, რომ ვარსქენს თითქოს ებრალებოდა კიდევაც შუშანიკი.

ციხეში იაკობის შუშანიკთან საუბრის ბოლოს ნათქვამია: „და ვიჯჷმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“ (X, 16). ისევე, როგორც ზემოთ განხილულ ერთ ადგილას, ანტონი აქაც ცდილობს საზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ იაკობი ჩქარობს ვარსქენის შიშით. ანტონი ამ შემთხვევაშიც ცოტაოდენ ასსვაფერებს ტექსტს: იაკობი „შიშითა მძლავრისათა ვერ დაადგრა მყოვარ“-ო (S 1272, 165).

ანტონის ტენდენცია ცხადია შემდეგ შემთხვევაშიც: ვარსქენი დაემუქრა შუშანიკს, დაბრუნდი სასახლეში, თუ არა, „ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა“-ო (XIII, 3). ამაზე შუშანიკმა უპასუხა: „უბადოო და უგულისჯმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე“. და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყვათა მათთვს (ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხვო“). ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“ და მიერი-თგან აღარაეინ მიაეღინა მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ ბოროტთა მართ გუემათა დათმენათათვს იტყოდა, რაჲთამცა სათნო ეყო ღმერთსა“ (XIII, 4-16).

ვარსქენის მუქარას არ შეუშინებია შუშანიკი. იგი პასუხობს, იქნებ ამ ბოროტებას განვმორღე და იქ რამე კეთილი ვნახოო. რას გულისხმობდა შუშანიკი? ვარსქენმა ეს ისე გაიგო, თითქოს შუშანიკს იმედი ჰქონდა იქ ვინმე მთავარს გაჰყვებოდა ცოლად. მაშასადამე, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ შუშანიკს ჯერაც არ ჰქონდა საბოლოოდ ხელი აღებული ამქვეყნიურ სიკეთეზე ზრუნვისაგან, რაც მისგან მოულოდნელია ჩანს, ამას გრძნობს თვით იაკობიც. მკითხველის ეჭვის გასაქარწყლებლად იგი ამგვარად ხსნის შუშანიკის სიტყვებს: შუშანიკი ასე იმიტომ ამბობდა, რომ ვარსქენს იგი დაეტოვებინა ადგილზე, სადაც იგი მეტ წამებას განიცდიდა ღმერთისთვისო. როგორც ჩანს, ანტონს არასაკმარისად მიუჩნევია (და მას ჩვენც დავეთანხმებით ამაში) იაკობისეული ახსნა და მთლად გამოუტოვებია შუშანიკის პასუხიცა და ვარსქენის გაგებაც ამ პასუხისა. მას მხოლოდ იაკობისეული ახსნა აქვს ცოტაოდენ განვითარებული: „მაგრა არა თავს იღუა წმიდამან ვითარცა ერთგულმან მკვეალმან ქრისტესმან

გამოსულამ სახელისათვის ქრისტესისა პერობილებისაგან, და შეერთებად მსახურისა თანა ეშმაკათსა" (S 1272, 168).

შემდეგ იაკობი აღწერს ვარსქენის ძუძუსმტეს მისვლას შუშანიკთან. ვარსქენის მოთხოვნაზე დაბრუნდეს სასახლეში, შუშანიკი პასუხობს: „არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერჯითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუ-დარსა აღდგინებად, პირველად დედაი შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო“ (XII, 15–20). შუშანიკი იგონებს შემდეგს: როდესაც შუშანიკი ციხეში შეკეცავდათ, ვარსქენმა უთხრა მას, ცოცხალი ვეღარ გამოხვალ, თუ არ ოთხმა გამოგიტანოსო. ახლა შუშანიკი უთვლის ვარსქენს, შენ მე მომკალიო, მაგრამ თუ მკვდარის გაცოცხლება შეგიძლია, ჯერ დედაშენი გააცოცხლე, ურდს რომ არის დამარხულიო. ვარსქენის მკვდარი დედის ხსენება უსიამო გრძნობას იწვევს. ანტონიც სწორედ ამ სიტყვებს გამოტოვებს წინადადებიდან, რითაც არბილებს შუშანიკის უხეშად ნათქვამს. შუშანიკი პასუხობს: „ესრეთ არქუ უღმრთოსა უფალსა შენსა, ვითარმედ შენ უკუტ მომკალ მე, და მკუდარსა ესრეთ მარქუ, ვერდარა გამოხვდე ციხით ცოცხალი ფერჯითა, და აწ ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად მკუდართა, განაღა თრევით განმითრიო“. (S 1272, 168).

ჯოჯიკის და მისი ოჯახის შუშანიკის სანახავად მისვლისას იაკობი ამბობს, ჯოჯიკი „მძლავრ შე-ხოლო-ვიდა“-ო (XVI. 5) შუშანიკთან. ისევე როგორც ზემოთ განხილულ რამდენიმე ადგილას, ანტონი აქაც ცდილობს ცხადი გახადოს მკითხველისთვის, თუ რატომ შევიდა ჯოჯიკი „მძლავრ“. „შევიდა მძლავრ წმიდისად, რამეთუ ვერავის ეძლო ცხადად შესულა მისთანა“ (S 1272, 171).

ანტონისეულ ტექსტში კიდევ მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც ნათლად ჩანს მისი ტენდენცია, შეაღამაზოს შუშანიკის სახე და უფრო უარყოფითად დახატოს ვარსქენისა. მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც სავსებით საკმარისია.

ჩვენი აზრით, განსილული ადგილებიდან გამოჩნდა, რაოდენ ცოცხალი, რეალური სასიათები და სიტუაციები აქვს დასატული იაკობს და რაოდენ არ შეესაბამებია ისინი ორთოდოქსალურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგიოგრაფიულ ნაწარმოებს. შეუმჩნეველი არ დარჩენია ისინი ანტონსაც, რომელსაც ყველა ამგვარი ადგილი გაუსწორებია თავისი მიზნის შესაბამისად. ანტონის ნამუშევარის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი (ანტონი) გასაოცარი დაკვირვებით კითხულობს ტექსტს, კარგად ესმის და უფიქრდება ყოველი სიტყვის მნიშვნელობას¹. ანტონის მიერ შეტანილ ყოველ ცვლილებას რაღაცა მიზანი აქვს, შემთხვევით და მოუფიქრებლად იგი არაფერს არ აკეთებს. ანტონი წარმოგვიდგება როგორც უადრესად დაკვირვებული და ჭკვიანი რედაქტორი, დიდად ნიჭიერი და განათლებული ლიტერატორი. ამასთან ერთად, სწორედ ის ცვლილებები, რომლებიც შეუტანია ანტონს იაკობის თხზულებაში, გვიჩვენებენ, რომ ეს უკანასკნელი არაა ჩვეულებრივი, როგორც ითქვა, ორთოდოქსალური აგიოგრაფიული ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ უანრობრივად იგი აგიოგრაფიას განეკუთვნება, შეიძლება ითქვას, სავსებით რეალისტური ნაწარმოებია, ჭეშმარიტად მაღალი ლიტერატურული ღირსებების მქონე.

¹ მხოლოდ ორიოდე შემთხვევას ვამჩნევთ, როდესაც ანტონს სწორად არ გაუგია ტექსტი. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია დამნაშავე იყოს არა თვით ანტონი, არამედ ის ხელნაწერი, რომელიც მას ხელთ ჰქონდა. იაკობი გვიამბობს: ვარსკენი უთელის სასახლიდან წასულ შუშანიკს „შენ ჩემი ხატი დაამკუ, და... სხუად წარსრულ ხარ“. შუშანიკი პასუხობს: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მეცა დაეამკუ, ხოლო მამამან შენმან აღმართა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშენა...“ (IV, 17—22). ანტონისეული ტექსტის მიხედვით კი შუშანიკი პასუხობს: „მე უკუმი აღმემართე ხატი შენი, და მევე დაეამკუ, ამაღ რომელ მამამან შენმან აღადგინა სამარტკლენი წმიდათანი და აღაშენა წმიდანი ეკლესიანი...“ (S 1272, 153—154). აშკარაა, რომ ანტონისეული გაგება მცდარია. შუშანიკი ვერ შეუთელიდა ვარსკენს შენი ხატი მე აღმემართე და მევე დაემხეო. (მეორეგან იაკობი გადმოგვცემს, რომ სასახლეში დაბრუნებულ შუშანიკს თან წაუღია „ეფანგელსი თუხი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ (V, 18—19). ანტონს აქვს „სახარებაჲ და ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი“ (S 1272, 156), რაც, აგრეთვე, შეცდომაა, ალბათ, გრაფიკულ ნიადაგზე წარმომდგარი.

შუშანიკის წამების ამბავი აღწერილია იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედიურ ნაშრომში „კალმასობა“, რომელიც დაიწერა 1813—1828 წლებში (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 710). მართალია, „კალმასობა“ ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელია, ვიდრე ზოგიერთი წიგნი, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული იმ თავში, რომელიც მიძღვნილი იყო „შუშანიკის წამების“ შესწავლის ისტორიისადმი, მაგრამ იოანე ბაგრატიონის ნამუშევარი ისეა დაკავშირებული ანტონის თხზულებასთან, რომ მისი განხილვა საჭიროა უშუალოდ „მარტირიკასთან“ კავშირში. ✓

თავის დროზე ჩლ. აბულაძემ სწორად შენიშნა, რომ იოანე ბაგრატიონი შუშანიკის წამების გადმოცემისას ძირითადად ანტონის რედაქციას ეყრდნობოდა, ამარტივებდა, ზოგან კი სიტყვა-სიტყვითაც მიჰყვებოდა მას (აბულაძე, შუშანიკი, 07). მართლაც, (იოანეს ანტონის შეცდომებიც კი აქვს გამეორებული. მაგ.) იოანე ანტონის მიდევნებით არასწორად გადმოსცემს შუშანიკის პასუხს ვარსკენისადმი (იხ. ზემოთ, გვ. 180. შენ. 1); ანტონის მსგავსად იოანეც შეცდომით ამბობს, თითქოს შუშანიკს სასახლეში დაბრუნებისას წმინდა მოწამეთა ნაწილები და არა წმინდა მოწამეთა წიგნები წაეღოს (იხ. ზემოთ, იქვე), მაგრამ ამავე დროს იოანე საკმაოდ თავისუფლად ეკიდებოდა ანტონის ტექსტს და მნიშვნელოვნად ამოკლებდა მას. იოანეს მოთხრობა სამჯერ-ოთხჯერ უფრო მოკლეა ანტონისაზე. ამასთან ერთად, თუ საჭიროდ მიაჩნდა, იოანე ავრცელებდა კიდევაც ტექსტს და თავის მხრივ ზოგ რასმე უმატებდა. ასე ჩაუმატა მან ვარსკენისა და შუშანიკის დაქორწინების ამბავი: „ოდეს მოიწია ასაკსა შინა, ჰსძლობისასა“, შუშანიკი გასდა „სიყუარულითა ღვთისათა შემკულ“, „რომლისა ქება განითქო მისთა გარეშე მეზობელთა შორისცა, და მტრფიალებელმან ესე გუარსა ქალისგან, ვაქსენ მთავარმან რანისა და ჰერეთისამან, წარვლინებულ ჰყო მოციქულნი და ითხოვა ვარდანისაგან მოყურება და შეუღლება ქრისტიანულისა წესითა შუშანიკისადმი. მსმენელმან ვარდან და მეუღლემან მისმან, სრულჰყვეს თხოვაჲ ვაქსენისა და მიათხოვეს

ასული თვისი. და შეუდღენენ მსჯულებიერისა ქორწინებითა, და იქმნა შუშანიკ დედოფალ რანთა“ და სხვა (H 2170, 279V—280r). ვარსქენის მიერ შუშანიკის შეყვარება, ვარდანთან მოციქულების გაგზავნა და ქორწინება, ისევე, როგორც ზოგიერთი მომდევნო ამბავიც, საკუთრივ იოანეს შეთხზული უნდა იყოს. ასეთი რამ სხვა წყაროებიდან ცნობილი არაა, მათი მოგონება შეეძლო თვით იოანეს იმ ცნობათა საფუძველზე, რომლებიც მას სელთ ჰქონდა.

იოანეს ჩამატებული აქვს ზოგი სხვა ცნობაც. მაგ., იოანეს თანახმად ვარსქენი ირანში წასულა „მიწოდებითა სპარსთა მეფისა ნუშირვანისა“ (H 2170, 280r), ე. ი. სოსრო ანუშირვანის დროს. ამ ცნობის წარმოშობაც გასაგებია. ჩვენ ვნახეთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ჯუანშერისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობათა თანახმად შუშანიკის წამება მომხდარა VI ს-ის მეორე ნახევარში, დაახლოებით მესამე მეოთხედში. სოსრო ანუშირვანი კი 531—579 წლებში მეფობდა. ამდენად, იოანესთვის მნელი არ იქნებოდა ვარსქენის ირანში წასვლა სწორედ ამ შაჰის მეფობასთან დაეკავშირებინა.

იოანეს ჩამატებული აქვს ისეთი ფაქტიური ხასიათის ცნობებიც, რომლებმაც ტექსტი უფრო ბუნებრივი და გასაგები უნდა გახადოს. მაგ., იოანეს სიტყვით, გამაზღვანებული ვარსქენი შაჰმა დიდად დაასაჩუქრა — „ნიჭითა დიდითა განუტევა ვაქსენ მამულად თვისა“. არც იაკობთან და არც ანტონთან ვარსქენის დასაჩუქრებაზე არაფერია ნათქვამი, რასაც, უეჭველია, მკითხველის გაოცება უნდა გამოეწვია.

აღსანიშნავია, რომ, (რლბათ, ანტონის მიდევნებით, იოანეც „შუშანიკის წამების“ ავტორად იაკობს მიიჩნევს. ერთგან იოანე წერს: „ვითარცა იტყვს ხუცესი იაკობ“-ო (H 2170). საინტერესოა ისიც, რომ, ანტონის მსგავსად, იოანეც შეეცადა შუშანიკი უფრო სათნოდ წარმოედგინა.)

(როგორც ითქვა, იოანემ ბევრი რამ გამოტოვა ანტონის რედაქციიდან. ამასთან, ძირითადად გამოტოვა ის, რაც ჩამატებული იყო ანტონის მიერ (ზოგადი ხასიათის მსჯელობანი, ციტატები „დაბადებიდან“ და ზოგი სხვა რამ). ეს გვაფიქრებინებს, რომ იოანე მხოლოდ ანტონის რედაქციას კი არ იცნობდა, არამედ მუშაობისას იაკობის ტექსტიც სარგებლობ-

და. ამიტომაც იყო მისთვის ასე ცხადი, თუ რა იყო ჩამატებული ანტონის ტექსტში. სხვათა შორის, თვით იოანეც ადასტურებს, რომ იგი შუშანიკის წამების რამდენიმე რედაქციას იცნობს, და არა მხოლოდ ანტონისეულს: გამაზღვანებულ ვარსკენს, იოანეს სიტყვით, ირანის შაჰმა „მიუბოძა ცოლად ასული თვისი, ხ(ოლო) რომელნიმე ჰსწერენ დასა თვისისა მიცემასა“-ო (H 2170, 280 V); შაჰისაგან ვარსკენისთვის ცოლად თავისი დის მიცემაზე არც ერთ რედაქციაში არაფერი არაა ნათქვამი. ჩანს, იოანეს ჩვენთვის რომელიღაც უცნობი ვარიანტი ჰქონია ხელთ.

(წამების აღწერის შემდეგ იოანეს მოაქვს გადმოცემა შუშანიკის ნაწილების თბილისში გადმოსვენებაზე: „მოთხრობისამებრ მეფემან თამარ მოასვენებინა გუამი წმინდისა ამის შუშანიკ დედოფლისა; და დასდევს ლუსკუმასა შინა მარჯვენით კერძო ტფილისის ქალაქის სასახლის ეკლესიასა შინა მეტესად წოდებულსა წმინდასა ღვთის მშობლის დაუჯდომელობის ეკლესიასა შ(ინ)ა) რომელნიცა მიიღებენ წმინდისა მის საფლავისაგან კურნებასა, ხ(ოლო) მლოცავნი მოსჭედენ ვერცსლითა და ოქროთა კენჭთა მცირეთა მის საფლავისაგან მოღებულთა და კულად მუნვე შესწირევენ სალხინებელად სნეულებათათვის, და აღსრულებისათვის თხოვათა თვისთა“ (H 2170, 287 V).

როგორც ჩანს, ეს ცნობაც რომელიღაც ჩვენთვის უცნობი წერილობითი წყაროდან უნდა იყოს ამოღებული. ამაზე მიგვითითებს იოანეს შენიშვნა „მოთხრობისამებრ“.

(შუშანიკის წამების იოანე ბაგრატიონისეული გადმოცემა გვიჩვენებს, რომ იოანეს ხელთ ჰქონია ჩვენთვის უცნობი მოთხრობანი შუშანიკის ამბისა. არსებულა ცნობაც იმაზე, რომ შუშანიკის ნაწილები თბილისში თამარ მეფეს გადმოუსვენებია.)

ძველი ქართული ლიტურგიკული ძეგლები

ანგარიშგასაწევია შუშანიკის „სხენებანი“ ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში.

„იერუსალემის განჩინების“ IX ს. ნუსხაში 17 ოქტომბერ-

ზე დადებულია ასეთი სახსენებელი: „თ(თუეს)ა ოკლონბერსა... იზ ცხენებაჲ კოზმანისი, რომელი ქართლს იწამა“ (კეკელიძე, იერუსალემის განჩინება, 138). ძეგლის გამოცემელმა, აკად. კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ ქართლში წამებული კოზმანი არ არსებულა (იქვე, 278). ეს ამბავი გონებამახვილურად (ახსნა ი. აბულაძემ. 17 ოქტომბერს დადებული იყო კოზმასა და დამიანეს ხსენება. ამავე დღეს იყო შუშანიკის ხსენებაც. ი. აბულაძის სიტყვით „ამ წინადადებაში აშკარა უმართებულობაა. გადაძწერს დაუკლია მისთვის, გადამსტარა. კოზმას გვერდით დამიანე უნდა ყოფილიყო და მერმე შუშანიკი, უფრო შუშანი, რომლის ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან აუღია — ნისი (შუშა-ნისი) და „კოზმა“-სათვის მიუკერებია უნებლიედ“ (აბულაძე, შუშანიკი, 033). კ. კეკელიძემ გაიზიარა ეს აზრი და თავის მხრივ დაუმატა, რომ „დანაკლისი ადგილი ცალკე სტრიქონი იქნებოდა იმ ხელნაწერისა, რომლიდანაც „განჩინების“ ხსენებული ნუსხაა გადაწერილი“ (იქვე, 033, შენ. 3). მართლაც, შუშანიკი კოზმასა და დამიანეს შემდეგ არაერთგანაა მოხსენებული. თვით ი. აბულაძემ ასეთი საინტერესო მაგალითი მოიყვანა: X—XI სს. ერთ აგიოგრაფიულ კრებულში კოზმასა და დამიანეს წამებას სათაურად აქვს „თ(თუეს)ა ოკლონბერსა იზ: წმიდათა კოზმამისი და დამიანესი და წ (მიდ)ისა შუშანიკისი“ (H 341, 416). მაგრამ ტექსტში ლაპარაკია მსოლოდ კოზმასა და დამიანეზე. ჩანს, შუშანიკი ისე ხშირად იხსენიებოდა მათთან ერთად, რომ გადაძწერმა მექანიკურად მიაწერა მისი სასელიც. რომ შუშანიკის ხსენება იყო „იერუსალემის განჩინების“ არსებული ნუსხის დედანში, დამატებით დაასაბუთა ე. გაბიძაშვილმა (აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 198 — 201).

ამრიგად (IX ს. გადაწერილი „იერუსალემის განჩინების“ ნუსხის დედანში ყოფილა ხსენება 17 ოქტომბერს შუშანიკისა, „რომელიც ქართლს ეწამა“)

(იოვანე-ზოსიმეს X ს. კალენდარშიც (Sin. 34, 31v) 17 ოქტომბერს არის „ცხენებაჲ კოზმანისი და დამიანისი მარ-

ტულთაჲ, და შუშანიკისი, რომელი ქართლს იწამა“ (აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 198–199)¹.)

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, შუშანიკის მოსახსენებელი კოზმასა და დამიანესთან ერთად დადებულია 17 ოქტომბერს X–XI სს. ერთ აგიოგრაფიულ კრებულში (H 341).

XII ს. პარიზის ლექციონარში [Rt, VIII, – N 3 (III)] არის ხსენება „ოქტომბერსა იშ შუშანიკისი“ (იქვე)

განსაკუთრებით საინტერესოა (ეს ხსენებანი იმ მხრივ, რომ, ჩვენი აზრით, ისინი კავშირში არიან იაკობის ტექსტთან. საქმე ისაა, რომ იაკობი აღნიშნავს, შუშანიკი 17 ოქტომბერს გარდაიცვალა, ხოლო მისი სახსენებელი დავაწესეთ ხუთშაბათსო. სახსენებელის კვირის დღეზე დადება ადრინდელი წესია (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება ლაპარაკი), მოგვიანებით კი მას კალენდრის დღეზე დებდნენ. როდესაც შუშანიკის მოსახსენებელის კვირის დღიდან კალენდრის დღეზე გადატანა მოინდომეს, ცხადია, რომ მას პირველ რიგში გარდაცვალების დღეზე გადაიტანდნენ. რადგან ზრც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და არც ჯუანშერთან შუშანიკის გარდაცვალების ან მოსახსენებელის დღე საერთოდ არაა, ზემოხსენებულ ლიტურგიკულ ძეგლებში შუშანიკის მოსახსენებელის 17 ოქტომბერზე დადება პირდაპირ თუ არაპირდაპირ იაკობის ცნობიდან უნდა მომდინარეობდეს.)

(„იერუსალემის განჩინება“ და იოვანე-ზოსიმეს „კალენდარი“ იმიტაც ამჟღავნებენ სიახლოვეს იაკობის ტექსტთან, რომ მათში შუშანიკის წამების ადგილად დასახელებულია ქართლი. ჯუანშერის თხზულების მიხედვით კი, როგორც ვნახეთ, შუშანიკი რანში ეწამა.)

¹ ყურადღებას იქცევს ფორმაც სახელისა „კოზმან“ (სხვათა შორის, ასეთი ფორმით ეს სახელი სხვაგანაც გვხვდება), რაც გვიჩვენებს, რომ ი. აბულაძის მიერ გამოყოფილი – ნისი შეიძლება „კოზმან“-ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იყოს და არა აუცილებლად „შუშან“-ისა. ე. ი. IX ს. „იერუსალემის განჩინების“ დედანში შესაძლებელია ყოფილიყო „კოზმანისი და დამიანესი, და შუშანიკისი“ და ა. შ. ამ ვარაუდს აძლიერებს ის გარემოება, რომ, როგორც ე. გაბიაძევილი ფიქრობს, „იოვანე-ზოსიმეს თავისი კალენდარისათვის ერთ-ერთ წყაროდ იერუსალემის განჩინება გამოუყენებია“ (აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 199).

(აღსანიშნავია, რომ შუშანიკის ხსენება ზოგჯერ სხვა დღე-
ებზეც არის დადებული. ერთ XI ს. ხელნაწერში (კლარჯეთში
გადაწერილი „დიდი სუნაქსარის“ ნუსხაში, A 97) შუშანიკის
ხსენება დადებულია 21 აგვისტოზე) (აგიოგრაფიული ძეგლები,
IV, 201). ე. გაბიძაშვილს მიაჩნია, ვფიქრობთ სამართლიანად,
რომ ამ შემთხვევაში უნდა გვექონდეს უშუალო თუ შუალობითი
გავლენა „წამების“ მოკლე რედაქციისა, რადგან სწორედ იქაა
შუშანიკის აღსასრულის დღედ 21 აგვისტო დასახელებული
(იქვე, 202). სხვათა შორის, 21 აგვისტოს შუშანიკის ხსენება
გვხვდება 1765 წ. გადაწერილ ერთ ხელნაწერშიც) (A 1486)
და ე. გაბიძაშვილის აზრით, „ეჭვი არაა, რომ მისი წყარო
იგივე A 97 „სუნაქსარია“ (იქვე, 201).

(ერთ XVIII ს. ლიტურგიკულ ძეგლში შუშანიკის ხსენება
(იხვე კოზმა და დამიანესთან ერთად) დადებულია 1 ნოემბერს:
„თ(თუეს)ა ნოემბერსა ა. წმ. კოზმან და დამიანესნი და შუშა-
ნიკისი“ (იქვე, 202). ე. გაბიძაშვილს საკმაოდ დამაჯერებელი
ვარაუდი აქვს ამ ამბის ასახსნელად: ის სადღესასწაულო, რო-
მელშიც შუშანიკის ხსენება 1 ნოემბერსაა აღნიშნული, შედ-
გენილი უნდა იყოს გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი
„დიდი სუნაქსარის“ კალენდრის საფუძველზე, რომელშიც კოზ-
მა და დამიანეს ხსენება დადებულია არა 17 ოქტომბერს, არა-
მედ სხვა დღეებში, მათ შორის 1 ნოემბერსაც. გადამწერმა,
რომელმაც იცოდა, რომ შუშანიკის ხსენება კოზმა და დამიან-
ეს დღეს ემთხვეოდა, დაუკავშირა იგი ამ წმინდანთა ხსენების
ერთ-ერთ დღეს, 1 ნოემბერს) (იქვე, 203).

(შუშანიკის ხსენება ზოგიერთ გვიანდელ ხელნაწერში და-
დებულია 2 ოქტომბერსაც (ცხა — 488, XVII ს.; ხელნაწერთა
ინსტიტუტის Q 627, XVII ს.; A 111, 1703 — 15 წწ.; A 152,
1765 წ.). ე. გაბიძაშვილის სიტყვით, შესაძლებელია, ეს იყოს
შედეგი XVII—XVIII საუკუნეებში ჩატარებულ ქართველ წმინ-
დანთა სახსენებელი დღეების გადასინჯვა-გადაჯგუფებისა)
(იქვე).

ღაბოლოს, XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. ზოგიერთ
ძეგლში შუშანიკის ხსენების დღედ 28 აგვისტოა დადებული,
რაც, ხსენებული მკვლევრის აზრით, ანტონ I ლიტურგიკული
რეფორმის შედეგი უნდა იყოს) (აგიოგრაფიული ძეგლები,
IV, 204).

IV. „შუშანიკის წამების“ ქართულ-სომხური რელაქციების ურთიერთლაშქობილობა

ამ წიგნის დასაწყისში ჩვენ დავასახელებთ „შუშანიკის წამების“ ვრცელი, მოკლე და სვინაქსარული ქართულ-სომხური რელაქციები. ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობს სხვა რელაქციებიცა თუ მოთხრობები ამავე თემაზე — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ჯუანშერის, აპარონ ვანანდეცის, უხტანესის, ანტონისა და იოანე ბაგრატიონისა. არსებულა ისეთებიც, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენ შევეცადეთ გავვერკვია ყველა ამათი კავშირი ქართულ-სომხურ ვრცელ და მოკლე რელაქციებთან. ახლა შევეცდებით გავარკვიოთ (რა ურთიერთობა საკუთრივ ქართულ-სომხურ რელაქციებს შორის.)

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სომხური ვრცელი რელაქცია ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი. მთავარი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ერთ მათგანში, კერძოდ, ვენეციურში (ეს ის ვარიანტია, რომლიდანაც გაკეთებულია 1853 წ. ვენეციური გამოცემა), ვარსქენის მიერ მაზდეანობის მიღების ერთ-ერთ მიზეზად მის მიერ თავისი ქალის ცოლად შერთვის სურვილია დასახელებული. მეორე ვარიანტში, ერმიადინურში) რომელსაც მიაკვლია ი. აბულაძემ, ეს მომენტი აღნიშნული არაა. სხვა, მეორეხარისხოვანი განსხვავებების მიუხედავად, ორივე ვარიანტი ერთი რელაქციის ფარგლებში ეტევა. ერმიადინური ვარიანტის ვენეციურთან შედარების შემდეგ ი. აბულაძემ ასკვნია: ერმიადინური ვარიანტი „უმეტეს შემთხვევაში დიდ სხვაობას არ გვაწვდის, მაგრამ არის მაინც ადგილები, რომლებიც ან სხვანაირადაა მასში გადმოცემული, ან აკლია, ანდა უფრო გავრცობილია... სხვა მხრივ კი ორივე ეს ხელნაწერი ერთისა და იმავე რელაქციისა ჩანს“-ო (აბულაძე, შუშანიკი, 05).

მოკლე და ვრცელი სომხური რედაქციები

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს მოკლე სომხური რედაქცია. ჯერ ერთი, ცხადია, რომ თვით მოკლე სომხური წამება განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს, და მეორეც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოკლე სომხური რედაქცია მომდინარეობს განსხვავებული ვრცელი სომხური რედაქციიდან, რომელიც არ ემთხვევა ამჟამად ცნობილ ვრცელ სომხურ რედაქციას. უშევადართო ერთმანეთს მოკლე და ვრცელი სომხური რედაქციები. მოკლე რედაქციის სათაურია:

Վկայութիւն սրբոյն Նուշանկայ, որ ի Վիրս կատարեցաւ յայնչ իւրմէ յանթիպատրեայ Վրաց առաջնորդէ: (აბულაძე, შუშანიკი, 49)†

წამება წმიდისა შუშანიკისი, რომელიც ქართლს აღესრულა ქმრისაგან თვისისა ანთიპატროსისა, ქართველთა წინამძღვრისა.

(ვრცელი რედაქციის ვარიანტებს ერთმანეთისგან განსხვავებული სათაურები აქვთ:)

ეჩმიამინური ნუსხა

Վկայարանութիւն սրբոյն Նուշանկան. թողին սրբոյն Սահակայ, դատիր սրբոյն Վարդանայ. որ իւրմէ առնին կատարեցաւ զანագան տանջանօք վասն Քրիստոսի հաստոյն: (აბულაძე, შუშანიკი, 3,75):

წამება წმიდისა შუშანიკისა, შვილიშვილისა წმიდისა საჰაკისა, ასულისა წმიდისა ვარდანისა, რომელიც თავისი ქმრისაგან აღესრულა სხვადასხვანაირი ტანჯვითა ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

ვენეციური ნუსხა

Վկայութիւն սրբոյն Նուշանկան. որ կատարեցաւ ի Վիրս յայնչ իւրմէ յանթիպատրե վրաց առաջնորդ. որ էր դուստრն սրբոյն Վարդանայ և թողն Սահაკանուჯայ. դատիր սրբოյն Սահակայ Պարթևի Հայոց հայրապետի: (აბულაძე, შუშანიკი, 75):

წამება წმიდისა შუშანიკისა, რომელიც აღესრულა ქართლს ქმრისაგან თვისისა ანთიპატროსისა ქართველთა წინამძღვრისა, რომელიც იყო ასული წმიდისა ვარდანისა და შვილიშვილი საჰაკანუშისა, ასულისა წმიდისა საჰაკ პართევისა, სომეხთა მამათმთავრისა.

ამ სათაურებს შორის არის გარკვეული მსგავსება. კერძოდ, მსგავსია სათაურების საერთო აგებულება, არის სიტყვა-სიტყვითი დამთხვევაც («...ორ ჩიქმქ კაინქს კათარხეა...», «... ორ კათარხეა... კაინქ ჩიქმქ»), მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა: ერმიაძინური ნუსხის სათაურში შუშანიკზე ნათქვამია, თითქოს, იგი იყო წმ. საპაკის შვილიშვილი, რაც შეცდომაა. როგორც ვიცით, სინამდვილეში შუშანიკი იყო საპაკის შვილიშვილის შვილი, ვენეციური ნუსხის სათაურში შეცდომა გასწორებულია და შუშანიკი სწორად იხსენიება, როგორც „ასული წმიდისა ვარდანისა და შვილიშვილი საპაკანუშისა, ასულისა წმიდისა საპაკ პართევისა, სომესთა მამათმთავრისა“¹.

ვენეციური ნუსხის სათაური სხვა მხრივაც განირჩევა ერმიაძინურისაგან. ვენეციური ნუსხის სათაურში, ერმიაძინურისაგან განსხვავებით, ნათქვამია, რომ შუშანიკი ეწამა ქართლში (ჩიქრუა). მაგრამ ეს განსხვავება არაა არსებითი. ბევრად უფრო საყურადღებოა ის, რომ მასში შუშანიკის ქმარზე დამატებით ნათქვამია, იგი იყო „ანთიპატროსი, ქართველთა წინამძღვარი“-ო.

ახლა ვნახოთ, რა კავშირშია ვრცელი სომხური რედაქციის ნუსხების სათაურები თვით ამ ნუსხების ტექსტებთან.

ერმიაძინური ნუსხის ტექსტში ვკითხულობთ:

...ქრ ამა² თიხსაქ ორჩნას-
თორ ამილანიჩქინ სირიქს
ქაროანსაქ ჯაიფი სყარა-
აქხთი & შამჩქინქი შიოჩხ
სირიქს სკ³ს ოარქსი &
ჯაიფი ქაროაქხთი რათხრ
შანაკანისიქაქი (აბულაძე,
შუშანიკი, 75):

...იყო მისდა (ვარსქენის-
თვის, ნ. ჯ.) მიცემული კა-
ნონიერი მეულლეობა წმი-
დისა ვარდანისა სომესთა;
სპარაპეტისა დამამიკონია-
ნისა შვილიშვილისა წმიდი-
სა საპაკ პართევისა და სო-
მესთა მოძღვრის ასულისა
საპაკანუშისა.

¹ არ იქნებოდა სწორი გეფიქრა, რომ ერმიაძინური ნუსხის სათაურში საპაკის მაგივრად თავდაპირველად საპაკანუში იხსენიებოდა და რომ სახელების შეცვლა მოხდა მხოლოდ მექანიკური, კალმისმიერი შეცდომის შედეგად. საქმე ისაა, რომ საპაკს წინ უძღვის ეპითეტი — „წმიდა“, რომელიც არ ექნებოდა საპაკანუსს. ამგვარად, სახელების შეცვლა მხოლოდ მექანიკური შეცდომით არ აიხსნება. ამასთან, საპაკი ბევრად უფრო გამოჩენილი პიროვნება იყო, ვიდრე საპაკანუში, რომელიც, ძირითადად იმით იყო ცნობილი, რომ საპაკის შვილი იყო. შუშანიკის წინაპრებში საპაკის მოხსენება, ცხადია, უფრო მოსალოდნელია, ვიდრე საპაკანუშისა.

² გამოცემაში შეცდომითაა *რამაყ* (აბულაძე, შუშანიკი, 75).

ამკარაა, რომ ტექსტი დაზიანებულია. გამოტოვებულია სიტყვა, რომელიც უნდა აღნიშნავდეს, თუ ვინ იყო ვარსკენის მეუღლე.

სათანადო ადგილი ვენეციურ ნუსხაში იკითხება შემდეგნაირად:

*ხე კინ ინტერ ყოისორ
ქაროანსაჲ ჯაიფი სიყარა-
ყხაჩი შამჩიონტი' შიონ
სერიონი შაჩასაჲ ორქსი
ქ ჯაიფი ჩაქრასხაჩი, ჩ
გოთხრენი 'შაჩასანოუაჲ'*

(აბულაძე, შუშანიკი, 34):

და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი სომესთა სპამეტისაჲ, მამიკონიანისი, ასულის წული წმიდისა სპაკ პართევისაჲ და სომესთა მამამთავრისაჲ ასულისაგან მის სპაკანუშისა (აბულაძე, შუშანიკი, 34):

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ აქ შუშანიკი გარკვევით დასახელებულია საჰაკის შვილიშვილად.

ცხადია, რომ ერმიადინურ ნუსხაში გამოტოვებულია სიტყვა „ასული“ (ყოისორ), ჩანს, ეს ადგილი ერმიადინურ ნუსხაში იკითხებოდა ასე:

*...ტირ ამა თიხსაჲ ირქ-
ნაორი ამიონიოქინი გოთხრ
სერიონი ქაროანსაჲ ჯაიფი
სიყარასხაჩი ქ შამჩიონტი
შიონი სერიონი სჯ'კნი ორქსი
ქ ჯაიფი ქაროანსაჲ
გოთხრ შაჩასანოუაჲ'*

იყო მისდა მიცემული კანონიერი მეუღლეობა. ასული ისა წმიდისა ვარდანისა, სომესთა სპარაპეტისა და მამიკონიანისა, შვილიშვილისა წმიდისა სპაკ პართევისა და სომესთა მოძღვრის ასულისა სპაკანუშისა.

წინადადება მაინც მეტად დასლართულია. ჭირს გარკვევა იმისა, თუ ვინ ვისი შვილიშვილია. თუკი აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ ის აზრი, რომ შუშანიკი საჰაკანუშის შვილიშვილი იყო, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფაქტი ჩვენთვის ცნობილია სხვა წყაროებიდან. ამ ფრაზის გაგება რომ ჭირდა, ჩანს იქიდანაც, რომ სწორედ ერმიადინური ნუსხის სათაურშია შუშანიკი დასახელებული საჰაკის შვილიშვილად.

როგორც ვნახეთ, (საჰაკის შვილიშვილად შუშანიკი დასახელებულია ვენეციური ნუსხის ტექსტშიც.)

საინტერესოა, რომ ძველი სომხური ენისა და მწერლობის ისეთი დიდი მცოდნის, როგორც იყო ი. აბულაძე, გაგებითაც შუშანიკი იგულისხმებოდა საჰაკის შეილიშვილად. ეს ჩანს იქიდან, რომ ი. აბულაძემ თავის გამოცემაში ძირითად ტექსტში შეიტანა ვენეციური ნუსხის ტექსტის წაკითხვა, რომელიც, როგორც ითქვა, შუშანიკს ასახელებს საჰაკის შეილიშვილად.

ამრიგად, ასეთი ვითარებაა ეჩმიაძინური ნუსხის ტექსტში გაურკვეველია შუშანიკი ვისი შეილიშვილია, ნუსხის სათაურში კი იგი დასახელებულია საჰაკის შეილიშვილად. ვენეციური ნუსხის ტექსტში შუშანიკი საჰაკის შეილიშვილია, სათაურში კი შეცდომა გასწორებულია და იგი საჰაკანუშის შეილიშვილია. როგორ მოხდა ეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცოტა ქვემოთ შევეცდებით, ახლა კი მივუბრუნდეთ მოკლე სომხური რედაქციის სათაურს. ეს სათაური სრულ დასაყრდენს პოულობს იმავე რედაქციის ტექსტში, რომელშიაც ნათქვამია, რომ შუშანიკი „მიეცა ცოლად ანთიპატროსსა, ქართველთა წინამძღუარსა“ (*...սուսა կին անթիպատրիսაჲ Կրաց աւաჯնորդի*, აბულაძე, შუშანიკი, 50). ძნელი მისახვედრი არაა, რომ ვენეციური ნუსხის სათაურის „ანთიპატროსი, ქართველთა წინამძღვარი“ სწორედ აქედანაა აღებული. ამაზე ლაპარაკობს ისიც, რომ იმავე მოკლე რედაქციაშია შემონახული სწორი ცნობები შუშანიკის წარმომავლობაზე:

...ისინერ դուստր մի Մահականիչ կուչեցեսալ, որ սուսաւ յամուսնութիւն Համադասայայ Մամիկոնէից: Եւ ի նմանէ սուրբն Կարդան, և ի Կարդանայ՝ սուրբն Շուշանիկ... (აბულაძე, შუშანიკი, 50).

(ამას) (საჰაკს, ნ. ჯ.) ერთი (ხოლო) ასული ესუა, რომელსა უწოდა საჰაკანუშ, რომელი მიეცა ცოლად ჰამაზასპისდა მამკუენთა (უფლისა), ამისგან (იშვა) წმიდაა ვარდან, ხოლო ვარდანისაგან წმიდაა შუშანიკ. (აბულაძე, შუშანიკი, 50).

შუშანიკი რომ ქართლს ეწამა, ესეც ნათქვამია მოკლე რედაქციის სათაურში. ამრიგად, აშკარაა, რომ ვენეციური ნუს-

სის სათაური გასწორებულია მოკლე რედაქციის ტექსტისა და სათაურის მისედვით. ამასთან ირკვევა, რომ ვენეციური ნუსხის სათაური უფრო ასალია, ემპიაძინურისა კი უფრო ძველი (თუმცა მას შეცდომები აქვს).

ახლა ჩვენს წინაშე ისმის რამდენიმე კითხვა: (ვის მიერაა შესწორებული ვენეციური ნუსხის სათაური? ხომ არ ეკუთვნის ეს შესწორება თვით სომხური რედაქციების პირველ გამომცემელს „სოფერქ ჰაიკაკანქ“-ში? მას ხომ ორივე რედაქცია, ვრცელიცა და მოკლეს, ჰქონდა ხელთ და იქნებ მანვე გაასწორა ვენეციური ნუსხის სათაური? ვფიქრობთ, ეს ასე არ უნდა მომხდარიყო.) „სოფერქ ჰაიკაკანქ“-ში სომხური რედაქციების გამომცემელი განათლებული კაცი იყო, ძველი სომხური მწერლობისა და ისტორიის კარგი მცოდნე. მან სწორად შენიშნა, რომ მოკლე სომხური რედაქციის ცნობები შუშანიკის წარმომავლობაზე ამოღებულია მოვსეს სორენაცის „სომხეთის ისტორიის“ III წიგნის 49-ე და 51-ე თავებიდან. მაშასადამე, შუშანიკის გენეალოგია მან კარგად იცოდა და თუ ვრცელი რედაქციის სათაურის შესწორებას მოინდომებდა, ამისთვის მას არ მოუხდებოდა მოკლე რედაქციიდან ფრაზის სიტყვასიტყვით მოტანა, მით უმეტეს ისეთი ფრაზისა, სადაც შუშანიკის ქმარი ანთიპატროსად იყო დასახელებული და არა პიტიახშად. მას ხომ უნდა სცოდნოდა, რომ იმავე ვრცელი რედაქციის ტექსტში შუშანიკის ქმარი პიტიახშად მოიხსენიება და არა ანთიპატროსად. გარდა ამისა, თუკი გამომცემელი ვრცელი რედაქციის მცდარ სათაურს გაასწორებდა, საფიქრებელია, რომ ის გაასწორებდა იმავე შეცდომას ტექსტშიც (ცხადია, სათანადო შენიშვნით), ვრცელი რედაქციის ტექსტში კი შეცდომა გასწორებული არაა) და არც იმაზეა მითითება, რომ სათაური გამომცემლის შესწორებულია.

ამგვარად, „სოფერქ ჰაიკაკანქ“-ში დაბეჭდილი ვრცელი სომხური რედაქციის სათაური ხელნაწერიდან უნდა მომდინარეობდეს. როგორც ჩანს, ვენეციური ნუსხის სათაური გაუსწორებია მის გადამწერს მოკლე რედაქციის მისედვით. ტექსტში არსებული შეცდომა კი მას ვერ შეუმჩნევია (ცხადია, გადამწერს ჩვენ ვერ წავუყენებთ იგივე მოთხოვნებს, რასაც „სოფერქ ჰაიკაკანქ“-ის გამომცემელს). ვენეციური

ნუსხის გადამწერი რომ მოკლე რედაქციას იცნობდა და იყენებდა, ამაში ჩვენ კიდევ ერთხელ ქვემოთაც დაერწმუნდებით.

მეორე საკითხი, რომელიც წამოიჭრება ვრცელი რედაქციის ნუსხების სათაურებთან დაკავშირებით ასეთია: როგორც გამოირკვა, ეჩმიაძინური ნუსხის სათაური უფრო ძველია, ვიდრე ვენეციურისა, მაგრამ რამდენად ძველია? იმთავითვე ასეთი ხომ არ იყო? ამ საკითხის მნიშვნელობა შემდეგშია: თუ ჩვენ მივიჩნევთ რომ ეჩმიაძინური ნუსხის სათაური თავდაპირველი დედნისაა, უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ შეცდომა შუშანიკის წარმომავლობის გადმოცემაში ყოფილა თავდაპირველ ტექსტშიც. ხოლო თუ ეს სათაური გვიანდელია, მაშინ, შესაძლებელია, გვიანდელივე იყოს შეცდომაც ტექსტში.) გადაჭრით პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ამჟამად შეუძლებელია. ერთი კი უნდა ითქვას: როგორც ენახეთ, საპაკი და ვარდანი, მათი წინაპრები და შთამომავლობა საკმაოდ ცნობილი და პოპულარული იყვნენ ძველ სომხეთში. (შეცდომა მათ გენეალოგიაში უფრო გვიანდელ გადამწერს უნდა მოსელოდა, ვიდრე ძველი პერიოდის ავტორსა თუ მთარგმნელს „შუშანიკის წამებისა“. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მათზე სწორი ცნობები იქნებოდა „წამებაში“. მაგრამ არასწორი ცნობა მაინც საკმაოდ ადრე უნდა გაჩენილიყო ვრცელ რედაქციაში.) ამჟამად ცნობილი ორივე ნუსხიდან ერთში აშკარადაა ეს შეცდომა დაშვებული, მეორეში კი მეტად გაურკვეველია ფრაზა შუშანიკის წარმომავლობაზე. ამასთან, ამ ნუსხის სათაურშიც შეცდომაა.

ენახოთ, ახლა რას იძლევა მოკლე და ვრცელი სომხური რედაქციების ტექსტების შედარება.

1 (სომხური მოკლე რედაქცია შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: პირველი ნაწილი წარმოადგენს შესავალს, რომელშიც ჩამოთვლილია შუშანიკის წინაპრები. მეორე ნაწილში ძალზედ მოკლედ არის გადმოცემული შუშანიკის წამების ამბავი მის აღსასრულამდე. მესამე ნაწილში აღწერილია შუშანიკის აღსასრული. ეს ნაწილი თითქმის ორჯერ მეტია პირველ ორზე ერთად.)

მოკლე რედაქციის პირველ, შესავალ ნაწილში, როგორც ითქვა, გადმოცემულია შუშანიკის გენეალოგია. ეს ნაწილი არ

გაჩნია ვრცელ რედაქციას (სხვათა შორის, არც ქართულს) და ამდენად მისი შედარება ვრცელ რედაქციასთან შეუძლებელია. მაგრამ ზოგი რამ ამ ნაწილზე მაინც შეიძლება ითქვას. ვრცელ რედაქციაში, როგორც ვნახეთ, შუშანიკის წინაპრებიდან დასასელებულია ვარდანი, საპაკანუში და საპაკი, თანაც ცნობილ ნუსხებში შუშანიკის მათთან ნათესაობა არასწორადაა წარმოდგენილი. იაკობი ასასელებს მსოლოდ ვარდანს. მოკლე რედაქციაში კი შუშანიკის გენეალოგია ბევრად უფრო აღრიდან, კერძოდ, სტრიგორ განმანათლებლიდანაა დაწყებული. ამასთან გადმოცემულია სწორად (ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ეს ცნობილია ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში). შემდეგ ნათქვამია, რომ საპაკზე შეწყდა მამრობითი ხაზი, სოლო საპაკის ერთადერთი ქალი საპაკანუში მისთხოვდა ჰამაზას მამიკონიანს, მათი შვილი ვარდანი კი იყო შუშანიკის მამაო. ამ ნაწილში არის, აგრეთვე, ზოგი რამ საპაკის მოღვაწეობაზე, რასაც შუშანიკის წამებასთან უშუალო კავშირი არა აქვს.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ სომხური რედაქციების პირველი გამომცემელის სიტყვით, ეს ცნობები ამოღებული უნდა იყოს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიიდან.“

მართლაც, მოკლე რედაქციის პირველი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მთლიანად წარმოადგენს ხორენაცის ტექსტის სიტყვასიტყვით გამეორებას დასახელებული თავებიდან.

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: მოკლე რედაქციის ავტორმა იმიტომ ხომ არ მოგვცა ასეთი ვრცელი გენეალოგია შუშანიკისა, რომ მის დროს არსებულ ვრცელ რედაქციაში ეს გენეალოგია უკვე დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი?

მოკლე რედაქციის ზემოგანსილული (პირველი ნაწილის შესახებ თავის დროზე პროფ. ი. აბულაძე) აღნიშნავდა, შესაძლებელია, ეს შესავალი ჰქონდა იმ ვრცელ რედაქციას, რომლიდანაც მომდინარეობს მოკლეო; მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ იგი მოკლე რედაქციის ავტორს ეკუთვნოდესო (აბულაძე, შუშანიკი, 030). ჩვენ მეორე ვარაუდი უფრო მისაღებად გვეჩვენება. მართლაც, ასეთი შესავალი არა აქვს იაკობს, არა აქვს ცნობილ ვრცელ სომხურ რედაქციასაც. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ექნებოდა იმ არმოდწეულ უბველეს

ვრცელ სომხურ რედაქციას, რომელიც, როგორც ეს დამაჯერებლად დაამტკიცა თვით ი. აბულაძემ, ბევრად უფრო ახლოს იდგა იაკობის ტექსტთან, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი?

მოკლე რედაქციის მეორე ნაწილში, როგორც ითქვა, ძალზედ მოკლედ არის გადმოცემული შუშანიკის წამების ამბავი მის აღსასრულამდე. აქ ნათქვამია, რომ წმ. ვარდანის ასული შუშანიკი მისთხოვდა ქართლის ანთიპატროსსა და წინამძღვარს (მისი სახელი მოხსენიებული არაა). შუშანიკის მეუღლის მოხსენება ანთიპატროსად და არა პიტიახშად ნ. აკინიანისა და ი. აბულაძის სამართლიანი შენიშვნით სიახლეა (იქვე, 038). ასევე სიახლედ უნდა იყოს მიჩნეული „წინამძღვარიც“.)

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ ვრცელი რედაქციის ვენეციური ნუსხისა და მოკლე რედაქციის სათაურებში არსებული სიტყვები „ანთიპატროსი, ქართველთა წინამძღვარი“ მოკლე რედაქციის ამ ადგილიდან უნდა მომდინარეობდნენ.)

შემდეგ მოკლე რედაქცია აგრძელებს, შუშანიკის მეუღლე „შიშითა კაცთაჲთა, უფრო კი სურვილითა ასულისა თვისისათვის შევარდა ზრადაშტეანსა შჯულსა მოგუებისასა“-ო (*«Որ յարդապ մարդկան երկևղի, մանասանդ թէ ի կամաց դստիրն իրոյ իմուս ընդ գրադաշտական օրինօք միգուխնս»,* აბულაძე, შუშანიკი, 50). აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი რამ: პირველი—მოკლე რედაქციის თანახმად, ვარსკენის გამაზღვანების ერთ-ერთი მიზეზი „კაცთა შიში“ ყოფილა; იაკობს საზგასპით აქვს ნათქვამი ვარსკენს „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტმსთვს“-ო (აბულაძე, შუშანიკი, 4). ასევეა სომხურ ვრცელ რედაქციაშიც. ეჩმიაძინურ ნუსხაში ვკითხულობთ „არა იძულებით და არცა მძლავრობით“ (*«...ու ի հարկէ և ոչ ի բռնութենէ...»*, იქვე, გვ. 75). ვენეციურ ნუსხაში კი — „ნებსით და არა იძულებით, გინა მძლავრობით“ (*«...ի կամաց և ոչ ի հարկէ և ոչ ի բռնութենէ...»*, იქვე, 3) უარყო ვარსკენმა ქრისტიანობა. ჩანს, ვარსკენის გამაზღვანების ერთ-ერთ მიზეზად კაცთა შიშის გამოცხადება მოკლე რედაქციის ავტორს უნდა ეკუთვნოდეს.)

მეორე გარემოება, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს

განსახილველ ადგილში ისაა, რომ ვარსქენის გამაზღვანების უმთავრეს მიზეზად დასახელებულია ვარსქენის სურვილი შეერთო თავისი ქალი. არაფერია ამაზე ნათქვამი არც იაკობთან და არც ვრცელი რედაქციის ემშიაძინურ ნუსხაში; ეს მომენტი არის მხოლოდ ამ რედაქციის ფენეციურ ნუსხაში, ამასთან არა იქ, სადაც მოსალოდნელი იყო, არამედ სხვაგან. კერძოდ იქ, სადაც ლაპარაკია ვარსქენის გამაზღვანებაზე, ნათქვამია, რომ მან სპარსი ცოლი ითხოვა. შაჰისაგან და შაჰმაც მას ცოლად თავისი სიდედრი მისცაო. ვარსქენისაგან თავისი ასულის შერთვის განზრახვაზე ლაპარაკია შემდეგ. კარის ხუცესი ეკითხება შუშანიკს, რომელმაც გაიგო ვარსქენის განდგომის ამბავი: „რამ დაიდეგ გონებასა და რამ გეგულების ქმნად აღდგინებულთა შენ ზედა ბრძოლათა (შინა) უფარის მყოფელისა მის პიტიახშისაგან შეერთებისათვის თვისისა, ასულისათვის მის, რომელი ეგულებოდა: ცოლებად სპარსთა სჯულისამებრ; და ძეთა მათ მიქცევისათვის ჭეშმარიტისა, ღმრთისაგან, ყოფად ძედ სიბნელისა, ვითარცა იგი თვით...“ (იქვე, 9 და შენ. 10).

ვარსქენის მიერ თავისი ქალის ცოლად შერთვის მოტივზე ლაპარაკისას ი. აბულაძე შენიშნავდა: „შესაძლოა ეს ადგილი გადამწერმა (ემშიაძინური ნუსხისა, ნ. ჯ.) გამოავლო თხრობიდან, რადგანაც ეს მომენტი ისეა მოხსენებული მასში, რომ შემდეგ მთელი მარტვილობის გასწრივ არსად არაფერი ისმის ამ განზრახვის შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შესახებ. ეს მომენტი რომ სხვა რედაქციასაც (ე. ი. არმოდწეულ უძველეს ვრცელს, ნ. ჯ.) ჰქონია, ამას მარტვილობის მოკლე წიგნიც მოწმობს. მოკლედ ამ მოვლენის შესახებ აქაც არის ნათქვამი. მარტვილობის მოკლე წიგნი, წინააღმდეგ მისი გამოცემლის აზრისა, ჩვენი დაკვირვების თანახმად, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ვრცელის შემოკლებას წარმოადგენს მხოლოდ ერთ ნაწილში (I თავი), ხოლო ვრცელიდან გამოღებასა თუ გამოკლებას მეორე ნაწილში (II-V თავი). ამრიგად, თუ ეს ადგილი მთელის ნამსხვრევშია, უცილობელია, რომ ვრცელშიაც იქნებოდა“ (იქვე, 05).

ამრიგად, რადგან ვრცელი სომხური რედაქციის ერთ ნუსხაში და მოკლე სომხურ რედაქციაში ვარსქენის გამაზღვანების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია მისი სურვილი ცო-

ლად შერთო თავისი ქალი, ი. აბულაძეს მიაჩნდა, რომ ეს ცნობა უნდა ყოფილიყო არმოდწეულ უძველეს ვრცელ სომხურ რედაქციაშიც, რომლიდანაც, მისი აზრით, მომდინარეობენ მოკლე და ცნობილი ვრცელი სომხური რედაქციები.

ფიქრობთ, ასეთი დასკვნის გაკეთება სავალდებულო არაა. ვარსკენის მიერ თავისი ასულის ცოლად შერთვის სურვილზე ლაპარაკი მოკლე რედაქციასა და ვრცელი რედაქციის ერთ-ერთ ვარიანტში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს მომენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო უძველეს რედაქციაშიც. ვარსკენის სახის გამუქების ტენდენცია აშკარად ეტყობა „წამების“ გვიანდელ რედაქციებს. ასეთივე გამუქებად მიგვაჩნია განსახილველი ცნობაც. ამ ცნობის ჩამატება სავსებით მოსალოდნელია გვიანდელ ნუსხებში, ხოლო მისი გამოტოვება, ამოგდება კი — არა. ამიტომ ეჩმიაძინურ ნუსხაში ამ ცნობის არარსებობა მის ამოგდებაზე, გამოტოვებაზე არ ლაპარაკობს. პირიქით, ეს იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ თავდაპირველ რედაქციაში ეს ცნობა არ ყოფილა, ხოლო რომელიღაც ეტაპზე იგი გაჩენილა. ასეთი ცნობის შემცველი ხელნაწერიდან მომდინარე ნუსხებში (ამ შემთხვევაში მოკლე რედაქცია და ვენეციური ნუსხა) ეს ცნობა დარჩებოდა, ხოლო სხვა ნუსხებში (ეჩმიაძინური) იგი არ იქნებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოკლე რედაქციაში ცნობა ვარსკენის მიერ თავისი ქალის ცოლად შერთვის სურვილზე მოთავსებულია იმ ნაწილში, რომელიც, როგორც ითქვა, ძალზე მოკლე გადმოცემაა შუშანიკის წამების ამბისა და რომელიც აშკარად შემოკლებლის კალამს ეკუთვნის (სწორედ იმავე ფრაზაშია ვარსკენი მოხსენიებული ქართლის ანთიპატროსად, რაც, როგორც აღინიშნა, სიასლედ ითვლება). ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ცნობა მის მიერვე ყოფილიყო შეთხზული, ან შეტანილი მოკლე რედაქციაში.

როგორც ითქვა, საკუთარი ქალის შერთვის მოტივი არაა არც იაკობის ტექსტში და არც ვრცელი რედაქციის ეჩმიაძინურ ნუსხაში. ის, რომ ამ რედაქციის ვენეციურ ნუსხაში ეს ცნობა მოთავსებულია სხვა ადგილას და არა იქ, სადაც ეს მოსალოდნელი იყო კომპოზიციური და ლოგიკური თვალსაზ-

რისით, ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი გვიანდელი ჩანამატია ამ ტექსტისთვისაც. ამაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ, როგორც სავსებით სწორედ შენიშნა თავის დროზე ი. აბულაძემ, „შემდეგ მთელი მარტვილობის გასწვრივ არსად არაფერი იმის ამ განზრახვის შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შესახებ.“ მართლაც, არც ერთ რედაქციაში, თვით ვენეციურ ნუსხაშიც კი, სხვა არაფერი ჩანს ამ ცნობის დამადასტურებელი. რადგან ეს ცნობა არა აქვს იაკობს, მისი არსებობა მოსალოდნელი არაა უძველეს (არმოღწეულ) ვრცელ სომხურ რედაქციაშიც, რომელიც, ი. აბულაძისავე დასკვნით, იმდენად ახლო იდგა ქართულთან, რომ სტილისტურად გაუმართავიც კი იყო, რამაც გამოიწვია მისი გადამუშავების საჭიროება (აბულაძე, შუშანიკი, 029—030, 034). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცნობა მოიპოვება სწორედ იმ ნუსხაში (ვენეციურში), რომელიც, როგორც ვნახეთ, განიცდის მოკლე რედაქციის გავლენას, კერძოდ, მოკლე რედაქციის გავლენითაა შედგენილი მისი სათაური.

ვეიქრობთ, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ვარსკენის მიერ თავისი ქალის შეუღლების მოტივი არ უნდა ყოფილიყო უძველეს, ჩვენამდე არმოღწეულ ვრცელ სომხურ რედაქციაში. შესაძლებელია, იგი შეთხზულია მოკლე სომხური რედაქციის ავტორის მიერ, რომლისგანაც იგი უსესხებია ვრცელი სომხური რედაქციის ვენეციური ნუსხის გადამწერს.

შემდეგ მოკლე რედაქცია ძალზედ შეკუმშულად, სულ ორიოდე სიტყვით, გადმოგვცემს შუშანიკის წამების ამბავს. იგი გვიამბობს, რომ შუშანიკი არ დაემორჩილა თავის ქმარს და ამხილებდა მას; ის კი „უფროაზღა ადევსნებოდა გულისწყრომითა მსილებისა მისისათუს და უშჯულოა საწოლისათუს“. ამის გამო მან „მრავალი ტანჯვაა მოაწია ნეტარისა შუშანიკის ზედა გუემითა, საპყრობილითა, შიმშილითა და წყურილითა და ფერად-ფერადითა სატანჯველითა აჭირებდა მას ექუს წელს უღმრთოა იგი და განშორებული ღმრთისაგან და ყოელისაგან სასოებისა“. ენით აუწერელია ის ტანჯვა, რომელიც მოთმინებით აიტანა შუშანიკმა წლობით, თვეობით, კვირეობით, დღეობით და საათობითო (იქვე, 50).

ეს თსრობა ძალზედ ზოგადია და რაიმე არსებით განსხვავებას ვერცელ რედაქციასთან ან იაკობის ტექსტთან არ იძლევა. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ისევეა ხაზგასმული ვარსქენის მიერ თავისი ასულის ცოლად შერთვის სურვილი: „უფრო მხდა აღევზნებოდა გულის წყრომითა მხილებისა მისისათჳს და უმჯულო მსა საწოლისათჳს“-ო. როგორც ვხედავთ, მოკლე რედაქციის ავტორი ისევე ცდილობს დაგვარწმუნოს ვარსქენის სურვილების უწმინდურებაში. ეს კიდევ ერთსეღ გვიჩვენებს, რომ (შვილის ცოლად შერთვის მოტივი განსაკუთრებით დამახასიათებელია მოკლე რედაქციისათვის.)

ასევე სიახლეა მოკლე რედაქციის სიტყვები, — შეუძლებელია იმისი მოთხრობა, რაც შუშანიკმა გადაიტანა თავისი ქმრისაგან „წლების, თვეების, კვირების, დღეების ან საათების განმავლობაში“-ო. სიახლედ მიგვაჩნია ეს ფრაზა, რადგანაც იგი არაა არც ერთ ჩვენთვის ცნობილ სხვა რედაქციასათუ ნუსხაში.

(მოკლე რედაქციის მესამე ნაწილში მოთხრობილია შუშანიკის აღსასრული. ეს ნაწილი არსებითად განსხვავდება პირველი ორისაგან. ჯერ ერთი, იგი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე პირველი ორი ერთად აღებული. შემდეგ, განსხვავებით წინამავალ ტექსტისაგან აქ ყველაფერი დაწვრილებითაა გადმოცემული.) თუ წინა ნაწილებში ვარსქენის სახელიც კი არ იხსენიებოდა (დასახელებული იყვნენ მხოლოდ თვით შუშანიკი და მისი წინაპრები), აქ სახელებით იხსენიებიან სამუელ და იოვანე ეპისკოპოსები. მესამე ნაწილის ტექსტი ზოგან სიტყვასიტყვით ემთხვევა იაკობისას.)

(სომხური მოკლე რედაქციის მესამე ნაწილი პროფ. ი. აბულაძემ საგანგებოდ შეუდარა სომხურსავე ვრცელი რედაქციისა და იაკობის ტექსტის შესაბამის ნაწილებს) გამოირკვა, რომ მოკლე რედაქციის ეს ნაწილი ვრცელი სომხური რედაქციის შესატყვის ნაწილზე ვრცელი თუ არა ნაკლები მაინც არ ყოფილა. აქედან ი. აბულაძემ დაასკვნა, რომ მოკლე რედაქციას ამ ნაწილში „კი არაფერი შეუკვეცია, არამედ მთლიანად აუღია ვრცელისაგან“ (აბულაძე, შუშანიკი, 028). ამასთან

„მოკლე წამება არც გამოცემულისა და არც ხელნაწერის სახით ეჩმიაძინს დაცული ვრცელი სომხური წამებიდან არ მომდინარეობს, მისგან გამოღებული თუ გამოკრებილი არაა, არამედ უფრო სხვა, ჯერხნობით უცნობი, ვრცელი მარტივლობის წიგნიდანაა აღებული“ (იქვე) (საერთო დასკვნები, რომლებიც გააკეთა ი. აბულაძემ ვრცელი და მოკლე რედაქციების შედარებიდან ასეთია: სომხური მოკლე რედაქცია შემოკლებას წარმოადგენს შუშანიკის წამების აღწერაში, მაგრამ შუშანიკის აღსასრული მას გადმოცემული აქვს შეუკვეცავად, მთლიანად. სრულად შემონახული ნაწილი მოკლე რედაქციისა განსხვავდება ვრცელი სომხური რედაქციისაგან, რაც გვიჩვენებს, რომ მოკლე რედაქცია აღებულია არა ჩვენთვის ცნობილი ვრცელი სომხური რედაქციის რომელიმე ნუსხიდან, არამედ სხვა, დღესდღეობით ცნობილ ნუსხათაგან განსხვავებული წიგნიდან. მოკლე რედაქციაში არსებული შუშანიკის აღსასრულის შედარება იაკობის ქართულ ტექსტთან გვიჩვენებს, რომ იგი ენობრივად უფრო ახლოს დგას მასთან, ვიდრე ვრცელი სომხური რედაქციის შესაბამისი ნაწილი. ეს ნიშნავს იმას, რომ ის ვრცელი სომხური რედაქცია, რომლიდანაც გაკეთებულია მოკლე სომხური, იაკობის ტექსტთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე ცნობილი ვრცელი სომხური რედაქცია. მოკლე რედაქციის განხილული ადგილის ლექსიკა უფრო ძველია, ვიდრე ვრცელისა, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ არმოდწეული ვრცელი სომხური რედაქცია უფრო ადრე იყო გაკეთებული. პირველი ვრცელი სომხური რედაქცია, ქართულთან დიდი სიახლოვის გამო, სტილისტურად გაუმართავე იყო. ამან გამოიწვია მისი გადამუშავება, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი ვრცელი რედაქცია. პირველ ვრცელ სომხურ რედაქციას ი. აბულაძე VII ს-ით ათარიღებდა, ხოლო მოკლესა და ჩვენთვის ცნობილ ვრცელ რედაქციებს IX—X საუკუნეებით. ამასთან მოკლე რედაქციას უფრო ადრინდელად მიიჩნევდა (აბულაძე, შუშანიკი, 028 — 042).

შემდგომში ი. აბულაძემ სომხური რედაქციების შექმნის ხანა რამდენადმე უფრო ადრე ივარაუდა: „სომხური მარტივლობის ის რედაქციები, რომლებიც დღეს მოგვეპოვება და რომელთაგან მოკლე ვრცელზე უფრო ადრინდელი ჩანს იმით,

რომ უფრო მეტად აქვს შემონახული ტექსტობრივი შეხვედრები თავის პირვანდელ დედანთან, ე. ი. იაკობ ცურტაველის ნაწარმოებთან, VIII ს-ზე გვიანდელი არც უნდა იყვნენ“ (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0155—0156).

ი. აბულაძემ იქვე შენიშნა აგრეთვე ის მსგავსებაც, რომელიც ვრცელ და მოკლე სომხურ რედაქციებს აქვთ იაკობის ტექსტთან. „როცა სომხური მარტივობის ორივე რედაქციის წიგნებს ქართულს ვადარებთ ამ ნაწილში, პირველი, რაც შეინიშნება, ისაა, რომ ორივე ქართულის გარკვეულ ნაწილს უჭერს მხარს, ნაწილს კი არა. მხარის დაჭერა უფრო ჩანს, როცა მოთხრობის ფაქტობრივ მხარეს ესება საქმე; ერთმანეთს კი მაშინ სცილდებიან, როცა საქმე შუშანიკის მოწამეობას ესება, მაგ.: ლოცვა-ვედრებას, მოთმინებასა და სხვ. (შდრ. XVIII 21—25) ან როცა ქართულით შუშანიკი ბაასობს (შდრ. XVII 36—61), ანდა როცა ავტორი — იაკობ ხუცესი — სადმე თავის შესახებ იძლევა ცნობებს (შდრ. XVIII 8—10), ან კიდევ, როცა რაიმე სურათი მხატვრულ სახეებშია მოცემული (შედარებები და სხვ. — შდრ. XIX 13—18). ამით ნაცვლად ხსენებული ორივე ტექსტი ან გავრცობილია ხოლმე, ან შეკვეცილი, ანდა სრულიად გვერდს უხვევს ასეთებს“ (აბულაძე, შუშანიკი, 028—029).

ქართულ-სომხური ვრცელი რედაქციები

(რაღა მიმართებაში არიან ერთმანეთთან ვრცელი ქართული და სომხური რედაქციები?) როგორც უკვე იყო თქმული, (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და ი. აბულაძე ასაბუთებდნენ იმ აზრს, რომ სომხური ვრცელი რედაქცია იაკობის თხზულების თარგმანსა და გადამუშავებას წარმოადგენს. პ. პეტერსი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ თუმცა სომხური რედაქცია თარგმანია ქართული წამებისა, მაგრამ სხვა თხზულებისა და არა იაკობის „წამებისა“. იაკობის თხზულება მას ფსევდოეპიგრაფიკულად მიაჩნდა და XI—XII საუკუნეებით ათარიღებდა იაკობის ტექსტისა და ვრცელი სომხური რედაქციის შედარება, ვფიქრობთ, უეჭველად ადასტურებს ჯავახიშვილ-კეკე-

ლიბე-აბულაძის შესედულების სისწორეს. მართალია, სსენე-ბულ ავტორებს თავისი აზრის დასამტკიცებლად მრავალი სა-ბუთი აქვთ მოტანილი, მაგრამ რათა მკითხველს სრულად წარმოუდგინოთ ეს საკითხი, კიდევ ერთსელ განვიხილავთ მას და, ადრე გამოთქმულ დებულებებთან ერთად, ჩვენს დაკ-ვირვებებსაც მოვასხენებთ.

სომსურ-ქართული ვრცელი რედაქციების შედარება მე-ტად საინტერესო საქმეა და საყურადღებო შედეგებსაც იძლე-ვა. პირველი, და აქვე დაეუმატებთ, სწორი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს მკითხველი ამ რედაქციების წაკითხვისას არის ის, რომ ეს რედაქციები წარმოადგენენ ერთ ნაწარმო-ებს და არა ორს, თუნდაც საერთო წყაროებით დაწერილს. განვიხილოთ ეს რედაქციები ამ თვალსაზრისით.

(ორივე რედაქცია თხრობას იწყებს ერთი ამბით, ვარსქე-ნის ირანში გამგზავრებით; ორივეში მოთხრობილია, მცირე-ოდენი გამონაკლისის გარდა, და ერთი თანამიმდევრობით, ერთი და იგივე ეპიზოდები; ორივე მთავრდება ერთი ამბით — შუშანიკის დასაფლავებით. ეს ზოგადად. მაგრამ დამთხვევები არის მრავალ დეტალშიც. მაგალითად: ორივე რედაქციაში დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ ვარსქენი იყო პიტიახში, არ-შუშას ძე, რომ მისი ცოლი იყო სომესთა სპაჰეტის (სომსურ რედაქციაში სპარაპეტის) ვარდანის (სომსური უმატებს მის გვარსაც — მამიკონიანი) ასული (სომსური უმატებს შუშანი-კის ბების, საჰაკანუშის, და ბების მამის, საჰაკის სახელებ-საც). ორივე რედაქციაში ნათქვამია, რომ ვარსქენის ცოლის ნამდვილი სახელი იყო ვარდან (სომსურად ვარდენი), რომე-ლიც მას ერქვა მამისგან (თუ მამის სახელის მისედვით?), სო-ლო სახიყვარულო სახელი იყო შუშანიკ. ორივე რედაქცია ლაპარაკობს იმაზე, რომ შუშანიკი ღმრთისმოსიში იყო სიყ-რმიდანვე და რომ მას ქმრის უკეთურება ადრეც აწუსებდა, რის გამოც სხვებსაც სთხოვდა ელოცათ, რათა მისი ქმარი გონს მოსულიყო. ორივე რედაქციაში ნათქვამია, რომ ვარ-სქენმა მაზდეანობა მიიღო თავისი ნებით და არა ძალდატანე-ბით. ორივე რედაქცია გვიამბობს, რომ ვარსქენმა ცოლი ითხოვა ირანის მეფისაგან, რომელმაც სიხარულით აუსრულა ეს თხოვნა და ამასთან ვარსქენი შეპირებია მეფეს თავისი

პირველი ცოლისა და შვილების გამაზღვრებასაც. შემდეგ ორივე რედაქციაში მოთხრობილია ვარსკენის გამოძგზავრება ირანიდან, წინდაწინ დესპანის გამოგზავნა, რათა ემცნო მისი ჩამოსვლა, შუშანიკის მიერ დესპანისაგან ვარსკენის განდგომის ამბის გაგება, შუშანიკის გლოვა, შვილების წაყვანა ეკლესიაში, სასახლიდან ერთ პატარა სახლში გადასახლება და ა. შ. შეიძლებოდა ამგვარად ჩავსულიყავით ნაწარმოების ბოლომდე, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილიც საკმარისია. ოღონდ ისევ გავიმეორებთ: დამთხვევა არის ისეთ დეტალებშიც, რომ, სრულიად უეჭველია, ეს რედაქციები ერთ ნაწარმოებს წარმოადგენენ.

მაგრამ ასეთ მსგავსებასთან ერთად (ამ ტექსტებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებანიც) ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუმცა იაკობის თხზულება დაწერილია როგორც აგიოგრაფიული ნაწარმოები, თავისი რეალიზმით იგი ვერ ეტყევა ამ უანრის ჩარჩოებში, რამაც გამოიწვია მისი გადაშუშავება (ანტონ კათალიკოსის) მიერ და, შესაძლებელია, უფრო ადრეც (გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ჯუანშერთან დადასტურებული განსხვავებული რედაქციები). ანტონმა იგი აგიოგრაფიული უანრის კანონებისა და საეკლესიო მიზნების შესაბამისად გამართა. სომხური რედაქციის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისიც ზუსტად ასეთივე გადაშუშავების შედეგია და მისი სახით ჩვენ გვაქვს საესებით გამართული აგიოგრაფიული ნაწარმოები. თავის დროზე (ი. აბულაძემ სწორად აღნიშნა, რომ ამ ორი რედაქციით, სომხურითა და ქართულით, „ჩვენ ორი გარკვეული ლიტერატურული გეზის მქონე ძეგლთანაც გვაქვს საქმე“-ო (აბულაძე, შუშანიკი, 039).

დამთხვევები სომხურ და ანტონის რედაქციებს შორის გასათვარია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, (სომხურ რედაქციაში გასწორებულია თუ ამოღებულია ბევრი ის ადგილი, რომელიც გასწორებული თუ ამოღებული აქვს ანტონსაც. მიუსხედავად იმისა, რომ სომეხი რედაქტორისა და ანტონის მოღვაწეობის პერიოდებს შორის ათასი წლის სხვაობაა, ორივე ერთი კუთხით განიხილავს იაკობის თხზულებას, ორივე ერთსა და იმავე ნაკლს ამჩნევს მას.) სხვადასხვა ეპოქის, სხვა-

დასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა კონფესიონალური მიმდინარეობის ორი ავტორის ასეთი ერთნაირი დამოკიდებულება იაკობის ნაწარმოებისადმი, ალბათ, კიდევ ერთი დადასტურებაა მისი წარუვალი და ყველასათვის საცნაური ღირსებებისა. როგორც ითქვა, ტექსტის აგიოგრაფიული თვალსაზრისით გამართვა უნდა ყოფილიყო როგორც სომეხი რედაქტორის, ისევე ანტონის მუშაობის ძირითადი მიზანი. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს იმ ცვლილებათა დიდი უმეტესობა, რომლებიც მას შეუტანია იაკობის ტექსტში.

უკანსხვაება ანტონისა და სომხური რედაქციის ავტორის მუშაობის შორის ისაა, რომ ანტონი უფრო ახლო მისდევს იაკობის ტექსტს, უფრო ნაკლებად ცვლის მას, მისი ნამუშევარი უფრო ზუსტია. სომეხი რედაქტორი კი უფრო თავისუფლად ეკიდება თავის დედანს. ანტონი მხოლოდ ასწორებს ტექსტს თავისი მიზნების შესაბამისად, რთავს მასში ციტატებს ბიბლიიდან და უმატებს ზოგ აუცილებელ ცნობებს, დანარჩენს კი ხელუხლებლად ტოვებს. სომეხი რედაქტორი უფრო მეტად ამუშავებს ტექსტს, მეტსაც გამოსტოვებს და მეტსაც ჩაუმატებს საკუთრივ სიუჟეტურს.)

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ისევე, (როგორც ანტონმა, სომეხმა რედაქტორმაც გაასწორა მოქმედ პირთა ხასიათები. მისი გმირებიც რიგითი აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟები არიან. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყველაზე დამახასიათებელია პურისჭამის სცენა. ამ ეპიზოდში როგორც ანტონი, ისევე სომეხი რედაქტორიც სპობს შუშანიკისათვის შეუფერებელი მოქმედების ყოველგვარ ნიშანს. ამ რედაქციის თანახმად, სერობაზე შუშანიკი მივა თავისი სახარებით ხელში; აქ მან „არცა გემომ იხილა და არცა სუა საეშმაკომსა მის სერისაგან, არამედ მდუმარე იყო ცრემლითა კსენებითა აღნათქუემთა მათ კეთილთა ღმრთისათა, და სულიერისა შუეებისაგან, რომელ იესუ ქრისტე [არს], ნუგეშინის ცემულ იყო და აღდგა და წარუდა თვისსა ადგილსა“ (VI. 12-18)¹ (ამან ვარსქე-

¹ ციტატებს ვრცელი სომხური რედაქციიდან მოვიტანთ ქართულად, პროფ. ი. აბულაძის თარგმანით. ეს თარგმანი იმდენად ზუსტია, რომ ჩვენ შეიძლება დავეყრდნოთ მას ისევე, როგორც დედანს.

ნი მეტად განარისხა. როდესაც ვახშამი დამთავრდა და ჯოჯი-
კი და მისი ცოლი წავიდნენ, ვარსქენმა კაცი გაუგზავნა შუშა-
ნიკს მოდიო. შუშანიკმა არ ისურვა მისვლა. მაშინ გამხეცე-
ბული ვარსქენი თვითონ მივიდა მასთან თავის მონებთან ერ-
თად, წამოათრია იგი და საშინლად სცემა. როგორც ვხედავთ,
ჭიქის სახეში შელევწვა სრულიად აღარ არის და ვარსქენი
უწყალოდ სცემს შუშანიკს არა ამ საქციელის გამო, არამედ
მხოლოდ იმიტომ, რომ შუშანიკმა არ ჭამა, ადრე წავიდა ვახ-
შმობიდან და არ დაემორჩილა მის ბრძანებას მასთან მისვლა-
ზე. ამითი, ცხადია, ვარსქენის საქციელი კიდევ უფრო ცუდ
ფერებშია დახატული. თან სომეხი რედაქტორი იმასაც უმა-
ტებს, რომ ვარსქენი „აგინებდა ღმერთსა“ - თ. რაც არა აქვს
იაკობს.

ძალზედ დამახასიათებელია სამკაულის ვარსქენისათვის
გაგზავნის ამბავიც. ჩვენ ვნახეთ, რომ ანტონმა დაფარა შუ-
შანიკის უცნაური მერყეობა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მას
ჯერ კიდევ არ სქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი ვარსქენ-
თან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა. ამასვე აკეთებს
სომეხი რედაქტორიც. სომეხურ რედაქციაში არც ერთი სიტყ-
ვა არაა შუშანიკისა და იაკობის თათბირზე. პირიქით. ვარ-
სქენმა შეუთვალა შუშანიკს, დაემორჩილე ჩემს ნებასო „და
აღუთქვა ნიჭი და უმეტესი სიმდიდრე და პატივი, უფრომს
პირველისა“ (VII. 118—120). შუშანიკი არა თუ არ მოიხიბლა
ვარსქენის დაპირებით, არამედ მან თვითონ გაუგზავნა ვარ-
სქენს თავისი სამკაული და საპატიო ტანსაცმელი: „ხოლო მან
არა თავს იდვა დადგრომაჲ კაცისა მის უშჯულომსა და
ღმრთისა უვარის მყოფელისა თანა, არამედ სამკაულნი იგი
და საპატიომ სამოსელი თვისი მიუძღუნა პიტიახშსა მას“ და
თანაც შეუთვალა, რომ მას არ შეეძლო შერიგება ვარსქენთან
ამ უკანასკნელის უწმინდურობის გამო და სხე.

ანტონის მსგავსად სომეხ რედაქტორსაც გამოუტოვებია
იაკობის შეკითხვა შუშანიკისადმი, როდესაც იაკობმა პირვე-
ლად ნახა შუშანიკი ვარსქენის გამაზღვანების ამბის მოს-
ვლის შემდეგ: „მტკაცვედ სდგაა?“ ჩანს, სომეხ რედაქტორსაც
მიაჩნდა, რომ შუშანიკისთვის ასეთი შეკითხვის მიცემა არ
შეიძლებოდა.

იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ შუშანიკი ადრეც ამჩნევდა ვარსკენს უკეთურებას სომეხი რედაქტორი უმატებს: „და იურვოდა და იმიშვოდა, რაუამს წარემართა კარად სამეფოდ, (ვითარმედ) ნუ უკუე უვარ ყაზ ქრისტე“ (I. 26—29). ეს დამატება, ალბათ, იმისთვისაა გაკეთებული, რომ გვაჩვენოს შუშანიკის გამჭვრიახობა, მის მიერ მოვლენათა წინასწარი განჭვრეტა.

იაკობის თანახმად, სერობის შემდეგ ნაცემი შუშანიკი ვარსკენმა ცალკე ოთახში ჩააკეტა და მცველიც მიუჩინა. მაგრამ შუშანიკი, ეტყობა, თვითნებურად წავიდა სასახლიდან ეკლესიაში და იქ პატარა სახლში ვაატარა მთელი დიდმარსვა. იქ მიუსტა მას ვარსკენი და თრევით წამოიყვანა სასახლეში. ჩანს, იმისთვის, რომ ვარსკენის მოქმედებას რაიმე გამართლება არ მოეძებნოს (ჩაკეტილი შუშანიკის თვითნებური წახვლა), სომეხი რედაქტორი შუშანიკს ეკლესიაში თვით ვარსკენს გადააგზავნიებს (ეს სდება ჩართულ ეპიზოდში, რომელსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ). ამრიგად, შუშანიკიც არაფერში არაა დამნაშავე ვარსკენის წინაშე და ვარსკენიც კიდევ უფრო სასტიკ მტარვალად წარმოგვიდგა.

საინტერესოდ არის გადმოცემული სომხურ რედაქციაში სასახლიდან სახლაკში გადასახლებული შუშანიკის უკან დაბრუნების ამბავი. როგორც ვიცით, იაკობის თანახმად, ვარსკენი ორ დეპუტაციას გაუგზავნის შუშანიკს უკან დაბრუნების მოთხოვნით. უკვე ითქვა, რომ ქრისტიანის თვალსაზრისით გაუგებარია, როგორ არწმუნებდნენ მიგზავნილი ხუცეები და მათ შორის იაკობიც, შემდგომში კი თვით ეპისკოპოსი აფოციც, შუშანიკს დაბრუნებოდა ქრისტიანობისგან გამდგარ ქმარს, ან რატომ დათანხმდა ამაზე, ბოლოს და ბოლოს, შუშანიკი. სომხური რედაქციის ავტორს მშვენიერი გამოსავალი აქვს მოძებნილი ამის ასახსნელად. ამ რედაქციით აფოცი ეუბნება შუშანიკს „...ესე [ჯამს] გულის ხმის ყოფად, ვითარმედ ნუ უკუე უმეტეს რისხვად და შურად აღიძრას და აღადგინოს ძკრი ძკრსა ზედა, ზედამდგომელთა და ერთა, არამედ აღდეგ [და] მოვედ, რაითა მცირედ რაიმე დაშრტეს მრისხანებაჲ უმჯულოჲსა მის“ (IV. 52—59). დაბრუნდი შინ, რათა

დაცხრეს ვარსქენის მრისხანება, თორემ უფრო გაბოროტდება და უბედურებას მოაწევს ზემდგომეზსაცა და ერსაცო. მშვენიერი მოფიქრებაა! შუშანიკი სასახლეში უნდა დაბრუნდეს ხალხის ინტერესების დასაცავად. ამგვარად, შუშანიკის დაბრუნება არა მარტო გამართლებულია, მას მიცემული აქვს კეთილშობილი, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის თავგანწირვის შინაარსი. ამასთან დაცულია ეპისკოპოსის პრესტიჟიც.

შუშანიკის განსაკუთრებული სიწმინდე და სარწმუნოებრივი შეურიგებლობა სომხურ რედაქციაში კიდევ უფრო წარმოჩინებულია მისი შეხედულებით ტანჯვაზე. შუშანიკის სიტყვით, იმისთვის, რათა ადამიანი გამართლდეს ღმერთის წინაშე, მან ტანჯვა უნდა გამოიაროს, განმწმენდელი ვნება აუცილებელია ადამიანისთვის. ამ ზოგადი შეხედულებით გაპირობებულია შუშანიკის დამოკიდებულებაც თავისი წარსულისა და შვილებისადმი. იაკობის თხზულების თანახმად, შუშანიკი წინააღმდეგობას უწევს ვარსქენს, მაგრამ არსაიდან არ ჩანს რომ იგი თავს დამნაშავედ გრძნობდეს ვარსქენთან მისი ადრინდელი ურთიერთობის გამო. სომხური რედაქციით კი შუშანიკი ცოდვად უთვლის თავის თავს ვარსქენის ცოლობას. ამ ცოდვისგან განწმენდის აუცილებლობის მოტივი, სრულიად უცხო იაკობის თხზულებისთვის, გარკვევით ისმის სომხურ რედაქციაში: პურის ჭამის დროს ნაცემი შუშანიკის სანახავად მიხული იაკობი ტირილს დაიწყებს. შუშანიკი ეუბნება მას: „ნუსტირ ჩემთვის, რამეთუ თქნიერ ვნებათა და ყურადღებათა არა განმართლდების წინაშე ღმერთისა ყოველი კაცი, და არცა მადლი მაცხოვრისა დაადგებს და უტიეებს ვისმე მოწყალეებისა თნიერ, რომელნი ესვიან მას. ამითა ტანჯვითა განვიწმიდე არაწმინდისა სარეცლისაგან ქმრისა უმჯულომისა“ (VII. 28—37). სამკაულის გაგზავნისას შუშანიკი უთვლის ვარსქენს: „რამ ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნოსა თანა და რამ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა, და რამ შეერთებაჲ არს ტაძრისა ღმერთისაჲსასა როსკიჲსა თანა? აწ მე ვნებათა ამათ მიერ განვიწმინდე, რომელნი მოაწიენ ჩემ ზედა, შენისა თანამკვდრობისაგან და წინანდელისა მის შეერთებისაგან“ (VII. 126—134). როდესაც ხუცესი შუშანიკს ადარებს რიფსიმეს,

შუშანიკი პასუხობს: „მე არა ღირს ვარ გვრგვინთა და ნეტარებათა მის წმიდისასა, რომელი არა მიეახლა კაცსა ურჩულოსა, არამედ სიწმიდითა ეგო და სიწმიდისათვის წინ ეწყო [და] სძლია ბოროტსა მას, და უწმინდესცა იყოფოდა წმიდათა სისხლითა თვისითა, წმიდათა მათ მოყუასთა თანა. ხოლო მე მკვდრ ვიყავ კაცისა მის ურჩულომსა თანა და ვშვენ შვილნი წარსაწყმედელად და განსარყუნელად ქმრისაგან მის ბილწისა...“ (V. 24—36).

ამ თემას უკავშირდება მეორე — შუშანიკის დამოკიდებულებისა თავის შვილებთან. იაკობის ნაწარმოების მიხედვით, შუშანიკი დიდ სისასტიკეს იჩენს თავისი შვილების მიმართ, როდესაც შუშანიკი გაიგებს ვარსკენის განდგომას, თავის შვილებს ეკლესიაში მიიყვანს და ღმერთს შეაფედრებს: „შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი“-ო (II. 22—23). ხოლო, (როდესაც ცნობილი გახდება, რომ ვარსკენმა შვილებიც გამაზღვანა,) შუშანიკი ღმერთს მადლობას შესწირავს „იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დამიცვენ საქმეთაგან მტერისათა“-ო (XII. 9—11). მაინც მის სანასაყად მისულ იაკობს შუშანიკი ტირილით დასიებული დახვდება. მხოლოდ (ამის შემდეგ შეწყვეტენ ბავშვები შუშანიკის სანასაყად ციხეში სიარულს. მანამდე, ჩანს, დადიოდნენ. გამაზღვანების შემდეგ კი „ვერღარა იკადრეს სილვად მისა, არამედ სახელიცა მათი სძაგდა სმენად-ო“) (XII. 17—18).

(სომხური რედაქციით შუშანიკი კიდევ უფრო შეურიგებელია: ბავშვების პირველსავე მიყვანისას ეკლესიაში შუშანიკი ასე მიმართავს ღმერთს: „აწ მე არა რად შემირაცხიან ესენი, შობილნი ჯორცთაგან კაცისა უღმერთომსა, მოკუდავნი მოკუდავისაგან“ (II. 45—48). (შუშანიკის სიტყვით, მისი შვილები გამაზღვანებამდეც კი, უკვე თვით დაბადებიდან, ბილწები ყოფილან.) იმავე სიტყვაში, რომელშიც შუშანიკი უარყოფს რიფსიმესთან შედარებას (ეს ხდება ბავშვების გამაზღვანებამდე), მათ შესახებ იგი ასე ამბობს: „ხოლო მე მკვდრ ვიყავ კაცისა მის ურჩულომსა თანა და ვშვენ შვილნი წარსაწყმედელად და განსარყუნელად ქმრისაგან მის ბილწისა, დადაცათუ მიემადლა [მათ] ემბაზი ზეგარდამომსა მშობლისაჲ; და მე სიმარ-

თლითა აღვზარდენ და მოსავ ვიყავ ღმრთისა, რმცა მახლობელ იყვნეს უფლისა, წურთითა და სწაელითა; გარნა არა იყვნეს ღირს, რამეთუ თესლ არიან ბილწისა“ (X. 32—42). ამის შემდეგ გასაკვირიც არ არის, რომ ამ რედაქციაში საერთოდ აღარაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ ირეაგირა შუშანიკმა შვილების გამაზღვანებაზე.

შუშანიკის მეტი ღმრთისმოსაეობა სომხურ რედაქციაში ნაჩვენებია აქვს შუშანიკის გამონათქვამებითაც. (თუ იაკობთან შუშანიკი ლოცვის დროს ერთ-ორ წინადადებას ამბობს, ან მოკლედ იძლევა პასუხებს დასმულ კითხვებზე, სომხურ რედაქციაში შუშანიკის ლოცვები და საუბრები დიდად არის გავრცობილი. მათში შუშანიკი გამოთქვამს თავის დრმა რწმენასა და ერთგულებას ღმრთისადმი, იგი ყველგან გადაწყვეტით ლაპარაკობს, რომ არავითარმა ამქვეყნიურმა სიკეთემ, არც დიდებამან, არც პატივმან, არც სიმდიდრემან, არცა რაიმე კაცობრივთა საქმეთა — ფუფუნებამან და სიტკბობამან — შეუძლონ განშორება ჩემი სიყუარულისაგან ქრისტესა“, რომ იგი მზად არის მიიღოს ყოველგვარი ტანჯვა და არ უღალატოს ქრისტესს ეს სიტყვები, როგორც ითქვა, შედარებით იაკობის თხზულებაში არსებულთან მნიშვნელოვნად უფრო ვრცელია. მაგალითად, როდესაც შუშანიკმა გაიგო ვარსქენის განდგომის ამბავი, მან წაიყვანა შვილები ეკლესიაში და ილოცა. იაკობს ეს ლოცვა სულ ერთი წინადადებითა აქვს გადმოცემული (II. 22—25), სომხურ რედაქციაში კი იგი გაზრდილია სულ მცირე რვაჯერ (II. 26—72). პირველი შეხვედრის დროს იაკობი ეკითხება შუშანიკს, რას აპირებო. იაკობთან შუშანიკი ისევ სულ ერთი-ორი ფრაზით პასუხობს (III. 23—24, 26—29). სომხურ რედაქციაში ეს პასუხი დაახლოებით თხუთმეტჯერ მეტია (III. 47—133). სამჯერ არის გაზრდილი შუშანიკის პასუხი ვარსქენისგან მიგზავნილ დეპუტაციისადმი (IV. 12—50). სასახლეში დაბრუნებული შუშანიკის ლოცვას იაკობი ისევ ერთი ფრაზით გადმოგვცემს (V. 32—34), სომხურ რედაქციაში ეს ლოცვა გაზრდილია ცხრაჯერ (V. 77—129). იაკობი არაფერს არ ამბობს იმაზე, რომ როდესაც შუშანიკმა დაუბრუნა თავისი სამკაულები ვარსქენს, მან რაიმე შეუთვალა კიდევაც. სომხური რედაქციით შუშანიკი ვრცლად შეუთ-

ვლის ვარსკენს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას არაფრით არ შეურიგდეს მას (VII. 126—153). ვრცელ მონოლოგს ათქმევინებს შუშანიკს სომხური რედაქციის ავტორი ციხეში მის სანახავად მისული იაკობის წინაშე (X. 24—64). იაკობს სულ ერთი ფრაზით აქვს გადმოცემული შუშანიკის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი (XVIII. 9—10), სომხურ რედაქციაში შუშანიკის უკანასკნელი სიტყვები ბევრად (8—10 ჯერ) უფრო ვრცელია (XVIII. 17—44).

• (სომხურ რედაქციაში მრავალჯერ არის ხაზგასმული შუშანიკის წარმომავლობა, რომ შუშანიკის წინაპრები ქრისტიანობის ერთგული ადამიანები და ღმერთისთვის სათნო პირები იყვნენ, რომ შუშანიკი „კეთილისა ძირისა კეთილი მორჩი“ იყო (X. 13—14). მისი სიტყვები მას რიფსიმეს ადარებს: „ამიერიითგან გნატრიდენ შენ მორწმუნენი ნანდვლვე სიტყვთა, რამეთუ სასოებითა მით ღმერთისადათა სძლიე ურჩულოსა მას, და სახელი და სული დაიმკვდრე მსგავსად წმიდისა მის ჰრიფსიმძსა, [და] მასთანავე შენცა გვრგვოსან იქმნე ყოველთა მათ უფლისა და მაცხოვრისგან ჩუენისა იესუ ქრისტძსა“ (X. 15—23). ამაზე შუშანიკი თავმდაბლურად პასუხობს: „მე არა ღირს ვარ გვრგვთა და ნეტარებათა მის წმიდისასა, რომელი არა მიეახლა კაცსა ურჩულოსა, არამედ სიწმიდითა ეგო და სიწმიდისათუხ წინა ეწყო [და] სძლია ბოროტსა მას, და უწმიდძსცა იყოფეოდა წმიდითა სიხხლითა თუხითა, წმიდათა მათ მოყუასთა თანა. ხოლო მე მკვდრ ვიყავ კაცისა მის ურჩულოსა თანა და ვშვენ შვილნი წარსაწყმედელად და განსარყუნელად ქმრისაგან მის ბილწისა...“ და სხვ. (X. 24—36).

კიდევ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა იმისა, თუ როგორ არის „შესწორებული“ შუშანიკის სახე სომხურ რედაქციაში (მაგ. ანტონის მსგავსად სომეხი რედაქტორიც გამოტოვებს შუშანიკის მიერ ვარსკენის გარდაცვლილი დედის უხეშად მოხსენიებას და სხვ.), მაგრამ ვფიქრობთ, მოტანილიც საკმარისია, რათა წარმოდგენა შეგვექმნას სომეხი რედაქტორის მიერ ამ თვალსაზრისით ჩატარებულ სამუშაოზე.

შესაფერისად არის შეცვლილი სომხურ რედაქციაში ვარსკენის სახეც. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ პურის ჭამის დროს შუ-

შანიკის შეუფერებელი საქციელის დამალვით ვარსქენის ქცევა კიდევ უფრო ცუდად გამოჩნდა. უარესად არის გამოყვანილი ვარსქენი სხვა ეპიზოდებში. განვიხილოთ ისინი.

იაკობი გვიამბობს, რომ პურის ჭამის დროს ნაცემი შუშანიკი ვარსქენმა ცალკე ოთახში ჩაჰკეტა და მცველი მიუჩინა, რათა არაეინ მისულიყო მის სანახავად. როდესაც დიდმარხვა დაწყებულა, შუშანიკი, ჩანს, თვითნებურად წასულა ეკლესიაში და იქ პატარა სენაკში გაჩერებულა. ვარსქენის „საკუთარს“ უთქვამს ვარსქენისთვის „ამათ წმიდათა მარხვათა ნუ რას ეტყუ მას“-ო (VIII. 5-6). ეტყობა, ვარსქენს მიუღია „საკუთარის“ რჩევა და შუშანიკისთვის თავი დაუნებებია. შემდეგ ვარსქენი წასულა კონებთან საომრად. აღდგომისთვის იგი დაბრუნებულა. ჩანს, ვარსქენი ფიქრობდა, რომ აღდგომის დღესასწაულის შემდეგ შუშანიკი დაბრუნდებოდა სასახლეში. ეს რომ არ მოხდა, მეორე დღეს ვარსქენს მიუკითხავს ეკლესიაში და აფოცისთვის უთქვამს: „გამომეც ცოლი ჩემი. რად გამაშორებ ჩემგან“-ო (VIII. 9-10). ეტყობა, აფოციც რაღაც წინააღმდეგობას უწევდა ვარსქენს. შემდეგ ვარსქენს დაუწყია გინება და ღმრთის გმობა. ვიღაც ხუცესს მისთვის უთქვამს რატომ აგინებ ებისკოპოსს და ურისხდები შუშანიკსო. ვარსქენს მისთვის ზურგზე ჯოხი დაურტყამს და გაუჩუმებია. ამის შემდეგ მას თრევით წამოუყვანია შუშანიკი. გზადაგზა ეკალზე და ძეძვზე დაკაწრული შუშანიკი ცოცხალ-მკვდარი მიუთრევია სასახლეში, სადაც ვარსქენის ბრძანებით „გი შეუკრავთ და სამასჯერ დაურტყამთ ჯოხი. როდესაც ვარსქენმა ნახა სისხლი, რომელიც ჩამოსდიოდა შუშანიკს, კისერზე ჯაჭვი დაადო და სენაკაპანს უბრძანა წაეყვანა ბნელ ცისეში, რათა იქ მომკვდარიყო.

რა თქმა უნდა, იაკობის მიერ დახატული სურათი მეტად მძიმეა. მაგრამ აქ მაინც არის ზოგიერთი მომენტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ვარსქენი მთლად მოკლებული არაა ადამიანურ თვისებებს. როგორც ვნახეთ, მან არაფერი უთხრა შუშანიკს სასახლიდან, უფრო სწორად პატიმრობიდან, თვითნებურად წასვლისთვის, მოითმინა სასახლეში შუშანიკის თითქმის ორი თვის არყოფნა, ფაქტიურად ნება დართო ედღესასწაულა აღდგომა და მხოლოდ მეორე დღეს მიაკითხა.

ეკლესიაში, როდესაც დარწმუნდა, რომ იგი არ აპირებდა შინ დაბრუნებას. ჩანს, დაბრუნებაზე უარი მან მიიღო ეკლესიაშიც, სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა, რატომ უსაყვედურა მან აფოცს რად მაშორებ ჩემს ცოლსო. შუშანიკი მან სასახლეში მიყვანის შემდეგ აცემინა.

ვნახოთ ასლა, როგორ არის ეს ამბავი სომხურ რედაქციაში. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამ რედაქციის თანახმად შუშანიკი კი არ გაქცეულა სასახლიდან, არამედ იგი თვით ვარსქენის ბრძანებით გადაუყვანიათ ეკლესიაში. ვარსქენს ვაჟი დაესრჩო მდინარეში. სამძიმრის სათქმელად მასთან მარზპანი და დიდი აზნაურები მისულან. იმისთვის, რომ ისინი არ შესევედროდნენ შუშანიკს, ეს უკანასკნელი ვარსქენს მცველებითურთ ეპისკოპოსთან გაუგზავნია, რომ ტაძრის მახლობლად ერთ სასლში დაეცვათ იგი, სანამ სამძიმარზე მისულნი წავიდოდნენ (როგორ უღირსად მალაგს ვარსქენი თავის ცუდკაცობას!). როდესაც სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ვარსქენმა მიუგზავნა შუშანიკს კაცი „სვეწნისა სიტყვთა“, რათა დამორჩილებოდა მის ნებას (მსოლოდ სასახლეში დაბრუნებას თუ გამაზღვანებასაც?) და თან „აღუთქუა ნიჭი და უმეტესი სიმდიდრე და პატივი, უფრომს პირველისა“ (VII. 119-120). ჩანს, ვარსქენი ჯერაც ვერ მიმხვდარა, რომ შუშანიკისთვის ამქვეყნიური სიმდიდრე და პატივი არაფერს არ ნიშნავდა. მართლაც, შუშანიკი არაითუ არ მოიხიბლა შეპირებულთ, არამედ თავისი სამკაული და საპატიო ტანისამოსი გაუგზავნა ვარსქენს და მტკიცე უარიც შეუთვალა (შუშანიკის პასუხზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი). მაშინ განრისხებულმა ვარსქენმა წაიყვანა თავისი მონები, შევიდა ეკლესიაში და თუმცა შუშანიკი ამ დროს ლოცულობდა, „არა უტევა“, „სცა მას კუერთსითა სანსტიკად“, შემდეგ ხელი სტაცა თმაში და ასე გამოათრია ეკლესიიდან. ეტყობა, შუშანიკს მან ეკლესიის გარეთაც სცემა, რადგან ვიღაც ხუცესს უთქვამს ვარსქენისთვის „რამსა ეგრე სცემ უწყალოდ“-ო. ვარსქენს ხუცესიც გაულახავს „სანსტიკად ფრიად“. მაშინ შეკრებილ ხალხს (ქალებიც იყვნენ და კაცებიცო, აზუსტებს ავტორი) აუმაღლებია ხმა, ვარსქენს ყველა ისინიც უცემია „ვითარცა მკეცსა ბოროტსა და ველურსა“. შემდეგ შუშანიკი თრევით წამოუყვა-

ნიათ. ეკალთა და ქაცვთაგან შუშანიკს მთელი მიწა სისხლით მოურწყავს. სასახლეში შუშანიკი კიდევ უფრო მაგრამ უცემიათ („კუალად გუემასა განამრავლებდა უფრომსლა პირველთასა“-ო). ეკლებზე თრევისგან შუშანიკს თავსაბურავი და ტანისამოსი მთლად დახვეია და თავს ნაფლეთებით იფარავდა. ვარსქენს კი „უშჯულოსა მას არ ჰრცხუნენოდა და არცა სწყალობდა მას, არამედ ბოროტისა მის ზრზენითა აღმდგარი, ვითარცა ღუარი სასტიკი, ჰგონებდა რა წარერღუნა [და] წარეკუეთა განათლებული ქცევა და სიწმიდჷ ნეტარისა მის“... (IX. 16-22).

ვფიქრობთ, კომენტარების გარეშეც ყველაფერი გასაგებია.

მართალია, იაკობის მოთხრობის მიხედვით, შუშანიკი რომ ციხეში მიჰყავდათ, მისთვის გამოდევნებულ ხალხს ვარსქენი „მკედრ მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა“, რისი გადასხვაფერებაცაა, ალბათ, ეკლესიის ეზოში კრებულის ცემა, მაგრამ ეს არსებითად არ ცვლის ვითარებას: ეკლესიაში შეკრებილი მლოცველების ცემა მაინც უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ციხეში ბადრაგით წაყვანილი შუშანიკისთვის აკიდებული ხალხის გაფანტვა.

სამანტიერესოა, აგრეთვე, როგორ არის გადმოცემული ორივე რედაქციაში შუშანიკის ციხეში ჩასმა და მისი იქ ტანჯვა ვარსქენის მიერ.

იაკობი: შუშანიკი შეიყვანეს ციხეში და მოათავსეს ერთ პატარა სახლში ჩრდილოეთის მხარეზე. ვარსქენმა თავისი ბეჭდით დაბეჭდა მის კისერზე დადებული ჯაჭვი, მცველები კი გააფრთხილა არავინ შეუშვათ მასთან, თორემ ცოლშვილიანად დაგსჯით და ბრალი არ დამედებაო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ვარსქენი ჩორს გაემგზავრა. შუშანიკის ციხეში მოთავსების დროს ჯოჯიკი იქ არ ყოფილა, იგი გაეკიდა ვარსქენს, დაეწია და სთხოვა საკრველთაგან შუშანიკის განთავისუფლება. ბევრი თხოვნის შემდეგ ვარსქენმა ნება დართო მსოლოდ საკრველთაგან განთავისუფლება შუშანიკისა (ეტყობა, ლაპარაკი იყო ციხიდან გამოშვებაზეც). ჯოჯიკმა შუშანიკს აჰხადა კისერზე დადებული ჯაჭვი, სოლო ბორკილის მოხსნა თვით შუშანიკმა არ ისურვა სიკვდილამდე. ციხეში შუშანიკთან მრავალი მნახველი დადიოდა, მათ შორის მისი

შვილებიც (გამაზღვანებამდე, შემდეგ თვითონ ვერ ბედადნენ-
ნო მისკლას). იაკობს არც ერთი სიტყვა არა აქვს ნათქვამი
იმაზე, რომ ციხეში მყოფ შუშანიკს ვარსკენმა რაიმე ტანჯვა
მიაცენა, მხოლოდ ორჯერ მიუგზავნა კაცი თსოვნით დაბრუ-
ნებულნი სასასლესი, რაზედაც შუშანიკმა ორჯერეე უარი
განაცხადა. ამრიგად, ფაქტიურად, შუშანიკი ციხეში თავისივე
სურვილით რჩებოდა, ბორკილიც თავისივე ნებით არ მოიხსნა
და რაც ტანჯვა გადაიტანა, აგრეთვე, ფაქტიურად თვითგვემა
იყო.

სომხური რედაქცია: შუშანიკი წაიყვანეს საპყრობილეში
(არაა ნათქვამი, რომ იქ პატარა სასლში მოათავსეს), დაადევს
კისერზე ჯაჭვი. ვარსკენის ბრძანებით კედელში ჩაასვეს რკი-
ნის მანები და მათ მიაკრეს შუშანიკის კისერზე დადებული
ჯაჭვი. ჭორს წასულ ვარსკენს გზაზე დაეწია ჯოჯიკი, რო-
მელმაც მრავალი დღის სვეწნის შემდეგ ძლივს დაიყოლია
იგი, შუშანიკი მხოლოდ კისერზე დადებული ჯაჭვისაგან გაე-
თავისუფლებინა, ბორკილები კი სიკედილამდე არ უნდა აესს-
ნათ. ვარსკენი დაბრუნდა სამშობლოში ოთხი წლის შემდეგ.
როდესაც მან გაიგო, შუშანიკთან მრავალნი დადიოდნენ, მე-
ტად განრისხდა. იგი მივიდა შუშანიკთან, „მეყუხეულად დიდ-
დიდითა გუემითა და ტანჯვითა აჭირებდა“ მას, „ტანჯნა და
გუემნა“ მცველები, რატომ შეუშვით მასთან ხალხიო, „მოაგო
მათცა გუემაჲ სასიკუდინჱ, ო ნეტარისა მის უფრომსცა ბრძა-
ნა შეჭირებემა ბორკილთა შა საპყრობილისათა“ (XII. 5—15)¹.

¹ პროფ. ი. აბულაძესა და აკად. კ. კეკელიძეს მიაჩნდათ, რომ ოთხი
წლის შემდეგ შობრუნებული ვარსკენის მიერ შუშანიკის ტანჯვა არის ის
მესამე წამება მისი, რომელიც იაკობს მოხსენებული აქვს „მარტვილობის“
ბოლოს როგორც 19 ვარდობისთვის მომხდარი და რომელიც არაა იაკობის
ამჟამად ცნობილ ტექსტში (აბულაძე, შუშანიკი, 040, შენ. 2; კეკელიძე,
ლიტ. ისტორია, 121). მაშასადამე, ეს ეპიზოდი ქართული რედაქციიდან
უნდა მოდიოდეს და ამდენად, იგი ვერც ჩაითვლება სომხური რედაქციის
კუთვნილებად. მაგრამ ამ ეპიზოდში ზოგი რამ საეჭვოდ გამოიყურება: სა-
ეჭვოა ვარსკენის ოთხი წლით არყოფნა საერთოდ; ვარსკენის მიერ მცვე-
ლების დახოცვის ამბავი. ვარსკენი ასე არ იქცევა. გაეისხნოთ, რომ მან
არაფერი დაუშავა არც იაკობს და არც იმ მცველს, რომელმაც იგი გაატა-
რა შუშანიკთან, თუმცა ვარსკენს ასევე აქონდა ნაბრძანები არაეინ შეეშ-
ვთ მასთან. შუშანიკის ციხეში ცხოვრების იაკობისეული აღწერაც არ იძ-

შემდეგ ვარსკენმა შუშანიკს მიუგზავნა გრძნეული ქალი, რომელიც ერთი წელი ებრძოდა წმინდანს. ვარსკენი ციხეში შუშანიკს სტანჯავდა ექვსი წლის განმავლობაში: „...ვითარცა ღელვამ ზღვსამ კლდესა სცემდა ექუს წელ, და სტანჯვიდა პირად-პირადითა განსაცდელითა და იწროებითა წმიდასა მას გუემითა, საპყრობილითა, სიყმილითა, წყურილითა, გრძნეულებითა“ (XIV. 7—13). ვარსკენის ყველა ამ ბოროტებას იხიცი ემატება, რომ იგი, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ პროვოკატორადაც არის გამოყვანილი: „ტანჯვისა და საკრველთა მათ[თვს] დედოფლისათა სარწმუნოთა მიერ [კაცთა] შეფესა მას აუწყებდა, ვითარმედ „ასული ვარდანისი არს, რომელი წინააღმდეგა მეფეთა მეფესა მას სპარსთასა და ამისა სახისათვს ვტანჯავ და ვგუემ მას სიკუდილამდე, რამეთუ არა დაემორჩილა მსახურებასა ღმერთთა მეფისასა, ვითარცა მამამ მისი სოფლისა მაოკრებელი“ (XIII. 25—33). ჩანს, ვარსკენი თვითონაც გრძნობდა ამ სიტყვების სიბინძურეს, რომ საიდუმლოდ (სანდო ადამიანების პირით) აცნობებდა ამას ირანის მეფეს.

ფიქრობთ, აქაც ყველაფერი ცხადია.

ვარსკენის კიდევ უფრო უარყოფითად წარმოდგენის ტენდენცია მუდამდებდა დეტალებშიც. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ სომხური რედაქციის ავტორი შუშანიკის განსაზღვრულად მრავალჯერ ასხენებს მკითხველს მისი მშობლებისა და წინაპრების ერთგულებასა და თავდადებას ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. ვარსკენის მიმართ ის საწინააღმდეგოს აკეთებს—ჩქმალავს მისი მშობლების სიკეთეს. იაკობი გადმოგვცემს, რომ ვარსკენისგან მიგზავნილი დეპუტაციის

ღევა საფუძველს ვარსკენისგან მოველოდეთ ასეთ სიმაკაცრეს. დაბოლოს, ვარსკენს რომ მართლაც დაესოცა მცველები შუშანიკთან მნახველების გატარებისათვის, ამის შემდეგ ვილა შევიდოდა მასთან! ორივე რედაქციის თანახმად კი შუშანიკთან დადიოდნენ თვით სიკვდილის დღემდე. გაეხსენოთ ჯოჯიკის მისვლა ოჯახითურთ, სამოელ და იოვანე ეპისკოპოსების მისვლა, აზნაურებისა და უაზნოთა მისვლა. დაბოლოს, გაეხსენოთ როგორი შარ-ზეიმით იქნა დასაფლავებული შუშანიკი.

ამრიგად, ეპიზოდი თუ მთლიანად მოგონილი არაა სომხური რედაქციის ავტორის მიერ, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად უნდა იყოს გადაკეთებული თავისი მიზნის შესაბამისად.

პირით შუშანიკი, სხვათა შორის, თავის მეუღლეს უთვლის ამასაც: „... მამამან შენმან აღჰმართნა სამარტულენი და ეკლესიანი აღაშენნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სსუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვსა, სოლო შენ დეენი შემოიხუნენ; მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, სოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც“ (IV. 22—26). სომსურ რედაქციაში არ არის შუშანიკის ეს პასუხი და ამდენად არც ის ცნობა, რომ ვარსქენის მამაც ქრისტიანობისთვის თავდადებული მოღვაწე იყო. რომ ეს შემთხვევითი ამბავი არაა, ჩანს მეორე მაგალითიდანაც. „წამების“ პირველი აბზაციდან, რომელიც სომსურ რედაქციაში თითქმის სიტყვასიტყვით არის თარგმნილი, გამოტოვებულია მხოლოდ ერთი ფრაზა (გარდა იმათი, რომელიც გამოტოვებული იყო ტექსტის სტილისტურად გასწორების მიზნით და რომლებზეც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ): ვარსქენიო, ამბობს იაკობი, „პირველ იგიცა იყო ქრისტიანე ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ“ (I. 7—8). ჩანს, იაკობის მიერ ხაზგასმით აღნიშვნა იმისა, რომ ვარსქენის მშობლები ქრისტიანები ყოფილან, მთლად მოსაწონად არ მოსჩვენებია რედაქტორს.

❧ იაკობი არც ერთხელ არ ამბობს, რომ ვარსქენს შუშანიკისგან ქრისტიანობის უარყოფა მოეთხოვოს. ვარსქენი შუშანიკისგან ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ სასახლეში დაბრუნებასა და მეუღლეობას თხოულობს. სომსურ რედაქციაში ვარსქენი ითხოვს „დამორჩილებად ნებათა მისთა“ (IV. 11—12), „დაემორჩილოს ნებათა მისთა“ (VII. 118). მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ვარსქენს შუშანიკისგან ქრისტიანობის უარყოფა სურს. :

• იაკობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არც ერთხელ არ დაუმცირებია ვარსქენი იმითი, რომ მას შუშანიკისთვის სიმდიდრე და პატივი შეეთავაზებინოს. გასაგებიცაა, ვარსქენი ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ აღწერილ ვითარებაში ასეთ ამბებზე ლაპარაკი მხოლოდ გულუბრყვილობა და უშედეგო დაწერილმანება იქნებოდა. სომსური რედაქციით ვარსქენი პირველივე დღიდან პირდება შუშანიკს „შუებად დიდებასა. [შ~ა] სოფლი-

სასა უფრომს პირველთასა“ (IV. 12-13), ან შემდეგ „...აღუთქუა ნიჭი და უმეტესი სიმდიდრე და პატივი, უფრომს პირველსა“ (VII. 119-120). და არც არის საკვირველი: თავისი შეილების გამაზღვანებით, ამ რედაქციის თანახმად, ვარსკენი იმედოვნებდა „რამთა უმეტესი პატივი მიიღოს“ სპარსთა მეფისაგანო.

სხვათა შორის, ვარსკენმა ასევე „ნიჭი აღუთქუა უფრომს პირველთასა“ (IV. 6-7) სამღვდელოებასაც მასთან ირანიდან ჩამოსვლის შემდეგ პირველივე შესვედრაზე.

სიმდიდრის ამგვარი დაპირებანი აგიოგრაფიული ჟანრისთვის დამახასიათებელი შტამპია.

აგიოგრაფიული ჟანრის თვალსაზრისით გადამუშავებამ სომხური რედაქცია სხვაგვარივანა განასხვავა ქართულისაგან, საერთოდ სხვა იერი მისცა, მასში ლიტერატურული აქცენტები გადაადგილა. იაკობის თხზულება, როგორც უფრო რეალისტური ხასიათისა, ბევრად უფრო მეტ ისტორიულ თუ ყოფით რეალიებს შეიცავს. მასში ბევრად უფრო მეტია მოთხრობილი ამბების ფაქტობრივი დეტალები და აღწერის სიზუსტე. სომხური რედაქციის ავტორს კი მეტად აინტერესებს თვით მოწამეობრიობის ამბავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარწმუნოებრივ-ედეური მხარე. ამიტომ მისთვის ყოველგვარ დეტალს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ალბათ, იმიტომაც, რომ იგი დროშიცა და სივრცეშიც მეტად იყო დაშორებული „წამებაში“ აღწერილ ამბებს. გავიხსენოთ ანტონ კათალიკოსი, რომელმაც, აგრეთვე, საჭიროდ აღარ ჩათვალა რიგი, მისი დროისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი, ისტორიული სახელების აღნიშვნა. ერთი სიტყვით, როგორც თავის დროზე მიუთითებდა (პროფ. ი. აბულაძე), „სომხურ მარტილობათა წიგნების (იგულისხმება „შუშანიკის მარტილობის“ სხვადასხვა რედაქციები, ნ. ჯ.) აღნაგობაში ძირითადია არა ფაქტობრივი მხარე, არამედ მარტილობითი, — მოწამეობა (ლოცვა-ვედრება და სხვ...). ფაქტობრივი მხარე მასში დაჩრდილულია და ზოგადი შტრიხებით, შეკუმშულად არის წარმოდგენილი, წინააღმდეგ ქართულისა“ (აბულაძე, შუშანიკი, 041).

ზემოთ ჩვენ ნაჩვენები გვექონდა, რამდენად არის სომხურ რედაქციაში გავრცობილი შუშანიკის ლოცვები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ საერთოდ ქართული რედაქციის არაჩვეულებრივად ცოცხალი, ფსიქოლოგიურად გამართლებული დიალოგები ფაქტიურად მონოლოგებით, ქრისტიანობის ერთგულების მოთხოვნით ან ამ ერთგულების დაპირებებით არის შეცვლილი. როგორც სავსებით სწორად აქვს შენიშნული ი. აბულაძეს „მოწამის ბაასი სხვა მოქმედ პირთან, კერძოდ, მის მოძღვართან, რაც ქართულში საქმიანი კილოთია მოცემული, ერთის ვრცელ დამოძღვრად და მეორის მისი შესრულების ასევე ვრცელ აღთქმად არის წარმოდგენილი სომხურში... ყოველ შემთხვევაში, თუკი სადმე სომხურში საქმიანი კილო შეინიშნება, ყველგან მასში დამოძღვრის ტონი სჭარბობს არსებითს“ (აბულაძე, შუშანიკი, 034—035). შუშანიკისა და ქრისტიანობის სხვა ერთგულ პირთა საუბრებს სომხურ რედაქციაში აშკარად ბევრად უფრო მეტად პროპაგანდისტული ხასხე აქვს.

აღნიშნული იყო, აგრეთვე, სომხური რედაქციის მეტი ორთოდოქსია და სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა. აი, ამ ორთოდოქსიის კიდევ ერთი ნიმუში: ციხეში მყოფმა შუშანიკმა სახელი გაითქვა თავისი სიწმინდით, მასთან მიდიოდნენ მრავალნი, როგორც იაკობი ამბობს, „აღნათქუემთა შეწირვად“ და ყველას ეძლეოდა ის, რაც მას სჭირდებოდაო. სომხური რედაქცია ამას უმატებს, რომ შუშანიკთან დადიოდნენ „სმენად მისგან ქცევათა უბიწოებისათა და სიმართლისათა. და იგი ასწავებდა მრავალთა დატყეებად სოფლისა ამის და რამცა რამ სოფელსა ამას შინა არს, და შედგომად წარუვალისა მის ცხოვრებისა“ (XI. 4—9). იაკობი არაფერს ამბობს იმაზე, რომ შუშანიკი ქადაგებდა ამქვეყნიური ცხოვრების მიტოვებას.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სომხურ რედაქციაში მეტია ზღაპრულ-სასწაულებრივი ამბები. იაკობთან ზოგადად არის ნათქვამი, რომ შუშანიკთან მისულებს „რამ ვის უჯმად მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა აღი სილვაჲ“ (XI.

2-5). არაფერი არარეალური ამაში არაა. იმ მრავალ ათეულ თუ ასეულ მნახველთა შორის, რომელიც შუშანიკს ეყოლებოდა ექვსი წლის განმავლობაში, ადვილი შესაძლებელია ვიღაც-ვიღაცებს თვითშთაგონების გამო თუ უბრალო დამთხვევის შედეგად თავისი გასაჭირის რაღაც გაუმჯობესება მართლაც ჰქონოდათ. (საერთოდ ისიც კია გასათვალისწინებელი, რომ შუშანიკს, როგორც თავისი დროისთვის კარგად განათლებულ ადამიანს (ის კი უეჭველად იყო ასეთი) უსათუოდ ექნებოდა რაღაც, თუნდაც ელემენტარული სამედიცინო ცოდნა. ასეთ ცოდნას, მაგალითად, უთუოდ ამჟღავნებს თვით იაკობი.

ქართულ რედაქციაში მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტია მოტანილი სასწაულისა და ისიც, მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, არაფერს სასწაულებრივს არ შეიცავს: იაკობის სიტყვით, შუშანიკის ქადაგებით გაქრისტიანებული კეთროვანი მაზდეანი ქალი შუშანიკისვე რჩევით განსაკურნავად იერუსალიმში წასულა, იქ მართლაც გამოჯანმრთელებულა და ისე დაბრუნებულა. ამ ეპიზოდში სასწაულებრივია მხოლოდ ის, რომ კეთროვანი იერუსალიმში წასულამ განკურნა. მაგრამ, ვინ იცის, ნამდვილად კეთრი სჭირდა ამ ქალს, რამდენად სწორი იყო მისი აუადმყოფობის დიაგნოზი? იქნებ მას მართლაც არგო მოგზაურობამ, ჰაერის გამოცვლამ, უცხო ექიმების ნახვამ?

მხედველობაში მისაღებია შემდეგიც: ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილის აზრით, მოგვი ქაღალდს განკურნების ამბავი არ ეკუთვნის იაკობის კალამს და გვიანდელი, IX-X საუკუნეების, ინტერპოლაციაა მის ტექსტში (აბრამიშვილი, 217-222). შესაძლებელია, ჩვენ არ დავეთანხმოთ პატივცემული მკვლევარის ყველა არგუმენტს ან ინტერპოლაციის დროის განსაზღვრას IX-X საუკუნეებით (თუკი ეს ეპიზოდი ინტერპოლირებულია, მისი ინტერპოლაცია უნდა მომხდარიყო უფრო ადრე, რადგან მოგვი ქალის განკურნების ამბავი არის უკვე ძველ სომხურ თარგმანშიც, რომელიც თარიღდება IX ს-ზე ადრინდელი ხანით), მაგრამ თავისთავად გ. აბრამიშვილის აზრი უსაფუძვლო არაა და ანგარიშგასაწევია.

აშკარად განსხვავებულადაა წარმოდგენილი ეს ეპიზოდი სომხურ რედაქციაში.

სომხური რედაქცია ქართულის მსგავსად ჯერ ზოგადად ჰყვება შუშანიკის კურნებათა ამბავს. შემდეგ ისიც გვიამბობს მოგვი დედაკაცის განკურნების შესახებ, მაგრამ ეს განკურნება მართლაც რომ სასწაულებრივია: შუშანიკთან მიდის ვიღაც კეთრით დაავადებული სახელოვანი მოგვი დედაკაცი, რომელსაც ვერ უშველეს სპარსელმა მკურნალებმა. შუშანიკი ეუბნება, თუ ქრისტიანობას მიიღებ, ღმერთსა ვთხოვ და განიკურნებიო. კეთროვანი აღიარებს ქრისტეს. შუშანიკი ბრძანებს მის მონათვლას, და კეთროვანი დედაკაციც მაშინვე განიკურნება. ამის შემდეგ ის უამბობს თავის ამბავს მოგვებსა და მოგვთა მთავრებს.

ახევე ნახევრად ზღაპრულია შემდეგი ეპიზოდიც, რომელიც არაა ქართულ რედაქციაში: ვარსკენმა რომ ვერაფრით ვერ დაიმორჩილა შუშანიკი, მიუგზავნა მას ვიღაც გრძნეული ქალი.) „და წელიწადსა ერთსა ჰბრძავედა მას ესევეითართა საეშმაკოჲთა გონებითა პიტიახში იგი“ (XIII. 9–11), მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწიაო. მართალია, არაა გამორიცხული, რომ ვარსკენს სინამდვილეში მიეგზავნა შუშანიკისთვის გრძნეულად მიჩნეული ვინმე დედაკაცი, მაგრამ ეს სიუჟეტი — წმინდანთან ბრძოლისა თუ წმინდანის ცდუნებისა ჯადოსნობით — ტიპურია აგიოგრაფიული მწერლობისათვის და დაძახასიათებელი სწორედ ისაა, რომ ეს ეპიზოდი არაა იაკობის ტექსტში.

შემდეგ სომხური რედაქცია გვამცნობს, რომ შუშანიკი „ზეგარდამოთა მათ ხილვათა მრავალ გზის ეზიარა. რომელი განამჯნევებდა მას [და] განამლიერებდა ბრძოლათა შინა“ (XIV. 28–30). თვით შუშანიკის სიკედილის შემდეგაც, ამ რედაქციის თანახმად, „კურნებასა არა მცირედსა ჰყოფდა უფალი მეოხებითა წმიდისა მის დედოფლისაჲთა“ (XX. 9–11). შემოთ აღნიშნული იყო, რომ სომხური რედაქციის ავტორს ნაკლებად აინტერესებს ფაქტობრივი მხარე, რომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია იდეური მხარე. ალბათ, ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ზოგი სხვა ცვლილებაც, რომელიც მას შეუტანია წამების ამბავში. მაგალითად, მას გამოუტოვე-

ბია ზოგიერთი ეპიზოდი და პერსონაჟიც კი, რომელიც არის ქართულ რედაქციაში. იაკობთან რამდენჯერმე ჩნდება ერთი, როგორც შემდგომში ვნახავთ, მეტად საინტერესო პირი, ვი-
ლაც ვარსქენის დაახლოებული სპარსი. იაკობის გადმოცემით, ეს სპარსი შეეა შუშანიკთან, როდესაც ის ესაუბრება იაკობს ვარსქენის განდგომის ამბის გაგების შემდეგ და ტირილით მიუსამძიმრებს მას. მეორედ სპარსს ვნახავთ ვარსქენის ჩამოსვლის შემდეგ. იგი ფარულად შეატყობინებს ვარსქენს შუშანიკის წასვლას სასახლიდან და ურჩევს ფიცხელი სიტყვა არ უთხრას მას. მესამედ სპარსი ჩნდება პურის ჭამის დროს შუშანიკის ცემის შემდეგ. იგი „მხურვალედ“, „ფრიად“ ევედრება ვარსქენს და სწორედ მისი ამ თხოვნის შედეგად ბრძანებს ვარსქენი შუშანიკის განთავისუფლებას საკრველთა და ბორკილებისაგან. სამივე ეს ეპიზოდი აკლია სომხურ რედაქციას. ვფიქრობთ, ამისი მიზეზი ისაა, რომ სომხური რედაქციის ავტორს ესამუშა, გაუგებრად მოეჩვენა სპარსის, რომელიც მკითხველის თვალში, უეჭველია, მაზღვანად აღიქვება, ასეთი მუდმივი თანაგრძნობა და დახმარება შუშანიკისა!

• სომხურ რედაქციაში არ არის ის ცნობილი ეპიზოდი, რომელშიც ერთ საცოდავ დიაკვანს ვარსქენის შიშით სიტყვა პირში გაუწყდა, მხოლოდ „მტკი“-ს თქმა მოასწრო და გაიქცა. გამოტოვებულია, აგრეთვე, ეპიზოდი ვარსქენის მოციქულის შუშანიკთან მისვლისა ჩორს ან კარს გაგზავნის მუქარით.!

სამაგიეროდ რამდენიმე ეპიზოდი ჩამატებულია. ზოგი მათგანი ჩვენ უკვე ვახსენეთ: ეს იყო გრძნეული ქალისა, ვარსქენის მიერ მცველების დახოცვისა და მის მიერვე შუშანიკის წამების მოტივის ახსნისა. სამივე ამ ჩამატების მიზეზი ვასაგებია. ამ ჩანამატებით სომხური რედაქციის ავტორი კიდევ უფრო ამკარად ხდის შუშანიკის სიმტკიცეს და ვარსქენის ბოროტებას.

ყველაზე დიდი ჩანამატია ის ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია ვარსქენის ვაჟის დახრჩობის ამბავი: რაღაც შიშინანობის გამო ვარსქენს გადაუწყვეტია შვილების რომელიღაც ციხეში გახიზვნა. როდესაც ბავშვები მტკვარზე გადაჰყავდათ, ერთი მათგანი მდინარეში ჩაყარდნილა და დამხრჩვალა. შუშანიკს მაღლობა შეუწირავს ღმერთისთვის, თუმცა ხორციე-

ლად მოკვდა, მაგრამ სულით განშორდა მამამისისგან მომდინარე საფრთხესო. ქართლის მარშპანი და დიდ-დიდი აზნაურები მისულან ვარსკენთან „ნუგეშინის ცემად“ და „დაცხნად გლოვისა მისისა“. ვარსკენის ბრძანებით შუშანიკი (რომელიც ამ დროს პურის-ჭამისას ცემის შემდეგ ცალკე სახლაკში იყო ჩაკეტილი), გადაიყვანეს „ტაძრად ეპისკოპოსისა“ ეკლესიის მასლობლად და იქ ერთ სახლში გააჩერეს მცველებით. ვარსკენს არ სდომებია, რომ შუშანიკი შესვედროდა სამპიძარზე მისულებს. როდესაც ისინი წავიდ-წამოვიდნენ, ვარსკენმა შეუთვალა შუშანიკს დამორჩილებოდა მის ნებას და შეპირდა დიდ სიმდიდრესა და პატივს. შუშანიკი არათუ არ მოისიბლა ამით, არამედ გაუგზავნა ვარსკენს თავისი სამკაულები და საპატიო სამოსელი და თან მტკიცე უარი შეუთვალა. განრისხებულმა ვარსკენმა წაიყვანა თავისი მონები, შევარდა ეკლესიაში და იქიდან თრევით წაიყვანა შუშანიკი სასასლეში. აქ იწყება ჩვენს მიერ უკვე განხილული გვემა შუშანიკისა, რომელიც იაკობთან მოთხრობილია როგორც აღდგომის მეორე დღეს მომხდარი.

პ. პეტერსი, რომელსაც სომხური ტექსტი უფრო ადრინდელად მიაჩნდა, ვიდრე იაკობისა, ამ ეპიზოდს ინტერპოლაციად არა თვლიდა და იმის გარკვევასაც კი ცდილობდა, თუ სად გახიზნა ვარსკენმა თავისი შვილები¹.

ი. აბულაძეს ეპიზოდი გვიანდელ ჩანართად მიაჩნდა: „დაგდება რომელიმე მომენტისა, ისიც ფაქტობრივი ხასიათისა,

¹ პ. პეტერსის სიტყვით, ვარსკენი შვილებს მტკერის ჩრდილოეთით არ გახიზნავდა, რათა ისინი თავისი მტრის, მეფე ვახტანგის, სელში არ ჩაეგდო. (ბავშვებს ვარსკენი დასაუღლეთში გაგზავნიდა მტკერის მარცხენა ნაპირზე, რაც შეიძლება შორს მცხეთიდან თავის ნათესაე მამიკონიანებთან, ამ შემთხვევაში კი ასეთად მხოლოდ ვაჟან მამიკონიანი იქნებოდაო (პეტერსი, 293). იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეჭირათ თუ არა მამიკონიანებს ამ დროს მტკერის მარცხენა სანაპირო მის ზემო დინებაში სათავეებთან ახლოს (ალბათ, ასე უნდა გავიგოთ პ. პეტერსის სიტყვები მტკერის დასაუღლეთ მხარეზე, რადგან ქართლის ფარგლებს გარეთ მხოლოდ მტკერის ზემო დინება რჩებოდა) და გაგზავნიდა თუ არა ვარსკენი შვილებს ასე შორს, მეტად საეჭვოა ისიც, რომ ვარსკენს მიემართა ვაჟან მამიკონიანისთვის დახმარებაზე თხოვნით, როდესაც ამ უკანასკნელის ბიძაშვილი და თავისი ცოლი შუშანიკი საპრობილეში ჰყავდა გამოკეტილი.

გადაკაზმული რედაქციების მიერ ჩვეულებრივია, ისე როგორც შეცვლა ზოგიერთი მათგანისა. მაგრამ ახლის შემოტანა უკვე დამატებითს წყაროზე მიგვიბრუნებს. რომ შეილება დახიზუნის, ერთი მათგანის მდინარეში დახრჩობისა და მით გამოწვეული გლოვის ამბავი ინტერპოლაციური ხასიათისა უნდა იყოს, ამას, ჩემი აზრით, ერთგვარად დასაწყისი სიტყვებიც მოწმობენ; *ესე ძამასანასან ესე აკისიასი* („მათ ჟამთა ოდენ“) ისეთი გამოთქმაა, რომელიც ჩანართისათვის უფროა დამახასიათებელი, ვინემ ძირითადი ტექსტისთვის“-ო და იქვე სქოლიოში უმატებდა, ამავე სიტყვებით იწყება აგათანგელოზთან „პრიფსიმეანთა“ წამების თხრობაც, რომელიც ფილოლოგ-ისტორიკოსთა მიერ ინტერპოლაციადაა აღიარებული (აბულაძე, შუშანიკი, 040).

კ. კეკელიძის სიტყვით, ეს ეპიზოდი დაკარგულია იაკობის თხზულებიდან. იგი „უტყუარი ამბის შთაბეჭდილებას ახდენს“ და „სომხურ ტექსტში გადარჩენილა“-ო (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 121-122).

იმის გასარკვევად ეს ეპიზოდი ჩანართია თუ არა, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რამდენად ორგანულად არის იგი დაკავშირებული თხრობას. ერთი შესედეით ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია: ეპიზოდის დასაწყისი მომენტიცა და ბოლოც კარგად არის დაკავშირებული წინამავალ და მომდევნო ამბებთან: იაკობის გადმოცემით პურის ჭამის დროს ნაცემი შუშანიკი ცალკე სენაკშია ჩაკეტილი. ჩანართში კი ნათქვამია, რომ რათა სამძიმარზე მოსულებს არ ენახათ შუშანიკი, ვარსქენის ბრძანებით იგი საპატიმროდან ეკლესიაში გადაიყვანეს. სტუმრების წასვლის შემდეგ ვარსქენი მოინდომებს შუშანიკის დაბრუნებას. შუშანიკი რომ უარს იტყვის, მივა და ძალით წამოიყვანს. ეს ბოლო ნაწილი ემთხვევა იაკობის მონათხრობს. ამგვარად, თავაცა და ბოლოც კარგად ებმის თხრობას. ამასთან, თხრობასთან დაკავშირებულია ეპიზოდის შიდა ნაწილიც, რადგან აქაა გადმოტანილი სამკაულის დაბრუნების ამბავი, რომელიც მოთხრობილი აქვს იაკობსაც. ამრიგად, ეს ეპიზოდი მშვენიერად არის შეწნული „წამების“ სიუჟეტს. და მაინც, ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს ი. აბულაძე, რომელიც მას ჩანართად მიიჩნევს. ეპიზოდის

დასაწყის სიტყვებთან ერთად („მათ უამთა ოდენ“) მის ჩანართობაზე უნდა ლაპარაკობდეს ის გაურკვეველი თქმა, რომელიც ჩანართშია: „მოიწია შიში სადამთმე და შვილნი მისნი წარიყვანნეს ცისესა სა დ მ ე“ VII. 53—55). მაგრამ დროისა და ვითარების გაურკვეველი აღნიშვნა საერთოდ დამახასიათებელია სომხური რედაქციისათვის, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ ვილაპარაკებთ. აღნიშნულ სიტყვებთან ერთად და, შესაძლებელია, მათზე მეტად, ჩვენი აზრით, ეპიზოდის ჩანართობაზე ის ერთგვარი შეუსაბამობანი უნდა ლაპარაკობდნენ, რომლებიც ამ ეპიზოდს აქვს. განვიხილოთ ეს ეპიზოდი ამ თვალსაზრისით:

1. ვარსქენს შუშანიკი სასახლიდან ეკლესიაში იმისათვის გადაუყვანია, რომ იგი არ ენახათ სამძიმარზე მისულებს. ვნახოთ, ახლა რამდენად შეესაბამება ვარსქენის მოქმედება მის განზრახვას. რა რწმენისა იქნებოდნენ ვარსქენის სტუმრები? მარზპანი, უფრო მოსალოდნელია, რომ სპარსელი ყოფილიყო და, მაშასადამე, მაზდეანი. ამ შემთხვევაში ვარსქენს რატომ უნდა დაემალა მისთვის შუშანიკი? განა მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ქვეყნის სპარსელ გამგებელს ენახა როგორ ებრძოდა თავის ქრისტიან ცოლს გამაზდეანებული ვარსქენი? ეს სომ ვარსქენის მხრივ ირანის მეფისთვის მიცემული პირობის შესრულება იქნებოდა, სხვა რომ არა იყოს რა. გაიხსენოთ ისიც, რომ შემდგომში ვარსქენი სანდო კაცების პირით საგანგებოდ ატყობინებდა შაჰს შუშანიკის ტანჯვის ამბავს. მარზპანზე მეტად სანდო ვილა იქნებოდა? დაგუშვათ, რომ მარზპანი იყო არა სპარსელი, არამედ ადგილობრივი დიდებული და ისიც ქრისტიანი. მაინც, ის, როგორც მარზპანი, ალბათ, შაჰის ერთგული იქნებოდა და ვარსქენს მოსარიდებელი მასთან არც ექნებოდა. „დიდ-დიდნი ზნაურნი“, ალბათ, ქართველები იქნებოდნენ. ყველა თუ არა, უმეტესობა მათში ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სამძიმარზე მისულ ქრისტიანებს სომ რადაც ქრისტიანული წესი უნდა შეესრულებინათ დაღუპულის მოსახსენებლად. ამისთვის კი მათ, შესაძლებელია, ეკლესიაში წასვლაც დასჭირვებოდათ, სადაც შუშანიკი იყო გადაყვანილი. ეკლესიაში მსახურება მით უფრო მოსალოდნელია, რომ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ვარსქენმა

მახდებლობა მხოლოდ გარეგნულად მიიღო და ასეთი გაჭირ-
ვების დროს იგი რაღაცა ფორმით ქრისტიანულადაც აუგებ-
და წესს თავის შვილს. თვით ამ რედაქციის თანახმადაც ამ
დროს ვარსქენის შვილები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ.
თუ წესის აგება სასახლეში მოხდებოდა, უეჭველია, თვალში-
საცემი იქნებოდა დაღუპულის დედის არყოფნა, ხოლო თუ
წესის აგება ეკლესიაში იქნებოდა შუშანიკი სომ იქ იყო!

2. სომხური რედაქციის თანახმად ეკლესიაში გადაგზავ-
ნამდე შუშანიკი საკუთრივ სასახლის შენობაში კი არ იყო,
არამედ რომელიღაც პატარა სახლაკში: სასახლიდან პირვე-
ლად წასული შუშანიკი რომ ვარსქენის მიგზავნილმა დეპუ-
ტაციამ უკან დააბრუნა, „...შე-რა-ვიდა იგი ტაძარსა მას,
არა ერჩდა შესლევად სენაკსა თუსსა, არამედ სახლაკსა ერთსა
(*ქ თხკას ძჩიომ*) შეაყენა თავი თუსი“ (V. 72—74). ჩანს,
შუშანიკი პრიტესტის ნიშნად თავის ოთახში კი არ შევიდა,
არამედ ცალკე მდგომ სახლაკში (სასახლეს, ალბათ, მთავარი
შენობის გარდა არაერთი სხვა უფრო მომცრო შენობაც ექნე-
ბოდა, თუნდაც სამეურნეო დანიშნულებისა).¹ შუშანიკის ცე-

¹ იაკობიც გვიამბობს, რომ დაბრუნებული შუშანიკი „რავამს შევიდა
იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თუსსა გალიასა, არამედ სენაკსა შინა
მცირესა“ (V. 29—31). თავის დროზე ი. აბულაძემ სპეციალურად მიაქცია
ყურადღება „გალიას“. „წამების“ გამოცემისთვის დართულ ლექსიკონში
მას მოტანილი აქვს ამ სიტყვის განმარტებები: „გალია კაცთა საჯდომი“
(საბა); „გალიკი — სადედოფლო სახლი საწოლი“ (საბას ჩამმატებელი);
„პორფირ გარდაგებული ადგილი, საწოლი“ (ანტონ I); „პალატი სადე-
დოფლო“ (იოანე ბატონიშვილი). თავის მხრივ ი. აბულაძე უმა-
ტებს: „გეგონია, რომ გალიაკის ნაცვლად დედანში „გაეალაკი“ ან
„გაფალაკი“ (= ფჰლ. *gāhvārak, gāsvārak, gavārak; გაწათორაკი)
იქნებოდა, რაც დიდებულთა საჯდომს ან საწოლს ნიშნავს“ (აბულაძე, შუ-
შანიკი, 92). მაშასადამე, შუშანიკი თავის (სადედოფლო) ადგილას კი არ
დამჯდარა, არამედ რომელიღაც პატარა სენაკში. „სენაკის“ მნიშვნელობა
ოთახი, მცირე სახლაკი. ვფიქრობთ, აქ „სენაკი“ კონტექსტით უფრო ოთახს
უნდა ნიშნავდეს. თუ არა და იაკობის წინადადება მთლად გამართული არ
გამოდის: „როდესაც შევიდა სასახლეში, დაჯდა პატარა სახლში“. „სენაკი“
რომ იაკობთან ოთახს უნდა გულისხმობდეს, ჩანს იქიდანაც, რომ იაკობი
პატარა სახლის მნიშვნელობით „სახლაკს“ სმარობს: „... სახლაკი ერთი
მცირე პოვა მასლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა...“ (II. 26—27).
მეორეგან: „და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოით

მის შემდეგ ვარსქენს უბრძანებია მისი მითრევა „სახიდ თჳსა“ (V. 48). ცხადია, აქ სწორედ ეს სასლაკი იგულისხმება. როგორც ვიცით, ვარსქენმა შუშანიკს მცველებიც დააყენა და უბრძანა არავინ შეეშვათ მასთან, არც კაცი და არც ქალი (VII. 4–6).

სომხური რედაქციით ვარსქენმა ბრძანა, „რამთა (შუშანიკი, ნ. ჯ.) აღდგეს და მოვიდეს საპყრობილით ტაძრად ეპისკოპოსისა, რომელი იყო მახლობელად ეკლესიისა მის, და დადგეს სახლსა ერთსა მცველებითურთ“ (VII. 71–75). ეს ბრძანება შუშანიკს სიხარულით შეუსრულებია. ასალ აღგილზე გადასული შუშანიკი „თავსა თჳსსა მოწესისა სამოსითა და განკარგებითა ა ჩ უ ე ნ ე ბ და, უფრომდა გულს მოდგინებითა, მარსვითა და ლოცვითა, მღვძარებითა და ცრემლითა და ყოვლითა განათლებულითა წესითა ი ხ ი ლ ვ ე ბ ო და, ვ ი დ რ ე განცუფრება მდე ყოველთა ხილვითა ნეტარისა დედაკაცისა მის ახოვნებისათა...“ (VII. 80–82). როგორც ვხედავთ, შუშანიკს მოწესის სამოსი ჩაუცვამს, ამ სამოსით ე ჩ ვ ე ნ ე ბ ო და ს ხ ვ ე ბ ს და ყველას ანცვიფრებდა თავისი ქცევით. ეს „ყველა“, ალბათ, ეკლესიაში მოსიარულე მლოცველებია. ასლა ბუნებრივად ისმის კითხვა, რა მოიგო ვარსქენმა შუშანიკის ეკლესიაში გადაყვანით? სად უფრო იზოლირებული იქნებოდა შუშანიკი, სასახლის არემარეზე ცალკე მდგარ სახლში ჩაკეტილი, სადაც მხოლოდ ვარსქენის ხალხი ტრიალებდა და მცველებით გარშემორტყმული, თუ ეკლესიის ეზოში, სადაც, ალბათ, უამრავი მლოცველი ირეოდა და მას, თურმე, „ყველა“ ხედავდა? ცხადია, შუშანიკის ეკლესიაში გადაყვანა სრულიად გაუმართლე-

კერპო...“ (IV. 23–24). ესეცაა: თუ „ხენაკს“ იაკობთან გავიგებთ როგორც პატარა სახლს, გამოვა, რომ იაკობს ოთახის აღმნიშვნელი სიტყვა საერთოდ არ უხმარია თავის თხზულებაში, თუმცა კი მასში მოქმედება ისე ვითარდება, რომ ეს სიტყვა მას უნდა დასჭირებოდა.

ამრიგად, იაკობის „წამების“ თანახმად, შუშანიკი სადედოფლო ოთახში კი არ დამჯდარა, არამედ რომელიღაც სხვა პატარა ოთახში. ეს სომხური რედაქციითაა, რომ იგი ცალკე სახლში შედის. სომხური „სახლაკი“ იაკობის ხენაკის მეორე, ამ შემთხვევაში მიუღებელი, მნიშვნელობიდან უნდა მომდინარეობდეს.

ბელი შეცდომა ყოფილა ვარსკენისა. მაგრამ რედაქტორს შუშანიკი სხვაგან რომ გაეგზავნა, უთუოდ გაჭირდებოდა ეპიზოდის გადაბმა მომდევნო თხრობასთან, რადგან შუშანიკი ვარსკენმა სწორედ ეკლესიიდან წამოათრია.

როგორც ვხედავთ, შუშანიკის სასახლიდან ეკლესიაში გადაყვანის მიზანშეწონილობა მეტად საეჭვოდ გამოიყურება.

3. სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, „მიავლინა პატიასშმან მან ნეტარისა მის დედოფლისა თა [ვინმე] ხვეწნისა სიტყუთა, რამთა მოიქცეს ესევეითართა ნებათაგან და დაემორჩილოს ნებათა მისთა და აღუთქუა ნიჭი და უმეტესი სიმდიდრე და პატივი. უფრომს პირველისა“ (VII. 114—120). ტექსტით სრულიად დაუსაბუთებელია, თუ რატომ მოუხდა ვარსკენს ხვეწნა და შეპირებები შუშანიკის თავის ნებისთვის დასამორჩილებლად. შუშანიკის წაყვანა ხომ თვით მისი ბრძანებით მომხდარა, შუშანიკსაც სიხარულით აუსრულებია ეს ბრძანება. არსაიდან არა ჩანს, რომ ამ შემთხვევაში შუშანიკი უძალიანდება ვარსკენს. სხვა საქმეა ქართული რედაქცია. იქ შუშანიკი თვითნებურად მიდის სასახლიდან თუმცა მცველითაა ცალკე ოთახში ჩაკეტილი და, ამდენად, ბუნებრივია, იგულისხმება, უარს ამბობს უკან დაბრუნებაზე.

4. ეკლესიიდან შუშანიკს ვარსკენისთვის გაუგზავნია თავისი სამკაული. როგორც უკვე აღნიშნული იყო ანტონისეული რედაქციის განხილვისას, ჩანს, აქ პიტიახშების საოჯახო ძვირფასეულობა და, შესაძლებელია, ინსიგნიებიც უნდა იგულისხმებოდეს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ძვირფასეულობა ნაცემ შუშანიკს ჯერ ცალკე სახლაკში წაუღია, შემდეგ კი ეკლესიაში, რაც, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ გამოიყურება. ეს მით უმეტეს საეჭვოა, რომ ძვირფასეულობასთან ერთად სომხური რედაქციით შუშანიკი ვარსკენს „ჭურჭერსაც“ უგზავნის (VIII. 1).

იაკობის მიერ მოთხრობილი სამკაულის დაბრუნების ამბავი კი სავსებით ბუნებრივადაა წარმოდგენილი. შუშანიკი სასახლეშია და, ცხადია, სამკაულიც იქვეა, იმავე ოთახში, თუ სადმე გვერდით, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

5. ჩანართში ნათქვამია, რომ შუშანიკს ეკლესიიდან ვარსკენისთვის გაუგზავნია თავისი „საპატიო სამოსელი“-ც (VII. 124—125). ერთი შესედეით, ეს სავსებით გასაგებია: ეკლესიაში შუშანიკმა ჩაიცვა მოწესის ტანისამოსი და შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მან ვარსკენს გაუგზავნა ის, რაც მანამდე ეცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მივიღოთ, რომ მას თან თავისი გარდერობი წაუღია. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ შემდგომში, ციხეში, მას ანტიოქიის პალეკარტი ეცვა. ეს როგორღა მოხდა? გამოდის, რომ ეკლესიაში შუშანიკმა გაიხადა თავისი სადედოფლო სამოსი, დემონსტრაციულად გაგზავნა იგი სასახლეში, მის მაგივრად მოწესის ტანისამოსი ჩაიცვა, შემდეგ კი ისევ თავის ძვირფას სამოსში გამოეწყო? იაკობს ასეთი დაუდევრობა არ მოხდის. იაკობის მიხედვით, შუშანიკს ბოლომდე გარედან სადედოფლო სამოსი ეცვა, შიგნიდან კი ძაძა უტარებია.

სომხურ რედაქციაში ანტიოქიის პალეკარტი ციხეში მყოფ შუშანიკზე, როგორც ჩანს, იაკობის ტექსტის გავლენით მოხედა. მაგრამ რედაქტორს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ის, რაც მას მოთხრობილი ჰქონდა ჩანართ ეპიზოდში.

ეს, ალბათ, ერთი იმ ნიშანთაგანია, რომელიც გვიჩვენებს სომხური რედაქციის მომდინარეობას ქართული-საგან.

განხილულ ეპიზოდში, უეჭველია, ერთი მხრივ ჟღერს მოტივი მტარვალისათვის ღმრთისაგან სასჯელის მიგებისა (შვილის დაღუპვა), მეორე მხრივ ეპიზოდი მოხერხებულად არის გამოყენებული იმისათვის, რომ დაფაროს შუშანიკის ურჩობა (პატიმრობიდან თვითნებურად წასვლა ეკლესიაში), რათა კიდევ უფრო უარყოფითად დახატოს ვარსკენის ქცევა შუშანიკის ეკლესიიდან წამოყვანის ეპიზოდში. ალბათ, ეს მომენტებიც ლაპარაკობენ იმაზე, რომ განხილული ეპიზოდი გვიანდელი ჩანართია. მაინც უნდა ითქვას, რომ რა დროსაც არ უნდა იყოს იგი, მასში არის ზოგი მეტად საინტერესო რეალია, რომლითაც საერთოდ შედარებით უფრო მწირია სომხური რედაქცია. კერძოდ, ძალზედ საინტერესოა, რომ ვარ-

სქენთან „ნუგეშინის ცემად“ და „დაკსნად გლოვისა“ მიდიან მარშპანი¹ და დიდ-დიდნი აზნაურნი.

ქართულ-სომხური რედაქციების შედარებიდან ირკვევა, რომ ქართულ რედაქციას ბევრად უფრო მეტი და, ამასთან, უსუსტი ცნობები აქვს მოქმედების ადგილსა, დროსა და ვითარებაზე.

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ქართულ რედაქციას აქვს უფრო ნიშანდობლივი გეოგრაფიული ცნობები. აქ მთავარი ის კი არაა, რომ ქართულ რედაქციაში მეტი გეოგრაფიული დასახელებაა (ქართლი, ჰერეთი, ცურტავეი, ჩორი, ურდი, ანტიოქია), ვიდრე სომხურში (ქართლი, ჭორი, მტკვარი, ანტიოქია),² ამ თვალსაზრისით ქართულის უპირატესობა დიდი არაა. მთავარი ისაა, რომ ქართული რედაქცია იძლევა უფრო მნიშვნელოვანსა და გარკვეულ ცნობებს.

იაკობის „წამების“ მიხედვით, ირანიდან წამოსულმა ვარსქენმა „ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა... წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონამ თჳსი, ვითარ[მ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვან ცურტავ“ (II. 1-6). ამ ადგილიდან ჩანს, რომ ქართლის ერთ-ერთი მხარეა ჰერეთი და რომ ჰერეთი ქართლის განაპირა მხარეა. რადგან ვარსქენი ირანიდან, ე. ი. სამხრეთიდან მოდის, საფიქრებელია, რომ ჰერეთი ქართლის სამხრეთი, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეა. ირკვევა, აგრეთვე, რომ ვარსქენს დესპანი გამოუგზავნია ქართლის იმ სასაზღვრო პუნქტიდან, რომელიც ამავე დროს ჰერეთის სასაზღვრო პუნქტიც ყოფილა. დაბოლოს, ირკვევა, ისიც, რომ პიტიახშის საჯდომი ყოფილა დაბა, რომელსაც რქმევიცა ცურტავეი. სწორედ ამ ადგილიდან გებულობს მკითხველი, რომ შემდგომში აღწერილი მთელი ამბები ხდება ცურტავეში. სომხურ რედაქციაში მოკლედ არის ნათქვამი: „იქცა სოფლად თჳსა და წარმოჰმართა წინამსწარ დიასპანი [ვინმე]“ (II. 2-3). საიდან სად

¹ როგორც ჩანს, მეფობის გაუქმებამდე ქართლში ირანელებს აქ მარშპანი მუდმივად არა აყოლიათ, ნიშნავდნენ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს რაიმე ცნობა იმის შესახებ, იყო თუ არა V ს-ის 60-70-იან წლებში მარშპანი ქართლში და ამიტომ არ შეგვიძლია ამ მხრივ აღნიშნული ცნობის შემოწმება.

გამოგზავნა ვარსკენმა დესპანი არა ჩანს. ცურტავი საერთოდ არაა ნახსენები სომხურ რედაქციაში, ამიტომ მკითხველმა არც კი იცის, სად ხდება მოქმედება. მოთხრობიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ამბავი ხდება ქართლში; თვით ვარსკენის მოსვლაც ასეა გადმოცემული: „მაშინ მოვიდა პიტიახში იგი უვარის მყოფელი სოფელსა მას ქართლისასა, სახლსა თუსსა“ (IV. 1—3). ქართლში კი მოვიდა თავის სახლში, მაგრამ სასელდობრ, სად?

(არაა სომხურ რედაქციაში დასახელებული ჰერეთიც. ქართულში კი იგი მეორედაც იხსენიება: ჩორს წახულ ვარსკენს ჯოჯიკი გაეკიდა და „მიეწია მას საზღვართა ჰერეთისათა“ (X. 19—20). ამ ადგილიდან ვრწმუნდებით, რომ ჰერეთი ქართლის აღმოსავლეთითაც ყოფილა (ჩორი დარუბანდია).

(ქართულ რედაქციაში არის ცნობა, რომ ვარსკენის დედა დასაფლავებული ყოფილა ურდში. ეს ცნობა სომხურ რედაქციაში არაა, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ურდზე ლაპარაკია იმ ეპიზოდში, რომელიც საერთოდ არაა სომხურ რედაქციაში (ვარსკენის ძუძუსმტეხ მისვლა შუშანიკთან).

[ქართულისგან განსხვავებით სომხურ რედაქციაში დასახელებულია მდინარე მტკვარი: „მათ უამთა ოდენ მოიწია შიში სადამთმე და შვილნი მისნი წარიყვანნეს ციხესა სადამე. მიჰყვანდეს რამ წიად მტკუარისა მდინარისა...“ (VII. 53—56). რადგან უცნობია სად ხდება მოქმედება, საიდან „მოიწია შიში“, სად წაიყვანეს ბავშვები, გაურკვეველი ხდება ისიც, მტკვრის რომელ ნაპირიდან რომელზე გადაჰყავდათ ისინი. როგორც უკვე იყო აღნიშნული, პ. პეტერს მიაჩნდა, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთზე. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც. (ქართული რედაქცია ყოველთვის უფრო ზუსტად უთითებს, სად ხდება მოქმედება. როდესაც ვარსკენის დესპანი მივიდა შუშანიკთან, იაკობის „წამების“ თანახმად, აფოცი, და მასთან ერთად იაკობიც, „არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რამსმე სიტყუსა“ (III. 2—3). სომხური რედაქცია მოკლედ ამბობს, „არა მუნ იყო“-ო (III. 2—3). იაკობი გადმოგვცემს, რომ ნაცეში შუშანიკის ნახვის შემდეგ ვარსკენი სანადიროდ წახულა (VII. 5—6). სომხური კი გაურკვეველად ამბობს, რაღაც საქვეყ-

ნო საქმეზე წავიდა) („პიტიახში იგი საქმესა მის სოფლისასა განეწესა“, VII. 17—18).

იაკობის ტექსტის მიხედვით, შუშანიკის წამების დაწყებიდან ვარსკენი ორჯერ გამგზავრებულა ცურტავიდან. როგორც ვიცით, დიდმარსეა რომ დაიწყო, შუშანიკი სასახლიდან ეკლესიაში წავიდა. თავისი „საკუთარის“ რჩევით ვარსკენს არაფერი უთქვამს მისთვის, მაგრამ, როდესაც „მოიწია აღდგებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაისა“... (III. 7—8). მამასადამე, პირველად ვარსკენი წასულა ჰონებთან საბრძოლველად დიდმარსეის დასაწყისში და მობრუნებულა აღდგომისთვის. აღდგომის მეორე დღეს მან წამოათრია ეკლესიიდან შუშანიკი და ციხეში მოათავსა. მესამე კვირას მან თურმე მოიკითხა შუშანიკი, კიდევ ცოცხალიაო? ამის შემდეგ, ე. ი. აღდგომიდან რამდენიმე კვირის გასულს ვარსკენი ისევ წასულა ჩორს.

(სომხურ რედაქციაში ვარსკენის წასვლა ჰუნებთან საომრად საერთოდ არაა აღნიშნული. წასვლაზეც მხოლოდ ერთხელაა ლაპარაკი. შუშანიკის ციხეში ჩასმის შემდეგ ამ რედაქციის თანახმად ის წასულა, როგორც იტყვიან, „გაურკვეველი მიმართულებით“: „წარვიდა მიერ სოფლით“-ო (IX. 62). მხოლოდ შემდეგ არის ნათქვამი „ხოლო პიტიახში იგი წარემართა მხარეთა მათ ჭორისათა“-ო (X. 67—68). ვარსკენის წასვლაზე პირველი ფრაზა („წარვიდა მიერ სოფლით“), ვფიქრობთ, ქართული რედაქციის ჰონებთან საომრად წასვლის გამოძახილია. ვარსკენის უკან დაბრუნებაზე (სხვათა შორის, ქართულში ვარსკენის დაბრუნებაზე არაფერია ნათქვამი) ისევ გაურკვეველადაა: „შემდგომად ოთხისა წლისა მოიქცა შორიელითა გზითაგან“-ო (XII. 2—4).

სრულიად განსაკუთრებული ვითარებაა ციხის, მისი ჰაეისა და შემოგარენის მაცხოვრებელთა აღწერილობისას. იაკობმა იცის, რომ ციხე ცურტავს საკმაოდ დაშორებულია. მისი სიტყვით ციხეში მიმავალ შუშანიკს ვარსკენი ცხენზე ამხედრებული მიჰყვება; ციხე რომ ცურტავს დაშორებულია, ამაზე ლაპარაკობს ისიც, რომ იაკობი სპეციალურად აღწერს მის ჰაეას, რომელიც, როგორც ჩანს, განსხვავებულია ცურტავის ჰაეისაგან. იაკობმა იცის, რომ ციხეს აქვს ხიდი („ვითარცა

მიიწინეს კიდეს მას ციხისასა“-ო, IX. 19—20). იაკობი ნიშან-დობლივ ლაპარაკობს, რომ უშუალოდ მოუთავსებიათ ციხის ჩრდილოეთ მხარეს არსებულ პატარა ბნელ სახლში. მრავალჯერ არის ციტირებული ჩვენს ლიტერატურაში ამ ციხის მძიმე ჰაერის აღწერილობა: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მკურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მანებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსიეებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჰწარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა“ (XIV. 21—27). პირდაპირ გასაოცარი ადგილია ცნობათა სიმდიდრით. როგორც იაკობის აღწერიდან ჩანს, განსაკუთრებით მძიმე ყოფილა ამ ციხეში ზაფხულობით, რადგან დიდი სიცხეები და ცხელი ქარები სცოდნია. სასმელი წყალი არ ვარგოდა, ჩანს, საერთოდ წყლის ნაკლებობა ყოფილა. იაკობის სიტყვით, იქაური მკვიდრნი დაავადებულნი ყოფილან მუნითა და სახის ავადმყოფობით. ჩანს, იაკობი გულისხმობს, რომ ეს წყლის ნაკლებობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. გარდა ამისა, იაკობის სიტყვით, ციხის მკვიდრებს სახე და სხეული დასიებული. ჰქონდათ, სახე დაყვითლებული, დაწერტილი და დამჰწკნარი. ბევრი მათგანი საერთოდ დაავადებული ყოფილა და, ბუნებრივია, ადრე იხოცებოდნენ კიდევაც. „მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა“-ო.

ეს აღწერილობა ისეთი უშუალობითაა გაკეთებული, რომ აშკარაა, აღმწერელს ყველაფერი თავისი თვალითა აქვს ნანახი. ამასთან, სრული შთაბეჭდილება იმისა, რომ აღმწერელი თავის თანამედროვე ამბავს გადმოგვცემს (ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა“).

(ეს აღწერილობა სომხურ რედაქციაში არაა.)

ასეთივე ვითარებას გვიჩვენებს იმ ქრონოლოგიური ცნობების განხილვა, რომლებიც დატულია „წამების“ რედაქციებში.

ქართულ რედაქციაში მოცემულია ყველა ძირითადი თარიღი: 1. ეარსქენის ირანში წასვლისა და, მამასადაძმე მისი გამაზღვანებისა, ე. ი. იმ მომენტისაც, როდესაც თხრობა

იწყება. აღნიშნული ყოფილა ირანის რომელიღაც მეფის (როგორც ვიცით, სახელი არ შემონახულა) ზეობის მერვე წელი (1. 6). 2. შუშანიკის პირველი წამებისა. საინტერესოა, რომ დასახელებულია რიცხვიც, თვეცა და კვირის დღეც კი (რვა აპნისი, ოთხშაბათი. XX. 1—2). 3. დასახელებულია შუშანიკის მეორედ წამების დღე (იმავე წლის აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, VIII. 7; XX. 2—3). 4. შუშანიკის მესამედ წამების რიცხვი და თვე (ცხრამეტი ვარდობისთვე. XX. 3—4). 5. შუშანიკის გარდაცვალების დღე და თვე (ჩვიდმეტი ოქტომბერი. XX. 4—5). 6. აღნიშნულია რა დღეს დაუწესებიათ შუშანიკის მოსახსენებელი (ხუთშაბათი. XX. 6—7). 7. ნათქვამია, რომ შუშანიკმა ციხეში გაატარა ექვსი წელი (X. 25). ამ თარიღებიდან სომხურ რედაქციაში, როგორც თავის დროზე შენიშნა ი. აბულაძემ (აბულაძე, შუშანიკი, 036), აღნიშნულია მხოლოდ შუშანიკის ციხეში ყოფნის ხანგრძლივობა (ექვსი წელი. X. 82—83) და გარდაცვალების დღე (ჩვიდმეტი ოქტომბერი. XX. 3—4). ეარსქენის ირანში წასვლის დრო განსაზღვრულია ძალზე ზოგადად: „იყო უამსა მეფობისა სპარსთამსასა“-ო (1. 6—7), რაც იმის შედეგია, რომ, როგორც შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა, თარგმანის გაკეთების დროს ქართულ რედაქციაში, ჩანს, თვით სახელი სპარსთა მეფისა უკვე დაკარგული იყო (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 51).

(განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ქართულ რედაქციაში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია შუშანიკის მოსახსენებელი დღე — ხუთშაბათი და გარდაცვალების დღე — 17 ოქტომბერი. კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ხსენების დაწესება კვირის დღეზე უძველესი პრაქტიკაა, რომელიც არსებობდა სწორედ შუშანიკის წამების ეპოქაში. შემდგომ ხსენების დღე წესდებოდა გარკვეული თვის გარკვეულ რიცხვზე (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 121). შუშანიკის ხსენებაც შემდგომში გადატანილ იქნა მისი გარდაცვალების დღეზე — 17 ოქტომბერზე. სომხურ რედაქციაში მოხსენებულია შუშანიკის გარდაცვალების დღე (17 ოქტომბერი), ნათქვამია, რომ მისი ხსენება დაწესებულ იქნა, მაგრამ არაა ნათქვამი რომელ დღეზე იქნა დაწესებული.) რატომ? ალბათ, იმატომ, რომ შუშანიკის ხსენების დღედ იგულისხმება მისი გარდაცვალების დღე,

რაც, როგორც ითქვა, გვიანდელი ამბავია. მაშასადამე, სომ-
სურ რედაქციაში ეს ცნობა იმ დროისაა, როდესაც შუშანიკის
სსენება უკვე გადატანილია 17 ოქტომბერზე. X

საინტერესოა, რომ ცნობა შუშანიკის სსენების დადგენაზე
სუთშაბათს, ისევე როგორც მისი წამების დღეების აღნიშვნა
გამოტოვებული აქვს ანტონ კათალიკოსსაც და, ალბათ, იმავე
მიზეზით.

ვარდა ამ ძირითადი თარიღებისა (ორივე რედაქცია იძლე-
ვა ცნობებს იმაზე, თუ როდის მოხდა ზოგიერთი ამბავი) ქარ-
თული რედაქცია: 1. ვარსკენს დესპანი გაუგზავნია, როდესაც
მიუღწევია ქართლის საზღვრისთვის (II. 1—2). 2. სასახლიდან
წასული შუშანიკი სახლაკში შესულა მწუხრის ჟამის აღსრუ-
ლების შემდეგ (II. 26—37). 3. ვარსკენი ცურტავში ჩასულა
დესპანის მისვლის სამი დღის შემდეგ¹. 4. ჩასვლიდან მეორე
დღეს ვარსკენს დაუბარებია თავისთან სამღვდელოება (IV.
12). 5. შუშანიკის სასახლეში დაბრუნების ორი დღის შემდეგ
გამართულა ცნობილი პურის ჭამა (VI. 1—5). 6. მეორე დილას
განთიადზე ვარსკენს უნახავს შუშანიკი, შემდეგ კი სანადი-
როდ წასულა (VII. 1—6). 7. დიდმარხვის დაწყებისას შუშანი-
კი მეორედ წავიდა სასახლიდან (VIII. 1—3). ჩანს, მალე ამის
შემდეგ ჰონებზე საომრად წასულა ვარსკენიც. 8. შუშანიკის
ციხეში ჩასმის (ე. ი. აღდგომის მომდევნო ორშაბათის) შესამე-
კვირა დღეს ვარსკენს მოუკითხავს შუშანიკი (X. 1—3). 9. ვარ-
სკენის ძუძუსმტეს შუშანიკთან ლაპარაკის მეორე დღეს ვი-
დაცა მნახველი შუშანიკს უქებს ძუძუსმტესთვის გაცემულ
პასუხს (XIII. 22). 10. შუშანიკი დაავადდა ციხეში ყოფნის

¹ და არა ქართლის საზღვრიდან წამოსვლის სამი დღის შემდეგ, რო-
გორც მიაჩნდა იე. ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 51).
ფეიქრობთ, ასეთ გაგებას იძლევა კონტექსტი. მართალია, იაკობს აღნიშ-
ნული აქვს, რომ ვარსკენმა დესპანი მაშინ გამოგზავნა, როდესაც ქართლის
საზღვარს მოადგა, მაგრამ შემდეგ სხვა ამბების აღწერას იძლევა. კერძოდ,
დესპანი რომ ჩამოვიდა, მან ნახა შუშანიკი. ჩანს, იმავე დღეს შუშანიკი წა-
ვიდა სასახლიდან და იმავე დღეს ესაუბრა მას იაკობიც. ამ საუბრის დროს
შუშანიკთან შემოდის სპარსი. სწორედ ამის შემდეგ ამბობს იაკობი „შემ-
დგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსკენ პიტიახში“-ო (IV. 8). ფსიქოლო-
გიურადაც, საფიქრებელია, უფრო მოსალოდნელია, იაკობი დროს იმ ამ-
ბებიდან აღრიცხავდეს, რომლებიც მის თვალწინ ხდებოდა.

მეექვსე წლის დასასრულს (XIV. 1—3). 11. პატიმრობის მე-
შვიდე წლის დასაწყისში შუშანიკს დაუწყებულდა სხეული და
დაუსივდა ფესები (XV. 1—3).

ენახოთ, ახლა რა ცნობებია სომხურ რედაქციაში: 1. სა-
სასლიდან ეკლესიაში წასული შუშანიკი ლოცულობდა განთი-
ადიდან მწუსრამდე (II. 73—76). 2. მწუსრის ჟამის აღსრულე-
ბის შემდეგ შუშანიკი შევიდა ერთ სახლში (II. 76—81). 3. სამი
დღის შიმშილობის შემდეგ შუშანიკმა ჭამა იაკობისა და სხვა-
თა თხოვნით (III. 6—8; 25—30). 4. სამ დღეს დარჩა შუშანიკი
სახლაკში სხასხლეში დაბრუნების შემდეგ (V. 131—132). ამ
მესამე დღეს მოხდა პურის ჭამა (VI. 1). 5. მეორე დღეს გან-
თიადისას ვარსქენმა მოინახულა შუშანიკი (VII. 1). 6. ცემი-
დან რამდენიმე დღის შემდეგ შუშანიკი ცოტათი მოძოვდებოდა
(VII. 48—50). 7. შუშანიკის ციხეში ჩასმის სამი დღის შემდეგ
ის ნახა იაკობმა (X. 1—4). 8. ვარსქენი სამშობლოში დაბრუნ-
და ოთხი წლის შემდეგ (XII. 2—4). 9. შუშანიკს ერთი წელი
ებრძოდა გრძნეული დედაკაცი (XIII. 9—10). 10. ვარსქენი
ექვსი წელი სტანჯავდა შუშანიკს ციხეში (XIV. 4—13).
11. შუშანიკი დასწულდა ციხეში ყოფნის მეშვიდე წლის
დადგომისას (XV. 1—6).

ამჯერად ორივე რედაქციის ცნობები დაახლოებით თანა-
ბარია. მაგრამ უნდა ითქვას შემდეგით: იაკობის ცნობები არა-
ერთარ ეჭვს არ იწვევენ, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად.
რეალურად, შესაძლებელია, ისინი ყოველთვის არ შეესაბამე-
ბოდნენ სინამდვილეს. სომხური რედაქციის ზოგიერთი ცნო-
ბა კი თავისთავადაც კბადებს გარკვეულ ეჭვებს.

შუშანიკმა ილოცა განთიადიდან მწუსრამდეო, მაგრამ საქ-
მის ვითარება ასეთია: ვარსქენის გაგზავნილი დესპანი ჩავა
ცურტავში, ეახლება შუშანიკს და უამბობს მას ვარსქენის
განდგომის ამბავს. შუშანიკი დაიწყებს ტირილსა და გოდებას.
სოლო „შემდგომად მრავალთა გოდებათა და სულთქუმათა
აღდგა და შევიდა ეკლესიად და თანა მიიყვანნა შეილნი თჳსნი“
(II. 20—23) და იქ ილოცა „განთიადითგან მწუსრამდე“ (II.
75—76). როდისღა შევიდა დესპანი შუშანიკთან, ნაშუაღამევს?
საეჭვოა. ვარსქენმა დესპანი ხალხის დასამშვიდებლად გაგ-
ზავნა და არა ასაფორიაქებლად.

ხელოვნურად გამოიყურება სამჯერ სამი დღის სხენება: სამ დღეს იშიმშილა სასასლიდან წასულმა შუშანიკმა სასლაკში; სამ დღეს დარჩა სასასლეში დაბრუნების შემდეგ შუშანიკი მეორე სახლაკში; სამი დღის შემდეგ ნახა იაკობმა შუშანიკი უკანასკნელის ციხეში მოთავსების შემდეგ. თანაც საინტერესოა, რომ ეს სამივე აღნიშვნა საფუძველს პოვებს ქართულ რედაქციაში: იაკობის „წამების“ მიხედვით შუშანიკმა შიმშილობა დაიწყო, როგორც ჩანს, დესპანისგან ვარსქენის განდგომა რომ გაიგო, თვით ვარსქენი კი სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა. სომხური რედაქციის პირველი სამდღიური უნდა მომდინარეობდეს იაკობის ამ ცნობიდან. შუშანიკი სასასლეში დაბრუნებულა ვარსქენის ჩამოსვლის მეორე დღეს. იაკობის სიტყვით, შუშანიკის სასასლეში დაბრუნების ორი დღის შემდეგ ვარსქენს გადაუწყვეტია ერთად პურის ჭამა. ალბათ, ამ ცნობიდან მომდინარეობს სომხური რედაქციის მეორე სამდღიური. დაბოლოს, იაკობის ცნობით, შუშანიკის ციხეში ჩასმის მესამე კვირას ვარსქენმა იკითხა მისი ამბავი და ამის შემდეგ ნახა იაკობმა თავისი სულიერი შვილი. აქ რედაქტორს სამი კვირა, ჩანს, სამ დღეში შეეშალა, ან, შესაძლებელია, სამი კვირა მას მეტიხმეტად დიდ დროდ მოეჩვენა შუშანიკის იაკობის მიერ უნახაობისთვის.

როგორც ითქვა, რამდენადმე საეჭვოდ გამოიყურება ის, რომ ვარსქენი ოთხი წლის განმავლობაში იყო ჭორის მხარეში და თავისთავად საეჭვოა გრძნეული დედაკაცის ერთწლიანი ბრძოლა შუშანიკთან.

როგორც ვხედავთ, ქრონოლოგიური მონაცემებითაც იაკობი ბევრად უფრო მდიდარიცაა, ზუსტიცა და ძველიც.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იაკობს ბევრად უფრო მეტი ცნობები აქვს მოქმედების ვითარებაზე, გადმოგვცემს მრავალ დეტალს, რომლებიც მკითხველის წინაშე პირდაპირ აცოცხლებენ სურათს. აქვს მას მრავალი ისტორიული, ყოფითი თუ სხვა სახის რეალიები. განვიხილოთ ამისი მაგალითები.

უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ქართლის საზღვრებს მონახლობულმა ვარსქენმა წინ დესპანი გამოგზავნა. ვნახეთ ისიც, თუ რაოდენ საინტერესო გეოგრაფიული ცნობებია ამ ეპიზოდში. მაგრამ აქ სხვა, მეტად მნიშვნელოვანი, ცნობები-

ცაა: იაკობის სიტყვით, ვარსქენმა „ზრახვა ყო, რაითა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაითა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონად თუსი“ (II. 2—5). ეს ადგილი იძლევა მშვენიერ მასალას ქართლის სოციალური სტრუქტურის შესასწავლად. ირკვევა, რომ პიტიასშს ჰყავს თავისი აზნაურები, რომლებიც თავისი მდგომარეობით პიტიასშის შვილებზე (ყოველ შემთხვევაში, მცირეწლოვანებზე მაინც) წინა დგანან (იაკობი ჯერ აზნაურებს ასახელებს, მერე პიტიასშის შვილებს). სხვებზე წინ დგანან, აგრეთვე, პიტიასშის მსახურები. პიტიასშის აზნაურები და მსახურები, ცხადია, მის ოჯახთან ერთად, ისინი არიან ეინც საზოგადოებრივ აზრსა ჰქმნის საპიტიასშოში. მათი შეხვედრა ვარსქენს სჭირდება იმისთვის, რათა დაამტკიცოს თავისი ერთგულება, ის, რომ იგი მოღალატე არ არის. პიტიასშს ჰყოლია მონებიც. ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ დესპანი, ამ შემთხვევაში მახარობელი (დესპანმა ხომ პიტიასშის ქვეშევრდომებს უნდა მისი ჩამოსვლა ახაროს), სპეციალური სადესპანო ცხენით (ალბათ, იგულისხმება ცხენის მორთულობა) იგზავნება (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 52).

სომხურ რედაქციაში ეს უმნიშვნელოვანესი დეტალები გამოტოვებულია: „წარმოჰმართა წინაღმართ დესპანი [ეინმე] სარებად მოსლვისა თუსისა“ (II. 2—4).

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სომხურ რედაქციაში მოკლედ არის ნათქვამი, რომ, როდესაც ვარსქენის დესპანი ჩაეიდა ცურტავში და შეწუხებული შუშანიკი სასახლიდან ეკლესიაში გადავიდა, ეპისკოპოსი აფოცი „მას უამსა არა მუნ იყო, გარნა კარისა ხუცესი დედოფლისა მის კადნიერ იქმნა [და] ნუგეშინის სცემდა მოუგონებელთა მათ ძკრთათჳს“ შუშანიკსო (III. 2—6). მაშასადამე, ამ რედაქციით დესპანის ჩასვლის დროს შუშანიკის ხუცესი მასთან იყო. ქართული რედაქციის მიხედვით, კი საქმე სხვაგვარად ყოფილა: „ხოლო ეპისკოპოსი... აფოც არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რამსმე სიტყუსა და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაით და გვთხრა ჩუენ

ესე ყოველი: მოსლვამ პიტიასშისამ და საქმენი დედოფლისა-
ნი. სოლო ჩუენ აღვივსენით მწუსარებითა და დიდითა ტირი-
ლითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენტა წარმო-
ჩინებისათჳს.

სოლო მე ვიჯემენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელ-
საცა იყო ნეტარი შუშანიკ" (III. 1—10).

როგორც ვხედავთ, იაკობის ინფორმაცია მნიშვნელოვნად
უფრო სრულია და მას აქვს მეტად ნიშანდობლივი დეტალები.

საინტერესოა (და ამაზე ჩვენ ცალკე მოგვიხდება ლაპარა-
კი), რომ იაკობი უფრო ადრე წასულა შუშანიკის სანახავად,
აფოცი კი იქვე დარჩენილა. ამისი მოგონება შეუძლებელია
და არცაა საჭირო, რადგან ამ დეტალს თვით სიუჟეტის გან-
ვითარებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იგი არა-
ფრით არაა დაკავშირებული მოთხრობის სსვა ამბებთან. ეს
ნათქვამია მხოლოდ იმიტომ, რომ სინამდვილეში ასე მოხდა.
ამაზე უნდა იყოს დაფუძნებული სომხური რედაქციის ის
ცნობა, თითქოს იაკობი შუშანიკთან თავიდანვე იყო. ამ რე-
დაქციის ავტორმა იცის, რომ იაკობი უფრო ადრე იმყოფებო-
და შუშანიკთან, ვიდრე აფოცი, მაგრამ გამორჩა ის, რომ თვით
იაკობიც მოგვიანებით მივიდა მასთან.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ სომხურ რედაქციაში
არაა სამი ეპიზოდი, რომელიც გადმოგვცემს ვიღაც სპარსის
ამბავს. ეს ეპიზოდები მეტად მნიშვნელოვანია პიტიასშის სა-
სახლის ყოფის წარმოსადგენად და სასახლეში მომსდარი
ამბების გასარკვევად. მაგალითად, ერთ-ერთ გამოტოვებულ
ეპიზოდში ნათქვამია, რომ ამ სპარსმა ცურტავში ირანიდან
დაბრუნებულ ვარსკენს წინასწარ საიდუმლოდ აცნობა შუშა-
ნიკის წასვლის ამბავი და თან უთხრა, „ნურას ფიცხელსა
სიტყუას ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნება იწრო არს“-ო
(IV. 10—11). მართლაც, ჩასვლის დღეს ვარსკენს, ჩანს, არ
მოუკითხავს შუშანიკი. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც მის
შესახვედრად შეკრებილნი, ალბათ, უკვე წავიდ-წამოვიდნენ,
ვარსკენს დაუბარებია თავისთან სუცესები და შუშანიკის
ამბავი უკითხავს მათთვის.

სომხურ რედაქციაში არაა აღნიშნული ისიც, რომ ვარსკე-
ნი ცურტავში ჩავიდა დესპანის მიხვლის სამი დღის შემდეგ;

ან ის, რომ ვარსქენმა ხუცეებს დაუძახა ჩამოსვლის მეორე დღეს. აქ მოკლედია ნათქვამი: „მაშინ მოვიდა პიტიახში იგი უვარისმყოფელი სოფელსა მას ქართლისასა, სახლსა თვსსა და მოუწოდა ეპისკოპოსსა მას თვსსა და ხუცესთა მათ“ (IV. 1-5).

სომხური რედაქციის თანახმად, ვარსქენმა შუშანიკს გაუგზავნა დეპუტაცია — თავისი ძმა, ეპისკოპოსი და ხუცეები — მოთხოვნით შეესრულებინა მისი (ვარსქენის) ნება. იაკობის მიხედვით შუშანიკს დეპუტაცია ეგზავნება ორჯერ: პირველად ხუცეები, მათ რომ შუშანიკი ვერ დაითანხმეს, ვარსქენმა გაგზავნა ჯოჯიკი ცოლითურთ და აფოცი. პირველად ვარსქენი ჩივის, რომ შუშანიკმა მას შეურაცხყოფა მიაყენა და სხვაგან წავიდა. შუშანიკი ახსენებს ვარსქენს მამამისის ღვთისმოსაე საქმიანობას, უპირისპირებს მას ვარსქენის განდგომას და უარს ამბობს უარყოფელი ქმრის საქმეთა გაზიარებაზე. ამ უარით განაწყენებული ვარსქენი ახლა უკვე იმუქრება, თუ ნებით არ მოხვალ, „თრევით მოგიტრიო“-ო.

როდესაც ბოლოს და ბოლოს შუშანიკი დაითანხმეს სასახლეში დაბრუნებაზე, იაკობის სიტყვით, მას თან წაუღია „ევანგელსი თუსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“ (V. 28-29). ჩანს, ეს წიგნები მას წაუღია სასახლიდან წასვლისას, რაც სავსებით გასაგებია. სომხურ რედაქციაში ამ ადგილას წიგნებზე ლაპარაკი არაა. სამაგიეროდ, იქ ნათქვამია, რომ შუშანიკს თავისი სახარება, პაპამისის საპაკის ნაქონი, მიუტანია სერობაზე. ცხადია, იაკობისეული ვარიანტი უფრო ბუნებრივია.

შემოთ ჩვენ ვნახეთ, როგორ არსებითად გადაუმუშავებია რედაქტორს იაკობის ტექსტი სერობის ეპიზოდში. ამ გადამუშავებისას ბევრი ისეთი დეტალიც გამოჩნებოდა, რომელიც თხრობას უაღრესად რეალისტურსა ხდის. იაკობის სიტყვით, ორი დღის მერე (აღბათ, შუშანიკის სასახლეში დაბრუნების დროიდან) მოსულა ვარსქენი და თავისი მსახურები გაუფრთხილებია „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“-ო. „და, რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა“, (ჩანს, მანამდე ვარსქენი და ჯოჯიკი საუბრობ-

დნენ მომავალ სერობაზე), სოლო, „ვითარცა მოიწია უამი პურისაჲ (ეტყობა, გარკვეული დროის განმავლობაში ჯოჯიკის ცოლსაც ესაუბრებიან საქმის ვითარებაზე), შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა აჭამეს პური“ (VI. 1-7). მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ ვითარდებიან მოვლენები დროში. ჯერ ვარსქენი და ჯოჯიკი შეიყარნენ, რომ შემწუხრდა ჯოჯიკის ცოლიც შეუერთდა მათ, სოლო, როდესაც პურის ჭამის დრო მოვიდა, შუშანიკს მიაკითხეს და წამოიყვანეს. აშკარაა, იაკობი ყველაფერს ცხადად ხედავს. სომხური რედაქცია აქაც მოკლედ გადმოგვცემს: „და მესამესა დღესა ვითარცა სერად მივიდეს, წარავლინა ძმად იგი თჳსი ჯოჯიკ და ცოლი მისი რა მოუწოდონ ხერსა დედოფალსა მას“ (VI. 1-4).

სომხურ რედაქციაში არაა შუშანიკის ცნობილი ფრაზა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (VI. 11-12).

ძალიან რეალისტურად არის აღწერილი იაკობთან ვარსქენის მიერ შუშანიკის ცემა. აქაც ისეთი დეტალებია, რომელთა გამოგონება ძნელია. მაგალითად, იაკობის სიტყვით, ვარსქენმა „ადილო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა“. სოლო, როდესაც შუშანიკს ჯოჯიკი მიეშველა, ვარსქენმა „გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა“. ასტამი ცეცხლის მოსარევი რკინის იარაღია, კუბასტი — ლეჩაქი. ჩანს, ვარსქენი ურტყამდა, რაც სელში მოხვდებოდა. საინტერესოა, რომ ნაცემ შუშანიკს იაკობი ეუბნება: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს“-ო (VII. 15-16). ჩანს, ნაცარი შუშანიკს ასტამით ცემისგან ჩაეყარა თვალებში. მეტად ნიშანდობლივი დეტალია (სომხური რედაქცია ზოგადად ამბობს, რომ ვარსქენი კვერთხით სცემდა შუშანიკს. არაფერია არც ასტამზე და არც ნაცარზე). ✓

უკვე იყო აღნიშნული, რომ ქართული რედაქციის თანახმად, პურის ჭამის მეორე დღეს, ნაცემი შუშანიკის ნახვის შემდეგ, ვარსქენი სანადიროდ წასულა, სომხური რედაქცია ისევ ზოგადად ამბობს: „იგი საქმესა მის სოფლისასა განეწესა“-ო (VII. 17-18).

იაკობი გადმოგვცემს, რომ ნაცემ შუშანიკს ქონდა საჭმელი, „რომელი მოედღუნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწოდეს და ნუგეშინის სცემდეს“ (VII. 20—21). ეს უმნიშვნელოვანესი ცნობა, რომელზეც ჩვენ შემდგომში ვილაპარაკებთ, არაა სომხურ რედაქციაში. არაა, აგრეთვე, ისიც, რომ შუშანიკი საჭმელს ვერ ჭამდა, რადგანაც ყბები და კბილები ქონდა ჩამტვრეული. არაა ისეთი ცოცხალი დეტალიც, რომ იაკობმა მას ღვინოში დამბალი პური აჭამა.

სომხურ რედაქციაში, როგორც ვნახეთ, სულ სხვანაირადაა გადმოცემული შუშანიკის მიერ ვარსქენისთვის სამკაულის დაბრუნების ამბავი. უეჭველია, იაკობისეული მოთხრობა უფრო საინტერესოა შუშანიკისა და ვარსქენის ხასიათების გასარკვევად.

უკვე იყო აღნიშნული, რომ სომხურ რედაქციაში შუშანიკი თვითნებურად კი არ მიდის სასახლიდან, არამედ ვარსქენი თვითონ აგზავნის მას. სომხურ რედაქციაში არაა იაკობის ზუსტი ცნობა იმაზე, რომ ეკლესიიდან სასახლეში მიყვანილ შუშანიკს სამასჯერ დაარტყეს ჯოხი. ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ ჩვენს მიერ აღნიშნულ ეპიზოდებზე, რომლებიც არაა სომხურ რედაქციაში, არც ყველა დაკლებულ დეტალს აღნიშნავთ. ჩამოვთვლით მხოლოდ მთავარს. იაკობის ტექსტის შესაბამისად, შუშანიკის ციხეში გადაყვანა ვარსქენს უბრძანებია თავისი სენაკაპანისთვის. კარგად აქვს აღწერილი იაკობს როგორ მიჰყავდათ შუშანიკი ციხეში, როგორ მიჰყვებოდა მას ტირილითა და ლოყების კაწრვით დიდი ჯგუფი სალხისა, როგორ დაერია მათ ცხენდაცხენ ვარსქენი და გაჟფანტა ისინი. იაკობი გადმოგვცემს აგრეთვე ვარსქენის მუქარას შუშანიკის მიმართ, ციხიდან ცოცხალი ვედარ გამოხვალო. ყველაფერ ამას სომხური რედაქცია სულ ორი სიტყვით გადმოგვცემს: „წარიყვანა საპყრობილესა“-ო. სომხურ რედაქციას არა აქვს ისეთი საინტერესო ყოფითი დეტალი, როგორცაა ის, რომ მცველმა იაკობი შუშანიკთან ციხეში მხოლოდ მას შემდეგ შეუშვა, რაც მისგან ქრთამის დაპირება მიიღო. იაკობს აქვს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ „წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულს

მოდგინებითა კელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ახერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ (XII. 1-3). როგორც ი. აბულაძემ გაარკვია, „ჭიკნაუსტი“ აბრეშუმით ქსოვას, ან აბრეშუმის ხელთსაქმარსა ნიშნავს (აბულაძე, შუშანიკი, 98). ჩანს, შუშანიკს აბრეშუმისა თუ ოქრომკედის საქმე სცოდნია, მაგრამ მისთვის ციხეში თავი დაუნებებია და მის ნაცვლად ფსალმუნი უსწავლია (შდრ. იქვე).

უფრო დაწვრილებით აქვს გადმოცემული იაკობს შუშანიკის ყოფა ციხეში. განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ განვითარებაში გადმოგვეცემს იგი შუშანიკის დაავადებას: ციხეში ყოფნის მეექვსე წელი რომ მთავრდებოდა, შუშანიკზე „სენი სნეულებისამ მოიწია“, რომელსაც წინასწარ ვეუბნებოდით, ზედმეტს ნუ შერები, ვერ გაუძლებო. ხოლო მეშვიდე წლის დასაწყისში შუშანიკს სხეულიც დაწყლულებია. წყლულებზე მატლი დახვევია, ფეხები დასივებია და დასჩირქებია. იაკობი პირდაპირ შემზარავ სურათსა ხატავს: „და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდასა და სამკჳის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებამცა ჯორცთა მისთამ და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსიედეს ფერკნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასსმულ იყო წყლულთა მათ, რომელ იგი აღიღო კელითა თვისითა და მიჩუნებდა მე...“ (XV. 1-6). სომხური რედაქცია მოკლედ ამბობს: „და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა გუემათა მისთამ და საკრველთამ და საპყრობილისამ მის, დასნეულდა ნეტარი იგი მოუგონებელთა მათ ტანჯვათა და ფიცხელთა მოღუაწებათაგან“ (XV. 1-6).

~~ძალზედ საინტერესოა ჯოჯიკის მისვლა შუშანიკის სანახავად ციხეში. აქ მრავალი ისეთი დეტალია, რომელიც მიგვანიშნებს ჯოჯიკსა და ვარსქენს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეპოქის ისტორიული ვითარებობის შესასწავლად საერთოდ და ვარსქენის პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევად. სომხურ რედაქციაში ეს ეპიზოდი მეტყველებულად შემოკლებულია და სწორედ ეს საისტორიო მნიშვნელობის დეტალები მასში არა ჩანს.~~

(სომხურ რედაქციაში არაა იაკობის ცნობა, რომ სიკვდი-

ლის წინ შუშანიკმა აფოცს შეავედრა თავისი სულიერი მამა—
იაკობი (XVIII. 3—4).

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა აღგვენიშნა კიდევ არაერთი
ფაქტობრივი ხასიათის დეტალი, რომელიც არაა სომხურ
რედაქციაში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მოტიანილიც საკმარი-
სია საქმის ვითარების გასარკვევად. აღვნიშნავთ კიდევ მხო-
ლოდ იმას, რომ სომხურ რედაქციაში მოხსენებული არაა შუ-
შანიკის ხუცესის სახელი, რაც უცნაურად გამოიყურება:
იხსენიება აფოცი, ეპისკოპოსები სამოელი და იოვანე, იაკობი
კი არა. რატომ? ძნელი სათქმელია. სომხური რედაქციის
ავტორი ვერ მისვდა, რომ შუშანიკის ხუცესს იაკობი ერქვა?
არა გგონია. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ის საკმარისად
დაკვირვებული კაცია.

სომხურ რედაქციაში არც ერთსელ არ იხსენიებიან ჰონე-
ბიც. აქ უთუოდ ანტონის რედაქცია გაგვახსენდება, სადაც ამ
მხრივ იგივე მდგომარეობაა.

განსაკუთრებით თვალში საცემია ის განსხვავება, რომე-
ლიც არის დიალოგების გადმოცემაში. იაკობის დიალოგები
არაჩვეულებრივად ცოცხალია: მოსაუბრენი ერთმანეთს ელა-
პარაკებიან თავისუფლად, ეკითხებიან, პასუხობენ, ყოველი
სიტყვა კავშირშია ერთმანეთთან, იგრძნობა მოსაუბრეში შანა-
განი აზრობრივი ასოციაციები. ამავე დროს, ყოველ ამ საუ-
ბარს, ისევე როგორც სიცოცხლეში, მოაქვს უზარმაზარო ინ-
ფორმაცია: სომხურ რედაქციაში ამ დიალოგებს სულ სხვა
ხასიათი აქვთ. ფაქტობრივ იაკობისეული მოკლე ფრაზები-
საგან შემდგარი დიალოგები გადაქცეულია ვრცელ მონოლო-
გებად. უკეთეს შემთხვევაში ერთი მოსაუბრე იტყვის, მეორე
უპასუხებს და ამაზე მთავრდება საუბარი.

ძალზედ საინტერესოა ამ მხრივ იაკობისა და შუშანიკის
პირველი საუბარი მას შემდეგ, რაც შუშანიკი გაიგებს ვარ-
სკენის განდგომის ამბავს: იაკობი ეუბნება: „ღუაწლსა დიდსა
შესვლად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრის-
ტმუნსა, ნუ უკუე მტერმან ვითარცა სრსკლმან სამოვარი პოოს
შენ თანა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და
მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მუ ვარქუ მას:
„ეგრეთ არს, მკნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. ხოლო მან.

მრქუა მე : „ჩემდა მარტომსა არიან ჭირნი ესე“. სოლო მე ვარქუ მას: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სისარული შენი სისარული ჩუენი არს“. ჩუენი არა სოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შეილთა გუხედევდ“.

და ვარქუ მე სანატრელსა მას სუაშიადად-რე: „ვითარ გეგულეების, მითხარ მე, რაითა უწყოდი და აღვწერო შრომა შენი“. სოლო მან მრქუა მე: „რამსა მკითხავ ამას?“ და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა“. მე მიუგე და ვარქუ მას „მწარე გონებაა აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ“. სოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედად სულისა ჩემისა; რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი გინა დაი, არამედ განეყენენ“. და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“ (III. 11–29).

როგორც ვხედავთ, დიალოგი უადრესად ცოცხალი და ბუნებრივია. იაკობი ჯერ აფრთხილებს შუშანიკს, რომ მას დიდი განსაცდელი მოელის. როდესაც გაიგებს, რომ შუშანიკი მზადაა ამისთვის, მაგრამ ამასთანავე განიცდის თავის სულიერ მარტოობას („ჩემდა მარტომსა არიან ჭირნი ესე“ — ძალზედ მნიშვნელოვანი დეტალი, რომელზედაც შემდგომში ცალკე ვილაპარაკებთ), იაკობი ამშვიდებს, ბევრი თანამგრძნობი გეყოლება, რადგან ყველას უყვარხარო. შემდეგ იაკობი საიდუმლოდ („სუაშიადადრე“) და თითქოს მოულოდნელადაც კი ეკითხება შუშანიკს, რას აპირებო. შუშანიკს ბუნებრივად უკვირს, ამას რაზე მეკითხებით. აქ იაკობი იძლევა იმ შეკითხვას, რომელიც მას საიდუმლოდ ალაპარაკებს: „მტკიცედ სდგაა?“ ჩანს, იაკობს უნდა გაიგოს სინამდვილე — შუშანიკი მართლაც აპირებს ბოლომდე ვარსქენის წინააღმდეგობას, თუ მისი სასახლიდან წასვლა მსოლოდ, ასე ვთქვათ, დემარშია მეუღლეზე ზემოქმედების მოსახდენად. ეტყობა, იაკობს კარგად ესმის, რომ სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი არაა. მისი შეკითხვა სავსებით ბუნებრივია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

ამ საუბარში განსაკუთრებით საინტერესოა იაკობის ის სიტყვები, რომლებიდანაც ჩანს, რომ მას იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონია შუშანიკის ღვაწლის აღწერა.

ეს დიალოგი სომხურ რედაქციაში გაყოფილია ორად. ჯერ სუცესი ურჩევს შუშანიკს სავსებით მიენდოს ღმერთს, რადგან მისი სიტყვით „არავინ გივის ერთსული, რომელმან გულითად იურევოს შენთვის“-ო (III. 21-22). რამდენად ეფექტურია ასეთი ნუგეში (არავინა გყავს საანამოაზრეთ), ძნელი სათქმელია, ის კი აშკარაა, რომ თვით სომხური რედაქციით ეს აზრი არ დასტურდება, რადგან შუშანიკს მრავალი თანამგრძნობელი ჰყავს (იაკობი, აფოცი, ჯოჯიკი, ხალხი, დიდუცა და პატარაც). შემდეგ, თუმცა კი არ ჩანს როდის, სუცესი ეკითხება შუშანიკს, რას აპირებს იგი თავისი უარისმყოფელი ქმრის საწინააღმდეგოდ. შუშანიკის პასუხი ძალიან ვრცელია და ზოგადი. მაინც შიგ არის რამდენიმე კონკრეტული აზრიც. შუშანიკი ამბობს, რომ მას აწუხებს შვილების ბედი, ხაზს უსვამს იმას, რომ მას არავისი იმედი არა აქვს გარდა ღმერთისა, რომ, რაც არ უნდა იტანჯოს, არ მიატოვებს თავისი მამების, სომეხთა განმანათლებლების რჯულს. როგორც ვხედავთ, განსხვავება მართლაც დიდია.

ქართლის საზღვარს მოახლოებულმა ვარსკენმა წინ დესპანი გაშოგზაენა, რათა მის შესასვედრად მისი ოჯახი და მისი ქვეშევრდომები გამოსულიყვნენ, „რამათა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“ შუშანიკმა რომ ვარსკენის განდგომა გაიგო, სასახლიდან წავიდა. ცხადია, ის არც ვარსკენის შესასვედრად გავიდოდა. შუშანიკის წასვლის ამბავი ვარსკენს ჩამოსვლისთანავე ფარულად შეატყობინა მისმა დაახლოებულმა სპარსმა და თან ურჩია „ფიცხელი“ სიტყვა არ ეთქვა შუშანიკისთვის. ჩანს, ვარსკენმა მართლაც მოითმინა და ჩამოსვლის დღეს სმა არ ამოუღია შუშანიკის სასახლეში არყოფნაზე. მეორე დღეს, როგორც კი ამდგარა („ვითარ აღდგა“), ვარსკენმა თავისთან მოუწოდა სუცესებს და „სიხარულით“ შესვდა მათ უეჭველია, უკანასკნელთათვის ეს მეტად სასიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა. ბუნებრივია, რომ სუცესები გამაზღვანებული ვარსკენისგან ქრისტიანების საწინააღმდეგო მოქმედებას მოელოდნენ. ვარსკენი მართო

კარგი შესხვედრით როდი დაკმაყოფილებულა: მას პირდაპირ უთქვამს სუცესებისათვის „აწ ნუ რას შერიდებით მე და ნუცაღა გძაგ“-ო. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ჩანს, ვარსკენმა ამასთან ერთად სუცესებს ისიც აუსხნა, რომ სრულებითაც არ აპირებდა ქრისტიანობასთან ბრძოლას. ყოველივე ამან, ეტყობა, გაამსწევა სუცესები და მათ გაბედულად შეუტიეს ვარსკენს — „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“-ო. უნდა ვიფიქროთ, რომ სუცესთა ასეთი გაბედული ლაპარაკი ვარსკენს არ უნდა მოსწონებოდა. მაგრამ მას მაინც შეუკავებია თავი, სუცესები არ დაუტუქსაეს და მხოლოდ ის უთქვამს, რაც, უკვე მეორე დღე იყო, ყველაზე მეტად აწუხებდა, ენაზე უტრიალებდა და აქამდე მოხერხებული დრო არ შესვდა, რომ გამოეთქვა: „მაშინდა იწყო სიტყუად და თქუა: „რამსა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესე-ვითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ „შენ ჩემი ხატი დაამკუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასს, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ სარ“ (IV. 12—19).

პირდაპირ ბრწყინვალე პასაჟია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

სომხურ რედაქციაში ამ საუბრიდან მოტანილია მხოლოდ ერთი ფრაზა ვარსკენისა: „და მოუწოდა ეპისკოპოსსა მას თვსსა და სუცესთა მათ, ეტყოდა მათ ვედრებითა და ნიჭი აღუთქუა უფრომს პირველთასა კეთილად. „ნუ ეკრძალვით და ნუცა ერიდებით ჩემსა უფლებას“, ეტყოდა; და შესთუალნა მცნებანი დედოფლისა მის მიმართ მოქცევად თვსთა მათ ნებათაგან და დამორჩილებად ნებათა მისთა და შუებად დიდებასა [შ ა] სოფლისასა უფრომს პირველთასა“ (IV. 3—13).

საინტერესოა, აგრეთვე, შუშანიკის საუბარი ვარსკენისგან მივზაენილ აფოცთან, ჯოჯიკთან, და მის ცოლთან. სხვათა შორის, შუშანიკის სიტყვებიდან ირკვევა, რომ იგი არშუშას ოჯახში აღზრდილა. ეს ცნობა სომხურ რედაქციაში არაა. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სომხური ვრცელი რედაქციით აფოცი მეტად მოხერხებულად უსაბუთებს შუშანიკს სასახლეში დაბრუნების საჭიროებას.

სომხურ რედაქციაში არაა ვარსკენის საუბარი შუშანიკის მცველთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაკობის საუბარი იმავე მცველთან, საიდანაც ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი შუშანიკის გაზრდილი ყოფილა. სომხურ რედაქციაში არაა ისეთი საინტერესო დეტალები, როგორცაა ის, რომ იაკობს უნდოდა შუშანიკის იარებიდან სისხლი და ნაცარი მოებანა, ზედ სალბუნი და წამალი დაედო. სომხურ რედაქციაში არაა აგრეთვე ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესო და შუშანიკის ვარსკენისადმი ნამდვილი დამოკიდებულების გასარკვევად ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი იაკობსა და შუშანიკს შორის ვარსკენისთვის სამკაულის დაბრუნებაზე, არც ვარსკენის ნალაპარაკევი ამ სამკაულზე, რომლიდანაც, სხვათა შორის, ირკვევა, რომ ვარსკენს მეორე ცოლი არ ჰყოლია. არაა აღნიშნული ისიც, რომ ვარსკენი კონებთან საომრად წასვლას აპირებდა.

ქართული რედაქციით შუშანიკს რომ ციხეში შეიყვანენ, იგი იტყვის: „მე ამას მსიარულ ვარ, რამთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუნო“, რაზედაც ვარსკენი დამცინავად მიამახებს „ჰე, ჰე, განისუნე!“ (IX. 26—28). ეს მოკლე და მოქნილი შესიტყვება სომხურში დამძიმებულია: ციხეში რომ შეიყვანს შუშანიკს, ვარსკენი ეუბნება, „აწ მსიარულ იყავ, რამეთუ შემთხვე ვნებათა მავათ და მწარეთა ტანჯვათა, რომელთა გტანჯავ შენ სიკუდილამდის“. შუშანიკიც პასუხობს, რომ ის მსიარული იქნება მიღებული ტანჯვის გამო, რათა ღირსი გასდეს თავისი წინაპრებისა და სხვ. (IX. 37—57).

სომხურ რედაქციაში არაა ვარსკენის საუბარი შუშანიკის ცისის მცველთან. არაა, აგრეთვე, მეტად საინტერესო ლიტერატურული თვალსაზრისით იაკობის საუბარი იმავე მცველთან. იაკობი ბევრს ეხვეწა მას შუშანიკთან შეშვებას და ბოლოს ქრთამსაც შეპირდა. მცველმა „ძნადა თავს იდვა“ იაკობის შეშვება და უთხრა, როდესაც დაღამდება, მარტო მოდიო. შეკრული შუშანიკის დანახვისას იაკობს ტირილი დაუწყია. მაშინ მცველს უთქვამს მისთვის: „ესედა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“-ო (X. 7—14). პირდაპირ შესანიშნავი სურათია. ეს ამბავი სომხურ რედაქციაში გამოტოვებულია. სამაგიეროდ, იქ არის შუშანიკის შექება მისი ხუცესის მიერ, რომელიც ამბობს, რომ შუშანიკი არის კეთილი ძირის კეთი-

ლი მორჩი (ე. ი. ღირსეული შვილი თავისი წინაპრებისა), რომ მან კეთილი სახელი დაიმკვიდრა წმინდა რიფსიმეს მსგავსად. ამაზე შუშანიკი ვრცლად პასუხობს, რომ ის არ არის ღირსი წმინდა რიფსიმეს გვირგვინისა, რადგან რიფსიმემ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი სიწმინდე, შუშანიკი კი ურჯულო კაცის მეუღლე იყო და შვილებიც გააჩინა მისგან და სხვ.

სომხურ რედაქციაში არაა იაკობისა და შუშანიკის საუბარი, როდესაც შუშანიკი სთხოვს იაკობს, სანამ ცოცხალი ვარნურავის ნუ ეტყვი, რომ ქვეშ ძაძის სამოსელი მაცვიაო.

ყოველმხრივ უადრესად (საინტერესოა შუშანიკისა და მის სანახავად ციხეში მისული ჯოჯიკის დიალოგი, რომელიც ყველაზე ვრცელია მთელ მოთხრობაში. ჯოჯიკი სთხოვს შუშანიკს აკურთხოს იგი თავისი ცოლითურთ, შვილებითა და მონა-მსველებით. ამ საუბრის დროს შუშანიკი ყვედრებით მიმართავს ჯოჯიკს, უგულოდ მოეკიდეთ ჩემს საქმეს, არავინ მიშველაო, ხოლო შემდეგ წარმოთქვამს თავის ცნობილ სიტყვებს იმის შესახებ, (რომ საბოლოოდ ისა და ვარსქენი განისჯებიან ღმერთის წინაშე, სადაც არ იქნება განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორისო. მერე მოდის) ასევე ცნობილი (სინანული შუშანიკისა იმის გამო, რომ ვარსქენმა „უყამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა“-ო და სხვ. (XVI. 7—50)) ამ დიალოგის ნაცვლად სომხურ რედაქციაში არის შუშანიკის მოკლე დარიგება ჯოჯიკისადმი მსოლოდ კეთილი საქმე გააკეთეო. (XVI. 10—20).

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს სომხური რედაქცია მსოლოდ ნაკლებობას უჩვენებდეს ქართულთან შედარებით. მოყვანილი მაგალითები ძირითადად განეკუთვნებიან ნაწარმოების ფაქტობრივ მხარეს, რომელიც, როგორც იყო აღნიშნული, სომხური რედაქციის ავტორს ნაკლებად აინტერესებს. რაც შეეხება ზოგადს, მოწამეობრივს; დიდაქტიკურს; ეს მხარე, როგორც უკვე ითქვა, სომხურ რედაქციაში უფრო გაზრდილია. მაგრამ ზოგი რამ სომხურ რედაქციას მეტი აქვს ქართულთან შედარებით თვით ფაქტობრივ ამბებშიც. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული რამდენიმე ჩამატებული ეპიზოდი (ვარსქენის შვილის დახრჩობისა, ვარსქენის მიერ ციხის მცველ-

ბის დახოცვისა, გრძნეული ქალისა, ვარსქენის მიერ შუშანიკის წამების მიზეზის ახსნისა).

ჩამატებულია სომხურ რედაქციაში ზოგიერთი დეტალიც: პურის ჭამის აღწერისას იაკობი ზოგადად ამბობს შუშანიკზე, „ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევენეს“-ო (VI. 7–8). როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ შუშანიკი შიმშილობს დესპანის მოსვლის დღიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ცნობილი გახდა ვარსქენის განდგომა. სომხურ რედაქციაში ნათქვამია, რომ სასახლიდან წასულ შუშანიკს მისი ხუცესი „ნუგეშინის სცემდა მოუგონებელთა მათ ძერთათვს, რამეთუ სამი დღე და სამი ღამე უჭმელ და განუსუენებელ იყო იგი“ (III. 5–8). მანამდე ეკლესიის მოწესენი ვერაფრის თქმას ვერ უბედავენო, „მოწესენი მის ეკლესიისანი ყოველნი თანამგლოვარე ეყვნეს და ეკრძაღვოდეს თქუმასა სიტყვასა მისთვს“ (II. 77–80), მაგრამ ხუცესის ლაპარაკის შემდეგ „მახლობელნიცა იგი კადნიერ იქმნეს მის თანა და ევედრნეს ნეტარსა მას მიღებად ჭამადი. და მან ყურად იყო და მცირედ რამე გემოჲ იხილა ჭამადისაჲ და სასუმელისაჲ“ (III. 25–30). შემდეგ ისევ ნათქვამია, რომ სასახლეში დაბრუნებული შუშანიკი „დაშთა მუნვე სახლაკსა მას სამ დღე უჭმელი და უსმელი“ (V. 131–132). რამდენჯერმე არის ჩამატებული, რომ ვარსქენი სიმდიდრისა და პატივის მიგების დაპირებებს აძლევს (სუცესებს, შუშანიკს. IV. 6–7; IV. 12–13; VII. 19–20); ჩამატებულია საინტერესო ცნობა იმაზე, რომ შუშანიკს საჰაკის ნაქონი სახარება ჰქონია (VI. 7–11); რომ ვარსქენს უბრძანებია პურის ჭამის შემდეგ ცალკე სასლაკში მოთავსებულ შუშანიკისთვის მხოლოდ ქრთილის პური და წყალი მიეცათ (VII. 8–9). ნაცემ შუშანიკზე ნათქვამია, რომ „მას არა ეძლო დგომად სასტიკისა სიმსიენისაგან ყოვლისა სხეულისა და სისხლისაგან, რომელი გარემოდებული აქუნდა“ (VII. 23–26). შემდეგ ნათქვამია, რომ „შემდგომად რავდენთამე დღეთა შეიქმნა უმჯობეს მცირედ და ილოცვიდა დღე და ღამე“ (VII. 48–51). იქვეა, რომ შუშანიკმა „გემოჲ იხილა მცირედ ქრთილისა პურისა და წყლისაჲ“. ეს ქრთილის პური და წყალი შემდგომშიც იხსენიება (IX. 35–36; X. 90–91; XIV. 21–22) და ვარსქენისგან სიმდიდრის შეპირებასთან ერთად ერთგვარ შტამპადაა ქცეუ-

ლი. ჩამატებულია რამდენიმე ფრაზა (შუშანიკის სამოსელზე, ვარსქენის მრისხანებაზე) შუშანიკის ეკლესიიდან სასახლეში წამოთრევის ეპიზოდში (IX. 9—22), ცნობა ცისეში კედელში ჩახობილ რკინის მანებზე შუშანიკის მიჯაჭვისა (IX. 28—30), ვარსქენის გაკვირვება შუშანიკის სიმტიკიცეზე (IX. 58—60), შუშანიკის სუცესის მიერ შუშანიკის ბორკილების კოცნა (X. 7—8), აღნიშვნა იმისა, რომ სუცესი თავის სახლში დაბრუნდა და შუშანიკის ბორკილებს მსახურებდა (X. 65—66). შემდეგ ჩამატებულია ცნობა, რომ ჯოჯიკს მრავალი დღის განმავლობაში მოუსდა სვეწნა ვარსქენისათვის შუშანიკის საკრეულთაგან განთავისუფლებაზე, რომ ვარსქენი დათანხმდა მსოლოდ კისერზე დადებული ჯაჭვის ახდაზე, მაგრამ დააფიცა ჯოჯიკი სიცოცხლის ბოლომდე დაეტოვებინა ბორკილები შუშანიკზე (X. 75—79). კურნებათა ეპიზოდში დამატებულია აღნიშვნა იმისა, რომ, ვინც კი შეეღისთუის შიაკითსაედა შუშანიკს, ყველა კმაყოფილი მიდიოდა მისგან და აღიდებდა ღმერთს (XI. 16—24). მოგვი ქალის განკურნების ეპიზოდში ჩამატებულია ის, რომ ეს ქალი ვერ განუკურნაეთ სპარს მკურნალებს, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ იგი მოგვთა მთავარს და სპარს დიდებულებს უამბობდა თავის სასწაულებრივი განკურნების ამბავს (XI. 27—28; 48—52); ჩამატებულია ცნობა, რომ შუშანიკს „ზეგარდამო ხილვები“ ჰქონია (XIV. 28—29). სომხურ რედაქციაში ჩამატებულია ცნობა, რომ შუშანიკის გვაში დაუბანიათ „პატიოსანთა დედათა“ (XIX. 4). თუმცა უნდა ითქვას, რომ მოკლე რედაქციაში ეს ჩამატებული სიტყვები არაა და იქ ისევია, როგორც ქართულში. სომხურ ვრცელ რედაქციაში ჩამატებულია, აგრეთვე, ცნობა იმაზე, რომ შუშანიკის სიკვდილის შემდეგ მისი მეოხებით ღმერთი „კურნებასა არა მცირედსა ჰყოფდა“ (XX. 9—10). დაბოლოს, სომხურ რედაქციას დამატებული აქვს ერთგვარი რეზიუმე, რომელშიაც ნათქვამია, ეს ამბავი აღწერს შუშანიკის სიმხნესა და თავდადებას ღმერთისთვისო (XX. 12—27).

ანტონის სარედაქციო მუშაობაზე ლაპარაკისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ანტონმა იაკობის ტექსტიდან გამოტოვა პირველივე ფრაზა: „და აწ დამტიკიცებულად გითსრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“, აგრეთვე,

ცოტა ქვემოთ ნათქვამი „ვითარცა იგი ვთქუთ“ და ვარსქენის ირანში გამგზავრების რომელიდაც ირანის მეფის მერვე წლით აღნიშვნა. ნაჩვენები იყო ამ შესწორებათა მიზეზი თუ მიზანი: რადგან იაკობის ტექსტს წინ არ უძღვის შუშანიკის ცხოვრების აღრინდელი პერიოდის აღწერა, „და აწ“ და „და ვითარცა იგი ვთქუთ“ პაერში გამოკიდებული რჩება, ისევე როგორც, თუ დასახელებული არ იქნა მეფე, აზრს კარგავს მისი მეფობის წელის აღნიშვნაც. ზუსტად ასევე მოქცეულა სომეხი რედაქტორი. სომხურ რედაქციაშიც გამოტოვებულია აღნიშნული ფრაზები და მეფობის წელი. მასში უბრალოდაა ნათქვამი „და იყო ჟამსა მეფობისასა სპარსთაჲსასა“-ო (I. 1—2). ჩანს, ირანის მეფის დასახელება იაკობის ტექსტში არ იყო უკვე მაშინ, როდესაც კეთდებოდა ვრცელი სომხური რედაქცია (ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 51).

სომეხ რედაქტორს შეუტანია კიდევ ორი, ძნელად შესამჩნევი შესწორებაც: ქართულ რედაქციაში ვკითხულობთ, რომ ვარსქენს ირანის მეფისთვის უთხოვია ცოლი და თანაც უთქვამს „რომელი იგი ბუნებითი ცოლი არს და შეილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა ესე მე“ (I. 26—28). ახლადგამაზდენებული ვარსქენისგან, რომელიც ცოლს თხოულობს მეფისგან, უეჭველია, უხეშად გაისმის იმის თქმა ჩემს ნამდვილ (ბუნებით) ცოლს შენს რჯულზე მოვაქცევო. სომეხი რედაქტორი ასწორებს: „ხოლო იგი უქადებდა პირველისაცა ცოლსა და შეილთა მიქცევასა მოგუებისა შჯულსა [ზედა]“ (I. 37—39). მართალია, ირანში ვარსქენის მიერ მეორე ცოლის შერთვა, როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, გვიანდელ ჩანამატად მიგვაჩნია, მაგრამ ამ ფაქტს აქ იმიტომ აღვნიშნაეთ, რომ, ჩანს, სომხური თარგმანის გაკეთებისას იგი უკვე იყო ქართულ რედაქციაში.

მეორე შესწორება ასეთია: იაკობი ვადმოგვეცემს გარდაცვლილი შუშანიკის გვაში „სხუათა მათ აღვიღეთ... და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან“-ო (XIX. 3—5). ჩანს, სომეხ რედაქტორს ეხამუშა ის, რომ მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება თითქოს შუშანიკის გვაში მამაკაცებმა დაბანეს. იგი წერს: „და ეპისკოპოსმან მან და ყოველმან კრებულმან აღიღეს გუამი ნეტარისაჲ მის და

ვანბანეს კელითა პატიოსანთა დედათათა“-ო (XIX. 1—4). როგორც ვსედავთ, ანტონისა არ იყოს, სომეხი მთარგმნელიც დიდი ყურადღებით კითხულობს „წამების“ ტექსტს.

თავის მხრივ სომხური რედაქციის ავტორსაც გაჰპარვია ზოგიერთი ასეთივე შეუსაბამობა, თუ ძნელად შესამჩნევი ლაფუსუნი.

ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სომხური რედაქციის ცნობა შუშანიკი განთიადიდან მწუხრამდე ლოცულობდაო, ვერ ეტევა რეალურ დროში. უკვე გვექონდა შემთხვევა აღგვენიშნა ისიც, რომ, იაკობის მოთსრობის თანახმად, ვარსქენის განდგომის ამბის გაგების დღიდან შუშანიკი შეწყვეტს ჭამას და ეს გრძელდება თვით პურის ჭამის მომდევნო ღამემდე, როდესაც ნაცემ შუშანიკს იაკობი შეაჭმევს ღვინოში დამბალ პურს. სომხურ რედაქციაში ეს ამბავი სხვაგვარადაა წარმოდგენილი. სასახლიდან წასული შუშანიკი შიმშილობას დაიწყებს, მაგრამ სამი დღის შემდეგ იაკობისა და სხვათა თხოვნით ცოტას შეჭამს და დაღვეს (III. 27—30). სასახლეში დაბრუნებული შუშანიკი ისევ შიმშილობს სამი დღის განმავლობაში (V. 131—132). უეჭველია, შიმშილობის ასეთი გაწყვეტა მკითხველის თვალში რამდენადმე ასუსტებს შუშანიკის სიმტკიცეს. სერობაზე მისულ შუშანიკსო, მოგვითხრობს სომხური რედაქცია, „აქუნდა ვევანგელზე ერთი მცირე, რომელი იყო წინაპრისა მისისა წმიდისა საჰაკისი, რომელი თანა ეპყრა და მით ევედრებოდა იღუმალ ღმერთსა“ (VI. 7—11). ვაუგებარია, რატომ უნდა ელოცა შუშანიკს „იღუმალ“? რაღა დარჩა მას დასამალი, ის ზომ ყველაფერს ამბობდა და აკეთებდა სავსებით დემონსტრატიულად.

ზოგიერთი ამ ხარვეზებიდან უკვე იყო აღნიშნული: ესაა შვილის დახრჩობის ეპიზოდში შუშანიკის ეკლესიაში გადაყვანა, ეკლესიიდან ვარსქენისთვის შუშანიკის მიერ სამკაულითა და საპატიო ტანსაცმლის გაგზავნა, ვარსქენის მოთხოვნა დაყაბულდი ჩემს ნებასო, შუშანიკის მცველების დახოცვა.

სხვათა შორის, სომხური რედაქციის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის ავტორს, იაკობისგან განსხვავ-

ვებით, უყვარს რიტორიკული შეკითხვები, ამაღლებული პათეტიკა, ეპითეტების სიმრავლე: მაგალითად, შუშანიკის პასუხში მისი სუცესის შეკითხვაზე რას აპირებო, არის ასეთი სიტყვები: „ვინ მოსცა თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყარონი ცრემლთანი და უდაბნოსა შინა სადგური, რომელ ვტიროდე წყლულთა და წარწყმედისათჳს განუკურნებელისა ქმრისათჳს ჩემისა, უშჯულომსა და უვარის მყოფელისათჳს ღმრთისა ჭეშმარიტისა, და ნაშობთა ჩემთა განწირულები-სათჳს [და] სხუად სახედ გამოჩინებისათჳს. ღმრთის მეც-ნიერებისაგან ღმრთის უმეცრებად [და] ნათლისაგან ბნელად ქცეულთა? ვინ არა იგლოვდეს ესეოდენისა წარწყმედისა ჰამ-ბაესა, რომელ განისმის? რომელნი სასმენელნი მოისუნენ ჰამბავთა წარწყმედისათა, რომელთა არა აქუს სასოებაჲ ნუ-გეშინისცემისაჲ? რომელთა სახილველთა იტვრთონ ხილვაჲ კაცისა უშჯულომსა და ღმრთისა უვარის მყოფელისაჲ? რომელსა სიტყუასა ძალუც მითხრობაჲ ესოდენთა ამათ ჭირთა უბადრუკებისა და ძკრისათაჲ? რომელსა ჰამბაესა სიკუდილი-სასა,— რომელი ესრეთ წარსწყმედს სულსა და კორცსა გეჰე-ნიასა შინა? რომელსა მკუდარსა, რომელი არა უტევებდეს ნაწილსა რასმე ნუგეშინისცემისასა მახლობელთა თჳსთა ქუე-ყანისასა? რომლითა განვაგდო გლოვაჲ და მცირედ რამმე ნუგეშინის ცემულ იქმნეს სული ჩემი? ო, რაოდენ არს საბრკე, რა სხუათა ზედა უადრესობაჲ სულთქუმისაჲ ვცნა! ვინ არს ბრძენი და მეცნიერი, რომელმან გულის სმა ყოს პოვნაჲ ჭსნისაჲ ამათ შემთხვევადთაჲ, ვინ, კაცნო, მითხარო! რამსა უფალო დასდევ შორს და უგულბებელს ჰყავ მკევეალი შენი ჟამსა ოდენ ჭირისასა და განწირვისა და ძკრისასა? რა-მეთუ არა სადაით არს ნუგეშინის ცემაჲ, გარნა ღმრთისაგან. არცა ზედამდგომელნი, არცა მოყუასნი, არცა საყუარელნი, არცა მონანი, არცა მკევეალნი, არცა სახლეულნი, არცა უცხო-ნი, არცა მწირნი, არცა შორიელნი, არცა მახლობელნი და არცა ვინ ქუეყნიერთაგანნი. წარწყმდა სარწმუნოებაჲ, წარი-კუეთა [და] დაილია ყოველი სასოებაჲ ჩემი კაცთა და ქუეყა-ნისაგან, გარნა მოველი ღმერთსა ყოველისა მპყრობელსა, რო-მელმან შემისვიოს მე და მომცნეს მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, რამთა განფენილთა ფრთეთა მიერ და მადლითა

სულისა წმიდისაჲთა განვეშორო [და] განვისუენო უდაბნოსა შინა...“ (III. 51–107) და სხვ. ასეთი ვრცელი ამონაწერი (თვით შუშანიკის სიტყვა კიდევ უფრო დიდია) იმიტომ მოვიტანეთ, რომ ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს სომხური რედაქციის დამახასიათებელი თვისებებიცა და მისი განსხვავებაც ქართული-საგან, რომელიც ამის საწინააღმდეგოდ გასაოცარი სისადავითა და ლაკონიურობით გამოირჩევა. ეპითეტების სიყვარულის დამადასტურებელი ერთი ადგილიც (შუშანიკის ვედრებიდან): „უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავე, შემიწყალე მე, შემიწყალე, რომელ ეგე შემწე სარ უმწეოთა, წარწირულთა იქედი, უგან-ცოთა გინცი და მგლოვარეთა ნუგეშინის ცემა, აღმფოთებულთა შუება, შეჭირებულთა ღსენა, ზღვეულთა სამართალი და მართლისა მოქმედი, სნეულთა სიმრთელე და მწუსარეთა მსიარულება, დევნულთა ალაგი, შემუსრვილთა განმამრთელელებლი, ურვეულთა ფართობა, აღქაბთა სიმდიდრე, დაგლახაკებულთა მიმცემელი, დამაშურალთა განსუენება, ვნებულთა განმაძლიერებელი, კრულთა განმტყევებელი, მენავეთა ნავთსადგური, ობოლთა მამა, უთესლოთა თესლი, შენდა მომართ მოსავეთა შესავედრებელი და ფრიადი სასოა“... (IV. 77–95). ან შუშანიკის ავტორისეული დახასიათება: „... ყოვლითა კეთილითა საქმითა შემკულ იყო სული ნეტარისა მის, წმიდაჲ, უბიწოჲ, შეუგინებელი, ცოდვათა მოძულჲ, მართალი, ჭკმმარიტი, წრფელი, სიწმიდისა მოყუარჲ, ქველისა მოყუარჲ, მდაბალი, მშვიდი, მორჩილი, ყუდროჲ, მოწყალჲ, გლახაკთ-მოყუარჲ, სტუმართ მოყუარჲ, მმარხველი, ჭღძმარჲ, მლოცველი, მოსურვეჲ, ცრემლთ-მოყუარჲ, შრომისა მოყუარჲ, საქმისა მოყუარჲ, ნაყოფიერი, სწავლისა მოყუარჲ, მსმენელი, ძვრ-უგსენებელი, უშურველი, თავდადებული, განურისხებელი, უპოვარებისა მოყუარჲ, ვეცხლისა არა მოყუარჲ, დიდებისა არა მოყუარჲ, არამედ ღმრთის მოყუარჲ, გულის ჯმიერი, ბრძენი, განმზრახი, მართლმოქმედი, ღმრთის მსახური, განშორებული ყოველთა ძვრთა საქმეთაგან...“ (VII. 90–110).

არაფერს ამის მაგვარს იაკობთან ვერ ვნახავთ.

(რა თქმა უნდა, ყველა განსხვავება სომხური რედაქციისა მხოლოდ მისი ლიტერატურული გეზით, მხოლოდ მისი ავტო-

რის მიზანდასახულობით არ აიხსნება. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ავტორის ინდივიდუალურ ლიტერატურულ გამოვლებას, ლიტერატურულ ნიჭსა და შესაძლებლობებსაც. ვარსკენის შეილის დასრულების ამბის განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, ეს ეპიზოდი კარგად არის ჩართული თხრობაში; ორიოდე სიტყვით ცოცხალი სურათია დასატული იმისა, თუ როგორ ეკრძაღვიან მგლოვიარე შუშანიკს მისი თანამგრძნობი მოწესენი (II. 76—80); გონებამახვილურად იყო გამართული აფოცის თხოვნა შუშანიკის მიმართ სასახლეში დაბრუნებაზე (IV. 51—59). სომხურ რედაქციაში არის რამდენიმე მშვენიერი შედარება: ვარსკენი შუშანიკს „ვითარცა ღელვამ ზღვსამ კლდესა სცემდა ექუს წელ... გარნა მვნესა მას არა რამ ევნო ამისა ყოვლისაგან“ (XIV. 7—14), ან ცოტა უფრო ადრე: ვარსკენმა ვერაფერი მოუსერხა შუშანიკს, მაგრამ „არა დასცხრა ამაოთა ზრახვათაგან, დაღაცათუ ვითარცა მანქანამ რამჟე მტყიცისა ზღუდისაგან გარე მოიქცეოდა ახოვნისა მისგან“ (XIII. 16—20).

კამრიგად, „შუშანიკის წამების“ ვრცელი სომხური რედაქცია ანტონის რედაქციის მსგავსად ამ თხზულების აგიოგრაფიულ გადამუშავებას წარმოადგენს¹. ამ გადამუშავების პრო-

¹ ჩვენ არ ვაღარებთ მოკლე სომხურ რედაქციას და იაკობის ტექსტს, რადგან ეს უკვე გაკეთებულია ი. აბულაძის მიერ. ამასთან, ეს შედარება რაიმე არსებითად განსხვავებულს არ იძლევა. მხოლოდ გავიმეორებთ, ი. აბულაძის კვლად, რომ მოკლე რედაქციაში წარმოდგენილი ვრცელი რედაქციის ნაწილი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს იაკობის ტექსტთან, ვიდრე შემონახული ვრცელი რედაქცია. მაგალითად, მოკლე რედაქციაში იაკობის ცნობილი ადგილი—შუშანიკის სანახავად მივიღნენ „აზნაურნი დიდდინნი და ზეპურნი ღედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანიო“—უფრო ზუსტად, მთლად სიტყვასიტყვით არის თარგმნილი მოკლე რედაქციაში. მასში, აგრეთვე, არაა ვრცელ რედაქციაში არსებული ცნობა შუშანიკის გვაში ქალებმა განზანესო და სხე. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც ვრცელი რედაქცია უფრო ახლოა ქართულთან. მოკლე რედაქციაში ნათქვამია, თითქოს ეპისკოპოსს ხამოელსა და იოვანეს შუშანიკმა მოუხმო თავისთან. იაკობის თანახმად (და ასევეა ვრცელ სომხურ რედაქციაშიც), ისინი თავისით მიდიან შუშანიკთან. თავის დროზე ი. აბულაძემ ისიც აღნიშნა, რომ მოკლე რედაქციაში შუშანიკის დახაფლავებაში მონაწილე აფოცის მაგიერად შეცდომით სამუელია დახახელებული (აბულაძე, შუშანიკი, 036).

ცესში მან ლიტერატურული თვალსაზრისით ბევრი რამ დაკარგა (ცოცხალი, რეალური პერსონაჟები აგიოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელ სწორსაზოვან სახეებად იქცნენ, დაიკარგა მისი ცხოვრებისეული სიმართლე, ზოგი წმინდა ლიტერატურული ღირსება), დაიკარგა, აგრეთვე, მრავალი ისტორიული და ყოფითი რეალია. მაგრამ თავისთავად ეს გადამუშავება საკმაოდ მაღალ ლიტერატურულ დონეზეა შესრულებული. სომეხი რედაქტორის ნაშრომის გამოცალკევება იაკობის ტექსტისაგან შესაძლებელია, და ფიქრობთ, იგი იმსასურებს ცალკე შესწავლას. ამ რედაქტორის სახით სომხურ ლიტერატურას უთუოდ ჰყავს ნიჭიერი და საინტერესო მწერალი.

✓ ქართულ-სომხური მოკლე რედაქციები

• რაც შეეხება ქართულ-სომხური მოკლე რედაქციების დამოკიდებულების საკითხს, აქ ბევრი არაა გვაქვს, სათქმელია და დავკმაყოფილდებით იმით, რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. უკვე გვაქვს აღნიშნული, რომ მოკლე ქართული რედაქციის აღმომჩენის ნ. მარის აზრით ქართული მოკლე რედაქცია სომხური მოკლე რედაქციის თარგმანია, ეს აზრი გაზიარებულ იქნა სხვათა მიერაც (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე). ოღონდ ი. აბულაძემ ამასთან დაამტკიცა, რომ მოკლე ქართული რედაქცია „რამდენადმე სხვაგვარი ნუსხის მოკლე წამების თარგმანი ჩანს, ვიდრე დღეს-დღეობით ცნობილია“ (აბულაძე, შუშანიკი, 030—031).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. აბულაძემ ქართული მოკლე „წამება“ შეუდარა იაკობისეულს და დამაჯერებლად აჩვენა, რომ იგი (მოკლე „წამება“) ენობრივად უფრო ახალია, უფრო გვიანდელია, ვიდრე იაკობისა (იქვე, 042—044). ეს კი კიდევ ერთხელ ლაპარაკობს იმაზე, რომ სწორი არაა პ. პეტერსის აზრი, თითქოს ვრცელი ქართული რედაქცია სომხურიდან მოკლე რედაქციის თარგმნის შემდეგ და მის საპასუხოდ დაიწერა.

ყოფილებას იქცევს მოკლე სომხური რედაქციის მინაწერი, რომელიც გამოქვეყნებულია სხენებულ რედაქციასთან ერთად „სოფერქ ჰაიკაკანქის“ IX ტომში და რომელიც მოტანილი აქვს ი. აბულაძესაც თავის წიგნში („მარტულობა შუშანიკისი“, 028, შენ. 1). მოგვაქვს ამ მინაწერის აბულაძისეული თარგმანი: „არს სხუადცა უწყებამ წმიდისა შუშანიკისი, რომელსა ეწოდა ვარდანი მამისაგან თვისისა, წმიდისა მის ვარდანისგან, რომელი რიგსა სიტყუათასა წულილად გვჩვენებს, ექუსთა წელთა ენებასა და ნისლითა დაფარვასა უვარ მყოფელისა მის ვაზგენისსა და ოცდა ოთხისა ჟამისა ლოცვისა დაუხრწველსა და მრავალსა ფერად-ფერადსა შეჭირვებასა, რომელ დაითმინა, რომელი უკუეთუ ეძიო მარტირო- [ლო]ღონსა მას ჰპოო და მოიღო, რასაცა ეძიებდე“. ი. აბულაძე იქვე შენიშნავს, მარტიროლოღონი, წამებათა წიგნი, მრავალთავის გარკვეულ სახეს უნდა რქმეოდეთ.)

მითითება სხვა უწყებაზე, ჩანს, არ გულისხმობს ვრცელ სომხურ რედაქციას, რადგან ამ უკანასკნელში არაფერია ნათქვამი ვარსკენის „ნისლით დაფარვასა“ და „ოცდა ოთხისა ჟამისა ლოცვასა დაუხრწველსა“ შესახებ (ასე რომ, როგორც ირკვევა, სომხურად ყოფილა კიდევ სხვა რედაქციაც „შუშანიკის წამებისა“. ჩვენ არ ვიცით, ჰქონდა თუ არა ამ რედაქციას სხვა თავისებურებაც, გარდა ზემოხსენებულისა.)

პ. პეეტერსი შეეცადა დაედგინა მოკლე ქართული რედაქციის სომხურიდან თარგმნის დრო. მოკლე სომხურ რედაქციას ბოლოში აღნიშნული აქვს შუშანიკის გარდაცვალების დღედ 17 ქაღოცი (ისევე, როგორც ვრცელ რედაქციას). იქვე ნათქვამია, რომ დაწესებულ იქნა ამ წმინდანის მოსახსენებელი დღე. რადგან თვითონ დღე აღნიშნული არაა, ალბათ, იგულისხმება, რომ ეს დღე ემთხვევა გარდაცვალების დღეს. ქართულ მოკლე რედაქციაში ამ ადგილას ეს თარიღი არაა, მაგრამ წამებას წინ წამძღვარებული აქვს სიტყვები „თთუესა

ავგუსტოსსა: კ ა:“, საიდანაც ჩანს, რომ წმინდანის მოსახსენებლად განკუთვნილია 21 აგვისტო. გამოდის, რომ მთარგმნელს 17 ქალოცი 21 აგვისტოთი გადმოუღია. 17 ქალოცი კი 21 აგვისტოს ემთხვეოდა 940—944 წლებში (როგორც ცნობილია, ძველი სომხური კალენდარი მოძრავი იყო). ამიტომ, პ. პეტერსის სიტყვით, თარგმანი გაკეთებული უნდა იყოს ამ წლებში. ი. აბულაძე ასეთ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევდა ამ მონაცემს და აღნიშნავდა, რომ მოსახსენებელის დღეების შეჯერება დედანსა და თარგმანში არ იძლევა მტკიცე დასაყრდენს თარგმანის შესრულების დროის განსაზღვრისათვის. „ამიტომაც მგონია, რომ თარგმანის აღმოცენების ხანის განსასაზღვრად მაინც ტექსტების ჩვენებას უნდა მიეცეს უპირატესობა“-ო (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 040). სომხურიდან ქართულად თარგმნილ ძეგლების ერთ ჯგუფს და მათ შორის „შუშანიკის წამების“ მოკლე რედაქციის თარგმანს ი. აბულაძე ზოგადად 840—960 წლებით განსაზღვრავდა (იქვე, 046).

ჯერ კიდევ ალ. ხახანაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სომხური აგიოგრაფიული ძეგლების (მათ შორის „შუშანიკის წამების“ მოკლე რედაქციის) ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს სომეხი მთარგმნელების მიერ (ხახანაშვილი, XXIV). ი. აბულაძემ, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს ძეგლები, გაარკვია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ თარგმანების შემოქმედი და მომხმარებელი წრეები და მათი სამკვიდრო“ ი. აბულაძემ დაასაბუთა, რომ ეს თარგმანები შესრულებულია სომეხი დიოფიზიტების მიერ ტაოს სომხური დიოფიზიტური მოსახლეობისთვის, რომელიც ამ პერიოდში გაქართველების გზას ადგა, რის გამოც იგი საჭიროებდა მწერლობას ქართულ ენაზე. საკუთრივ „შუშანიკის წამების“ მოკლე რედაქციის ქართულ თარგმანზე ი. აბულაძე ამბობს: „ეს ძეგლიც სომხის მიერ ჩანს სომეხთათვისვე ნათარგმნი, რაც გარკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული“-ო (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 050).

ქართულ-სომხური სვინაქსარული რედაქციები

ასლა „შუშანიკის მარტვილობის“ სვინაქსარულ რედაქციებზე. სწერთოდ, სვინაქსარული „წამებები“ მეტად მოკლეა, რის გამოც სხვა რედაქციებთან მათი კავშირის დადგენა ძნელდება, მაგრამ ზოგი რამ მაინც შეიძლება ითქვას.)

ქართული სვინაქსარული „წამება“, როგორც ითქვა, წარმოდგენილია ერთი რედაქციით ორ გვიანდელ, 1718 და 1726 წლების ხელნაწერებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს რედაქცია მოკლეა და ზოგადი, მიგვაჩნია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი იაკობის რედაქციიდან მომდინარეობს და არა მოკლედან. ამაზე ლაპარაკობს სვინაქსარულ რედაქციაში ვარსქენის პიტიახშად მოხსენიება და ცურტავის დასახელება. როგორც ითქვა, მოკლე რედაქციაში ვარსქენი იხსენიება ანთიპატროსად და ქართველთა წინამძღვრად, ცურტავი კი საერთოდ ხსენებულიც არაა.)

სხვათა შორის, ქართულ სვინაქსარულ რედაქციაში ნათქვამია, რომ ქრისტიანობის უარყოფის შემდეგ ვარსქენს „დაეპურა სარწმუნოებაჲ მოჰმადისი“ (ავიოგრაფიული ძეგლები, IV, 385), რაც ცხადია, გვიანდელი ჩანამატია.)

(სხვა რაიმე მნიშვნელოვან ჩვენებას ქართული სვინაქსარული „წამება“ არ იძლევა.)

სომხურად ცნობილია სამი სვინაქსარული „წამება“ და ერთიც შემონახული წმინდა ნინოს ჯვრის საკითხავში. ი. აბულაძის მიერ თავის წიგნში პირველ და მეორე დამატებად დაბეჭდილი ე. წ. წერენცისა და ტერ-ისრაელის სვინაქსარები, როგორც ჩანს, საერთო წარმომავლობისა უნდა იყვნენ. ორივეში ვარსქენი ქართლის პიტიახშად იხსენიება, ორივეში აღნიშნულია, რომ იგი ირანში მაზდეანობის მისაღებად წავიდა ვარდანეანთა აღსრულების შემდეგ; ორივეში ნათქვამია, რომ მან შუშანიკს ლახტით სცემა და ორივე რედაქციის თანახმად შუშანიკს ამ დროს მისი მაზლი ჯოჯიკი მისმარებია (არის მათ შორის მცირედი განსხვავებებიც, მაგალითად, წერენცის სვინაქსარში ნათქვამია, რომ ვარსქენი შუშანიკს სოფლის მათხრებლის შვილს უწოდებდა, რომ შუშანიკი „მატლსავსე“ შეიქნა; აღნიშნულია, რომ შუშანიკის

დასაფლავებისას შეიკრიბა მრავალი მღვდელი და ეპისკოპოსი. ტერ-ისრაელის სვინაქსარში კი ვარსქენზე დამატებით ნათქვამია, რომ ის „მეფობდა მცხეთას“.)

(ი. აბულაძის მიერ მესამე დამატებად დაბეჭდილი სვინაქსარიც, თუმცა ბევრად უფრო მოკლეა პირველ ორზე, საფიქრებელია, მათთან უნდა იყოს კავშირში: ამ სვინაქსარშიც ვარსქენი პიტიასშია და მასშიც ნათქვამია, რომ შუშანიკს „სხეული იგი მატლ-სავსე ექმნა“.)

ზემოდასახელებული ზოგიერთი რეალია, ვფიქრობთ; გვიჩვენებს, რომ სომხური სვინაქსარული „წამებები“ ვრცელი სომხური რედაქციიდან უნდა მომდინარეობდნენ. როგორც უკვე ითქვა, მოკლერედაქციაში ვარსქენი იხსენიება არა პიტიასში, არამედ ანთიპატროსად და წინამძღვარად, ხოლო ჯოჯიკი საერთოდ არაა მოხსენიებული. ვრცელ რედაქციასთან წერენცისას აახლოებს ისიც, რომ მასშიც, ვრცელის მსგავსად, ვარსქენი შუშანიკის მამას ქვეყნის მათხრებელს უწოდებს. მართალია, წერენცისა და მესამე სვინაქსარებში ნათქვამია, რომ შუშანიკს მატლები დასვევია, რაც არაა ამაჟამად ცნობილ ვრცელ სომხურ რედაქციაში და არის მოკლეში; მაგრამ ამაზე ჩვენ უკვე გვექონდა მსჯელობა, როდესაც ვიხილავდით უხტანესის ნამუშევარს. იქ აღნიშნული იყო, რომ ცნობა შუშანიკზე დახვეულ მატლებზე უნდა მომდინარეობდეს იმ არმოდწეული ვრცელი სომხური რედაქციიდან, რომელიც უფრო ახლო მდგარა იაკობის ტექსტთან, ვიდრე დღესდღეობით ცნობილი.)

სვინაქსარული რედაქციები, რაღა თქმა უნდა, გვიანდელია. (ი. აბულაძე აღნიშნავდა, „სვინაქსარულ წამება-ცხოვრებათა კრებულების ძველ ხელნაწერებს სომხურში XIII ს.-დან ეხედებით“-ო (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0173).

(წმ. ნინოს ჯვრის საკითხაჲში ჯერ ძალზედ მოკლედ გადმოცემულია შუშანიკის წამება, შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გადაგზავნა შუშანიკმა სომხეთში მცხეთის ჯვარი, დაბოლოს გადმოცემულია ამ ჯვარის ისტორია იმ დრომდე, როდესაც ეს ჯვარი საერთოდ დაკარგულა (1236 წ.). შუშანიკის წამების აღწერა ძალზედ მოკლეა, მისი დაკავშირება რომელიმე რედაქციასთან ძნელია, მაგრამ საკითხავის კომპო-

ზიციას, როგორც ითქვა, მიყვართ აპრონ ვანანდუცის თხზულებამდე.

ჯვრის საკითხავში არსებული შუშანიკის წამების აღწერა არაფერს ახალს არ იძლევა. უფრო საინტერესოა მომდევნო ნაწილები: შუშანიკის წამების აღწერის შემდეგ ნათქვამია: „წმიდამ იგი შუშან უფარის მყოფობასა ქმრისა თვისასა ეძებდა, რმცა წარგზავნა ჯუარი იგი ქართლისა წინამძღურისა ნინოასს თვისა მას სამეკედროსა სოფელსა ტარონს. და მოვიდა მისდა ბერი ერთი, რომელსა ერქუა ანდრეა, ლაზარშს სავანეთაგან, რომელ არს სამოციქულოა მუშს და წმიდამან მან შუშან შეწყენითა მაზლისა თვისა ჯოჯიკისითა მისცა ჯუარი იგი ბერსა მას ანდრეას წარღებად წმიდასა მას სამოციქულოსა ლაზარშს სავანესა... და მან მოილო წმიდამ იგი ჯუარი და სხუამ მრავალი ნიში ჯუართამ და სამსახურებელი წმიდათა მათ ეკლესიათა მცხეთისათამ“ (აბულაძე, შუშანიკი, 60).

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ რა იგულისხმება წმინდა ნინოს ჯვარში. ამისი დადგენა შეიძლება აპრონ ვანანდუცის თხზულებიდან, სადაც ნათქვამია, რომ წმ. ნინოს მიერ კერპების დამსხვრევის შემდეგ მცხეთის აღმოსავლეთით პატარა მდინარის გადაღმა ბორცვზე აღმართეს ხის ჯვარი, რომელსაც დილაობით თაყვანს სცემდნენ სახლის ბანებზე გამოსული ქალაქის მცხოვრებლები. (ნინომ ეს ჯვარი მოაჩუქურთმებინა, ღმერთმა კი სასწაული მოაეღინა, თავის მხრივ ამ ჯვარმა შემდგომში მრავალი სასწაული მოახდინა.) როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეს ცნობები აპრონს აღებული აქვს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ II წიგნის 86-ე თავიდან.)

ცხადია, აქ ლაპარაკია იმ დიდ ხის ჯვარზე, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად აღუმართავთ არაგვის გადაღმა მთის წვერზე (ავიოგრაფიული ძეგლები, I, 86, 154—157). ამ ადგილას შემდგომ ააშენეს ჯვრის ტაძარი, რომლის შუაგულში იდგა ხსენებული ჯვარი. მისი პოსტამენტი ახლაც შენახულია.)

(ნინოს ჯვრის საკითხავის (მასთან ერთად კი აპრონისაც) შემოთმობიანი ცნობა, თითქოს ეს ჯვარი შუშანიკს გადაეგზავნოს სომხეთში, ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.)

ხსენებული ჯვარი თავის ადგილას იდგა დიდხანს შუშანიკის ვარდაცვალების შემდეგაც, ჯერ ღია ცის ქვეშ, შემდეგ კი, როგორც ითქვა, ჯვრის ტაძარში. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე „ეპისტოლეთა წიგნში“ არაერთხელაა ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ჯვარზე სალოცავად მრავლად დადიოდნენ სომხეთიდანაც. ცხადია, აქ სწორედ სის ჯვარი იგულისხმება და არა ჯვრის ტაძარი, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნის“ სათანადო წერილების დაწერის დროისთვის ერთი-ორი წლის დამთავრებული თუ იყო. ცხოველმყოფელად და სასწაულმოქმედად ითვლებოდა სწორედ ნინოს მიერ აღმართული სის ჯვარი და არა ახლადაგებული ტაძარი.

წმასთან დაკავშირებით კ. ტერ-დავითანი წერს: „აპარონ ვანანდეცი“ თავის პატარა ნაშრომში „ნუნეს (წმ. ნინო) ჯვრის ისტორია“ ლაპარაკობს თავის წყაროებზე. მათ შორის ახსენებს V ს. ავტორის ანდრეასის ნაშრომს, რომელთანაც კავშირში ლაპარაკობს შუშანიკზე. თავის დროზე ანდრეასმა შუშანიკის დავალებით სომხეთში გადაიტანა ნუნეს ჯვარი და დაწერა „ჯვარის მოტაცების ისტორია“. ანდრეასი იყო სააკ პართევის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, წმ. ლაზარის მონასტრის წინამძღვარი ტარონში. იგი შუშანიკთან ერთად წავიდა საქართველოში, იყო ნათლია და სულიერი მამა მისი სამი ვაჟისა და ქალისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ის იყო „შუშანიკის წამების“ ავტორი“ (ტერ-დავითანი, 197).

როგორც ვხედავთ, კ. ტერ-დავითანის აზრით, ანდრეასს შუშანიკის დავალებით ნინოს ჯვარი გაუტაცია სომხეთში და შემდეგ ამ გატაცების ამბავი აღუწერია კიდევაც (დაუჯერებელი ამბავია. შუშანიკის დროს ქართლი და სომხეთი ერთ სარწმუნოებრივ მრწამსს აღიარებდნენ. როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ სომხეთის ეკლესიის მსახურთ მეზობელ, ერთმორწმუნე და უაღრესად მეგობრულად განწყობილ ქართლიდან მისი უდიდესი (არა მარტო მნიშვნელობით, არამედ ფიზიკურადაც) რელიქვია გაეტაცნათ და მერე ამითი თავიც მოეწონებინათ და წიგნიც დაეწერათ?! თანაც ვის უნდა გაეკეთებინა ეს? სომხეთის განმანათლებლისა და ანბანის ერთ-ერთი გამომგონებლის საპაკის მოწაფესა და მონასტრის წინამძღვარს! მეტიც შეიძლება ითქვას: გამოდის, რომ სომხურ

ეკლესიას ჯერ მოუტაცია ნინოს ჯვარი და გაუძარცვავს მცხეთის ეკლესიები, შემდეგ კი ისევ აგზავნიდა მლოცველებს თავის მიერვე გაძარცულ სამლოცველოებში, რომელთა ძირითადი სიწმინდე სომხეთში იყო! გავიხსენოთ სომხეთის კათალიკოს აბრაამის მიწერილი კირიონისადმი (607 წ.): „არა ჯერ არს, რომ თქვენმა სიწმინდემ უცხოობა ჩამოაგდოს ორ ქვეყანას შორის და განაშოროს სიყვარული, ხორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება, რომ არავინ მოვიდეს მანდ სალოცავად მაგ წმინდა ჯვარს...“ (ეპისტოლეთა წიგნი, 67). ან კირიონის საყვედური ერკანის მარზპანს „დაიშაღეთ ჩვენთან მოსელა, რომ თაყვანი გეცათ მცხეთის პატიოსნისა და ცხოველმყოფელი წმინდა ჯვრისათვის, რომლისაგან, ევედრნენ რა მიენიჭე შენს მამასა და დედას, მის წინაშე აღიზარდე და სიკეთეს ეწიე“ (იქვე, 78–79). ძნელი წარმოსადგენია ისიც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მალულად გატანა ამ უზარმაზარი ხის ჯვრისა, რომელზედაც ქართლის დედაქალაქის მთელი მოსახლეობა ლოცულობდა. ან საიდან მიუწვდებოდა სელი შუშანიკს მასზე და „სხუათა მრავალთა ნიშთა ჯუართათა და სამსახურებელთა წმიდათა მათ ეკლესიათა მცხეთისათა“, რომელიც შუშანიკს თითქოს ასევე გადაუგზავნია სომხეთში (და ისიც მისი წამების დაწყების შემდეგ)?

(ეს ცნობა, ვფიქრობთ, ასეთნაირად უნდა აიხსნას: ჩანს, სომხურ ეკლესიას ჰქონდა წმინდად მიჩნეული რაღაც ნიეთები, რომლებიც ქართული წარმოშობისად ითვლებოდა. მას შემდეგ, რაც სომხურ-ქართულ ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა, ერთ-ერთი ამ სიწმინდეთაგანი გაიგივებულ იქნა ცნობილ რელიქვიასთან — ნინოს მცხეთის ხის ჯვართან¹. რადგან სომხურსა და ქართულ ეკლესიებს შორის ურთიერთობა გაწყვეტილი იყო, ბუნებრივი იყო წარმოშობილიყო შესედულება, რომ ეს ნიეთები გატაცებული იყო ქართლიდან) განხეთქილების შემდეგ სომხური ეკლესიის თვალსაზრის-

¹ თუნდაც რომ მივიღოთ, როგორც ამას ფიქრობს დ. აღიშანი, თითქოს დაედაპირებოდა ის პატარა ჯვარი იგულისხმებოდა, რომელიც ნინომ თავისი სელით გააკეთა ვაზის ნასხლევისაგან, ეს ჯვარიც სომ უდიდესი (შეიძლება უფრო დიდიც, ვიდრე მცხეთის ხის ჯვარი) რელიქვია იყო და არც მისი გატაცება იქნებოდა აგრერიგად ადვილი.

სით ქართული ეკლესია გზას იყო გადაცდენილი, ამიტომ ასეთი დიდი რელიქვიის გატაცება შეიძლება უღირსთაგან მის გადარჩენადაც კი ჩათვლილიყო. სომხეთში შუშანიკი ცნობილი იყო პატრიოტ მოღვაწედ და, ბუნებრივია, რომ ეს ამბავიც მის სახელს დაუკავშირდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ანდრეასის თხზულება უსათუოდ ფსევდოეპიგრაფიკული უნდა იყოს. ასეთი რამ შეიძლებოდა დაწერილიყო მსოლოდ ქართულ-სომხურ ეკლესიათა განხეთქილების შემდეგ და არავითარ შემთხვევაში V საუკუნეში, როდესაც ქართველებსა და სომხებს შორის საეკლესიო ერთიანობა იყო და ისინი მხარდამხარებროდნენ ირანელ დამპყრობლებს.)

კ. ტერ-დავითანს მიაჩნია, რომ ანდრეასი უნდა ყოფილიყო „შუშანიკის წამების“ ავტორი. ეს აზრი, ჩანს, დამყარებულია იმაზე, რომ აპარონის თხზულებაში მოთხრობილია შუშანიკის წამება, თვით აპარონი კი თავის წყაროებში ასახელებს ანდრეასს. მაგრამ აპარონი ამბობს, რომ მას ცნობები ამოუღია „აგათანგელე ისტორიკოსისაგან, შუშანიკის წამებიდან“ წმ. საპაკის ცხოვრებიდან და ანდრეას მოწესისაგან“ და სხვ. სავსებით აშკარაა, რომ ცნობებს შუშანიკზე აპარონი მის მიერ დასახელებულ „შუშანიკის წამებიდან“ ამოიღებდა, ანდრეასის თხზულება კი, ეტყობა, სხვა რაღაცას შეეხებოდა, შესაძლებელია, მართლაც ჯვარის მოტაცებას. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც სწორად შენიშნა ი. აბულაძემ, აპარონს თავისი წყაროები ჩამოთვლილი აქვს იმავე თანამიმდევრობით, როგორც აქვს მის მიერ აღწერილ ამბებს: თავის წყაროებში აპარონი პირველად ასხენებს აგათანგელოსს, რადგან თუმცა კი ჯვრის აღმართვის ისტორია მას ხორენაცისგან აუღია, მაგრამ ამ უკანასკნელთან შესაბამისი თავის ბოლოს ნათქვამია, ამაზე აგათანგელოსი მოგითხრობსო. ამდენად აპარონს, ჩანს, ჩაუთვლია, რომ მისი წყარო აგათანგელოსი ყოფილა. ჯვრის აღმართვის შემდეგ აპარონი შუშანიკის ამბავს ყვება და თავის წყაროებშიც „შუშანიკის წამებას“ ასახელებს. შემდეგ აპარონი წმ. საპაკის ცხოვრებასა და ანდრეასს მოიხსენიებს. ჩანს, საპაკის ცხოვრება და ანდრეასის ცნობები აპარონს შუშანიკის წამების მომდევნო ამბების აღწერისთვის

გამოუყენებია, კერძოდ, ანდრეასის ცნობები, მართლაც ჯვრის გადატანასთან დაკავშირებით ექნებოდა გამოყენებული. ასეთ თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ აპარონის ამ მოსაზრების მიხედვით, ანდრეასი არავითარ შემთხვევაში არაა „შუშანიკის წამების“ ავტორი.

საიდან აქვს პატივცემულ კ. ტერ-დავითანს ცნობა იმის შესახებ, რომ ანდრეასი შუშანიკს ქართლში გაჰყოლია და მისი ყველა შვილის ნათლიაც გამხდარა, ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, თვით ნინოს ჯვრის საკითხავით ეს არ დასტურდება. საკითხავის თანახმად, ანდრეასი შუშანიკთან მისულა ვარსქენის განდგომისა და შუშანიკის წამების დაწყების შემდეგ. ამდენად, ანდრეასი შუშანიკს სომხეთიდან არ გაჰყოლია და ვერც მისი შვილების ნათლია გახდებოდა (შუშანიკის წამების დაწყების შემდეგ მისი შვილები გამაზდენდნენ; არათუ მოინათლნენ). ამასთან, ანდრეასმა „მოიღო წმიდა იგი ჯუარი და სხუა მრავალი ნიშია ჯუართაჲ და სამსახურებელი წმიდათა მათ ეკლესიათა მცხეთისათაჲ და წარემართა, მოვიდა და მოაღწია სოფელსა სპერს. და მერმე ვერდა ეძლო წარსლვაჲ შფოთისაგან და აღძრვისა გზისა მის, არამედ მუნ დაადგრა და იყოფოდა წელ შჳდ მღჳმესა ერთსა მთისა მის სპერისასა, ვიდრემდის ესმა კეთილი აღსასრული იგი შუშანიისი“ (აბულაძე, შუშანიკი, 61). როგორც ვხედავთ, იმდროისთვის, როდესაც ანდრეასს შუშანიკის სიკვდილი გაუგია, იგი უკვე შეიღწეულია მღვიმეში მჯდარა. ერთის მხრივ, ეს ეწინააღმდეგება იმავე საკითხავის ცნობას; რომ ანდრეასი შუშანიკთან მივიდა მისი წამების დაწყების შემდეგ. რადგან წამება, როგორც ვიცით, ექვს წელს გაგრძელდა. მეორეს მხრივ, თუ შუშანიკის გარდაცვალების დროისთვის ანდრეასი უკვე შეიღწეული იჯდა მღვიმეში, ცხადია, შუშანიკის წამებას ის არ დასწრებია. ამავე დროს აშკარად ჩანს, რომ „შუშანიკის წამება“ მღვიმეში ყურმოკრული ცნობებით არაა დაწერილი. ამგვარად, „შუშანიკის წამების“ ავტორად ანდრეასის მიჩნევისათვის არავითარი რეალურა საფუძველი არა ჩანს.

(ყურადღებას იმსახურებს საკითხავში წარმოდგენილი ჯვრის შემდგომი ისტორია. როდესაც ანდრეასს გაუგია შუშა-

ნიკის სიკვდილის ამბავი, წასულა შმაიაკ მამიკონიანის (შუშანიკის ბიძის) შვილთან, გრიგორთან, კაპუტის ციხეში. იქიდან ჯვარი გადაუტანიათ ვანანდს, ვანანდიდან ანისს. მონღოლების მიერ ანისის აღების დროს ჯვარი დაკარგულა.)

საკითხავში აღნიშნულია, თუ სად რამდენი ხანი დაჰყო ჯვარმა: ჯვარი მიართვეს „ანისს კათალიკოსსა სომეხთასა 143 წელსა¹ და ოცდამეათესა წელსა უფლებასა ტაჭიკთა ამირაჲსა მის მანუჩსსა, ძისა შორისსა. და აწ საცნაურ არს ყოფამ წმიდისა მის ჯუარისაჲ მცხეთას 175 წელ, და კაპუტსა და ვანანდს და წმიდასა მას ჯუარისა სავანესა 459 წელ. და ქალაქსა კარს 164 წელ. და გამოსლვითგან მცხეთით მოსლვადმდე ანისს 796 წელ და 142 წელ ანისს იყო მოისართა ნათესავადმდის, რომელ [არიან] თათარნი, სადაცა მიეფარა ქალაქისა მის ანისის აღებასა და არა ვინ უწყის, თუ რაჲ ეყო ყოვლად ძლიერსა მას ძელსა ქრისტესსა, რომელსა პატივი და თაყუანის ცემამ და დიდებამ უკუნისამდე, ამჴნ“ (აბულაძე, შუშანიკი, 63). მონღოლებმა ანისი აიღეს 1236 წ. იმ დღიდან, რაც ანდრეასმა გაიგო შუშანიკის სიკვდილი ვიდრე მონღოლების მიერ ანისის აღებამდე, ჯვარი სხვადასხვა ქალაქში ყოფილა 765 (459 + 164 + 142) წლის განმავლობაში. მაშასადამე, გამოდის, რომ შუშანიკის გარდაცვალება ანდრეასს გაუგია 471 წ. (1236—765—471). მეტად საინტერესო დამთხვევაა. როგორც ვნახავთ, შუშანიკის გარდაცვალება, მართლაც, 471 წ. ასლო დროზე უნდა მოდიოდეს. ამიტომ ზოგი ავტორის მიერ ეს ცნობა საკმაოდ ხანდოდ არის მიჩნეული (გორგაძე, შუშანიკი, 37; კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 1923, 123; იგივე, 1960, 117; მისივე, აგიოგრაფიული ძეგლები, 9; აბულაძე, შუშანიკი, 032 და სხვ.). მაგრამ არც მისი ზედმეტად შეფასება ივარგებს, რადგან თუ ამ საკითხავის სხვა ცნობებსაც შევამოწმებთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი არაა მთლად ზუსტი. მაგალითად, „საკითხავში“ ნათქვამია, რომ ნინოს ჯვარი მცხეთაში 175 წელს იყო. მაგრამ „საკითხავის“ თანახმად ანდრეასმა ნინოს ჯვარი მცხეთიდან წაიღო შუშა-

¹ დედანში წლები მოცემულია სომხური ასოებით, ჩვენ პირდაპირ ციფრებით ვიძლევიტ, ქართულ ასოებზე გადაყენის გარეშე.

ნიკის სიკვდილამდე 7 წლით ადრე, ე. ი. 464 წ. გამოდის, რომ მცხეთაში ჯვარი აღუმართავთ 289 წ., რაც შეუძლებელია, რადგან ქართლის გაქრისტიანება ნახევარი საუკუნით უფრო გვიან ივარაუდება, IV ს. 30-იან წლებში (ნარკვევები, II, 72—73). საკითხავის მიხედვით მცხეთიდან ჯვრის გატანის დროიდან ანისში მის მოხვედრამდე 796 წელი გასულა, რაც ეწინააღმდეგება თვით იმავე ტექსტის მონაცემებს, საიდანაც ჩანს, რომ ნინოს ჯვარი ანისში მოხვედრილა მცხეთიდან წაღებიდან 630 წლის გასულს (მღვიმეში 7 წ. + კაპუტსა და ვანანდში 459 წ. + კარსში 164 წ.). უკანასკნელი ანგარიშის შესაბამისად, ჯვარი ანისში მიუტანიათ 1094 წ. (464 + 630). მართლდება ის ცნობა, რომ ანისში ჯვარი 142 წელი იყო, რადგან $1094 + 142 = 1236$. მაგრამ ბარსელი, რომლის ბრძანებითაც „საკითხავის“ თანახმად, მიუტანიათ ჯვარი ანისში, კათალიკოსობდა 1105—1113 წლებში (ორმანიანი, სომხური ეკლესია, 200). თუ მცხეთიდან ჯვარის გატანასა და ანისში მის მოხვედრას შორის 796 წელს დავდებთ, ეს კიდევ უფრო დაცილდება სინამდვილეს ($464 + 796 = 1260$). შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ 796 წელი თავდაპირველად დასახელებული იყო ჯვრის აღმართვის დღიდან და არა მცხეთიდან გატანიდან, მაგრამ არც ამ შემთხვევაში მივიღებთ ზუსტ რიცხვს ($289 + 796 = 1085$).

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ცნობას მეტ-ნაკლებად აკლია სიზუსტე. ამიტომ სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ იმ ცნობასაც, რომლის თანახმად შუშანიკი 471 წ. გარდაცვლილა.

ამრიგად, ნინოს ჯვრის სვინაქსარული საკითხავის განსილვა გვიჩვენებს, რომ მასში აღწერილი შუშანიკის წამება, ნინოს ჯვრის მოტაცება და ამ ჯვრის ისტორია (912 წლამდე) აპარონ ვანანდეცის თხზულებიდან უნდა მომდინარეობდეს. თავის მხრივ აპარონს ჯვრის მოტაცების ამბავი აღებული უნდა ჰქონდეს ანდრეასის სახელნატიყუარი თხზულებიდან. ნინოს ჯვრის საკითხავში დამატებული უნდა იყოს ჯვრის ისტორია 912—1236 წლებში. როგორც, ალბათ, დავრწმუნდით, (თვით ჯვრის მოტაცების ამბავი არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს და გვიანდელი ლეგენდა უნდა იყოს. კმ

შემთხვევაში ეს ლეგენდა ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რაოდენ სიყვარულით სარგებლობდა შუშანიკი და როგორ ფასდებოდა მისი მოღვაწეობა შუა საუკუნეების სომხეთში. ჯერის საკითხავში შემონახულია მეტად საინტერესო ცნობა შუშანიკის გარდაცვალების თარიღზე, ამასთან, საკითხავის სხვა ცნობების შემოწმება გვიჩვენებს, რომ ცნობა შუშანიკის გარდაცვალებაზე გარკვეულ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს.

დაბოლოს, ვამთავრებთ რა შუშანიკის სვინაქსარულ წამებათა მიმოხილვას, უნდა ავღნიშნოთ, რომ რაიმე კავშირი სომხურსა და ქართულ სვინაქსარულ „წამებებს“ შორის არ შეინიშნება.

უნდა ითქვას ისიც, რომ სვინაქსარული რედაქციები (ქართული იქნება ის თუ სომხური, რაიმე არსებითად ახალს „შუშანიკის წამების“ ისტორიისათვის არ იძლევიან. ისინი გვიჩვენებენ მხოლოდ იმას, რომ ქართლშიცა და სომხეთშიც შუშანიკის წამების ამბავით დაინტერესება გრძელდებოდა გვიან საუკუნეებშიც. ამასთან, სომხეთში შუშანიკის პიროვნებას როგორც ქრისტიანობისთვის მოწამისა სულ უფრო ემატებოდა სომეხი პატრიოტიზმა და სომხური კულტურისათვის თავდადებული მოღვაწის სახელი.

V. „შუშანიკის წამების“ ავტორისა და დაწერის თარიღისათვის

როგორც ცნობილია, იაკობის თხზულება დაწერილია პირველ პირში შუშანიკის მოძღვარის სახელით. საერთოდ, პირველ პირში თხრობა მაჩვენებელია ან ნაწარმოების ავთენტურობისა, ან მისი ფსევდოპიგრაფიკულობისა, როდესაც ავტორი ცდილობს თავისი თხზულება ადრინდელი ეპოქის, სულაც მოთხრობილი ამბების დროს დაწერილად წარმოადგინოს. „შუშანიკის წამების“ მიმართ პირველ პირში თხრობა, უეჭველია, მის ავთენტურობაზე ლაპარაკობს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ეყრდნობიან რა ვრცელ ქართულ რედაქციას, მის ავტორად შუშანიკის მოძღვარ იაკობს მიიჩნევენ (ანტონი, მ. ბროსე, მ. საბინინი, ს. გორგაძე, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე და სხვები და სხვები).

მეორეს მხრივ, ვრცელ (ისევე როგორც მოკლე) სომხურ რედაქციაში თხრობა მესამე პირით წარმოებს და მოთხრობის ავტორიც არა ჩანს. ამიტომ მათთვის, ვინც სომხური რედაქციიდან ამოდის, „წამების“ ავტორი თუმცა კი შუშანიკის თანამედროვეა, მაგრამ მისი პიროვნება ასე რიგად გარკვეული არაა, ან სრულიად უცნობია (მ. ორმანიანი, მ. აბელიანი, ა. მკრტიჩიანი), ან სხვადასხვა პირია. მაგალითად, დ. ალიშანს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ „წამების“ ავტორი ვარსკენის კარის ეპისკოპოსი იოანე იყო (ალიშანი, 1901, 187). აქ უნდა გათვალისწინებული იქნეს ის, რომ რადგან სომხური ვრცელი „წამების“ ვენეციურ ნუსხასა და მოკლე რედაქციაში ვარსკენის სასახლის ეპისკოპოს აფოცის სახელი საერთოდ არ იხსენიება, ალიშანს, ჩანს, ასეთად მიუჩნევია იოანე, რომელიც იაკობის მოთხრობის მიხედვით ეპისკოპოსთა თავის სამოელების „მოყუასი“ იყო. მაშასადამე, ალიშანს „შუშანიკის წამების“ ავტორად ფაქტობრივ ქართული ვრცელი რედაქციის აფოცი ჰგონია. ვენეციის სომხურ ხელნაწერთა კოლექციის

აღმწერელი ბ. სარგსიანი „წამების“ ავტორად ვინმე ვარდანს ასახელებს (აბულაძე, შუშანიკი, 060, შენ. 2). კ. ტერ-ღავთიანს „წამების“ ავტორად, როგორც ვნასეთ, მიაჩნია ანდრეასი, რომელსაც თითქოს ნინოს ჯვარი და სხვა ძვირფასეულობა შუშანიკის დავალებით სომხეთში წაუღია (ტერ-ღავთიანი, 197).

როგორც დავრწმუნდით, სიძველისა და შენახულობის თვალსაზრისით ქართული ვრცელი რედაქციის პრიორიტეტი სრულიად უეჭველია. ამიტომ, ცხადია, უპირატესობაც მის ჩვენებას უნდა მივანიჭოთ და მის ავტორად შუშანიკის მოძღვარი, სუცესი იაკობი, უნდა მივიჩნიოთ.

(იაკობზე ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს შემორჩენილი; გარდა იმისა, რაც შეიძლება ამოგერიფოთ თვით „შუშანიკის წამებიდან“.

„წამების“ თხრობის მანერა, ინტონაცია ჩვენზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მისი დაწერი სნიერი კაცი არ უნდა ყოფილიყო. ამაზე თითქოს ზოგი სხვა მონაცემიც ლაპარაკობს: იაკობი ჩქარა, სწრაფად მოძრაობს.) როდესაც ვარსქენის განდგომის ამბავი გაიგეს აფოცმა და იაკობმა, რომლებიც ამ დროს ცურტავიდან გასული ყოფილან, ვიღაც წმინდა კაცთან, იაკობმა არ დაუცადა აფოცს. სასწრაფოდ გაეშურა შუშანიკისკენ. „ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ“ (III. 9—10). შუშანიკთან მყოფ იაკობს თავისთან უხმო ვარსქენმა. „და მივისწრაფე და მივედ“-ო (VII, 33), გვიამბობს იაკობი. ციხეში შუშანიკთან „მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რავდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და ვიჯმენ, მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“ (X. 14—16)¹. იაკობი თანაუგრძნობს შუშანიკს: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედვედ“ (III. 17—19). მართალია, შუშანიკი დედოფალია და ამდენად იაკობმა თავისი თავი შეიძლება სხვა ქვეშევრდომებთან ერთად მის შვილად მოიხსენიოს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ ადგილის მიხედვით მისი ახალგაზრდობაც ვივარაუ-

¹ ამავე ფრაზებს ყურადღება მიაქცია თ. ჭილაძემ, ოღონდ რამდენადმე სხვა თვალსაზრისით.

დღოთ? იაკობი ხომ თავის მხრივ შუშანიკის მოძღვარი, მისი სულიერი მამაა. იქნებ შემთხვევითი არაა, რომ შუშანიკი არასოდეს არ მიმართავს იაკობს „მამაო“-თი, არამედ მხოლოდ ასე — „ხუცეს“ (შვიდჯერ, III. 14; VII. 18, 22, 27; X. 13; XV. 7, 10)? ასევე მიმართავს იაკობს ვარსკენიც (VII. 33).

როგორც იაკობის მოთხრობიდან ირკვევა, „წამების“ დაწყებისას, ე. ი. 469 წ., შუშანიკი დაახლოებით 35 წლისაა. ამ დროს მას ოთხი შვილი ჰყავს. უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფლის, 35 წლის ქალისა და ოთხი შვილის დედის მოძღვარი ბევრით უმცროსი არ იქნებოდა თავის სულიერ შვილზე. საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის იგი ოცდაათ წელს მაინც იქნებოდა მიღწეული. მართლაც, „წამებიდან“ ჩანს, რომ იაკობი უკვე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილების კაცია. იგი საკმარისად თავდაჭერილია, საქმეში აუჩქარებელი და ღრმად მოაზროვნე. გავიხსენოთ შუშანიკის შეკითხვა, დაუბრუნოთ თუ არა ვარსკენს მისი სამკაულიო. იაკობი პასუხობს — რა გეჩქარება, „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“ (VII. 28—29). ჩანს, იაკობი ღრმად იხედება შუშანიკის გულში და იცის, რომ მას ჯერ არა აქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი ვარსკენთან გაყრა. ასევე გრძნობს იგი ვარსკენის განწყობასაც. არც ის უნდა, ალბათ, რომ მისმა სულიერმა შვილმა გაწყვიტოს, იქნებ; უკანასკნელი ძაფი ცოლ-ქმრული კავშირისა.

(იაკობი ერთგულია შუშანიკისა. როგორც კი გაიგებს მისი გაჭირვების ამბავს, მიატოვებს აფოცს და მასთან გაჩნდება.) შემდგომშიც, შუშანიკისთვის უმძიმეს წუთებში, იგი მის გვერდითაა, ამხნეებს, ჭრილობებს ბანს, თავისი ხელით აჭმევს. ამასთან აღსანიშნავია იაკობის განსაკუთრებული მგრძნობიარობა. იაკობზე მოქმედებს შუშანიკის მძიმე მდგომარეობა, იგი სშირად ტირის თანაგრძნობისაგან (III. 7, 10—11; VII. 12; X. 12; XV. 10). რომ ტირილის აღნიშვნა იაკობის მხრივ მხოლოდ რიტორიკა არ არის, ჩანს იქიდან, რომ მას ამშვიდებენ. პურისჭამის დროს ნაცემი შუშანიკის ნახვისას იაკობს სმამაღლა დაუწყია ტირილი: „და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული და აღუტევე კმა და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთვის...“ (VII. 11—13). ციხეში რომ შუშანიკი ნახა

იაკობმა „...ვითარ ვერ დაპითხო გულმან, ვტიროდე ფრიად. სოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს?“ ჩანს, იაკობი ისე სმამალლა („ფრიად“) ტიროდა, რომ შუშანიკებია ციხის მცველიც, რომელმაც იგი ჩუმად შეუშვა ციხეში, ვარსკენის ბრძანების საწინააღმდეგოდ. მცველი ეუბნება იაკობს, ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდიო („ესლა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“. X. 11—14). შუშანიკმა აჩვენა იაკობს თავისი წყლულები და ტანზე დახვეული მატლები. ეტყობა, იაკობზე ამან ისე იმოქმედა, რომ შუშანიკი ამჟღავნებს: „ხუცეს, ნუ, გინჩნ ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების“. და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებლად დიდად მწუსარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად“. მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუსარე სარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმა აქავე ამას ცხორებასა“ (XV. 7—11). პირდაპირ შესანიშნავი ადგილია თავისი რეალიზმით. ეტყობა, შუშანიკი გაღიზიანებულია კიდევაც იაკობი რომ ვერ დაამშვიდა!

(ამავე დროს იაკობს არც სიფრთხილე ღალატობს: „შუშანიკთან შესვლა ვარსკენისგან აკრძალულია და იაკობიც ცდილობს ტყუილად არ გააღიზიანოს იგი) „და მე ვისწრაფდი გამოსლვად“ (VII. 26) შუშანიკისგანო, ამბობს იგი. ეს შიში არაა, სიფრთხილეა, წინდახედულებაა. იაკობი ხომ არ მოერიდა შუშანიკთან შესვლას, თუმცა ვარსკენს ნაბრძანები ჰქონდა „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“-ო (VII. 5). კიდევ უფრო სასტიკად აკრძალა ვარსკენმა შუშანიკთან მნახველების შეშვება ციხეში. ამ შემთხვევაში (იაკობმა ქრთამიც კი მისცა მცველს და მანაც იგი ღამე დაიბარა მარტო, დღისით შეშვება, ჩანს, მაინც ვერ გაბედა. როგორც ვხედავთ, როდესაც საჭიროა, იაკობი საკმაოდ გაბედულია. იაკობი შუშანიკის ყველა საქმეებშია ჩასედული. მან იცის, რომ შუშანიკს საიდუმლოდ ესმარებიან ეპისკოპოსები სამოელი და იოვანე) (ამაზე უფრო დაწვრილებით — შემდგომ).

იაკობი მართლაც რომ გულთამხილავია, მას ესმის ადამიანის სულის ყოველი მოძრაობა. ასეთი ადამიანურობით სუნთქავს მისი მოთხრობა. იაკობმა მშვენიერად იცის, რომ

ადამიანის მოქმედება ყოველთვის როდი გამოხატავს ამ მოქმედების ნამდვილ მოტივებს. როდესაც შუშანიკმა გაიგო ვარსკენის გამაზღვანება, საქვეყნოდ გლოვა გამოაცხადა, დაბლა დავარდა, თავი მიწას ურტყა, ეკლესიაში წაიყვანა შვილები, სასახლე მიატოვა და რომელიღაც პატარა სახლაკში გადასახლდა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედებოდა მთელ ცურტავს და, ალბათ, მის ირგვლივაც მდებარე ადგილებს. აკი იაკობი ამბობს, რომ ცურტავს გარეთ მყოფ აფოცთან და ჩემთან „მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაათ“ და ყველაფერი გეიამბოო. უეჭველია, მთელი ცურტავი აღელვებულია სასახლეში მომხდარი ამბით. იაკობიც, როგორც ვიცით, აფოცს მიატოვებს და სასწრაფოდ მიეა შუშანიკთან. იგი ჯერ ამხნეევებს მას, ყოველმხრივ აჩვენებს თავის თანაგრძნობასა და ერთგულებას, მაგრამ მაინც ჰკითხავს საიდუმლოდ, მართლაც აპირებს ვარსკენისთვის ბოლომდე წინააღმდეგობის გაწევას, თუ მისი ქცევა როგორც ითქვა, მხოლოდ ერთგვარი „პოლიტიკური დემარშია“ ვარსკენზე შემოქმედებისათვის და საზოგადოებრივი აზრის მისამხრობად. იაკობისთვის, როგორც შუშანიკის მოძღვრისა და მისი დეაწლის მომავალი აღმწერისთვის, უთუოდ სასიამოვნო უნდა ყოფილიყო შუშანიკის მტკიცე პასუხი „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა“ (III. 23—24), მაგრამ იაკობი ცხადად ხედავს მომავალს, ხოლო მისი კაცთმოყვარეობა აიძულებს მას გააფრთხილოს შუშანიკი: „მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგადღოს შენ“ (III. 24—25).

კიდევ უფრო საკვირველია იაკობის მოქმედება სხვა შემთხვევაში. შუშანიკი ვარსკენმა ციხეში მოათავსა. იქ შუშანიკი ექვსი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად თვითგვემას ეძლევა, ისე რომ „განიოთქუა ყოველსა ქართლსა საქმც მისი“. მის სანახავეად, როგორც ცოცხალი წმინდანისა, ხალხი დადის მთელი ქართლიდან. შუშანიკს თანაბრად თაყვანს სცემს როგორც აზნაური, ისე უაზნო, დიდებულიცა და მღაბიურიც. მის მოძღვარს, მის ბიოგრაფს, სიამაყითა და სიხარულით გული უნდა ევსებოდეს და მეტის გაკეთებისკენ თუ არ გააქეზებს, ყოველ შემთხვევაში, რასაც აკეთებს, იმას უნდა უწონებდეს. იაკობი კი მას თავდაჭერილობისაკენ მოუწოდებს:

„ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუძძიმებ ჯორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგიტმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაჲსმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“ (XIV. 4—8). იმის მაგივრად, რომ როგორც მორწმუნე და მოძღვარი ალტაცებაში მოვიდეს თავისი მოწაფის უმაგალითო მოწამეობით, იგი სავსებით ადამიანურად უდგება მას, ზედმეტს ნუ შევები, ვერ გაძლებ, მოკვდები და კეთილ საქმეს ვეღარ გააკეთებო. დაუუკვირდეთ, რის შეზღუდვას ურჩევს ხუცესი იაკობი მოწამეს — მარხვის, მარადის ზედგომის, ფსალმუნთა ღამით ლოცვა-გალობისა! გასაოცარი თავისუფლებაა აზროვნებისა, მოკლებული ყოველგვარ ფანატიზმს!

„შუშანიკის წამების“ ავტორი, თქმა არ უნდა, ბრწყინვალე ნიჭითაა დაჯილდოებული. (იაკობი რომ პიტიახსის მკურდლის, დედოფლის, მოძღვარი იყო, ცხადია, იმაზეც ლაპარაკობს, რომ იგი (ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული სასულიერო მოღვაწე ყოფილა საპიტიახსოში. ასევე ცხადია, რომ იაკობს კარგი განათლებაც უნდა ჰქონოდა¹. როგორც დედოფლის მოძღვარი ის, ალბათ, გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდა პიტიახსის შეილების აღზრდაშიც (თუმცა „წამებიდან“ ეს არ ჩანს). როგორც სასულიერო მოღვაწე იაკობი, უეჭველია, კარგად იცნობდა სასულიერო ლიტერატურას, მაგრამ მისი უზადო გემოვნება, უბრწყინვალესი სტილი და სოცრად ლაღი ენა ცხადად ლაპარაკობენ იმაზე, რომ იგი სხვა ხასიათის ლიტერატურასაც იყო ზიარებული. სავსებით მართალნი უნდა იყვნენ ის მკვლევარნი, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ იაკობის წიგნს წინ უძღოდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურა. იაკობი უთუოდ იცნობდა მის თანამედროვე უცხოურ ლიტერატურასაც. („წამებაში“ აშკარად იგრძნობა ისიც, რომ იაკობს ძალზედ კარგად უნდა სცოდნოდა ქართული ფოლკლორიც.)

¹ როგორც სამართლიანად შენიშნა ვ. ჰელიძემ, იაკობზე თქმა „შედა-რებით განათლებული პირი იყო“, მისი არასათანადო დაფასებაა („ნარჩობი“).

ეს საკითხი პრინციპიალური ხასიათისაა, იგი ცალკე შესწავლას მოითხოვს და ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

როდესაც იაკობის განათლებაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ეტყობა, მას მრავალმხრივი ცოდნა ჰქონია. მაგალითად, კარგად ჩანს, რომ იაკობს აქვს გარკვეული სამედიცინო ცოდნაც. ნაცემ შუშანიკს ის, როგორც ახლავიტყვით, პირველ დასმარებას უჩენს, იგი მიმართავს შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ (VII. 15—17). როგორც ვხედავთ, იაკობმა არა მარტო იცის ჭრილობის მობანვა, არამედ მას თვითონვე აქვს მალამოცა და წამალიც (იქნებ თვითვე ამზადებს მათ?), იცის მათი გამოყენება და მოქმედებაც. საინტერესოა მის მიერ მოცემული აღწერა ციხის პავისა, რომელშიც ის, როგორც უკვე ვნახეთ, ამჟღავნებს გასაოცარ დაკვირვებულობას. ეს დაკვირვებულობა, ალბათ, იმითაც უნდა აიხსნას, რომ იაკობს რაღაც სამედიცინო ცოდნა აქვს (გავიხსენოთ: „... მკედრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოსუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“).

„შუშანიკის წამებაში“ არეკლილია ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური ძალების ჭიდილი. იაკობიც ჩართულთა ამ ბრძოლაში. მართალია, მისი პოზიცია ჩვენთვის მთლად გასაგები არაა, მაგრამ ძირითადად მაინც, ცხადია, იგი შუშანიკის მომხრეთა ბანაკშია. ძირითადად მაინც იმიტომ ვამბობთ, რომ იაკობს, ჩანს, რაღაცა აკავშირებს მოწინააღმდეგე ბანაკთანაც. ერთი მხრივ, იაკობი შუშანიკის მოძღვარია, მისი თანამგრძობი, თანამოაზრე, დამხმარე და მის საიდუმლო საქმეებს ზიარებულა. მეორე მხრივ, თუმცა აკადმი „წამებაში“ არაერთხელ აგინებს ვარსკენს, მაგრამ თუ ტექსტს დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ იგი უშუალოდ არც ერთხელ არ შეეჯახა ვარსკენს, არც ერთხელ არ მოსვლია მასთან კონფლიქტი. „წამების“ ტექსტიდან ვიცი, რომ ირანიდან ასალჩამოსულ ვარსკენს ხუცესებმა საყვედურით მიმართეს. ვარსკენს საყვედურით მიმართა ერთმა ხუცესმაც, „უფალო,

რამსა ეგრე იქმ და იტყვ ეგრეთ ბოროტსა და ავინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისსვით ეტყვ?!" ამისთვის ვარსქენს ჯოსი დაურტყამს ამ ხუცესისთვის და ასე გაუჩუმებია იგი. ერთ ~~აქვანს~~ შუშანიკის გამსწეებას ხდომებია, მაგრამ ვარსქენს ისე დაუბრიალებია მისთვის თვალები, რომ შეშინებულ დიაკვანს პირში სიტყვა გაწყვეტია და გაქცეულა. ციხეში მიმავალ შუშანიკს თურმე ხალხის ჯგუფი მიყვებოდა. ვარსქენი ცხენდაცხენ დარეგია მათ და გაუფანტავს ისინი, ქალი და კაცი, მოსუცი და ყრმა. ვარსქენს ეპისკოპოს აფოცისთვისაც უგინებია, ცოლს რატომ არ მაძლევო. თვით შუშანიკის საშველად ამდგარი ჯოჯიკიც კი შემოელახა ძმას. საკვირველია, რომ არც ერთ ასეთ კონფლიქტში იაკობი არ ჩანს, თუმცა კი მოსალოდნელი იყო, რომ ყველაზე ადვილად ამისთანა რამეში სწორედ ის უნდა მოყოლოდა. ვარსქენს იგი ერთხელაც არ დაუტუქსავს. რითი უნდა ავხსნათ ეს? მხოლოდ იაკობის სიფრთხილით, რომ ის ერიდებოდა ვარსქენს? არა გვეგონია.

როგორც ჩანს, ჩვენთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია „წამებაში“ აღწერილი ამბებიდან.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ იაკობი თავის მოთხრობაში თავისი გამირების მოქმედების მხოლოდ სარწმუნოებრივ მოტივებზე ლაპარაკობს. ამავე დროს, ისეთი ნათელი და ღრმა გონების კაცი, როგორც იყო იაკობი, არ შეიძლებოდა არ მიმხედარიყო მის მიერ აღწერილი ამბების თუძვ ფარულ, მაგრამ ნამდვილ, წარმმართველ პოლიტიკურ მიზეზებს. (იაკობი თითქმის არაფერს არ ამბობს ქართლის პოლიტიკურ ვითარებაზე, ერთ სიტყვასაც არ ძრავს ვარსქენის ურთიერთობაზე ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მეფე ეახტანგ გორგასალთან. იაკობის სიჩუმე არაა უცოდინარის სიჩუმე. ეს არის სიჩუმე უშუალოდ მონაწილისა, რომელსაც აქვს რაღაც მიზეზები გაჩუმდეს სოგიერთ ამბებზე.)

როგორც ვნახეთ, იაკობი უდიდესი ნიჭის, განათლებისა და აქტივობის კაცი იყო. უეჭველია, ის სედავდა თავის უნარსა და შესაძლებლობებს. ჩანს, მოუთმენლად ემზადებოდა კიდევაც ამ თავისი შესაძლებლობების გამოსაყენებად. როგორც კი იაკობი გაიგებს შუშანიკის და ვარსქენის ამბავს, იგი სას-

წრაფოდ მიაშურებს შუშანიკს: „და ვარქუ მე სანატრელსა მას სუაშიადღ-რე: „ერთარ გეგულებს, შითხარ მე, რამთა უწყო-დი და აღწერო შრომაჲ შენი.“ ~~მოქმედების მომენტი დადგა და შორსშეგრეტელი იაკობი გრძნობს, რომ მის თვალწინ დი-დი ამბები დატრიალდება. იგი იმთავითვე ემზადება ამ ამბების აღსაწერად და პირველივე წუთიდან იწყებს, ასუ ვთქვათ, „მასალების შეგროვებას“. ცხადია, ამ შრომამ უნდა უკედავ-კყოს არა მარტო მოწამე, არამედ მისი ცხოვრების აღმწერიც. აქ უნდა ვეძიოთ ერთ-ერთი გასაღები იაკობის დამოკიდებუ-ლებასა აღწერილ ამბებთან:~~

ლიტერატურულ მხარესთან ერთად, და, შესაძლებელია, მასზე მეტადაც, ასეთი ხასიათის თხზულებისთვის მნიშვნე-ლობა ექნებოდა თვით ამბავს, რამდენად იქნებოდა იგი შთამ-ბეჭდავი მკითხველისათვის. რაც უფრო დიდებული, ამაღლე-ბული და ტანჯვა-წამებით აღსავსე იქნებოდა წმინდანის ცხოვრება და სასტიკი და გულქვა მისი მტარვალი, მით უფრო მეტად დაფასდებოდა წამებულები და მისი აგიოგრაფიც. არც ის უნდა უგულვებელყოთ, რომ შუშანიკის წამების აღწერა, ალბათ, დაკეთასაც წარმოადგენდა გარკვეული პოლიტიკური და სასულიერო წრეებისა. უეჭველია, ეს „წამება“ ერთგვარი პოლიტიკური პამფლეტიც უნდა ყოფილიყო. ამდენად, ცხა-დია, რომ იაკობს უნდა ჰქონოდა ტენდენცია შუშანიკის გან-ცდების განდიდებისა და მისი ქცევის რაც შეიძლება უფრო ამაღლებულად დახატვისა. ეს ტენდენცია რამდენადმე იგ-რძნობა კიდევაც.

მაგრამ იაკობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი თხზულება მნიშვნელოვან წილად თავისუფალია ამ ტენდენ-ციისაგან. იაკობი დიდი მხატვარია და ამიტომ მისი შოთხრო-ბაც პირდაპირ სუნთქავს სიცოცხლითა და სიმართლით. ამას-თან როგორც ნამდვილი ნაწილი რთული და წინააღმდეგობ-რივი ცხოვრებისა, ისიც ასევე რთული და წინააღმდეგობრი-ვია, ბევრ რამეში გაუგებარიც. უთუოდ ამაშიც არის ერთ-ერ-თი მიზეზი იმ მიმზიდველობისა, რომელიც 1500 წლის შემ-დეგაც აქვს ამ თხზულებას თანამედროვე მკითხველის თვალში.

(არაერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ იაკობს სხვა თხზუ-

ლებებიც უნდა კქონოდა. ეს ვარაუდი უსაფუძვლო არ არის. საეკლესიო დასაშვებია, რომ იაკობის ნიჭისა და აქტიურობის კაცი არაერთი თსზულების ავტორი ყოფილიყო. გამორიცხული არაა, რომ ამ მხრივ რაიმე საინტერესო აღმოჩნდეს იმ მრავალრიცხოვან პალიმფსესტურ ფრაგმენტებში, რომლებიც ჯერ კიდევ წაკითხული არაა.)

„ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობათა განხილვისას ჩვენ მოვიტანეთ ციტატი კირიონის მეორე წერილიდან აბრაამისადმი. კირიონი ჩამოთვლის ცურტავის ეპისკოპოსებს შუშანიკის დროიდან VI-ის ბოლომდე: აფოცი, გარნიკ, საჰაკ, ელიშა, იაკობ, იოან, სტეფანოს, ისაი, სამუელ, სტეფანოს, იოანე და სხვებიო.

ეს ეპისკოპოსები ცურტავში მღვდელმთავრობდნენ დაახლოებით 130 წლის განმავლობაში. ასე რომ, თითოზე (ისინი მინიმუმ თერთმეტნი ყოფილან) საშუალოდ 11 თუ ნაკლები წელი მოდის. კირიონის სიაში მესუთედ დასახელებულ იაკობს ზემოხსენებული ძალზედ უხეში ანგარიშით კათედრა უნდა სჭეროდა VI ს-ის დასაწყისსა თუ 10-იან წლებში. ეპისკოპოსი იაკობი გვხვდება აბრაამის კირიონისადმი მიწერილ მესამე წერილშიც. (აბრაამი ჩამოთვლის 506 წ. დენის საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ მღვდელმთავრებს) „გაბრიელ ეპისკოპოსი მცხეთისა სახელოვანი (იგულისხმება ქართლის კათალიკოსი გაბრიელი, ნ. ჯ.), პალგენ ეპისკოპოსი სეფესასლისა, ელიფას ეპისკოპოსი სამურიალი, სამუელ ეპისკოპოსი ტუმასუელი, დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, იაკობ ეპისკოპოსი ორტავეისა, სტეფანოს ეპისკოპოსი უსთავისა, საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა“ და სხვ. (აღექსიძე, „ეპისტოლეთა წიგნი“, 97).

ჩვენ არ გამოვუდგეძით აქ მოხსენებულ ყველა ეპისკოპოსისა და საეპისკოპოსო ცენტრის დადგენას. აღენიშნავთ მსოლოდ იმას, რომ ეჭვს არ უნდა იწვევდეს „ორტავის“ აღდგენა ცორტავე-ცურტავად და, მაშასადამე, იაკობ „ორტაველის“ ცურტავის ეპისკოპოს იაკობად მიჩნევა. ცხადია ისიც, რომ ეს უნდა იყოს იგივე იაკობი, რომელიც იხსენიება კირიონის სიაში. თავის დროზე ი. აბულაძემ ამასთან დაკავშირებით დასვა კითხვა: „ხოვ არაა შესაძლებელი, რომ ეს ჩვენი იაკობ სუცე-

სი იყოს, შემდეგ ეპისკოპოსად სელდასმული? ცურტავის ეკლესიის სუცესს შეეძლო ეპისკოპოსადაც გამხდარიყო. ისტორიამ იცის, რომ ეს ერთეული შემთხვევა არ იყო ცურტავისათვის, როცა სხვა დაბალი წოდებიდან ამ ხარისხზე აღიონდნენ სხვებიც. მოსე ცურტაველიც ხომ (VI ს-ის გასულს და VII ს-ის დამდეგს) ამ ეკლესიის ჯერ შეგირდი იყო (წ. 110, გვ. 110,) მერმე „ვარდაპეტიც“ და ბოლოს ეპისკოპოსიც; (იქვე). იაკობს ამ ხარისხზე ასელისათვის ხელს შეუწყობდა ისიც, რომ იგი ცნობილი იქნებოდა ამ დროისათვის უკვე როგორც მწერალი და ისიც შუშანიკის მარტვილობისა“ (აბულაძე, შუშანიკი, 060). როგორც ზემოთ ითქვა, 469 წ. იაკობი დაასლოებით 30 წლისა შეიძლება ყოფილიყო, თუ ეს სწორია, 506 წ. იგი 70 წლისაც არ იქნებოდა (ცხადია, შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ამ დროისთვის იაკობი მეტიცაც ყოფილიყო).

(ჩვენი აზრით, ი. აბულაძის ვარაუდი სავსებით დასაშვებია.)

ახლა, „შუშანიკის წამების“ დათარიღებაზე.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქართულსა და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ის აზრი, რომ „შუშანიკის წამება“ დაწერილია V ს-ში შუშანიკის თანამედროვის მიერ. მაგრამ არის ცდები „შუშანიკის წამების“ უფრო ზუსტი დათარიღებისაც) ამ დათარიღებისათვის რამდენიმე საფუძველი არსებობს. პირითადაა ასეთი მოსაზრება: „შუშანიკის წამება“ დაიწერა შუშანიკის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ უფრო ადრე, ვიდრე ვახტანგი ვარსკენს მოაკვლევინებდა) სამართლიანად მიუთითებენ შემდეგ გარემოებაზე: იაკობს რომ სცოდნოდა ვახტანგის მიერ ვარსკენის სიკვდილით დასჯა, იაკობი ამას აუცილებლად აღნიშნავდა, როგორც ვარსკენზე მის შეცოდებათათვის მოვლენილ ღმრთის სასჯელსო.

ამგვარად, საჭირო ხდება შუშანიკის გარდაცვალებისა და ვარსკენის მოკვლის თარიღების დადგენა (ვარსკენის მოკვლის თარიღი სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა განსაზღვრული — 456, 472, 481, 483 და 484 წლებით) ლაზარ ფარპეცის ცნობით, „ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი შეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“ (ჯანაშია, ფარპეცი,

243). რომელია პეროზის ოცდამეხუთე წელი? სასანიდურ ირანში მეფის მართველობის წლების აღრიცხვა იწყებოდა არა იმ წლიდან, რომელშიც შაჰი ტახტზე დაჯდებოდა, არამედ მომდევნო კალენდარული წლიდან. დრო ახალი შაჰის გამეფების დღიდან მიმდინარე კალენდარული წლის ბოლომდე წინა შაჰის მეფობის წლებში შედიოდა (ლიეპიცი, კალენდარი, 328). პეროზი გამეფდა 459 წელს. ჩვენ არ ვიცით ზუსტად როდის გამეფდა პეროზი. ირანული კალენდარული წლის დასაწყისისა და პეროზის გამეფების დროის ურთიერთშეფარდების მიხედვით პეროზის ოცდამეხუთე წელი (ირანული წესის თანახმად; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ლაზარ ფარპეცი სწორედ ამ აზრით ამბობს „პეროზის ოცდამეხუთე წელს“) შეიძლება იყოს 483, 484 ან 485 წელი (მართალია, პეროზი მოკლულ იქნა 484 წ., მაგრამ, როგორც ითქვა, ირანული წესის თანახმად, მისი მეფობის ოცდამეხუთე წელი გარკვეულ პირობებში შეიძლება გადასულიყო 485 წელზეც). მაინც ლაზარის ცნობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი მთლად ზუსტი არაა და სინამდვილეში ვარსკენი მოუკლავთ 482 წ. (ჯანაშია, ფარპეცი, 141—142). ამგვარად „შუშანიკის წამების“ დაწერის ერთი ქრონოლოგიური მიჯნა განსაზღვრულია. ასლა გაეარკვიოთ შუშანიკის გარდაცვალების თარიღი.

როგორც არაერთხელ გვექონდა აღნიშნული, იაკობის „შუშანიკის წამების“ დასაწყისში ნათქვამია, რომ ვარსკენი გაემგზავრა ირანში ~~რომელიღაც შაჰის ზეობის მერვე წელს~~ (თვით შაჰის სახელი შემონახული არაა). ამ დროიდან იწყება „წამებაში“ აღწერილი ამბები ამდევ დროს ლაზარ ფარპეცის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ვარსკენი პიტიასში გამხდარა არაუადრეს V ს. 50-იანი წლების მეორე ნახევრისა (ამ ისტორიკოსის თანახმად V ს. 50-იანი წლები შუაში პიტიასში ჯერ კიდევ არშუშაა). მეორეს მხრივ, ვარსკენი მოუკლავთ პეროზის ოცდამეხუთე წელს. პეროზზე ადრე მეფობდა მისი ძმა ორმიზდი, რომელიც ტახტზე იჯდა სულ ორ წელს, მისი წინამძეალი შაჰის იეზდიგერდ II-ის (437—457) მერვე წელი კი 445—447 წლებზე მოდიოდა, როდესაც ვარსკენი ჯერ კიდევ არ იყო პიტიასში. ყოველივე ამის გამო ს. გორგაძემ სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ ირანში ვარსკენის გამგზავრება

შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ პეროზის დროს, ს. გორგაძის ანგარიშით, (466 წელს (პეროზის მერვე წელს).

იაკობის (და ყველა სხვა რედაქციის) ცნობით შუშანიკი გარდაცვლილა ექვსი წლის წამების შემდეგ. აქედან ს. გორგაძე ასკენიდა, რომ შუშანიკი უნდა გარდაცვლილიყო (472 წ.

ს. გორგაძის დათარიღებას იზიარებდა ივ. ჯავახიშვილიც.

კ. კეკელიძემ მიიღო გორგაძისეული დათარიღების წესი, ოღონდ თვით თარიღები რამდენადმე შეცვალა. თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ გამოცემაში (1923 წ.) იგი იძლევა ასეთ თარიღებს: ვარსკენი ირანში წავიდა 467 წ., შუშანიკს პირველად სცემა 468 წ., შუშანიკი გარდაიცვალა 474 წ. 17 ოქტომბერს (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 1923, 123). შემდეგ კ. კეკელიძემ დააზუსტა ეს თარიღები: ვარსკენი ირანში წავიდა 467 წ., უკან მობრუნდა 468 წ. უკანასკნელ თვეებში, შუშანიკის პირველი წამება მოხდა 469 წ. 8 იანვარს, ხოლო გარდაიცვალა შუშანიკი 475 წ. 17 ოქტომბერს (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 1960, 118).

კ. კეკელიძის დათარიღება ძირითადად სწორად მიგვაჩნია) და შევეცდებით დამატებითი საბუთიანობა მოვიტანოთ მის სასარგებლოდ. ამის საშუალებას გვაძლევს „შუშანიკის წამებაში“ არსებული ცნობები.

თავისი მოთხრობის ბოლოს იაკობი გვაწვდის ასეთ ცნობებს შუშანიკის წამებათა და გარდაცვალების რიცხვებსა და კვირის დღეებზე: „და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთა თთუესა აპნისისასა, მერვესა თთუსასა და დღესა ოთსშაბათსა, და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა. და კუალად ტანჯვამ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა. და აღსრულებამ მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩუდმეტსა, საცხენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოჲმან და დამიანჴსთა. და დღე სუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საცხენებელი წმიდისა შუშანიკისი...“ (XX. 1-7).

თავის დროზე კ. კეკელიძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ზემოთ მოტანილ ცნობაში თვეების სახელი ორ შემთხვევაში ძველი ქართული სახელწოდებითაა მოცემული (აპნისი, ვარდობისთვე), მესამეში კი — რომაულით (ოკდონ-

ბერი). კ. კეკელიძემ აღნიშნა ისიც, რომ თვეების რომაული სახელწოდებები საქართველოში მერვე საუკუნემდე არ იხმარებოდა, რის გამოც მესამე შემთხვევაშიც თავდაპირველად ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 1923, 124). ამ შეცვლის მიზეზი ახსნა პ. ინგოროყვაძე: რადგან შუშანიკის მოსხენება მისი გარდაცვალების დღეზე აყო დადებული, ლიტურგიკული პრაქტიკისათვის მნიშვნელობა ჰქონდა მსოლოდ ამ თარიღს. როდესაც ჩვენში თვეების რომაული სახელწოდებები შემოვიდა, „წამების“ გადამწერს შეუცვლია მსოლოდ შუშანიკის გარდაცვალების თვის სახელი (როგორც ლიტურგიკისათვის მნიშვნელოვანის), დანარჩენები კი დაუტოვებია უცვლელად (ინგოროყვაძე, კალენდარი, 297–298).

ამგვარად, რომაული ოქტომბრის ნაცვლად თავდაპირველად ტექსტში იქნებოდა მისი შესატყვისი ქართული სთულისაჲ.

აქ ჩნდება ახალი საკითხი: მთლიანად ფარავდა თუ არა ქართული სთულისაჲ რომაულ ოქტომბერს? (პ. ინგოროყვას შეხედულებით სთულისაჲ მთლიანად არ ემთხვეოდა ოქტომბერს, იწყებოდა 23 სექტემბერს და მთავრდებოდა 22 ოქტომბერს. ამ შემთხვევაში 17 ოქტომბერს შეესატყვისება 25 სთულისაჲ, მაშასადამე, შეცვლილი ყოფილა არა მარტო თვის სახელწოდება, არამედ რიცხვიც (ინგოროყვაძე, კალენდარი, 297)¹. ცხადია, ასევე რამდენადმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო რომაული თვეებისაგან სხვა ქართული თვეებიც. პ. ინგოროყვას გამოთვლით ქართული აპნისი იწყებოდა 20 იანვარს და მთავრდებოდა 18 თებერვალს, სოლო ვარდობისთვე იწყებოდა

¹ 17 ოქტომბერ – 25 სთულისაჲს შესატყვისობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ერთ ხელნაწერში კოზმან და დამიანეს წამება აღნიშნულია ოცდასუთ ოქტომბერს. პ. ინგოროყვას სიტყვით, ასეთი დათარიღება უცნაურია, რადგან კოზმან და დამიანეს წამების თარიღად ჩვეულებრივ დასახელებულია სოლომე 17 ოქტომბერიო. თავდაპირველად მოცემული ყოფილა ძველქართული აღრიცხვა, 25 სთულისაჲ, შემდეგ გადამწერს სთულისაჲ ოქტომბრად შეუცვლია, მაგრამ ის კი აღარ სცოდნია, რომ ძველქართული კალენდრის სტილი განსხვავდებოდა რომაულისაგან დღეების სათვალავში და 25 გადაუსწორებლად დაუტოვებიაო (ინგოროყვაძე, კალენდარი, 299).

21 აპრილს და მთავრდებოდა 21 მაისს. ამრიგად, შუშანიკის პირველი წამება მომხდარა 27 იანვარს (8 აპნისს), ხოლო მეორედ წამება 9 მაისს (ცხრამეტ ვარდობისთვეს).

კ. კეკელიძეს განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. მისი სიტყვით, ქრისტიანობამ ჩვენში გზა გაუკაფა სხვა სისტემის წელიწადს — ინდიქტურს ანუ სექტემბრისას. ამ სისტემაში ქართული თვეები ზუსტად ემთხვეოდა რომაულს, მათ შორის აპნისი — იანვარს, ვარდობისთვე — მაისს, ხოლო სთულისაჲ — ოქტომბერს. თვით რომაული სახელები კი უფრო გვიან შემოსულა, დაახლოებით VII ს-ის დასაწყისიდან (კეკელიძე, ეტიუდები, I, 119—121). კ. კეკელიძის შეხედულების თანახმად, რვა აპნისი რვა იანვარია, ცხრამეტი ვარდობისთვე ცხრამეტი მაისია, ხოლო ჩვიდმეტ ოქტომბერს შეესატყვისება ჩვიდმეტი სთულისაჲ.

რაც შეეხება „შუშანიკის წამებაში“ სთულისაჲს ოქტომბრით. შეცვლას, კ. კეკელიძის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო არაუადრეს მეათე საუკუნისა: „შუშანიკის გარდაცვალების თარიღს — „ათჩვდმეტსა ოკდომბერსა“ — მიმატებული აქვს გლოსა: „საჯსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანჲსთა“. ეს გლოსა მეცხრე-მეათე საუკუნეზე ადრე არ შეიძლებოდა გაკეთებული ყოფილიყო, ვინაიდან კოზმან და დამიანეს ხსენება 17 ოქტომბერს მხოლოდ მეცხრე-მეათე საუკუნიდან ჩნდება, მანამდე ის სხვა თვეებში იყო დადებული“ (კეკელიძე, ლიტ. ისტორია“, 117).

ახლა განვიხილოთ „შუშანიკის წამებაში“ არსებული საკალენდარო მონაცემები. ჯერ გავითვალისწინოთ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, ოღონდ წინასწარ აღვნიშნოთ, რომ უეჭველად მიგვაჩნია შუშანიკის წამების განსაზღვრა პეროზის ზეობის დროით, ე. ი. V ს. 60—70-იანი წლებით.

როგორც ვიცით, იაკობის სიტყვით, შუშანიკის პირველი გეგმა მოხდა 8 აპნისს ოთხშაბათს, ხოლო გარდაიცვალა იგი ექვსი წლის შემდეგ 17 ოქტომბერს და მისი სახსენებელი დაიდო ხუთშაბათს. პ. ინგოროყვას თანახმად 8 აპნისი უდრის 27 იანვარს. 461 წლიდან დაწყებული ოთხშაბათი 27 იანვარზე მოდიოდა 465, 471 და 482 წლებზე. უკანასკნელი წელი შეიძლება უგულებელვყოთ, რადგან თუ ამ წელს მივიჩნევთ

შუშანიკის წამების პირველ წლად, გამოვა, რომ იგი 488 წ. გარდაცვლილა, რაც აშკარად სწორი არაა (თვით ვარსკენი ხომ 482 წ. იქნა მოკლული).

რადგან შუშანიკის მოსახსენებელი ხუთშაბათს დაუწესებიათ, შუშანიკი გარდაცვლილა ხუთშაბათს ან პარასკევს: კ. კეკელიძის სიტყვით, „იმდროინდელი (იგულისხმება შუშანიკის გარდაცვალების ეპოქა, ნ. ჯ.) ეორტალოგიური პრაქტიკით, პარასკევ დღეს (აგრეთვე ოთხშაბათსა და კვირას) არ შეიძლებოდა წმინდანთა ხსენების დაწესება; თუ მათი აღსასრული ამ დღეს მოხდებოდა, ხსენება წინადღით, ესე იგი ხუთშაბათს იქნებოდა ხოლმე დადგენილი“ (კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 118). მაშასადამე, 17 ოქტომბერი ყოფილა ხუთშაბათი ან პარასკევი.

17 ოქტომბერი ხუთშაბათი იყო 463, 468 და 474 წლებში, ხოლო პარასკევი 469, 475 და 480 წლებში. როგორც ვხედავთ, არც ერთი ეს წელი არ გვამღევს შესაფერის წყვილს (შუაში რომ ექვსწლიანი მანძილი იყოს) 465 და 471 წლებთან.

მაგრამ თუ ჩვენ მივიჩნევთ კ. კეკელიძის კვალად, რომ იაკობი მისდევს ინდიქტურ წელს და, მაშასადამე, მისი რვა ანისი უდრის რვა იანვარს, სხვა სურათს დავინახავთ. 8 იანვარი ოთხშაბათი იყო 464, 469 და 475 წლებში. აქ კი, მართლაც, მივიღებთ შესაფერის წყვილს — 469 წ. 8 იანვარი ოთხშაბათი და 475 წ. 17 ოქტომბერი პარასკევი.

ასლა, ვარსკენის ირანში გამგზავრების წელზე. როგორც ითქვა, ვარსკენი ირანში წასულა პეროზის მერვე წელს. საფიქრებელია, რომ იაკობიც წელთაღრიცხვას ირანის შაპებას ზეობის მიხედვით ირანული წესით ხმარობდა. ამიტომ პეროზის მერვე წელი შეიძლება იყოს 466, 467 ან 468 წელი, რაც კარგად შეესატყვისება შუშანიკის წამების დასაწყისს — 469 წლის 8 იანვარს.

ამგვარად, ვარსკენი ირანში წასულა 468 (ან უფრო ადრე) წელს, 469 წ. იანვრის პირველ რიცხვებში დაბრუნებულია, 8 იანვარს, ოთხშაბათს, პირველად უტანჯნია შუშანიკი, რომელიც გარდაცვლილა 475 წ. 17 ოქტომბერს, პარასკევს.

„შუშანიკის წამების“ მკათხველს რჩება ისეთი შთაბეჭდი-

ლება, თითქოს ვარსკენი ჩავიდა ირანში, გამოიცვალა სარ-
წმუნოება და მაშინვე უკანვე გამობრუნდა. ჩვენი ზემოთ მო-
ტანილი გამოთვლის თანახმად კი ისე გამოდის, რომ, შესაძ-
ლებელია, თუმცა არაა აუცილებელი, ვარსკენი ირანში ერთი
ორი წელიც კი დარჩენილიყო. მაგრამ ეს გარემოება არ უნდა
ეწინააღმდეგებოდეს წარმოდგენილ დათარიღებას. ირანში
მეფის კარზე ან ირანის მტერთან საომრად ამიერ-კავკასიელი
დიდებულები და ჯარები სშირად წლობით რჩებოდნენ. გა-
სათვალისწინებელია ისიც, რომ „შუშანიკის წამების“ დასა-
წყისი და სწორედ ის ფრაზა, რომელშიაც ნათქვამია ვარსკე-
ნის ირანში წასვლაზე, ამკარად დაზიანებულია. ამდენად,
საფიქრებელია, რომ პირვანდელ ტექსტში ყველაფერი უფრო
გარკვევით იქნებოდა.

საინტერესოა, რომ მცხეთის ჯვრის სომხური სვინაქსა-
რული საკითხავი შუშანიკის გარდაცვალების დაახლოებით
იგივე თარიღს, 471 წელს, იძლევა.

ამრიგად, ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახვა, რომ სწო-
რია კ. კეკელიძე, როდესაც მიიჩნევს, რომ იაკობი ინდიქტუ-
რი წელთაღრიცხვის მიმდევარი იყო, სწორია, აგრეთვე, კე-
კელიძისეული თარიღები „შუშანიკის წამების“ ძირითადი
ამბებისა, კერძოდ, კი შუშანიკის გარდაცვალების 475 წლით
დათარიღება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის გარემოება,
რომ, როგორც გაირკვა, იაკობის ტექსტს შემონახული ჰქო-
ნია სწავებით ზუსტი ცნობები „წამების“ ამბების ქრონოლო-
გიაზე, რაც უეჭველია, კიდევ ერთხელ ლაპარაკობს მის ავ-
თენტურობასა და სიძველეზე. ამ ცნობების ფასი იზრდება
იმით, რომ ისინი თავის თავშივე შეიცავენ ისეთ მონაცემებს,
რომლებითაც შეიძლება მათი შემოწმება.

ყოველი ზემოთქმული ადასტურებს იმ აზრს, (რომ იაკობ
ცურტაველის „შუშანიკის წამება“ დაწერილია 475-482
წლებს შორის.)

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ შუშანიკის ამბის აღწერისათვის
იაკობს იმთავითვე დაუწყია მზადება. ამიტომ საფიქრებელია,
რომ თავისი თხზულების დამთავრებას ის დიდხნით არ და-
აყოვნებდა.) „შუშანიკის წამება“ უშუალოდ შუშანიკის გარ-

დაცვალების შემდეგ, 475 ან 476 წლებში უნდა იყოს დაწერილი. ასეთივე შთაბეჭდილებას ასდენს თსსულების დასასრულიც, სადაც განსაკუთრებით დაწვრილებითაა აღწერილი შუშანიკის უკანასკნელი დღეები და დასაფლავება.

რა თქმა უნდა, ეს თარიღი არსებითად არ განსხვავდება ამჟამად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული საგანს. ჩვენ მსოლოდ შევეცადეთ დამატებითი საბუთები წარმოგვედგინა მის სასარგებლოდ.

შემოთქმულთან დაკავშირებით შევეხებით ერთ საკითხსაც. (თავის დროზე ი. აბულაძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ სომხურ ვრცელ რედაქციაში შუშანიკის გარდაცვალება აღნიშნულია 17 ქალოცს. სომხურ კალენდარში ქალოცი მეხუთე თვე იყო. სომხებს ძველად ორგვარი, მოძრავი და უძრავი კალენდარი ჰქონდათ. მოძრავი კალენდარი უფრო ძველი იყო. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში (V ს.) ისმარებოდა მოძრავი კალენდარი. ყოველ ოთხ წელიწადში მოძრავი კალენდარი ერთი დღით უკან იწევდა (ახალი წელი ერთი დღით ადრე იწყებოდა.) ყოველ 120 წელიწადში განსხვავება 30 დღეს ანუ ერთ თვეს აღწევდა. ცხადია, ქალოციც სხვადასხვა პერიოდს ემთხვეოდა. მ. ორმანიანის გამოთვლით მოძრავი სომხური კალენდარის 17 ქალოცი 470 წ. 15 დეკემბერზე მოდიოდა.)

(უძრავი კალენდარი სომხეთში შემოღებულ იქნა 1116 წ. იოანე ვანაკანის საკალენდრო რეფორმით (კეკელიძე, ეტიუდები, I, 110). ამ კალენდარში ქალოცი ძირითადად დეკემბერს შეესატყვისება, იწყება 9 დეკემბერს და თავდება 7 იანვარს (აჭარიანი, 1361).

რატომ არის ქართული რედაქციის 17 ოქტომბერი სომხურში 17 ქალოცად წარმოდგენილი? როგორც ვნახეთ, V ს-ში ქალოცი დეკემბერს შეესატყვისებოდა, ამიტომ შუშანიკის გარდაცვალების თვის ქალოცად თარგმნა სწორი არაა. 17 ოქტომბერს 17 ქალოცი, (ი. აბულაძის სიტყვით, „მსოლოდ 704—708 წლების ახლო დროში თუ შესვდებოდა, რაც შუშანიკის აღსასრულის თარიღს, ცხადია, ძლიერ არის დაცილებული. ამიტომ აქ გადაყვანასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ გადაწერასთან, უცვლელად გადატანასთან“-ო (აბულაძე, შუ-

შანიკი, 031). ი. აბულაძე იქვე სვამდა კითხვას, „რომლისა რომელზე? გეგონია ქართულისა სომხურზე“-ო. ამ დასკვნის სასარგებლოდ ი. აბულაძეს ასეთი არგუმენტი მოჰქონდა: „პირუკუ ვითარების დაშვება ძნელია. იაკობის ნაწარმოებს თუ აღსასრულის თარიღი ექნებოდა სომხურიდან აღებული, მაშინ საკითხავია, საიდანღა აიღო სხვა თარიღები და ისიც, შუშანიკის აღსრულების წლისათვის ზედმიწევნით შეფარდებული“ (იქვე, 032).

ოქტომბრის ქაღოცად გადაცემას ი. აბულაძე შემდეგნაირად ხსნიდა: სომხური რედაქციის თარიღში „რიცხვი უცვლელად არის დატოვებული, ხოლო ქართულის „ოქტომბერი“ მისი ძველი ქართული სახელწოდების — „სთულისამს“ — თარგმანით, *ჟაღიე* — ით არის წარმოდგენილი (*ჟაღიე* — სთულა)... ამრიგად, სომეხ ავტორის იხსენიებული ნუსხა კქონია ხელთ ქართული ვრცელი მარტივობისა, სადაც 17 ოქტომბერი იქნებოდა მოცემული შუშანიკის აღსასრულის თარიღად: „სთულისამს“ სახელწოდებით რომ ყოფილიყო ეს თვე აღნიშნული, მაშინ რიცხვიც სხვა, სახელდობრ 25, უნდა გექონოდა“ (აბულაძე, შუშანიკი, 032. საზგასმა ავტორისაა. ნ. ჯ.).

ამრიგად, ი. აბულაძის აზრი ასეთია: სომეხ მთარგმნელს სკლთ ჰქონდა იაკობის „წამების“ ისეთი ნუსხა, სადაც შუშანიკის გარდაცვალების თარიღად მოცემული იყო 17 ოქტომბერი. იქ რომ სთულისამ ყოფილიყო, სომხურ თარგმანში 25 ქაღოცი იქნებოდა. მაგრამ მთარგმნელმა ოქტომბერი მაინც მისი ძველი ქართული შესატყვისით, სთულისამთ, გაიაზრა და სთარგმნა იგი ამ უკანასკნელის სემანტიკურად და არა რეალურად, კალენდრით, შესატყვისი სიტყვით, ქაღოცით.

ეს აზრი საკმაოდ გონებამახვილურია, მაგრამ მისი დამტკიცება, ვფიქრობთ, გაჭირდება. პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ სრულებითაც არაა სავალდებულო ქართულ ნუსხაში აუცილებლად ოქტომბერი ყოფილიყო. როგორც უკვე დავრწმუნდით (იაკობი იყენებდა ინდიქტურ წელთაღრიცხვას და ამიტომ შუშანიკის გარდაცვალების რიცხვად აღნიშნული იქნებოდა ჩვიდმეტი, მიუხედავად იმისა, რა თვე იქნებოდა დასახელებული, სთულისამ თუ ოქტომბერი. ეს თითქოს

ი. აბულაძის სასარგებლოდ ლაპარაკობს, მაგრამ სირთულე სხვა მსრიდან ჩნდება:

მართალია, ერთ დროს ქალოც-ის ეტიმოლოგიას უკავშირებდნენ ზმნა ქაღელ-ს (*ყაღელ*), რაც ნიშნავს მოსაუღლის აღებას (ბროსე, დიულორიე, პატკანოვი), მაგრამ უფრო ახალი შეხედულებით ეს ასე არ არის. ცნობილი სომეხი ენათმეცნიერი და ლექსიკოლოგი აკად. პრ. აჭარიანი თავისი „სომხური ძირების ლექსიკონში“ ამბობს, რომ „ქალოც“-ი წარმოდგება „ქაღ“ სიტყვისაგან, რომელიც უკავშირდება ქაღ-ს, ვაცი, და რომელიც ნიშნავს საქონლის დაგრილებას, დანერბვას, საიდანაც „ქალოც“-ი ნიშნავს საქონლის დაგრილების, დანერბვის და არა მოსაუღლის აღების თვეს (აჭარიანი, 1361—1364). აკად. სტ. მალსასიანციც თავის „სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში“ პირდაპირ ამბობს: „ზოგიერთი ამ სიტყვას (ქალოცს, ნ. ჯ.) მიიჩნევს ქაღელ-მკა, თიბუდან, როგორც ხალხურ ქალოცს, მკის, თიბვის თვეს, მაგრამ ეს ეტიმოლოგია სწორი არაა, რადგან ძველ ენაში ზმნა ქაღელს არა ჰქონდა მკის, თიბვის, მნიშვნელობა, ხოლო ქალოც არ ნიშნავდა მკას, თიბვას“. სტ. მალსასიანციც ქალოცს სსნის როგორც დამაკების თვეს (მალსასიანცი, IV, 539).

ქალოცის ამგვარი ეტიმოლოგია, ცხადია, გამორიცხავს მთარგმნელის მიერ სთულისას ქალოცად გააზრებას.

ძნელი წარმოსადგენია ამასთან რომ „შუშანიკის წამების“ სომხურად მთარგმნელს არ სცოდნოდა სთულისაჲს თუ ოქტომბრის სომხური შესატყვისი.

მაშ(როგორღა აესხნათ 17 ოქტომბრის (თუ სთულისაჲს) 17 ქალოცად თარგმნა სომხურ რედაქციაში? ვფიქრობთ, ყველაზე უფრო ბუნებრივია ის ახსნა, რომელიც თითქმის გააკეთა ი. აბულაძემ. როგორც ვნახეთ, მან აღნიშნა, რომ 17 ოქტომბერს 17 ქალოცი დაემთხვა 704—708 წლებში. 17 ოქტომბრის 17 ქალოცად გადაცემა სავსებით გასაგები იქნება, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ თარგმანი გაკეთებული იყო აღნიშნულ წლებში.) სხვა შემთხვევაში აუხსნელი იქნება, რატომ გადმოსცა მთარგმნელმა 17 ოქტომბერი ან 17 სთულისაჲ 17 ქალოცად: თუ თარგმნის ხანა იმდენად იყო დაშორებული აღნიშნულ წლებს, რომ ქალოცი არ ემთხვეოდა სთულისაჲ —

ოქტომბერს, ამ უკანასკნელთ მთარგმნელი ქაღოცით არც გადმოსცემდა. ხოლო თუ თარგმანი კეთდებოდა 704—708 წლების ახლობელ ხანაში, როდესაც ქაღოცი მეტ-ნაკლებად, მაგრამ არა ზუსტად, შეესატყვისებოდა სთულისაჲ-ოქტომბერს, საფიქრებელია, მთარგმნელს არ გაუჭირდებოდა რიცხვის გადაყვანა (მას ხომ ეცოდინებოდა მისი დროის ქართული კალენდარის შესატყვისობა სომხურთან). რიცხვის უცვლელად დატოვება კი ლაპარაკობს იმაზე, რომ თარგმანი სწორედ აღნიშნულ წლებში უნდა იყოს შესრულებული.

ბუნებრივია, რომ შუშანიკის აღსრულების თარიღად 17 ქაღოცის აღნიშვნა ერცელი სომხური რედაქციიდან გადავიდა მოკლე სომხურშიც, რომელიც, როგორც ითქვა, ერცელი სომხური რედაქციიდან მომდინარეობს.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ განვიხილოთ პ. პეტერსის შეხედულებანი „შუშანიკის წამების“ დაწერის დროზე, ავტორზე და, საერთოდ, ისტორიაზე.

თავდაპირველად პ. პეტერსი აღნიშნავს, საჭირო არაა განხილვა იმ დეტალებისა, რომლებშიც წამების ორივე რედაქცია (ქართული და სომხური, ნ. ჯ.) ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ან წინააღმდეგობაშია თავის თავთან თუ სხვა მხრივ ცნობილ ფაქტებთან. ასეთი შედარება მხოლოდ შორი გზით მიგვიყვანს იმავე შედეგებამდე, რომლებიც პირდაპირ შეიძლება იყოს მიღებულიო (პეტერსი, 296). ეს დებულება მოულოდნელია ისეთი დიდი სპეციალისტისაგან, როგორც იყო პ. პეტერსი. როგორც ზემოთ, ალბათ, დაერწმუნდით, მხოლოდ რედაქციების სიტყვასიტყვითი შედარება და ანალიზი იძლევა საშუალებას მთელი რიგი ძირითადი საკითხების გადაწყვეტისა. შეიძლება მეტიც ითქვას: თვით ასეთი მუშაობის პროცესში წამოიჭრება არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. ჩანს, სწორედ ასეთმა არასწორმა მეთოდმა განაპირობა ძირითადად ის მცდარი შეხედულებები, რომლებიც შეუმუშავდა პ. პეტერსს „შუშანიკის წამების“ თაობაზე.

მაგრამ განვიხილოთ თვით პ. პეტერსის შეხედულებები.

პ. პეტერსს, უპირველეს ყოვლისა, საეჭვოდ მიაჩნია ის, რომ იაკობი შეიძლება იყოს „წამების“ ავტორი: „თუ რომ ეროვნული თავმოყვარეობა არ გაჯიუტდება ამდენი სხვა სა-

კითხის შემდეგ ამის დასასლართავადაც, უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ამ წმინდანი ქალის ქართველი მოძღვარი, თვითმარქვია ხუცესი იაკობი, თავისსავე საკუთარ მოთხრობაში წარმოდგენილია მიუღებელ პერსონაჟად. მსოლოდ პატრიოტულ რწმენას შეუძლია ის უსარმაზარი უშედეგო შრომა, რომ ირწმუნოს ის მდგომარეობა და როლი, რომელსაც იგი მიიწერს ყოველგვარი დამაჯერებლობის საწინააღმდეგოდ და ამოვიდეს აქედან, რათა შეამციროს უსაფუძვლო ვარაუდებით აბნეულობა, რომელიც ანაწევრებს მოთხრობას, ყველგან, სადაც ეს მოგონილი თვითმხილველი მოწმე გამოჩნდება ან მოაქვს თავისი დასამახსოვრებელი სიტყვები“-ო (პეეტერსი, 297).

პ. პეეტერსის სიტყვით, იმ დროისთვის, როდესაც თითქოს დაწერილი უნდა იყოს „შუშანიკის წამება“, თითქმის მსოლოდ ნახევარი საუკუნე იყო გასული, რაც ქართველებს თავისი ანბანი ჰქონდათო. თუმცა მათი (ე. ი. ქართველების) კრიტიკოსები ამას უარყოფენ და კორიუნს უყოყმანოდ ბრალს სდებენ მტკნარ სიცრუეში მათ ქვეყანაში მესრობის მისიასა და ქართული ანბანის გამოგონებაზეო. ჩვენ არ ვეცდებით ქართველებს ვუჩვენოთ, რომ მათი წინაპრები ისევე არ დამცრობილან იმით, რომ დამწერლობის პირველი გაკვეთილი უცხოელისაგან მიიღეს, როგორც ჩვენები, რომაელები, თვით ბერძნები და თითქმის ყველა სხვა ხალხი. მათი პატრიოტული სიამაყისათვის არაფერია ამაში მიუღებელი, არაფერია მიუღებელი იმაში, რომ მათთან სინათლე სომხეთიდან იყოს შესული. არც იმას ვეცდებით, რომ მათ თავი სცნონ წმ. მესრობის მოვალეებად. დაე დარჩეს მათ ეროვნულ ტრადიციას სიკეთე მხურვალე რწმენისა, რომლითაც მათ შესძლეს მისი დაცვა და ის დიდი მოწონება, რომელიც ჯილდოდ ხვდა მათ მამტიკიცებელ მჭევრმეტყველებასო. მაგრამ ამ დათმობის შემდეგაც კი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი, მაინც იმ ფაქტის წინაშე ვდგევართ, რომ იაკობ ხუცესის მოთხრობა არავისთვის არ იყო ცნობილი ხუთას წელზე მეტი დროის განმავლობაშიო (პეეტერსი, 298—299).

იმ აზრს, რომ „შუშანიკის წამება“ უცნობი იყო ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული მწერლობისათვის, პ. პე-

ეტერსი შემდგომაც ავითარებს: „შუშანიკის წამება“ რომ ცნობილი არ იყო თანამედროვე ან V ს- ის ახლობელი დროის მწერლისთვის, ამაზე ლაპარაკიც არაა, რადგან ასეთი საქართველოს საერთოდ არც ჰყოლიაო. უკვე ესაა დამაფიქრებელი. წარმოშვა რა პირველივე ცდით ეს მრავალსიტყვა აგიოგრაფი, რომლის მჭევრმეტყველება ვლინდება ვრცელ თხრობაში, ქართული ლიტერატურა დაუბრუნდა ძილს სულ მცირე ერთი საუკუნით, ისე რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი მწერალიც არ გამოჩენილა, რომელსაც შეეძლებოდა დაეწერათუნდაც ერთი უბრალო გვერდი ქრონიკებისაო. როდესაც ბევრად უფრო გვიან მან ისევ მიჰყო ხელი მუშაობას, „შუშანიკის წამება“ არც გახსენებიაო.

შემდეგ პ. პეტერსი ჩამოთვლის იმ ავტორებსა თუ თხზულებებს, რომლებსაც უნდა ეხსენებინათ თუნდაც გადაკვრით ცურტაველი მოწამე, იაკობის თხზულება წაკითხული რომ ჰქონოდათ: მატბერდული ქართლის მოქცევის შემდგენელი, სუმბატი, ჯუანშერი. თვით „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი, რომელიც ყველა ხალხების სარჯზე ცდილობს შეაქოს ვახტანგ გორგასალის საქმეები, ისე ჩაუვლის ამ რომანტიკულ ეპიზოდს, რომ არც კი იცის, მისი საყვარელი გმირი (ე. ი. ვახტანგი) ამ საქმეებშია გარეულიო. შემდეგ პ. პეტერსი ლაპარაკობს, რომ ასეთი ხრული სიჩუმეა ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებშიცო, იერუსალიმის ტიპიკონში და მისგან მომდინარეებში, კიმნების შატბერდულ კრებულში (XI ს.), ძველ საგალობელთა ყველა კრებულშიო (პეტერსი, 299—300).

- მოკლე სომხური რედაქციის ქართულად თარგმნის ხანას პ. პეტერსი 940 წლის ახლო დროით ათარიღებს (როდის შეიქმნა ეს რედაქცია, ამისი გარკვევა კი ძნელიაო). რადგან მოკლე რედაქციას არავითარი დამატებითი ცნობა არა აქვს ვრცელ ქართულ რედაქციასთან შედარებით, ვერ ვიტყვით, რომ იგი ვრცელის შესავსებად ითარგმნაო. „აქედან გამომდინარეობს, რომ ამ დრომდე ქართველებმა კიდევ არ იცოდნენ, რომ იმავე წმ. შუშანიკზე მათ ჰქონდათ თვითმხილველის მიერ მათ ენაზე შექმნილი ავთენტური მოთხრობა“-ო (იქვე, 299).

პ. პეტერსი სედავს იაკობის თხზულების ფსევდოეპიგრაფიკულობის სხვა ნიშნებსაც: როგორ შეიძლება თვითმსილველის მონაყოლად მივიჩნიოთ ეს მოთხრობა, გამართული აგიოგრაფიის ყველა წესის მისედევით (პეტერსი, 301).

პ. პეტერსის სიტყვით, სიძველე არ ემჩნევა „შუშანიკის წამების“ არც სტილს, არც კომპოზიციას, არც დიალოგებს, არც წმ. წიგნიდან ციტატებს. ამასთან, თუმცა იაკობის ტექსტი დაახლოებით ორი საუკუნით უნდა წინ უსწრებდეს უძველეს სანმეტ პალიმფსესტებს, იგი გაურბის გამოთქმების ბუნებრიობასა და თავდაჭერილობას ისეთი სელონებით, რომელიც შეიძლება შესწავლილ იქნეს მხოლოდ ლიტერატურულ სკოლაში, გაცხოველებულ მუშაობას რომ ეწევაო (იქვე, 301).

მთელი თავისი თავშეუკავებელი მრავალსიტყვაობის მიუხედავად, ამ საოცარ ხუცესს არაფერია აქვს მოსაყოლი შუშანიკის ცხოვრებაზე, სანამ ქმრის მრისხანებას დაიმსასურებდა და მას არც ესმის, რომ მის მხრივ ასეთი სიჩუმე ოდიოზურ ეჭვს იწვევს მოთხრობის მომდევნო ნაწილის მიმართო, ამბობს პ. პეტერსი (იქვე, 302).

პ. პეტერსს დაუჯერებლად მიაჩნია იაკობისეული აღწერილობა ცისისა, არ შეიძლება იგი შეეხებოდეს იმ ქალაქს, სადაც თვითონ ცხოვრობდა ან რომელიც რეზიდენციად ჰქონდა არჩეული მთავარსო (იქვე, 302).

ბოლოს (პ. პეტერსი აჯამებს) თავის შესედულებებს და წარმოადგენს „შუშანიკის წამების“ დაწერის ისტორიას:

(თავდაპირველად შუშანიკი ითვლებოდა სომეხ მოწამედ, თუმცა მას თავიანთ სცემდა ცურტავის ქართული მოსახლეობაც. ცურტავის ეკლესიაში მის მიერ სომხური ენის შემოღებამ ეს ეკლესია გადააქცია სომხური ეროვნულობის წინ წაწეულ პოსტად. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ცურტავის სომხური მოსახლეობა განსაკუთრებულად უგლიდა შუშანიკის საფლავსა და სასელს. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განყოფის შემდეგ შუშანიკის საფლავი ცხარე კამათის საგნად გადაიქცა. რათა შუშანიკი მიეთვისებინათ, ქართველებმა დაწერეს მისი წამება. ამ დარტყმის საპასუხოდ სომხებმა დაწერეს ამ წმინდანის ბიოგრაფია, რომელიც მათ ეროვნულ თვალსაზრისს

გამოსატავდა. ამ ბიოგრაფიის ავტორის მიზანი იყო ყოველ ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ შემთხვევაში ხაზი გაესვა შუშანიკის სომხობაზე და მის ნათესაობაზე სომხეთის ეროვნულ გმირებთან. სომხური ბიოგრაფიის დაწერისას გამოყენებული იყო ქართული, რის გამოც სომხურში დარჩა კვალი ქართული იდიომატიზმებისა. თვით ქართული თხზულება დაიკარგა და მას არაერთარი ასახვა არ მიუღია ძველ ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც X ს-მდე, ანუ მთელი ხუთასი წლის განმავლობაში, იმ დროიდან, როდესაც ვითომც პირველად დაიწერა „შუშანიკის წამება“, არაა არც ერთი ავტორი, ეს თხზულება წაკითხული რომ ჰქონოდა, არაფერ არსად არც ერთხელ არ ახსენებს შუშანიკს, არაფერ მას არ იცნობს. ვრცელი სომხური რედაქციიდან შემდგომში გაკეთდა მოკლე რედაქცია, რომელშიც იგივე სომხური ტენდენციაა გატარებული. მოკლე რედაქცია ქართულად ითარგმნა არა უგვიანეს 940 წლისა. მთარგმნელმა ზუსტად თარგმნა სომხური დედანი, ისე, რომ არაფერი გაუსწორებია. ამითი მან დიდი შეცდომა დაუშვა, რადგან მოკლე სომხურ რედაქციაშიც სომხური თვალსაზრისია გატარებული და იგი შეურაცხყოფელი იყო ქართველებისთვის. ამ შეცდომის გასასწორებლად და, შესაძლებელია, უსტანესის საპასუხოდაც, დაიწერა ახალი ქართული წამება, რომლის ავტორი თავს შუშანიკის მოძღვარ იაკობად ასაღებს და ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს წიგნი წამების თანამედროვის მიერაა დაწერილი. ეს ის თხზულებაა, რომელიც ამჟამად იაკობს მიეწერება. რადგან უძველესი სელნაწერი, რომელშიც ვრცელი ქართული „შუშანიკის წამება“ მოიპოვება, X ს-ზე უფრო გვიანდელია (მასში არის ბაგრატ III თანამედროვე იოანე ბოლნელის ქადაგებანი), თვით ეს თხზულებაც X ს-ზე უფრო გვიანდელი ხანით თარიღდება.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, თავის დროზე პ. პეტერსის შეხედულებები გააკრიტიკეს კ. კეკელიძემ და ი. აბულაძემ. ზოგი რამ უკვე ითქვა ამ წიგნშიც. ასლა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ზემოთ მოტანილ დებულებებზე.

სწორი არაა ის აზრი, თითქოს ვრცელი ქართული „შუშანიკის წამების“ იაკობი დაუჯერებელი პერსონაჟი იყოს. არა-

ფერი დაუჯერებელი ქართული „წამების“ იაკობში არაა. პირიქით, ყოველი მისი სიტყვა და უესტი, ყოველი მისი ფიქრიც კი, რომელსაც ის არ გამოთქვამს, მაგრამ ჩვენ ვსვდებით, აბსოლუტურად ბუნებრივია და ადამიანური. მოთხრობაში ისეთი ამბებიც კი არაა დამალული, რომლებმაც მკითხველის თვალში იაკობი შეიძლება დაამციროს კიდევაც. მაგალითად, ჩანს, რომ იაკობს ეშინია ვარსკენისა და ერიდება მას. არც ისაა სწორი, თითქოს, იაკობი რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობასა და როლს მიიწერდეს. ყველაფერი, რასაც იაკობი აკეთებს მოთხრობის მიხედვით, სრულიად ბუნებრივია. ძველი დროის მკითხველზე რომ აღარა ვთქვათ რა, თვით თანამედროვე მკითხველიც კი მისგან, როგორც მოწამის მოძღვრისაგან, მეტს ელოდება. არც ისაა სამართლიანი, თითქოს იგი „დასამახსოვრებელ სიტყვებს“ წარმოთქვამდეს ან აბნეულობა შექჟონდეს მოთხრობაში, სადაც კი გამოჩნდება. თვალში საცემია საწინააღმდეგო: რა ცოტას და რა უბრალოდ ლაპარაკობს იაკობი.

ამდენად, არც პატრიოტული რწმენით შთაგონებული „უზარმაზარი უშედეგო შრომა“ და არც სიჯიუტე არაა საჭირო იაკობის რეალურობაში დასარწმუნებლად. იაკობი ცოცხალი ადამიანია, რომელიც გნებავთ ეროვნების მკითხველისათვის.

მსჯელობა ქართული ანბანის გამოგონებაზე და ქართველების პოზიციასზე ამ საკითხში მეტად გულუბრყვილოა. რომაელებს, ბერძნებს, ბელგიელებს, ფრანგებს და სხვა ხალხებს თავ-თავისი პრობლემები აწუხებთ. ასევე ქართველებსაც თავისი პრობლემები აქვთ. ასეთ შემთხვევებში საერთო მიდგომა ყოველთვის არ გამოდგება. მაგრამ ამ საკითხზე შეჩერება არა ღირს, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, რასაკვირველია, ქართული მეცნიერება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტისას პირველ რიგში მეცნიერულ საფუძველს ეყრდნობა და არა პატრიოტულ მოსაზრებებს ან ტრადიციებზე აგებულ „მსურველ რწმენას“. რაც შეეხება იმას, რომ „მუშანიკის წამების“ დაწერის დროისთვის ქართულ ანბანს მხოლოდ ნახევარი საუკუნის არსებობა ჰქონდა, პ. პეტერსს ამით, ალბათ, იმისი თქმა სურს, რომ ანბანის

გაჩინის დროიდან ასე ცოტა ხანში ამგვარი თსზულება არ დაიწერებოდა. თუ ეს ასეა, სხვაგვარად კი გაუგებარია ცნობილი მეცნიერის მსჯელობა, უნდა ითქვას, რომ ამ დებულების დაცვა გაძნელდება. მეზობელ სომხეთში, სადაც ანბანი იმავე დროს უნდა შექმნილიყო, რა დროსაც, პ. პეტერსის აზრით, შეიქმნა ქართული, იმავე ხანებში და უფრო ადრეც, როდესაც „შუშანიკის წამების“ დაწერა ასე დაუჯერებლად ეჩვენება მას, დაიწერა შესანიშნავი საისტორიო თსზულებები კორიუნის, აგათანგელოსის, ფავსტოს ბუზანდის, ელიშეს, ლაზარ ფარპეცის, მოვსეს ხორენაცისა, ფილოსოფიური თსზულება ეზნიკ კოლბაცისა. რატომ არ შეიძლებოდა, რომ მეზობელ ქართლში იაკობს დაეწერა თავისი „შუშანიკის წამება“, რომელიც, ამასთან, თვით პ. პეტერს არცთუ მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნდა (მდრ. აბულაძე, შუშანიკი, 060)? ჩვენ ამჟამად დანამდვილებით ვიცით, რომ V ს-ში ქართულად საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობდა. ამიტომ არც ის ჩანს სწორი, თითქოს იაკობი მაინცდამაინც პირველი ქართველი მწერალი იყო.

ლაპარაკი იმაზე, რომ V საუკუნეში ქართულმა მწერლობამ დაიძინა და ეძინა სულ მცირე მთელი ასწლეული, ალბათ, იგულისხმება. „ეესტათი მცხეთელის წამების“ დაწერამდე, რომ ამ ეპოქაში საქართველოში არც ერთი მწერალი არ იყო, რომ აქ არ დაწერილა არც ერთი უბრალო ფურცელი ქრონიკებისა, არასწორიცაა და მეტად ზერელეც. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ამ პერიოდში არ ყოფილა დიდი მწერალი, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ მწერლობა არ არსებობდა. დამწერლობა ხომ არსებობდა, რაღაც ხომ იწერებოდა! არც ერთი უბრალო ფურცელი ქრონიკებისა რომ არ დაწერილიყო, არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაიწერებოდა, არც ლეონტისა და ჯუანშერის საისტორიო თსზულებები. ხომ შეუძლებელია იმისი დაშვება, რომ ყველაფერს, რაც ამ თსზულებებშია მოთხრობილი, ზეპირსიტყვიერებით მიუღწევია მათ ავტორებამდე. ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ კირიონ კათალიკოსი VII ს-ის დასაწყისში ჩამოთვლის სიას ცურტავის ეპისკოპოსებისა შუშანიკის დროიდან დაწყებული. საიდან აქვს მას ეს სია? ჩანს, იყო ცნობები ცალკეულ

საეპისკოპოსოთა ეპისკოპოსების შესახებაც კი, რაღა ითქმის კათალიკოსებზე, მეფეებზე? მართალია, ამ ლიტერატურამ ჩვენამდე თითქმის არ მოაღწია, მაგრამ ეს არც მოულოდნელია და არც უჩვეულო.

ახლა შუშანიკის მოუხსენებლობაზე ქართულ წერილობით ძეგლებში. პ. პეტერსის სიტყვით, შუშანიკს არც ერთი ავტორი არ ახსენებს მთელი ხუთასი წლის მანძილზე. შემდეგ პ. პეტერსი ჩამოთვლის იმ ავტორებს, რომლებსაც იგი უნდა ესხენებიანთ „შუშანიკის წამება“ რომ ჰქონოდათ წაკითხულიო. მოუხსენებლობა, პ. პეტერსის აზრით, ნიშნავს იმას, რომ თხზულება საერთოდ არ არსებობდა. აქ არეულია ორი რამ: შუშანიკის ხსენება და იაკობის თხზულების ცოდნა. ცხადია, შუშანიკი შეიძლებოდა ესხენებიანა იმასაც, ვისაც წაკითხული არა ჰქონდა მისი წამების წიგნი. მაგრამ პ. პეტერსი სწორი არაა ფაქტობრივადაც. წინააღმდეგ მისი მტკიცებისა, შუშანიკი არათუ მოხსენებულა, მისი წამების ამბავი გადმოცემულიცაა შატბერდულ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ჯუანშერის თხზულებაში. შუშანიკი დასახელებულია ლიტურგიკულ ძეგლებშიც: როგორც ვნახეთ, იგი მოხსენებული უნდა ყოფილიყო იერუსალემის განჩინების IX ს. ნუსხაშიც, იხსენიება იგი იოანე ზოსიმეს X ს. კალენდარშიაც და მიქაელ მოდრეკილის პიმნებშიც.

ამას გარდა, შუშანიკი მოხსენებული პყავთ კირიონს (VII ს. დასაწყისი) და არსენი საფარელს (IX ს.).

პეტერსის მიერ დასახელებულ ავტორთაგან შუშანიკს მართლაც არ ახსენებენ სუმბატ დავითის-ძე და „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი. მაგრამ მათ შუშანიკი არც უნდა ესხენებიანთ. სუმბატ დავითის-ძის მოთხრობა ბაგრატიონებზე იწყება VI ს-ის II ნახევრით, ე. ი. თითქმის ერთი საუკუნით უფრო გვიანდელი ეპოქით, ვიდრე მოხდა შუშანიკის წამება. მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სას და ჯუანშერს წამება VI ს-ის ნახევარში გადმოაქვთ ბაკურის მეფობაში, მაგრამ სუმბატის მოთხრობა იწყება ქართლში მეფობის გაუქმების მომდევნო ხანაში. ამასთან, ჩვენ არ ვიცით, იზიარებდა თუ არა სუმბატი წამების ისეთ დათარიღებას, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ჯუანშერთან. მაგრამ სუმბატს შუ-

შანიკის წამება მოთხრობილი რომ ჰქონოდა კიდევაც, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი მაინც ამოაგდებდა ამ ადგილს, რადგან იგი ჰქონდა ჯუანშერს, რომლის მოთხრობა წინ უძღვის სუმბატისას.

გაუგებარია, ვის გულისხმობს პ. პეტერსი „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელში, რომელიც „ყველა სხვა ხალხების ხარჯზე ცდილობს შეაქოს ვახტანგ გორგასალის“ საქმეები. ვახტანგ გორგასალის ისტორია დაწერილი აქვს ჯუანშერს. მასზე კი პეტერსი ცალკე ლაპარაკობს. ამასთან, ჯუანშერს, როგორც ვიცით, აქვს აღწერილი შუშანიკის წამება, ხოლო თუ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელად სხვა იგულისხმება (მაგალითად, ლეონტი მროველი), მას შუშანიკის ხსენებას ვერც მოეთხოვთ, რადგან შუშანიკის წამების ეპოქა მოთხრობილი აქვს ჯუანშერს.

როგორც ვხედავთ, წინააღმდეგ პ. პეტერსის მტკიცებისა, შუშანიკი იხსენიება არაერთი ავტორის მიერ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ავტორებს წაკითხული ჰქონდათ იაკობის თხზულება. და, მართლაც, ვერც ერთ ამ ავტორთან ჩვენ ვერ ვადასტურებთ იაკობის „შუშანიკის წამებასთან“ ნაცნობობას. ერთადერთი ადრინდელი წყარო, გარდა „შუშანიკის წამების“ ძველი სომხური რედაქციებისა, რომელიც ნამდვილად ატარებს იაკობის მოთხრობასთან ნაცნობობის კვალს, არის X ს. დასაწყისის სომეხი ავტორის აპარონ ვანანდეცის თხზულება. მაგრამ დავუშვათ, რომ მხედველობაში არ მივიღეთ არც ძველი სომხური რედაქციები და არც აპარონ ვანანდეცის მოთხრობა და იაკობის წიგნის არავითარი კვალი არა ხჩანს მთელი ხუთასი წლის განმავლობაში, ე. ი. X ს-ის ჩათვლით. განა ეს საკმარისია იმისთვის, რომ ვამტკიცოთ ამ წიგნის არარსებობა? XI—XII საუკუნეებში მისი არსებობა ხომ თვით პ. პეტერსაც არ ეეჭვება (როგორც ითქვა, იაკობის ტექსტის შემცველ უძველეს ხელნაწერს, პარხლის მრავალთავს, პ. პეტერსი X ს. მომდევნო ხანით ათარიღებს). რიღათი ავხსნათ ის გარემოება, რომ XVIII საუკუნემდე ე. ი. მთელი 600—700 წლის განმავლობაში ეს თხზულება ისევ არსად არა ჩანს? ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ XI—XVII საუკუნეების ხელნაწერებიცა და ლიტერატურული ძეგ-

ლებიც შეუდარებლად მეტია შემონახული, ვიდრე V-X საუკუნეებისა.

საინტერესოა, რომ ასევე მრავალი საუკუნის მანძილზე არ იხსენიება „შუშანიკის წამება“ სომხურ მწერლობაშიც.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იაკობის თსზულების მოუხსენებლობაზე შემდეგ თვით პ. პეეტერსიც ამბობს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც უნდა მივცეთ, რადგან წმ. ევსტათიაცა და წმ. აბოც ასეთივე დავიწყების მსხვერპლნი გასდნენ, რაც შეიძლება იმ არანორმალური ვითარებით აიხსნას, რომელშიც აღორძინდა არაბული შემოსევების უბედურების შემდეგ ქართული ლიტერატურა ტაო-კლარჯეთში (პეეტერსი, 300).

ვერ გავიზიარებთ პ. პეეტერსის იმ აზრსაც, თითქოს მოკლე სომხური რედაქცია ქართულად იმიტომ ითარგმნა, რომ არ არსებობდა იაკობის „შუშანიკის წამება“. ვრცელ და მოკლე რედაქციებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. თვით სომხურად ხომ შეიქმნა მოკლე რედაქცია ვრცელის საფუძველზე და მის გვერდით! არაა გამორიცხული ისიც, რომ მოკლე რედაქციის ქართულად მთარგმნელს არ სცოდნოდა იაკობის წიგნის არსებობა. ეს მით უმეტეს დასაშვებია, რომ, როგორც ითქვა, თარგმანი შესრულებული ყოფილა სომესი დიოფიზიტების წრეში, სომესი მთარგმნელის მიერ ქართულად მოლაპარაკე სომხებისთვის. გავიხსენოთ აპარონ ვანანდეცი, რომელსაც გამოუყენებია ქართული ვრცელი წამება, თუმცა კი სომხურად უკვე არსებობდა არათუ ვრცელი, ალბათ, მოკლე რედაქციაც კი.

მართალია, მოკლე „წამებას“ არა აქვს იაკობის ტექსტთან შედარებით დამატებითი ცნობები, მაგრამ, როგორც ითქვა, მისი თარგმნისათვის სრულებითაც არ იყო აუცილებელი, რომ მას ასეთი ცნობები ჰქონოდა.

პ. პეეტერსი იაკობის თსზულების ფსევდოპეიგრაფიკულობას სედავს იმაში, რომ ეს მოთხრობა აგიოგრაფიის ყველა წესით არის გამართული. ჯერ-ერთი, ჩვენ ვნასეთ, რომ იაკობის წიგნი აგიოგრაფიის ყველა წესით გამართული არაა. მეორეც: თუნდაც, რომ ასე ყოფილიყო, ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად გვიანდელი უნდა იყოს. ბევრია ისეთი ნაწარ-

მოები, რომელიც აგიოგრაფიული წესითაა გამართული და ამავე დროს თანამედროვეთა მიერაა დაწერილი. საკმარისია დავასახელოთ „ევესტათი მცხეთელის წამება“, „აბოს წამება“, ბიზანტიური აგიოგრაფიიდან ათანასე ალექსანდრიელის, პალადიუსის, თეოდორიტე კვირელის თხზულებები.

რაც შეეხება იაკობის თხზულების სტილს, კომპოზიციას, დილოგებს, ციტატებს „სახარებიდან“, ჩვენ უკვე გვექონდა აღნიშნული, რომ ისინი სწორედ სიძველეს ამჟღავნებენ¹.

ენა, მართლაც, განახლებულია. მაგრამ ესეც ჩვეულებრივი ამბავია. გვიანდელი გადამწერლები ხშირად წმინდაეწიერ ტექსტს ძველი ფორმებისაგან.

ის გარემოება, რომ იაკობი ამჟღავნებს ნაცნობობას გარკვეულ ლიტერატურულ სკოლასთან, არ ლაპარაკობს მაინც-დამაინც იაკობის უფრო გვიანდელ ხანაში მოღვაწეობაზე. ეს, შეიძლება, აიხსნას ისეც, რომ იაკობის დროს უკვე არსებობდა ლიტერატურული სკოლა, რაც მართლაც სავარაუდოა.

შუშანიკის ცხოვრების ადრინდელი პერიოდის მოუსხენებლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ერთი, რომ ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გარკვეული, სრულად მოაღწია ჩვენამდე იაკობის ტექსტმა, თუ მას თავში რაღაცა აკლია. თუნდაც რომ სრულად მოეღწიოს, ეს არაფერს არ ნიშნავს. აგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის სრულებითაც არ იყო სავალდებულო წმინდანის მთელი ცხოვრების აღწერა. ზოგჯერ მოთსრობილია წმინდანის ცხოვრების მხოლოდ ცალკეული მომენტი. იაკობი

¹ კ. კეკელიძეს კარგად აქვს შენიშნული იაკობის ტექსტის ზოგიერთი სხვა ჩვენებაც, რომელაც მის სიძველეზე ლაპარაკობს: 1) „დღესასწაულები მოძრავია შუშანიკის სხენება დაუწესებიათ არა მისი აღსასრულის დღეს, არამედ ხუთშაბათს; ასეთი პრაქტიკა ჩვენში სწორედ აღნიშნულ ეპოქაში (V ს., 6. გ.) იყო მიღებული და ის მდგომარეობდა იმაში, რომ მოწამეთა და წმინდანთა სახსენებელი თვას რიცხვთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ შეიღვეულის დღესთან... 2) ლიტურგიკულმა პრაქტიკამ ჯერ კიდევ არ იცის პიშნოგრაფიული ელემენტი. ის ფსალმუნების გალობითა და კითხვით ამოიწურება; შუშანიკის დაკრძალვის დამეო, — აშობის იაკობი, — „განვითიეთ დავითის ქნართა, ყოვლად-ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუნესა იესუ ქრისტეს ვადიდებდით“. ასეთი იყო საქრისტიანო პრაქტიკა მეექვსე საუკუნემდე“ (კ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, 121).

რომ მართლაც ასეთი მოხერხებული ფალსიფიკატორი ყოფილიყო, განა იმას კი ვეღარ მიხედებოდა, რომ მეტი დამაჯერებლობისათვის საჭირო იყო შუშანიკის ადრინდელი ცხოვრების აღწერაც?

რაც შეეხება პ. პეტერსის შენიშვნას ციხის აღწერილობაზე, როგორც უკვე აღნიშნა ი. აბულაძემ, ეს მხოლოდ გაუგებრობაა, რადგან იაკობი აღწერს არა ცურტავის შავას, არამედ ციხისას, რომელიც საკმაოდ დაცილებული ყოფილა ცურტავს (აბულაძე, შუშანიკი, 045).

პ. პეტერსის სიტყვით, „შუშანიკის წამების“ წიგნები იმისთვის დაიწერა, რომ შუშანიკი დაესაკუთრებინათ. ჯერ ქართველებმა დაწერეს ამ მიზნით, მერე სომხებმა, შემდეგ ისევ ქართველებმა. „წამების“ მოღწეული და არმოღწეული რედაქციებიც სულ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული პოლემიკური ეროვნულ-საეკლესიო ტენდენციებით აღსავსე თხზულებებიაო. თვით იაკობის წიგნიც ქართველებისთვის შეურაცხყოფელი მოკლე რედაქციის საწინააღმდეგოდ ყოფილა დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ პ. პეტერსის შეხედულება „წამების“ რედაქციათა ტენდენციურობაზე ი. აბულაძემ და კ. კეკელიძემაც გაიზიარეს. ოღონდ ამ უკანასკნელთა აზრით, ტენდენციურობა მხოლოდ სომხურ რედაქციებს ახასიათებს, რაც იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იაკობის თხზულება სომხურ-ქართული ეკლესიების განსეთქილებამდე დაიწერა, სომხური რედაქციები კი მის შემდეგო.

სომხურ წამებათა წიგნების ტენდენციურობაზე ი. აბულაძე წერდა: „სომხურ მარტივობათა წიგნებში ჭარბად ვხვდებით“ ნაციონალურ შეხედულებებსა და ტენდენციებსო (აბულაძე, შუშანიკი, 029). შემდეგ მკვლევარი ისევ აღნიშნავდა, სომხურ ტექსტს ემჩნევა „ეროვნულ ეკლესიური ტენდენციები“-ო და მიუთითებდა იმ ადგილებს, სადაც იხსენიებიან შუშანიკის წინაპრები, ხოლო თვით შუშანიკი რიფსიმესაა შედარებული. „ყველა ეს სომეხი ავტორისა და სომხური ეროვნული თვალსაზრისის მომარჯვების ნაყოფია“-ო (აბულაძე, შუშანიკი, 035, იხ. აგრეთვე, 037, 038). შემდგომში ი. აბულაძემ დააზუსტა თავისი აზრი: „ეროვნულ-ეკლესიური თვალ-

საზრისი, რომელიც სომხურს მოკლესა თუ ვრცელს მარტვი-
ლობის წიგნში შეინიშნება, ამის შემდეგ ისე აღარ უნდა
გავიგოთ, რომ აქ მონოფიზიტური ეკლესიის მიმდევრის
სულისკვეთება შეღავენდებოდა, არამედ როგორც ზოგად-
სომხური, ეროვნული, რომელიც VIII ს-მდის თანაბრად იყო
მისაღები ურთიერთის მოწინააღმდეგე აღსარების სომხურ
ბანაკათვის“ (აბულაძე, ლიტ. ურთიერთობა, 0155). კ. კეკელიძე
აღნიშნავს, „ქართულ რედაქციაში არსად ნაციონალურ-
ი კვალი არ ჩანს; სომხური თავიდან ბოლომდე გაუღენთი-
ლია ნაციონალური ტენდენციებით“-ო (კ. კეკელიძე, ლიტ.
ისტორია, 120—121).

ვრცელ სომხურ რედაქციაში, მართლაც, მრავალგზის
არის ლაპარაკი შუშანიკის წარმომავლობაზე. დასაწყისში,
როგორც ითქვა, მისი მამის, ვარდანის, გარდა, რომელიც
იხსენიება იაკობის მიერაც, დასახელებული არიან მისი ბებია,
საჰაკანუში, და ამ უკანასკნელის მამა კათალიკოსი საჰაკი.
თვითონ შუშანიკი ამბობს: „არა დაუტეო შჯული წმიდათა
მათ მამათა ჩემთა, სომეხთა განმანათლებელთა-ო“ (III. 118—
121). თავის წინაპრებს შუშანიკი შემდგომშიც არაერთხელ
ახსენებს (V. 106—110; 120—124; VII. 37—42; 150—153; IX.
41—48; XVIII. 34—39). ერთგან შუშანიკის ხუცესი მას „კე-
თილისა ძირისა კეთილ მორჩს“ (X. 13—14) უწოდებს. ერთ-
განაც ავტორისეულ ტექსტშია მოხსენებული შუშანიკის წი-
ნაპრები (XIV. 22—28). მისი ხუცესის სიტყვაში შუშანიკი
შედარებულია წმ. რიფსიმესთან (X. 15—23). თვით შუშანიკი
ამაზე თავმდაბლურად უარს ამბობს (X. 24—36), თუმცა უფრო
აღრე თვითონაც ატარებდა ერთგვარ პარალელს ამ წმინდან-
თან (V. 124—129). ნათქვამია, აგრეთვე, რომ შუშანიკს ჰქონ-
და წმ. საჰაკის ნაქონი სახარება (VI. 7—11).

კიდევ უფრო დაწვრილებითაა წარმოდგენილი, როგორც
ენახეთ, შუშანიკის გენეალოგია მოკლე სომხურ რედაქციაში.

და მაინც, ჩვენი აზრით, სომხური რედაქციების ზემოთ
მოტანილ შეფასებებში მათი ეროვნულ-საეკლესიო ტენდენ-
ციურობა გაზვიადებულია. სომხური რედაქციების ავტორები
სომხები არიან. ბუნებრივია, რომ სომეხი მკითხველისთვის
მათ თავის რედაქციაში მეტი სომხური რეალია შეიტანეს, და

კერძოდ, შუშანიკის მეტი წინაპარი მოიხსენიეს, მაგრამ ეს სხენება მიზნად არ ისახავს შუშანიკის ეროვნული ან სარწმუნოებრივი უპირატესობის დამტკიცებას. ამ სხენების მიზანია მკითხველს უჩვენოს, რომ სარწმუნოებისთვის თავდადება და სიმტკიცე, მოწამეობრივობა, შუშანიკს მეტკვიდრეობით მოსდევს, ასე ვთქვათ, სიხსლში აქვს. იმისი აღნიშვნა, რომ შუშანიკის წინაპრები ქრისტიანობისთვის თავდადებული ადამიანები იყვნენ, მეტ დიდებას კმატებს შუშანიკს, როგორც წმინდანს. თავის მხრივ იაკობმაც აღნიშნა ვარსქენის მამის, არშუშას, ღმრთისმოსავობა, რითაც ვარსქენის განდგომა უფრო მეტ ფერში წარმოადგინა. მაგრამ შუშანიკის წინაპრების ღირსებების აღნიშვნა ისევე არ არის სომხური რედაქციების ეროვნულ-საეკლესიო ტენდენციურობის გამოსატყულება, როგორც იაკობის მიერ არშუშას ღმრთისმოსავობის მოხსენიება არაა იაკობის ეროვნულ-საეკლესიო ტენდენციურობის გამოვლინება. მართალია, ვრცელ სომხურ რედაქციაში გამოტოვებულია შუშანიკის სიტყვები არშუშას ღმრთისმოსავობაზე, მაგრამ ეს გაკეთებულია იმისთვის, რომ ვარსქენი დამცირებულყო, როგორც უარყოფითი პერსონაჟი. აქ უბრალოდ ორი სხვადასხვა ხერხია გამოყენებული: იაკობი ქრისტიანობიგან განდგომილ ვარსქენს უპირისპირებს მტკიცე ქრისტიან მამამისს, სომეხი რედაქტორი კი ვარსქენს ამცირებს იმით, რომ არ ლაპარაკობს მამამისის სიკეთეზე.

ამგვარადვე შუშანიკის შედარება რიფსიმესთან ვრცელ სომხურ რედაქციაში ისევე არ უნდა ჩაითვალოს სომხურ ტენდენციურობად, როგორც არაა ქართული ტენდენციურობა უხტანესის მიერ შუშანიკის შედარება წმ. ნინოსთან. ასევე არ მიგვაჩნია ქართული ტენდენციურობის გამოვლინებად ის, რომ იაკობი არაფერს ამბობს შუშანიკის მიერ სომხურად მღვდელმსახურების შემოღებაზე.

ეროვნულ-საეკლესიო ტენდენციურობაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, როდესაც ჩვენ დავადასტურებდით რომელიმე ეროვნული ან საეკლესიო უპირატესობის მტკიცების ცდას. მაგრამ ასეთი რამ არ ჩანს არც ქართულსა და არც სომხურ რედაქციებში. მით უმეტეს, არა ჩანს რაიმე კვალი შუშანიკის, როგორც წმინდანის, მითვისების სურვი-

ლისა. არც ქართული რედაქცია მაღავეს შუშანიკის სომხობას, არც სომხური რედაქცია უარყოფს მის კავშირს ქართლთან. არათუ შეურაცხყოფელი მომენტები, არ იგრძნობა არაერთარი მტრული დამოკიდებულება ან თუნდაც დანპირისპირება ქართველებსა და სომხებს შორის. ამდენად, „შუშანიკის წამების“ დაწერის პეეტერსისეულ სქემას ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ეცლება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პ. პეეტერსის შეხედულების თანახმად იაკობის „შუშანიკის წამება“ და სომხური ვრცელი რედაქცია საერთოდ სხვადასხვა ნაწარმოებია. ეს თითქოს იმითი მტკიცდება, რომ იაკობს აქვს ზოგიერთი ისეთი ისტორიული დეტალი, რომელიც არაა ვრცელ სომხურ რედაქციაში (პეეტერსი, 302). ჩვენ ვნახეთ, რომ ვრცელ ქართულ-სომხურ „წამებებს“ მხოლოდ რედაქციული ხასიათის განსხვავებები აქვთ, არსებითად კი ისინი ერთ ნაწარმოებს წარმოადგენენ. სომხურ რედაქციაში ისტორიული დეტალების ნაკლებობა რედაქციული გადამუშავების შედეგია (გამოტოვებულია) და არ ლაპარაკობს იმაზე, რომ იაკობს რაიმე დამატებითი წყარო ჰქონდა, როგორც ეს მიაჩნია პ. პეეტერსს (იქვე).

დაბოლოს, გავიხსენოთ ისიც, რომ, როგორც დაამტკიცა მ. ვან ესბროკმა, არ არსებობს საფუძველი პარხლის მრავალთავის, „შუშანიკის წამების“ უძველესი ნუსხის შემცველი ხელნაწერის, X ს-ზე გვიანდელი ხანით დათარიღებისათვის.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ აღნიშნული კიდევ უფრო ცხადად ასახულებს იმ ადრეც გამოთქმულ აზრს (ი. აბულაძე, კ. კეკელიძე), რომ პ. პეეტერსის შეხედულება იაკობის „შუშანიკის წამების“ დაწერის დროზე და, საერთოდ, წამების რედაქციების ურთიერთდამოკიდებულებაზე ფაქტებით არ დასტურდება და სწორი არაა.

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ჩვენი მიზანია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“, როგორც ისტორიული წყაროს, შესწავლა. მაგრამ, სანამ უშუალოდ ტექსტის შესწავლას დავიწყებდით, საჭიროდ ჩავთვალეთ ზოგიერთი ისეთი საკითხის განხილვა, რომელთა გარკვევა, ჩვენი აზრით, უნდა წინ უსწრებდეს დასახულ სამუშაოს. სწორედ ასეთი საკითხებია წარმოდგენილი ამ წიგნში და, ამდენად, იგი ერთგვარ შესავალ ნაწილად მიგვაჩნია ჩვენი ნაშრომისათვის.

ჩვენ განვიხილეთ ის ცნობები, რომლებიც არსებობს ძველ მწერლობაში „შუშანიკის წამებასა“ და მის პერსონაჟებზე, განვიხილეთ ამ თხზულების სხვადასხვა რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება; განვიხილეთ „წამების“ ავტორისა და დაწერის საკითხი. ფაქტიურად ჩვენ განვიხილეთ „შუშანიკის წამების“ ისტორია და ვიმედოვნებთ, რომ ამ განხილვის შედეგები მთლად უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველისათვის.

ძველ მწერლობაში დაცული ცნობები საყურადღებო მასალას იძლევიან „შუშანიკის წამების“ ისტორიისათვის და მოთხრობის გმირების ხასიათების სწორი გაგებისათვის, ამდენად თვით თხზულების სწორი გაგებისათვისაც. ეს ცნობები მასალას გვაწვდიან, აგრეთვე, ადრეუფოდალური ქართლის ისტორიისათვის, ქართულ-სომხურ ურთიერთობათა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის.

ასევე უშედეგო არ აღმოჩნდა „შუშანიკის წამების“ სხვადასხვა რედაქციების შესწავლა და ერთმანეთთან შედარება. ამ შედარებამ გაარკვია ყოველი მათგანის სპეციფიურობა. აშკარად გამოჩნდა, რომ მათ შორის უძველესია იაკობის ტექსტი, ანუ ვრცელი ქართული რედაქცია. გამოჩნდა, აგრეთვე, ისიც, რომ სწორედ ეს რედაქციაა ყველაზე კარგად, სრუ-

ლად შემონახული, რომ ყველაზე ნაკლები ცვლილება სწორედ მან განიცადა დროთა განმავლობაში. დაბოლოს, ცხადი გახდა ისიც, რომ ლიტერატურული თეალსაზრისით იგი შეუდარებლად უფრო მაღლა დგას სხვა რედაქციებზე. მისი ავტორი უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, თუმცა არც სხვა რედაქციების ავტორები არიან ნიჭს მოკლებულნი. იაკობის მოთხრობა გეხიბლავს თავისი არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით, გასაოცარი უშუალობითა და გულწრფელობით, უმაღლესი ოსტატობის სისადავით, სრულიად მოულოდნელი თანამედროვეობით და პირდაპირ შეუბრალებელი რეალიზმით. ამასთან ერთად ეს პატარა წიგნი გვიზიდავს რაღაც ამოუცნობელი გაურკვეველობითა და საიდუმლოებით, რომელშიც გასვეულია მასში აღწერილი ამბავი.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ქრონოლოგიური მონაცემები, რომლებიც დაცულია იაკობის ტექსტში. სხვა ცნობების მოშეღიებით ისინი საშუალებას იძლევიან ზუსტად დავათარილოთ „წამებაში“ აღწერილი ამბები და დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ იაკობმა „შუშანიკის წამება“ 475–482 წლებს შორის დაწერა.

ჩანს, შუშანიკის ამბავს, თუ ამ ამბავზე დაწერილ თხზულებას, იმთავითვე დიდი ყურადღება მიუქცევია. ადრევე დაწყებული ამ სიუჟეტის გადამუშავებაც. ჩვენ არა გვაქვს საკმარისი მონაცემები იმის გასარკვევად, თუ რაზე იყო დაფუძნებული ეს გადამუშავება, იყენებდა იგი ფოლკლორულ მასალას თუ იმავე იაკობის თხზულებას, ან სხვა წერილობით წყაროს, მაგრამ ასეთი მუშაობა რომ მიმდინარეობდა, ეს ცხადია. კერძოდ, „შუშანიკის წამების“ განსხვავებულ რედაქციებს ჩვენ ეპოულობთ „მოქცევამ ქართლისაჲ“-ში და ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. აღსანიშნავია, რომ „მოქცევამ ქართლისაჲ“-ში დადასტურებული რედაქცია ჯერ კიდევ საკმაოდ ახლოს დგას იაკობის თხზულებასთან, ჯუანშერთან წარმოდგენილი კი უკვე დიდად არის დაცილებული მას და ფაქტიურად სულ სხვა ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. უკანასკნელად ქართულ ლიტერატურაში იაკობის ტექსტი რედაქციულად გადაამუშავა ანტონ კათალიკოსმა.

ქრონოლოგიურადაც და ლიტერატურული თვისებებითაც იაკობის „შუშანიკის წამება“ ადრინდელ აგიოგრაფიას განეკუთვნება. მაგრამ თავისი რეალისტურობით იგი ამ ხანის სხვა აგიოგრაფიულ ნაწარმოებებსაც წააცილებს. ამის გამო იგი მთლად ვერ ეტყევა აღნიშნული ჟანრის ჩარჩოებში, და, შესაძლებელია, არც საეკლესიო მიზნებისთვის იყო ყოველმსრივ გამოსადეგი. ეტყობა, სწორედ ამან გამოიწვია ამ თხზულების ანტონისეული გადამუშავება: ანტონმა აგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნებს შეუფარდა იაკობის მოთხრობის გმირების სასიათები და ქცევა, სოლო თვით მოთხრობა კი ორთოდოქსალურ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად აქცია:

საინტერესოა, რომ დაახლოებით იგივე პროცესი მიმდინარეობდა სომხურ მწერლობაშიც. იაკობის „შუშანიკის წამება“, როგორც ჩანს, სომხურად ითარგმნა 704—708 წლებში და ამ დროიდან, თუ უფრო გვიან, ხდება მისი გადამუშავებაც. შესაძლებელია, იაკობის ტექსტმა გარკვეული რედაქცია განიცადა თვით სომხურად თარგმნის დროს, ყოველ შემთხვევაში ასეთი რედაქტირება მას გაუკეთდა ცოტა მოგვიანებით. ამჟამად არსებული ვრცელი სომხური რედაქცია სწორედ ამ გადამუშავების შედეგია. ისევე როგორც ანტონი, სომეხი რედაქტორიც მიზნად ისახავდა მოეცილებინა იაკობის ტექსტისთვის ის ცსოვრებისეული სინამდვილე, რომელიც მას აქვს და ექცია იგი სასულიერო საკითხავ წიგნად. სომხური რედაქცია ბევრად ადრინდელია ანტონისაზე, VIII ს-ეს უნდა განეკუთვნებოდეს და პრემეტაფრასტულია. ამრიგად, იაკობის ტექსტის სულიერი თავისუფლება თვალში საცემი ყოფილა ჯერ კიდევ ასეთ ადრინდელ ხანაში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მისი ადრინდელი ქართული გადამუშავებაც (წარმოდგენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ჯუანშერთან) იმავე მოთხოვნილებებით იყო ნაკარნახევი.

ყოველივე ეს, ცხადია, იაკობის თხზულების ჭეშმარიტად დიდ ლიტერატურულ ღირსებებზე ლაპარაკობს.

ძალზე საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც დაცულია ძველ მწერლობაში „შუშანიკის წამების“ პერსონაჟებზე, შუშანიკზე, ვარსქენზე, მათს წარმომავლობაზე, ოჯახურ წრეზე, იმ ფსიქოლოგიურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოზე,

რომელშიც ისინი იზრდებოდნენ და მოღვაწეობდნენ. სომხურ მწერლობას დაუცავს, აგრეთვე, ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ შუმანიკს სომხეთში თაყვანს სცემდნენ არა მარტო როგორც წმინდანს, არამედ როგორც დიდ სომეხ პატრიოტს, თავისი ხალხისა და მშობლიური კულტურისათვის თავგამოდებულ მოღვაწეს.

წიგნში განხილულია მრავალი სხვა საკითხიც, რომელთა ჩამოთვლა აქ ზედმეტად მიგვაჩნია.

საბოლოოდ გვინდა გავიმეოროთ ის სურვილი, რომელიც გამოთქმული გვექონდა წიგნის წინასიტყვაობაში: დაე, „შუმანიკის წამების“ ათასხუთასი წლის იუბილემ ხელი შეუწყოს არა მარტო მის პოპულარიზაციას, არამედ შემდგომ უფრო გადრმავებულ შესწავლასაც.

დამოწმებული ლიტერატურა

აბელიანი — Манук Абегиан, История древнеармянской литературы, Ереван, 1975 (პირველი გამოცემა — Ереван, 1948). სომხური გამოცემები: *Մ. Աբեղյան. Հայոց հին գրականության պատմություն, Երևան, 1944*; მეორე გამოცემა — *Մ. Աբեղյան, Երևան, Գ. Հայոց հին գրականության պատմություն, Երևան, 1968*;

აბრამიშვილი — გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობის თარიღისათვის, მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, თბ., 1970, № 5 (56).

აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობა — ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944.

აბულაძე, პალეოგრაფიული აღბოძი — ილია აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბოძი, თბ., 1949; (მეორე შევსებული გამოცემა — თბ., 1973).

აბულაძე, შუშანიკი — იაკობ ცურტაველი, მარტყოლა შუშანიკის, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., 1938.

აგათანგელოსი — *Ագաթանգեղոսյ Պատմության Հայոց Աշխատութեամբ Գ. Տեր-Մկրտչեան և Ստ. Կանայեանց, Տիֆլիս, 1909*;

აგიოგრაფიული ძეგლები, I — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.

აგიოგრაფიული ძეგლები, IV — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სენაქსარული რედაქციები (XI—XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968.

ადონცი — Н. Адонци, Армения в эпоху Юстиниана, С.-Петербург, 1908.

აეგერიანი — *Մ. Ազեբեան, Լիակատար վարք և վկայարանութիւն սրբոց. Հատ. Գ. Ի վննետիկ, 1813*;

აკინიანი, კირიონი — ზ. ასქინხას, *საქართველოს კაცობრივი ჟურნალი*, 1910.

ალექსიძე, არსენის კრიტიკოსათვის — ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ — კრ. კრიტიკოსათვის, მაცნე, ისტ... სერია, თბ., 1972, № 4.

ალექსიძე, „განყოფისათვის“ — ზ. ალექსიძე, არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973.

ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი — ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968.

ალექსიძე, თეზისები — ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ — დათარიღებისათვის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო ხევის თეზისები, თბ., 1966.

ალექსიძე, „ნაწილი სომხეთისა“ — ზ. ალექსიძე, „ნაწილი სომხეთისა“ არსენი საფარელის ტრაქტატში „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, მაცნე, ისტ... სერია, თბ., 1972, № 2.

ალექსიძე, უსტანესი — უსტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975.

ალიშანი, 1869 — ო. ასქინხას, *მოიხილეთ საქართველოს ჯაიყის ჯაიყის მ. ქ. შ. შაჰარის ქვემოთ*, 1869.

ალიშანი, 1890 — ო. ასქინხას. *საქართველოს ისტორიის* კრებული, 1890.

ალიშანი, 1901 — ო. ასქინხას, *საქართველოს ისტორიის* კრებული, 1901.

ამირანაშვილი — ვ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.

ანტონი, მარტირიკა — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S 1272.

აქარიანი — ჯ. მანუჩიანი, *საქართველოს ისტორიის* კრებული.

ალ. ბარამიძე, ათასწლეულის წლის ძეგლი, ლიტერატურული გაზეთი, 1976, 16. VII.

ბარამიძე, ქრესტომათია — ქართული მწერლობის ქრესტომათია, V-VIII სს. ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ., 1932.

ბარამიძე, ჯაკობია — ვ. ბარამიძე, ვ. ჯაკობია, ძველი ქართული ლიტერატურა, 33-ე გამოც., თბ., 1977.

ინგოროყვა — პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, № 2, № 4.

ინგოროყვა, კალენდარი — პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5—მე-8 საუკუნეების ძეგლებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931—1932, ტფ., 1933.

ინგოროყვა, „მოქცევა ქართლისაჲ“ — პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატთანე „მოქცევა ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტფ., 1941, XI—B.

ინგოროყვა, სასულიერო პოეზია — პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტფ., 1913.

ინჯიჭიანი, 1832 — ჯ. ჩხჩხინას, *ქარცხეთის, შაღყაყაღ, ღვინის, 1832*.

ინჯიჭიანი, 1859 — ლ. ინჯიჭიანი, წმინდანების ცხოვრება, ვენეტიკი, 1859

გ. იოსელიანი, ქართველი წმინდანება, ტფ., 1901.

იოსელიანი, 1843 — Краткая история грузинской церкви, составленная кандидатом Платоном Иоселианом, Издание второе, С.-Петербург, 1843.

იოსელიანი, 1866 — Описание древностей города Тифлиса. Сочинение Платона Иоселиани, Тифлис, 1866.

კაკაბაძე, ძიებანი — ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924.

კარინიანცი — *მაც. ყარჩხასხე, შოჯახსკ ფოსორ შხბჩხ ქარყანაჲ. ჯაიფი საყარაყხსი: იღვრფიქიჲ ადგაქის ყათიქიქიჲ რძანსაჲ ხრხე ჯახიქის ქრაჲ. ჩ რჩჭიქ. 1860*.

კარსტი — J. Carst, Litterature géorgienne chrétienne, 1934.

კეკელიძე, აშუშას წარწერა — კ. კეკელიძე, აშუშა პატრიარქის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, ეტიუდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.

კეკელიძე, ეტიუდება, I — კ. კეკელიძე, ეტიუდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.

კეკელიძე, ეტიუდება, III — კ. კეკელიძე, მარტვილობა გულანდუსტ სპარსისა, წიგნი: „ეტიუდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, III, თბ., 1954.

კეკელიძე, იერუსალემის განჩინება — К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века. Грузинская Версия. Т., 1912.

კეკელიძე, ლიტ. ისტორია, I — კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, თბ., 1960. (პირველი გამოცემა — ტფ.,

1923; მეორე შეესებულებული და შესწორებული გამოცემა — თბ., 1941; მესამე — ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1951).

კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძეგლები — Памятники древнегрузинской агнографической литературы. Грузинский текст перевел, исследованием и примечаниями снабдил академик Академии наук Грузинской ССР, проф. К. С. Кекелидзе, Тб., 1956.

კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), თბ., 1954.

მ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918.

კო რ ი უ ნ ი — *Корюнс. Чарр Шзუიიჩი, ბრძკან, 1941.*

კ უ ფ ტ ი ნ ი — Б. А. Куфтин, О некоторых неразъясненных случаях древней иностранной этно- и топонимии Грузии. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, 5, 1949.

ლ ა ნ გ ი — Lives and Legends of the georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marshall Lang, 1956.

ლი ე შ ი ც ი, კალენდარი — В. А. Лившиц, «Зороастрийский» календарь, წიგნში Э. Бикерман, хронология древнего мира, М., 1975.

ლო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საისტორიო მწერლობა — მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966.

მ ა ლ ხ ა ს ი ა ნ ც ი — *შთ. შაქიასხანე, ჯაქერხს რაგუთრქანს რაიარანს, ჯათ. ლირიიჩი. ბრძკან, 1945.*

მ ა რ ი, აგიოგრაფული მასალები — Н. Марр, Агнографические материалы по грузинским рукописям Ивера. Часть первая. Описание пяти пергаментных рукописей. С.-Петербург, 1900.

მ ა რ ი, ათონი — Н. Марр, Из поездки на Афон, Журнал Министерства народного образования, 1899, № 3.

მ ა რ ი, ხინას ანგარიში — Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 (апрель-ноябрь). Сообщения Православного Палестинского Общества, т. XIV, ч. II, 1903.

მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ნინოს ჯერის ისტორია — Л. М. Меликсет-Бек, «История креста Нины» (к проблеме Моисея Хоренского). Известия Армянского филиала АН СССР, 1941, № 9.

მელიქსეთ-ბეგი, ქართული წყაროები — *ქ. შხიტგისპ-ჩხკ. ყრავ
აფციორხერ ჯაყასთან ქსლ ჯაყერქ მასჩს. ჯათორ ს. შხრქასან, 1934.*

მელიქსეთ-ბეგი, ქრესტომატია — *ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი
სომხური ქრესტომატია ლექსიკონითურთ, ნაკვეთი პირველი, ქრესტომა-
ტია, ტფ., 1920.*

მელუპაიასტანი — *შხილ ჯაყასთანს, 1859. №11, 14. III.*

მიკირტიჩიანი — *ს. შყროქასან, ჰინგერიოქ იარქ ჯაქ
იყროქქონ, სერქასან, 1968.*

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დამოწმებულია წიგნით „ძველი ქართული
აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი I, ილია აბულაძის ხელ-
მძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

მუსხელიშვილი, ბოლნისი — *ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, აკად.
ნ. მარის ხახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუ-
ტის მოამბე, III, ტფ., 1938.*

მცხეთა, I — მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტო-
მი I, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. არმაზის-
ხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წწ. განათხარის მიხედვით, თბ.,
1955.

ნარკვევები — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.

ორმანიანი, სომხეთის ეკლესია — *М. Орманян, Армянская
церковь, М., 1913.*

ორმანიანი — *შ. შრმასქასან, სღყასათიძე, ჰითასანგნოქქონ,
1912.*

პაპუაშვილი — *თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის ხაკითხებო.
თბ., 1970.*

პეტერსი — *P. Peeters, Sainte Sousanik, Martyre en Arméno-
Géorgie. Analecta Bollandiana, Tomus LIII, fasc. I-II et Tomus LIII,
fasc. III-IV, Bruxelles, Paris, 1935.*

Н. Покровский, Краткий очерк церковно-исторической жизни
православной Грузии со времени появления в ней христианства и
до вступления ея в подданство России, Тифлис, 1905.

ჟორდანი, აღწერილობა — *ფ. დ. ჟორდანი, Описание рукописей
Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кახетинскаго духо-
венства, I, Тифлис, 1903.*

ჟორდანი, ქრონიკები, I — *თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მა-
ხალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892.*

ტრ. რუხაძე, ქართული ლიტერატურის სათავეებთან, კომუნისტი,
1977, № 16922, 6. VIIII.

რჩეული ფურცლები — *ღისტირ ჯგერ ნაჲ ყრასიანოქას, სრხქას, ჩქხჲ (1946)*;

საბინინი, ისტორია — История грузинской церкви до конца VI века, составил из древних подлинников ивериец Гоброн (Михан) Сабинин, С.-П., 1877.

საბინინი, სამოსე — საქართველოს სამოსე, სრული აღწერა აღწვლთა და ვნებათა საქართუმლოს წმიდათა, შეკრებილი სრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ავერიელის ვობრონ (მისაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურლი ჩუპბ წელსა.

საბინინი, ცხოვრებანი — Полное жизнеописание святых грузинской церкви. Часть первая. Составил с грузинских подлинников с. С.-П. Дух Ак. ивериец Михаил Сабинин, С.-Петербург, 1871.

K. Salia, La littérature géorgienne (V-e—XIII-e siècles), „Bedi Kartlisa“, XVII—XVIII (№ 45—46), Paris, 1964, გვ. 28, 34—35.

K. Salia, La littérature géorgienne, Encyclopaedia universalis, VII, Paris, 1975, გვ. 675.

K. Salia, La littérature géorgienne dès origines à nos jours, „Bedi Kartlisa“, XXIX—XXX, Paris, 1972, გვ. 207, 209.

საუნჯე — ჩეენი საუნჯე, ქართული მწერლობა ოც ტომად, ტ. 1, თბ., 1959.

სომხური ლიტერატურა — В. С. Налбандян, С. Н. Саринян, С. Б. Агабабян, Армянская литература, М., 1976.

სოფერქი — *Մոփերք Հայկականը, Թ, Վենետիկ, 1856*;

ტერ-დავთიანი — Памятники армянской агнографии. Выпуск I. Перевод с древнеармянского, вступительные статьи и примечания К. С. Тер-Давтян, Ереван, 1973.

ფავსტოსი, 1912 — *Փավստոս Բիւզանդացւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլის, 1912*;

ფავსტოსი, 1953 — История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, 1953.

ფარპეცი — *Հազարայ Գարպեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Տֆլիս, 1904*;

ქართ. ლიტ. ისტორია, — ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე (XII—XVIII სს.), თბ., 1966.

ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები — *Վրաց ყრასიანოქას ოსტირ ჯგერ, სრხქას, 1961*;

ყ ა უ ს ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები — თ. ყაუსჩიშვილა, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.

ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

შ ა ნ ი ძ ე — ა. შანიძე, ბოლნისის წარწერები, ნობათი, № 1, თბ., 1975.

შ ა ნ ი ძ ე, ქრესტომათია — ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ. I. ქრესტომათია, ტფ., 1935.

შ ა ნ ი ძ ე, ბ ა რ ა მ ი ძ ე, ა ბ უ ლ ა ძ ე, 1934—ა. შანიძე, ალ ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ენისა და ლიტერატურის მიმოხილვა, ქრესტომათია, ძველი ქართული წერის ნიმუშები, ტფ. 1934. ოცდამეცამეტე გამოცემა — ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1977.

ჩ ა მ ჩ ი ა ნ ი — *U. Zambas. Masopisich Lekic. Zastor. A. P. Xsxsstik. 1784. იგივე Zastor p. 1785.*

ჩ ი ჯ ა ე ა ძ ე, პერსონაჟი ქალბა — Ш. И. Чиджавадзе, Женские историко-художественные персонажи в грузинской агнографии (Шушаника, Ниша). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1958.

ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ბოლნისი — Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион (Исследование по истории грузинской архитектуры), აკად. ნ. შარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის შობაზე, IX, თბ., 1940.

ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ჯვარი — Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948.

წ ე რ ე თ ე ლ ი — გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

ე . შ ე ლ ი ძ ე, ჩარჩოები, ლიტერატურული გაზეთი, 1976, 4. VI.

თ. ჭ ი ლ ა ძ ე, იაკობ ცურტაეელის „შუმანიკის წამება“, ცისკარი, 1977, № 5.

ხ ა ჩ ი კ ი ა ნ ი — Л. С. Хачикян, «История Армении» Фавстоса Бузанда, Вступительная статья в книге «История Армении Фавстоса Бузанда», Ереван, 1953.

ხ ა ს ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მასალები — А. Хаханов, Материалы по грузинской агнографии. По рукописям X века. Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским Институтом восточных языков. Выпуск XXXI, М., 1910.

ხელნაწერთა აღწერილობა, S V — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, თბ., 1967.

ხელნაწერთა აღწერილობა A1₂ — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I₂, თბ., 1976.

ხელნაწერთა აღწერილობა H III — ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. III, თბ., 1948.

ხელნაწერთა აღწერილობა H IV — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საენათმეცნიერო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. IV, თბ., 1950.

ხელნაწერთა აღწერილობა H V — ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტ. V, თბ., 1949.

ხელნაწერთა აღწერილობა Q I — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, თბ., 1957.

ხორენაცი, 1893 — История Армении Моисея Хоренского, Новым перевод Н. О. Эмина, Москва, 1893.

ხორენაცი, 1913 — *Մուխիսի სიրինասույ, Պատմութիւն Հայոց, Տփղիս, 1913.*

ჯავახიშვილი, საეკლესიო განხეთქილება — И. А. Джавахов. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. Известия Императорской Академии Наук, Санктпетербург, 1908.

ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა — ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე შეესებული გამოცემა, თფილისი, 1921; იგივე, მეორე-მესამე გამოცემა, თბ., 1945.

ჯავახიშვილი, ქვი — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951.

ჯანაშვილი, ქართული მწერლობა — მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი I, ტფილისი, 1900.

ჯანაშია, ანტონისეული რედაქცია — ნ. ჯანაშია, „მუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, მრავალთავი, IV, თბ., 1976.

ჯანაშია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები — ნ. ჯანაშია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები მუშანიკზე, მრავალთავი, VI, თბილისი, 1978.

ჯ ა ნ ა შ ი ა, ფარპეცი — ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962.

ჯ უ ა ნ შ ე რ ი — ჯუნაშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955.

პ ა ი ს მ ა ე უ რ ქ ი, 1708 — *შაქამაორე... ჩ შოის ძირკეხს იქმლ ჩ მარაგაღაგს ყოსთანღსიაციქს*

პ ა ი ს მ ა ე უ რ ქ ი, 1834 — *შაქამაორე ესა კარგი რსორხლადიქს ირისაქი ქაქამაორავ სტრ ბარაქქი. ყოსთანღსიაციქს, 1834.*

ს ა რ ჩ ე მ ი

წიანასიტყვაობა	3
I. „მუშანიკის წამების“ რედაქციები, ხელნაწერები და გამოცემები	15
რედაქციები	15
ხელნაწერები	16
გამოცემები	20
II. „მუშანიკის წამების“ შესწავლის ისტორია	27
III. „მუშანიკის წამება“ და მისი პერსონაჟები ძველ მწერლობაში	44
V ს. სომეხი ისტორიკოსების ცნობები	49
კორიუნი	49
აგათანგელოსი	53
ფავსტოს ბუზანდი	54
ელიშე	60
ლაზარ ფარაქცი	61
მოვსეს სორენაცი	72
„ეპისტოლეთა წიგნი“	76
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“	97
აპარონ ვაჰანდუცი	112
მიქაელ მოდრეკილი	118
უსტანესი	118
არსენი საფარელი	145
ვახუშტი	153
ანტონ კათალიკოსი	153
იოანე ბაგრატიონი	181
ძველი ქართული ლიტურგიული ძეგლები	183
IV. „მუშანიკის წამების“ ქართულ-სომხური რედაქციების ურთიერდამოკიდებულება	187
მოკლე და ვრცელი სომხური რედაქციები	188
ქართულ-სომხური ვრცელი რედაქციები	201
ქართულ-სომხური მოკლე რედაქციები	256
ქართულ-სომხური სეინაქსარული რედაქციები	259
V. „მუშანიკის წამების“ ავტორისა და დაწერის თარიღისათვის	269
ბოლო სიტყვაობა	304
დამოწმებული ლიტერატურა	308

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი გ. წერეთელი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ნ. კირთაძე
ნ. თავაძე
გამომშვები ა. სააკაძე

ს. ბ. № 1286

გადაეცა წარმოებას 30/VIII 78. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV 80. საბეჭდი ქალაქი № 84X108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,8. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,08. უე 06072. ტირაჟი 3000. შეკვეთა № 64. ფასი 2 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ეპრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი, 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного Комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
пр. Дружбы № 7.